PROMOTING THE NELSON MANDELA RULES

PENAL REFORM INTERNATIONAL

სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ

პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება

OSCE ODIHR

ნებადართულია მოცემული პუბლიკაციის მიმოხილვა, ციტირება, ხელმეორედ გამოცემა ან თარგმნა, მთლიანად ან ნაწილობრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული არ გამოიყენება გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნებისათვის. წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილება წინასწარ უნდა იყოს ნებადართული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) მიერ. აღნიშნული პუბლიკაცია სათანადოდ უნდა იყოს მითითებული გამოყენებულ წყაროებში.

სამადლობელი

აღნიშნული დოკუმენტის პირვანდელი პროექტი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის წამების საწინააღმდეგო პროგრამას და „ციხის საერთაშორისო რეფორმას“ (PRI) მიაწოდა ადამიანის უფლებათა და ციხის რეფორმის კონსულტანტმა შერონ კრიტოფმა და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) პოლიტიკის დირექტორმა ანდრეა ჰუბერმა. სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) პოლიტიკისა და პროგრამების მანეჯერს ოლივია როუპს.

სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებაში წვლილი მიუძღვით საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს და პრაქტიკოსებს, რომელთანაც 2017 წელს ორგანიზებული იყო არაერთი შეხვედრა, მათ შორის არიან: გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის, გაეროს განვითარების ფონდის, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის და ევროსაბჭოს პენოლოგიური თანამშრომლობის საბჭოსა და წამყვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პუბლიკაციის გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის წამების საწინააღმდეგო პროგრამის მიერ განხორციელებული დამატებითი საბიუჯეტო დაფინანსების მეშვეობით.

© OSCE ODIHR და PRI 2018
ISBN number : 978-83-66089-21-1

OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR)
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი
მიოდოვის ქ. 10
ვარშავა 00-251
პოლონეთი

ტელეფონი: +48 22 520 0600
ფაქსი: +48 22 520 0605
Email: office@odihr.pl
osce.org/odihr

Penal Reform International
“ციხის საერთაშორისო რეფორმა”
1 Ardleigh Road
ლონდონი N1 4HS
გაერთიანებული სამეფო

ტელეფონი: +44 (0) 207 923 0946
Email: info@penalreform.org
Twitter: @PenalReformInt
www.penalreform.org

გრაფიკული დიზაინი და ილუსტრაცია: ალექს ვალი
(alexvalydesign.co.uk)

არაოფიციალური ქართული თარგმანი მოამზადა ორგანიზაცია ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა ოფისმა, ,,ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოს ოფიციალური ინგლისური ვერსია Guidance Document on the Nelson Mandela Rules, რომელიც გამოიცა 2018 წლის 9 აგვისტოს, ხელმისაწვდომია ODIHR-ის და PRI-ის ვებ-ვერდებზე.



სარჩევი

შესავალი 02

აკრონიმები და აბრევიატურა 04

1. ციხის მართვა 08

1.1 პატიმართა პირადი საქმის წარმოება 10
1.2 კლასიფიკაცია, რისკისა და საჭიროებების შეფასება 21
1.3 პატიმრის განთავსება 27
1.4 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 31
1.5 განცხადებები და საჩივრები 33
1.6 გადაყვანა 40
1.7 ციხის პერსონალის შერჩევა და გადამზადება 43
1.8 შიდა ინსპექცია 52

2. დაცვა, უსაფრთხოება და ღირსების შენარჩუნება ყველასთვის 56

2.1 პატიმრების შემოწმება და საკნების ჩხრეკა 58
2.2 მნახველების ჩხრეკის და ციხეში შესვლის პროცედურები 70
2.3 ციხეში მშობლებთან ერთად მცხოვრები ბავშვები 72
2.4 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები 75
2.5 გარდაცვლილი პატიმრის ცხედართან მოპყრობა 78
2.6 მონობა 79

3. ინციდენტების პრევენცია და მათზე რეაგირება 82

3.1 შემაკავებელი საშუალებები 85
3.2 ძალის და იარაღის გამოყენება 93
3.3 გამოძიება 98

4. შეზღუდვები, დისციპლინა და სანქციები 104

4.1 დისციპლინური სანქციები და პროცედურები 107
4.2 სამარტოო პატიმრობა 112
4.3 ჯანდაცვის პერსონალის როლი 121
4.4 დავების ალტერნატიული გადაწყვეტა 122

5. კონტაქტი გარესამყაროსთან 124

5.1. კონტაქტი ოჯახთან და მეგობრებთან 127
5.2. სამართლებრივი კონსულტაციის, წარმომადგენლობისა
და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა 143
5.3.შეტყობინებები 149

6. ჯანდაცვა 152

6.1 ჯანდაცვის სერვისის მიწოდება 155
6.2 ჯანდაცვის პერსონალის საკონსულტაციო ვალდებულებები 164
6.3 გადაუდებელი და სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება 165
6.4 წამების ნიშნების დოკუმენტირება და შეტყობინება 170
6.5 ეთიკური და პროფესიული სტანდარტები 175
6.6 სამედიცინო დოკუმენტაცია 179

7. გარე მონიტორინგი 182

შესავალი

„მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ (SMR) პირველად მიღებულ იქნა 1955 წელს და დამტკიცდა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წელს.

მისი მიღების დღიდან, წესები გახდა პატიმრებთან მოპყრობის მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო სტანდარტი და შეფასებაში ჩართული მონიტორინგისა და ინსპექტირების მექანიზმების საქმიანობის ძირითადი საბაზისო დოკუმენტი. ბევრ ქვეყანაში, მინიმალური სტანდარტული წესები გამოიყენება როგორც ე.წ. „ნიმუში“ ციხეებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობისთვის, სხვაგან, ისინი წარმოადგენს ერთადერთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ არეგულირებს პატიმართა მოპყრობის საკითხს.

თუმცა, მინიმალური სტანდარტული წესების მიღებიდან 60 წლის შემდეგ სასჯელაღსრულების მეცნიერება მნიშვნელოვნად განვითარდა და წესები მოძველდა, რაც გასაკვირი არ არის. მისი ზოგიერთი ნაწილი შეუთავსებელიც კი გახდა 1955 წლის შემდგომ შემუშავებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან.

აღნიშნული მოვლენების აღსანიშნავად, გაერო ჩაერთო წესების გადახედვის ოთხწლიან პროცესში და 2015 წლის 17 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო „განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ („ნელსონ მანდელას წესები“).[1] „განახლებული სტანდარტული მინიმალური წესები, შემდგომში „მანდელას წესები“, იწოდა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას მემკვიდრეობისთვის პატივის მისაგებად, რომელმაც 27 წელი გაატარა ციხეში.

საერთაშორისო საზოგადოებამ გადაწყვიტა არ შეეცვალა სტანდარტული მინიმალური წესები სრულად, არამედ არჩია ტერმინოლოგიისა და რვა კონკრეტული სფეროს „მიზნობრივი გადასინჯვის“ განხორციელება, რაც SMR-ში ყველაზე მოძველებული იყო.[2] ესენია:

- პატიმართა თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა;
- სამედიცინო სერვისები და ჯანდაცვა;
- დისციპლინური ღონისძიებები და სანქციები;
- ციხეში სიკვდილისა და წამების შემთხვევების გამოძიება;
- მოწყვლადი ჯგუფების დაცვა;
- კანონიერ წარმომადგენლთან ხელმისაწვდომობა;
- საჩივრები და დამოუკიდებელი ინსპექტირება; და
- თანამშრომლების გადამზადება.

გადახედვისას SMR-ის მოქმედების ფარგლები არ შეცვლილა და ის კვლავ მოიცავს „დაწესებულებათა ზოგად მართვას და გამოიყენება ყველა კატეგორიის პატიმართა მიმართ, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი პატიმრობაში იმყოფება, სისხლის სამართლის დანაშაულის თუ სამოქალაქო სამართალდარღვევის გამო, ბრალდებულია იგი თუ მსჯავრდებული. წესი ეხება ისეთ პატიმრებსაც, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის მიერ დანიშნულ „უსაფრთხოების ზომებს“ ან „გამოსასწორებელ ღონისძიებებს“. (წინასწარი შენიშვნა 3(1)), ასევე „დაპატიმრებულ ან ბრალდების წაუყენებლად ციხეში მოთავსებულ პირებს“ (წესი 122).

---

1. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 70/175, „გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ („ნელსონ მანდელას წესები“), მიღებულია 2015 წლის 17 დეკემბერს. აღნიშნულ დოკუმენტში „მანდელას წესები“ მუდმივად მოიხსენიება და ხდება მათი ციტირება. წესის ნებისმიერი მოხსენიება გულისხმობს კონკრეტულად განსახილველ ინდივიდუალურ წესს. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, დოკუმენტში წესის ან წესების მოხსენიება ყოველთვის გულისხმობს „ნელსონ მანდელას“ წესებს. ამგვარად, ამ დოკუმენტში „ნელსონ მანდელას წესებზე“ ნებისმიერი მითითება ან მათი ციტირება შეიძლება დაკავშირდეს ამ ბიბლიოგრაფიულ ბმულთან www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf.
2. განხილვა ინიცირებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2010 წლის 21 დეკემბრის 65/230 რეზოლუციით, „დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის გაეროს მეთორმეტე კონგრესზე“, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად მოითხოვა დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის კომისიის შექმნა, ... ღია მთავრობათაშორისი საექსპერტო ჯგუფი (...) საუკეთესო პრაქტიკის, ასევე ეროვნული კანონმდებლობისა და არსებული საერთაშორისო სამართლის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, და პატიმართა მოპყრობის შესახებ გაეროს არსებული სტანდარტული მინიმალური წესების გადახედვა მათში სასჯელაღსრულების მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების და საუკეთესო პრაქტიკის ასახვის მიზნით, კომისიისთვის სამომავლო ნაბიჯების შესახებ რეკომენდაციების შემუშავების ხედვით.“ A/RES/65/230, პარ. 10, გვ. 3, ხელმისაწვდომია: www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/65/230.

პატიმრობაში მყოფი პირებისადმი ადამიანური მოპყრობის და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ვალდებულების ნაწილში ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება მოეხდინათ ადამიანის უფლებებთან და მართლმსაჯულების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის „სტანდარტული მინიმალური წესების“, განხილვა.[3]

აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოადგინოს საფუძვლიანი და პრაქტიკული მითითებები „განახლებული სტანდარტული მინიმალური წესების“ განხორციელების შესახებ. სახელმძღვანელოს სამიზნე აუდიტორია, უპირატესად, ციხის თანამშრომლები, ადმინისტრაცია და ციხეში მყოფი სხვა პრაქტიკოსებია და ის შემუშავდა „მანდელას წესების“ უკეთ გაცნობის და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ რიგი წესები მოითხოვს კანონმდებლობასა და პოლიტიკურ კურსში ცვლილებების განხორციელებას, რაც სცილდება ციხის ადმინისტრაციის უფლებამოსილებას, სახელმძღვანელოში ასევე ასახულია კანონმდებლებისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. წესების განხორციელების შესაძლო მიდგომების საილუსტრაციოდ ეუთოს წევრი სახელმწიფოებიდან წარმოდგენილი იქნა პრაქტიკული მაგალითები. ზოგიერთ ნაწილში ამ მაგალითებს დაერთო მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა.

წესები დალაგებულია არა ქრონოლოგიურად, არამედ შვიდ თემატურ თავად, რაც ახდენს ურთიერთდაკავშირებული დებულებების დაჯგუფებას და მათ სრულყოფილ ასახვას.

აღიარებულია რა წინა სტანდარტული მინიმალური წესების შესახებ არსებული სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობა, აღნიშნული დოკუმენტი ასახავს მხოლოდ წესებში განხორციელებულ ცვლილებებს და არ ეხება იმ თემატურ სფეროებსა და წესებს, რომელიც არ იყო შეცვლილი გადახედვის პროცესში.

ეს დოკუმენტი მხოლოდ წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტების იმპლემენტაციის შესახებ. იგი აერთიანებს არსებულ საერთაშორისო და პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, ე.წ. „რბილი სამართლის“ პრინციპებსა და ავტორიტეტული ორგანოების შეხედულებებს, ასევე შეიცავს ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რაც წესების ინტერპრეტირებისა და ეფექტიანი განხორციელების შესახებ საჭირო სახელმძღვანელო მითითებებს წარმოადგენს. მან, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა შეუშალოს ხელი ციხის მართვის, პატიმართა მოპყრობის ან ციხის პირობების უფრო მაღალი სტანდარტების განხორციელებასა და განვითარებას.

უაღრესად აუცილებელია გენდერული თავისებურებების გათვალისწინება ციხის მართვის ნებისმიერ ასპექტთან მიმართებაში, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები თავისუფლებაღკვეთილ პირებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი გამოჰყოფს იმ დებულებებსა და საკითხებს, სადაც გენდერული ხედვა განსაკუთრებით აქტუალურია. საკითხები, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია ქალ პატიმრებთან ხაზგასმულია დოკუმენტში „ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების“ („ბანგკოკის წესები“) მიხედვით შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებზე მითითებით. აღნიშნულმა არ უნდა გადაიტანოს ყურადღება იმ ფაქტიდან, რომ იმ ციხეებში, სადაც ტიპიურად დომინირებს მამრობითი სქესის პატიმრები, ის კაცები და ბიჭები, ვინც არ შეესაბამებიან დომინანტ გენდერულ წარმოდგენებს, ასევე წარმოადგენენ რისკ ჯგუფს. სპეციფიური რისკები და საჭიროებები ასოცირდება ასევე ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და/ან ინტერსექსუალ (ლგბტი) პატიმრებთან. უსაფრთხო და ჰუმანური დაწესებულების შექმნის მიზნით, ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს მხედველობაში ციხის მართვისა და პატიმრობის პირობების დიფერენცირებული ზეგავლენა კაცებსა და ქალებზე, ბიჭებსა და გოგონებზე, ასევე ლგბტი პირებზე.

„ნელსონ მანდელას წესების“ შესახებ ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიქმნა დეტალური სამაგიდო კვლევების და პრაქტიკოსებთან კონსულტაციების შედეგად. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა, როგორიცაა სამთავრობო დაწესებულებების, ციხის ექსპერტების და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, თავაზიანად დაგვითმეს თავიანთი დრო და ცოდნა, და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს (OSCE/ODIHR) და „ციხის საერთაშორისო რეფორმას“ (PRI) სურთ მადლობა გადაუხადონ მათ მნიშვნელოვანი წვლილისა და კონტრიბუციისთვის. დოკუმენტი ასევე ეყრდნობა „ესექსის დოკუმენტს“, რომელმაც წარმოადგინა ექსპერტების შეხვედრის, არაფორმალურად ცნობილი როგორც „ესექსის ექსპერტთა ჯგუფი“, შედეგად 2016 წლის აპრილში შემუშავებული პირვანდელი სახელმძღვანელო პრინციპები.[4]

---

3. „ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ გაეროს სტანდარტული მინიმალურ წესებს პატიმრებტან მოპყრობის სესახებ და გაეროს ქცევის კოდექს ოფიციალური სამართალდამცავი პირებისთვის“. (კითხვარი ევროპაში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით: პრინციპები (23.2)), ვენა 1989.

4. „ესექსის დოკუმენტი 3: გაეროს “ნელსონ მანდელას“ წესების ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციის პირველადი სახელმძღვანელო“. „ციხის საერთაშორისო რეფორმა“/ესექსის უნივერსიტეტი. ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/resource/guidance-on-implementation-the-nelson-mandela-rules.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ „ნელსონ მანდელას წესების“ სახელმღვანელო დოკუმენტი წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას ციხის ადმინისტრაციის, თანამშრომლების, პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებისა და სხვა პრაქტიკოსებისთვის „განახლებული სტანდარტული მინიმალური წესების“ განხორციელების კუთხით.

„ნელსონ მანდელას წესების“ სრული იმპლემენტაცია უზრუნველყოფს პატიმართა ადამიანის უფლებების სრულად დაცულობას და მათთან ღირსეულად მოპყრობას. აღნიშნული ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შექმნას ციხის თანამშრომლებისთვის, მათი უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელებისათვის. ეს ასევე ნიშნავს, რომ ციხის ხელმძღვანელ პირებს შესაძლებლობა აქვთ წვლილი შეიტანონ სისხლის სამართლის სისტემის მთავარი მიზნის მიღწევაში, რაც საბოლოო ჯამში, საზოგადოების სასარგებლოდ პატიმართა რეაბილიტაციას და რეინტეგრაციას გულისხმობს.

აპრონიმები და აბრევიატურა

აპრონიმები

ACLU	სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის ამერიკული კავშირი
APT	წამების პრევენციის ასოციაცია
BPUFF	გაეროს ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ
CAT	გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ
CoE	ევროპის საბჭო
CRC	გაეროს ბავშვთა დაცვის კონვენცია
CPT	წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი
CRPD	გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო
EPR	„ევროპული ციხის წესები“
EU	ევროპის კავშირი
EuroPris	ციხისა და სასჯელაღსრულების სერვისების ევროპული ორგანიზაცია
IACHR	ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
ICPA	საერთაშორისო სასჯელაღსრულებისა და ციხის ასოციაცია
ICPS	ციხის კვლევათა საერთაშორისო ცენტრი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
LGBTI	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანს და/ან ინტერსექსი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NPM	პრევენციის ეროვნული მექანიზმი
ODIHR	დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი
OPCAT	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
PRI	„ციხის საერთაშორისო რეფორმა“

SMR	„სტანდარტული მინიმალური წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ (1955); მთელ დოკუმენტში „განახლებული სტანდარტული მინიმალური წესები“ გულისხმობს განახლებულ ვერსიას (2015), როგორც „ნელსონ მანდელას წესების“ ან „მანდელას წესების“ სინონიმს.
SPT	გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტი
TIJ	მართლმსაჯულების ტაილანდის ინსტიტუტი
UDHR	ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNAIDS	გაერთიანებული ერების აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამა
UNCAT	გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტი
UNCRC	გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი
UNOPS	გაეროს საჯარო სერვისების ოფისი
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
WMA	მედიკოსთა მსოფლიო ასოციაცია

აბრევიატურა

„ბანგკოკის წესები“	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ
„პეკინური წესები“	გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ
„ესექსის დოკუმენტი“	ესექსის დოკუმენტი 3: გაეროს „ნელსონ მანდელას წესების“ ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციის პირველადი სახელმძღვანელო
„ჰავანას წესები“	თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის გაეროს წესები
„სტამბოლის ოქმი“	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო
„სტამბოლის განაცხადი“	სტამბოლის განაცხადი სამარტოო საკნის გამოყენების და ეფექტების შესახებ
„მანდელას წესები“	განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ
გაეროს პრინციპების კრებული	გაეროს პრინციპების კრებული ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის შესახებ
გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და რეკომენდაციები	გაეროს პრინციპები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ
გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე	გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე

შენიშვნა დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით

დოკუმენტში „მანდელას წესები“ გულისხმობს „განახლებულ სტანდარტულ მინიმალურ წესებს პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ („ნელსონ მანდელას წესები“), რაც შეესაბამება მსგავსი სტანდარტების ფართოდ გამოყენებად პრაქტიკას (ე.წ. „ბანგკოკის წესები“, „პეკინის წესები“). თუმცაღა, ODIHR და PRI ასევე მხარს უჭერს განახლებული სტანდარტული მინიმალური წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (SMR/მანდელას წესები) სათაურის გამოყენებას, რათა უზრუნველყოს 1955 წლის წესების ორიგინალი ვერსიის აღიარება.

ტერმინები „არასათანადო მოპყრობა“ და „წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა“ გამოიყენება „წამების და სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის“ აღსანიშნავად, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს კონვენციაში „წამების და სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის“ წინააღმდეგ (CAT).

სიტყვა „პატიმარი“ გამოიყენება დაპატიმრებული პირის აღსანიშნავად, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა. სპეციფიურ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა პირის წინასასამართლო სტატუსის დაკონკრეტება, გამოიყენება ტერმინი „დაკავებული“ ან „წინასწარ პატიმრობაში მყოფი“.

ტერმინი „ბავშვები ციხეში“, „ბავშვი პატიმარი“ ან „არასრულწლოვანი“ ნიშნავს ბავშვებს, რომელნიც მოთავსებულნი არიან ციხეში, ვინაიდან მათ წაეყენათ ბრალი ან დაედოთ მსჯავრი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ზრდასრულებთან ერთად ციხეში მყოფი ბავშვები ასევე მოიხსენიებიან ამ ტერმინით.

ტერმინი „გენდერი“ გამოხატავს იმ როლს, ქცევას, აქტივობებს და ატრიბუტიკას, რომელსაც მოცემული საზოგადოება მოცემულ დროში მისაღებად მიიჩნევს კაცებისთვის და ქალებისთვის. მამაკაცად ან ქალად ყოფნასთან ასოცირებულ სოციალურ ატრიბუტიკასთან და შესაძლებლობებთან, ასევე ქალსა და მამაკაცს, გოგოსა და ბიჭს შორის ურთიერთობებთან ერთად, გენდერი ასევე ეხება ურთიერთობებს ქალებს ან მამაკაცებს შორის. ეს ატრიბუტები, შესაძლებლობები და ურთიერთობები სოციალურად კონსტრუირებულია და შესწავლილი სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით.[5]

ტერმინი „დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი“ ან დისკრიმინაციაზე ნებისმიერი სხვა მითითება ეხება როგორც „მანდელას წესების“ მე-2 წესს, ასევე 2-ე წესის მე -2 პუნქტს. ICCPR-ის 1-ელ და 26-ე მუხლებს, რომელშიც ნათქვამია, რომ „არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა აზრის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, დაბადებისა ან სხვა სტატუსის საფუძველზე” და შემდგომ ინტერპრეტირებად ინსტრუმენტებს.

ძირითადი პრინციპები

მანდელას წესები შეიცავს ხუთ ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს წესების მთელ კრებულს, ესენია:

წესი 1

ყველა პატიმრის მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობის პატივისცემას. დაუშვებელია, რომელიმე პატიმარი დაექვემდებაროს და ნებისმიერი პატიმარი უნდა იყოს დაცული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯისაგან, რომელსაც არ შეიძლება ქონდეს გამართლება არცერთ შემთხვევაში. აუცილებელია, პატიმრების, დაწესებულების თანამშრომლების, სერვისის მიმწოდებლებისა და სტუმრების უსაფრთხოებისა და დაცულობის მუდმივად უზრუნველყოფა.

წესი 2

1. აუცილებელია, მოცემული წესების მიუკერძოებლად გამოყენება. დაუშვებელია, დისკრიმინაცია რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ოჯახური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სოციალური სტატუსის საფუძველზე.

5. იხ. მაგ.: „გენდერული თანასწორობის ლექსიკონი“, UN Women. ხელმისაწვდომია: trainingcentre.unwomen.org/mod/glossary/view.php?id=36&mode=letter&hook=G.

2. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, აუცილებელია, ციხის ადმინისტრაციებმა მხედველობაში მიიღონ პატიმართა, განსაკუთრებით კი ციხეებში მყოფი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, ინდივიდუალური საჭიროებები. სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმართა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით მიღებული ზომები არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციულად.

წესი 3

პატიმრობა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც სამართალდამრღვევს გარე სამყაროსაგან იზოლირებულ პირობებში აქცევს, მტკივნეულია თუნდაც იმიტომ, რომ მას ართმევს თვითგამორკვევის უფლებას თავისუფლების აღკვეთის ფორმით. ამიტომ, ციხის სისტემამ არ უნდა გაამწვავოს აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე სატანჯველი, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც განცალკევება გამართლებულია, ან, როდესაც ამას მოითხოვს დისციპლინის დაცვის აუცილებლობა.

წესი 4

1. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა.

2. ამისათვის დაწესებულებამ და სხვა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი, სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეები. აუცილებელია, რომ ყველა მსგავსი პროგრამა, აქტივობა და მომსახურება პატიმარს მიეწოდოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

წესი 5

1. საპატიმრო დაწესებულებაში დადგენილმა რეჟიმმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ის განსხვავება თავისუფალ და პატიმრობის პირობებში ცხოვრებას შორის, რომელიც თრგუნავს პატიმარში პასუხისმგებლობის გრძნობას და ადამიანურ ღირსებას.

2. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტური და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე.

1

ციხის მართვა

1.1 პატიმართა პირადი საქმის წარმოება
1.2 კლასიფიკაცია, რისკებისა და საჭიროებების შეფასებები
1.3 განთავსება
1.4 წვდომა ინფორმაციაზე
1.5 განცხადებები და საჩივრები
1.6 გადაყვანა
1.7 პერსონალის დაქირავება და მომზადება
1.8 შიდა ინსპექცია

1. ციხის მართვა

1

1.1. პატიმართა პირადი საქმის წარმოება

01 „მანდელას წესები“ ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პატიმართა პირადი საქმის წარმოების გამართული სისტემების გდამწყვეტ მნიშვნელობას, უზრუნველყოფს ციხის კარგ მართვასა და სტრატეგიულ დაგეგმვას და ციხის სისტემისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. განახლებული SMR შეიცვალა არსებითად პატიმართა პირადი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით და აწვდის ციხის ადმინისტრაციას პატიმართა პირადი საქმის წარმოების და მასში შესატანი მონაცემების, მათ შორის პატიმრობის ვადის განმავლობაში აღსარიცხი ინფორმაციის შესახებ დეტალურ მითითებებს. პატიმრის პირადი საქმის შექმნა და მართვა უნდა იყოს რეგულირებული კანონით, სპეციფიკურ რეგულაციებთან ან სახელმძღვანელო პრინციპებთან ერთად.

შესაბამისი წესები: პატიმრების შესახებ მონაცემების აღრიცხვის მართვის სისტემა [1.1]

წესი 6: აუცილებელია, ყველა დაწესებულებაში, სადაც იმყოფებიან პატიმრები, არსებობდეს პატიმრების შესახებ მონაცემების მართვის სტანდარტული სისტემა. ეს შესაძლოა წარმოადგენდეს ელექტრონულ მონაცემთა ბაზას ან რეესტრს აკინძული ჟურნალის სახით, რომელშიც გვერდები დანომრილი და ხელმოწერილია. უსაფრთხო აუდიტისა და არასანქცირებული წვდომისა, ასევე სისტემაში არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოდიფიცირების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად საჭიროა, არსებობდეს გაწერილი პროცედურები.

წესი 7: პატიმრის ციხეში მიღება დაუშვებელია პატიმრობის შესახებ მოქმედი ბრძანების გარეშე. თითოეული პატიმრის მიღებისას სისტემაში შეტანილ უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

(ა) ზუსტი ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს მისი უნიკალური იდენტობა, მისი თვით–აღქმული გენდერის პატივისცემით;

(ბ) თავისუფლების აღკვეთის მიზეზები და აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანო. ასევე დაპატიმრების თარიღი, დრო და ადგილი;

(გ) მისი მიღების, გათავისუფლების და ნებისმიერი გადაყვანის თარიღი და დრო;

(დ) სხეულის ნებისმიერი სახის ხილული დაზიანება ან საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ;

(ე) მის პირად სარგებლობაში არსებული ნივთების ინვენტარიზაცია;

(ვ) ოჯახის წევრების, მათ შორის შვილების, ვინაობა; შვილების ასაკი, ადგილსამყოფელი და მეურვეობის ან მზრუნველობის სტატუსი;

(ზ) დეტალები და ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საკონტაქტო ახლობლის შესახებ.

წესი 8: საჭიროების შემთხვევაში, პატიმრობის მიმდინარეობისას, პატიმრის პირადი მონაცემების აღრიცხვის სისტემაში უნდა მოხდეს შემდეგი სახის ინფორმაციის შეტანა:

(ა) ინფორმაცია სასამართლო პროცესის შესახებ, მათ შორის სასამართლო მოსმენებისა და სამართლებრივი წარმომადგენლობის თარიღები;

(ბ) პირველადი შეფასებისა და კლასიფიკაციის შესახებ ანგარიშები;

(გ) ქცევისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია;

(დ) განცხადებები და საჩივრები, მათ შორის სავარაუდო წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს;

(ე) ინფორმაცია დისციპლინური სანქციების შესახებ;

(ვ) ინფორმაცია ნებისმიერი სახის დაზიანების ან სიკვდილის გარემოებებისა და მიზეზების შესახებ, ხოლო ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ცხედარის ადგილმდებარეობის შესახებ.

წესი 9: მე–7 და მე–8 წესებში აღნიშნული ყველა ჩანაწერის შენახვა უნდა ხდებოდეს კონფიდენციალურად და მასზე წვდომა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ შესაბამისი პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე პირებს. თითოეულ პატიმარს უნდა მიენიჭოს წვდომა საკუთარი თავის შესახებ ჩანაწერებზე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად რედაქტირების გათვალისწინებით. პატიმარს ასევე აქვს უფლება, გათავისუფლების დროს მიიღოს ნებისმიერი მსგავსი ჩანაწერის ოფიციალური ასლი.

წესი 10: პატიმრების შესახებ მონაცემების აღრიცხვის მართვის სისტემა ასევე გამოიყენება ციხის პოპულაციის მახასიათებლების, მათი განთავსების დატვირთულობის ტენდენციების შესახებ სანდო მონაცემების მისაღებად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

ციხის ეფექტიანი მართვა

02 ციხის უფლებამოსილ პირებს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მათ შესახებ, ვინც იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში რათა დაგეგმონ და უზრუნველყონ მათი ზოგადი საცხოვრებელი პირობები, დაწესებულების ფარგლებში დაგეგმონ და მიაწოდონ მათ სარეაბილიტაციო პროგრამები და დაგეგმონ და გადაანაწილონ ხელთ არსებული რესურსები, მათ შორის საბიუჯეტო და ადამიანური რესურსები. ამგვარი ინფორმაციის ცოდნა ასევე სასარგებლოა თანამშრომლების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაგეგმვის, თანამშრომელთა შერჩევის პრიორიტეტების განსაზღვრის და პერსონალის გადამზადების საჭიროებების შეფასების კუთხით.

03 პატიმრების სათანადო კლასიფიკაციისა და განთავსების, ასევე მათი ინდივიდუალური საჭიროებების და რისკების შეფასების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს პატიმართა პირადი საქმეების ეფექტიანი მართვა, რაც ხელს უწყობს პატიმართა რეაბილიტაციას, რეინტეგრაციასა და რეციდივიზმის შემცირებას. დანაშაულის ხასიათის, დანიშნული სასჯელის ხანგრძლივობის და ციხეში ყოფნის განმავლობაში პირის ქცევის შესახებ არსებული ინფორმაცია უნდა იყოს მიღებული მხედველობაში პატიმრებისთვის მხარდაჭერის და სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდების და ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე უკუკავშირის განსაზღვრის დროს.

04 უფრო ფართო გაგებით, ასეთი ინფორმაცია შესაძლოა იყოს სასარგებლო ციხის საბიუჯეტო მაშტაბების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებების და პროფესიული, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდების დასადგენად. პატიმრის პირადი საქმის წარმოების სისტემას ასევე შეუძლია დახმარების გაწევა სადღეღამისო ღონისძიებების დაგეგმვის, საკვების განაწილების და სატრანსპორტო საჭიროებების, მათ შორის სასამართლოში ან საავადმყოფოში პატიმრის გამოცხადების, საკითხის განსაზღვრის პროცესში.

05 ეროვნულ დონეზე, პატიმრების პირადი საქმიდან მიღებულ მონაცემებს შეუძლია ხელი შეუწყოს ციხის მმართველ და პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს მოახდინონ ტენდენციების იდენტიფიცირება, მათ შორის ქვეყნის მაშტაბით არსებული პრობლემები და სქესის, ასაკისა და სხვა იმ მახასიათებლების, რაც საჭიროებს ყურადღებას, დესეგრეგაციის პროცესს. ეს შეიძლება მოიცავდეს მაგალითად, ციხის მოსახლეობის ტენდენციებს, მათ შორის გადატვირთულობას, კონკრეტული სახის სასჯელის გამოყენებას, სუიციდის შემთხვევების, თვითდაზიანების და პატიმართა შორის ძალადობის შემთხვევების ზრდას ან მოთხოვნის ან საჩივრის რაოდენობის გაზრდას კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით.

სამართლიანობა და სამართლიანი პროცესი

06 თუკი პატიმრის პირადი საქმე არაზუსტია, ან არ ხდება მისი მუდმივი განახლება და შეფასება, პატიმარმა შესაძლოა გააცდინოს სასამართლო მოსმენა, საჩივრის შეტანის ვადები და სხვა საკითხები, რომელიც შემხებლობაშია მისი სისხლის სამართლის საქმესთან. პატიმრის პირადი საქმის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ხარვეზების აღმოფხრაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სათანადო სამართლებრივი პროცესის წარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

07 გაეროს წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტი (SPT) აღნიშნავს, რომ პატიმრობაში მყოფი პირების პირადი საქმის სრული და სანდო წარმოება ეს არის „აუცილებელი პირობა ისეთი სამართლებრივი პროცედურების ეფექტიანი წარმოების უზრუნველყოფისთვის, როგორიცაა დაკავების კანონიერების გასაჩივრება (habeas corpus) და სასამართლოს წინაშე დაკავებული პირის დაუყოვნებლივ წარდგენის უფლება“.[6]

08 მოწესრიგებული პირადი საქმის წარმოების პროცედურების და კანონიერ ძალაში შესული ბრძანების არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირები პატიმრობაში იმყოფებიან წინასწარი პატიმრობისთვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე ხანგძლივი დროით, არ თავისუფლდებიან დადგენილ დროს ან არ ეძლევათ საშუალება დადგენილ ვადებში წარადგინოს შეწყალების ან სასჯელის შემცირების მოთხოვნა.

09 პირადი საქმის სწორ მართვას აქვს უმნიშვნელოვანესი როლი იმის უზრუნველსაყოფად, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრები იმყოფებიან კანონიერად, არ ხდება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში განმეორებით მიცემა ერთი და იმავე დანაშაულისათვის

6. „წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ქვეკომიტეტის უკრაინაში ვიზიტის ანგარიში“, OHCHR, 2016 წლის 16 მარტი, CAT/OP/UKR/1, პარ. 50 ხელმისაწვდომია: documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/052/36/PDF/G1605236.pdf?OpenElement.

(double jeopardy) და პირს არ ეკისრება განმეორებითი სახდელი ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისთვის. დისციპლინური პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 4, პუნქტები 01-41.

10 სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის დეტალები სამართლებრივი წარმომადგენლის შესახებ, შეიძლება დაეხმაროს ციხის ხელმძღვანელ პირებს მოახდინონ იმ პატიმრების იდენტიფიცირება, ვისაც ესაჭიროებათ იურიდიული დახმარება და უზრუნველყონ პატიმრისთვის აღნიშნული დახმარების ხელმისაწვდომობა.

ადამიანის უფლებათა დარღვევისგან დაცვა

11 როგორც უკანონო და თვითნებური დასჯის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, „არ არის იმაზე უფრო მეტად უტყუარი გზა ხელი შეუწყო წამებას, გაუჩინარებას ან სიცოცხლის უკანონო მოსპობას, ვიდრე პატიმრების პირადი საქმეების არასათანადო წარმოება“.[7] როდესაც ციხის ჩანაწერები არ არსებობს ან არაზუსტია, პატიმრები შეიძლება ადვილად დაიკარგნონ „სისტემაში“ უნებლიედ ან განზრახ, სხვების ცოდნისა და ჩარევის გარეშე მათთვის ზიანის მიყენების მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზუსტი ჩანაწერების წარმოება, როდესაც ხდება პატიმართა გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორეში.

12 გაეროს კომიტეტმა წამების და სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (UNCAT) ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატიმრების ოფიციალური რეესტრის წარმება მიეკუთვნება იმ ძირითად გარანტიებს, რომლებიც მიმართულია თავისუფლებააღკვეთილი ყველა პირის მიმართ და ქმნის წამების პრევენციის ღონისძიებების გატარების ვალდებულების ნაწილს.[8] საერთაშორისო კონვენცია იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ აღიარებს, რომ პატიმართა პირადი საქმის მართვა არის იძულებითი გაუჩინარებისაგან დაცვის მთავარი ფაქტორი, რომელიც ავალდებულებს მხარე სახელმწიფოს მოახდინოს თავისუფლებააღკვეთილი ნებისმიერი პირის აღრიცხვა.[9] წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი ასევე ხაზგასმით გამოჰყობს პატიმართა აღრიცხვიანობის გადამწყვეტ მნიშვნელობას წამების პრევენციის კუთხით „ვინაიდან წამება ხშირ შემთხვევაში წარმოებს ინკომუნიკადო დაკავების პირობებში, პატიმართა სათანადო რეესტრის არსებობა წარმოადგენს ძალიან ეფექტიან ინსტრუმენტს ინკომუნიკადო დაკავების და მაშასადამე, წამების პრევენციის კუთხით“.[10]

13 ადამიანის უფლებათა დარღვევა ნაკლებად ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეებმა იციან, რომ ნებისმიერი დაზიანებები იქნება აღრიცხული, რომ პატიმრების ადგილმდებარეობა ოფიციალურად არის რეგისტრირებული და რომ ნებისმიერი პატიმრის სიკვდილი ან გაუჩინარება იქნება დადგენილი და განხილული. ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერების არსებობა მნიშვნელოვანია არა მარტო ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან ასაცილებლად, არამედ შემთხვევებზე სათანადო რეაგირების, გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ხელშეწყობის მიზნით.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

14 როგორც ეს უფრო დეტალურად განხილულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-5 თავის 01-89 პარაგრაფებში, გარე სამყაროსთან სისტემატიური კონტაქტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პატიმრის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში. შესაბამისად, ხელმძღვანელმა პირებმა შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეუწყონ ამგვარ კონტაქტს. კონფიდენციალურობის პრინციპის შენარჩუნებით, ციხის მართვისთვის ბევრად უფრო ადვილი იქნება თუ პატიმრის პირად საქმეში იქნება ასახული პატიმრების ოჯახის წევრების სახელებისა და ადგილმდებარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია. საკონტაქტო პირების შესახებ არსებული ინფორმაციის სიზუსტე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატიმრის გარდაცვალების, დაზიანების, ავადმყოფობის ან გადაყვანის შემთხვევაში.

ციხის სისტემის გამჭვირვალობა და ნდობის ჩამოყალიბება

15 როგორც გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) აღნიშნავს „პატიმრის პირადი საქმის შექმნის და შენარჩუნების ეფექტიანი და ფუნქციონირებადი სისტემის არსებობა განსაზღვრავს საზოგადოების ნდობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი. იგი აგზავნის მნიშვნელოვან შეტყობინებებს

---

7. „პატიმრის პირადი საქმის მართვის სახელმძღვანელო“, UNODC, 2008, გვ. 8 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Prison_management_handbook.pdf.

8. „გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი“, ზოგადი კომენტარი No.2, მხარე სახელმწიფოების მიერ მე-2 მუხლის შესრულება", UNCAT, 2008 წლის 24 იანვარი, CAT/C/GC/2, პარ. 13 ხელმისაწვდომია: tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2fC%2fGC%2f2&Lang=en.

9. „კონვენცია იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ (2006), UN, მუხლი 17(3) ხელმისაწვდომია: treaties.un.org/doc/Publication/CTC/Ch_IV_16.pdf.

10. „პატიმრის პირადი საქმის მართვის სახელმძღვანელო“, UNODC, op. cit., შენიშვნა 7, გვ. 10, ციტირება, inter alia, გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე. იხ. ასევე: "გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 20: კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (მუხლი 7 ICCPR)" 1992 წლის 10 მარტი, პარ. 11 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Compilation/Pages/a)GeneralCommentNo20Prohibitionoftortureorothercruel,inhumanordegradingtreatmentorpunishment(article7)(1992).aspx.

გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით პენიტენციური სისტემის მიერ აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით და თავის მხრივ, მხარს უჭერს მართლმსაჯულების სამართლიან და მიუკერძოებელ განხორციელებას. ის ასევე აღნიშნავს საზოგადოების ვალდებულებას მოახდინოს თავისუფლებისაღკვეთის ადგილებში ადამიანის უფლებების დარღვევების მონიტორინგი და აღკვეთა."[11]

16 პატიმართა პირადი საქმის სწორი წარმოება ახდენს ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით აღებული ვალდებულებების დემონსტრირებას. პირადმა საქმეს შეუძლია აჩვენოს, რომ პატიმარს ექცევიან კანონის შესაბამისად, რომ არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღმოჩენისთანავე განხორციელდა სათანადო რეაგირება და ხელმძღვანელი პირები ახდენენ დისციპლინური სასჯელების და შემაკავებელი საშუალებების გამოყენების და პატიმრობაში გარდაცვალების ნებისმიერი შემთხვევების მონიტორინგს. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემებს შეუძლიათ დახმარება ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის საკითხში.

17 ზუსტ მონაცემებს შეუძლია მიაწოდოს მედიას და საზოგადოებას სრული სურათი ციხის ცხოვრების შესახებ, მათ შორის ის გამოწვევები, რის წინაშეც დგას ციხის ადმინისტრაცია. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი ადამიანი არასწორადაა ინფორმირებული ციხეში არსებული სიტუაციის შესახებ და საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის დებატები ციხეში არსებული გარემოებების შესახებ ხშირად ეფუძნება შიშს, სტერეოტიპებსა და უფრო ფართო პოლიტიკურ დღის წესრიგს. საქმის წარმოების სწორმა წარმოებამ შეიძლება გაზარდოს საზოგადოების ცნობიერება ციხეში არსებული პრობლემების შესახებ და გამოიწვიოს ცვლილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების კუთხით.

18 ინდივიდუალურ მონაცემებში და საქმისწარმოების სისტემაში აკუმულირებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია შიდა ინსპექციის და გარე მონიტორინგის ორგანოების მხრიდან მათი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისით. როგორც საერთაშორისო ორგანოებმა აღნიშნეს „სარეგისტრაციო ჟურნალებში არსებულმა ხარვეზებმა და უზუსტობებმა შესაძლოა გააფრთხილოს მონიტორინგის მექანიზმები წამების და არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევების არსებობის შესაძლებლობაზე".[12]

პრაქტიკაში განხორციელება

19 ციხეებში აუცილებელია სხვადასხვა ტიპის აღრიცხვის სისტემების არსებობა. უნდა არსებობდეს როგორც ციხის საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც „მანდელას წესებში" მოხსენიებულია, როგორც „სარეგისტრაციო ჟურნალი", ასევე პატიმრების პირადი საქმე და ცალკე სამედიცინო მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც უნდა აწარმოებდეს, ინახავდეს და საიმედოდ იცავდეს ციხის სამედიცინო პერსონალი. ასევე ცალკე უნდა არსებობდეს ციხეში შესახლების დროისთვის პატიმრის პირად საკუთრებაში არსებული ნივთების ჩამონათვალი, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს პატიმარი და შენახული იქნას ციხის ხელმძღვანელობის მიერ.

20 როგორც არნიშნავს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) „პატიმართა სრული, ზუსტი და ხელმისაწვდომი პირადი საქმის არსებობა" არის „ციხის ეფექტიანი მართვის და სტრატეგიული დაგეგმარების აუცილებელი პირობა" და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ციხის სისტემას აქვს შეზღუდული რესურსები „პატიმრის პირადის საქმის ეფექტიანი მართვა არ არის სრულად დამოკიდებული ფინანსურ ინვესტიციებზე; არამედ ის უფრო მეტად დაკავშირებულია ინფორმაციის აღწერის ნათელი და შრომისუნარიანი სისტემის არსებობაზე, რომელსაც თან ახლავს პროცედურები, რომელსაც იცავს და პატივს სცემს ციხის თანამშრომლები".[13]

კანონიერ ძალაში შესული ბრძანებები

21 მანდელას წესების მე-7 წესი ადგენს, რომ პატიმრის ციხეში მიღებისთანავე უნდა იქნეს მოთხოვნილი კანონიერ ძალაში შესული ბრძანება პატიმრობის შეფარდების შესახებ. კანონიერ ძალაში შესული ბრძანება, როგორც მინიმუმ, უნდა შეიცავდეს დაკავების თარიღს, დროსა და ადგილს და ბრძანების გამცემი პირის ან ორგანოს დასახელებას. ბრძანება უნდა გაიცეს და ხელმოწერილ იქნას სასამართლო უწყების ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ და ნებისმიერი ის ბრძანება, რომელიც არ შეიცავს საჭირო ინფორმაციას, უნდა ჩაითვალოს ძალადაკარგულად.[14]

---

11. „პატიმრის პირადი საქმის მართვის სახელმძღვანელო", UNODC, op. cit., შენიშვნა 7, გვ .4.

12. „წამების პრევენცია: ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების სამოქმედო სახელმძღვანელო", აზია-წყნარი ოკეანის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ფორუმი /წამების პრევენციის ასოციაცია/OHCHR ეროვნული ინსტიტუტების და რეგიონალური მექანიზმების განყოფილება, მაისი 2010, გვ.33 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/Documents/Publications/PreventingTorture.pdf.

13. „პატიმრის პირადი საქმის მართვის სახელმძღვანელო", UNODC, op. cit., შენიშვნა 7, გვ .1.

14. „ესექსის დოკუმენტი 3"; op. cit., შენიშვნა 4, გვ. 27.

22 იმის გათვალისწინებით, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ კანონიერ ძალაში შესული ბრძანების არარსებობა არაკანონიერს ხდის თავისუფლების აღკვეთას, ციხის ადმინისტრაციამ, როგორც მინიმუმ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს თუკი არსებობს რაიმე სახის ეჭვი ბრძანების არსებობის ან ნამდვილობის შესახებ. აღნიშნულის მსგავსად, ციხის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასამართლო ხელისუფლებას თუ პატიმრობის შესახებ ბრძანების ვადის ამოწურვის შემდეგ რომელიმე პირი რჩება მათ დაწესებულებაში.

რა სახის ინფორმაცია უნდა აღიწეროს?

23 წესი 7 განსაზღვრავს თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი სისტემაში თითოეული პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას და წესი 8 ადგენს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა იქნეს შეტანილი პატიმრის პირადი მონაცემების აღრიცხვის სისტემაში პატიმრობის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში. 51-ე წესის შესაბამისად ციხის ადმინისტრაციამ ასევე უნდა აწარმოოს შესაბამისი ჟურნალი ჩატარებული ჩხრეკების აღრიცხვის შესახებ.

24 მაშინ როდესაც, პირადი ინფორმაციის აღრიცხვა უნდა ხდებოდეს პატიმრის მიღებისთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამის განხორციელება ყოველთვის არ არის შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანამშრომლებს უწევს ბევრი პატიმრის ერთდროულად მიღება. აღნიშნულ შემთხვევაში, ინფორმაცია მაინც უნდა აღიწეროს უმოკლეს ვადებში.

25 მიმღებმა პერსონალმა ნათლად და გარკვევით უნდა აუხსნას პატიმრებს, მათთვის გასაგებ ენაზე, თუ რატომ თუ რატომ არის საჭირო მათ მიერ ინფორმაციის აღრიცხვა. თუ პატიმრები უარს ამბობენ გარკვეული ინფორმაციის გაცემაზე, ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს საქმეში. ზოგიერთი ინფორმაცია, შესაძლოა, უკვე ხელმისაწვდომი იყოს უფლებამოსილი პირებისთვის იმ დოკუმენტებიდან, რომელიც შემხებლობაშია პირის სისხლს სამართლის საქმესთან.

26 პატიმრობის განმავლობაში პირის შესახებ არსებული ინფორმაცია რეგულარულად უნდა გადაიხედოს და განახლდეს, მათ შორის, მაგალითად პატიმრის შვილების ადგილმდებარეობა და საგანგებო სიტუაციების დროს მათი საკონტაქტო პირის მონაცემები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი შვილებს, ხშირად უწევთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მათი ოჯახის წევრის დაპატიმრების შემთხვევაში. პატიმრობის განმავლობაში, როგორც ეს მითითებულია მე-8 წესში, განხორციელებული ჩანაწერებიც გამუდმებით უნდა განახლდეს შესაბამისი ცვლილებების და განვითარების ასახვის მიზნით.

27 პატიმრის ქცევის და დისციპლინის შესახებ არსებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს დეტალებს უსაფრთხოების განხორციელებული ზომების შესახებ, კერძოდ ჩანაწერებს ჩხრეკის, განსაკუთრებით გაშიშვლებით შემოწმების და სხეულის სიღრმისეული შემოწმების შესახებ. ყველა შემთხვევა, სადაც ხდება ძალის, იარაღის ან სპეციალური შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, უნდა ჩაიწეროს და ჩანაწერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისთვის.[15]

28 მონაცემების შენახვა არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ინფორმაციის ინტრუზიული შეგროვება და უნდა იყოს გათვალისწინებული მონაცემთა შემხებლობა და აუცილებლობა ციხის მართვის მიზნებთან. მონაცემთა სიდიდე დამოკიდებულია შეფასების და კლასიფიკაციის ანგარიშთა კომპლექსურობაზე, რაც უფრო დეტალურად განხილულია მომდევნო თავებში.

29 უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ ინფორმაცია არ არის უგულვებელყოფილი ან მცდარი. ერთ-ერთ ასეთ გარანტიად შესაძლოა წარმოადგენდეს მაგალითად, მონაცემთა სისწორის შერჩევითი შემოწმების სისტემის არსებობა.

30 წესი 67(1) ადგენს, რომ ცალკე ფაილად არსებობდეს და ციხის ადმინისტრაციის მიერ ინახებოდეს პატიმართა საკუთრების ამსახველი საინვენტარიზაციო უწყისი, რაზეც ასევე საუბარია მე-7(ე) წესში. აღნიშნული ფაილი შეიცავს ინფორმაციას პატიმრის იმ საკუთრების შესახებ, რომელის გადაცემულია შესანახად ციხის უფლებამოსილი პირების მიერ, მათ შორის ფული ან სარგებელი, რომელიც მიღებული აქვს პატიმარს ციხეში მიღებისას. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს ქონების დაბრუნება გათავისუფლებისთანავე, რაც შეიძლება განხორციელდეს ციხეში მოთავსებიდან თვეების ან წლების შემდეგ. წესი 67 მოთხოვნის თანახმად ციხის ადმინისტრაციამ კარგ პირობებში უნდა შეინახოს ყველა პირადი ნივთი და დაუბრონოს ისინი პირს გათავისუფლებისთანავე.

15. მაგ. იხ. წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) ზრდასრულებისთვის ფსიქიატრიული დაწესებულეების კონტექსტში „CPT სტანდარტები/Inf(2017)6“ (2017 წლის 21 მარტი), პარ. 11 ხელმისაწვდომია: hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-standards-inf-2017-6-en-1 და CPT/Inf/E(2002)1 – მიმოხილვა 2011, პარ. 53 ხელმისაწვდომია: www.refworld.org/docid/4d7882092.html.

კონტექსტი: სხვა საჭირო ინფორმაციის აღრიცხვა [1.2]

მანდელას წესების მე–7 და მე–8 წესში მითითებულ ინფორმაციასთან დამატებით, პატიმრის პირად საქმეში ციხის ადმინისტრაციისთვის სასარგებლო იქნება სხვა რელევანტური ინფორმაციის აღრიცხვაც, მათ შორის:

— კანონიერი წარმომადგენლის ვიზიტები

— საელჩოს ან საკონსულოს წარმომადგენლის ვიზიტები

— განათლების დონე

— ენები, რომელსაც ფლობს პატიმარი

— დიეტური მოთხოვნები

— პატიმრის მონაწილეობა დასაქმების, საგანმანათლებლო და პროფესიული გადამზადების პროგრამებში

— შესამჩნევად კარგი ქცევა

როგორ უნდა აღირიცხოს აღნიშნული ინფორმაცია?

31 პატიმრების შესახებ მონაცემების აღრიცხვის მართვის სისტემა შესაძლებელია იყოს ელექტორნული ან ხელით შევსებული რეესტრი აკინძული ჟურნალის სახით. მონაცემთა აღრიცხვის სისტემა უნდა იყოს კომპლექსური, მაგრამ არა ზედმეტად ბიუროკრატიული.

32 ინფორმაციის ხელით შეყვანა უნდა განხორციელდეს კალმით და არა ფანქრით, რათა პატიმართა შესახებ არსებული ჩანაწერები დაცული იყოს არასანქცირებული ცვლილებისგან. ჩაწერილი ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს დადასტურებული, დათარიღებული და ხელმოწერილი ცვლილების განმახორციელებელი პირის მიერ. ელექტრონული სისტემა უნდა იყოს შექმნილი იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მასში არსებული მონაცემების ცვლილება არაუფლებამოსილი პირის მიერ.

33 როგორც ელექტრონული, ასევე ხელით შეყვანილი მონაცემთა ერთობლიობა უნდა იყოს დაცული წაშლის, დაზიანების ან განადგურებისაგან.

კონტექსტი: ციხის სამსახურებს შორის არსებული ტექნიკური უთანასწორობის გაგება [1.3]

საერთაშორისო სასჯელაღსრულების და ციხის ასოციაციის (ICPA) და ციხის და სასჯელაღსრულების სერვისების ევროპული ორგანიზაციის (EuroPris) მიერ 2016 წელს გამოქვეყნდა ერთობლივი საინიციატივო კვლევა პატიმრების შესახებ მონაცემების აღრიცხვის მართვის ციხის სისტემებს შორის ტექნოლოგიური უთანასწორობის საკითხებზე მსოფლიო მაშტაბით 36 პენიტენციურ სისტემასა და 33 ქვეყანაში.[16]

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა „მსოფლიო მაშტაბით ციხის სამსახურებში ტექნოლოგიური ინოვაციების განსხვავებული ეტაპების დადგენა, ხარვეზების აღმოჩენა და საბოლოო ჯამში საერთაშორისო სასჯელაღსრულების და ციხის ასოციაციისა (ICPA) და ციხის და სასჯელაღსრულების სერვისების ევროპული ორგანიზაციის ქსელის ფარგლებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ექსპერტებისთვის [ICT] შესაძლებლობის მიცემა განსაზღვრონ თუ სად არის შესაძლებელი სამომავლოდ ძალისხმევის მიმართვა იმათ მხარდასაჭერად, ვინც დახმარებასა და რჩევას საჭიროებს".[17]

შესწავლილი ციხის სამსახურების უმრავლესობა იყენებს პატიმრების შესახებ მონაცემების აღრიცხვის მართვის ელექტრონული სისტემის ზოგიერთ ფორმას, ზოგჯერ ქაღალდზე დაფუძნებულ სისტემასთან ერთობლიობაში. სისტემების უმრავლესობას აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და შეგროვება ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. გამოკითხვაში მონაწილე ციხეთა უმრავლესობამ ასევე აღნიშნა, რომ ისინი ახორციელებენ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლას მესამე პირებთან, უმრავლესად სამართალდამცავ, სასამართლო და პრობაციის სამსახურებთან. ზოგიერთ სისტემაში იყო ისეთი ხარვეზები, რაც იწვევდა სისტემაში მონაცემთა გაორებულ ასახვას. ბევრგან საჭირო იყო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სისტემების გაფართოვება ქვეყანაში პატიმართა სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვის ცენტრალიზების და ავტომატიზირების მიზნით. სერიოზული შეშფოთება გამოითქვა მსოფლიო მაშტაბით ბევრ პენიტენციურ დაწესებულებაში კომპიუტერული სისტემების სიძველესთან დაკავშირებით.

16. უფრო მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხ. ტონი მოლლემანი და რიან ვონ ოსი, „ტექნოლოგიური უთანასწორობა ციხის სამსახურებში", საერთაშორისო სასჯელები და ციხის ასოციაცია/ევროპის ციხეები, ოქტომბერი 2016 ხელმისაწვდომია: www.europris.org/news/technology-disparity-across-prison-services/; ასევე იხ.: „პატიმრის პირადი საქმის მართვის სახელმძღვანელო", UNODC, op. cit., შენიშვნა 7, გვ. 58.

17. „ტექნოლოგიური უთანასწორობა ციხის სამსახურებში", op. cit., შენიშვნა 16, გვ. 3.

მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალობა

34 პატიმართა შესახებ მონაცემთა სისტემაში არსებული ინფორმაცია უნდა იყოს დაცული არამხოლოდ არაავტორიზებული თანამშრომლებისაგან, არამედ ციხეში მყოფი სხვა პატიმრებისგან და მნახველებისაგან, მათ შორის სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისგან. პატიმრებს არასოდეს არ უნდა მიეცეთ უფლება იმუშავონ მონაცემთა აღრიცხვის ციხის სამსახურში, ვინაიდან ეს მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ციხის ფაილების დაცვასა და კონფიდენციალურობას. მონაცემთა დაცვის და კონფიდენციალურობის მოთხოვნა თანაბარმნიშვნელოვნად ეხება შემთხვევებს, როდესაც საქმე გადაეცემა სხვა დაწესებულებას პატიმრის გადაყვანასთან ერთად, როგორც ეს განხილულია აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტის **თავი 1-ლი, 166-186-ე პარაგრაფებში**.

35 უსაფრთხო აუდიტის ჟურნალი გულისხმობს სიფრთხილით აღრიცხულ მონაცემებს იმ თანამშრომელთა შესახებ, რომელნიც ახორციელებენ სისტემაში ინფორმაციის შეყვანას ან მოდიფიცირებას, მათ შორის მონაცემებში ნებისმიერი დამატების და გადასინჯვის თარიღისა და დროის მითითებით. აუდიტი უნდა განხორციელდეს პერიოდულად განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოს მიერ.

36 პატიმრის შესახებ არსებული ინფორმაცია უსაფრთხოდ უნდა იყოს ჩაკეტილი დაცულ ადგილას და თუკი ის ინახება ელექტრონულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი დაცულობა. უნდა არსებობდეს მკაფიო სისტემები და პროცედურები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინფორმაციის გაცნობა და გაზიარება, ვის აქვს წვდომა, გასაღებები ან პაროლი. UNODC აღნიშნავს, რომ პატიმრის შესახებ არსებული ინფორმაცია უნდა ინახებოდეს „ჩაკეტვად, ცეცხლგამძლე, წყალგაუმტარ და ჰერმეტულად დაცულ კარადებში“.[18]

37 პატიმრების პირად საქმეში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანია პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისთვის, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მათი პირადი უსაფრთხოების და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატიმრის პირად საქმეში ბავშვების შესახებ არსებული დეტალების აღრიცხვისას, მათი ადგილმდებარეობის ჩათვლით.

38 პატიმრის ან მათი ოჯახის წევრების მიმართ ზიანის მიყენების რისკი შეიძლება განსაკუთრებით მწვავე იყოს დანაშაულებრივ ბანდასთან დაკავშირებულ და გახმაურებულ საქმეებში ან როდესაც პატიმარს ბრალად ედება ან მსჯავრი დაედო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისათვის. რისკები განსაკუთრებით მაღალია იმ პატიმრებთან მიმართებაში, რომლებიც ადრე იყვნენ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი, სექსუალური ძალადობის ჩათვლით.

39 ძალადობის და შურისძიების რისკის გარდა, თუ პატიმარის შესახებ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია ცნობილი გახდება არასანქცირებული პირებისათვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ პატიმარი შეიძლება გახდეს სტიგმის ან გარიყულობის მსხვერპლი. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება მომდინარეობდეს როგორც ციხის თანამშრომლებისგან, ასევე სხვა პატიმრებისგან და შეიძლება ეფუძნებოდეს არა მარტო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან ბრალად შერაცხულ ქმედებას, არამედ ინდივიდის პირად წარსულს ან სოციალურ სტატუსს.

40 ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქცევასთან და დისციპლინასთან მიმართებაში, განცხადების და საჩივრის მიმართ, სადაც პატიმრები აცხადებენ, რომ ისინი გახდნენ შევიწროვების მსხვერპლი სხვა პატიმრების ან თანამშრომლების მხრიდან, ან სადაც ჩანაწერები ახდენენ მათ იდენტიფიცირებას ამგვარი შევიწროვების მოწმეებად.

პოზიტიური პრაქტიკა: კანადაში პატიმართა შესახებ არსებული ინფორმაციის დაცულობა [1.4]

კანადაში მსჯავრდებულთა აღრიცხვის მართვის ონ–ლაინ სისტემა ახდენს ინფორმაციის ჩაკეტვას მისი შეყვანისთანავე, არასანქცირებული წვდომისგან დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. თუკი პატიმარს მიაჩნია, რომ შეგროვებულ ინფორმაციაში ხარვეზია ან გაპარულია შეცდომა, მას შეუძლია მოითხოვოს ინფორმაციის შესწორება. თუკი დადასტურდება უზუსტობა, ხარვეზი ან ინფორმაციის უგულვებელყოფა, თანამშრომელს შეჰყავს ახალი მონაცემები და ანგარიშის დასაწყისშივე უთითებს ინფორმაციის შეცვლის თარიღს, პირვანდელი ანგარიშის თარიღს, რა შეიცვალა, შეცვლის მიზეზი, ვის მიერ განხორციელდა ცვლილება და ზედამხედველის სახელს, ვინც დაადასტურა ცვლილება. პირვანდელი ინფორმაცია არ იცვლება, არამედ შესწორებული ინფორმაცია მიეთითება დიდი ასოებით პირვანდელი ინფორმაციის ქვეშ. ინფორმაციის ნაბეჭდი ასლი იცვლება შესწორებული ან განახლებული ვერსიით და შეცვლილი ვერსიის ასლი გადაეცემა მსჯავრდებულს.

18. „პატიმრის პირადი საქმის მართვის სახელმძღვანელო“, UNODC, op. cit., შენიშვნა 7, გვ .1. 58.

19. იხ.: „დანართი B: კომისრის დირექტივები ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ“, კანადის სასჯელაღსრულების სისტემა, 2016 წლის 26 მაისი. ხელმისაწვდომია: www.csc-scc.gc.ca/politiques-et-lois/701-cd-eng.shtml#s4.

ვინ უნდა აღრიცხოს, მიიღოს წვდომა და გამოიყენოს მონაცემები

41 ხელმძღვანელ პირებს და თანამშრომლებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ პატიმართა პირადი საქმის წარმოების სისტემის გამართული მართვის მნიშვნელობა და შესაბამისი პერსონალი სწორად უნდა გადამზადდეს ინფორმაციის აღრიცხვის, მათ შორის კონფიდენციალობის საკითხებში. აღრიცხვის სისტემაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში თანამშრომლები უნდა გადამზადდენ.

42 მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ დაშვება პატიმრის საქმესთან, უნდა მიეცეთ საქმეში ასახული მონაცემების წვდომის და გამოყენების უფლება. ბევრ დაწესებულებაში არიან თანამშრომლები, რომელნიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი შეადგინონ და აწარმოონ ჟურნალები და მონაცემთა ერთობლიობა.

43 პატიმრის საქმეში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უნდა იყოს მკაცრად „საჭიროა ვიცოდე“ პრინციპის საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პერსონალს შეუძლია მიიღოს მონაცემების სრული ან ნაწილობრივი წვდომის უფლება.

44 გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, თუ ვინ და რა ტიპის ინფორმაცია უნდა მიიღოს პატიმრის შესახებ განსხვავდება იურისდიქციის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში ციხის თანამშრომლები არ ფლობენ ინფორმაციას პატიმრების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვანია, რომ ციხის თანამშრომლებს ჰქონდეთ ეს ინფორმაცია დინამიური უსაფრთხოების მიდგომების გასაუმჯობესებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის უსაფრთხოება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საჭიროებს პატივისცემას.

45 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოითხოვონ მათ საქმეში არსებული ინფორმაციის განახლება და ცრუ ინფორმაციის შესწორება.

46 პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვონ მათი საქმის გაცნობა სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის მასში არსებული ინფორმაციის სისწორის და მათი სამართლებრივი სტატუსის შესამოწმებლად; დანიშნული სასამართლო სხდომის თარიღების, სასჯელის ხანგრძლივობისა და გათავისუფლების თარიღის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ან მათი ადვოკატისა და ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის მოსაპოვებლად. მათ ასევე შესაძლოა სურდეთ თავიანთი პირადი საქმის მიღება განცხადებების ან საჩივრების შედგენის მიზნით ან სხვა პირადი საფუძვლით. სურვილის შემთხვევაში პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სასამართლო პროცესზე დასწრებისას თან იქონიონ მათთან დაკავშირებული მონაცემების ამსახველი დოკუმენტების ასლები (იხ. წესი 53).

47 პატიმრებს უნდა ეცნობოს, რომ მათ აქვთ პატიმრობისა და გათავისუფლების დროს მათთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობის უფლება. დაშვება უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე, იმათი ჩათვლით, ვისაც არ აქვს მიღებული განათლება ან ვინც არ იცის საქმისწარმოების ენა ან სხვაგვარად ვერ ახერხებს წაიკითხოს და გაიგოს მონაცემები. მონაცემებთან წვდომა ასევე შეიძლება განხორციელდეს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

48 პატიმრებისთვის მათთან დაკავშირებულ ჩანაწერებთან წვდომის მხარდაჭერის მიზნით ყველა ციხე აღჭურვილი უნდა იყოს ასლის გადამღები აპარატებით.

49 სხვა პირთა დაცვის მიზნით, რომელნიც შესაძლოა მოხსენიებულნი იყვნენ პატიმრის პირად საქმეში არსებულ მონაცემებში, მაგალითად სხვა პატიმრებისგან მიღებულ სადაზვერვო ან ინციდენტის ამსახველ ანგარიშებში, დასაშვებია ინფორმაციის რედაქტირება პატიმრისთვის ინფორმაციაზე წვდომის მინიჭებისას. მონაცემების რედაქტირება ან შეცვლა დასაშვებია ასევე ობიექტის დაცვის ან გამოძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

50 პატიმრებს აქვთ უფლება მიიღონ მათი საქმის ასლი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისას. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მიმდინარე სამართალწარმოების, მკურნალობის უწყვეტობის ან იმის საჩვენებლად, რომ მათ გაიარეს საგანმანათლებლო ან პროფესიული სასწავლო კურსი. ზოგი პატიმრისთვის მნიშვნელოვანია მათი საქმის მასალების ასლების მიღება მათი ოჯახის წევრების ადგილმდებარეობის დასადგენად.

51 პატიმრებს გათავისუფლებისას შეუძლიათ მოითხოვონ მათი საქმის მასალების ასლები მიმდინარე მოთხოვნების და საჩივრების, მათ შორის წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის თაობაზე შეტანილი საჩივრების განხილვის მიმდინარეობის თვალყურის სადევნებლად. ასეთ შემთხვევებში, ყოფილ პატიმრებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ მათი ჯანმრთელობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაცია.

52 შიდა ინსპექციის და გარე მონიტორინგის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პატიმართა პირად საქმესთან, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობა.[20]

პოზიტიური პრაქტიკა: დამნაშავეთა მართვის საინფორმაციო სისტემა [1.5]

ნამიბიის სასჯელაღსრულების სისტემის (NCS) დამნაშავეთა მართვის საინფორმაციო სისტემა (OMIS) აღწერილია როგორც სისტემა, რომელსაც „აქვს განვითარებადი ქვეყნების ნებისმიერი სასჯელაღსრულების და პენიტენციური სამსახურისთვის პოტენციურად და რეალურად გამოყენებადი ხასიათი... მარტივი მართვის მიზნით ის იქნა შექმნილი მოდულარული ფორმატის სახით, წარმოადგენს ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის სასჯელაღსრულების და პენიტენციური სისტემის საინფორმაციო საჭიროებების გადაწყვეტის ხელმისაწვდომ საშუალებას“.[21]

OMIS არის ვებ–გვერდზე დაფუძნებული ელექტრონული მონაცემების მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ციხის პერსონალს ელექტრონული ფორმით მოახდინოს პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში პატიმართა შესახებ არსებული მონაცემების შენახვა და დამუშავება.

ნამიბიის სასჯელაღსრულების სისტემის მიერ მართვის სისტემა შექმნილი იქნა შეზღუდული რესურსების გამოყენებით. სისტემის შესახებ დაწერილ სტატიაში გამოითქვა ვარაუდი, რომ „როგორც აფრიკის, ასევე მსოფლიოს სხვა განვითარებად ქვეყნებს, ადვილად შეუძლიათ მიბაძონ ნამიბიის სასჯელაღსრულების სამსახურის გამოცდილებას“.[22]

სტატია აღიარებს, რომ ბევრ იურისდიქციაში, პატიმრების შესახებ ინფორმაცია კვლავ შეჰყავთ ხელით ქაღალდის ფურცლებზე ან ჟურნალებში და აღნიშნავს, რომ ყველაზე განვითარებულ სასჯელაღსრულების სისტემებსაც კი ურთულდებათ რეფორმების განხორციელება, რადგან ვერ ახერხებენ ციხის ტენდენციების ოპერატიულ და სტრატეგიულ ანალიზს იმ სფეროთა გამოსავლენად, რომელნიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. ნამიბიის შემთხვევაში, OMIS–ის მოქმედებაში ჩაშვებამდე, ციხის ადმინისტრაციას უჭირდა თითოეული პატიმრის მონაცემების საიმედოობის ან სიზუსტის გადამოწმება ან პატიმრობის დროს მათი ქცევის მონიტორინგი.

---

20. ეროვნული პრევენციული მექანიზმებისთვის იხ.: „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (OPCAT)“, მუხლი 20 (ბ), რომელიც მოითხოვს, რომ ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ „იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც შეეხება ამ პირთა მიმართ მოპყრობის და ასევე მათი დაკავების პირობებს“ და მუხლი 21(2) რომელიც ეხება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შეგროვებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას („პირადი მონაცემები არ გამოქვეყნდება დაინტერესებული მხარის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე“), UNGA რეზოლუცია A/RES/57/199, 22 ივნისი 2006. ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/OPCAT.aspx.

21. კატურია პორპორონი, “აფრიკის სასჯელაღსრულების ცვლილება: დაპატიმრებიდან რეინტეგრაციისკენ, აფრიკის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა: ნამიბიური სასჯელაღსრულების სამსახურის მსჯავრდებულთა მართვის ავტომატური საინფორმაციო სისტემის მაგალითი, Acta Criminalogica: სამხრეთ აფრიკის კრიმინოლოგიის ჟურნალი, სპეციალური გამოშვება 2, 2015, გვ. 1-21.

22. იქვე.

ამგვარად, დამნაშავეთა მართვის საინფორმაციო სისტემის (OMIS) უპირატესობა გამოიხატება შემდეგში:

— ამცირებს ზედმეტი და შეუსაბამო ინფორმაციის რაოდენობას;

— ზრდის ინფორმაციის სიზუსტის ხარისხს;

— ამცირებს მონაცემთა დაკარგვის შესაძლებლობას;

— უზრუნველყობს, რომ სისტემაში შეყვანილი ყველა მონაცემი აღირიცხება და მოწმდება;

— თავიდან იცილებს პატიმრების დუბლირებისა და არასწორი იდენტიფიცირების შესაძლებლობას;

— უზრუნველყობს ინფორმაციაზე კონტროლირებად ან შეზღუდულ დაშვებას;

— იძლევა მონიტორინგის ანგარიშების სისტემატური წარმოების საშუალებას;

— ააქტიურებს ავტომატურ შეტყობინებებს, მაგალითად სასამართლო ვადების და სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტების თაობაზე;

— დახმარებას უწევს სარეაბილიტაციო საქმიანობაში, მაგალითად სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის აღრიცხვის თვალსაზრისით; და

— უზრუნველყობს ნებისმიერ დროს კრიტიკულ ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობას, მათ შორის ჭკვიანი მოწყობილობების საშუალებით.23

OMIS პირველად გამოყენებულ იქნა 2013 წელს და ის ფუნქციონირებს ნამიბიის 13–ვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რაც დაახლოებით 4,500 პატიმარს მოიცავს. სისტემა შემუშავდა ნამიბიის მთავრობის მიერ დამტკიცებული სასჯელაღსრულების სისტემის ფართომაშტაბიანი რეფორმის ფარგლებში, რომელშიც ხაზგასმულია რისკებისა და საჭიროებების სათანადო შეფასების და მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მნიშვნელობაზე.

OMIS შედგება ძირითადი მოდულებისგან, როგორიცაა მაგალითად, პატიმართა მიღება და შეფასება, ჯანდაცვის მართვა, საქმისწარმოება, სარეაბილიტაციო საქმიანობა, ინსტიტუციური შემთხვევები, ვიზიტები, გადაყვანა, გათავისუფლებისთვის მზადება, სასჯელის შეცვლა და გათავისუფლება. აღიარეს რა, რომ სასჯელაღსრულების სისტემის ყველა თანამშრომელს არ ჰქონდა კომპიუტერთან მუშაობის უნარები, განხორციელდა შესაბამისი კადრების სრულფასოვანი გადამზადება სისტემის მოხმარების საკითხებში.

ციხის ტენდენციების შესახებ მონაცემთა შეგროვება და გამოქვეყნება

53 იმისათვის, რომ მონაცემები იყოს გამოსადეგი სისხის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის ინფორმირებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, ისინი უნდა შეიცავდნენ სანდო მონაცემებს ისეთი ტენდენციების ფართო სპექტრის შესახებ, როგორიცაა სიკვდილიანობის და სერიოზული ტრავმების შემთხვევების რაოდენობრივი მაჩვენებელი, მონაცემები ციხის მოსახლეობის პროფილის შესახებ, მათ შორის მაგალითად: ციხის მოსახლეობის ასაკობრივი სხვაობის პროფილი და გადატვირთულობის დონე.[24]

54 კარგი პრაქტიკაა უსაფრთხოების მიზნით პატიმრების მიმართ გამოყენებული შემაკავებელი საშუალებების ერთიანი რეესტრის წარმოება, კერძოდ, სამარტოო საკანში მოთავსება და ციხის დანარჩენი მოსახლეობისგან იძულებითი გამოცალკავების სხვა ფორმები.[25]

55 თითოეულმა ციხემ სისტემატიურად უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ტენდენციების შესახებ ცენტრალურ პენიტენციურ დეპარტამენტს. ციხეებს შესაბამისად ადგილზე უნდა ჰქონდეს საამისო ადამიანური და ტექნიკური რესურსი. სასჯელაღსრულების საკითხზე მომუშავე შესაბამისი სამთავრობო დეპარტამენტიც უნდა ახდენდეს მონაცემთა ანალიზისთვის საკმარისი რესურსის გამოყოფას და რეკომენდაციების შემუშავებას შემდგომი ქმედების განხორციელების მიზნით.

56 გამჭვირვალობის და საზოგადოებრივი ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით ციხის ტენდენციების შესახებ მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. გამოქვეყნებული ინფორმაცია ციხის ტენდენციების შესახებ არ უნდა შეიცავდეს რაიმე მონაცემს კონკრეტული პატიმრების შესახებ. ნებისმიერი მონაცემი, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს კონკრეტული შემთხვევები ან პიროვნებები, უნდა გამოირიცხოს.

---

23. ე.წ. „ჭკვიანი“ მოწყობილობა არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც დაკავშირებულია სხვა მოწყობილობებთან ან ქსელებთან სხვადასხვა უკაბელო დაშვების პროტოკოლის მეშვეობით, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულწილად ურთიერთქმედება ოპერატიულად და ავტონომიურად. ჭკვიანი მოწყობილობების რამდენიმე მაგალითია: სმარტფონები და ტაბლეტები, სმარტსაათები, ჭკვიანი დამაკავშირებლები და ჭკვიანი გასაღებების ჯაჭვი.

24. „ესექსის დოკუმენტი 3,“ ციხის საერთაშორისო რეფორმა, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 34.

25. მაგალითისთვის იხ. „ანგარიში თურქეთის მთავრობას წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ თურქეთში ვიზიტის შესახებ“, 8 დეკემბერი 2005,CPT/Inf (2005) 18, პარ. 89. ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680698246.

პოზიტიური პრაქტიკა: ციხეში სიკვდილის ფაქტების დოკუმენტირება – ტეხასის მართლმსაჯულების ინიციატივა [1.6]

ტეხასის მართლმსაჯულების ინიციატივა „მიზნად ისახავს მოგვითხროს მათ შესახებ, ვინც გარდაიცვალა ტეხასის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, ყურადღება გაამახვილოს დაკარგულ სიცოცხლეზე და საფუძველი ჩაუყაროს იმ მოგვარების გზების კვლევას, რაც გადაარჩენ სიცოცხლეს".[26]

ტეხასში სამართალდამცავი ორგანოები, ადგილობრივი ციხეები და ტეხასის სისხლის სამართლის დეპარტამენტი ვალდებულია აცნობოს მთავარი პროკურორის ადმინისტრაციას პატიმრობაში ყოფნის დროს ნებისმიერი გარდაცვალების შემთხვევების შესახებ, თუნდაც გარდაცვალება გამოწვეული იყოს ბუნებრივი მიზეზით, სუიციდით ან დაკავების დროს პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად.

იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, ტეხასის მართლმსაჯულების ინიციატივამ საზოგადოების მოთხოვნით გამოითხოვა გარდაცვალების შემთხვევების შესახებ მონაცემები 2005 წლიდან 2015 წლამდე შუალედში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონ-ლაინ და მასში მითითებულია თითოეული მსხვერპლის სახელი, გარდაცვალების დრო და ადგილი, მიზეზი, პატიმრობაში ყოფნის დრო და გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების აღწერილობა. მონაცემები გამოიყენება ტენდენციების შესასწავლად, მათ შორის ციხეში სიკვდილიანობასთან მიმართებაში რასობრივი განსხვავებულობა.

ბავშვები ციხეში

57 რაც შეეხება პატიმართა პირად საქმესთან წვდომის პრინციპს „საჭიროა ვიცოდე", გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებში, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების საკითხებს (პეკინის წესები), 21(1) წესში ნათქვამია, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებაში მონაცემები „უნდა იყოს მკაცრად კონფიდენციალური და დახურული მესამე პირების წვდომისგან. ამგვარ მონაცემებთან წვდომა შემოიფარგლება უშუალოდ განსახილველ საქმესთან დაკავშირებული პირებით ან სათანადო წესით უფლებამოსილი სხვა პირებით".

58 თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის გაეროს წესების (ჰავანას წესები) 21 (დ) წესი აზუსტებს, რომ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემები უნდა შეიცავდეს დეტალებს „ციხეში არასრულწლოვნის ნებისმიერი მიღების, გადაყვანის ან გათავისუფლების შესახებ მშობლების და კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების შესახებ".

უცხო ქვეყნის მოქალაქეები/ეროვნული უმცირესობები

59 იმ შემთხვევაში თუკი პატიმარს სურს გაეცნოს მის პირად საქმეში არსებულ მონაცემებს, მაგრამ არ ფლობს საქმისწარმოების ენას, ის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურეობა. უცრო ქვეყნის მოქალაქეებისთვის აღნიშნული შეიძლება ორგანზიებული იყოს მათი ქვეყნის საკონსულო წარმომადგენლობების მეშვეობით. პატიმრის ნებართვით საკონსულო წარმომადგენლობამ შეიძლება ხელი შეუწყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქმეში არსებულ ინფორმაციაზე წვდომა.

გენდერთან დაკავშირებული საკითხები

60 მა-7(ა) წესის მოთხოვნა პატიმრის ფაილში მითითებული იყოს „ზუსტი ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ინდივიდუალური იდენტობის, მისი თვითაღიარებული სტატუსის პატივისცემა" ვრცელდება ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანს და/ან ინტერსექს (ლგბტი) პატიმრებზე, განსაკუთრებით ტრანს და ინტერსექს პირებზე. თუმცა, ეს მითითება წარმოადგენს დაცვის საშუალებას და შესაბამისად, პატიმრის გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული საქმეში ნათლად გამოხატული თანხმობის საფუძველზე.

61 მიუხედავად იმისა, რომ წესი 7 (ა) აღიარებს პატიმრების უფლებას მოახდინონ საკუთარი სქესის თვითიდენტიფიცირება, ცალკეული პატიმრები შეიძლება შიშობდნენ, რომ თუ ისინი მოახდენენ მათ მიკუთვნებული მამრობითი ან მდედრობითი სქესისგან განსხვავებული სქესის იდენტიფიცირებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს არასათანადო მოპყრობა პერსონალის, სხვა პატიმრების ან ორივეს მხრიდან. ეს წესი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ციხის თანამშრომლების მხრიდან პატიმრის იძულება მოახდინოს საკუთარი სქესის რაიმე ფორმით ან საერთოდ თვითიდენტიფიცირება.[27]

---

26. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხ. texasjusticeinitiative.org.

27. ლგბტი პატიმრების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, იხ. „თავისუფლებაშეზღუდული ლგბტი პირები: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო", ციხის საერთაშორისო რეფორმა/წამების პრევენციის ასოციაცია, მეორე გამოცემა 2015, ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/01/lgbti-framework-2nd-ed-v7-web.pdf; „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის მეცხრე წლიური ანგარიში (SPT)", 22 მარტი 2016, CAT/C/57/4, ნაწილი V, ხელმისაწვდომია: documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/059/73/PDF/G1605973.pdf?OpenElement; და გაეროს (UN) სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებზე, ხუან მენდესი, ანგარიში ადამიანის უფლებათა საბჭოსადმი, A/HRC/31/57, 5 იანვარი 2016, ხელმისაწვდომია: documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/000/97/PDF/G1600097.pdf?OpenElement.

62 თვითიდენტიფიცირებული სქესის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია პატიმრების საკნებში გადანაწილების, რისკისა და საჭიროებების შეფასების, სხეულის ჩხრეკის და ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. თუმცა, ჩანაწერების არსებობა არ ცვლის ციხის თანამშრომელთა ვალდებულებას მოახდინონ პატიმრებთან სისტემატიური კონსულტირება მათი საკნებში გადანაწილების, მათ წინაშე არსებული რისკების შესახებ და ასევე, დააზუსტონ თუ რომელი სქესის თანამშრომელს ანიჭებენ ისინი უპირატესობას მათი გაჩხრეკის შემთხვევაში.

63 მონაცემთა შეგროვება და სხვა კვლევა უნდა განხორციელდეს ქალ, მამაკაც, ორივე სქესის არასრულწლოვან და ლგბტი პატიმრების გენდერ-სპეციფიკური ფონის, მახასიათებლების და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.[28]

1.2 კლასიფიკაცია, რისკისა და საჭიროებების შეფასება

64 მინიმალური სტანდარტული წესების განახლების დროს წესები, რომელიც უშუალოდ ეხება მსჯავრდებულთა კლასიფიკაციას და რისკისა და საჭიროებების შეფასებას არ შეცვლილა. თუმცაღა, ამ წესების დებულებები პირდაპირ არის დაკავშირებული მინიმალური სტანდატრული წესების განახლებულ ნაწილთან.

მაგალითად, წესი 2 აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებები. ანალოგიურად, წესი 4(2) ადგენს, რომ პროგრამები, საქმიანობა და სერვისი უნდა მიეწოდოს პატიმარს მისი საჭიროებების მოგვარებასთან ერთდროულად.

წესი 11 უშუალოდ ეხება პატიმრების განცალკევებულ განაწილებას სქესის, ასაკის, დანაშაულისა და დაპატიმრების სამართლებრივი მიზეზების გათვალისწინებით. წესი ასევე მოითხოვს, რომ სხვადასხვა კატეგორიები მოთავსებულ იქნან განცალკევებულ დაწესებულებებში „მათთან მოპყრობის საჭიროებების გათვალისწინებით“ მანდელას წესების სხვა პრინციპებიც ასევე დამოკიდებულია კლასიფიკაციისა და შეფასების პროცედურების სარგებლიანობაზე, მათ შორის პატიმრების ჩხრეკის, განაწილების, დისციპლინური ზომების გამოყენების და ოჯახის ვიზიტების დროს საზედამხედველო მოთხოვნების დაწესებაზე.

შესაბამისი წესები: კლასიფიკაცია, რისკებისა და საჭიროებების შეფასება

წესი 89:

1. ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და აქედან გამომდინარე, მათი ჯგუფებად კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას; ამდენად, სასურველია, რომ ამგვარი ჯგუფები განთავსებულ იქნან ცალკე დაწესებულებებში, თითოეულ ჯგუფთან შესაფერისი მუშაობისათვის.

2. აუცილებელი არ არის ამ დაწესებულებებში უსაფრთხოების ერთნაირი ზომების მიღება ყველა ჯგუფისათვის. უფრო მეტიც, სასურველია ამ ზომების სიმკაცრის გრადაცია ჯგუფების მიხედვით. პატიმრების გამოსწორების ყველაზე სასურველი პირობები არსებობს ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც გაქცევის თავიდან აცილებისათვის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არა ფიზიკურ საშუალებებზე, არამედ თვით დისციპლინაზე.

3. სასურველია დაწესებულებაში განთავსდეს მხოლოდ იმდენი პატიმარი, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომა. ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება, რომ ამგვარი დაწესებულებების კონტიგენტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 კაცს. ღია ტიპის დაწესებულებებში უნდა განთავსდეს რაც შეიძლება ცოტა პატიმარი.

4. მეორეს მხრივ, ციხის ფართობი საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ იქ უზრუნველყოფილ იქნას სათანადო შესაძლებლობები და მომსახურება.

წესი 93:

1. კლასიფიკაციის მიზნებია:

(ა) პატიმრის განცალკევება იმათგან, ვინც თავისი დანაშაულებრივი წარსულით ან ცუდი თვისებებით უარყოფით გავლენას მოახდენს მასზე;

(ბ) პატიმრების კატეგორიებად დაყოფა, რაც გაადვილებს მათთან მუშაობას, საზოგადოებაში მათი დაბრუნებისათვის მომზადების მიზნით.

2. შესაძლებლობების ფარგლებში, პატიმრების სხვადასხვა კატეგორიებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განცალკევებულად — სხვადასხვა დაწესებულებებში.

წესი 94 : ყოველი პატიმრის მიღების შემდეგ, მისი ხასიათის შესწავლის საფუძველზე, უმოკლეს ვადაში უნდა შემუშავდეს მასთან მუშაობის პროგრამა, გამომდინარე მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან, შესაძლებლობებიდან და მიდრეკილებებიდან.

28. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“, წესი 67-70, შედეგზე ორიენტირებული კვლევის ხელშეწყობა ქალი დამნაშავეების და პატიმრებისთვის შედგენილი პროგრამების ინფორმირებულობის მიზნით, მათ შორის, მაგალითად, ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, მიზეზები, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ქალების დაპირისპირების გამომწვევი მიზეზები, ქალების განმეორებითი ვიკტიმიზაცია და ქალი დამნაშავეების მახასიათებლები; იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 65/229 (2010) დანართი, მიღებულია 2010 წლის 20 დეკემბერს. სხვადასხვა ენაზე თარგმნილი წესების ასლი ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/07/BangkokRules-Updated-2016-with-renumbering-SMR.pdf.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

დაცულობა და უსაფრთხოება

65 რისკების შეფასება მნიშვნელოვანია ციხის პერსონალის, პატიმრების და ციხის მნახველების უსაფრთხოებისთვის. თუ შეფასების შემდეგ, პატიმრები სათანადოდ იქნებიან კლასიფიცირებულნი სხვადასხვა უსაფრთხოების დონეებზე (როგორც წესი, უსაფრთხოების მაღალი, საშუალო ან დაბალი რისკი), ისინი შეიძლება განთავსდნენ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში. პატიმართა სათანადო კლასიფიკაცია და განაწილება ეს არის პატიმრებს შორის უთანხმოების პრევენციის და ციხის და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისგან სხვა საფრთხეების თავიდან აცილების მთავარი ფაქტორი.

66 უსაფრთხოების ეფექტიანი კლასიფიკაცია უადვილებს ციხის ადმინისტრაციას თანამშრომლებისთვის მოვალეობების განსაზღვრის, მორიგეობის განრიგის დაგეგმვის და სხვა რესურსების მართვის პროცესს. ის ასევე საშუალებას აძლევს მათ უკეთესად მართონ ყოველდღიური ციხის ცხოვრება, მათ შორის პატიმართა საკნის გარეთ ყოფნის დრო, რეკრიაციული და პროფესიული საქმიანობა.

67 პირიქით, თუ პატიმრები არ არიან სათანადოდ კლასიფიცირებულნი, ისინი შეიძლება განთავსდეს ციხეებში, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი მათთან ასოცირებული რისკების შესასიტყვი სათანადო აღჭურვილობით, ან ისინი შეიძლება დაჯგუფდნენ სხვა პატიმრებთან, რამაც შესაძლოა მავნე ზეგავლენა იქონიოს მათზე.

68 თუ პატიმრები სათანადოდ კლასიფიცირებულია, ციხის რესურსები ეფექტიანად გამოიყენება. ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრმა (ICPS) აღნიშნა, რომ „უსაფრთხოება ძვირია და რაც უფრო მაღალია მისი დონე, მით უფრო მეტია დანახარჯი. ფინანსურად მომგებიანია უსაფრთხოების მაღალი დონის დაწესებულებებში არ იყოს იმაზე მეტი პატიმარი, ვიდრე ეს საჭირო“.[29] პატიმრების ზედმეტად მაღალი უსაფრთხოების დონის დაწესებულებაში განთავსებამ შესაძლოა შეამციროს სარეაბილიტაციო სამუშაოს სამომავლო გეგმები, რადგან „კლასიფიკაციის გადამეტება“, როგორც წესი, გავლენას ახდენს პატიმრების ოჯახების წევრებთან კონტაქტზე, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაზე, საკნის გარეთ გატარებულ დროზე და ა.შ.[30]

პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება

69 პატიმრების ინდივიდუალური შეფასება საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრები განთავსებულნი არიან იმ დაწესებულებებში, ან დაწესებულების შესაბამის ნაწილში, სადაც ხდება მათი საჭიროებების, მათ შორის სოციალური, სამართლებრივი, ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის საჭიროებების, გათვალისწინება. პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების უგულვებელყოფამ ან არაიდენტიფიცირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყობას.[31]

70 რისკისა და საჭიროებების ეფექტიანი შეფასებები მნიშვნელოვანია პატიმართა პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და კონკრეტული პირებისთვის საჭირო უსაფრთხოების დონის დასადგენად. დაუშვებელია პატიმრები, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდნენ დაშინების, ძალადობის ან ექსპლუატაციის რისკის ქვეშ, მოთავსდნენ ამგვარი ქცევის განმახორციელებელ მოძალადეებთან ერთად. სათანადო შეფასებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუიციდის ან თვითდაზიანების რისკის ქვეშ მყოფი პირების დასადგენად.

პრაქტიკაში განხორციელება

71 პატიმრის შეფასება უნდა განხორციელდეს სამი განსხვავებული მოსაზრებით: პატიმრის რისკის განსაზღვრა, პატიმრის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და როგორც ამას ხშირად უწოდებენ „სასჯელის დაგეგმა“, რომელიც მოიცავს იმგვარ აქტივობებს, როგორიცაა იმ სარეაბილიტაციო პროგრამების განსაზღვრა, რომელშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა პატიმარმა სასჯელის მოხდის განმავლობაში. თითოეული ამ მოსაზრების მიზანი განსხვავებულია და უნდა

29. „პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“, ციხის კვლევათა საერთაშორისო ცენტრი (ICPS), 2009, გვ.62 ხელმისაწვდომია: www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/handbook_2nd_ed_eng_8.pdf.

30. ოლივია როპი, „ მწირი რესურსების გამოყენებით ნელსონ მანდელას წესების განხორციელება: დისკუსიები სამხრეთ აღმოსავლეთი აზიიდან მონვეული ციხის ხელმძღვანელი პირების შეკრებიდან“ciხის საერთაშორისო რეფორმის ბლოგი, 17 აგვისტო 2016 ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/blog/implementing-mandela-rules-scarce-resources-discussions-gathering-prison.

31. „ციხეში არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა – ციხის თანამშრომლების სახელმძღვანელო ციხეებში არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების საკითხებზე“, ჯიმ მერდოკი და ვაკლავ ჯირიკი, ევროპის საბჭო, 2016 წლის აპრილი, გვ. 32 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/combating-ill-treatment-in-prison-2-web-en/16806ab9a7.

შეფასდეს ინდივიდუალურად შესაბამისი საშუალებების გამოყენებით. თითოეული პატიმრის შეფასება რეგულარულად უნდა გადაიხედოს და განახლდეს როგორც მიმდინარე პროცესის ნაწილი. შეფასების გადახედვა საშუალებას იძლევა თანაბარი შუალედებით მოხდეს პატიმართა რისკების, საჭიროებების, სასჯელის დაგეგმვისა და კლასიფიკაციის გადაფასება.

პატიმრების კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს მათი შეფასების შედეგების მიხედვით. უსაფრთხოების ზომები, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან, უნდა იყოს მინიმალური მათი უსაფრთხო პატიმრობის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე. შეფასებები, როგორც წესი, ორმხრივი პროცესია: პირველ რიგში, უზრუნველყოფილია პატიმრების განთავსება იმ პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელსაც აქვს შესაბამისი უსაფრთხოების დონე (კლასიფიკაცია); და მეორე, ისინი განსაზღვრავენ პატიმრის განაწილებას კონკრეტული დაწესებულების ფარგლებში (რისკისა და საჭიროებების შეფასება და სასჯელის დაგეგმვა).

კონტექსტი: უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრის პასუხისმგებლობა [1.7]

ციხის კვლევების საინფორმაციო ცენტრმა (ICPS) აღნიშნა, რომ „ზოგ ქვეყნებში მოსამართლეები, რომლებიც ადგენენ განაჩენს, განსაზღვრავენ თუ რომელი რეჟიმის ციხეში უნდა მოიხადოს სასჯელი ამა თუ იმ მსჯავრდებულმა. სხვა ქვეყნებში მსჯავრდებულები, ვისაც მისჯილი აქვთ სამუდამო პატიმრობა ან მსჯავრი დაედოთ კონკრეტული კანონის შესაბამისად, ავტომატურ რეჟიმში თავსდებიან განსაკუთრებით მაღალი უსაფრთხოების ზომების მქონე დაწესებულებაში, მიუხედავად რისკის ინდივიდუალური შეფასებისა. ეს არ არის უსაფრთხოების დონის განსაზღვრის საუკეთესო გზა. მოსამართლის პრეროგატივა უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულისთვის მსაჯვრდებული პირისთვის სასჯელის ხანგძლივობის განსაზღვრა, მაგრამ უსაფრთხოების ღონისძიების განსაზღვრა უნდა იყოს პროფესიულ დონეზე შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით ციხის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა“.[32]

კლასიფიკაცია არ უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე ან გამოყენებულ სასჯელზე (მაგ. სამუდამო პატიმრობა).

რისკების შეფასება

72 რისკების შეფასებამ ეფექტიანად უნდა განსაზღვროს პატიმრის რისკები, მათ შორის სხვისადმი ან ციხის ზოგადი დაცულობის და უსაფრთხოებისადმი ზიანის მიყენების, ძალადობის და ციხიდან გაქცევის რისკები. რისკების შეფასებამ ასევე უნდა გამოავლინოს პატიმრის მიერ საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების რისკი.

73 შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს ინტერესთა ოთხ ძირითად სფეროს: დანაშაულებრივი კარიერა/ქცევა, საცხოვრებელი პირობები, პიროვნება და დამოკიდებულებები (ნარკოტიკი და ალკოჰოლი). თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულის საჭიროებები არ უნდა იყოს გაგებული როგორც რისკფაქტორები. ასე მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებები ხშირად არასწორად არის განმარტებული, როგორც რისკ ფაქტორები, რასაც თან სდევს იმაზე მარალი უსაფრთხოების კლასიფიკაცია, ვიდრე ეს აუცილებელია. შეფასებას შეიძლება დაემატოს დამატებითი ფაქტორები პატიმრის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, მაგალითად თუ ჩადენილია დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ან ოჯახური ძალადობა.

74 რისკის შეფასების ელემენტები მოიცავს „დანაშაულის ხასიათს; პატიმრის ციხიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის რისკს; განმეორებითი დანაშაულის ჩადენის და საზოგადოებაზე ზეგავლენის რისკს; ნებისმიერი რისკს, რომელსაც პატიმარი გამოავლენს ციხის მართვის, უსაფრთხოების და წესრიგის მიმართ; ნებისმიერი რისკი, რომლთაც პატიმარი საფრთხეს უქმნის საკუთარი თავის და ნებისმიერი სხვა პირის კეთილდღეობას; მსჯავრდებულის სასჯელის ხანგრძლივობას ან მაქსიმალურ სასჯელს, რომელიც გათვალისწინებულია იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაც ბრალად ედება პატიმარს; და ნებისმიერი სხვა საკითხს, რომელიც ეხება ციხის მართვას, უსაფრთხოებას, წესრიგს, უსაფრთხო პატიმრობასა და პატიმრის კეთილდღეობას“. რისკის შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრის რეჟიმის წესებთან ადაპტირების უნარს, მის პიროვნებას (ძალადობის ისტორია, თვითმკვლელობის მცდელობა, ნივთიერების ბოროტად მოხმარება, შემეცნებითი უნარები და ა.შ.) და სოციალურ კონტაქტებს.[33] რისკის შეფასების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის შესაძლებლობას ადაპტირება მოახდინოს ციხის წესებთან, მათ პიროვნებას (ძალადობის ისტორია, სუიციდის მცდელობები, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, კოგნიტური უნარები და სხვა) და სოციალურ ურთიერთობებს.[34]

32. „ციხეების მართვისას ადამიანის უფლებათა გათვალისწინება“, ICPS, op. cit., შენიშვნა 29, გვ.63.
33. ჯიმ მერდოკი და ვაკლავ ჯირიკა, op. cit., შენიშვნა 31, გვ. 34.
34. იქვე.

75 რისკის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს პატიმრის შესახებ ყველა არსებულ ინფორმაციას, მათ შორის პატიმრებთან ინტერვიუს. რისკ-ფაქტორების შესახებ გადაწყვეტილებები, მათ შორის გენდერთან დაკავშირებული, არ უნდა დაექვემდებაროს ცრურწმენებს ან სტერეოტიპებს. შეფასებები უნდა ითვალისწინებდეს, რომ საზოგადოებაში მამაკაცების / ქალების მიმართ "შესაბამისი" ქცევის აღქმა ციხის კედლებში არ წყვეტს არსებობას და შესაძლოა გამოიწვიოს ქალი ან მამაკაცი პატიმრების გარკვეული საჭიროებები და დაუქვემდებაროს ისინი სპეციფიკურ რისკებს. ეს განსაკუთრებით ეხება ლგბტი პატიმრებს, რომლებიც განიცდიან ძალადობის, შევიწროების ან დაშინების მზარდ რისკს.

76 ევროპის საბჭოს პუბლიკაცია ციხის თანამშრომლების სახელმძღვანელო აქცენტით ციხეებში არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე იძლევა რეკომენდაციას, რომ რისკების პირვანდელი შეფასება განხორციელდეს რაც შეიძლება მალე პატიმრის დაწესებულებაში განთავსების შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასწარი დაკავების იზოლატორებში მყოფ პირებთან დაკავშირებით, რადგან პატიმრობის პირველი 48 საათი მაღალია სუიციდური ქცევის, ციხის გარემოში რთული ადაპტაციის ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების თვალსაზრისით. კერძოდ, რისკი მაღალია მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ პატიმრებთან მიმართებაში, როგორიცაა არასრულწლოვნები და ახალგაზრდა პატიმრები, ხანდაზმული, ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრები ან პატიმრები ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ისტორიით.[35]

საჭიროებების შეფასება

77 შეფასების მიზანი არ არის მხოლოდ პატიმრის არსებული რისკების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, არამედ ასევე მათი სპეციფიკური საჭიროებების და მოწყვლადობის იდენტიფიცირება და გათვალისწინება, მათ შორის, მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაზარალებულად ყოფნის წარსული გამოცდილების, ძალადობისგან დაცვის და სუიციდის პრევენცია. რისკის შეფასების მსგავსად ეს საჭიროებები უნდა იყოს ინდივიდუალური, რეგულარულად განხილული და განახლებული და ამ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნას პატიმრის ჩართულობა.

სასჯელის დაგეგმვა

78 სასჯელის გეგმა მიზნად ისახავს პატიმრის რეაბილიტაციას საზოგადოებაში მისი ხელახალი ინტეგრაციის მიზნით, რაც ხორციელდება დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოფხვრის გზით. გეგმები ძირითადად შემუშავებულია მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო და რეინტეგრაციის პროგრამების ხელშეწყობისთვის. ისინი შესაძლოა შეიცავდნენ, მაგალითად საგანმანათლებლო და სასწავლო, ასევე ნარკოტიკული საშუალებებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების პროგრამებს. მათ ასევე შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პირადი ურთიერთობები, ოჯახის გაერთიანება და ბრაზის მართვა. სასჯელის გეგმები რეგულარულად უნდა გადაიხედოს. 94-ე წესის თანახმად, სასჯელის გეგმა უნდა შედგეს „რაც შეიძლება მალე" პატიმრის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების შემდეგ.

სხვა მოსაზრებები

79 პატიმრის შეფასება და კლასიფიკაცია არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ დანაშაულს, რომლის ჩადენაც ბრალად ედება ან შეერაცხა მას ან სასჯელის ხანგრძლივობას. პატიმრები, რომელთაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ უვადო თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა „არ უნდა დაექვემდებარონ მაღალი უსაფრთხოების ზომებს მხოლოდ მათი განაჩენის საფუძველზე".[36]

80 შეფასების მექანიზმების უმრავლესობა შემუშავებულ იქნა მამაკაცთა მიერ ანტისოციალური ქცევის პროგნოზირების მიზნით და, შესაბამისად, არ ითვალისწინებს ქალთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის განმსაზღვრელ სპეციფიკურ რისკ-ფაქტორებს.[37] ბანგკოკის წესების 40-ე და 41-ე წესები მოითხოვს, რომ ციხის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს და გამოიყენოს კლასიფიკაციის მეთოდები, რომლებიც მიმართული იქნება ქალ პატიმართა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებსა და გარემოებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასჯელის შესაბამისი და ინდივიდუალური დაგეგმვა ადრეული რეაბილიტაციის, განკურნების და საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიმართულებით.

81 ციხის ადმინისტრაციას სჭირდებათ სპეციალური საშუალებები რისკისა და საჭიროებების შეფასების განხორციელებისთვის და ისინი უნდა იყენებდნენ თანმიმდევრულ და შეთანხმებულ კრიტერიუმებს, რომელიც ითვალისწინებს დინამიურ ფაქტორებს, რომელიც არსებობს აწმყოში და შესაძლებელია მათზე ზემოქმედება და სტატიკურ ფაქტორებს, რომელიც ეფუძნება

35. იქვე, გვ. 35.

36. „ესექსის დოკუმენტი 3:", ციხი საერთაშორისო რეფორმა, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 24.

37. მაგალითისთვის იხ. ბრენა ბოპრე&ემილი სალისბური „ქალთა რისკებში საჭიროებების შეფასება: გენდერის წამოწევა წინა პლანზე აქტუარული რისკის შეფასების დროს", ციხის საერთაშორისო რეფორმა, 2016 წლის 12 აპრილი ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/blog/womens-risk-needs-assessment-putting-gender-forefront-actuarial.

წარსულს და რომლის შეცვლა არ არის შესაძლებელი.[38] შეფასების განმახორციელებელი პირები სათანადოდ უნდა გადამზადდენ, რათა თავიდან იყოს აცილებული კლასიფიკაცია, რომელიც დამყარებულია ცრურწმენებზე, სტერეოტიპებზე და პატიმრის პიროვნების შესახებ სუბიექტურ შეხედულებებზე.[39]

82 რისკების შეფასება რეგულარულად უნდა გადაიხედოს, რათა პატიმრები ყოველთვის იმყოფებოდნენ სათანადოდ დაცულ გარემოში. შეფასების რეგულარული გადახედვა საშუალებას იძლევა საჭიროებისამებრ მოხდეს პატიმართა გადაყვანა მაღალი ან დაბალი უსაფრთხოების მქონე დაწესებულებაში. გადახედვის ამგვარი მიდგომა შესაძლოა მოქმედებდეს როგორც კარგი ქცევის წამახალისებელი სტიმულატორი.

83 პატიმრის კლასიფიკაცია არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული ინდივიდუალური პატიმრების ან ჯგუფების დისკრიმინაციის ან მათ მიმართ მკაცრი ან უფრო ნაკლებად ადეკვატური პირობების გამოყენების მიზნით. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციის და პოლიტიკის შემმუშავებლების მხრიდან უნდა განხორციელდეს შეფასების და კლასიფიკაციის საშუალებების გამოყენების სათანადო შესწავლა და გადახედვა.

84 პატიმრებს უნდა შეეძლოთ შეფასებებიდან და კლასიფიკაციიდან გამომდინარე არსებულ გამოწვევებთან მუშაობა შეთანხმებული პროცედურების მიხედვით. ასეთი პროცედურა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც კლასიფიკაციიდან გამომდინარე დადგენილი უსაფრთხოების დონე წინაღობას უქმნის პატიმარს შეიტანოს განაცხადი ვადაზე ადრე გათავისუფლების ან სასჯელის შემცირების მოთხოვნით.

85 წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (CPT) განაცხადა, რომ დიდი, საერთო საცხოვრებლის ტიპის დაწესებულებების არსებობა შეუძლებელს ხდის საჭიროებების და რისკების ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით ცალკეული პატიმრების სათანადო გადანაწილებას. მსგავს გარემოში დაშინების და ძალადობის რისკი მაღალია და სავარაუდოა კრიმინალური სუბკულტურის განვითარება.[40]

86 მიუხედავად იმისა, რომ მანდელას წესების 89-ე, 93-ე და 94-ე წესები თავმოყრილია მანდელას წესების იმ თავში, რომელიც ეხება მსჯავრდებულ პირებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებიც ასევე უნდა ექვემდებარებოდნენ შეფასებებისა და კლასიფიკაციის ზუსტ და თანმიმდევრულ პროცესს. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების შეფასების და კლასიფიკაციის პროცესი გარკვეულწილად განსხვავებულია, ვინაიდან დაცული უნდა იყოს პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია. თუნდაც მას დაედოს მსჯავრი, საბოლოო სანქციის განჭვრეტა წინასწარ შეუძლებელია. თუმცა, რისკებისა და საჭიროებების ინდივიდუალური შეფასებება აუცილებლია და შესაბამისი ღონისძიებები უნდა განხროციელდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არ იყვნენ მოთავსებულნი მსჯავრდებულ პირებზე უარეს პირობებში. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არ უნდა გამოაკლდნენ საგანმანათლებლო და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, მაგრამ მათ ასევე არ უნდა დაეკისროს მათში მონაწილეობის ვალდებულება.

87 წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს შეიძლება ჰქონდეთ განსაკუთრებული საჭიროებები და კონკრეტული რისკები მათი წინასწარი პატიმრობის სტატუსიდან გამომდინარე. მაგალითად, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს შესაძლო ახასიათებდეს სუიციდის და თვითდაზიანების უფრო მაღალი რისკი, ჰქონდეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მეტი საჭიროებები[41] და ნარკოტიკული ნივთიერებების დეტოქსით გამოწვეული ტანჯვითი სიმპტომები.

---

38. ჯიმ მერდოკი და ვაკლავ ჯირიკა, op. ციტირება, შენიშვნა 31, გვ. 36: "სტატიკური ფაქტორების მაგალითები მოიცავს წინა სასჯელის, სქესის, დანაშაულის სახის, ოჯახური დანაშაულის ან წინა დანაშაულის ჩადენის მოტივაციის ისტორიას. ასაკი, როდესაც პირველად ჩაიდინა დანაშაული არის მომავალი ქცევის ძალიან კარგი განმსაზღვრელი და ეს არის რისკ-ფაქტორი, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს: თუ დამნაშავე პირველად დააპატიმრეს თორმეტი წლის ასაკში, ეს ფაქტი ყოველთვის იარსებებს. ტიპიური დინამიური ფაქტორები მოიცავს ფინანსურ მდგომარეობას, დასაქმებას, დამოკიდებულებას სისხლის სამართლის დანაშაულის მიმართ, დამოკიდებულებებს, ოჯახური ურთიერთობებს, კრიმინალური მენტალობის მქონე მეგობრებს და ნაცნობებს ან დასვენების დროს. ზოგიერთი ლიტერატურულ წყაროებში ამ დინამიკურ ფაქტორებს ასევე უწოდებენ "კრიმინოგენულ საჭიროებებს", ანუ დანაშაულის გამომწვევ ფაქტორებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რისკთან."

39. იქვე, გვ. 32-42.

40. "CPT სტანდარტები", CPT/Inf/E (2002) 1 – Rev. 2011, op. cit., შენიშვნა 15, პარ. 29.

41. მაგალითისთვის იხ. „ბრალეულობის პრეზუმფცია: გლობალურად წინასწარი დაკავების ბოროტად გამოყენება", ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივა, სექტემბერი, 2014 ხელმისაწვდომია: www.opensocietyfoundations.org/publications/presumption-guilt-global-overuse-pretrial-detention.

კონტექსტი: პოტენციურად მაღალი რისკის მქონე პატიმართა რისკების შეფასება [1.8]

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო მაღალი რისკის მქონე პატიმრების მართვის შესახებ განსაზღვრავს პოტენციურად მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პატიმრების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებს, აღნიშნავს რა, რომ ასეთი შეფასება „უნდა იყოს უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი და, შესაბამისად, უფრო ხანგრძლივი, ვიდრე სხვა იმ დამნაშავეთა შეფასება, რომელთაც ჩაიდინეს წვრილმანი დანაშაულები ან შეფარდებული აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხანმოკლე ვადით". ეს გამოწვეულია ამ მსჯავრდებულებთან ასოცირებული კომპლექსური რისკებისა და საჭიროებების არსებობით და ზოგადად მათ მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ხანგძლივი ვადების გამოყენებით.[42]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოებს საშიშ დამნაშავეებთან მიმართებაში უთითებს, რომ სასჯელის აღსრულებისას რისკის შეფასების პრინციპებთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს შემდეგი ნაბიჯები:[43]

- **შეფასების სიღრმე უნდა განისაზღვროს რისკის დონის მიხედვით და იყოს პროპორციული პოტენციური შედეგის სიმძიმის მიმართ.**
- **რისკის შეფასებებმა უნდა მოიცვას წინა ქცევების დეტალური ანალიზი და წარსული, პირადი და სიტუაციური ფაქტორები, რამაც გამოიწვია და ხელი შეუწყო ქცევას. ისინი უნდა ემყარებოდნენ შეძლებისდაგვარად სანდო ინფორმაციას.**
- **რისკის შეფასებები უნდა განხორციელდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, თანმიმდევრული წესით, შესაბამისად შემოწმებული საშუალებებით და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებით. რისკის შეფასების განმახორციელებელმა პირებმა უნდა იცოდნენ და განაცხადონ ძალადობის რისკის შეფასების საზღვრები და სამომავლო ქცევის პროგნოზირება, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში.**
- **ასეთი რისკ–შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებულ უნდა იქნას ზომის ან სანქციის ყველაზე კონსტრუქციული და ნაკლებად შემზღუდავი ინტერპრეტაციის განსავითარებლად, ასევე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმისთვის. ისინი არ შეუქმნიათ სასჯელის განსაზღვრისთვის, თუმცა მათმა მიგნებებმა შეიძლება მიუთითოს ინტერვენციის საჭიროებაზე.**
- **სასჯელის აღსრულებისას განხორციელებული შეფასებები უნდა იყოს პროგრესული და ხდებოდეს მათი სისტემატური გადახედვა დამნაშავის რისკის დინამიური განმეორებითი შეფასებების მისაღწევად:**
  - **ა. რისკის შეფასება რეგულარულად უნდა განმეორდეს გადამზადებული პერსონალის მიერ, რათა მიღწეულ იქნას სასჯელის დაგეგმვის მოთხოვნები ან როდესაც ეს საჭიროა, არსებობდეს შესაძლებლობა გადაიხედოს ის გარემოებები, რომელიც შეიცვალა სასჯელის აღსრულების პროცესში.**
  - **ბ. შეფასების პრაქტიკა უნდა რეაგირებდეს იმ ფაქტზე, რომ პირის დანაშაულებვრივი ქცევით გამოწვეული რისკი შეიცვლება დროთა განმავლობაში: ასეთი ცვლილება შეიძლება იყოს თანდათანობითი ან მოულოდნელი.**
- **შეფასებები უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავეების შესაძლებლობებს გაითვალისწინონ სპეციფიკურ რისკებთან დაკავშირებული საჭიროებები და შეცვალონ მათი დამოკიდებულები და ქცევა.**
- **მსჯავრდებული პირები უნდა იყვნენ ჩართულნი შეფასების პროცესში და ჰქონდეთ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ. მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა შეფასების საბოლოო დასკვნაზე.**
- **მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მსჯავრდებულის ციხის გარეთ და ციხეში ყოფნის დროს არსებული რისკები. ეს ორი რისკი უნდ შეფასდეს განცალკევებით.**

---

42. სახელმძღვანელო მაღალი რისკის მქონე პატიმრების მართვის შესახებ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNDOC), 2016, გვ. 34

43. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართვა წევრ სახელმწიფოებს საშიშ დამნაშავეებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, 2014 წლის 19 თებერვალი, რეკომენდაცია CM/REC (2014) 3 ხელმისაწვდომია: pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+%282014%29+3+concerning+dangerous+offenders.pdf/cec8c7c4-9d72-41a7-acf2-ee64d0c960cb.

1.3 პატიმრის განთავსება

შესაბამისი წესები: განთავსება

წესი 59: პატიმრების განთავსება შეძლებისდაგვარად უნდა ხდებოდეს მათ საცხოვრებელთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან ახლოს.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

88 პატიმრებს, რომლებიც განთავსებულნი არიან მათ ოჯახთან და მეგობრებთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში, აქვთ მათთან რეგულარული კონტაქტის დამყარების და შენარჩუნების უკეთესი შანსი. აღნიშნული ხელს უწყობს მათ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პერსპექტივებს. თუ პატიმარი განთავსებულია მის ოჯახთან ახლოს, ბევრად უფრო მარტივია ხანგძლივი საოჯახო პაემნების და სახლში შესაძლო ვიზიტის ორგანიზება. ახალი პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის დაგეგმვისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი ადგილმდებარეობა და ხელმისაწვდომობა, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებთან წვდომა. დამგეგმავებმა ასევე უნდა განიხილონ პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმდებარედ ციხის იმ მნახველებისთვის საცხოვრებელი კომპლექსის ხელმისაწვდომობა, რომლებიც ჩამოდიან შორი მანძილიდან პატიმრობაში მყოფი ოჯახის წევრების სანახავად.

89 რეაბილიტაციის მიზნებისთვის სამუშაოს და სასწავლო პროგრამების მიზნობრიობა რელევანტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ პატიმრები განთავსებულნი იქნებიან იმ ადგილთან ახლოს, სადაც ისინი იცხოვრებენ გათავისუფლების შემდეგ. მაგალითად, სოფლის მეურნეობისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე დაფუძნებულ პროგრამებს შეიძლება არ ჰქონდეთ გრძელვადიანი სარგებელი მათთვის, ვინც გათავისუფლების შემდეგ საცხოვრებლად გაემგზავრება ქალაქში და პირიქით. გარე ორგანიზაციების მიერ მიწოდებული გადამზადების პროგრამები შეიძლება გახდეს დასაქმების წყარო იმ შემთვევაში, თუ პატიმარი განაგრძობს ცხოვრებას იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩაუტარდა ტრენინგი.

90 პრაქტიკაში, პატიმრების განთავსება მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში უადვილებს ციხის ადმინისტრაციას მოამზადოს პატიმრები გათავისუფლებისთვის, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც არ აქვს საკმარისი ფული ან ვისთვისაც მიუწვდომელია სატრანსპორტო საშუალებები სახლში დასაბრუნებლად. გათავისუფლებისას პატიმრები ხშირად უკიდურესად დეზორიენტირებულნი არიან და მათთვის შეიძლება განსაკუთრებით მძიმე იყოს, თუ გათავისუფლების შემდეგ მათთვის უცნობია გარემო და არ ჰყავთ მხარდამჭერი ოჯახი ან მეგობრები.

მხარდამჭერი სერვისები

91 ჰეტეროგენურ საზოგადოებებში, პატიმრის განთავსება მისი საცხოვრებელი სახლის ან ოჯახის ახლოს მდებარე ციხეში ამცირებს პატიმრებს და პერსონალს შორის არსებულ შესაძლო კულტურულ, რელიგიურ და ლინგვისტიკურ განსხვავებებს. ამან შეიძლება შეამციროს როგორც პატიმრის იზოლაცია, ასევე შეამციროს ციხის ხარჯები და დახმარება გაუწიოს დაწესებულების შეუფერხებელ ფუნქციონირებას. იმავდროულად, სხვა ადგილას მდებარე ციხეში პატიმრის განთავსება უნდა განიხილოს იმ შემთხვევებში, როდესაც მისი სახლის მიმდებარედ არსებულ დაწესებულებაში პატიმრის განთავსებამ შეიძლება გაზარდოს ძალადობის ან სტიგმატიზაციის რისკი.

92 პატიმრებს, რომლებიც იღებენ მხარდაჭერას ადგილობრივი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ ფიზიკური პირებისგან, შეუძლიათ მიიღონ სარგებელი გათავისუფლების შემგომი მხარდაჭერის და სერვისებისგან, თუ ისინი ცხოვრობენ იმავე რეგიონში, სადაც მდებარეობს ციხე. ანალოგიურად, თუ ისინი ადგილობრივი რეგიონიდან არიან, მაშინ მათ ან მათი ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა შეიძლება იცოდნენ ადგილობრივი სააგენტოები და სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომელნიც დაეხმარება მათ რეაბილიტაციის პროცესში.

93 ზოგიერთ შემთხვევაში, ექიმებს, ფსიქოლოგებს და ფსიქიატრებს, რომლებიც მუშაობდნენ პირთან მის დაპატიმრებამდე, შესაძლოა მიეცეთ უფლება გააგრძელონ პირის მკურნალობა ციხეში. ანალოგიურად, პატიმრის გათავისუფლების შემდეგ შესაძლოა მას დასჭირდეს დაუყოვნებლივი ან გრძელვადიანი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მკურნალობა და სამედიცინო მომსახურეობის მიღება შეიძლება გამარტივდეს, თუ პირისთვის ან

მისი ოჯახისთვის ცნობილია ადგილობრივ ტერიტორიაზე მომუშავე სპეციალისტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაპატიმრების და გათავისუფლების შემდგომ სამედიცინო დახმარების უწყვეტად და დაუყოვნებლივ მიწოდება, ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული დახმარების ჩათვლით, როდესაც პირები საჭიროებენ სპეციფიკურ მედიკამენტოზურ მკურნალობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს მედიკამენტები ადვილად ხელმისაწვდომი არ არის.

94 საცხოვრებელთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში პირის განთავსება შესაძლოა ასევე მნიშვნელოვანი იყოს იურიდიული მომსახურების მიღების თვალსაზრისით, რადგან ოჯახს და მეგობრებს ხშირად შეუძლია დახმარეოს პატიმარს ადვოკატის მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხში. ოჯახი და მეგობრები ასევე უფრო სავარაუდოა დაესწრნონ სასამართლო სხდომებს და მიიღონ განახლებული ინფორმაცია საქმის განხილვის სამართლებრივი მიმდინარეობის შესახებ თუ სამართალწარმოება ხდება მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სასამართლოში.

პრაქტიკაში განხორციელება

ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები

95 წარმატებული რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესი დაწყებულად უნდა ჩაითვალოს პირის დაპატიმრებისთანავე და შესაბამისად, მათ შორის უსაფრთხოების და სხვა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამან გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მისი განთავსების ადგილის განსაზღვრაში. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქვეყანაში ციხეებში განთავსება განისაზღვრება გადატვირთულობის დონის და არა ინდივიდუალური საჭიროებების და უსაფრთხოების შეფასების მიხედვით. პატიმრების განთავსება მათი სახლიდან და ოჯახიდან მოშორებით არასოდეს არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც სასჯელის ფორმა.

96 უსაფრთხოების დონის კლასიფიკაცია და პირადი გარემოებები შეიძლება შეიცვალოს პატიმრობის განმავლობაში და აქედან გამომდინარე სასარგებლოა პატიმართა განთავსების ადგილის შეცვლა. განთავსების ადგილის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მიმდინარე ინდივიდუალურ შეფასებას და კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის თავად პატიმართან. მაგალითად, სასჯელის ნაწილი პატიმარმა შეიძლება მოიხადოს იმ დაწესებულებაში, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება მის სარეაბილიტაციო საჭიროებებს, მაგრამ სასჯელის ამოწურვის დროისთვის შესაძლოა გადაყვანილ იქნას მის სახლთან ან ოჯახთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მისი რეინტეგრაციის პროცესს.

97 პატიმრის განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილმა პირებმა უნდა გაიარონ კონსულტაციები თავად პატიმართანაც, თუ სად მოიაზრეს ის მისი საცხოვრებელი ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილის არსებობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი პირობები განსხვავებულია. ციხის ევროპული წესები (EPR) 17.3 წესში პირდაპირ ითვალისწინებს, რომ „რამდენადაც ეს შესაძლებელია, პატიმრებმა უნდა მიიღონ კონსულტაცია მათი პირვანდელი განთავსების და შემდგომში, ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანის თაობაზე“. შესაძლოა ზოგიერთისთვის მათი სოციალური რეაბილიტაციის ადგილი არ არის მათი საცხოვრებელი სახლი, არამედ სხვა ადგილი, რომელიც უკეთესად დაეხმარება მათი რეაბილიტაციის პროცესს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული განთავსების საუკეთესო შესაძლებლობა მათთვის, ვისაც საერთოდ არ აქვს საცხოვრებელი ადგილი.

98 პატიმრის განთავსების შესახებ გადაწყვეტილება ყოველთვის არ მიიღება ციხის ადმინისტრაციის დონეზე. თუმცა, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან კომუნიკაციისას, ციხის თანამშრომლებმა შეიძლება ხაზგასმით აღნიშნონ საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე დაწესებულებაში პატიმრის განთავსების მნიშვნელობაზე. პატიმრის გადაყვანის დროს მხედველობაში ასევე უნდა იქნას მიღებული ოჯახის ან სხვა საკონტაქტო პირების ადგილმდებარეობა.

99 პატიმრების განთავსებისას ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობა. მაგალითად, ის, ვისაც აქვს სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებები, ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების ჩათვლით, უნდა განთავსდნენ ციხეებში, სადაც არსებობს საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც სპეციფიკური სარეაბილიტაციო საჭიროების მქონე პირები უნდა განთავსდნენ ციხეებში, სადაც ასეთი პროგრამებია ხელმისაწვდომი. ანალოგიურად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უნდა იყვნენ მოთავსებულნი იმ ციხეებში, რომლებიც ყველაზე მეტად არის ადაპტირებული ამგვარი საჭიროებების მქონე პირების მიღებისთვის, ასევე გასათვალისწინებელია ოჯახის და მეგობრების ადგილმდებარეობა.

100 თუნდაც პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი პირები არ იყვნენ პასუხისმგებელნი პატიმრის განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, კონკრეტული პატიმრებისთვის ყველაზე შესაფერისი განთავსების ადგილის შერჩევის საკითხში მათ მაინც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სხვა შესაბამის ორგანოებისთვის რჩევის მიცემის სახით.

101 გამონაკლის შემთხვევებში, უსაფრთხოების მოსაზრებებმა შესაძლოა უპირატესი მნიშვნელობა იქონიონ ოჯახთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილის ახლოს მდებარე დაწესებულებაში პატიმრის განთავსებასთან შედარებით. ეს შეიძლება განპირობებული იყოს დანაშაულებრივ ჯგუფებთან კუთვნილების ან ციხის თანაშრომლებისთვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის საფრთხის მიყენების რისკიდან გამომდინარე.

102 იმისათვის, რომ პატიმრები განთავსებულ იქნან მათი საცხოვრებელი ადგილის ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილის მახლობლად, მნიშვნელოვანია პატიმრების პირად საქმეში რელევანტური ინფორმაცია ჩაწერა. პატიმრის პირადი საქმისწარმოების მართვის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამ **სახელმძღვანელოს დოკუმენტის 1-ლი თავის 01-63 პარაგრაფებში**.

ქალები

103 ბანგკოკის წესების მე-4 წესი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ ქალ პატიმართა განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი, როგორც მზრუნველის მოვალეობები, ქალის ინდივიდუალური უპირატესობა და შესაბამისი პროგრამების და სერვისების ხელმისაწვდომობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქალები, როგორც წესი, ოჯახში მთავარი მზრუნველები არიან და ვინაიდან ქალთა დაწესებულებების რაოდენობა როგორც წესი მცირეა, უფრო დიდია მათი ოჯახიდან მოშორებით განთავსების ალბათობა.

104 იმ შემთხვევებში, როდესაც მამები არიან ბავშვების ძირითადი მომვლელები, ეს პრინციპი გამოიყენება „თანაბარმნიშვნელოვნად მამრობითი სქესის პატიმრებისა და მსჯავრდებულების მიმართ, ვინც არიან მამები“, როგორც ეს აღნიშნულია ბანგკოკის წესების წინასწარი შენიშვნების მე -12 პუნქტში.

105 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა უფლებებს და მათ საუკეთესო ინტერესებს, როდესაც საქმე ეხება მათ მზრუნველთა განთავსებას. როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (UNCRC) აღნიშნავს, „დაზარალებული ბავშვების უფლებების დაცვა უნდა ჩაითვალოს შესაბამის ფაქტორად დაპატიმრებულ მშობლებთან დაკავშირებით უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრისას, მათ შორის შესაბამისი ზომების პროპორციულობა ისეთ საკითხებში, რომლებიც გავლენას ახდენს დაზარალებულ ბავშვებთან ურთიერთქმედებაზე“.[44]

ბავშვები ციხეში

106 ციხეში მყოფ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული საჭიროება განთავსებულ იქნან მათი ოჯახების და მეგობრების ახლოს მდებარე დაწესებულებებში, მაგრამ, როგორც ქალი პატიმრები, ისინიც შესაძლოა განთავსდნენ ამ კონტაქტებისგან შორს იმ ქვეყნებში, სადაც მცირეა ბავშვების საჭიროებებს მორგებული დაწესებულებების რაოდენობა.

107 ბავშვები ციხეში უნდა განთავსდნენ იმ ობიექტებზე, სადაც მათ შეუძლიათ გააგრძელონ განათლება ან შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სათანადო პროფესიული გადამზადება. როგორც აღნიშნულია ბანგკოკის წესების 37-ე წესში, „არასრულწლოვან მდედრობითი სქესის პატიმრებს უნდა ჰქონდეთ მამრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმრებთან თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე“.

108 ბავშვები ციხეში ასევე უნდა განთავსდნენ იმ ობიექტებზე, სადაც მათ აქვთ „ასაკობრივ და გენდერ სპეციფიკურ პროგრამებთან და სერვისებთან, ისეთი როგორიცაა კონსულტაცია სექსუალური შევიწროვების ან ძალადობის საკითხებზე, ხელმისაწვდომობა. გოგონებმა უნდა მიიღონ განათლება ქალთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და უნდა ჰქონდეთ გინეკოლოგის მომსახურეობასთან რეგულარული ხელმისაწვდომობა, ზრდასრული ქალბატონების მსგავსად“.[45]

109 ჰავანას წესების 30-ე წესის თანახმად „არასრულწლოვანთა დაწესებულებები უნდა იყოს დეცენტრალიზებული და ისეთი ზომის, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანებს და მათ ოჯახებს შორის კონტაქტს. უნდა შეიქმნას მცირე ზომის დაკავების ობიექტები და ინტეგრირებული იყოს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში”.

44. „პატიმრობაში მყოფი მშობლების შვილების შესახებ ზოგადი განხილვის დღის ანგარიში და რეკომენდაციები“, ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი, 30 სექტემბერი 2011, პარ. 14 ხელმისაწვდომია: www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/discussion/2011CRCDGDReport.pdf.

45. „ბაგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, წესი 38.

ლგბტი პატიმრები

110 ციხის მოსახლეობის ზოგად ნაწილთან შედარებით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება სექსუალური ორიენტაციისა და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლგბტი პატიმრების მიმართ სექსუალურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან დაკავშირებით.[46] სავალდებულოა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ლგბტი პატიმრების კონკრეტული საჭიროებების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.[47] სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე მოუწოდებს სახელმწიფოებს, მხედველობაში მიიღონ „ინდივიდუალური პირების გენდერული იდენტობა და მათი არჩევანი განთავსებამდე და განთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას და უზრუნველყონ, რომ ლგბტი პირების დამცავი ღონისძიებები არ შეიცავდეს უფრო მეტ შეზღუდვებს, ვიდრე ეს აქვს დაწესების სხვა პატიმრებს“.[48]

111 სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, რომ „ტრანსგენდერი პირები ავტომატურ რეჟიმში თავსდებიან ქალთა ან მამაკაცთა პენიტენციურ დაწესებულებებში მათი გენდერული იდენტობის ან თვითგამოხატვის მიუხედავად“.[49]

112 SPT- ს შეშფოთებით აღნიშნავს, რომ „იდენტიფიცირების, რეგისტრაციის და დაკავების სათანადო საშუალებების არარსებობა გარკვეულ შემთხვევებში იწვევს ტრანსგენდერ ქალთა მოთავსებას მამაკაცებისთვის განკუთვნილ ციხეებში, სადაც ისინი ექვემდებარებიან გაუპატიურების მაღალ რისკს, ხშირად ციხის თანამშრომლების თანხმობით“.[50]

უცხო ქვეყნის მოქალაქეები

113 ზოგადად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნდა განთავსდნენ იმ ციხეებში, რომელიც ამცირებს მათი იზოლაციის ხარისხს. როდესაც ხდება მეზობელი ქვეყნის მოქალაქეების დაკავება, ხელისუფლებამ უნდა განიხილოს მათი განთავსება შესაბამის ქვეყანასთან არსებული საზღვრის ახლოს მდებარე ციხეში, მაგრამ ეს მომგებინია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ პატიმარს ექნება შესაძლებლობა შეხვდეს თავისი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს და იმ პირობით, რომ დაწესებულება არ იქნება იმგვარად იზოლირებული, რაც შეაფერხებს საკონსულო წარმომადგენლების და დახმარების გამწევი სხვა პირების ვიზიტებს.

114 ზოგადად, საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლები უფრო ხშირად სტუმრობენ პატიმრებს, თუ ისინი მოთავსებულნი არიან დედაქალაქში ან სხვა დიდ ქალაქში მდებარე დაწესებულებებში. ანალოგიურად, ოჯახის წევრები და მეგობრები შეიძლება უფრო ხშირად ეწვიონ პატიმრებს, თუკი ისინი განთავსებულნი იქნებიან საერთაშორისო სატრანსპორტო საშუალებების ან სხვაგვარად ადვილად ხელმისაწვდომ არეალში.

115 რისკებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების შედეგად სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით შესაძლოა სარგებლიანი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეების განთავსება იმ პენიტენციურ დაწესებულებში, სადაც არიან მათ მშობლიურ ან მონათესავე ენაზე მოსაუბრე პირები, ან იმავე ეროვნების, კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლები. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე იმ თანამშრომლების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა მხარდამჭერი ქსელის არსებობაც, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტიანად ეურთიერთონ პატიმრებს და ვისაც აქვს მათი კულტურის გარკვეული ცოდნა და გაგება.

---

46. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/HRC/31/57 (2016), op. cit. 27, პარ. 34; იხ. ასევე PRI/APT „პატიმრობაში მყოფი ლგბტი პირები: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო“ (მეორე გამოცემა 2015), op. cit. 27.

47. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/HRC/31/57 (2016), op. cit. შენიშვნა 27 პარ. 13.

48. იქვე. პარ. 70 (s) და (t).

49. იქვე, პარ. 34.

50. წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) მერვე წლიური ანგარიში, 26 მარტი 2015 წ., CAT/C/54/2, პარ. 68, ხელმისაწვდომი: tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2fC%2f54%2f2&Lang=en.

1.4 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

შესაბამისი წესები: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

წესი 54: მიღებისას, ნებისმიერ პატიმარს დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს შემდეგი სახის წერილობითი ინფორმაცია:

(ა) კანონი ციხეების შესახებ და ციხის შინაგანაწესი;

(ბ) მისი უფლებები, ინფორმაციის მოძიების კანონიერი გზები, სამართლებრივ დახმარებაზე წვდომა, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარების გზით და განცხადების ან საჩივრის წარდგენის პროცედურები;

(გ) მისი ვალდებულებები, მათ შორის მოქმედი დისციპლინური სასჯელები;

(დ) ნებისმიერი სხვა რამ, რაც დაეხმარება პატიმარს ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში.

წესი 55:

1. აუცილებელია, 54-ე წესით გათვალისწინებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ციხის კონტიგენტს შორის ხშირად გამოყენებულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არც ერთი ამ ენათაგანი, საჭიროა თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა.

2. წერა-კითხვის უცოდინარი პატიმრის შემთხვევაში, მისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ზეპირსიტყვიერად. სენსორული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებს ინფორმაცია მიეწოდებათ მათი საჭიროებების გათვალისწინების გზით.

3. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, ციხის თვალსაჩინო ადგილებში გამოაკრას მოკლე ინფორმაცია.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

116 დაწესებულებაში მიღებიდან რაც შეიძლება მოკლე დროში ყველა მსჯავრდებულს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ციხის წესების, რეგულაციების, პროცედურების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის, მათ შორის საჩივრის შეტანის პროცედურების შესახებ. პატიმრებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ მათი უფლებების და ვალდებულებების შესახებ და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ ციხის ხელმძღვანელობის და თანამშრომლების მხრიდან.

117 ნაკლებად სავარაუდო პატიმრებმა დაარღვიონ ციხის წესები და რეგულაციები, თუ გაცნობიერებული აქვთ აღნიშნული ქცევის შედეგები და მათთვის სათანადოდ არის ცნობილი მათი უფლებების და ვალდებულებების შესახებ. პატიმრებისთვის ადრეულ ეტაპზე ინფორმაციის მიწოდება ახნებეს მათ, რომ მათ ისევ აქვთ უფლებები და ამცირებს უძლურობის განცდის, სტრესის, სუიციდის და თვითდაზიანების რისკის დონეს.

118 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პატიმრებს სჭირდებათ საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის, იმ შემთხვევაში თუკი მათ უსამართლოდ ექცევიან. იმ ფაქტის ცოდნა, რომ მათ შეუძლიათ არასამართლიანი ქცევის საპასუხოდ იმოქმედონ, თავისთავად ეს ხელს შეუწყობს მშვიდობიანი ციხის გარემოს და დაწესებულების გამართულად მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.

პრაქტიკაში განხორციელება

რომელი ინფორმაციის მიწოდებაა აუცილებელი?

119 54-ე წესში დეტალურადაა მითითებული იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ნებისმიერ პატიმარს. წესები ცალსახად აღიარებს ნებისმერი პატიმრისთვის დაწესებულებებში მიღებისთანავე რელევანტური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა. შესაბამისად, წინასწარ პატიმრობაში მყოფმა პატიმრებმა უნდა მიიღონ იგივე ინფორმაცია, რაც მსჯავრდებულმა პატიმრებმა.

120 54-ე წესის თანახმად პატიმრები ასევე ინფორმირებულნი უნდა იყვენენ ე.წ. „ციხის კანონის“ და „ციხის შინაგანაწესის“ თაობაზე. ეს მოიცავს ყველა იმ რეგულაციას, რომელიც უკავშირდება პატიმართა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, მაგალითად, ციხის თანამშრომლების მიერ ძალის და შემაკავებელი საშუალებების გამოყენების წესს.

121 54(დ) წესის დებულება, რომ ყველა პატიმარს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რაც დაეხმარება მათ ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში, უნდა იყოს გაგებული ფართოთ და ითვალისწინებდეს მაგალითად, საგანმანათლებლო და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობებს, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, პაემანის უფლებას, ინფორმაციას რელიგიური მომსახურების შესახებ, კვების დროს და სხვა განრიგებს, ბიბლიოთეკის და რეკრეაციული სივრცეების გამოყენების შესაძლებლობას.

122 მიწოდებული ინფორმაცია უნდა ითვალისწინებდეს დადებითი ღონისძიებების შესახებ პატიმრების ინფორმირებას, რაც მიზნად უნდა ისახავდეს შესაძლო პრობლემების პრევენციას, მათ შორის, მაგალითად, ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომი მხარდამჭერი პროგრამების, დაშინების და ბულინგის საწინააღმდეგო ინიციატივებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომელთა დახმარებით პატიმრებს შეუძლიათ დაიცვან საკუთარი თავი ან სხვა.

როგორ უნდა იქნას მიწოდებული აღნიშნული ინფორმაცია?

123 55-ე წესი აზუსტებს პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმას. ციხის ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყოს ყველა პატიმრისთვის ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე და ფორმატში.

124 პირის ციხეში განთავსება დამაბნეველი და დეზორიენტაციის გამომწვევია, ამიტომ პატიმრებმა შესაძლოა ვერ აღიქვან მათთვის ერთბაშად მიწოდებული ინფორმაცია სრულად. ასევე შესაძლოა, პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას ციხის თანამშრომლებს არ ჰქონდეთ მათთვის შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ და სრულად მიწოდების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ დიდი რაოდნეობის პატიმრების მიღებასთან აქვთ საქმე. თუკი შეუძლებელია პატიმრისთვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს რაც შეიძლება მალე.

125 თუ პატიმრებს აქვთ კითხვები და საჭიროებენ განმარტებებს, მათ უნდა შეეძლოთ პატიმრობაში ყოფნის მთელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს მოითხოვონ და მიიღონ დამატებითი ინფორმაცია.

126 თანამშრომლები უნდა გადამზადდენ პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხებზე, მათ შორის, თუ როგორ გააკეთონ ეს ნათლად და ახალ პატიმრებთან მიმართებაში კორექტულად. ინფორმაცია პატიმრებს უნდა მიეწოდოს გასაუბრების ფორმით, საინფორმაციო ბროშურების ან ლექციის ჩატარების ნაცვლად.[51]

127 ინფორმაცია პატიმრებისთვის ასევე უნდა იყოს მიწოდებული წერილობითი ფორმით და ხელმისაწვდომი ფორმატით, ყველას უნდა გადაეცეს ასლი. შესაძლებელია აუცილებელი არ იყოს პატიმრისთვის პოტენციურად საჭირო ყველა მოქმედი წესისა და რეგულაციის მიწოდება, რადგან ზოგიერთვის ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს დამთრგუნველი. თუმცა, მსჯავრდებულებს უნდა გადაეცეს ყველა ძირითადი წესისა და რეგულაციის ასლი, ან შემაჯამებელი ვერსია და მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ სხვა რეგულაციის ასლები მოთხოვნისთანავე.

128 მათ, ვინც საჭიროებს თარჯიმნის მომსახურებას, რომლებსაც არ აქვთ განათლება ან არ შეუძლიათ წესების და რეგულაციების გაგება სხვა მიზეზით, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მიეწოდოთ ინფორმაცია და დასვან შეკითხვები მოგვიანებით, ნებისმიერ დროს. სავსებით შესაძლებელია შეუძლებელი გახდეს თარჯიმნის დაუყოვნებლივ მოძიება და გარკვეული დრო დასჭირდეს სათანადოდ კვალიფიციური პირის პოვნას. ასეთ ვითარებაში ციხემ უნდა მიაწოდოს პატიმარს ყველაზე მნიშვნელოვანი წესი და რეგულაცია, იქნება ეს სხვა პატიმრის მეშვეობით, რომელიც საუბროს პატიმრისთვის გასაგებ ენაზე თუ სატელეფონო თარგმანით. თუმცა, ციხის ადმინისტრაციას კარგად უნდა ესმოდეს არადამოუკიდებელი და შეუმოწმებელი თარჯიმნის მომსახურეობის გამოყენების საფრთხე.

129 ციხის წესებსა და რეგულაციებში, შინაგანაწესში, ასევე პატიმრების უფლებებსა და მოვალეობებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ასევე უნდა ეცნობოს თითოეულ პატიმარს მათი პატიმრობის სრული ვადის განმავლობაში, მათთვის გასაგებ ენაზე და ფორმატში.

51. „ესექსის დოკუმენტი 3“, ციხის საერთაშორისო რეფორმა op. cit., შენიშვნა 4, გვ. 28.

პოზიტიური პრაქტიკა: სურათი ციხეში – ლექსიკონი უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისთვის [1.9]

ორგანიზაცია ციხის დამცველმა,[52] პატიმრების და ციხის თანამშრომლების დასახმარებლად დასძლიონ საერთო ენობრივი ბარიერები, შეიმუშავა უნივერსალური ილუსტრირებული ლექსიკონი უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისთვის, რომლებიც არ საუბრობენ იმ ციხის ენაზე, სადაც იმყოფებიან. ბუკლეტი, რომელიც ცნობილია წარმოიდგინე ეს ციხეში სათაურით აერთიანებს 460 სურათს, რომელიც დალაგებულია თემების მიხედვით.

სამოცი ძირითადი სიტყვა და წინადადება ითარგმნა არაბულ, ალბანურ, ჩინურ, ჰოლანდიურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, ჰინდურ, იტალიურ, იაპონურ, სპარსულ, პოლონურ, პორტუგალიურ, რუმინულ, რუსულ, თურქულ, ესპანურ, სუაჰილურ და შვედურ ენებზე. დღეისთვის წარმოიდგინე ეს ციხეში გამოიყენება ბელგიის, გერმანიის, ლუქსემბურგის, შვედეთისა და გაერთიანებული სამეფოს ციხეებში.[53]

კონტექსტი: პატიმართა უფლებათა და მოვალეობათა ანბანი – საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროს სახელმძღვანელო პრინციპები [1.10]

საბერძნეთის იუსტიციის სამინისტრომ, გამჭვირვალობა და ადამიანის უფლებებმა დაამზადა სახელმძღვანელო, რომელიც აერთიანებს პატიმართა უფლებებსა და მოვალეობებს ადვილად ხელმისაწვდომ ფორმატში.

სახელმძღვანელო შეიცავს ინფორმაციას საკითხთა ფართო ჩამონათვალის შესახებ, მათ შორის სამოსის, საჩივრების, ხელფასის, დისციპლინის, განათლების, საკვების, ჯანდაცვის, იურიდიული დახმარების და ვიზიტების დროის შესახებ. სახელმძღვანელო ასევე წარმოადგენს საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის რელევანტური დებულებების და შიდა რეგულაციების ჩამონათვალს მათთვის, ვისაც სურს მეტი ინფორმაციის მიღება აღნიშნულ საკითებთან დაკავშირებით.[54]

1.5 განცხადებები და საჩივრები

შესაბამისი წესები: განცხადებები და საჩივრები

წესი 56 :

1. ნებისმიერ პატიმარს ყოველდღიურად უნდა ჰქონდეს ციხის დირექტორისთვის ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი თანამშრომლისთვის განცხადების ან საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. აუცილებელია, პატიმარს საშუალება ჰქონდეს გადასცეს განცხადება ან საჩივარი ციხის ინსპექტორს მის მიერ ციხეში განხორციელებული ინსპექციის დროს. პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისუფლად და სრული კონფიდენციალობის დაცვით დაელაპარაკოს ინსპექტორს ან ინსპექციის ნებისმიერ ოფიცერს, დირექტორის ან ციხის სხვა თანამშრომლების დაუსწრებლად.

3. ნებისმიერ პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება წარადგინოს განცხადება ან საჩივარი მისდამი მოპყრობის შესახებ, შინაარსის ცენზურის გარეშე, ციხის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და სამართლებრივ თუ სხვა შესაბამის ორგანოებში, მათ შორის დარღვევების განხილვაზე და გამოსწორებაზე პასუხისმგებელ ძალებთან.

4. ამ წესის 1-ელი და მე-3 წესები ასევე ვრცელდება პატიმრის კანონიერ წარმომადგენელზე. იმ შემთხვევაში, თუ არც პატიმარს და არც მის კანონიერ წარმომადგენელს არ აქვს მსგავსი უფლების გამოყენების შესაძლებლობა, ეს შესაძლოა გააკეთოს პატიმრის ოჯახის წევრმა ან ნებისმიერმა ადამიანმა, რომელმაც იცის არსებული საქმის არსი.

წესი 57:

1. ნებისმიერ განცხადებას ან საჩივარს დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება და პასუხი გაეცეს დაგვიანების გარეშე. განცხადების ან საჩივრის უარყოფის, ან გაუმართლებელი დაყოვნების შემთხვევაში, მომჩივანს უფლება აქვს, წარადგინოს იგი სასამართლოში ან სხვა ორგანოს წინაშე.

2. უნდა არსებობეს პატიმრის მიერ განცხადების და საჩივრების წარდგენის უსაფრთხოების, ხოლო თუ ამას მომჩივანი ითხოვს, კონფიდენციალობის გარანტიები. დაუშვებელია, პატიმარი, ან 56-ე წესის მე-4 პარაგრაფში აღნიშნული ნებისმიერი სხვა პირი, საჩივარის წარდგენის გამო, გახდეს შურისძიების, დამცირების ან სხვა სახის უარყოფითი გავლენის მსხვერპლი.

3. აუცილებელია, პატიმრის წამების ან სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ საჩივარზე რეაგირება მოხდეს დაუყოვნებლივ და დაიწყოს სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება დამოუკიდებელი ეროვნული ორგანოს მიერ, როგორც აღნიშნულია 71-3 წესის 1 და 2-ე პარაგრაფებში.

---

52. ციხის დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც აწარმოებს კვლევებს და ახორციელებს სწავლებას ციხესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ციხის დამცველი სპეციალიზირდება ციხეებში უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრების და მონიტორინგის საკითხებზე. ხელმისაწვდომია: www.prisonwatch.org/about-prison-watch.html.

53. „სურათი ციხეში", ციხის დამცველი ხელმისაწვდომია: www.prisonwatch.org/picture-it-in-prison.html.

54. პატიმართა უფლებათა და მოვალეობათა ანბანი, საბერძნეთის იუსტიციის სამინისტრო, 2017 წლის თებერვალი. ხელმისაწვდომია ბერძნულად: www.ministryofjustice.gr/site/el/ΥΠΟΥΡΓΕΙΟ/ΓΕΝΙΚΗΓΡΑΜΜΑΤΕΙΑΑΝΤΕΓΚΛΗΜΑΤΙΚΗΣΠΟΛΙΤΙΚΗΣ.aspx.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

130 განცხადებების ან საჩივრების მიღების კარგი სისტემა არის კვალიფიციური ციხის ადმინისტრაციის განუყოფელი ნაწილი, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს სისტემური შეცდომების იდენტიფიცირება და იმ ადამიანთა გამოვლენა, რომელნიც ბოროტად იყენებენ ძალაუფლებას.[55] საჩივრების სათანადოდ ფუნქციონირებადი სისტემა ასევე იცავს თანამშრომლებს არასათანადო ბრალდებებისაგან და უზრუნველყოფს თავად დაწესებულების რეპუტაციას.

131 მოთხოვნების და საჩივრების ეფექტიანი სისტემის არსებობა ასევე სასარგებლოა ციხის თანამშრომლებისთვის რიგი მიზეზების გამო. ეს იმიტომ, რომ პრობლემები რომელიც ზეგავლენას ახდენს პატიმრებზე აუცილებლად აისახება თანამშრომლებზე უშალოდ ან ციხის კონტიგენტში არსებული დაძაბულობის შედეგად. აღნიშნული საკითხების სწრაფად და დამაკმაყოფილებლად მოგვარდების შემთხვევაში, თანამშრომლებს და პატიმრებს შორის ურთიერთობები სავარაუდოა გაუმჯობესდეს, რაც გულისხმობს ციხის თანამშრომლების უფრო უსაფრთხო სამუშაო პირობებს.

132 განცხადებების ან საჩივრების სისტემა ხელს უწყობენ ციხის ადმინისტრაციას სტრუქტურული ან პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებაში, რომელიც შესაძლოა სხვაგვარად არ იყოს ხილვადი, მაგრამ პატიმრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება გულისხმობდეს მაგალითად, ტელეფონების, საკვები პროდუქტების ან ღამის საათებში ხმაურის დონის პრობლემებს. განცხადებების და საჩივრების დაუყოვნებლივი და ეფექტიანი განხილვა საშუალებას მისცემს ციხის ადმინისტრაციას თავიდან აიცილოს უმნიშვნელო პრობლემების უფრო დიდ პრობლემად გადაქცევის საფრთხე, რაც დაზოგავს დროსა და რესურსებს გრძელვადიან პერსპექტივაში. განცხადებების და საჩივრების მიღების ნათელი და მარტივი პროცედურა ასევე ნიშნავს, რომ თანამშრომლებს არ მოუწევთ მათი დროის ხარჯვა ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

133 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს ჰქოდნეთ განცხადებების ან საჩივრების წარდგენის მკვეთრად განსაზღვრული პროცედურები, რადგან თემში ყოფნისგან განსხვავებით მათ შესაძლოა არ ჰქონდეთ მათ წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზები.

134 თუ საჩივრების სისტემა ეფექტიანად მუშაობს, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. თუ დაზარალებულებს შეეძლებათ უსაფრთხოდ განაცხადონ პრობლემების შესახებ და მათი საჩივრები სათანადო სერიოზულობით იქნება განხილული, ეს უპირველეს ყოვლისა შეაჩერებს მოძალადეებს.

135 საჩივრების მოქმედი სისტემა უზრუნველყოფს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის დამნაშავეთა იდენტიფიცირებას და პასუხისგებაში მიცემას. მას ასევე შეუძლია თავიდან აიცილოს ამგვარი საკითხების გამეორება და დაიცვას ციხის თანამშრომლები მცდარი ბრალდებებისგან.

პრაქტიკაში განხორციელება

იმ მიზეზთა იდენტიფიცირება თუ რატომ არ წარადგენს პატიმარი განცხადებებსა და საჩივრებს

136 განცხადებების და საჩივრების წარდგენის მექანიზმების ეფექტიანი პრაქტიკის შემუშავებისას აუცილებელია ციხის ადმინისტრაცია ითვალისწინებდეს ციხეებში განცხადებების ან საჩივრების შეტანის პოტენციურ დაბრკოლებებს. რამდენიმე ყველაზე გავრცელებული დაბრკოლებაა:

- ეფექტიანი გასაჩივრების სისტემის არარსებობა;
- გასაჩივრების პროცედურების და უკუკავშირის ნელი და ბიუროკრატიული ბუნება;
- ციხეში პრობლემების არსებობის გარდაუვალ ფაქტად მიჩნევა;
- გასაჩივრების პროცესზე ინფორმაციის არ ქონა, მათ შორის პატიმრებმა რიგ შემთხვევაში არ იციან, თუ რისი გასაჩივრების უფლება აქვთ;
- გასაჩივრების ეფექტიანობის და განცხადებებზე უკუკავშირის უნდობლობა;

55. ნელსონ მანდელას წესები არ აკეთებს რაიმე განსხვავებას განცხადებების და საჩივრების წარდგენის წესს შორის.

- სირცხვილის, უხერხულობის და დანაშაულის გრძნობა;
- საჩივრის წარდგენის გამო შურისძიების, დაშინების ან დასჯის შიში;
- საჩივრის წარმდგენი პირებისთვის ადგილზე დაცვის მექანიზმის არარსებობა;
- წუხილი, რომ საჩივრის წარდგენა გამოიწვევს სხვა ნეგატიურ შედეგებს (მაგ. სხვა დაწესებულებაში გადაყვანა);
- გარიყვის შიში; და
- ინსტიტუციური კულტურა, რომელიც დაფუძნებულია შურისძიებაზე და არა რეაბილიტაციაზე.

ასევე შესაძლოა არსებობდეს განცხადებების და საჩივრების წარდგენის დაბრკოლებები, რომელიც განსაკუთრებულად აზიანებდეს პატიმართა რომელიმე ჯგუფს, მათ შორის მაგალითად ქალებს, ბავშვებს, ლგბტი პირებს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

პოზიტიური პრაქტიკა: საჩივრების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პატიმრებთან კონსულტაციის გზით [1.11]

2015 წლის მაისში ინგლისისა და უელსის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ომბუდსმენის ინსტიტუტმა (PPO) გამოაქვეყნა ანგარიში იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამო პატიმრობაში მყოფი ქალების და ბავშვების PPO–სთვის საჩივრების მიმართვიანობის მაჩვენებელი, მათ მიერ წარმოდგენილი ციხის კონტიგენტის პროპორციულობიდან გამომდინარე, არსებულ მოლოდინთან შედარებით იყო ნაკლები.[56]

იყენებდა რა ფოკუს ჯგუფებს გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით პატიმრების გამოცდილების შესწავლის მიზნით, PPO–მ აღმოაჩინა, რომ შიდა გასაჩივრების პროცესის გამოუყენებლობის და PPO–სთან პრობლემების შესახებ ინფორმაციის არ მიტანის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ნდობის ნაკლებობა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ იყო დაბნეულობა ინსტიტუტის მიერ საჩივრების მიღების კრიტერიუმებს და იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა არსებობის დროს შეეძლო პატიმარს საჩივრის წარდგენა.

კვლევის შედეგად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ომბუდსმენის ინსტიტუტმა დაიწყო ქალებისა და ბავშვებისთვის საჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათ შორის:

ეროვნული ციხის რადიოს (NPR) პირდაპირ ეთერში დაიწყო PPO–ისთვის საჩივრით მიმართვიანობის შესახებ არსებული მითების და შურისძიების შიშის გაქარწყლება. რეკლამაში ნათქვამი იყო, რომ პატიმრებს პირველ ეტაპზე უნდა გაევლოთ ციხის შიდა გასაჩივრების ეტაპი და რომ PPO იყო ციხის სამსახურისგან დამოუკიდებელი ერთეული;

რადიო რეკლამის შემდეგ ერთი კვირის ვადაში პატიმრისთის კვების მიწოდების დროს დაიწყო ინსტიტუტისთვის საჩივრით მიმართვის პროცედურების შემცველი საინფორმაციო ბარათების დარიგება;

პატიმართა გაზეთში Inside Time PPO–ს შესახებ რეკლამის განთავსება ე.წ. კედლის 2015 წლის დამგეგმავის სახით. პატიმრებს ეძლეოდათ შესაძლებლობა მთელი წლის განმავლობაში კედელზე ჰქონოდათ ინფორმაცია PPO–ს შესახებ, მათ შორის დასაშვებობის და საკონტაქტო ინფორმაციის ჩათვლით; და

მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმთან — ინგლისის და უელსის ეროვნულ პრევენციულ მექანიზმის ნაწილთან ერთად მუშაობა პატიმრებისთვის ინსტიტუტისთვის საჩივრით მიმართვის წესის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

მისი მიგნების ნაწილში, PPO ასევე გამოავლინა ციხის შიდა გასაჩივრების სისტემასთან დაკავშირებული ორგანიზაციული სწავლების რიგი საკითხები, მათ შორის შემდეგი რეკომენდაციები:

გამარტივდეს ციხის საჩივრის ფორმები პროცესის გამარტივების მიზნით და დაემატოს საჩივრის წარმოებაში მიღების აღმნიშვნელი ველი;

ციხის პერსონალის მიერ პრობლემის მოგვარების გზებზე მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყების უზრუნველყოფა, რითაც მოხდება პრობლემის სწრაფი და ეფექტიანი მოგვარება საჩივრის წარდგენის თავიდან აცილების მიზნით;

ყველა პატიმრის და ციხის თანამშრომის მიერ გასაჩივრების შიდა მექანიზმის ცოდნის უზრუნველყოფა, მათ შორის PPO–სთვის საჩივრით მიმართვის შესაძლებლობის და მათგან უკუკავშირის მიღების შესახებ; და

ციხის დირექტორების/მმართველების მიერ შიდა საჩივრებზე არსებული პასუხების დროულად მომზადების და ხარისხის მონიტორინგი.

56. „PPO გამოძიების შედეგად გამოცდილების მიღება: რატომ არ წარადგენემ საჩივარს ქალები და ახალგაზრდები?“, ინგლისისა და უელსის ციხის და პრობაციის ომბუდსმენი, მარტი 2015 ხელმისაწვდომია www.ppo.gov.uk/wp-content/uploads/2015/03/Why-do-women-and-young-people-in-custody-not-make-formal-complaints_final.pdf.

რა ქმნის წარმატებულ გასაჩივრების სისტემას?

138 განცხადების და საჩივრის წარდგენის პროცედურა უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ მაქსიმალურად შეარბილოს საჩივრების მიღებისას ყველაზე გავრცელებული დაბრკოლებები. აღნიშნულის მიღწევა ყველაზე ეფექტიანად შესაძლებელია მაშინ, როდესაც თავად პატიმრები არიან ჩართულნი სისტემის შემუშავებასა და განხორციელებაში.

139 პატიმრებს უნდა შეეძლოთ განცხადებების და საჩივრების წარდგენა კონფიდენციალურად, რეპრესიების ან სხვა უარყოფითი შედეგების დადგომის შიშის გარეშე. პროცედურებმა ასევე უნდა შეამცირონ საჩივრების გაყალბების ან იგნორირების რისკი.

140 იმისათვის, რომ განცხადებების და საჩივრების წარდგენის მექანიზმი იყოს ეფექტიანი, ის უნდა იყოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

141 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, რომ საჩივრის წარდგენის მექანიზმები უნდა იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი, მათ შორის სატელეფონო ცხელი ხაზების ან კონფიდენციალური საჩივრის ყუთების დამონტაჟების სახით. სპეციალური მომხსენებელი ასევე აღნიშნავდა, რომ „საჩივრის ბარიერი უნდა იყოს მაქსიმალურად დაბალი, კერძოდ, პატიმრობის კონტექსტიდან გამომდინარე“.[57]

142 საჩივრის ფორმა უნდა იყოს ყველასთვის მარტივად გასაგები და ხელმისაწვდომი. ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს სათანადო ნივთები საჩივრის შესადგენად, მათ შორის საწერი მოწყობილობები ან კომპიუტერის ხელმისაწვდომობა ელექტრონული საჩივრის სისტემის არსებობის შემთხვევაში. მათ, ვისაც არ აქვს საწერი მასალის, საფოსტო მარკების ან სატელეფონო ზარების საფასურის გადახდის შესაძლებლობა, აღნიშნული უნდა მიეწოდოს უფასოდ.

143 მსჯავრდებულებმა არ უნდა მოითხოვონ საჩივრის ფორმა, არამედ ის უნდა იყოს განთავსებული ხელმისაწვდომ ადგილას დაწესებულების საერთო სივრცეში. სადაც საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ტელეფონით, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სატელეფონო ხაზების გამართულად მუშაობა და ყველასთვის ხელმისაწვდომობა. მსჯავრდებულებს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოითხოვონ მათ მიერ გაკეთებული ნებისმიერი საჩივრის და განცხადების განხილვის ეტაპებთან და შედეგთან დაკავშირებული ინფორმაცია.

144 განცხადების და საჩივრის წარდგენის სისტემები ეფექტიანია, თუ ისინი რეალურად მიმართულია პრობლემის მოგვარებისკენ. პატიმრები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი პრეტენზიები სამართლიანად და ეფექტიანად იქნება განხილული და კანონის დამრღვევი ნებისმიერი პირი პასუხიგებაში იქნება მიცემული.

პატიმრების ინფორმირება მათი უფლებების თაობაზე

145 განცხადებების და საჩივრების წარდგენის უფლების განსახორციელებლად ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით გადასადგამი ნაბიჯების შესახებ. ეს ინფორმაცია ყველა პატიმარს უნდა მიეწოდოს 54-ე წესის შესაბამისად. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, რომ განცხადებების და საჩივრების შესახებ ინფორმაცია უნდა გაკეთდეს „როგორც წერილობითი ისევე ზეპირი ფორმით, ბრაილის შრიფტით და ადვილად წასაკითხ ფორმატში, ასევე ჟესტების ენაზე ყრუ ან სმენის შეზღუდვის მქონე პირთათვის“, და მოთავსდეს „თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერ ადგილას“.[58] პატიმრებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამ სახელმძღვანელოს **1-ლი თავის 116-129 პარაგრაფებში**.

146 განცხადების და საჩივრის შეტანის თაობაზე ინფორმაციის გარდა, პატიმართა ინფორმირება უნდა მოხდეს საჩივრის შესაძლო შედეგების და იმ პროცედურების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს განცხადების ან საჩივრის წარდგენის შემდეგ, მათ შორის დამცავი ღონისძიებები, რეაგირების ვადები და შემდგომი დაკვირვების პროცედურები. პროცედურები და ვადები დამოკიდებულია საჩივრის ხასიათზე, მაგრამ ისინი უნდა განიზასღვროს ციხი წესებში და გასაგები იყოს პატიმრებისთვის.

ვის შეუძლია განცხადების ან საჩივრის წარდგენა?

147 მანდელას წესები ძალიან ნათლად განსაზღვრავს, რომ განცხადების და საჩივრის წარდგენის უფლება უნდა გააჩნდეს ყველა პატიმარს. შესაბამისად, პროცედურების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ ადგილზე პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების გზით უნდა აღმოფხვრას ის ხარვეზები, რაც შესაძლოა ხელს უშლის პატიმრების ზოგიერთ ჯგუფს აღნიშნული უფლებით სარგებლობაში, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს ის პირები, ვინც არ საუბრობს ციხის ძირითად ენაზე, წერა-კითხვის უცოდინარი და

57. გაეროს (UN) სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებზე, გენერალური ასამბლეისთვის წარდგენილი შუალედური ანგარიში, 9 აგვისტო 2013, A/68/295, პარ. 80.

58. იქვე, პარ. 79.

სწავლის შეზღუდული უნარ-ჩვევების მქონე ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი თანაბრად უნდა გამოიყენებოდეს როგორც შიდა, ისე გარე გასაჩივრების მექანიზმებზე.

148 განცხადების და საჩივრის განხილვის პროცედურები არ უნდა შეწყდეს მომჩივანის გათავისუფლების შემდეგ, ხოლო პატიმრებს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გონივრულ ვადაში ასევე უნდა შეეძლოთ განცხადების და საჩივრის წარდგენა.

149 მანდელას წესები ასევე ცხადყოფს, რომ განცხადების და საჩივრის წარდგენის უფლება ვრცელდება პატიმრის ოჯახის წევრებზე, იურიდიულ წარმომადგენელზე ან საქმის მცოდნე სხვა ნებისმიერ პირზე. უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისთვის ეს უფლება უნდა გავრცელდეს საელჩოსა და საკონსულო წარმომადგენლობებზე. გასაჩივრების პროცესთან დაკავშირებით პატიმართა წინაშე მდგარი მრავალი დაბრკოლების გათვალისწინებით სხვა მხარისათვის განცხადებების და საჩივრების წარდგენის უფლების მინიჭება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

150 ჰავანის წესების 78-ე წესი აღნიშნავს, რომ, განცხადების და საჩივრის პირადად წარდგენასთან ერთად „ნებისმიერ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება საჩივრის წარდგენის მიზნით მოითხოვოს დახმარება ოჯახის წევრების, იურიდიული მრჩევლების, ჰუმანიტარული ჯგუფების ან სხვათა მხრიდან. თუ წერა-კითხვის უცოდინარ არასრულწლოვანს ესაჭიროება მხარდაჭერა, მან უნდა მიიღონ დახმარება იმ საჯარო ან კერძო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ კონსუტაციას ან უფლებამოსილნი არიან მიიღონ საჩივარი“.

151 ყველა თანამშრომელი სათანადოდ უნდა გადამზადდეს განცხადებებთან და საჩივრებთან, მათი მგრძნობიარე შინაარსის ჩათვლით, მუშაობის საკითხებზე. თუმცა, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის საშუალება თუ ვის წარუდგინონ განცხადება და საჩივარი, რათა უზრუნველყოფილი იქნას ინფორმაციის უსაფრთხოება. მაგალითად, ქალები კომფორტულად თავს გძნობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც პრობლემის შესახებ აცნობებენ მხოლოდ ქალ თანამშრომლებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის შემთხვევებში.

152 განცხადებები და საჩივრები თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისსმიერი დისციპლინური სახდელის ვეშ მყოფი პატიმრებისთვის, მათ შორის იმათთვის, ვინც იძლებით გამოაცალკევეს სხვა პატიმრებისგან ან გადის მკურნალობას, სტაციონარში ყოფნის ჩათვლით.

153 როგორც აღნიშნა ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრმა, „ციხეების ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა გამოიჩინოს ასევე ნებისმიერი კულტურისა და ტრადიციების მიმართ, სადაც პრობლემების წამოჭრა ხდება ჯგუფის ან ოჯახის უფროსის მიერ, და არა ინდივიდუალურად“.[59] განცხადების ან საჩივრის წარდგენის კოლექტიურად ან დელეგირებულად განხორციელების შესაძლებლობა ასევე ამცირებს ისეთ გავრცელებულ დაბრკოლებას, როგორიცაა მაგალითად შურისძიების შიში.

პოზიტიური პრაქტიკა: თანასწორ განმანათლებლობა ქალ პატიმართა შორის კანადაში [1.12]

პიროვნების ცხოვრებაში ურთიერთობების მნიშვნელობის როლის აღიარებით, თანასწორ განმანათლებლობა კანადაში არის კონფიდენციალური, არაგაკიცხვადი მიდგომა, რომელსაც იყენებს კანადის ციხეებში ქალთა კონტიგენტი არსებული ვითარების ეფექტიან დაძლევაში ერთმანეთის დასახმარებლად. თანასწორ განმანათლებლის როლი არ მოიცავს კონსულტირებას, რადგან ეს მხოლოდ პროფესიონალმა უნდა განახორციელოს. თუმცა, ის ითვალისწინებს ქალთა მხარდაჭერას მათი მოსმენით, ემპათიით, ქალებისთვის სათანადო ინფორმაციის და რესურსების მიწოდებით.

პატიმართა მხარდაჭერა ასევე გულისხმობს თანასწორ განმანათლებელთა მხრიდან ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას და გაძლიერებას, როგორიცაა კომუნიკაციის, პრობლემის მოგვარების და გუნდური მუშაობის უნარები. ინსტიტუციური მოწყობის ფარგლებში თანატოლთა მენტორობის სარგებელიანობა მოიცავს პატიმრების შესაძლებლობას, გადაჭრან პრობლემები ყველაზე ქვედა დონეზე, ქალი პატიმრების მხარდაჭერას სხვადასხვა სიტუაციების მართვის საკითხში და იმ პატიმართა პიროვნულ განვითარებას, ვინც მონაწილეობს თანატოლი მენტორის სასწავლო კურსში.

განცხადებების და საჩივრების ხვადასხვა ეტაპები

154 მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას განცხადებების და საჩივრების განხილვის სხვადასხვა სიმძიმის დონე, რადგან ისინი სავარაუდოდ განიხილება სხვადასხვაგვარად. გაეროს წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტმა (SPT) მოახდინა ამგვარი პროცედურების დოკუმენტალურად ასახვა ვინაიდან სახეზე არ იყო „განსხვავება განცხადებას და საჩივარს

59. „პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“, ICPS, op. cit., შენიშვნა 29, გვ.115.

შორის, ორივე იყო შევსებული და დამუშავებული იდენტური ფორმით“, და აცხადებდა, რომ „ამის შედეგად, მარტივ განცხადებებს არ განიხილავენ სწრაფად და სერიოზულმა საჩივრებმა შესაძლოა დაკარგოს მნიშვნელობა“.[60]

155 განცხადების თუ საჩივრის ტიპის და შინაარსის მიუხედავად, სახელმწიფომ სათანადო სერიოზულობით უნდა მიაქციოს მას ყურადღება. ზოგიერთი ადვილად სამართავი იქნება, სხვები არ მოითხოვენ რაიმე ქმედებების განხორციელებას და ზოგიერთი კი უარყოფილი იქნება. სხვამ შეიძლება გამოიწვიოს ფორმალური გამოძიება და სამართლებრივი დევნა.

156 ნელსონ მანდელას წესების რეკომენდაციაა სხვადასხვა ეტაპზე განცხადებების და საჩივრების მექანიზმების მაშტაბების გაზრდა. თუმცა, ფორმულირება ცხადყოფს, რომ არ არსებობს შეზღუდვა ან კონკრეტული შეკვეთა მიმართვიანობის შემდეგი ტიპის მაშტაბების გაზრდისთვის:

1. ციხის დირექტორს (ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ, ყოველ დღე, წესი 56(1));
2. ინსპექტირების განმავლობაში ციხის ინსპექტორს (წესი 56(2));[61]
3. ციხის ცენტრალურ ადმინისტრაციას (წესი 56(3));
4. სასამართლო ან სხვა კომპეტენტურ ხელისუფლებას, მათ შორის მათ ვისაც გააჩნია სააპელაციო და სამართლებრივი დაცვის უფლებამოსილების ბერკეტი (წესი 56(3)); და
5. დამოუკიდებელ ეროვნულ მექანიზმს წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის თაობაზე არსებულ ბრალდების საქმეებზე (წესი 71(1) და (2)).

გრაფიკი: განცხადებების და საჩივრების ტიპები და გამომწვევი პროცედურები

60. „ქვეკომიტეტის ანგარიში- CAT/OP/NZL/1“, გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტი, 10 თებერვალი 2017, პარ.44 ხელმისაწვდომია: tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2FOP%2FNZL%2F1&Lang=en.

61. „ციხეების ინსპექტორისთვის“ განცხადების და საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა გულისხმობს მიმართვას მონიტორინგის მექანიზმის ნებისმიერი წევრისთვის, მათ შორის, შიდა და გარე მონიტორინგის და ასევე ციხის გარე ინსპექტირებისთვის, მათ შორის წერილობით და სატელეფონო საშუალებით. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ორგანოები არ არიან პასუხისმგებელი განიხილონ ინდივიდუალური საჩივრები, რადგან ეს არის ციხის ადმინისტრაციის ფუნქცია. სამაგიეროდ, მონიტორებს შეუძლიათ გამოიყენონ ინდივიდუალური განცხადებები სისტემური პრობლემების იდენტიფიცირებისთვის. შიდა ინსპექციის და გარე მონიტორინგის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლება ამ პუბლიკაციის 1-ელ და მე-7 თავებში. საჩივრთან კავშირში NPM-ის როლის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ “წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა და დანიშვნა”, წამების პრევენციის ასოციაცია, 2006, გვ. 27-28 ხელმისაწვდომია: www.apt.ch/content/files_res/NPM.Guide.pdf.

157 პატიმრებს უნდა შეეძლოთ განცხადებების და საჩივრების წარდგენა ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ან ყველა პირზე, ნებისმიერი თანმიმდევრობით. არ უნდა იყოს აუცილებელი განცხადების და გასაჩივრების ერთი გზის ამოწურვა მეორესთან წვდომისთვის. აუცილებელია პატიმრებისთვის ნათელი ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე თუ ვისთან და როგორ წარადგინოს განცხადებები და საჩივრები.

ყოველდღიური განცხადებები და საჩივრები

158 საჩივრები ეხება სხვადასხვა სიმძიმის საკითხების ფართო სპექტრს. საჩივრების უმრავლესობა, სავარაუდოდ, უკავშირდება ყოველდღიურ საქმიანობას და, თუ საკითხები შეიძლება შედარებით უმნიშვნელო იყოს ხელისუფლებისთვის, ისინი უკიდურესად მნიშვნელოვანია პატიმრებისთვის და დიდი გავლენა აქვს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. საჩივრები შეიძლება უკავშირდებოდეს მაგალითად, საკვებს, ხმაურის დონეს, ოჯახებთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი ქონების დაკარგვის ან მოპარვის საკითხს. ასეთმა საკითხებმა, სავარაუდოდ, შესაძლოა გავლენა იქონიოს პატიმრების დიდ რაოდენობაზე და შეიძლება ხშირად სწრაფად გადაწყდეს რამდენიმე რესურსის გამოყენებით. ეფექტიანად განხილვის შემთხვევაში, ასეთი საჩივრის პასუხმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ ციხეში დაძაბულობის და ბრაზის დონე.

159 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, რომ ყოველდღიური საჩივრების უკეთესი მართვა შესაძლებელია მათი გადამისამართებით დამოუკიდებელი, საქმისადმი მიძღვნილი პირებისთვის, რათა მათ მიიღონ და გადაწყვიტონ უმნიშვნელო საჩივრები და უზრუნველყონ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა დადგენილ დროში სათანადო რესურსების მოსაძიებლად.[62]

კონტექსტი: არაფორმალური საჩივრები [1.13]

გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე და სხვები აღნიშნავენ, რომ პატიმრებს უნდა შეეძლოთ ციხის პერსონალისთვის არაფორმალური, სიტყვიერი ფორმით საჩივრების წარდგენა. ამ გზით საკითხის წარმოდგენამ შესაძლოა შეარბილოს ზოგიერთი გავრცელებული დაბრკოლება, რაც როგორც წესი აბრკოლებს განცხადებების და საჩივრების წარდგენის პროცესს, მათ შორის, პროცედურების ზედმეტად ბიუროკრატიული ან ნელი ხასიათი. ასეთი არაფორმალური პროცედურები უფრო ხელმისაწვდომია პატიმრების კონკრეტული ჯგუფებისთვის, მათ შორის მათთვის, ვისაც არ აქვს განათლება ან აქვთ სწავლის შეზღუდული უნარ-ჩვევები.

ციხეებში, სადაც წარმატებით გამოიყენება დინამიური უსაფრთხოების მიდგომა ციხის მართვის პროცესში, პატიმრებს აქვთ მეტი რწმენა იმისა, რომ უშუალოდ ციხის თანამშრომლებისთვის პრობლემების გაზიარება არ გამოიწვევს მათ დასჯას ან შურისძიებას და მათი მოთხოვნები და საჩივარი განიხილება სრული სერიოზულობით.

უფრო სერიოზული საჩივრები

160 უფრო სერიოზული საჩივრები უნდა იქნეს განხილული ფორმალური საჩივრების განხილვისთვის გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობით. მსგავსი ბრალდებები, სავარაუდოდ, ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ მოითხოვს უფრო კომპლექსურ და გადაუდებელ გამოძიებას და რეაგირებას.

განაცხადები წამების ან არასათანადო მოპყრობის შესახებ

161 სპეციალური პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული წამების და არასათანადო მოპყრობის შესახებ გაკეთებულ განაცხადებთან დაკავშირებით გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (UNCAT) და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელოს (სტამბოლის ოქმი) მმოთხოვნებთან შესაბამისად.

162 წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ბრალდებები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული 71-ე წესის შესაბამისად. როდესაც არსებობს წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესაძლო ჩადენის გონივრული ეჭვი, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, მყისიერი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება, მიუხედავად იმისა, წარდგენილია თუ არა საჩივარი. ასეთ შემთხვევებში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი პოტენციურად კავშირში მყოფი პირების

62. სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/68/295, op. cit. შენიშვნა 57, პარ. 78.

ჩართულობა გამოძიების პროცესში და ყოველგვარი კავშირი მოწმეებთან, დაზარალებულთან ან დაზარალებულის ოჯახთან. გამოძიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე -3 თავი, 68-101 პუნქტები**.

საჩივრის წარდგენის პროცედურათა შედეგი

163 ყველა შემთხვევაში, პატიმარს, რომელმაც დაიწყო საჩივრის წარდგენის პროცედურა ადვილად გასაგები ფორმით უნდა ეცნობოს განცხადების ან საჩივრის განხილვის შედეგები და ნებისმიერი შემდგომი ქმედება. თუ საჩივრის წარდგენის ინიციატორი პატიმრის ოჯახის წევრი ან სხვა წარმომადგენელია, მაშინ პროცესის და შედეგების შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა მიეწოდოთ შესაბამის პირებს.

164 განცხადებები და საჩივრები უნდა აღირიცხოს პატიმრის პირად საქმეში მე-8(ვ) წესის შესაბამისად. ასევე წარმატებული პრაქტიკაა განცხადებების და საჩივრების ცენტრალიზებული რეესტრის წარმოება. ამასთან დაკავშირებით UNCAT-ი მოუწოდებს „საჩივრების ცენტრალიზებულ რეესტრის წარმოებისკენ, სადაც მითითებულია ინფორმაცია შესაბამისი გამოძიების, სასამართლო განხილვების და სისხლის სამართლის ან / და დისციპლინური სანქციების შესახებ“.[63]

165 57(1) წესი ნათლად აღნიშნავს, რომ თუ განცხადება ან საჩივარი უარყოფილია ან მისი განხილვა გაუმართლებლად ყოვნდება, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უფლება წარადგინოს ის სასამართლოში ან სხვა უფლებამოსილ ორგანოში.

კონტექსტი: შურისძიებისგან დაცვა [1.14]

მანდელას წესების 57(2)–ე წესი ადგენს ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას, მიიღოს ეფექტიანი ზომები განმცხადებლების დასაცავად შურისძიების, დაშინების ან სხვა უარყოფითი შედეგისგან. დამცავი ღონისძიებების ბენეფიციარები არიან პატიმრები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები და სხვა პირები, რომელთაც აქვთ პატიმრის სახელით საჩივრის წარდგენის უფლება, 56(4) წესის შესაბამისად.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები მათ შორის ითვალისწინებს განმცხადებლის ან ნებისმიერი პოტენციურად კავშირში მყოფი პერსონალის გადაყვანას პატიმრობის სხვა დაწესებულებაში ან პერსონალის მოვალეობათა შეჩერებას“.[64] UNCAT–ი ასევე გასცემს რეკომენდაციას „დამცავი მექანიზმების გამოყენებას, გადაყვანის, ადგილზე უსაფრთხოების, სატელეფონო ცხელი ხაზების და სასამართლო დამცავი ბრძანებების ჩათვლით, რათა თავიდან იქნას აცილებული განმცხადებლის, მოწმეების ან მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ძალადობა და შევიწროება“.[65]

1.6 გადაყვანა

166 პატიმართა გადაყვანის და ტრანსპორტირების საკითხი არ არის განხილული როგორც სტანდარტული მინიმალური წესების ნაწილი. თუმცა, ის ცვლილებები, რაც განხორციელდა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა უსაფრთხოება და დაცულობა, შემაკავებელი საშუალებების გამოყენება და სამედიცინო მომსახურეობის გაწევა, კავშირშია პატიმართა გადაყვანის საკითხთან და შესაბამისად განხილულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტში.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

167 მანდელას წესებში მითითებული ყველა ფუნდამენტური დაცვის მექანიზმი გამოიყენება პატიმრების მიმართ ნებისმიერ დროს, მათ შორის მათი გადაყვანისა და ტრანსპორტირებისას. პატიმრობის ეს პერიოდი ხშირად რჩება ყურადღების მიღმა და არ ხდება საფრთხეების სათანადო შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ გადაყვანის პერიოდი წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით მომეტებული რისკის შემცველია. ციხის

63. გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნები პატიმრებთან მოყრობის შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების განახლების თაობაზე, 16 დეკემბერი 2013წ, CAT/C/51/4, პარ. 53.

64. წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295, op. cit. შენიშვნა 57, პარ. 77.

65. გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, CAT/C/51/4, op. cit. შენიშვნა 63, პარ. 55.

გადაყვანა შეიძლება გამოყენებულ იქნას დისკრიმინაციულად ან პატიმრებისთვის წინასწარი განზრახვით ზიანის მიყენების ან დასჯის ან მათი ოჯახის წევრებზე ზემოქმედების განხორციელების მიზნით.

168 გადაყვანის დროს არასათანადო მოპყრობის მომატებული რისკი გამომდინარეობს პროცესის განმავლობაში დაკავების და პატიმრებთან მოპყრობის პროცესზე სათანადოდ უფლებამოსილი პირების, მათ შორის მონიტორინგის მექანიზმის, მხრიდან საზედამხედველო საქმიანობის არ არსებობით. დამატებით, გადაყვანის დროს პატიმრებს არ აქვთ გარესამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა და სავარაუდოა ასევე არ არსებობდეს ადგილზე არასათანადო მოპყრობის მოწმე. საპატიმრო დაწესებულებებში არსებული დამცავი მექანიზმები, როგორიცაა მაგალითად პატიმრების განცალკევება სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, შესაძლოა ნაკლებად იქნას გათვალისწინებული პატიმართა გადაყვანის დროს და პატიმრების ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირები არ იყვნენ სათანადოდ შემოწმებულნი და გადამზადებულნი იმავე სტანდარტებით, როგორც ციხის პერსონალი.

169 გადაყვანის პერიოდი ასევე შეიძლება იყოს განსაკუთრებით მძიმე პატიმრებისათვის, მათ შორის, თუ ისინი გადაყავთ სასამართლოს სხდომებზე დასასწრებად, საავადმყოფოში ან უცნობ და პოტენციურად შორს მდებარე საპატიმრო დაწესებულებაში.

170 მეორეს მხრივ, პატიმართა გადაყვანის დროს ციხის ხელმძღვანელი პირებიც და თანამშრომლებიც დგანან მაგალითად, პატიმრის გაქცევის ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის მაღალი რისკის წინაშე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი ნაკლებია გადასაყვან პატიმრების რაოდენობასთან შედარებით.

პრაქტიკაში განხორციელება

რას წარმოადგენს პატიმრის გადაყვანა?

171 პატიმრის გადაყვანის ვადა მოიცავს ტრანზიტის დროს, ასევე ლოდინის დროს, მაგალითად სასამართლო ოთახებში, საავადმყოფოებსა და აეროპორტებში.

ვინ არის პასუხისმგებელი გადაყვანის დროს უსაფრთხოებასა და დაცულობაზე?

172 73(3) წესი ნათლად უთითებს, რომ პატიმრების ტრანსპორტირება „ხორციელდება ციხის ადმინისტრაციის ხარჯზე და ყველა მათგანზე ვრცელდება თანაბარი პირობები“. გადაყვანის დროს ციხის თანამშრომლების და პატიმრების უსაფრთხოების დაცვაზე ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა ასევე ხაზგასმით აღინიშნება 1-ელ წესში, რაც ცხადყოფს, რომ უსაფრთხოება უნდა იყოს უზრუნველყოფილი „ნებისმიერ დროს“.

173 მიუხედავად იმისა თუ ვინ არის პასუხისმგებელი პატიმრების გადაყვანაზე, უპირობოდ უნდა იყოს დაცული წესები და უსაფრთხოების გარანტიები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პატიმრის გადაყვანას ახორციელებენ სხვა სახელმწიფო უწყებები ან კერძო კომპანიებიც კი. მაშინაც კი, თუ სახელმწიფო პატიმართა გადაყვანის ფუნქციას გადასცემს გარე რესურს, პირთა უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე უპირობო პასუხისმგებლობას იტოვებს მისი ზედამხდველობის ქვეშ. ბიზნესის და ადამიანის უფლებათა შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები ნათლად აღნიშნავს რომ „სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები მისი ტერიტორიის ფარგლებში ან / და იურისდიქციაზე მესამე პირების, მათ შორის ბიზნეს საწარმოების მხრიდან მისი ხელყოფისაგან. ეს მოითხოვს შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მსგავსი ძალადობის პრევენციის, გამოძიების, დასჯის და გამოსწორების მიზნით, რაც მიიღწევა ეფექტიანი პოლიტიკის, კანონმდებლობის, რეგულაციების და გადაწყვეტილებების მიღებით“. პრინციპები ასევე მოითხოვს, რომ „როდესაც სახელმწიფო ხელშეკრულების ან სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახორციელებს კომერციული პირისაგან იმ მომსახურეობის მიღებას, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს პირთა მიერ ადამიანის უფლებათა განხორციელებაზე, სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ სათანადო ზედამხედველობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან მათი საქმიანობის შესაბამისობაზე“.[66]

66. ბიზნესის და ადამიანის უფლებათა შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები: „დაიცავი, პატივი ეცი და აანაზღაურე“ გაეროს პრინციპების იმპლემენტაციის ჩარჩო, გაერო, 2011, ფუნდამენტური პრინციპი 1 და 5 ხელმსაწვდომია: www.unglobalcompact.org/library/2.

დაცვის გარანტიები

174 პატიმრის გადაყვანა სხვა დაწესებულებაში არ უნდა გამოიყენებოდეს სასჯელის სახით.

175 უსაფრთხოების კლასიფიკაციას, რისკისა და საჭიროებების შეფასებას ასევე აქვს კავშირი პატიმრის გადაყვანასთან. ეს გულისხმობს პატიმრების გამოყოფას რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში, ცალკე ტრანსპორტირებას კი. ეს ჩვეულებრივ გულისხმობს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას, მაგრამ კონტექსტიდან და საფუძვლიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ერთი სატრანსპორტო საშუალება გამყოფი შუშით/ეკრანით.

176 სხვა დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანისას გადატანილი უნდა იქნას ასევე მის საკუთრებაში არსებული ნივთები და უზრუნველყოფილი იქნას მათი დაცვა დაკარგვისა ან დაზიანებისგან. პატიმრის ქონების საკითხი განხილულია 67-ე წესში.

177 პატიმრების სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას გადატანილი უნდა იქნას მათი პირადი საქმეც, სამედიცინო დოკუმენტაციის ჩათვლით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმიდან გამომდინარე ძირითადი თარიღების დაკარგვის თავიდან აცილებისა და მკურნალობის უწყვეტობისთვის. პატიმრის გადაყვანისას დაცული უნდა იყოს პირად საქმესთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპები.

178 პატიმრის გადაყვანის დღე და დრო უნდა იყოს შეტანილი პატიმრის პირადი საქმის მართვის სისტემაში, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-7(გ) წესით. ღამის საათებში პატიმრის გადაყვანა არ უნდა განხორციელდეს, თუ ეს არ წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას.

179 სხვა ციხეებში გადაყვანა არ უნდა იწვევდეს გადამზადების და განათლების შესაძლებლობების დაკარგვას და პატიმრის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის გაუარესებას. შესაძლოა პატიმარმა განთავსების ახალ ადგილას ვერ გააგრძელოს იდენტური კურსი, მაგრამ შეძლებისდაგვარად პატიმარი უნდა განთავსდეს იმ დაწესებულებაში, სადაც იქნება მსგავსი შესაძლებლობები.

გადაყვანის პირობები

180 წესი 73(2) ადგენს, რომ „აკრძალულია პატიმრების გადაადგილება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ ძალზე რთულ პირობებში“.

181 მე-11 მუხლში მითითებული პრინციპი პატიმრების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით განაწილება სქესის, ასაკის, წინა ნასამართლობის, მათი დაპატიმრების სამართლებრივი მიზეზებისა და მათთან მოპყრობის საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ძალაშია პატიმართა გადაყვანისას. ქალი თანამშრომლების მიერ ქალი პატიმრების ზედამხდეველობის განხორციელების პრინციპის დაცვა ასევე მნიშვნელოვანია პატიმართა გადაყვანისას.

182 გადაყვანის პირობები უნდა შეესაბამებოდეს 42-ე წესს, რომელშიც ნათქვამია, რომ ზოგადი საცხოვრებელი პირობები, რომლებიც მითითებულია წესში „გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა პატიმრისთვის, გამონაკლისის გარეშე“. ეს გულისხმობს შესაბამის მოთხოვნებს განათებასთან, ვენტილაციასთან, ტემპერატურასთან, სანიტარიასთან, კვებასთან, სასმელ წყალთან, სუფთა ჰაერსა და ფიზიკურ ვარჯიშთან, პირად ჰიგიენასთან, ჯანდაცვასთან და ადეკვატურ პირად სივრცესთან დაკავშირებით.

183 წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე-3 თავის, 02 და 33-34 პარაგრაფებში** აღნიშნულია, რომ მანდელას წესები პატიმრის გადაყვანისას შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ გაქცევის თავიდან აცილების მიზნით და თუ პატიმარი გამოცხადდება სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოში, საშუალებების გამოყენება აღარ უნდა მოხდეს. ესექსის ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ შემაკავებელი საშუალებები გამოყენებულ იქნას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და არა ავტომატურ რეჟიმში ყოველი გადაყვანის დროს და რომ „სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა თავიდან იქნას აცილებული მგზავრების, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა შემაკავებელი საშუალებები, ფიზიკური დაზიანება დამუხრუჭების ან ავტოავარიის შემთხვევაში, რადგან შემაკავებელი საშუალება უზღუდავს პატიმარს შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი თავი წინ წაქცევისგან“.[67]

184 73(1)-ე მუხლი ხაზს უსვამს, რომ „დაწესებულებიდან ან დაწესებულებაში პირის გადაყვანისგან პატიმრები მაქსიმალურად უნდა მოარიდონ საზოგადოებრივ აზრს და სათანადო გარანტიები უნდა იქნას მიღებული მათი რაიმე ფორმით შეურაცხყოფის, ცნობისმოყვარეობისა და საჯაროობისგან დასაცავად“.

67. „ესექსის დოკუმენტი 3“, ციხის საერთაშორისო რეფორმა, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 57.

კონტექსტი: გადაყვანისას გასათვალისწინებელი სხვა გარემოებები [1.15]

სპეციალური მოქმედებების განხორციელება შეიძლება გახდეს საჭირო კონკრეტული კატეგორიის პატიმრების, მათ შორის ორსული ქალების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მოხუცებულთა და განსაკუთრებული ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა გადაყვანისას. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს გადაყვანის დროს სამედიცინო პერსონალის დასწრება და ასევე მათგან უნდა იყოს მიღებული რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა პატიმარს მგზავრობა ან რა სახის ცვილებებია გასათვალისწინებელი ტრანსპორტირებისას. სხვა მოსაზრებები გულისხმობს:

- **სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით;**
- **სამედიცინო გადაყვანის მიზნებისთვის არსებულ სატრანსპორტო საშუალებებში სათანადო აღჭურვილობის შემოწმებას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ეს შეიძლება გულისხმობდეს მაგალითად, პანდუსებს სავარძელ–ეტლებისთვის;**
- **გადაყვანის დროს პატიმრებისთვის სავარაუდოდ საჭირო მედიკამენტების ხელმისაწვდომის შემოწმებას;**
- **სატრანსპორტო საშუალების პატიმრების გადაყვანის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. გალიის ტიპის საკნისებრ სატრანსპორო საშუალებების, რომელიც შესაძლოა იყოს მცირე ზომის და ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდეს ფანჯრები, გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი კონკრეტული საჭიროებების მქონე, მათ შორის დახურული სივრცის შიშის მქონე ან ტრავმირებული პატიმრების გადაყვანისთვის;**
- **შემოწმება იმისა, რომ პატიმრები არ ატარებენ სატრანსპორტო საშუალებებში იმაზე მეტ დროს, ვიდრე ეს საჭიროა გადაყვანის მიზნებისთვის;**
- **ხანგრძლივი მგზავრობისას ადეკვატური შესვენებების უზრუნველყოფა, მათ შორის საპირფარეშოთი სარგებლობის მიზნით;**
- **პატიმრების უზრუნველყოფა სათანადო საკვებით და წყლით; ბუნებრივი საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა წყალდიდობები, ხანძარი და ქარიშხალი, სამოქმედო გეგმის არსებობის უზრუნველყოფა.**

პატიმრებისთვის გათვალისწინებული ინფორმაცია

185 პატიმრებს წინასწარ უნდა ეცნობოს ნებისმიერი გადაყვანის შესახებ, მათ შორის გადაყვანის მიზეზების, გადაყვანისთვის დაგეგმილი თარიღის, დროისა და ადგილის გათვალისწინებით.

186 პატიმრის გადაყვანასთან დაკავშირებით არსებულ ერთ-ერთ დამცავ მექანიზმს წარმოადგენს ასევე პატიმრების უფლება აცნობონ მათი ოჯახის წევრებსა და სხვა კონტაქტებს, მათ შორის იურიდიულ წარმომადგენლებს, სხვა დაწესებულებაში ან საავადმყოფოში მათი გადაყვანის შესახებ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იძულებითი გაუჩინარებისგან პატიმრების დასაცავად. პატიმრებს აღნიშნული უფლება უნდა მიეცეთ მანამ, სანამ გადაყვანა უშუალოდ განხორციელდება. შეტყობინებების საკითხი დეტალურადაა განხილულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-5 თავში, 129-133 პარაგრაფში.

1.7 ციხის პერსონალის შერჩევა და გადამზადება

187 ისინი, ვინც ციხეებში მუშაობენ, მნიშვნელოვან საჯარო სამსახურს ასრულებენ და ხშირად უწევთ დაკისრებული მოვალეობების შესრულება რთულ, სტრესულ და ზოგჯერ სახიფათო პირობებში. ისინი მოვალენი არიან იმუშაონ ბევრი საჭიროების, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის, თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების ტენდენციების და ძალადობის, დაკავების და დამოკიდებულებების წარსული გამოცდილების მქონე პირებთან. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ციხის თანამშრომლები უფლებამოსილების განხორციელებისას შეხვდებიან მოძალადე პატიმრებს, რომელთაგან ზოგიერთმა მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას წარსულში. ცუდად მართვად დაწესებულებაში თავად თანამშრომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ დისკრიმინაციას კოლეგების ან ხელმძღვანელი პირების მხრიდან.

ციხის პერსონალის როლი და ფუნქციები ხშირად არასწორად არის გაგებული ან ექცევა ნეგატიური სტერეოტიპების ქვეშ. მედია და საზოგადოება რიგ შემთხვეევებში აღიქვამს მათ როგორც პირებს, რომლებიც ახდენენ ადამიანების ჩაკეტვას. ფაქტობრივად, ციხის

თანამშრომლებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პატიმრების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში და მათი სამუშაო კომპლექსური და მრავალმხრივია, რაც მოითხოვს სპეციფიკურ და მრავალფეროვან უნარ-ჩვევების ერთობლიობას, მათ შორის კარგ ინტერპერსონალურ უნარ-ჩვევებს და სხვადასხვა რთულ სიტუაციებთან თუ პირებთან გამკლავების უნარს.

SMR-ის განახლებულმა დებულებებმა, რომლებიც დაკავშირებულია ციხის პერსონალის შერჩევასა და გადამზადების საკითხთან, მკვეთრად განსაზვრა პერსონალის გადამზადების აუცილებლობა მათ მიერ მოვალეობების შესრულების უშუალო დაწყებამდე და შემდგომში სისტემატიურად. ეს სწავლება უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს. განახლებული წესები ასევე განსაზღვრავს სწავლებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს, მათ შორის დინამიური უსაფრთხოების კონცეფციის, ძალადობრივი სიტუაციების თავიდან აცილებისა და განმუხტვის ტექნიკისა და ძალადობრივი ქცევის მქონე დამნაშავეებთან მუშაობის კონცეფციას.

შესაბამისი წესები: ციხის პერსონალის შერჩევა და გადამზადება

წესი 74:

1. ციხის მართვის ორგანოები უნდა იღწვოდნენ ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევისთვის, რადგან ციხის კარგი მუშაობა დმოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობაზე და პირად თვისებებზე.

2. ციხის ადმინისტრაცია თავისი თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერებაში მუდამ უნდა ნერგავდეს აზრს, რომ იგი ასრულებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს და ამ მიზნით უნდა იყენებდეს საზოგადოების ინფორმირების ყველა საშუალებას.

3. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, პერსონალი უნდა დაინიშნოს სრულ სამუშაო განაკვეთზე, როგორც პროფესიონალი ციხის თანამშრომლები და მიენიჭოთ საჯარო მოხელის სტატუსი, რომლის ვადაც დაცულია მხოლოდ კარგი ქცევის, მუშაობის ეფექტურობისა და ფიზიკური ჯანმრთელობის შემთხვევაში. შესაბამისი მამაკაცებისა და ქალების მისაზოდად და შესანარჩუნებლად, ანაზღაურება უნდა იყოს შესაბამისი; შრომითი სარგებელი და სამუშაო პირობები უნდა იყოს ხელსაყრელი სამუშაოს ზუსტი ბუნების თვალსაზრისით.

წესი 75:

1. ციხის ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტანდარტის განათლება და უნდა მიეცეს შესაძლებლობა და საშუალება, პროფესიონალურად განახორციელოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

2. მოვალეობის შესრულების დაწყებამდე, ციხის ნებისმიერმა თანამშრომელმა უნდა გაიაროს მის ზოგად და კონკრეტულ მოვალეობებზე მორგებული სწავლება, რომელიც ეფუძნება პენოლოგიური მეცნიერების თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს. ციხეში მუშაობის საშუალება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც, სწავლების ბოლოს, წარმატებით გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ ტესტირებას.

3. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს შიდა სასწავლო კურსები, რათა შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს პერსონალის პროფესიული შესაძლებლობები მოვალეობის შესრულების დაწყების შემდეგ და მათი კარიერის განმავლობაში.

წესი 76:

1. 75–ე წესის მე–2 პარაგრაფში მოხსენიებული სწავლება, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს:

(ა) შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობა, რეგულაციები და პოლიტიკა, ასევე მოქმედი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები, დებულებები, რომელიც გამოიყენება ციხეში მუშაობისა და პატიმრებთან ურთიერთობის სახელმძღვანელოდ;

(ბ) ციხის პერსონალის უფლებები და მოვალეობები დაკისრებული მოვალეობების შესრულების პროცესში, მათ შორის ნებისმიერი პატიმრის ღირსების პატივისცემა და ზოგიერთი ქმედების აკრძალვა, მაგალითად წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის;

(გ) უშიშროება და უსაფრთხოება, მათ შორის, დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია, ძალისა და შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, ასევე ძალადობრივი დამნაშავეების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი ტექნიკის საშუალებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია;

(დ) პირველადი დახმარება, პატიმრის ფსიქო–სოციალური საჭიროებები და ციხის შესაბამისი დინამიკა, ისევე, როგორც სოციალური ზრუნვა და დახმარება, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრელობის პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკა.

2. ციხის თანამშრომლებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პატიმართა გარკვეული კატეგორიასთან მუშაობაზე, ან დაკისრებული აქვთ სხვა სპეციალიზებული ფუნქციები, უნდა გაიარონ სწავლება კონკრეტულ საკითხზე.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

ციხის პროფესიული მართვა

188 ციხის ხელმძღვანელობას აქვს ვალდებულება უზრუნველყოს პერსონალის ყურადღებით შერჩევის, სწორი გადამზადების და მხარდაჭერის პროცესი. თუ ისინი ვერ შეძლებენ პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი პერსონალის შერჩევასა და შენარჩუნებას, მათ პასუხი უნდა აგონ მთავრობისა და საზოგადოების წინაშე.

189 CPT-მ აღნიშნა, რომ პერსონალის სტრესის მაღალმა დონემ შეიძლება „გააძლიეროს ციხის ნებისმიერი გარემოსთვის დამახასიათებელი დაძაბულობა“. [68]

ინსტიტუციური კულტურის გავლენა

190 ციხის თანამშრომლების დამოკიდებულება და ქცევა აყალიბებს და აწესრიგებს დაწესებულების კულტურას და განსაზღვრავს პატიმრის საერთო საპატიმრო გამოცდილებას. კვლევებმა აჩვენა, რომ ციხის ოფიცრები „რომლებიც თვლიან, რომ სამსახურში მათ აფასებენ, ენდობიან და პატივს სცემენ, უფრო მეტად იყენებენ ამ ღირებულებებს პატიმრებთან მოპყრობისას“.[69] უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ციხის ოფიცრები, რომლებიც ბედნიერები არიან სამსახურში, შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს უფრო მაღალი სტანდარტით, ვიდრე ისინი, ვინც თავს არასათანადოდ დაფასებულად თვლის.

191 ციხის ხელმძღვანელობამ და სათანადო გადამზადებამ უნდა მოახდინოს ციხის ოფიცრებში ე.წ. „მუნდირის ღირსების“ იმგვარი სულისკვეთების პრევენცია, რომელიც უთანაგრძნობს პატიმრებისადმი რეპრესიულ მიდგომებს და ანგარიშვალდებულებაზე წინ აყენებს კოლეგების მხარდაჭერას. ციხის ოფიცრებს შორის შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი ურთიერთზეწოლა პატიმრების „მხარეზე“ არ ყოფნის ან მათთან „რბილად“ მოქცევის თაობაზე.[70] ოფიცრები, რომლებიც არ იზიარებენ ამ ჯგუფის აზრს, შესაძლოა განიცდიდნენ ზეწოლას, შევიწროებას ან გარიყულობას. „უკიდურეს შემთხვევაში, ციხის ოფიცრებმა შეიძლება განიცადონ ძალადობა კოლეგების მხრიდან როგორც მათი გადამზადების ან საინიციატივო წესების ნაწილი და რაც მიზნად ისახავს სადამსჯელო კულტურასთან მათ „სოციალიზაციას“.[71]

192 დაწესებულების საერთო სულისკვეთებამ მნიშვნელოვი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ციხის თანამშრომლების სამუშაო პირობებზე და მათდამი დამოკიდებულებაზე. შესაბამისად, შერჩევისა და გადამზადების პროგრამებმა უნდა ასახოს ციხის პერსონალის როლი, პატიმრობის მიზანი (იხ. წესები 4 და 5), ეთიკური მოთხოვნები და ინსტიტუციური კლიმატი.[72] ციხეების ჩაკეტილობამ, ფოკუსირებამ უსაფრთხოებასა და კონტროლზე, ხშირ შემთხვევაში დაწესებულებები შეიძლება გახადოს ზედმეტად იერარქიული, სადაც პერსონალის აბუჩად აგდება ჩვეული მოვლენაა. დაწესებულები ასევე შეიძლება ხასიათდებოდეს შიშით, უნდობლობითა და ჩაკეტილობით, რაც ზეგავლენას ახდენს პერსონალის გამოცდილების და მოტივაციის დონეზე და უკარგავს კარგ კანდიდატებს ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადის შეტანის სურვილს. ზოგადად, ცუდად მართვად დაწესებულებებში სავარაუდოა კარგი კადრების მოზიდვის და შენარჩუნების შესაძლებლობები, მაშინ როდესაც მოძალადე და კორუმპირებული პერსონალი ასეთ პირობებში იფურჩქნება.

პრაქტიკაში განხორციელება

ციხის პერსონალის მართვა

193 დაწესებულების შესაფერისი პერსონალის შერჩევა და შენარჩუნება ციხის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა. შერჩევის შემდგომ, მოვალეობების ეფექტიანად შესრულების მიზნით, პერსონალს ესაჭიროება ეფექტიანი ხელმძღვანელობა, სათანადო მხარდაჭერა და ზედამხედველობა. 79-ე წესი ადგენს, რომ ციხის დირექტორებად უნდა შეირჩნენ „პირები, რომლებიც საკმაოდ კვალიფიციურნი არიან მათი ხასიათის, ადმინისტრაციული უნარის, მომზადებისა და გამოცდილების მიხედვით“.

194 ციხის ხელმძღვანელობა პატივიცემით უნდა მოეპყრას თანამშრომლებს და შეახსენოს მათ, რომ მათ მიერ შესრულებული საუშაო დაფასებულია. წესების 74(2)-ე წესის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რას გულისხმობს ციხის სამუშაოს უდიდესი სოციალური მნიშვნელობის უზრუნველყოფა, ციხის ხელმძღვანელმა პირებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ პოლიტის განმსაზღვრელ პირებთან და შესაბამის სამთავრობო უწყებებთან ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მედიის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ციხის თანამშრომლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

---

68. წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), „CPT-ს აქტივობების შესახებ მე-11 ზოგადი ანგარიში“, 2001 წლის 3 სექტემბერი, პარ. 26 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680696a75.

69. ალისონ ლიბლინგი, „ციხეები და მათი მორალური საქმიანობა“, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 28 ივლისი 2005, გვ. 375-430; აგრეთვე იხილეთ: მანდელას წესები, op. cit., შენიშვნა 1, წესი 38(1), ციხის ადმინისტრაციების წახალისება „გამოიყენოს, შეძლებისდაგვარად, კონფლიქტების პრევენცია, მედიაცია ან დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად ან კონფლიქტების მოგვარების მიზნით.“

70. ციხის ოფიცერი, ალისონ ლიბლინგი, დევიდ პრაისი და გაი შეფერი, ვილანის გამომცემლობა, 20 თებერვალი 2011, გვ. 163.

71. „დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი: პერსონალის სამუშაო პირობები – წამების და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით რისკ-ფაქტორების გამოსწორება“, PRI/APT (მეორე გამოცემა 2013), გვ. 3 ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/01/factsheet-3-working-conditions-2nd-v5.pdf.

72. მეტი ინფორმაციისთვის იხ. „თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ინსტიტუციური კულტურა: სახელმძღვანელო პრევენციული მონიტორინგისათვის“, PRI/APT, მეორე გამოცემა, 2015, ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/resource/institutional-culture-detention-framework-preventive-monitoring-3.

195 როგორც UNODC აღნიშნავს „თანამშრომლების შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების გამდიდრება და გაძლიერება. თუ თანამშრომელი დგას გამოწვევების წინაშე და კმაყოფილია მისი პოზიციით, უფრო დიდია ალბათობაა, რომ ისინი საკუთარი შესაძლებლობებს გამოყენებენ და მიმართავენ ორგანიზაციული მიზნების მიღწევაზე. რეკომენდებულია კონკურენტული სახელფასო განაკვეთის, ავტონომიის, საკმარისი გადამზადების, განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობების შეთავაზება“.[73]

196 ბანგკოკის წესების 30-ე წესის თანახმად, უნდა არსებობდეს „მკაცრი და მდგრადი მიდგომები ციხის ადმინისტრაციის დონეზე, რათა თავიდან იქნას აცილებული და სათანადო ყურადღება გამახვილებული ქალ თანამშრომლებთან მიმართებაში გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად“. ბანგკოკის წესების 32-ე წესი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს „მკაფიო პოლიტიკა და რეგულაციები ციხის თანამშრომლების ქცევასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს მათ მიერ ქალ პატიმართა მაქსიმალურ დაცვას გენდერული ნიშნით რაიმე სახის ფიზიკური თუ სიტყვიერი ძალადობის და სექსუალური ძალადობის თუ შევიწროვებისგან“. ბანგკოკის წესების 29-ე წესი ასევე აღნიშნავს, რომ “ქალ თანამშრომლების შესაძლებლობების ზრდის ღონისძიებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს საჭიროების შემთხვევაში იმ მაღალი თანამდებობის პირებთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას, ვინც ძირითადადაა პასუხისმგებელი ქალ პატიმრებთან მოპყრობისა და ზრუნვის საკითხებზე პოლიტიკის და სტრატეგიების შემუშავებაში“.

197 იმ შემთხვევაში, როდესაც ციხის პერსონალი დაქირავებულია კერძო კომპანიების მიერ, მათზე უნდა გავრცელდეს შერჩევის და გადამზადების იგივე სტანდარტები, როგორც ეს ციხის პერსონალთან მიმართებაშია და უნდა იყოს განსაზღვრული ქცევის და სხვა პროცედურების მარეგულირებელი თანაბრად მკაცრი მოთხოვნები.

თანამშრომელთა შერჩევა

198 როგორც კვალიფიციური კადრების შერჩევის ნებისმიერი სხვა პროცესი, ამ შემთხვევშიც უნდა არსებობდეს სამუშაოს მკაფიო აღწერილობა, მათ შორის სპეციფიკური მოვალეობების და თანამდებობის დასაკავებლად საჭირო განათლების და კომპეტენციის განსაზღვრა. მონაცემები სამუშაოს შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ სათანადოდ უნდა იქნეს მიწოდებული პოტენციური კანდიდატისთვის. ხელმძღანელობამ „განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ერთიანობის, ჰუმანურობის, პროფესიული განვითარებისა და პიროვნული უნარების შესაბამისობას იმ კომპლექსური სამუშაოს შესრულებასთან, რაც მათ მოეთხოვებათ“.[74]

199 UNODC ვარაუდობს, რომ პერსონალის დაქირავება უნდა განხორციელდეს „განაცხადების წარდგენის, გასაუბრების და ტესტირების ეტაპობრივი სისტემის გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას თანამდებობის დაკავება საუკეთესო კანდიდატის მიერ. პენიტენციურ სისტემაში რეკომენდირებული იქნება სიტუაციების მართვისა და პირადი ეთიკის საკითხებზე ტესტირების შემოღება“.[75]

200 შერჩევა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მოტივაცია და ინტერპერსონალური უნარი, ასევე სიმშვიდის შენარჩუნების უნარი.[76]

201 პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს არადისკრიმინაციის პრინციპის დაცვით. შერჩევის პროცედურები უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. პერსონალის სამსახურში აყვანა უნდა მოხდეს თანამდებობასთან შესაბამისობის კრიტერიუმზე დაყრდნობით მათი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა აზრის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად.

202 UNCAT-მა აღნიშნა, რომ სათანადო პროფესიული უნარების მქონე პერსონალის მისაღებად, ხელისუფლებას „უნდა ჰქონდეს მზაობა მოახდინოს ადეკვატური რესურსების ინვესტირება შერჩევისა და გადამზადების პროცესში და უზრუნველყოს ადეკვატური ხელფასის შეთავაზება“.[77]

203 პერსონალი „როგორც წესი უნდა დაინიშნოს უვადოთ და ჰქონდეს საჯარო მოხელის სამართლებრივი სტატუსი დასაქმების უზრუნველყოფის გარანტიით, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ კარგი ქცევის, ეფექტიანობის, კარგი ფიზიკური და ფსიქიკური მომზადებისა და ადეკვატური განათლების სტანდარტს“. ხელფასები უნდა იყოს ადეკვატური

---

73. „ცნობარი ციხის ხელმძღვანელებისთვის – ციხის მენეჯერებისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაში არსებული საბაზისო მომზადების ინსტრუმენტი და სასწავლო გეგმა“, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ პუბლიკაციების სერია, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), 2010, გვ. 56 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_for_Prison_Leaders.pdf.

74. „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრ სახელმწიფოებს ევროპული ციხის წესებზე“, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, 2006 წლის 11 იანვარი, წესი 76, ხელმისაწვდომია: www.refworld.org/docid/43f3134810.html.

75. იქვე, გვ. 55.

76. ჯიმ მერდოკი და ვაკლავ ჯირიკა, op. cit., შენიშვნა 31, გვ. 75.

77. “CAT/C/51/4”, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, op. cit., შენიშვნა 66, პარ. 63.

შესაბამისი პერსონალის მოძიებისა და შენარჩუნების მიზნით და დასაქმების სარგებელი და პირობები უნდა ასახავდეს „სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში არსებული მოთხოვნის ხასიათს“.[78]

204 უნდა ხდებოდეს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის და უნარების მქონე კანდიდატების შერჩევა.

უნარები და კომპეტენცია

205 მანდელას წესების მოთხოვნის თანახმად „ადეკვატური განათლების სტანდარტი“ დამოკიდებულია კონკრეტულ პოზიციაზე, რისთვისაც ხდება კადრების შერჩევა და შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების და რეგიონების მიხედვით. თუმცა, ციხის პერსონალისთვის გათვალისწინებული ძირითადი კომპეტენცია მოიცავს ინტერპერსონალურ და კომუნიკაციის უნარებს.

206 წამების საწინააღმდეგო კომიტეტი უთითებს ციხის თანამშრომლების კარგი ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების მნიშვნელობაზე და ამბობს, რომ „ადამიანებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის უნარის არსებობა უნდა იყოს ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორი სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის შერჩევის პროცესში“. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი დამატებით დასძენს, რომ „გადამზადების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს შორის ღირსების პატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას. პოლიციის ან ციხის ოფიცერს ამგვარი უნარ-ჩვევები ხშირად საშუალებას მისცემს განმუხტოს ისეთი სიტუაცია, რაც სხვაგვარად შეიძლება გადაზრდილიყო ძალადობაში და, უფრო მეტიც, ხელს შეუწყობს დაძაბულობის შემცირებას და პოლიციის ან საპატიმრო დაწესებულებაში ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ყველა დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ“.[79]

207 UNODC-მ აღნიშნა, რომ ციხის სისტემებში “პერსონალის თვისებები ორ ძირითად კატეგორიას წარმოადგენს, ესენია შესაძლებლობა და კეთილსინდისიერება. შესაძლებლობა ეხება თვისებებს, რომლის საშუალებით პირი ასრულებს სამსახურეობრივი მანდატის ფარგლებში არსებულ ტექნიკურ დავალებებს. კეთილსინდისიერება ეხება თვისებას, რომებლიც მას საშუალებას მისცემს, შეასრულოს ეს მანდატი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, პროფესიული და კანონის უზენაესობის სტანდარტების შესაბამისად“.[80]

კონტექსტი: პერსონალის ანგარიშვალდებულება [1.16]

ციხის ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს აღებული პასუხისმგებლობა მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. მათ, ვინც დადგენილია რომ დაარღვია კანონები ან შინაგანაწესი, უნდა დაეკისროს დისციპლინური ან სადაც ეს მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

პოლიტიკის შემმუშავებლებმა უნდა შეიმუშავონ პერსონალის ქცევის კოდექსი და სხვა სამოქმედო პრინციპები და მექანიზმები პერსონალის ქცევის დასარეგულირებლად და ძალადობრივი ან დისკრიმინაციული ქცევის თავიდან ასაცილებლად. ასეთი მექანიზმების გამოყენება უნდა მოხდეს სამართლიანად და გამჭვირვალედ და უზრუნველყოფდეს მათ დაქვემდებარებული ციხის თანამშრომლებისთვის პროცედურული დაცვის გარანტიებს.

დისციპლინური და ან თუნდაც სისხლის სამართლებრივი საქმისწარმოება უნდა განხორციელდეს იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც:*

- **დააკისრეს პატიმარს აკრძალული ან იმგვარი დისციპლინური სახდელი, რომლის გამოყენება არ დაიშვება;**
- **გამოიყენეს შემაკავებელი, ძალის და იარაღის აკრძალული საშუალებები, ან გამოიყენეს ნებადართული საშუალებები არასაჭიროებისამებრ და არაპროპორციულად;**
- **არ განახორციელეს გარდაცვალების, გაუჩინარების და სერიოზული დაზიანებების შეტყობინება გამოძიების დასაწყებად;**
- **არ ან ვერ განახორციელეს წამების ან არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება და გაკიცხვა;** [81]
- **მოითხოვეს ან მიიღეს ფული ან სხვა ნივთი პატიმრებისგან (კორუფცია);**
- **შეიტანეს ციხეში აღურიცხავი საქონელი;**
- **კანონთან და პროცედურებთან შესაბამისად ვერ ახორციელებენ პატიმრების პირადი საქმის მართვას, მათ შორის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით;**

78. ჯიმ მერდოკი და ვაკლავ ჯირიკა, op. cit., შენიშვნა 31, გვ. 75 „ევროპული ციხის წესებზე“ მითითებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, op. cit, შენიშვნა 77, წესები 76-79.

79. წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), „CPT-ს აქტივობების შესახებ მე-2 ზოგადი ანგარიში“, 1992 წლის 13 აპრილი, პარ. 60 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680696a3f.

80. “ციხის ხელმღვანელების ცნობარი”, UNODC, op. cit., შენიშვნა 76, გვ.54.

81. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციამ (WMA) აღნიშნა, რომ “წამების აქტების დოკუმენტირებისა და გაკიცხვის არარსებობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც ტოლერანტობის ფორმა და მსხვერპლთა მხარდაჭერის არარსებობა.“

— მხილებულნი იქნენ პატიმართა სექსუალურ შევიწროვებაში, ძალადობასა ან ექსპლუატაციაში, დაუშვეს ან ხელს უწყობდნენ ამგვარ ძალადობას; და

— ჩაერივნენ იურიდიული დახმარების განმახორციელებელი პირების საქმიანობაში ან ხელი შეუშალეს იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას.

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს არის მხოლოდ საილუსტრაციო ჩამონათვალი, რომელიც არ ფარავს ყველა იმ შემთხვევას, რა დროსაც ციხის თანამშრომელს შესაძლებელია დაეკისროს დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

კონტექსტი: ციხის თანამშრომლების ეთიკის ევროპული კოდექსი[82] [1.17]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა (CoE) მიიღო ციხის თანამშრომლების ეთიკის ევროპული კოდექსი, რომელის პროექტი შემუშავებული და განხილული იქნა ციხის ექსპერტების მიერ პენოლოგიის საბჭოს (PC–CP) ფარგლებში და რომელიც ეხება სასჯელაღსრულების სისტემის ყველა იერარქიული დონის თანამშრომელს. მინისტრთა კომიტეტმა ურჩია წევრი სახელმწიფოების მთავრობებს მოეხდინათ ტექსტისა და მასზე დაყრდნობით, ეროვნული კოდების უფრო ფართო გავრცელება და შესაბამისი ორგანოების მიერ მის შესრულებაზე ზედამხედველობა. ეთიკის კოდექსში ასახული ციხის პერსონალის ქცევის წესები:

ა. ანგარიშვალდებულება

— ყველა დონის ციხის თანამშრომელი პირადად უნდა იყოს პასუხისმგებელი, და ითვალისწინებდეს მისი ქმედებების, გულგრილობის ან მის დაქვემდებარებაში არსებული პირებისთვის გაცემული ბრძანებების შედეგებს; მათ ყოველთვის უნდა გადაამოწმონ განხორციელებამდე მათი ქმედებების კანონიერება.

ბ. კეთილსინდისიერება

— ციხის პერსონალმა უნდა შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს პიროვნული კეთილსინდისიერების და პატიოსნების მაღალი სტანდარტების განვითარებას. ციხის თანამშრომლები უნდა შეეცადონ პატიმრებთან და მათი ოჯახის წევრებთან პოზიტიური პროფესიული ურთიერთობების შენარჩუნება.

— ციხის პერსონალმა არ უნდა დაუშვას მათი პირადი, ფინანსური ან სხვა ინტერესების კონფლიქტი მათ პოზიციასთან. ყველა ციხის თანამშრომლის პასუხისმგებლობაა ამგვარი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და ეჭვის არსებობის შემთხვევაში განმარტების მიღების მოთხოვნა.

— ციხის თანამშრომლებმა არ უნდა დაუშვან კორუფციის ნებისმიერი ფორმით არსებობა. მათ უნდა შეატყობინონ ზემდგომ ხელმძღვანელ პირებს და სხვა შესაბამის ორგანოებს ციხის სამსახურში ნებისმიერი კორუფციული შემთხვევის არსებობის შესახებ.

— ციხის თანამშრომლები ახორციელებენ ზემდგომი ხელმძღანელი პირების მიერ გაცემული ყველა სამართლებრივი მითითების შესრულებას, მაგრამ მათ აქვთ ვალდებულება, თავი შეიკავონ იმ მითითებების შესრულებაზე, რომლებიც სერიოზულად და აშკარად არღვევს კანონს და აცნობონ ამის შესახებ უფლებამოსილ პირებს სანქციების მიღების შიშის გარეშე.

გ. ადამიანის ღირსების დაცვა და პატივისცემა

— ციხის პერსონალმა ნებისმიერ დროს უნდა დაიცვას ყველას სიცოცხლის უფლება.

— ყოველდღიური უფლებანოსილების განხრციელების პროცესში ციხის პერსონალმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება და შეინარჩუნოს და დაიცვას ყველა პირის ძირითადი უფლებები.

— ციხის თანამშრომლებმა ყოველი მიზეზის გარეშე, მათ შორის ზემდგომი პირის მითითების მიღების შემთხვევაშიც კი, არ უნდა ჩაიდინონ, წააქეზონ ან ითმინონ წამების ან სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ნებისმიერი ნიშნები.

— ციხის თანამშრომელმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას ნებისმიერი პატიმრის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, მათ შორის, პატიმრების ან სხვა პირის მიერ განხორციელებული თავდასხმისგან.

— ციხის თანამშრომლები ნებისმიერ დროს პატივისცემითა და ზრდილობით უნდა მოეპყრან ციხეში შესულ პატიმრებს, კოლეგებს და ყველა სხვა პირს.

— ციხის პერსონალი მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში ახდენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა.

82. „მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)5 წევრი სახელმწიფოებისთვის ციხის თანამშრომლების ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ“, ევროპის საბჭო, 12 აპრილი 2012 წლის. ევროპის საბჭო ასევე მუშაობს ციხის თანამშრომელთა ქცევის კოდექსის შემუშავებაზე.

— ციხის თანამშრომლებმა არ უნდა გამოიყენონ ძალა პატირების წინააღმდეგ გარდა თავდაცვის, გაქცევის მცდელობის ან კანონიერი ბრძანებისთვის პასიური ან აქტიური ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის აღსაკვეთად, და ისიც მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას.

— ციხის თანამშრომლებმა უნდა განახორციელონ პატიმრების ჩხრეკა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში და პროცესის განმავლობაში არ უნდა შეურაცხყონ პატიმრები.

— ციხის პერსონალმა უნდა გამოიყენოს შემაკავებელი საშუალებები მხოლოდ ევროპული ციხის წესების 68–ე წესში გათვალისწინებული შემთხვევების დროს. კერძოდ, მათ არასოდეს არ უნდა გამოიყენონ ისინი ქალების მიმართ მუშაობის, მშობიარობის და უმალვე მშობიარობის შემდეგ.

დ. ზრუნვა და მხარდაჭერა

— ციხის პერსონალი უნდა იყოს მგრძნობიარე ისეთი პირების, როგორიცაა არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები, და ნებისმიერი სხვა პატიმრები, რომლებიც შეიძლება მოწყვლადნი იყვნენ სხვა მიზეზთა გამო, სპეციალური საჭიროებების მიმართ და არ დაიშურონ ძალისხმევა შესაბამისი საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

— ციხის პერსონალი ვალდებულია უზრუნველყონ პატიმრობაში მყოფი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული დაცვა, კერძოდ, მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყონ შესაბამისი სამედიცინო დახმარების მიწოდება.

— ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს პატიმრობასი მყოფი პირების უსაფრთხოება, ჰიგიენა და სათანადო კვება. მათ უნდა უზრუნველყონ ციხის პირობების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, ევროპული ციხის წესებთან.

— ციხის პერსონალმა უნდა იმუშაოს სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით კონსტრუქციული აქტივობების, ინდივიდუალური ურთიერთობის და მხარდაჭერის მეშვეობით.

ე. სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და არადისკრიმინაცია

— ციხის პერსონალმა პატივი უნდა სცემდეს პატიმართა მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას და არ დაუშვას პატიმართა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის ან იმ დანაშაულის საფუძველზე, რომელის ჩადენაც მსჯავრად ან ბრალად შეერაცხა პატიმარს. ციხის თანამშრომლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ევროპული ციხის წესების 29–ე წესის დებულებებს.

— ციხის თანამშრომლები სრულად უნდა ითვალისწინებდნენ რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლის აუცილებლობას, ასევე გენდერული მგრძნობელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და აღკვეთონ ყველა ფორმის სექსუალური შევიწროვება და ძალადობა როგორც პატიმრების, ასევე ციხის თანამშრომლების მიმართ.

— ციხის თანამშრომლებმა უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები სამართლიანად, ობიექტურად და თანმიმდევრულად.

— ციხის თანამშრომლები პატივს უნდა სცემდნენ იმ პატიმრების უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვისაც ჯერ არ დასდებია მსჯავრი და არ შეეფარდა სასჯელი სასამართლოს მიერ.

— ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ ევროპული ციხის წესებით გათვალისწინებული ობიექტური და სამართლიანი დისციპლინური პროცედურები. უფრო მეტიც, მათ პატივი უნდა სცენ პრინციპს, რომლის მიხედვით პატიმარი, რომლის მიმართ წარმოებს დისციპლინური საქმისწარმოება ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება შესაბამისად დადგენილი წესით.

ვ. თანამშრომლობა

— ციხის თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყოფენ პატიმრების უფლება შეხვდნენ თავიანთ ადვოკატებს და ოჯახს რეგულარულად პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

— ციხის თანამშრომლებმა ხელი უნდა შეუწყონ პატიმრების კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრბო ორგანიზაციებთან და სათემო ჯგუფებთან თანამშრომლობას.

— ციხის პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს კოლეგებს შორის თანამშრომლობის, მხარდაჭერის, ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებას.

ზ. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

- **ციხის პერსონალის ხელთ არსებული კონფიდენციალური ხასიათის მონაცემები უნდა ინახებოდეს კონფიდენციალურად, თუ მოვალეობების შესრულება ან მართლმსაჯულების განხორციელების საჭიროება მკაცრად არ მოითხოვს სხვაგვარად მოქმედებას.**
- **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამედიცინო მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპების პატივისცემის ვალდებულებას.**
- **ციხის პერსონალის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება უნდა განხორციელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპების შესაბამისად, კერძოდ, მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კანონიერი, ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნით.**

თ. ზოგადი მოთხოვნები

- **ციხის თანამშრომლები პატივს უნდა სცემდნენ წინამდებარე კოდექს. მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით თავიდან უნდა აიცილონ და მკაცრად შეეწინააღმდეგონ მისი დებულებების დარღვევას.**
- **ციხის თანამშრომლებს, რომლებსაც მიიჩნიათ, რომ დაიღრვა წინამდებარე კოდექსის მოთხოვნები, უნდა შეატყობინონ ამის შესახებ მათ ზემდგომ პირებს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის ორგანოებს**

ციხის პერსონალის შემადგენლობა

208 ციხის თანამშრომლების შერჩევისას ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პატიმართა და თანამშრომელთა ადეკვატური თანაფარდობა, უზრუნველყოს დაწესებულებაში მყოფი ყველა პირის უსაფრთხოება.

209 უნდა არსებობდეს ქმედითი პოლიტიკური ნება მრავალფეროვან თანამშრომელთა შერჩევის კუთხით, მათ შორის რასობრივი ან ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლებისაგან და სადაც ეს შესაძლებელია, თავად ციხის კონტიგენტის მრავალფეროვნების ასახვის მიზნით.

210 უფლებამოსილმა პირებმა უნდა გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ქალი თანამშრომლების შერჩევის მიზნით, რასაც ითვალისწინებს 81(3) წესის მოთხოვნა, და რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალი პატიმრების საკნებში მონახულება და ზედამხედველობა უნდა განახორციელოს მხოლოდ ქალმა თანამშრომელმა.

211 სამედიცინო პერსონალთან, რომელიც უნდა იყოს ციხის თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად, დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, იხილეთ წესი 25(2).

თანამშრომლების დაქირავების წესი და პირობები

212 UNODC რეკომენდაციის შესაბამისად ციხის პერსონალის კომპენსაცია „უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ სტანდარტებსა და საბაზრო ფაქტორებს და შეესაბამებოდეს პირის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების სირთულეს, დაკისრებულ პასუხისმგებლობას და ინდივიდის გამოცდილებასა და უნარებს“. UNODC-ი ასევე აღნიშნავს დაწინაურების სისტემის მნიშვნელობას დასაქმებულის განვითარების წახალისების და თანამდებობრივი ზრდის შესაძლებლობების ურუნველყოფის მიზნით.[83]

213 გაეროს საჯარო სერვისების ოფისი (UNOPS) ხაზს უსვამს თანამშრომელთა მხარდაჭერის აუცილებლობაზე მათ მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების პროცესში, მათ შორის ციხის თანამშრომლების სამუშაო სივრცის მთლიანი გამოყოფის აუცილებლობაზე პატიმრების მიერ გამოყენებული ტერიტორიებიდან. UNOPS ასევე აღნიშნავს, რომ თანამშრომლების განთავსების ადგილებში უნდა არსებობდეს საკმარისი გამოსაცვლელი ოთახები ქალი და მამაკაცი ციხის თანამშრომლებისათვის და რომ ობიექტები აღჭურვილი უნდა იყოს ნიჟარებით, ტუალეტებით და საშხაპეებით.[84]

გადამზადების შესაძლებლობა და მეთოდოლოგია

214 სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელების დაწყებამდე თანამშრომელთა გადამზადებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი არსებული ცოდნის შენარჩუნება და გაუმჯობესება, და ასევე პოლიტიკისა და პრაქტიკის ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის წარმატებული პრაქტიკის შესახებ მათთვის ინფორმაციის მიწოდება. ამის გათვალისწინებით, სასწავლო კურიკულუმი რეგულარულად უნდა განახლდეს, მათ შორის მანდელას წესების ახალი დებულებების გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ახალი და განახლებული სასწავლო პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ძველი, ასევე სამსახურში ახლად დანიშნული თანამშრომლებისთვის.

---

83. „ციხის ხელმძღვანელების ცნობარი“, UNODC, op. cit., შენიშვნა 76, გვ. 56.

84. „ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები“, UNOPS, 2016, გვ. 203. ხელმისაწვდომია: www.unops.org/SiteCollectionDocuments/Publications/TechnicalGuidance_PrisonPlanning.pdf.

215 თანამშრომელთა გადამზადების და დაწინაურების შესაძლებლობები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა თანამშრომლისთვის თანაბარ საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე და მათი კონკრეტული როლებისა და ფუნქციების შესაბამისად. ბანგკოკის წესების 32-ე წესი ადგენს, რომ ციხის ქალმა თანამშრომლებმა მამაკაცებთან თანაბარ პირობებში უნდა მიიღონ გადამზადების შესაძლებლობა. UNODC-ს პოლიტიკის მენეჯერების და პოლიტიკის შემმუშავებელი პირების ცნობარი: ქალების და პატიმრობის საკითხებზე[85] ასევე განსაზღვრავს ციხის ქალი თანამშრომლების გაძლიერებას სასჯელაღსრულების სისტემაში და წარმოადგენს შემდგომ წინადადებებს იმ კონკრეტული სასწავლო პროგრამების შესახებ, რომელიც საჭიროა იმ ქალი თანამშრომლების და სხვათა გადასამზადებლად, ვინც მუშაობს ქალ პატიმრებთან.

216 ეფექტიანი გადამზადების კურსის ჩატარების მიზნით ფრთხილად უნდა იქნას შერჩეული თავად გადამზადების მომწოდებელი პირები. მათ კარგად უნდა იცოდნენ როგორც განსახილველი საკითხები, ასევე ციხის გარემო და იცნობდნენ ციხის თანამშრომლებისა და პატიმრების წინაშე არსებულ გამოწვევებს.

217 ინტერნეტ სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობა საკმაოდ პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ ის ვერ შეცვლის პირისპირ განათლებას. სასწავლო პროგრამები შეიძლება განხორციელდეს ერთობლივად სპეციალიზებული სათემო ორგანიზაციები მიერ.

გადამზადების შინაარსი

218 სასწავლო პროგრამები უნდა შეიცავდეს საკითხებს ადამიანის უფლებების და, როგორც მინიმუმ, 76-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა სფეროს თაობაზე. ეს გულისხმობს ეროვნულ კანონმდებლობას, რეგულაციებსა და პოლიტიკას, შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებს, ციხის პერსონალის უფლებებსა და მოვალეობებს (მათ შორის, პატიმრის ღირსების პატივისცემა), უსაფრთხოება (მათ შორის დინამიური უსაფრთხოება) და პირველადი სამედიცინო დახმარება (მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენის ჩათვლით).

219 გადამზადება ძალის გამოყენების და შემაკავებელი საშუალებების შესახებ უნდა ითვალისწინებდეს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა დეესკალაციის ტექნიკა, კონფლიქტების პრევენცია და მედიაცია, ასევე სწავლებას კონტროლის მეთოდების გამოყენების შესახებ, რაც გამორიცხავს შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას ან ამცირებს საშუალებების ინტრუზიულ ბუნებას, როგორც ეს მითითდებულია 49-ე წესში.

220 სწავლება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კანონებისა და რეგულაციების თეორიული პრეზენტაციით, არამედ უნდა იყოს პრაქტიკული და სიტუაციების აღწერით მოცემული სავარჯიშოებით გაჯერებული.[86] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ძალის გამოყენების, შემაკავებელი საშუალებების და ძალადობრივი დამნაშავეების მართვას.

კონტექსტი: სპეციალური სწავლება პატიმრების სპეციფიკურ ჯგუფებთან მომუშავე თანამშრომლებისთვის [1.18]

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მანდელას წესების 76–ე წესის შესაბამისად განსახორციელებელი სწავლება მინიმალურ დონედ უნდა მივიჩნიოთ და უნდა იყოს გათვალისწინებული სწავლების შესახებ დამატებითი რეკომენდაციების მქონე სხვა საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები. ციხის თანამშრომლებისთვის სპეციალური მომზადების ჩატარების მოთხოვნა შეესაბამება ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას გაითვალისწინონ პატიმართა ინდივიდუალური საჭიროებები და დაიცვან და უზრუნველყონ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებები, როგორც ეს განსაზღვრულია მე–2(2) წესში. თუ თანამშრომელი იცვლის საქმიანობის სფეროს, ის უნდა გადამზადდეს შესაბამის საკითხებში.

UNODC ცნობარი სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების შესახებ[87] წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობების, მკვიდრი მოსახლეობის, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, ლგბტი პატიმრების, ხანდაზმული პატიმრების, ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პირების და სიკვდილით დასჯის მომლოდინე პატიმრებთან მუშაობის შესახებ. სახელმძღვანელო განსაზღვრავს გადამზადების კურსებს, რომლებიც საჭიროა ამ ჯგუფებთან მუშაობისთვის და წარმოადგენს მათი განხორციელებისთვის საჭირო ძირითად რეკომენდაციებს. გადამზადების კურსი ასევე უნდა ითვალისწინებს ციხეებში სექსუალური და გენდერული ძალადობის ნიშნებს და აღნიშნულთან დაკავშირებით წარდგენილ ბრალდებებზე რეაგირებას.

85. „პოლიტიკის მენეჯერების და პოლიტიკის შემმუშავებელი პირების ცნობარი: ქალების და პატიმრობის საკითხებზე, UNODC, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ პუბლიკაციების სერია, 2008 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/women-and-imprisonment.pdf.

86. „ესექსის დოკუმენტი 3“, ციხის საერთაშორისო რეფორმა, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 38.

87. „ცნობარი სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების შესახებ“, (UNODC), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი 2009 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf.

ბანგკოკის წესები ითხოვს თანამშრომლებმა გაიარონ სპეციალური სწავლება ქალ პატიმართა წარსული ცხოვრების და საჭიროებების საკითხებზე (იხ. წესი 33). მაგალითად, 32–ე წესი ითვალისწინებს ქალთა ციხეების მართვაში ჩართული ყველა თანამშრომლისთვის სწავლების აუცილებლობას გენდერულ მგრძნობელობაზე და დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროვების აკრძალვის საკითხებზე. ბანგკოკის წესების 29–ე წესი აღნიშნავს, ქალთა ციხის თანამშრომლების გადამზადებამ „საშუალება უნდა მისცეს მათ უპასუხონ პატიმარი ქალების განსაკუთრებულ სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებს და მართონ უსაფრთხო და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული დაწესებულებები".

ბანგკოკის წესების 34–ე წესი ასევე განსაზღვრავს აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის შესაძლებლობების განვითარების პროგრამების აუცილებლობას და „ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერი და ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი მათი კავშირი აივ ინფექციასთან, სტიგმასა და დისკრიმინაციასთან".

სპეციალური მომზადება ესაჭიროებათ ასევე ბავშვებთან და არასრულწლოვნებთან მომუშავე ციხის თანამშრომლებს. ჰავანის წესების 85–ე წესი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალმა „მიიღოს ისეთი გადამზადება, რაც მათ საშუალებას მისცემს განახორციელონ თავიანთი მოვალეობები ეფექტიანად, კერძოდ კი გადამზადდენ ბავშვთა ფსიქოლოგიაში, ბავშვთა კეთილდღეობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა ნორმებისა და უფლებების საკითხებზე".

ბანგკოკის წესების 33–ე წესი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები დედებთან ერთად იმყოფებიან პატიმრობაში, ციხის თანამშრომლები უნდა გადამზადნენ „ბავშვის განვითარების" საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად და „იმისათვის, რომ მათ სათანადო რეაგირება მოახდინონ საჭიროებებისა და საგანგებო სიტუაციების შემთხვევებში".

1.8 შიდა ინსპექცია

221 83, 84 და 85-ე წესები განიხილავს ზედამხედველობის სხვადასხვა სახეებს, მათ შორის შიდა ინსპექციას და გარე მონიტორინგს.[88] როგორც შიდა, ასევე გარე ზედამხედველობის მექანიზმები წარმოადგენს ციხის მართვის პროფესიონალურ მექანიზმებს და ემსახურება „უზრუნველყოს ციხის მართვის შესაბამისობა არსებულ კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან, პოლიტიკასა და პროცედურებთან, სასჯელაღსრულების და გამასწორებელი სამსახურების მიზნების განხორციელებასა და პატიმართა უფლებების დაცვასთან".[89] შიდა და გარე ზედამხედველობის მექანიზმები ავსებენ ერთმანეთს.

შიდა ინსპექტირების მექანიზმები ეხება ინსპექციას, რომელსაც ახორციელებს ციხის ცენტრალური ადმინისტრაცია ციხის წესებთან შესაბამისობის მონიტორინგის მიზნით. ისინი არ ითვალისწინებენ ან არ იზღუდებიან ადამიანის უფლებათა დაცვის შეფასების ან წამების ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების პრევენციით, მაგრამ ფარავენ ისეთი საკითხთა საკმაოდ ფართე სპექტრს, როგორიცაა უსაფრთხოება, ფინანსები ან თანამშრომელთა გადამზადება

გარე მონიტორინგის მექანიზმები,[90] შიდა ინსპექტირებასთან შედარებით, უნდა იყოს დამოუკიდებელი ციხის ადმინისტრაციისაგან, თუმცა მათმა მანდატმა შეიძლება გადაფაროს შიდა ინსპექტირების ნაწილი. გარე მონიტორინგი განხილულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე -7 თავში**.

88. წესი 83 (1)(ბ), 84 (2) და 85 (2) ეხება მხოლოდ გარე მონიტორინგის მექანიზმებს, მაშინ როდესაც წესი 83 1(ა) განიხილავს მხოლოდ შიდა ინსპექციას.

89. „მანდელას წესები", UNGA, op. cit., შენიშვნა 1, წესი 83 (2).

90. „ესექსის დოკუმენტი 3", ციხის საერთაშორისო რეფორმა, შენიშვნა 4, გვ. 38 აღნიშნავსმ რომ: „რომ არ არსებობს მკაფიო განსხვავება ტერმინებს შორის „ინსპექტირება" და „მონიტორინგი". „ინსპექტირება", ალბათ, უფრო ხშირად შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის აქტორების მიერ შიდა ინსპექტირების აღწერისას, ხოლო ტერმინი „მონიტორინგი" – ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოების მიერ, გარე, დამოუკიდებელი ორგანოს მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან მიმართებაში."

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

222 დამოუკიდებლობის ხარისხის წყალობით გარე მონიტორინგის მექანიზმი საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა საპატიმრო ადგილებში სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირებასა და შეფასებაში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება წამების ან სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილებას, ხელმძღვანელობა ვალდებულია უფრო ფართო მასშტაბით შეამოწმოს ციხეების საქმიანობა ეროვნულ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობაში. აქედან გამომდინარე, ბევრ ქვეყანაში ადგილზე არსებობს ცალკე შიდა ან ადმინისტრაციული ინსპექტირების მექანიზმი.

223 მანდელას წესების 83-ე წესი თვლის, რომ შიდა ინსპექციის და გარე მონიტორინგის მექანიზმი აუცილებელია ციხის პროფესიული მართვისათვის.

პრაქტიკაში განხორციელება

ინსპექციის ფარგლები

224 ICPS- მა აღნიშნა, რომ შიდა ინსპექცია „არის ინსპექტირების უფრო ფორმალური ტიპი, რომელიც ციხის ცენტრალური ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ცალკეულ ციხეებში ხორციელდება. ამ ტიპის შემოწმება ხშირად იღებს პროცედურების აუდიტის ფორმას. მას შეუძლია დაფაროს საკითხების ფართო სპექტრი, როგორიცაა უსაფრთხოება, ფინანსები, აქტივობები პატიმრებისთვის, თანამშრომლების გადამზადება ან დისკრიმინაცია. ბევრ ადმინისტრაციაში ეს პროცედურა შეფასდება იმ სტანდარტებით, რომლებიც შემუშავებულია ცენტრალურ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ციხეების სისტემის ერთიანობა. ზოგიერთი ადმინისტრაცია განსაზღვრავს ზედამხედველებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან განახორციელონ დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისად ციხის საქმიანობის მონიტორინგი. ეს შემოწმება ხშირად კონცენტრაციას ახდენს ადმინისტრაციულ პროცესებზე. შემოწმების ან აუდიტის ეს ფორმა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თავისთავად არ არის საკმარისი“.[91]

225 შიდა ინსპექციის ფარგლები განსხვავდება იურისდიქციის მიხედვით, მაგრამ მაშინ როდესაც გარე მონიტორინგი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს პატიმრების უფლებებზე და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებაზე, შიდა ინსპექცია უფრო ფართოდ აფასებს ეროვნულ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხს. ეს შეიძლება მოიცავდეს ციხის მართვის ტექნიკურ ასპექტებს, თანამშრომლებისთვის განსაზღვრულ წესებს და პროცედურებს, ციხის თანამშრომლების სამუშაო პირობების შესაბამისობას ეროვნულ პოლიტიკასთან, ციხის ადმინისტრაციის მიერ ანტიკორუფციული პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ფინანსების მართვას. თუმცა, როგორც 83(2) წესი ცხადყოფს, შიდა ინსპექციის ფარგლები ასევე მოიცავს პატიმრების უფლებების დაცვას.

ვინ ახორციელებს შიდა ინსპექციას?

226 „შიდა ინსპექცია ზოგადად ხორციელდება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იმ ადმინისტრაციის ან სამინისტროს ზედამხედველობით, რომელიც პასუხისმეგებლია დაკავების ეროვნული დაწესებულებების საქმიანობაზე. თუმცა, როგორც EPR-ის განმარტავს, ციხეების შემოწმებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანო „შეიძლება იყოს ერთი სამინისტროს ნაწილი, მაგალითად, იუსტიციის სამინისტრო ან შინაგან საქმეთა სამინისტრო, ან შეიძლება იყოს რამდენიმე სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სააგენტო. მთავარია, რომ ასეთი სააგენტო ან ინსპექტორი დაინიშნოს და იყოს ანგარიშვალდებული ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან“.[92]

227 EPR-ის განცხადებით, „ციხეები უნდა შემოწმდეს სამთავრობო სააგენტოების მიერ რეგულარულად“.[93]

---

91. „პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“ ICPS, op. cit., შენიშვნა 29, გვ.122.

92. „კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2-ზე წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპული ციხის წესების თაობაზე“, ევროპის საბჭოს გამოცემა, 2006 წლის ივნისი.

93. იქვე , გვ. 32.

ინსპექციის მეთოდოლოგია

228 გარე მონიტორინგის მექანიზმების მსგავსად, შიდა ინსპექციას უნდა ჰქონდეს წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციასთან ციხის ინფრასტრუქტურის, მათ შორის პატიმრების საერთო რაონდეობის და ციხისა და დაკავების ადგილებში არსებული ლოკაციების შესახებ (წესი 84 (1)). მათ თავისუფლად უნდა შეეძლოთ იმ ციხის ან პატიმრის არჩევა, რომლის მონახულება ან ვისთან გასაუბრებაც სურთ. მათ უნდა შეეძლოთ პირადი და სრულად კონფიდენციალური ინტერვიუების ჩატარება და უნდა ჰქონდეთ ვიზიტების განხორციელების შესაძლებლობა წინასწარი შეტყობინების გარეშე. ინსპექტორების უფლებამოსილება დეტალურადაა აღწერილი 84-ე წესში.

229 EPR- ის კომენტარში განმარტავს, რომ „ინსპექციის განხორციელების გზები იცვლება იმის გათვალისწინებით ამოწმებს თუ არა ინსპექტორი მხოლოდ რეგიტრაციის ჟურნალში ჩანაწერების განხორციელების სისწორეს თუ ახორციელებს სიღრმისეულ და თანმიმდევრულ შემოწმებას, რომელიც ითვალისწინებს ციხის მართვის და პატიმრებთან მოპყრობის ყველა ასპექტს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ინსპექციის შედეგები ეცნობება ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს და დაყოვნების გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის“.[94]

230 შიდა ინსპექციის და გარე მონიტორინგის ვიზიტები უნდა განხორციელდეს იმდენჯერ, რომ მოხდეს პირობების და ციხის სისტემის ცვლილებების და განვითარების ეფექტიანი მონიტორინგი საკმარისი მოქნილობის პირობებში, რაც საშუალებას მისცემს შესაბამის უწყებებს განსაზღვრონ პრობლემური ციხეების მონიტორინგის პრიორიტეტულობა.[95]

231 წესი 85 მოითხოვს, რომ ყველა ინსპექტირებას მოჰყვეს წერილობითი ანგარიში, რომელიც უნდა წარედგინოს კომპეტენტურ ორგანოს. თუმცა შიდა ინსპექტირების შედეგები როგორც წესი არ არის საჯარო.[96]

232 UNODC-მა გამოაქვეყნა შიდა ინსპექციის მექანიზმების ჩამონათვალი და წარმოადგინა ინსტრუმენტები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანდელას წესებთან შესაბამისობაში ეროვნულ დონეზე შიდა ინსპექტირების სისტემების ეფექტიანობის და შედეგიანობის გაზრდის მიზნით. ჩამონათვალი შედგება შვიდი თავისაგან 36 მოსალოდნელი შედეგის შესახებ, რომლის მიღწევას ციხეები უნდა ეცადნონ, ასევე მოცემულია 241 ინდიკატორი, იმის განსაზღვრის ხელშესაწყობად, მიღწეული იქნა თუ არა მოსალოდნელი შედეგები, ან მიმდინარეობს თუ არა პროგრესი მათ მისაღწევად.[97]

---

94. იქვე, გვ. 92-93.

95. „ესექსის დოკუმენტი 3“, ციხის საერთაშორისო რეფორმა, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 39.

96. „მანდელას წესები“ UNGA, op. cit., შენიშვნა 1, წესი 85(1): აზუსტებს, რომ სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გარე მონიტორინგის ანგარიშის საჯარო ხელმისაწვდომობას.

97. „ნელსონ მანდელას წესებთან შესაბამისობის შეფასება: შიდა ინსპექციის მექანიზმების ჩამონათვალი“, UNDOC, 2017 წლის აგვისტო ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/17-04946_E_ebook_rev.pdf (ესპანურ, არაბულ, ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გთხოვთ იხ. www.unodc.org/unodc/en/justice-and-prison-reform/tools.html)

2

დაცვა, უსაფრთხოება და ღირსების შენარჩუნება ყველასთვის

2.1 პატიმრების შემოწმება და საკნების ჩხრეკა
2.2 მნახველების ჩხრეკის და ციხეში შესვლის პროცედურები
2.3 ციხეში მშობლებთან ერთად მცხოვრები ბავშვები
2.4 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები
2.5 გარდაცვლილი პატიმრის ცხედართან მოპყრობა
2.6 მონობა

2. დაცვა, უსაფრთხოება და ღირსების შენარჩუნება ყველასთვის

2

01 მანდელას წესების 1-ლი წესი ცხადყოფს, რომ „ყველა პატიმრის მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობის პატივისცემას“. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს, რომ ციხის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია არა მხოლოდ პატიმრების, არამედ ციხის მთელი პერსონალის, მომსახურების მიმწოდებლებისა და ყველა მნახველის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ყველა შემთხვევაში, დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება უნდა იყოს დაბალანსებული კანონიერების, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებით.

მანდელას წესების შესაბამისად პატიმრების ღირსების დასაცავად ციხემ უნდა უზრუნველყოს პატიმრობის მინიმალური პირობები, რაც გულისხმობს პატიმრებისთვის განთავსების ადგილის განსაზღვრას, ტანსაცმლის მიწოდებას და ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფას.[98] თუმცა, ვინაიდან ამ საკითხების მარეგულირებელი წესები არ განახლებულა, ეს თავი ყურადღებას ამახვილებს მანდელას წესების მხოლოდ ახალ დებულებებს.

უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხები ითვალისწინებს როგორც სტატიკურ საკითხებს, როგორიცაა პატიმრობის დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, ასევე დინამიურ საკითხებს, რაც გულისხმობს კონკრეტულ დაწესებულებაში არსებული პირების ურთიერთქმედებას. სტატიკური და დინამიური უსაფრთხოების კონცეფციები უფრო დეტალურად აღწერილია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის **თავი 3, პარაგრაფი 1**.

2.1 პატიმრების და საკნების ჩხრეკა

02 მანდელას წესები გასცემს სახელმძღვანელო მითითებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პატიმრების და საკნების ჩხრეკა და შემოწმება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ციხის დაწესებულების სათანადო წესრიგი და ამავდროულად დაცული იქნას ამ პირების ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები. წესები ასევე განმარტავს სამედიცინო პერსონალის როლს სხეულის სიღრმისეული შემოწმების განხორციელების პროცესში.

ჩხრეკა და შემოწმება ჩვეულებრივ ტარდება მაშინ, როდესაც პატიმრები პირველად შედიან ციხეში, ბრუნდებიან სასამართლო სხდომებიდან, საავადმყოფოს ვიზიტებიდან ან ციხის გარეთ არსებული სამუშაო ადგილებიდან. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ციხის თანამშრომელს აქვს ეჭვი პატიმრის ფლობელობაში აკრძალული ნივთის არსებობის თაობაზე.

პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის განმსაზღვრელი ეროვნული კანონები და წესები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. უნდა არსებობდეს მკაფიო რეგულაციები ეროვნულ დონეზე, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის ჩხრეკის დასაშვებობას, განსაკუთრებით სხეულის გაშიშვლებით და ინვაზიური შემოწმების განხორციელებას. ეს წესები უნდა შეიცავდეს დეტალებს იმასთან დაკავშირებით თუ ვინ არის უფლებამოსილი განახორციელოს ასეთი შემოწმება და მისი განხორციელების მეთოდები. სხეულის გაშიშვლებით და ინვაზიური შემოწმების პროცედურები მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული კანონით. ქალი და ბავშვი პატიმრების ჩხრეკისა და შემოწმებისას უნდა არსებობდეს კონკრეტული მითითებები. (ციხის მნახველების ჩხრეკა, იხ. სახელმძღვანელო დოკუმენტის **თავი 2, პუნქტები 54-72**).

ციხის ბევრ დაწესებულებაში ხშირია თავად ციხის თანამშრომლების ჩხრეკის და შემოწმების შემთხვევები, რადგან არსებობს გარედან მათ მიერ ციხეში აკრძალული ნივთების შემოტანის რისკი. მანდელას წესები არ შეიცავს ციხის თანამშრომლების და მომსახურების მიმწოდებელი პირების ჩხრეკის და შემოწმების განმსაზღვრელ დებულებებს, თუმცა წესებით გათვალისწინებული შემოწმების აუცილებლობისა და პროპორციულობის უზრუნველყოფის გარანტიები თანაბრად გამოიყენება ასევე თანამშრომლების მიმართ და იგი უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლებად შემაწუხებელი.

---

98. „მანდელას წესები“, UNGA, op. cit., შენიშვნა 1, წესები 12-23. აღნიშNულიწ ესები ეხება პატიმართა განთავსებას, პირად ჰიგიენას, თეთრეულსა და თანსაცმელს, საკვებს, ფიზიკურ მომზადებას და სპორტს.

შესაბამისი წესები: პატიმრების და საკნების ჩხრეკა

წესი 50: პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს, ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით. ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს ჩხრეკის ობიექტის ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით.

წესი 51: დაუშვებელია, ჩხრეკის გამოყენება პატიმრის შევიწროების, დაშინების ან მის პირად ცხოვრებაში არააუცილებელი შეჭრის მიზნით. ანგარიშვალდებულების მიზნით, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, აწარმოოს შესაბამისი ჟურნალი ჩატარებული ჩხრეკების, კონკრეტულად კი — გაშიშვლებით შემოწმების, სხეულის სიღრმისეული შემოწმების და საკნების ჩხრეკის შესახებ და მიუთითოს ჩხრეკის მიზეზი, განმახორციელებელი პირების ვინაობა და შედეგი.

წესი 52:

1. ინტრუზიული სახის ჩხრეკის, მათ შორის შემოწმება გაშიშვლებით და სხეულის სიღრმისეული შემოწმება, ჩატარება დაშვებულია მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში. საჭიროა ციხის ადმინისტრაციის წახალისება, მათ მიერ ინტრუზიული სახის ჩხრეკის შესაბამისი ალტერნატივის შემუშავებისთვის. ინტრუზიული სახის ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს კონფიდენციალურად, სპეციალურად მომზადებული და ჩხრეკის ობიექტი პატიმრის სქესის წარმომადგენელი პირის მიერ.

2. აუცილებელია, სხეულის სიღრმისეულ ჩხრეკას ატარებდეს მხოლოდ კვალიფიციური სამედიცინო პროფესიონალი, პატიმარზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირი ან, მინიმუმ, სამედიცინო პროფესიონალის მიერ ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებში შესაბამისად მომზადებული თანამშრომელი.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

უსაფრთხოების და დაცულობის უზრუნველყოფა

03 ციხის ოფიციალური პირები პატიმრების და მათი საკნების ჩხრეკას და შემოწმებას ახორციელებენ ციხის უსაფრთხოების დაცვის და დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის, მათ შორის თანამშრომლების, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის მიზნით. ჩხრეკა და შემოწმება ასევე აუცილებელია ციხეში ისეთი აკრძალული ნივთების უკანონო გზით შეტანის აღსაკვეთად, როგორიცაა მაგალითად ნარკოტიკები, იარაღი ან სხვა საგნები და რომლებიც შესაძლოა საზიანო იყოს პატიმრისთვის ან რომელთა დახმარებითაც მას მიეცემა ციხიდან გაქცევის შესაძლებლობა.

04 თუ ჩხრეკის პროცედურები და გარანტიები კარგად არის დარეგულირებული და იგი პირის ღირსებისა და პირადი ხელშეუხებლობის პატივისცემის დაცვით ხორციელდება, მაშინ თანამშრომლები უკეთ იქნებიან აღჭურვილნი მათი ფუნქციების სათანადო განხორციელების თვალსაზრისით და შეძლებენ პატიმრებთან და ციხის სხვა თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას.

05 ჩხრეკის დროს ციხეში უკანონო გზით შეტანილი საქონელის აღმოჩენით ხელისუფლებამ ასევე შეიძლება შეამციროს ციხეებში საქონლით უკანონო ვაჭრობის შემთხვევები. დამატებით, ჩხრეკას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ციხეში აღურიცხავი საქონლის უკანონო შეტანის პრევენციის კუთხით.

პირის ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემა

06 ჩხრეკის პროცესი სათანადოდ უნდა იყოს დარეგულირებული, რადგან ზოგჯერ ის გამოიყენება, როგორც პატიმართა შევიწროვების, დაშინების ან დასჯის იარაღად. შესაბამისად, მანდელას წესები განსაზღვრავს ჩხრეკის და შემოწმების ჩატარების სხვადასხვა მეთოდებს და მათი განხორციელების მარეგულირებულ წესებს. ჩხრეკა და შემოწმება შესაძლოა იყოს დამამცირებელი, დამთრგუნველი და ტრავმატული ყველა პატიმრისათვის და ის ხშირად ხორციელდება მაშინ, როდესაც პატიმრები თავს ყველაზე დაუცველად გრძნობენ, ასე მაგალითად, როდესაც პირი პირველად შედის დაწესებულებაში.

07 ჩხრეკა და შემოწმება შეიძლება განსაკუთრებით დამამცირებელი იყოს ქალებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ წარსულში განუცდიათ სექსუალური ან გენდერული ძალადობა. სხეულის შემოწმება ასევე შეიძლება განსაკუთრებით დამთრგუნველი იყოს კონკრეტული რელიგიური ან კულტურული ფონის მქონე პატიმრებისთვის.

პოზიტიური პრაქტიკა: ქალების სხეულის გაშიშვლებით რუტინული ჩხრეკის დასასრული ინგლისსა და უელსში [2.1]

ინგლისის და უელსის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ქალების მოწყვლადობის შესახებ 2006 წლის ანგარიშში, სახელწოდებით Corston Report, აღინიშნა, რომ „სხეულის გაშიშვლებით განხორციელებული სისტემატიური, განმეორებითი და გაუფრთხილებელი შემოწმება დამამცირებელი, ღირსების შემლახავი, გაუმართლებელი გამოცდილებაა ქალებისთვის და წარმოადგენს მათ პირად ცხოვრების ხელშეუხებლობის უხეშ დარღვევას. ქალებისთვის, რომლებმაც წარსულში განიცადეს ძალადობა, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა, სხეულის შემოწმება წარმოდგენს ციხის ცხოვრების გაცნობის შემაძრწუნებელ დასაწყისს და ახსენებს მათ მსხვერპლად ყოფნის არასასურველ გამოცდილებას. აღნიშნული ხელს უშლის თანამშრომლებსა და პატიმრებს, განსაკუთრებით ციხეში ახლად შესახლებულ პატიმრებს შორის სათანადო ურთიერთობის ჩამოყალიბებას.“[99]

Corston Report–მა გააერთიანა იმ ქალი პატიმრების გამოკითხვები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სხეულის გაშიშვლებით ჩხრეკამ გამოიწვია მათში „უხერხულობის, სხეულში შეჭრის, ღირსების შელახვის, დაუცველობის, დამცირების, სირცხვილის, შეურაცხყოფის და სიბინძურის“ გრძნობები“.[100]

ანგარიშმა ასევე გამოავლინა, რომ ძალიან იშვიათია ქალების სხეულის გაშიშვლებით განხორციელებული შემოწმებების შედეგად რაიმე ნივთის პოვნის შემთხვევები და აღნიშნა, რომ „ეს არის თანამშრომლების დროის ფუჭი ხარჯვა. სხვა ადგილის გადაყვანის ან სასამართლოდან დაბრუნების შემდეგ ჩხრეკის განხორციელების რუტინული განხორციელება მოკლებულია აზრს და შეუძლებელია მისი გამართლება, რადგან პატიმრები ასეთ დროს იმყოფებიან მათი თანმხლები ციხის თანამშრომლების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ისეთ დროს, როდესაც ქალი ბრუნდება ციხის გარეთ არსებული სამუშაო ადგილიდან, გათვალისწინებული უნდა იყოს საღი აზრი.“

Corston–ის ანგარიშში რეკომენდირებულია, რომ ქალთა ციხეებში მაქსიმალურად შემცირდეს უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე სხეულის გაშიშვლებით განხორციელებული შემოწმებები და ციხის თანამშრომლებმა დაიწყონ სკანირების აპარატების გამოყენება.“[101] სკანირების აპარატებმა უნდა ჩაანაცვლოს სხეულის გაშიშვლებით შემოწმება.

ინგლისსა და უელსში ქალთა სხეულის გაშიშვლებით ჩხრეკის რუტინული პრაქტიკა დასრულდა 2009 წელს Corston Report–ის გამოქვეყნების შემდეგ. სხეულის გაშიშვლებით ჩხრეკა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს „ოპერატიულ მონაცემებზე და ინფორმაციაზე დაყრდნობით“[102] ნიშნავს, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე.[103]

პრაქტიკაში განხორციელება

08 ჩხრეკის და შემოწმების განხორციელების დროს საჭირო უსაფრთხოების გარანტიების განხილვისას, მნიშვნელოვანია მოხდეს ჩხრეკის და შემოწმების სახეებს შორის განსხვავების დადგენა. ტერმინოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. თუმცა, არსებობს რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომლებიც გამოიყენება ყველა სახის ჩხრეკის და შემოწმებისთვის:

- ყველა ჩხრეკა და შემოწმება უნდა ჩატარდეს ადამიანის განუყოფელი ღირსების, პატივისა და პირადი ცხოვრების დაცვით;
- ყველა ჩხრეკა და შემოწმება უნდა ჩატარდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების შესაბამისად;
- ჩხრეკა და შემოწმება არ უნდა იქნას გამოყენებული პირის შევიწროვების, დაშინების, ან პატიმრის პირად სივრცეში ზედმეტად შეჭრის მიზნით;
- ციხის ადმინისტრაციამ უნდა შეინახოს სათანადო ჩანაწერები განხორციელებული ნებისმიერი ჩხრეკის და შემოწმების შესახებ ჩხრეკის და შემოწმების მიზეზების, განმახორციელებელი პირების და ჩხრეკის და შემოწმების შედეგების მითითებით;

---

99. „კორსტონის მოხსენება“, ბარონესა ჯინ კორსტონის ანგარიში სისხლის სამართლის სისტემაში განსაკუთრებული მოწყვლადობის მქონე ქალთა მდგომარეობის მომიხილვის შესახებ, სათაო ოფისი, 2007, გვ. 31. ხელმისაწვდომია: www.justice.gov.uk/publications/docs/corston-report-march-2007.pdf.

100. იქვე, გვ. 31.

101. Ion Mobility Spectrometry (IMS) მოწყობილობები ასევე ცნობილია, როგორც იონის სკანერები. IMS-ს ერთეული არის კვალის აღმომჩენი მოწყობილობა, რომელიც ზომავს ნაწილაკების გადახრის დონეს მათი ელექტრულ ველზე ზემოქმედების შემდეგ. ნაწილაკების გადაადგილების სიძლიერე გამოიყენება ნივთიერების წარმოშობის დასადგენად.

102. Corston +10, The Corston Report 10 years on: How far have we come on the road to reform for women affected by the criminal justice system? ქალები ციხეში, 2017, გვ. 7 ხელმისაწვდომია: www.womeninprison.org.uk/perch/resources/corston-report-10-years-on.pdf.

103. იხ. აგრეთვე „სხეულის შემოწმება“, APT ფოკუსი დაკავებაზე ხელმისაწვდომია: www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6.

- უნდა იქნას მიღებული უსაფრთხოების ზომები იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა სახის ჩხრეკის და შემოწმების ზედმეტად ან დისკრიმინაციული მიზნით გამოყენება; და
- ყველა ჩხრეკა და შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ სათანადოდ გადამზადებული თანამშრომლის მიერ.

09 ზოგადად, არსებობს სხეულის შემოწმების სამი ძირითადი სახე: პირადი არასრული შემოწმება, სხეულის გაშიშვლებით და სხეულის სიღრმისეული შემოწმება.[104] სხვა ტიპის შემოწმება მოიცავს საკნის ჩხრეკას და პატიმრის ნივთების ჩხრეკას. ძაღლების დახმარებით განხორციელებულმა ჩხრეკამ შეიძლება შეამციროს ინტრუზიული სახის ჩხრეკის გამოყენება, მაგრამ სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება უფრო დამამცირებელი და მუქარის შემცველი იყოს. ძაღლები არასოდეს არ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი სხეულის გაშიშვლებით ან სიღრმისეული შემოწმების დროს.

- **პირადი არასრული შემოწმება (Pat down searches)**, ზოგჯერ ცნობილი **frisk ჩხრეკის სახელწოდებით**, ხორციელდება პირის გაშიშვლების გარეშე, მოითხოვს ფიზიკურ კონტაქტს, მაგრამ არა სიშიშვლეს. მისი გამოყენება ზოგჯერ შეიძლება სასარგებლო იყოს აღურიცხავი საქონლის გადატანის პრევენციის მიზნით და ასევე იცავს შემოწმების განმახორციელებელ პირს მის წინააღმდეგ წარგენილი ნებისმიერი საჩივრისგან, რომ შემოწმება ხორციელდება დისკრიმინაციული ნიშნით და მიზნად ისახავს მხოლოდ ცალკეული პირების ან პატიმრების კონკრეტულ ჯგუფების შემოწმებას.
- **სხეულის გაშიშვლებით შემოწმება** მოითხოვს ტანსაცმლის სრულ ან ნაწილობრივ მოშორებას. სხეულის გაშიშვლებით შემოწმება ჩვეულებრივ არ მოითხოვს ფიზიკურ კონტაქტს, მაგრამ ამ დროს შეიძლება შემოწმდეს სხეულის ყველა ნაწილი, მათ შორის პირის ღრუ და სასქესო ორგანოები, სადაც შესაძლებელია იყოს დამალული აღურიცხავი საგანი. უნდა აღინიშნოს, რომ სხეულის სიღრმისეული შემოწმების პროცესი ხშირად უფრო მკაცრად რეგულირდება, ვიდრე სხეულის გაშიშვლებით შემოწმება, თუმცა ეს უკანასკნელიც შეიძლება იყოს ინტრუზიული და დამამცირებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება სხეულის ხვრელების დათვალიერება.

  პირის დამცირების თავიდან ასაცილებლად სხეულის გაშიშვლებით შემოწმებისას დაუშვებელია მოთხოვნილი იქნას სხეულის ერთდროული სრული გაშიშვლება. მაგალითად, ამგვარი ჩხრეკა შესაძლებელია ჩატარდეს ორ ეტაპად: სხეულის ზედა და ქვედა ნაწილის არათანმიმდევრული გაშიშვლება, რა დროსაც პატიმარი არ იქნება სრულიად შიშველი ციხის თანამშრომლების წინაშე.
- **სხეულის სიღრმისეული შემოწმება** ყველაზე ინტრუზიული მეთოდია და ითვალისწინებს სხეულის ისეთი ხვრელების შემოწმებას, როგორიცაა საშო და ანუსი. სიღრმისეული შემოწმება ხშირად მოიხსენიება როგორც ინვაზიური ან ინტიმური შემოწმება.[105] თავად ციხის თანამშრომლებიც ხშირად ამგვარ შემოწმებას თვლიან საკმაოდ უსიამოვნო პროცესად.

  სხეულის სიღრმისეული შემოწმების შემდეგ პატიმარი უნდა ნახოს სამედიცინო პერსონალმა, რა დროს ყურადღება უნდა მიექცეს მსხგავსი პროცედურების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შესაძლო გართულებებს.
- **საკნის ჩხრეკა** ხორციელდება აღურიცხავი ნივთების აღმოსაჩენად. საკნის ჩხრეკისას როგორც წესი ხდება პატიმრების პირად სივრცეში შეჭრა და არსებობს პატიმრების ნივთების დაზიანების რისკი. ერთი თანამშრომლის მიერ ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში არსებობს არასათანადო მოპყრობის შესაძლო რისკი.

  პატიმრის საკნის ან ნივთების ჩხრეკისას თანამშრომლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საკანი არის პატიმრების სახლი და მათთვის ნივთებს შეიძლება ჰქონდეთ განსაკუთრებული დატვირთვა. აქედან გამომდინარე, პატიმრის სივრცესა და ქონებას ისინი უნდა მოეპყრან სიფრთხილითა და პატივისცემით. 81(2)-ე წესის შესაბამისად ქალთა ციხეებში ქალი პატიმრის საკანში შესვლისას მამრობითი სქესის ზედამხედველებს თან უნდა ახლდნენ ქალი ზედამხდეველები.

104. სხეულის შემოწმების თაობაზე დამატებითი დეტალები იხილეთ – საინფორმაციო დოკუმენტში „სხეულის შემოწმება: რისკ ფაქტორების აღმოფხვრა წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის", PRI/APT, "ციხის საერთაშორისო რეფორმა", "წამების პრევენციის ასოციაცია", მეორე გამოცემა, 2015წ. ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/01/factsheet-4-searches-2nd-v5.pdf.

105. იქვე, გვ.1.

პოზიტიური პრაქტიკა: რელიგიური და კულტურულ თვალსაზრისით მისაღები ჩხრეკა [2.2]

ინგლისისა და უელსში ციხის სამსახურის ინსტრუქციები შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც ეხება რელიგიური და კულტურული თავისებურებებს გათვალისწინებას პატიმართა ჩხრეკისას. აღნიშნული ითვალისწინებს მუსულმანი პატიმრების სხეულის გაშიშვლებით შემოწმებას და იმ პატიმრების შემოწმების პროცედურებს, რომელნიც ატარებენ რელიგიური ან კულტურული დატვირთვის მქონე თავსაბურავებს.[106]

კანადაში, თუ ციხის ადმინისტრაციამ უნდა გაჩხრიკოს აბორიგენების პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა და რელიგიური და სულიერი ან სხვა წმინდა ნივთები, მფლობელს უფლება აქვს ეკავოს ნივთი მანამ, სანამ ხორციელდება არასრული შემოწმება. თუ მფლობელი არ არის წარმოდგენილი, მაშინ შემოწმება შეუძლია განახორციელოს უხუცესს, ან უხუცესის წარმომადგენელს ან შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მისი მეთვალყურეობით. ეს პროცედურები დეტალურად განხილულია კომისრის დირექტივებში მსჯავრდებულების ჩხრეკის თაობაზე.[107]

სპეციფიკური დაცვის მოთხოვნები სხეულის გაშიშვლებით და სიღრმისეული შემოწმებისას

10 მანდელას წესები იყენებს ტერმინს „ინტრუზიული ჩხრეკა“, რომელშიც აერთიანებს როგორც სხეულის გაშიშვლებით, ისე სხეულის სიღრმისეულ შემოწმებას, და აღნიშნავს, რომ ამგვარი ჩხრეკა უნდა განხორციელდეს მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობიდან გამომდინარე. აქ ტერმინი „აბსოლუტური აუცილებლობა” გამოიყენება ისეთი შემთხვევების აღსანიშნავად, როდესაც არსებობს პატიმრის მიერ აკრძალული ნივთის ფლობის კონკრეტული რისკი. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის (WMA) მიერ რეკომენდირებულია, რომ სხეულის სიღრმისეული შემოწმება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც უკანასკნელი ღონისძიება.[108]

11 მანდელას წესები ითვალისწინებს ინტრუზიული ჩხრეკის ჩატარებას კონფიდენციალურად, სპეციალურად მომზადებული და ჩხრეკის ობიექტი პატიმრის სქესის წარმომადგენელი პირის მიერ.

12 CPT ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სხეულის გაშიშვლებით შემოწმება ძალიან ინვაზიური და პოტენციურად დამამცირებელი ღონისძიებაა. აქედან გამომდინარე, გაშიშვლებასთან დაკავშირებული შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს რისკის ინდივიდუალურ შეფასებას და ხორციელდებოდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ზედამხედველობის მოთხოვნების შესაბამისად. ძალისხმევა უნდა მიემართოს იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უხერხულობა; შემოწმების ობიექტ დაკავებულ პირებს ჩვეულებრივ არ უნდა მოეთხოვოს ტანსაცმლის ერთდროულად სრული მოშორება, მაგ. პირს უნდა მიეცეს უფლება გაშიშვლდეს ჯერ წელს ზემოთ და კვლავ შეიმოსოს წელსქვემოთ გაშიშვლებამდე“.[109]

13 ჩხრეკა ან შემოწმება უნდა განხორციელდეს ჩხრეკის ობიექტი პატიმრის სქესის წარმომადგენელი პირის მიერ. შესაძლებელია ლგბტი პატიმრებისთვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყოს იმავე სქესის პერსონალის მიერ შემოწმების განხორციელება. მას, ვინც იდენტიფიცირდება ლგბტი პირად, უნდა მიეცეს არჩევანის უფლება თუ რომელი სქესის ციხის თანამშრომელი უნდა ახორციელებდეს მის შემოწმებას.[110]

14 მანდელას წესების თანახმად მიუხედავად იმისა, რომ ინტრუზიული ჩხრეკა ხორციელება კონკრეტული გარემოებების საფუძველზე, 52-ე წესი ცხადყოფს, რომ ციხეების ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს პატიმრების ინტრუზიული ჩხრეკის შესაბამისი ალტერნატივების შემუშავება და გამოყენება.

---

106. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.justice.gov.uk/offenders/psis.

107. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.csc-scc.gc.ca/politiques-et-lois/566-7-cd-eng.shtml.

108. განცხადება პატიმართა სხეულის შემოწმების თაობაზე, მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია,1993 წლის ოქტომბერი (განახლდა 2005 წლის მაისსა და 2016 წლის ოქტომბერში) ხელმისაწვდომია: www.wma.net/policies-post/wma-statement-on-body-searches-of-prisoners.

109. „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში ნიდერლანდების მთავრობას ნიდერლანდებში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე (CPT/Inf (2012) 21)“, ევროპის საბჭო, 2012, პარ. 32 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680697829.

110. „თავისუფლებააღკვეთილი ლგბტი პირები: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო“ (PRI/APT მეორე გამოცემა 2015), op. cit. 27, გვ. 10.

პოზიტიური პრაქტიკა: სხეულის სიღრმისეული შემოწმება საბერძნეთში – უსაფრთხოების მოთხოვნები [2.3]

საბერძნეთის სასჯელაღსრულების კოდექსის მიხედვით, სხეულის ნებისმიერი შემოწმება უნდა ჩატარდეს ცალკე ოთახში და პატიმრის სქესის ორი ოფიცრის მიერ. თუ არსებობს სხეულის სიღრმისეული შემოწმების ან სხეულის ნაწილის რენდგენის სხივებით გადაღების გამართლების გონივრული მიზეზი, მაშინ ჩხრეკა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ექიმის მიერ პროკურორის ბრძანების შესაბამისად. ნებისმიერი ვაგინალური დათვალიერება უნდა აღიწეროს სპეციალურ რეესტრში, სადაც მიეთითება ინციდენტის დეტალები, შემოწმების განმახორციელებლი ექიმის სახელი, შემოწმების დასაბუთება, თარიღი და დრო, პროკურორის ბრძანების ჩათვლით.

სხეულის სიღრმისეული შემოწმება – სამედიცინო პერსონალის როლი და მნიშვნელობა

15 52(2)-ე წესი კონკრეტულად ეხება სხეულის სიღრმისეულ შემოწმებას და შემოწმების განმახორციელებელი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის როლს. რაც მთავარია, წესი ადგენს, რომ სხეულის სიღრმისეული შემოწმება უნდა ჩაატაროს კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა, და არა იმ პირებმა, ვინც პირველ რიგში, პასუხისმგებელია პატიმრის მოვლაზე – თანამდებობა, რომელსაც ასევე უკავიათ WMA და CPT წარმომადგენლებს.[111] ამ პოზიციას ასაბუთებს ის, რომ ამგვარი შემოწმება ეწინააღმდეგება ექიმების მიერ პაციენტის მოვლის ვალდებულებას და შეუძლია საფრთხე შეუქმნას პაციენტთან დამყარებულ ნდობას. აქედან გამომდინარე, სამედიცინო პერსონალი, რომელიც ახორციელებს პატიმრის მკურნალობას ან შესაძლოა სამომავლოდ მონაწილეობდეს მათი მკურნალობის პროცესში, არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას ამგვარ შემოწმებაში.

16 იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის შესაძლებელი არ არის ჩხრეკის ჩასატარებლად შესაფერისი სამედიცინო პერსონალის მოძიება, მანდელას წესები გასცემს მითითებას, რომ ასეთ შემთხვევებში სხეულის სიღრმისეული შემოწმება ჩაატაროს „როგორც მინიმუმ იმ პერსონალმა, რომელიც სათანადოდაა გადამზადებული სამედიცინო ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებში“.[112]

17 WMA ასევე განმარტავს, რომ სხეულის სიღრმისეული შემოწმება უნდა განახორციელოს კვალიფიციურმა ექიმმა, რათა არასამედიცინო პერსონალის მიერ სხეულის შემოწმების დროს არ მოხდეს პირის დაზიანება. პოტენციურად დამაზიანებელი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც ხდება ორსული ქალის ან იმ პირის სიღრმისეული შემოწმება, ვისაც აქვს ჰემოროიდული კვანძების მწვავე ანთება.[113] ანალოგიურად, CoE განაცხადა, რომ „(…) პატიმრის სამედიცინო შემოწმება უნდა განახორციელოს ექიმმა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური სამედიცინო მიზეზი მისი ჩართულობისთვის“.[114]

18 როდესაც სამედიცინო პერსონალი ახორციელებს სხეულის სიღრმისეულ შემოწმებას, მათ გარკვევით უნდა აუხსნან პატომარს, რომ ეს შემოწმება არასამედიცინო შემოწმებაა და სამედიცინო კონფიდენციალურობის ჩვეული ნორმები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, ვინაიდან შედეგები უნდა ეცნობოს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის წარომადგენლებს.

19 შესაძლებელია წარმოიშვას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევები, როდესაც ციხის სამედიცინო პერსონალმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სხეულის სიღრმისეული შემოწმების განხორციელების პროცესში. ეს ხდება მაშინ, როდესაც სხეულში დამალულმა საგნებმა მაღალი ალბათობით შესაძლოა დაზიანება მიაყენოს პატიმარს.

20 სამედიცინო პერსონალი ასევე შესაძლოა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუკი სიღრმისეული შემოწმება დასრულდა პატიმრის დაზიანებით.

კონტექსტი: შემთხვევა როდესაც სხეულის სიღრმისეული შემოწმება იწვევს წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობას [2.4]

სხეულის შემოწმებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის წამება, როდესაც ის ხორციელდება მძიმე ფსიქიკური ან ფიზიკური ტკივილის ან ტანჯვის მიყენების განზრახვით. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკი განსაკუთრებულად მაღალია მაშინ, როდესაც შემოწმება ტარდება სისტემატიურად, მისი განხორციელების აუცილებლობა მკაცრად არ არის განსაზღვრული და ის არაპროპორციულად გამოიყენება პატიმრების კონკრეტული ჯგუფების და საპირისპირო სქესის პირების მიმართ.

---

111. "Statement on Body Searches of Prisoners", მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, op. cit., შენიშვნა108, პარ. 9; და „ესტონეთში ვიზიტის შესახებ წამების საწინააღმდეგო ევროპის კომიტეტის ანგარიში ესტონეთის მთავრობას“, 21 იანვარი 2014, CPT/Inf(2014) 1, პარ. 83.

112. "Statement on Body Searches of Prisoners", მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, op. cit., შენიშვნა 111, პარ. 12.

113. იქვე, პარ. 8.

114. „ციხეში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებული რეკომენდაციები No. R (98) 7“ ევროპის საბჭო, 8 აპრილი 1998, პარ. 72 ხელმისაწვდომია: bip.ms.gov.pl/Data/Files/_public/bip/prawa_czlowieka/zalecenia/987.pdf.

ძალის გამოყენებით განხორციელებული ჩხრეკა და შემოწმება არღვევს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის მოთხოვნებს. მას ასევე შეუძლია გამოიწვიოს ფიზიკური დაზიანებები, განსაკუთრებით კი, თუ მას ახორციელებს შესაბამისი მომზადების არ მქონე თანამშრომელი.

საერთაშორისო და რეგიონალური ორგანოების წამებად ან სხვა არასათანდო მოპყრობად კვალიფიცირდება შემდეგი სახის შემოწმება:

— SPT განაცხადა, რომ ინტრუზიული ვაგინალური და ანალური შემოწმება აკრძალულია.[115]

— ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) დაადგინა, რომ სიღრმისეული შემოწმება შეიძლება იყოს დამამცირებელი, როდესაც არ არის გამართლებული უსაფრთხოების მიზნებიდან და/ან მათი განხორციელების ხასიათიდან გამომდინარე.[116] სასამართლომ ასევე აღიარა, რომ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია შემოწმება, როდესაც „დაზარალებულს თავი მიაჩნია დაზარალებულად საკუთარ თვალში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ამგვარ მდგომარეობაში სხვების წინაშე“.[117]

— ადამიანის უფლებათა ინტერ–ამერიკულმა სასამართლომ (IACHR) მიიჩნია, რომ საშოს თითით ძალიან უხეში ფორმით შემოწმებამ თავზე კაპიუშონიან ფორმაში მყოფი ერთდროულად რამდენიმე თანამშრომლის მიერ „შეადგინა გაუპატიურება, რამაც გამოიწვია მიის წამების ეფექტი“.[118]

— გაეროს სპეციალურ მომხსენებელმა წამების საკითხებზე აღმოაჩინა, რომ სხეულის შემოწმება, კერძოდ გაშიშვლებით და ინვაზიური სხეულის ჩხრეკა შეიძლება ჩაითვალოს არასათანადო მოპყრობად როდესაც განხორციელებულია არაპროპორციული, დამამცირებელი ან დისკრიმინაციული ფორმით. სპეციალური მომხსენებელი ასევე განსაზღვრავს სხვა აკრძალულ პრაქტიკას, როგორიცაა: არასათანადო შეხება, სექსუალურ შევიწროვებასთან გათანაბრებული ხელით შემოწმება ან ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებულ ქალთა რუტინული ვაგინალური შემოწმება. ამ პრაქტიკას აქვს არაპროპორციულად დამაზიანებელი გავლენა ქალებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხორციელდება მამაკაცი ზედამხედველების მიერ. სხეულის გაშიშვლებით ან სიღრმისეული შემოწმება იწვევს წამებას თუ ის ტარდება რაიმე მიზნის მისაღწევად, დისკრიმინაციული ნიშნით ან მძიმე ტკივილის ან ტანჯვის მიყენების მიზნით.[119]

— WMA–ს განმარტა ინვაზიური ჩხრეკა, როგორც „სერიოზული თავდასხმა პიროვნების პირად ცხოვრებასა და ღირსებაზე” და აღნიშნა, რომ ის ასევე შეიცავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების რისკს.[120] WMA–მ გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმად „ბუქნების გაკეთების და სარკის წინ ჭინთვის პრაქტიკა პატიმრის ანუსის შესამოწმებლად წარმოადგენს დამამცირებელ პროცედურას და უნდა აიკრძალოს“.[121]

კონტექსტი: ინტრუზიული ჩხრეკის ალტერნატივები [2.5]

52–ე მუხლი ცხადყოფს, რომ ციხების ადმინისტრაციამ უნდა წაახალისოს პატიმრების ინტრუზიული ჩხრეკის შესაბამისი ალტერნატივების შემუშავება და გამოყენება. მათ უფრო ფართოდ უნდა განიხილონ მათ მიერ გამოყენებული ჩხრეკის მეთოდები და დაუშვან ციხეში საქონლის ფარული შეტანის სხვა საშუალებების არსებობა, ისეთის როგორიცაა მაგალითად თანამშრომლების ან უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება.

ლაქსატივების გამოყენება არ წარმოადგენს სხეულის სიღრმისეული ჩხრეკის სათანადო ალტერნატივას. CPT –მ გამოთქვა შეშფოთება ლაქსატივების გამოყენების თაობაზე და აღნიშნა, რომ მათმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გადაყლაპული ნარკოტიკული საშუალებების შეფუთვის სარჩულის გახეთქვა და ზედოზირებით პირის გარდაცვალება. CPT–მ გამოთქვა მოსაზრება და აღნიშნა, რომ „ის პატიმარი, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მის მიერ დაწესებულებაში ნარკოტიკული ნივთიერებების ფარულად შეტანის თაობაზე, უნდა მოთავსდეს ცალკე საკანში 48–დან 72 საათამდე, რაც საკმარისი დროა იმისათვის, რომ ნებისმიერი უცხო სხეული ბუნებრივი გზით უსაფრთხოდ გამოვიდეს სხეულიდან“.[122]

115. იხილეთ წამების საწინააღმდეგო გაეროს ქვეკომიტეტის ანგარიშები არგენტინაში, 27 ნოემბერი 2013წ, (CAT/OP/ARG/1) პარ. 72; და ბრაზილიაში, 5 ივლისი 2012 წ, CAT/OP/BRA/1, პარ. 119, ვიზიტების შესახებ.

116. „ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ”, განაცხადის N25196/94”, 15 ნოემბერი 2001 წ.; „შენავეი საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი N51246/08, 20 იანვარი 2011 წ.; „ვალასინა ლიეტუვას წინააღმდეგ, განაცხადი N44558/98”, 24 ივლისი 2001წ.; “ფერერო საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი N70204/01”, 12 ივნისი 2007 წ.

117. ტირერი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (“Tyrer v. Uk”), განაცხადი ნომერი N5856/72, 25 აპრილი 1978 წ., პარ. 32.

118. „მიგელ კასტრო-კასტროს ციხე პერუს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებატა ინტერ-ამერიკული სასამართლო, 25 ნოემბერი 2006, პარ. 312 ხელმისაწვდომია www.corteidh.or.cr/docs/casos/articulos/seriec_160_ing.pdf. იხ. აგრეთვე პარ. 309 – 312. 310-ე პარაგრაფში, სასამართლო ადგენს, რომ „გაპატიურება აუცილებლად არ ნიშნავს ნების საწინააღმდეგო ვაგინალურ სექსუალურ კავშირს, როგორც ეს მიჩნეულია ტრადიციულად. გაუპატიურებად შეიძლება ჩაითვალოს ვაგინალური ან ანალური შეღწევა, მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ, აგრესორის სხეულის სხვა ნაწილების ან საგნის ზემოქმედებით“.

119. წამების საკითხებზე წამების სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/31/57”, 5 იანვარი 2016, op. cit. 27, პარ. 23.

120. განცხადება პატიმართა პირადი შემოწმების თაობაზე, მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, op. cit., შენიშვნა 108.

121. იქვე.

122. „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საბერძნეთის მთავრობას საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე (CPT/Inf (2012) 1)”, ევროპის საბჭო, 10 იანვარი 2012, პარ. 51 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680696605.

ნივთის ფარული გადატანის პრობლემა: ციხის უფლებამოსილმა პირებმა უნდა განიხილონ ციხეში საქონლის ფარულად შეტანის პრაქტიკა და მოახდინონ პრობლემის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრა. ხშირ შემთხვევებში დაწესებულებაში საგნის შეტანა ხორციელდება სისხლის სამართლის დანაშაულის მიზნებიდან გამომდინარე, თუმცაღა ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, ზოგ ციხეში მობილური ტელეფონების ფარულად შეტანა განპირობებული იყო იმით, რომ პატიმრებს არ ეძლეოდათ მათი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის სათანადო შესაძლებლობა. ზოგიერთი პატიმარი შეიძლება იძულებით დათანხმდეს ნივთების ფარულ გადატანს მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად, რაც აუცილებლად უნდა იყოს აღმოფხვრილი.

არასაჭირო ჩხრეკების დასრულება: ციხის უფლებამოსილმა პირებმა უნდა გადახედონ რისკების შეფასების მათთან არსებულ პროცედურებს სხეულის შემოწმებასთან კავშირში, გამოარკვიონ არის თუ არა გაუმჯობესების და საჭიროებას მოკლებული ჩხრეკისა და შემოწმების შემთხვევების შემცირების შესაძლებლობა. საჭიროებას მოკლებული ჩხრეკის და შემოწმების შემცირება შესაძლებელია მათი დეტალური აღრიცხვის და დოკუმენტირების გზით, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული პროცესის დუბლირება სხვა თანამშრომლების მიერ და ჩხრეკისა და შემოწმების პროცედურების გამოყენება დისკრიმინაციული მიზნებით.

ბუნებრივის საშუალებები: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანზიაციამ (WHO) აღნიშნა რომ პატიმრის მიერ სხეულში რაიმე საგნის დამალვისას „უმეტეს შემთხვევაში საკმარისი იქნება პატიმრის მოთავსება მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მანამ, სანამ საგანი ბუნებრივი გზით არ გამოვა სხეულიდან“.[123] ამ მიზნებისთვის ზოგ ციხეებში არსებობს ე.წ. „მშრალი საკნები“, სადაც სველი წერტილების ნაცვლად მოთავსებულია ღამის ქოთნები ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

საკნის ჩხრეკა: მაშინ, როდესაც საკნის ჩხრეკამაც შეიძლება დაარღვიოს პატიმრების უფლებები, ზოგიერთ შემთხვევაში ის ბევრად უფრო ეფექტიანია დაწესებულებაში ფარულად შემოტანილი აღურიცხავი საგნების აღმოსაჩენად, ვიდრე სხეულის შემოწმება.

სხეულის სკანერები და მეტალო დეტექტორები: სხეულის სკანერები და მეტალის დეტექტორები, მათ შორის ხელის პორტატული ხელსაწყოები, სხეულის შემოწმების მისაღები ალტერნატივაა.

ულტრაბგერითი მოწყობილობები: WMA–ის მიერ ულტრაბგერითი და სხვა სკანერები დასახელდა როგორც სხეულის სიღრმისეული ჩხრეკის შესაძლო ალტერნატივად.[124] ეს მოწყობილობები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ქალი მსჯავრდებულების ვაგინალური შემოწმების ნაცვლად იმ წესის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს იმ სამედიცინო პერსონალის ციხის მართვის პროცესში მონაწილეობის დაუშვებლობას, რომელიც ახორციელებს ამ მოწყობილობების საშუალებით პატიმრების შემოწმებას.

ანოსკოპი, ოტოსკოპი და ვაგინალური სარკეები: ბაგკოკის წესების მე–19 წესის კომენტარი აღნიშნავს, რომ „სხეულის სიღრმისეული შემოწმებისას უნდა გამკაცრდეს ციფრული ჩარევების და ისეთი მოწყობილობების გამოყენება, როგორიცაა ანოსკოპი (მაგ. სწორი ნაწლავის გამოკვლევის მიზნით), გინეკოლოგიური სარკეები (საშოს და საშოს ყელის გამოკვლევის მიზნით) ოტოსკოპი (ყურის სარკე), ენის სუპრესორები (შპადელი) და მარტივი მაშები“. სხვა მოწყობილობებთან დაკავშირებით, თუკი სამედიცინო პერსონალი ჩართულია პატიმრებთან დაკავშირებული ამ საკითხების მართვის პროცესში, ისინი არ უნდა აწვდიდნენ პატიმრებს სამედიცინო მომსახურეობას.

ოპერატიულ მონაცემებზე დ ინფორმაციაზე დაფუძნებული ჩხრეკა და შემოწმება

21 ჩრეკა და შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს კანონიერების, აუცლებლობის და პროპორციულობის პრინციპებს. ინტრუზიული ჩხრეკის ჩატარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დაფუძნებული ინდივიდულურ შეფასებაზე და/ან სპეციფიკურ და სანდო ოპერატიულ მონაცემებზე. აღნიშნულ პროცესს ხელს შეუწყობს დინამიური უსაფრთხოების მიდგომების გათვალისწინება.

22 ციხის ადმინისტრაციამ კონკრეტული შემთხვევისთვის ყველაზე შესაფერისი ჩხრეკის ან შემოწმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს მუდმივად განახლებულ გამჭვირვალე კრიტერიუმებს. ადგილზე უნდა ხორციელდებოდეს შეთანხმებულ კრიტერიუმებბთან ჩხრეკის ან შემოწმების შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი.

23 ციხის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს თუ რა სპეციფიკურ მიზანს ემსახურება თითოეული ჩხრეკა და რომელი მეთოდის გამოყენება იქნება ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული ამ მიზნის მისაღწევად. პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას იყენებს თუ არა ციხის ადმინისტრაცია ჩხრეკას სპეციფიკური რისკების საფუძველზე თუ ის განპირობებულია პატიმართა გარკვეული ჯგუფის მიმართ არსებული სტერეოტიპებით.

---

123. ჯანდაცვა ციხეებში: WHO-ს სახელმძღვანელო მითითებები პატიმრების ჯანმრთელობის ძირითადი საკითხების შესახებ“, WHO ევროპა, 2007, გვ. 36 ხელმისაწვდომია: www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0009/99018/E90174.pdf.

124. განცხადება პატიმართა პირადი შემოწმების შესახებ, მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, op. cit., შენიშვნა 111.

დაცვის გარანტიების შემოღება

24 ციხის ყველა თანამშრომელი, რომელიც ატარებს ჩხრეკას ან შემოწმებას, უნდა იყოს სათანადოდ შერჩეული და გადამზადებული. ჩხრეკის ან შემოწმების ეფექტიანი მონიტორინგი უზრუნველყობს ჩხრეკის მარეგულირებელი კანონების და წესების სამართლიან და მუდმივ გამოყენებას და არასათანადო მოპყრობისგან და დისკრიმანიიციისგან პირების დაცვას.

25 წარმატებულ პრაქტიკად მიიჩნევა ჩხრეკისას ორი თანამშრომლის დასწრება პატიმრის და თანამშრომლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. CPT-მ მხარი დაუჭირა ამ პრაქტიკას, დასძინა რა, რომ „პატიმრის ან თანაშრომლის უსაფრთხოების მიზნით როგორც წესი, დამატებით ერთზე მეტი ოფიცერი უნდა ესწრებოდეს სხეულის გაშიშვლებით პირის შემოწმებას“.[125] სათანადო ღონისძიებებია გასატარებელი იმისათვის, რომ აღნიშნული არ გახდეს სამომავლო ჩხრეკას ან შემოწმებას დაქვემდებარებული პირის დამცირების საფუძველი. როდესაც ჩხრეკას ესწრება ორი თანამშრომელი, მათგან ერთი უნდა ახორციელებდეს შემოწმებას, ხოლო მეორე აკვირდებოდეს პროცესს.

26 წარმატებული პრაქტიკაა ჩხრეკის/შემოწმების ჩატარებამდე პატიმრის ინფორმირება შემოწმების მიზეზების და განხორციელების მეთოდების შესახებ. თანამშრომლები ასევე ყურადღებით უნდა იყვნენ ჩხრეკისა და შემოწმების განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი სიტყვების და სხეულის ენის სწორად შერჩევის კუთხით, რადგან ამ ფაქტორებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ჩხრეკასთან და შემოწმებასთან დაკავშირებულ პატიმრის გამოცდილებაზე. პატივისცემითა და პროფესიონალ დონეზე ჩატარებული ჩხრეკა და შესაბამისად შერჩეული საურთიერთო ენა განარიდებს პატიმრებისგან და თანამშრომლებისგან ზედმეტ უსიამოვნებას.

27 ჩხრეკის და შემოწმების დაწყებამდე პატიმრებს ყოველთვის უნდა მიეცეს საშუალება თავად ჩააბარონ ან გასცენ დამალული საგნები და ამ შესაძლებლობის შესახებ მათ გარკვევით უნდა ეცნობოს. თუკი პატიმარი უარს განაცხადებს სხეულის შემოწმებაზე, ამ შემთხვევაში კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების შესაბამისად ძალის გამოყენება უნდა იყო უკანასკნელი საშუალება და უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რა ყველა სხვა ალტერნატიული გზა ამოწურულია. სხვა ინტერვენცია გულისხმობს დეესკალაციის ისეთ ტექნიკებს, როგორიცაა პატიმრისთვის დამატებითი დროის მიცემა მის წინაშე არსებული შესაძლებლობების შესაფასებლად ან მოლაპარაკებების წარმოებას შემოწმების ჩატარებაზე თანხმობის მისაღებად. ძალის გამოყენების შემთხვევაში ინფორმირებული უნდა იქნას ციხის დირექტორი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი და ეს აუცილებლად უნდა მიეთითოს პატიმრის პირად საქმეში. ძალის გამოყენების შემთხვევები უფრო დეტალურად განხილულია სახელმძღვანელო დოკუმენტის **თავი 3, პარაგრაფები 41-67**.

28 ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს მათი აზრით ჩხრეკის და შემოწმების დროს მათი პირადი ცხოვრების, ღირსების და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშრიებით უფრო დეტალურად გთხოვთ, იხილოთ სახელმძღვანელო დოკუმენტის **თავი 1, პარაგრაფები130-165**.

29 ციხის ადმინისტრაციამ არასოდეს არ უნდა დაუშვას პატიმრების გამოყენება სხვა პატიმრების საკნის ან სხეულის შესამოწმებლად ან გასაჩხრეკად.

ჩხრეკის და შემოწმების ჩატარების ადგილი

30 სხეულის გაშიშვლებით და სიღრმისეული შემოწმება უნდა განხორციელდეს სანიტარულად დაცულ ადგილებში კონფიდენციალურობის დაცვით, ისეთ ადგილას, რომლის ხილვადობა დაცულია სხვა პატიმრებისა და ციხის თანამშრომლებისგან, მაგრამ ამავდროულად არ არის იზოლირებული. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კვალიფიციური მგეგმავები და დიზაინერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩხრეკის და შემოწმების ადგილი „უნდა აბალანსებდეს მხედველობითი კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს ვიკტიმიზაციის და ჩაკეტილობის გრძნობების აღძვრის გარეშე“.[126] ამის გათვალისიწინებით, ფარდების ან სკრინინგის სხვა საშულებების გამოყენება ბევრად უფრო მისაღებია, ვიდრე ჩაკეტილი ან დახურული კარების. ჩხრეკის და შემოწმების ადგილი ან ფართობი არ უნდა მდებარეობდეს ციხიდან იზოლირებულ ნაწილში.

31 ციხეში, სადაც მამაკაცები და ქალები იმყოფებიან განსხვავებულ ნაწილში, ჩხრეკის და შემოწმების ოთახებიც უნდა მდებარეობდეს განცალკევებულად. როგორც მინიმუმ, ქალები და მამაკაცები არასოდეს არ უნდა იმყოფებოდნენ ერთდროულად ჩხრეკის და შემოწმების ადგილას. იგივე პრინციპი ვრცელდება ციხეში მყოფ სრულწლოვანებსა და ბავშვებზე.

---

125. ანგარიში კოსოვოში გაეროს დროებით ადმინისტრაციას ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მიერ კოსოვოში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე, CPT/Inf (2011)26, ევროპის საბჭო, 2011 წლის 6 ოქტომბერი, პარ. 29.

126. ლაურა მაიელო და სტეფან კარტერი, „პისუარების გარეშე და ვარდისფრად შეღებილი?" როგორი უნდა იყოს ქალების ციხე?, ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის" ბლოგი, 9 დეკემბერი 2015 წ. ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/blog/10020.

თანამშრომელთა სწავლება და ზედამხედველობა

32 უსაფრთხოების პროცედურებში ჩართული ყველა თანამშრომელი სრულფასოვნად უნდა გადამზადდეს სხეულის და საკნის ჩხრეკის საკითხებზე. მათ უნდა იცოდნენ თუ ჩხრეკის რომელი სახეა დასაშვები მოცემულ შემთხვევაში, როგორ უნდა იყოს მიღწეული ჩხრეკის აუცილებლობა და პროპორციულობა, როგორ განისაზღვროს ჩხრეკის ყველაზე შესაბამისი ფორმა თითოეულ შემთხვევაში, როგორ უნდა მიეწოდოს პატიმარს ინფორმაცია ჩხრეკის პროცედურების შესახებ და როგორ უნდა განხორციელდეს ჩხრეკა პირის პატივისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვით.

33 შესაბამისი პერსონალი ასევე უნდა მომზადდეს ჩხრეკის და შემოწმებისადმი კონკრეტული ჯგუფების მომეტებული მოწყვლადობის საკითხებზე. სწავლება უნდა მოიცავდეს გენდერულ, კულტურულ და რელიგიურ საკითხებს და სხვადასხვა ჯგუფების ჩხრეკასთან და შემოწმებასთან დაკავშირებული კონკრეტული წესების ერთობლიობას. აღნიშნული გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება ციხეში ქალთა, ბავშვების, ლგბტი პირებისა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს პატიმრების შემოწმების რელიგიურ და კულტურულ თავისებურებებს.

34 PRI-მ და წამების პრევენციის ასოციაციამ (APT) აღნიშნა, რომ „სხეულის გაშიშვლებით პირის შემოწმების ვიდეოგადაღება, როგორც დაცვის და ანგარიშვალდებულების საშუალება, განხილვის საგანია, რადგან თუ მას აქვს ძალადობის პრევენციის პოტენციალი, ამავე დროს ის არღვევს პიროვნების პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებას“.[127] თუ ხორციელდება ვიდეოგადაღება, შესაბამისი გარანტიები უნდა არსებობდეს პატიმრის პირადი ხელშეუხებლობის და ღირსების დასაცავად.

პოზიტიური პრაქტიკა: ვიდეო ჩაწერასთან დაკავშირებით კანადაში არსებული დაცვის გარანტიები [2.6]

კანადაში, პიროვნების პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების დაცვის მიზნით ადგილზე ვიდეოჩაწერა ხორციელდება შემდეგი დაცვის გარანტიების არსებობით:

- **ჩხრეკას და შემოწმებას ახორციელებს ორი თანაშრომელი (ოპერატორი არ მოიაზრება მათ რიცხვში);**
- **პატიმრის სასქესო ორგანოების გადაღების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება დამცავი ფარდა, ნახევრად გადატიხრული კედელი ან გადასატანი ბარიერი;**
- **ჩხრეკას ან შემოწმებას და პატიმრისთვის ინსტრუქციების გაცემას ახორციელებს სასჯელაღსრულების მხოლოდ ერთი თანაშრომელი;**
- **ყველა თანაშრომელი, მათ შორის ოპერატორი არის იმავე სქესის, რაც პატიმარი;**
- **თანაშრომლებმა უნდა უზრუნველყონ გენდერული დისფობიის მქონე პატიმრების განთავსება მათი უსაფრთხოებისა და პირადი ხელშეუხებლობის საჭიროებების გათვალისწინებით; და**
- **ოპერატორი სხეულის გაშიშვლებით შემოწმების ვიდეოგადაღებას ახორციელებს იმგვარად, რომ შემოწმების განმახორციელებელი თანამშრომლები და პატიმარი კადრში ექცევიან ერთდროულად, პატიმრის ღირსებისა და პირადი ხელშეუხებლობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუკი ეს შეუძლებელია, ოპერატორს აქვს მიღებული ინსტრუქცია მთლიანად გადაიღოს ჩხრეკის განმახორციელებელი ოპერატორები.**

ვიდეოჩანაწერის შენახვა

35 51-ე წესი ადგენს, რომ პატიმრის პირად საქმეში არსებული ჩხრეკის ვიდეოჩანაწერი, მათ შორის ინფორმაცია ჩხრეკის განხორციელების მიზეზებისა და განმახორციელებელი პირების, ასევე ნებისმიერი შედეგის შესახებ უმნიშვნელოვანესია დადგენილ ნორმებთან და წესებთან ჩხრეკის პროცედურების შესაბამისობის შემფასებელი პირებისთვის და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმის შესამოწმებლად, რომ არ განხორციელებულა ჩხრეკა და შემოწმება დისკრიმინაციული წესით. ჩანაწერების შენახვა შესაძლოა იყოს ციხეში ნივთების უკანონო შემოტანაში თანამშრომელთა თანამონაწილეობის თავიდან აცილების გარანტი, ყველა პატიმრის და მნახველის ჩხრეკას და შემოწმებას დაქვემდებარების უზრუნველყოფით.

36 51-ე წესის მოთხოვნა ჩანაწერების შენახვასთან დაკავშირებით კავშირშია მე-8 წესთან, რომელშიც მითითებულია პატიმრის პირადი საქმის მართვის სისტემაში შესატანი ინფორმაციის ჩამონათვალი, მათ შორის ქცევასა და დისციპლინასთან დაკავშირებული მონაცემები. ეფექტიანი ანგარიშვალდებულების და მონიტორინგის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია ჩხრეკის შესახებ, განსაკუთრებით სხეულის გაშიშვლებით და სიღრმისეული შემოწმების შესახებ მონაცემები, რეგისტრირებული იქნას არამხოლოდ პატიმრის პირად საქმეში, არამედ ჩხრეკის აღრიცხვის ცენტრალიზებულ ჟურნალში.

127. იხილეთ „ვიდეოგადაღება საპოლიციო დაკავების დროს: წამების და არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორების აღმოფხვრა“, PRI/APT მეორე გამოცემა, საინფორმაციო ფურცელი, 2015. ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/01/factsheet-2-cctv-2nd-ed-v4.pdf.

37 მე-9 წესის მოთხოვნის თანახმად ყველა პატიმრის პირადი საქმის ჩანაწერი უნფა ინახებოდეს კონფიდენციალურობის დაცვით და „უნდა იყოს ხილვადი მხოლოდ მათთვის, რომელთა პროფესიული ვალდებულებაა მსგავსი ჩანაწერების ხელმისაწვდომობა“.

ქალი პატიმრების ჩხრეკა და შემოწმება

38 სხეულის შემოწმება, განსაკუთრებით გაშიშვლებით ან ინვაზიური შემოწმების სახეები, შეიძლება იყოს დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი როგორც მამაკაცი, ასევე ქალი პატიმრებისთვის. თუმცა, ქალთა ანატომიის, მათი სოციალური მოწყობის, ურთიერთობათა ბუნებიდან და ქალი პატიმრების ძალადობრივი წარსული გამოცდილების სტატისტიკურად მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, მსგავსი შემოწმების ზეგავლენა ქალ პატიმრებზე მამაკაცებთან შედარებით არაპროპორციულად მეტია. შესაბამისად, ჩხრეკის და შემოწმების დროს ქალი პატიმრები არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევიან.[128] ქალთა შემოწმების ან ჩხრეკის განხორციელების მეთოდების მიხედვით შესაძლოა გაიზარდოს დამამცირებელი გამოცდილება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მათ უნდა აიწიონ მკერდი, გადაიხარონ და გაშალონ დუნდულები ან თუ მათ აქვთ მენსტრუაცია ჩხრეკის და შემოწმების განხორციელების მომენტისთვის.

39 შესაბამისად, ადგილზე უნდა არსებობდეს ჩხრეკის და შემოწმების სპეციფიკური, გენდერ მგრძნობიარე სახელმძღვანელო პრინციპები. ბანგკოკის წესების მე-19 წესი განსაზღვრავს, რომ ქალთა და გოგონათა „ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული ჩხრეკის შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას.“[129]

40 ბანგკოკის წესები მოუწოდებს მხარე სახელმწიფოებს უზრუნველყონ ჩხრეკის ან შემოწმების ალტერნატიური სკრინინგის მეთოდები, როგორიცაა სკანერები სხეულს გაშიშვლებით და ინვაზიური შემოწმების ნაცვლად, რათა თავიდან იქნას აცილებული ქალებზე ინვაზიური ჩხრეკის ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური დამაზიანებელი ზეგავლენა.[130]

41 მამაკაცი თანამშრომლებს განსაკუთრებით უნდა აეკრძალოს ქალი და გოგო პატიმრების ნებისმიერ სახის ჩხრეკა ან შემოწმება, მათ შორის პირადი არასრული, გაშიშვლებით და სიღრმისეული შემოწმება. ქალთა შემოწმება უნდა განხორციელდეს მკაცრად მამაკაცების თვალთახედვის და დასწრების მიღმა.

42 ორსული ქალი და გოგო პატიმრები არასოდეს არ უნდა დაექვემდებარონ აგინალურ შემოწმებას.

43 ქალი პატიმრების ჩხრეკის განსახორციელებლად ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სათანადო რაოდენობის გადამზადებული ქალი თანამშრომლების შერჩევა.

ბავშვების ჩხრეკა და შემოწმება

44 ზოგადად, ზემოაღნიშნული ყველა მინიმალრი სტანდარტი თანაბარმნიშვნელოვნად გამოიყენება ციხეში ბავშვების ჩრეკის და შემოწმების განხორციელების მიმართ.

45 თუმცა, ბავშვების უნიკალური მოწყვლადობის გათვალისწინებით, ამგვარი ჩხრეკის ან შემოწმების მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას დამატებითი ღონისძიებები მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით. მაგალითად, თანამშრომლები, რომელნიც ახორციელებენ ამგვარ შემოწმებას, გასაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეირჩეს და სპეციალურად გადამზადდეს ბავშვებთან მოპყრობის საკითხებზე.

46 ინვაზიური ჩხრეკა არ უნდა განხორციელდეს ბავშვების მიმართ გარდა განსაკუთრებულად გამონაკლის შემთხვევებში და აუცილებელია ბავშვის და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ნებისმიერი ინვაზიური ჩხრეკის ჩატარების განსახორციელებლად.[131]

47 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე მოუწოდებს სახელმწიფოებს არ დაუქვემდებარონ დაკავების ადგილებში ბავშვები გაშიშვლებით შემოწმებას გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამგვარი ჩხრეკის ჩატარება უკიდურესად აუცილებელია.[132]

---

128. მაგალითისთვის იხილეთ ანდრეა ჰუბერის ავტორობით “ქალები და ბავშვები როგორც მსხვერპლები და დამნაშავეები: წარსული, პრევენცია, რეინტეგრაცია: წინადადებები წარმატებული მომავლისთვის“, (ტომი 2), ქალები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში და გაეროს ბანგკოკის წესების დამატება, Springer International Publishing, 2016, პარ. 5.9.

129. 129 ბანგკოკის წესები, op. cit., შენიშვნა 28, წესი 19.

130. იქვე, წესი 20.

131. „მართლწესრიგის დამცველი პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების რესურსების წიგნი“, UNHCR და UNODC, 2017, გვ. 141, მითითებით შემდეგ წყაროზე „აფრიკაში დაკავების, საპოლიციო პატიმრობის და წინასწარი პატიმრობის მდგომარეობის სახელმძღვანელო მითითებები“, ადამიანის და ხალთა უფლებების აფრიკის კომისია (ACHPR), მაისი 2014 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/UseOfForceAndFirearms.pdf; იცილეთ ასევე „დაკავებაში მყოფი ბავშვების წამებისგან დაცვა: გლობალური პრობლემების გლობალური მოგვარება“, American University Washington College of Law's Center for Human Rights & Humanitarian Law, Anti-Torture Initiative, 2017, გვ. 51.

132. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებზე, ხუან ე. მენდესი, ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს, A/HRC/28/68, 5 მარტი 2015, პარ. 86 (f) ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session28/Pages/ListReports.aspx.

48 ციხეში მშობლებთან მცხოვრებ ბავშვებს არასოდეს არ უნდა მოექცნენ როგორც პატიმრებს (წესი 29(2))) და მათი ჩხრეკა ან შემოწმება უნდა განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის პირობებში. ბავშვების ჩხრეკის ან შემოწმების ნებისმიერი მიზეზი გასაგებად უნდა აუხსნან როგორც ბავშვს, ასევე მშობელს. მშობელი უნდა დაესწროს ჩხრეკას ან შემოწმებას და შესაძლებლობა უნდა მიეცეს სრულად დააკვირდეს პროცესს.

49 გოგონები არასოდეს არ უნდა შემოწმდნენ მამაკაცი თანამშრომლების მიერ.

50 ბანგკოკის წესების 21-ე წესი განსაზღვრავს, რომ ციხის თანამშრომლებმა „უნდა გამოავლინონ კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და თანაგრძნობა და უნდა შეინარჩუნონ პატივისცემა და ღირსება იმ ბავშვების ჩხრეკის ან შემოწმების დროს, რომელიც დედასთან ერთად იმყოფება ციხეში და ასევე პატიმართან პაემანზე მისულ ბავშვს“.

ლგბტი პატიმრების სხეულის შემოწმება

51 სხეულის შემოწმება განსაკუთრებულად დამამცირებელი შეიძლება იყოს ლგბტი პატიმრებისთვის და მათ მიმართ შესაძლოა არსებობდეს არასათანადო მოპყრობის მომეტებული რისკი მათი გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო. ციხის ადმინისტრაციამ შესაბამისად უნდა შეიმუშავოს ლგბტი პატიმრების ჩხრეკის სპეციფიკური სახელმძღვანელო პრინციპები, განსაკუთრებით ტრანსგენდერი და ინტერსექსი პირების მიმართ.

52 ლგბტი პატიმრებთან მიმართებაში იმავე სქესის თანამშრომელის მიერ ჩხრეკის ჩატარების პრინციპის გამოყენება, შესაძლოა სათანადოდ ვერ უზრუნველყობს სათანადო დაცვის გარანტიებს, რადგან ქალი ან მამაკაცი თანამშრომელის მიერ ზიანის მიყენების ალბათობა ამ შემთხვევაში თანაბარია. ტრანსგენდერ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავად განსაზღვროს ქალი თუ მამაკაცი თანამშრომელის მიერ მისი ჩხრეკის შესაძლებლობა.[133]

53 ტრანსგენდერი და ინტერსექსი პატიმრების მიერ საკუთარი სქესის განსაზღვრა არ უნდა იყოს დამოკიდებული ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებულ სქესთან, არამედ ჩხრეკის განხორციელების მომენტისთვის მათ პირად თვითაღიარებულ სქესთან (იხ. წესი 7 (ა)).

პოზიტიური პრაქტიკა: ტრანსგენდერი პატიმრების ჩხრეკა – შოტლანდიის ციხის სამსახურის მიერ განხორციელებული ვიდეო [2.7]

შოტლანდიის ციხის სამსახურმა გამოსცა მოკლემეტრაჟიანი ფილმების სერია ციხის თანამშრომლების მიერ ტრანსგენდერი პატიმრების ჩხრეკის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ. ფილმი დემონსტრირებას უკეთებს დამაიმედებელ პრაქტიკას და მკაფიოდ განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტრანსგენდერი პატიმრის ციხეში შესახლება და გენდერსენსიტიური მიდგომების მნიშვნელობა. სერია შედგება დამოუკიდებელი ხანმოკლე ფილმებისგან ტრანს ქალი და მამაკაცი პატიმრების ჩხრეკის და შემოწმების სადემონსტრაციოდ, რომელიც გამოიცა შოტლანდიის ტრანსალიანსის (scottishtrans.org) და თანასწორობის კავშირთან (www.equality-network.org) ერთობლივად.[134]

შოტლანდიის ციხის სამსახურის გენდერული იდენტობის და გენდერული გადანაწილების პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირების სხეულის შემოწმება უნდა განხორციელდეს მათი სურვილის მიხედვით. დაკავებაში მყოფ პირს უნდა დაესვას შეკითხვა თუ რომელი სქესის თანამშრომლის მიერ უნდა მას იყოს შემოწმებული. მათი პასუხი იწერება და შესაბამისად ხორციელდება სხეულის შემოწმება.[135]

133. „თავისუფლებაღკვეთილი ლგბტი პატიმრები: პევენციის მონიტორინგის სამოქმედო ჩარჩო“ (მეორე გამოცემა 2015), op. cit. 27.

134. ამონარიდი სერიიდან ხელმისაწვდომია: vimeo.com/99916554.

135. „გენდერული იდენტობა და გენდერული გადანაწილების პოლიტიკა“, შოტლანდიის ციხის სისტემა, 12 მარტი 2014 ხელმისაწვდომია: www.sps.gov.uk/Corporate/Publications/Publication-2561.aspx.

2.2 მნახველების ჩხრეკის და ციხეში შესვლის პროცედურები

შესაბამისი წესები: მნახველების ჩხრეკის და ციხეში შესვლის პროცედურები

წესი 60:

1. ციხის ტერიტორიაზე მნახველთა დაშვება დამოკიდებულია ჩხრეკის გავლასთან დაკავშირებით მათ თანხმობაზე. მნახველს შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეცვალოს გადაწყვეტილება და უარი თქვას შემოწმების გავლაზე. ასეთ შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, უარი უთხრას მას ციხის ტერიტორიაზე დაშვებაზე.

2. მნახველთა დაშვების პროცედურები და ჩხრეკა არ უნდა იყოს დამამცირებელი და უნდა რეგულირდებოდეს მინიმუმ ისეთი დამცავი პრონციპებით, როგორიც გათვალისწინებულია 50–52–ე წესებში. მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული სხეულის სიღრმისეული ჩხრეკა და არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

54 დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაძლოა საჭირო იყოს ციხეში შესვლისას პატიმრების მნახველების შემოწმება. მნახველები შეიძლება შემოწმდნენ აკრძალული ნივთების ციხეში უკანონოდ შეტანის აღსაკვეთად.

55 მნახველები არ არიან პატიმრები და შესაბამისად არ ექვემდებარებიან ციხის წესებს. ეს გულისხმობს, რომ დაუშვებელია იძულებითი წესით მათი დაქვემდებარება შემოწმების პროცესისადი, მიუხედავად იმისა, რომ ციხის ხელმძღვანელობამ შეიძლება დაუშვას ციხის ნივთებზე წვდომა გარკვეული წესების შესაბამისად. მნახველების ჩხრეკის მარეგულირებელი წესების ერთობლიობა მინიმუმ ისეთივე მკაცრად რეგულირებული უნდა იყოს, როგორც პატიმრების მიმართ.

56 სავარაუდოდ, ციხის მნახველებმა შეიძლება იგრძნონ დამცირება და შიში, განსაკუთრებით თუ ეს მათი პირველი ვიზიტია ციხეში და შესაძლოა ციხის თანამშრომლებთან მათი პირველი ურთიერთობაც სწორედ პირადი შემოწმების კონტექსტში განხორციელდეს. მნახველები ჩხრეკის პროცედურებს სავარაუდოდ ჩათვლიან ინტრუზიულს და დამამცირებელს და დათანხმდებიან მის გავლას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს არის ციხეში შესვლის წინაპირობა.

57 პატიმრების რეაბილიტაციის და კეთილდღეობის მიზნებიდან გამომდინარე მათთან მნახველების დაშვების მნიშვნელობის გათვალისწინებით ციხის თანამშრომლებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ შემოწმების უარყოფითმა გამოცდილებამ შესაძლოა შეაჩეროს მნახველები ციხის სამომავლო მონახულებისგან.

58 თუკი მნახველებს აქვს ციხის თანამშრომლებთან პოზიტიური ურთიერქმედების გამოცდილება, მათ შორის შემოწმების პროცედურების ჩათვლით, პატიმართა და თანამშრომელთა ზოგადი ურთიერთობაც გაუმჯობესდება. მეორეს მხრივ, თუკი მნახველები უზიარებენ პატიმრებს შემოწმების დამამცირებელ გამოცდილებას, პატიმართა ნდობა ციხის თანამშრომლების მიმართ უარესდება.

პრაქტიკაში განხორციელება

დაცვის გარანტიები

59 წესი 60(2) აღნიშნავს, რომ მნახველთა ციხეში შესვლის პრცედურები უნდა ითვალისწინებდეს როგორც მინიმუმ ისეთივე დაცულობის ხარისხს, როგორც ეს პატიმრებთან მიმართებაშია (წესები 50-52). მნახველებს არასოდეს არ უნდა მოექცნენ პატიმრების მსგავსად და ციხის თანამშრომლები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოექცნენ ბავშვებს. ჩხრეკის ან შემოწმების პროცედურების მიმართ უნდა განხორციელდეს სათანადო ზედამხედველობა, რათა შემოწმდეს მათი გამოყენების სამართლიანობა და თანმიმდევრულობა.

60 ჩხრეკა ან შემოწმება უნდა განხორციელდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებზე დაყრდნობით. სადაც აუცილებელია, ჩხრეკა ან შემოწმება უნდა განხორციელდეს პირის თანდაყოლილი ღირსების და პირადი ხელშეუხებლობის სათანადო პატივისცემის დაცვით.

61 მნახველები არასოდეს არ უნდა დაექვემდებარონ ჩხრეკის ან შემოწმების იძულებას და მათ აქვთ უფლება ნებისმიერ დროს გადათქვან გაცემული თანხმობა ჩხრეკის ან შემოწმების ჩატარებაზე, როგორც ამას ცხადყოფს მე-60(1) წესი. ჩხრეკის ან შემოწმების პროცედურაში მონაწილეობის მიღებაზე მნახველის მიერ გაცხადებული უარის ერთადერთი ნებადართული უკუკავშირი არის მისთვის ციხეში შესვლაზე უარის თქმა. თუმცა, ჩხრეკაზე უარი აუცილებლად არ გულისხმობს შესვლაზე საბოლოო უარის მიღებას. ამის სანაცვლოდ, შესაძლებელია მოხდეს მონახულების ფორმის შეცვლა და მაგალითად, დაშვებულ იქნას უკონტაქტო მონახულება, რაც სავსებით გამორიცხავს პატიმრისთვის აკრძალული რაიმე ნივთის გადაცემას.

62 განსაკუთრებული ჯგუფების მიმართ, როგორიცაა ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არსებული დაცვის გარანტიები და წესთან ერთობლიობა ასევე გათვალისწინებული უნა იყოს მნახველთა მიმართაც. წესი 60(2) ადასტურებს სიღრმისეული შემოწმებისგან თავის შეკავების აუცილებლობაზე და რომ ის არ უნდა განხორციელდეს ბავშვების მიმართ.

არასაჭირო ჩხრეკის და შემოწმების თავიდან აცილება

63 თუ მნახველებს შეახსენებენ მათ წინაშე არსებული შესაძლო სანქციებისა და შეზღუდვების შესახებ, ამან შეიძლება შეაჩეროს მათ მიერ ციხეში აკრძალული ნივთების უკანონოდ შეტანის მცდელობა. ციხის ადმინისტრაციამ ნათლად უნდა ახსნას, თუ რა საგნები შეიძლება ჰქონდეს მნახველს თან და რომელი ნივთების მიცემა ეკრძალება პატიმრისთვის. მკაფიოდ უნდა განიმარტოს ასევე აკრძალული ნივთების შემოტანისთვის გათვალისწინებული სანქციები. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ციხის შესასვლელში, საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას ხილვადი ნიშნის დამაგრებით ან ჩხრეკის დაწყებამდე მნახველისთვის მკაფიო ახსნა-განმარტების მიცემით. ყველა მნახველს უნდა მიეცეს საშუალება, ჩხრეკის დაწყებამდე პირადად ჩააბარონ აკრძალული ნივთები.

64 როგორც პატიმრების გაჩხრეკის და შემოწმების შემთხვევაში, ასევე მნახველებთან მიმართებაშიც ციხის თანამშრომლებმა ყურადღებით უნდა განიხილონ ჩხრეკის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მისი აუცილებლობა და პროპორციულობა. მაგალითად, თუკი პატიმრის მონახულება გამორიცხავს მასთან კონტაქტს და მნახველისთვის შეუძლებელი იქნება მისთვის რაიმე აღურიცხავი ნივთის გადაცემა, ამ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარება არ არის საჭირო. ამის მსგავსად, თუკი გარე ვიზიტების შემდეგ პატიმრების დაბრუნებისას ხდება მათი რუტინული შემოწმება, პატიმრების და მნახველების შემოწმების საფუძვლიანობა ეჭვის ქვეშ დგება.

ჩხრეკის და შემოწმების განხორციელება

65 ციხის ადმინისტრაციამ ნათლად უნდა აუხსნას ციხის მნახველებს ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობის მიზეზები, როგორ იქნება ჩატარებული ჩხრეკა და რა შედეგები მოყვება მნახველის მიერ ჩხრეკაზე ან შემოწმებაზე უარის თქმას. ციხის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს მეგობრული, მხარდამჭერი დამოკიდებულება და ფრთხილად უნდა შეარჩიოს სასაუბრო სიტყვები და სხეულის ენა.

66 თანამშრომლები უნდა გადამზადდენ მნახველებთან სათანადოდ მოპყრობის საკითხებზე და უნდა ახსოვდეთ, რომ მნახველი შეიძლება იყოს შეშფოთებული, დადარდიანებული ან შეშინებული. კერძოდ, მათ უნდა გაიარონ გადამზადება ბავშვ მნახველებთან მოპყრობის საკითხებზე.

67 ბავშვის უფლებების დაცვის გაეროს კომიტეტი (UNCRC) გასცემს რეკომენდაციას ადგილზე გატარებული იყოს შესაბამისი ღონისძიებები „მონახულების კონტექტსის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ბავშვის ღირსებისა და პირად ხელშეუხებლობის უფლებასთან“ და მოუწოდა მხარეებს „თავისუფლებააღკვეთილ მშობლებთან მიმართებაში არსებული უსაფრთხოების ღონისძიებები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს დაზარალებული ბავშვების უფლებებს.“[136]

მნახველების შემოწმების ადგილი

68 მნახველების შემოწმების და ჩხრეკის და შემოწმების ადგილი უნდა მდებარეობდეს და იყოს მოწყობილი იმგვარად, რომ მან უზრუნველყოს გასაჩხრეკი პირის ღირსების და პირადი ხელშეუხებლობის უსაფრთხოება და თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან აცილება.

მნახველი სპეციალისტების ჩხრეკა და შემოწმება

69 შეიძლება აუცილებელი იყოს არამხოლოდ ციხეში მყოფი ოჯახის წევრების ან მეგობრებს მნახველი პირების ჩხრეკა და შემოწმება, არამედ ციხეში სერვისის მიმწოდებელი პირების და სპეციალისტების, მათ შორის ადვოკატების შემოწმება. ჩხრეკა და შემოწმება განსაკუთრებით აუცილებლია, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი სპეციალისტების

136. „პატიმარი მშობლების ბავშვები“, ბავშვის უფლებების დაცვის კომიტეტი, op. cit., შენიშვნა 44, პარ. 38 და 39.

ან სერვისის მიმწოდებლების მიერ ციხეში უკანონოდ აკრძალული ნივთების სავარაუდო შეტანის ან გაქცევაში პატიმრის დახმარების შესახებ, რამაც შესაძლოა საფრხის წინაშე დააყენოს ციხის უსაფრთხოება.

70 ციხის მონიტორები და ინსპექტორებიც შესაძლოა დაექცემდებარონ ჩხრეკას, მაგრამ მათი სპეციფიკური მანდატიდან და როლიდან გამომდინარე, ამგვარი ჩხრეკა უნდა იყოს მინიმალური და მათი დოკუმენტების შინაარსის კონფიდენციალურობა დაცული. საუკეთესო შემთხვევაში მათი როლიდან გამომდინარე და შესაბამისად მონიტორები წინასწარ უნდა იყვნენ შემოწმებულნი სანდოობის კუთხით, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებულიდ დეტალური შემოწმების აუცილებლობა.

71 თუკი არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იურიდიული წარმომადგენელი ჩართულია პატიმრისთვის აღურიცხავი ნივთის მიწოდებაში, ციხის ადმინისტრაციას ეძლევა უფლება განახორციელოს მისი გაჩხრეკა კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვით. თუმცაღა, პატიმარს თავისუფლად უნდა შეეძლოს თავის ადვოკატთან საუბარი ჩარევისა და ცენზურის გარეშე. პატიმრის და ადვოკატის საუბარი, მათ შორის სამართლებრივი დოკუმენტაცია, უნდა იყოს კონფიდენციალური. კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი კონვერტი შესაძლებელია გაიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ვარაუდი, რომ მასთან ერთად დალუქულია უკანონო ან საფრთხის შემცველი საგნები. ციხის უფლებამოსილი პირები არასოდეს არ უნდა გაეცნონ ამგვარი კორესპონდენციის შინაარსს.

72 UNODC-მა აღნიშნა, რომ „პატიმრებს და მათ იურიდიულ კონსულტანტებს შორის არსებული კომუნიკაცია უნდა იყოს კონფიდენციალური და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს მისი შემოწმება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაშინ როდესაც არსებობს გონივრული და დასაბუთებული ეჭვი, რომ კორესპონდენცია შეიცავს უკანონო მონაცემებს, შესაძლებელია ციხის უფლებამოსილმა უფროსმა თანამშრომელმა უკანონო საგნის აღმოჩენის მიზნით გახსნას კორესპონდენცია პატიმრის თანდასწრებით. წერილი არ უნდა იყოს წაკითხული. ანალოგიურად, კანონიერი წარმომადგენლის მიერ ციხეში შეტანილი დოკუმენტაცია კონფიდენციალური ხასიათისაა და ადვოკატების ჩხრეკა და შემოწმება უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით.“[137]

2.3 ციხეში მშობლებთან ერთად მცხოვრები ბავშვები

73 განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები ითვალისწინებენ გარკვეულ მოთხოვნებს ციხეში მშობლებთან ერთად მცხოვრებ ბავშვებთან მიმართებაში. ბაგკოკის წესები ავსებენ მანდელას წესებს უფრო დეტალური სახელმძღვანელო პრინციპებით თუ როგორ უნდა განხორციელდეს მშობლების და ბავშვების მხარდაჭერა, მათ შორის ბავშვების ემოციური მდგომარეობის და განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით. ბანგკოკის წესები ასევე ითვალისწინებს ბავშვის ციხეში დატოვების ნებართვის გაცემის ან ციხიდან გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო პრინციპებს. ბანგკოკის წესების წინასწარი კომენტარი 12 აცხადებს, რომ „ზოგიერთი წესი აწესრიგებს საკითხებს, რომელიც ეხება როგორც ქალ ისე მამაკაც პატიმრებს, როგორიცაა მშობლის მოვალეობები (...) შესაბამისად, ზოგიერთი წესი, თანაბრად ეხება მამრობითი სქესის პატიმრებსა და მსჯავრდებულებს, რომლებიც არიან მამები“.

შემუშავებული უნდა იყოს მკაფიო და მუდმივი სახელმძღვანელო პრინციპები და წესები ზრდასრულებთან ერთად ციხეში ბავშვების დატოვების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან და ციხეში ბავშვის ყოფნის ხანგძლივობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელო პრინციპებმა ასევე უნდა გაითვალისწინოს მშობლის ან მზრუნველისგან ბავშვის დაშორების დრო და გზები, შესაფერისი ალტერნატიული ღონისძიებების ცათვლით და დებულებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაშორება განხორციელდება სათანადო ზრუნვით და მგრძნობელობით. აღნიშნულ შემთხვევაში მომვლელებს წინასწარ და სრულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია განსახორციელებელი პროცედურების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, იხილოთ სახელმძღვანელო დოკუმენტი ბანგკოკის წესების შესახებ [138]

---

137. „ცნობარი მაღალი რისკის პატიმრების მართვის შესახებ“, UNODC, op. cit., შენიშვნა 44, გვ.139.

138. მაგალითისთვის იხილეთ „სახელმძღვანელო დოკუმენტი: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები)“, ციხის საერთაშორისო რეფორმა/ტაილანდის მართლმსაჯულების ინსტიტუტი, 2013, ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/10/PRI-TIJ-Guidance-Document-on-Bangkok-Rules-October-2013.pdf.

შესაბამისი წესები: ციხეში მშობლებთან მყოფი ბავშვები

წესი 29 :

1. გადაწყვეტილება იმის შესახებ, უნდა დარჩეს თუ არა ბავშვი მშობელთან ციხეში, უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. იმ დაწესებულებებში, სადაც დასაშვებია ბავშვის მშობელთან დარჩენა, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

(ა) ბავშვის მოვლის შიდა და გარე ობიექტები, რომელიც დაკომპლექტებული იქნება პროფესიონალებით და სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვის დატოვება მაშინ, როდესაც ის მშობლის მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფება;

(ბ) პედიატრიული სამედიცინო მომსახურება, მათ შორის მიღების დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და ბავშვის განვითარების ზედამხედველობა სპეციალისტის მიერ.

2. დაუშვებელია, მშობელთან ციხეში მცხოვრები ბავშვის პატიმარივით მოპყრობა.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

74 ბევრ ქვეყანაში, ბავშვებს აქვს უფლება იყვნენ ციხეში მათ მშობელთან ან ძირითად მომვლელთან, რომელიც როგორც წესი არის დედა ან სხვა მდედრობითი სქესის ნათესავი, ერთად.[139] ხშირად ბავშვები რჩებიან ციხეში, ვინაიდან არ არსებობს მათი მოვლის სხვა ალტერნატიული შესაძლებლობა, ან ვინაიდან ისინი დაიბადნენ დედების ციხეში ყოფნის დროს.

75 ციხის გარემო უზღუდავს ბავშვებს ჩვეულებრივ ბავშვურ ცხოვრებას და ციხის ადმინისტრაციისთვის შესაძლოა რთული იყოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ციხის გარემოში დამატებითი რისკებია, მათ შორის პატიმრებს შორის ძალადობა. მეორეს მხრივ, მშობელთან ან მომვლელთან ერთად ციხეში ცხოვრება შეიძლება კვლავ წარმოადგენდეს ბავშვისთვის საუკეთესო ან ერთადერთ შესაძლებლობას და იყოს ნაკლებად საზიანო, ვიდრე მათი დაშორება.

76 ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ციხეში მათ მშობელთან ან სხვა მომვლელთან ერთად არასოდეს არ უნდა გათანაბრდნენ პატიმრებთან და ციხის უფლებამოსილ პირებს აქვთ ვალდებულება დაიცვან მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში. მათ უნდა იზრუნონ და დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები სათანადოდ, ბიუჯეტის და ადამიანური რესურსების დაგეგმვის ჩათვლით.

პრაქტიკაში განხორციელება

გადაწყვეტილება კაბიტაციის შესახებ

77 გადაწყვეტილება კაბიტაციის შესახებ მიღებულ უნდა იქნას კონკრეტული საქმიდან გამომდინარე ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სააგენტოების მიერ, ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებთან კოორდინაციით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იყოს ჩართული როგორც მომვლელი, ასევე ბავშვი.[140]

78 როგორც მითითებულია ბანგკოკის წესების 52-ე წესში მშობლისგან ან მომვლელისგან ბავშვის დაშორების დროისა და ადგილის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ შეფასებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

79 ინდივიდუალური შეფასება გამუდმებით უნდა გადაიხედოს ციხის ცვალებადი გარემოს და ბავშვის განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე.

80 მაშინ როდესაც მანდელას წესები და ბანგკოკის წესები ბავშვის ძირითადი მომვლელის სტატუსს უკავშირებენ დედებს (ან მშობლებს), ბავშვებმა ციხეში შეიძლება იცხოვრონ სხვა მომვლელებთან ერთად, მაგალითად ბებია-ბაბუასთან ან უფროს და-ძმასთან, განსაკუთრებით თუკი მათი მშობლები აღარ არიან ცოცხლები ან არ ძალუძთ მათი მოვლა.

---

139. დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლსამჯულების გაეროს კომიტეტი (CCPCJ), ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესების პროექტის კომენტარი"E/CN.15/2009/CRP.8, 9 აპრილი 2009, გვ. 31 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Expert-group-meeting-Bangkok/ECN152009_CRP8.pdf. ბანგკოკის წესების შესახებ ეს კომენტარი ცხადყოფს, რომ ზოგიერთი წესი გამოიყენება როგორც მამაკაცი, ასევე ქალი პატიმრების მიმართ, მათ შორის, მშობლების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და რომ აუცილებელია ბავშვების ცხოვრებაში ორივე მშობლის ცენტრალური როლის აღიარება. შესაბამისად, წესები, რომლებიც ეხება მშობლებთან ციხეში მცხოვრებ ბავშვებს, თანაბრად ვრცელდება მამრობითი სქესის პატიმრებზე და დამნაშავეებზე, ვინც არიან მშობლები.

140. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 44/25, „გაეროს ბავშვთა დაცვის კონვენცია", 1989 წლის 2 ნოემბერი, რომლის მე-12 მუხლი უთითებს, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ საკითხებზე, რომელიც უშუალოდ ეხება მას და მის შეხედულებებს მიენიჭოს სათანადო წონა მისი ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით. 2. ამ მიზნებისთვის ბავშვს უნდა მიენიჭოს შესაძლებლობა თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციული წარმოების დროს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან სათანადო ორგანოს მიერ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით" ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/crc.pdf.

კონტექსტი: ციხეში მშობელთან ერთად მყოფი ბავშვი – გადაწყვეტილების მიღების პროცესი [2.8]

იმის შესაფასებლად უნდა იმყოფებოდეს თუ არა ბავშვი მშობელთან ერთად ციხეში ან როდის უნდა დაშორდეს მას, მოსაზრებები უნდა ითვალისწინებდეს:

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესს და ბავშვის უფლებას განვითარების შესაძლებლობაზე;**
- **მშობლისა და ბავშვის ერთად ყოფნის უპირატესობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი ძუძუთი იკვებება;**
- **ბავშვის მოწიფულობის განვითარებას, ჯანმრთელობას და ურთიერთობას მშობელთან ან მომვლელთან ციხეში ან ციხის გარეთ;**
- **ციხეში არსებულ პირობებს, მათ შორის ხელმისაწვდომობას სათანადო ჯანდაცვის**
- **სერვისებზე, განათლებაზე და რეკრიაციულ შესაძლებებლობებზე;**
- **ციხის გარეთ ალტერნატიული ზრუნვის შესაძლებლობების არსებობას და ხარისხს;**
- **მშობლის ან მომვლელის სასჯელის მოსახდელად დარჩენილ ვადას;**
- **ბავშვის, მშობლის და კავშირში მყოფი სხვა ნათესავის შეხედულებებს;**
- **ბავშვის შესაძლებლობას ინახულოს მშობელი ან მომვლელი ციხეში; და**
- **ბავშის განვითარებას და ციხის და მშობელთან ან მომვლელთან დაშორების შესაძლო გავლენას ამ განვითარებაზე.**

საცხოვრებელი პირობები

81 ციხეში მშობელთან მყოფი ბავშვები არ უნდა გათანაბრდნენ პატიმრებთან (მანდელას წესი 29(2) და ბანგკოკის წესი 49). მათ უნდა იცხოვრონ გარემოში, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოვებული ციხის გარეთ ბავშვისთვის არსებულ გარემოსთან (ბანგკოკის წესი 51(2)), მაგალითად განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები, სხვებთან ურთიერთქმედება, თამაშის და სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობები.

82 პატიმრის კონკრეტულ ციხეში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ციხეში მშობელთან მცხოვრები ბავშვის უსაფრთხოება. ასეთ დროს ზრუნვის საგანს წარმოადგენს ბავშვის არიდება იმ პატიმრებთან ურთიერთობისგან, ვინც საფრთხეს უქმნის მათ. უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების ღონისძიებები მათი გადაყვანის, ტრანზიტის და სხვათა მზრუნველობის ქვეშ ყოფნის დროს.

83 პატიმრებს უნდა მიეცეთ მაქსიმალური შესაძლებლობები მათთან ციხეში მცხოვრებ ბავშვებთან დროის გატარების მიზნით (ბანგკოკის წესი 50) .[141] თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ბავშვებთან/ჩვილებთან ატარებდნენ სრულ დღე-ღამეს. მათ უნდა შეეძლოთ საგანმანათლებლო და მოსამზადებელ კურსების გავლა, ექიმთან შეხვედრა და დროდადრო ბავშვის ზრუნვისგან დასვენების დრო.

ბავშვთა სერვისები და დაცვის საჭიროებები

84 28-ე წესი ადგენს, რომ ციხეში დამადებული ბავშვის დაბადების მოწმობაში არ უნდა მიეთითოს აღნიშნული ფაქტის შესახებ.

85 მანდელას წესები ადგენს, რომ თუკი ბავშვი განთავსედება მშობელთან ერთად ციხეში, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბავშვთა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა. უფლებამოსილმა პირებმა, სადაც საჭიროა, უნდა დაამყარონ ურთიერთობა ადგილობრივ სპეციალისტებთან ციხეებში ბავშვებზე პატიმრობის ზეგავლენის შეფასების განსახორციელებლად. უფლებამოსილმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების და ჩვილების გადაყვანა სპეციალიზირებულ კლინიკებში გეგმიურ შემოწმებაზე.

86 თუ ბავშვი ცხოვრობს ციხეში მის მშობელთან ან ძირითად მომვლელთან, ბავშვის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს აღრიცხული პატიმრის პირად საქმეში (მანდელას წესების მე-7(f) წესი და ბანგკოკის წესების მე-3 წესი), უფლებამოსილი პირების მიერ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ დაგეგმვის და უზრუნველყოფის მიზნით. ეს ინფორმაცია უნდა იყოს შენახული კონფიდენციალურად.

141. „ბანგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, წესი 50.

თანამშრომელთა გადამზადება და სხვა სპეციალისტების ხელმისაწვდომობა

87 საჭიროების და საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სათანადო რეაგირების განხორციელების მიზნით ციხეში ბავშვებთან უშუალოდ მომუშავე თანაშრომლებმა უნდა გაიარონ სწავლება ბავშვთა განვითარების და ჯანდაცვის აკითხებში, როგორც ამას მოითხოვს 76(2)-ე წესი. შესაბამის სპეციალისტებთან ბავშვების და მათი მშობლის/ძირითადი მომვლელის ურთიერთობის კოორდინირების მიზნით ციხის თანამშრომლებიდან უნდა გამოიყოს სპეციალურად უფლებამოსილი საკონტაქტო პირი.

2.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები

88 მანდელას წესები განახლდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების საჭიროებების და შემთხვევების ასახვის მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ ჰქონოდათ ციხის ცხოვრების სრული და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა სხვა პატიმრებთან თანაბარ პირობებში და მათთან მოპყრობა განცორციელებულიყო მათი ჯანმრთელობის საჭიროებებიდან გამომდინარე.[142]

შესაბამისი წესები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები

წესი 5(2): ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტური და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე.

წესი 39(3): დისციპლინური სასჯელის დაკისრებამდე, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გათვალოს, რამდენად შეიძლებოდა პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ან განვითარების დარღვევას ემოქმედა მის ქცევასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე ან ქმედებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ სახდელს. დაუშვებელია, ციხის ადმინისტრაციამ სასჯელი დაუწესოს პატიმარს რაიმე სახის ქმედებისთვის, თუ ეს ქმედება პირდაპირი შედეგია მისი ფსიქიკური დაავადების ან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების.

წესი 109:

1. დაუშვებელია, შეურაცხაობის მქონე პირების, ასევე პირების, რომელთაც მოგვიანებით დაუდგინდათ მწვავე ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობები ან/და ჯანმრთელობის პრობლემები და რომელთათვისაც ციხეში დარჩენა მდგომარეობის დამძიმების ტოლფასია, ციხეში მოთავსება. მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებაში გადაყვანა უნდა მოხდეს უმოკლეს დროში.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სხვა პატიმრების მონიტორინგი და მკურნალობა შეიძლება მოხდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ, სპეციალურ დაწესებულებებში.

3. აუცილებელია, სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფდეს ნებისმიერი პატიმრის ფსიქიატრიულ მკურნალობას, ვისაც ამის საჭიროება აქვს.

წესი 110: სასურველია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, კომპეტენტურ დაწესებულებებთან ერთად მიღებულ იქნას ზომები გათავისუფლებულ პატიმართა ფსიქიატრიული მკურნალობისათვის, ასევე, როგორც მათი სოციალურ-ფსიქიატრიული მეურვეობისთვის.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

89 სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე პატიმრებს ექნებათ შეზღუდვასთან დაკავშირებული სპეციფიკური საჭიროებები, მაგალითად სავარძელ-ეტლის საჭიროება, ყავარჯნები და სხვა ორთოპედიული საშუალებები, ჟესტური ენის თარგმნების და ინფორმაციის ისეთ ფორმატში მიღება, რომელიც ხელმისაწვდომია უსინათლო ან მხედველობის დარღვევის მქონე პატიმრებისთვის და რომელთა სათანადოდ უზრუნველსაყოფად ბევრ ციხეს არ გააჩნია შესაბამისი მოწყობა.

90 ციხეებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ შესაბამისი განთავსების ადგილი სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირისთვის. ანალოგიურად, ციხის თანამშრომლები და ციხეები ჩვეულებრივ არ არიან აღჭურვილნი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების სათანადო მოპყრობისთვის საჭირო შესაძლებლობებით. ბევრ ქვეყანაში

142. „მანდელას წესები“, op. cit., წესი 1: 109-ე მუხლის პირველი წინადადება მსჯელობს ფსიქიკური აშლილობებისა და / ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე და, შესაბამისად, სცდება ციხის ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებს. ფსიქიკური აშლილობის და / ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა დაპატიმრების გადაწყვეტილება განეკუთვნება სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობას.

ციხის ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა მიუთითებს ციხეში შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირთა რაოდენობის გაზრდაზე და ციხეების ადმინისტრაციის მიერ მათი საჭიროებების გათვალისიწნების აუცილებლობაზე.

91 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პატიმრების შესახებ UNODC ცნობარი შეიცავს დეტალურ სახელმძღვანელო მითითებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებთან დაკავშირებული საკითხების მართვის შესახებ და უთითებს, რომ „ის სირთულეები, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადოებაში ყოფნისას საგრძნობლად იმატებს ციხეში, დახურული და შეზღუდული გარემოს და გადატვირთულობით მაპროვოცირებელი ძალადობრივი ხასიათის, პატიმრების სათანადო დიფერენცირების და ზედამხედველობის ნაკლებობის გათვალისწინებით. ციხის მოსახლეობის გადატვითულობა ამძაფრებს შეზღუდვის ხარისხს, რაც განპირობებულია უყურადღებობით, ფსიქოლოგიური სტრესით და სათანადო სამედიცინო მომსახურეობის ნაკლებობით, რაც დამახასიათებელია გადატვირთული ციხეებისთვის. (...) შესაბამისად თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს არაპროპორციულად მკაცრ სასჯელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში აუარესებს მათ მდგომარეობას და მძიმე ტვირთად აწვება ციხის სისტემურ რესურსებს.“[143]

92 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციის დონე ციხეში იმატებს. როგორც აღნიშნავს UNOD „შეზღუდული შესალებლობის მქონე პატიმრებს შეზღუდული აქვს მომსახურეობასთან წვდომა, წესების შესრულება და ციხის ღონისძიებებში, რომელიც არ ითვალისწინებს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებს, მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. არქიტექტურული დაგეგმარების გათვალისწინებით არსებული დაბრკოლებების გამო მობილობის შეზღუდვის მქონე პატიმრებმა შეიძლება ვერ გამოიყენონ სასადილო, ბიბლიოთეკა, სანიტარიული ობიექტები, სამუშაო, სარეკრიაციო და მნახველებისთვის განკუთვნილი ოთახები. მხედველობის დარღვევის მქონე პატიმრებს არ შეუძლიათ პირადი კორექსპონდენციის ან ციხის წესების და შინაგანაწესის წაკითხვა დამხმარე პირის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტები მოცემულია ბრაილის ფორმატში. მათ არ შეუძლიათ გამოყენონ ბიბლიოთეკა, თუ არ არსებობს ბრაილის ფორმატში დაბეჭდილი საკითხავი ლიტერატურა.

143. „ცნობარი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პატიმრების შესახებ“ UNODC, op. cit., შენიშვნა 87, გვ. 43.

სმენის და მეტყველების დარღვევის მქონე პირებს შეიძლება უარი ეთქვას თარჯიმნის ხელმისაწვდომობაზე, რაც შეუძლებელს ხდის მათთვის ციხის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრებში, ვადამდე გათავისუფლების ან დისციპლინური მოსმენის სხდომებში მონაწილეობის მიღება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს სისტემატიურად შეიძლება ეთქვას უარი ციხის გარეთ არსებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაზე, რაც საგრძნობლად ზრდის თავისულების აღკვეთის ხანგძლივობას"[144]

93 ECtHR აღნიშნა, რომ პატიმრობის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი პირობების ან/და მისაღები განთავსების ადგილის მიუწოდებლობა წარმოადგენს არაადამიანურ და ღორსების შემლახავ მოპყრობას.[145]

პრაქტიკაში განხორციელება

94 გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD) აღიარებს „რომ შეზღუდული შესაძლებლობა არის დინამიური ცნება" და რომ „შეზღუდვას განაპირობებს ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირების და მათ მიმართ დამოკიდებულებისა და გარემო ბარიერების ურთიერთქმედების შედეგი, რაც აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სრულყოფილ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში".[146]

95 გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) მე-14(1)(b) მუხლი უთითებს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა არანაირ შემთხვევაში არ უნდა გახდეს თავისუფლების აღკვეთის მიზეზი". კონვენციის მე-14(2) მუხლი ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში „მონაწილე სახელმწიფოები მათ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თანაბარი გარანტიებით და მათდამი მოპყრობაში გამოიყენებენ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით".[147]

96 მანდელას წესების 5(2)-ე წესი უნდა იკითხებოდეს 4(2) წესთან ერთობლიობაში, რომელიც მოითხოვს ყველა პროგრამა, მომსახურეობა და დახმარება მიეწოდოს პატიმარს მისი ინდივიდუალური მკურნალობის საჭიროებებთან ერთად. ეს პროცესი მყარ კავშირშია რისკებისა და საჭიროებების მიმდინარე ინდივიდუალურ შეფასებასთან, რომელიც უფრო დეტალურადაა განხილული სახელმძღვანელო დოკუმენტის **თავი 1, პარაგრაფები 64-87**.

97 საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების გონივრული მისადაგება, როგორც ამას მოითხოვს მე-5(2) წესი, გულისხობს მობილობის შეზღუდვის მქონე პატიმრებისთვის ფიზიკური დაბრკოლებების შემცირებას, უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის დოკუმენტების ბრაილის ფორმატში ან ფირზე შინაარსის გადატანით მიწოდებას და სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის თარჯიმნის უზრუნველყოფას. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) მე-2 მუხლი განსაზღვრავს „გონივრული მისადაგებას" როგორც „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას".[148]

98 დისციპლინური სახდელის დაკისრებისას ფსიქიკური ჯანმრთელობის და განვითარების პრობლემური საკითების განხილვასთან ერთად „შეზღუდული შესაძლებლობა უნდა იქნას გათვალისწინებული ჯილდოს გაცემის ან პრივილეგიის მინიჭების ნებისმიერი სისტემის მუშაობისას, რომელიც „კარგ" ყოფაქცევას ან რისკების შემცირებას აღიარებს ციხიდან გათავისუფლების საფუძლად (...) თუ კონკრეტული პროგრამები ან აქტივობები ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ პატიმრებისთვის, რომლებიც გარკვეული ფორმით წინსვლას განიცდიან, მაშინ ზოგიერთმა პატიმარმა, რომელსაც აქვს გონებრივი, ინტელექტუალური

---

144. იქვე, გვ. 45.

145. მაგალითისთვის იხ. პრაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 33394/96, 2001 წლის 10 ივლისი; ვინსენტი საფრანგეთის სახემწიფოს წინააღმდეგ, განაცხადი 6253/03, 2006 წლის 24 ოქტომბერი; გრიმაილოვსი ლატვიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, განაცხადი 6087/03, 2013 წლის 25 ივლისი; სემიხვოსტოვი რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, განაცხადი 2689/12, 2014; ასალაია თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, განაცხადი 43875/09, 2014 წლის 15 აპრილი და ზ.ჰ. უნგრეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, განაცხადი28973/11, 2012 წლის 8 ნოემბერი.

146. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია A/RES/61/106, „გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" (CRPD), 2006 წლის 13 დეკემბერი ხელმისაწვდომა: www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities.html და „სახელმძღვანელო მითითებები CRPD მე-14 მუხლის შესახებ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თავისუფლების და დაცვის უფლება", შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს, 2015 წლის სექტემბერი ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/CRPDIndex.aspx.

147. იქვე.

148. იხილეთ ასევე "ესექსის დოკუმენტი 3", ციხის საერთაშორისო რეფორმა, op. cit., შენიშვნა 4, გვ.19.

ან დასწავლის შეზღუდული შესაძლებლობა, შესაძლოა ვერ შეძლოს მათში მონაწილეობის მიღება, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციას".[149] შეზღუდვების, დისციპლინის და სანქციების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახელმძღვანეო **დოკუმენტის მე-4 თავში**.

99 გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 4(3)-ე მუხლი აღნიშნავს, რომ უფლებამოსილმა პირებმა აქტიურად უნდა ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მათთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პოლიტიკის შემუშავების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების სრულად გაგების და გათვალისწინებისთვის ციხის ხელმძღვანელი პირები მჭიდროდ უნდ თანამშრომლობდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ექსერტებთან თემში არსებული წარმატებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით.

100 მანდელას წესების 109(2)-ე წესი ავალდებულებს ციხის ხელმძღვანელობას უზრუნველყონ მენტალური დარღვევების ან/და ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობის მქონე პატიმრებისთვის განკუთვნილი სპეციალიზირებული დაწესებულებების ზედამხედველობა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მეშვეობით. უფრო მეტიც, „ნებისმიერი შეფასება ან მკურნალობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში".[150]

2.5 გარდაცვლილი პატიმრის ცხედართან მოპყრობა

შესაბამისი წესები: გარდაცვლილი პატიმრის ცხედართან მოპყრობა

წესი 72 : ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, გარდაცვლილის ცხედარს მოეპყრას პატივისცემითა და ღირსების დაცვით. გარდაცვლილი პატიმრის ცხედარი მის ახლობლებს უნდა გადაეცეთ შესაძლებლობისთანავე, ყველაზე გვიან კი გამოძიების დასრულებისთანავე. ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სხვა პასუხისმგებელი მხარე, ან იგი ვერ უზრუნველყოფს ამას, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს კულტურულად შესაბამისი პანაშვიდის ჩატარებას და აწარმოოს ფაქტის შესახებ სრული ჩანაწერი.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

101 მადელას წესების 72-ე მუხლი კავშირშია 1-ელ წესთან, რომელიც ადგენს, რომ ყველა პატიმარს უნდა მოეპყრან ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და ღირებულებების პატივისცემით. დამატებით, განსაკუთრებული მგრძნობელობა და პატივისცემა მოეთხოვება ციხის ადმინისტრაციას გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან კომუნიკაციის დროს. 72-ე წესი ასევე უთითებს 69-ე წესზე, რომელიც განსაზღვრავს პატიმრის გარდაცვალების შემთხვევაში უახლოესი ნათესავის ან საკონტაქტო პირის ინფორმირების წესს.

102 მოთხოვნა, ციხემ აწარმოოს მის მიერ ორგანიზებული გარდაცვლილი პატიმრის დაკრძალვის მიმდინარეობის სრული აღწერა, მნიშვნელოვანია ოჯახის სათანადო ინფორმირებისა და სათანადო გამოძიების გარეშე გვამის მოშორების შესაძლო შემთხვევების აკრძალვის უზრუნველსაყოფად.

103 შესაძლებელია არსებობდეს გარდაცვლილი პატიმრის ცხედართან მოპყრობის კულტურული, რელიგიური ან/და გენდერთან დაკავშირებული მოთხოვნები.

104 72-ე წესი გათვალისწინებულია მანდელას წესების იმ თავში, რომელიც არეგულირებს პატიმრობაში პირის გარდაცვალების გამოძიების საკითხებს. წესების ფორმულირება და კონტექსტი ვარაუდობს, რომ 72-ე წესი გამოიყენება ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის სიკვდილით დასჯის აღსრულების დროს.

149. იქვე.
150. იქვე.

პრაქტიკაში განხორციელება

105 ციხის თანამშრომლები უნდა გადამზადნენ გარდაცვლილი პატიმრის ცხედართან გენდერული თავისებურებების და მისი კულტურისა და რეგილიგიის პატივისცემის გათვალისიწნებით მოპყრობის საკითხებზე. ციხეში ცხედართან მოპყრობის პროცედურა არ უნდა განსხვევდებოდეს ციხის კედლებს მიღმა გარდაცვლიილ პირის ცხედართან მოპყრობის პროცედურისგან. ციხის თანამშრომლება უნდა გაიარონ გადამზადება გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან პატივისცემითა და ყურადღებით მოპყრობის საკითხებზე.

106 სადაც შესაძლებელია, აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები, როგორიცაა მაგალითად გვამის გაკვეთა, უნდა განხორციელდეს უმოკლეს ვადებში რათა დაუსაბუთებლად არ დაყოვნდეს პატიმრის გვამის გადაცემა ახლო ნათესავებისთვის. ეს განსაკურებით მნიშვნელოვანია ვინადიდან დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ოჯახის/მეგობრების შეშფოთება, განსაკუთრებით იმ კულტურულ გარემოში, სადაც დაკრძალვა როგორც წესი იგეგმება გარდაცვალებიდან საკმაოდ სწრაფად. როგორც წესი, გაუმართლებელია ცხედარის დატოვება გვამის გაკვეთის შემდეგ. როდესაც გარდაცვლილის უახლოესი ნათესავი ცნობილი არ არის, ცხედარი უნდა გადაეცეს პატიმრის მიერ დასახელებულ საგანგებო საკონტაქტო პირს.

107 UNOPS ვარაუდობს, რომ „შესაძლებელია ციხემ მოითხოვოს ობიექტი, სადაც შესაძლებელი იქნება გარდაცვილი პატირების ცხედრების მომზადება დასაკრძალად ან ოჯახისთვის გადასაცემად. აღნიშნულ შემთხვევაში სათანადო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით“.[151]

108 როდესაც გარდაცვლილი პატიმრის ცხედარი გადაეცემა ახლოს ნათესავს ან საგანგებო საკონტაქტო პირს, პატიმრის საკუთრებაში არსებული ნივთები ასევე უნდა დაუბრუნდეს საამისოდ განსაზღვრულ პირს პატიმრის საკუთრების შენახვის მარეგულირებელი 67-ე წესის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2.6 მონობა

შესაბამისი წესები: მონობა

წესი 97:

1. პატიმართა შრომა არ უნდა იყოს მათთვის მტკივნეული.
2. პატიმარი არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან არ უნდა იყოს იძულებითი შრომის მსხვერპლი.
3. დაუშვებელია, რომელიმე პატიმრის შრომა ციხის რომელიმე თანამშრომლის პირადი სარგებლის მიზნით.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

109 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR) აცხადებს, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“ და რომ „არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა უნდა აიკრძალოს“.[152] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICCPR) ასევე აცხადებს, რომ „არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში, აკრძალულია მონობა და მონათვაჭრობა, მისი ყველა გამოვლინების ფორმით. არავინ უნდა იმყოფებოდეს დამონებულ მდგომარეობაში. არავინ უნდა აიძულონ ასრულებდეს იძულებით ან სავალდებულო სამუშაოს“.[153]

151. „ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო მითითებები“, UNOPS, op. cit., შენიშვნა 87, გვ.157.

152. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 217 A , „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1948 წლის 10 დეკემბერი, მუხლები 1 და 4 ხელმისაწვდომია: www.un.org/en/universal-declaration-human-rights.

153. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 2200A (XXI), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICCPR), მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის N2200 A (XXI) რეზოლუციით, 1966 წლის 16 დეკემბერი, მუხლი 8 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx.

პრაქტიკაში განხორციელება

110 საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) კონვენცია No. 29 იძულებითი შრომის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1930 წელს, ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს აღკვეთონ იძულებითი ან სავალდებულო შრომა ნებისმიერი ფორმით დროის უმოკლეს ვადაში, მაგრამ ადგენს რამდენიმე სპეციფიკურ გამონაკლისს, როგორიცაა სავალდებულო სამხედრო სამსახური და „ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომელიც მოეთხოვება პირს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, იმ პირობით, რომ ამგვარი სამუშაო ან სამსახური შესრულდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ზედამხედველობითა და კონტროლით და, რომ აღნიშნული პიროვნება არ იქნება კერძო პირების, კომპანიების ან ასოციაციების მიერ დაქირავებული ან მათ განკარგულების ვეშ მყოფი“. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია განმარტავს, რომ „იშვიათი გამონაკლისების გარდა პატიმარი მუშაობს იძულების ქვეშ. მას არ შეუძლია შეარჩიოს დამსაქმებელი, როგორცა ამას აკეთებს თავისუფალი პირი და მან უნდა შეასრულოს ნებისმიერი სამუშაო, რომელსაც მას დაავალებენ. მისი სამუშაო პირობები მკაცრად განსაზღვრულია სახელმწიფოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით; პატიმარს არ გააჩნია ხმის უფლება და როგორც წესი არ შეუძლია წარდგეს სასამართლოს წინაში მის მიმართ განხორციელებული უკანონობის აღსაკვეთად“.[154]

111 საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) ექსპერტთა კომიტეტმა – რომელიც პასუხისმგებელია ILO-ს კონვენციების განმარტების განხორციელებაზე – თანმიმდევრულად მოითხოვს, რომ არსებობდეს ობიექტური და გადამოწმებული ინდიკატორები, რაც დაადასტურებს რომ პატიმრები, რომლებიც მუშაობენ კერძო პირებისთვის, ახორციელებენ ამ საქმიანობას ნებაყოფლობით. კერძოდ, კონვენციის მე-2(2)(c) მუხლი საშუალებას აძლევს პატიმრებს იმუშაონ კერძო კომპანიებში „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება შრომის მაძიებელი თავისუფალი პირის მსგავსად“.[155] უფრო მეტიც, ბალანსზე „გარემოებები, რომელშიც ხორციელდება საპატიმრო შრომითი ურთიერთობები, არ უნდა იყოს თავისუფალ ბაზართან შედარებით იმგვარად არაპროპორციულად უარესი, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას ექსპლუატაციად“.[156]

კონტექსტი: თავისუფალი შრომის განმსაზღვრელი ILO-ს ინდიკატორები [2.9]

ILO-ს მოთხოვნების თანახმად, თავისუფალი შრომითი ურთიერთობების განმსაზღვრელი ინდიკატორები ითვალისწინებენ:

1. **სამუშაოს განხორციელებაზე პატიმრის თავისუფალი თანხმობა, წერილობითი, სამუშაო პირობების და ანაზღაურების შეთანხმებული ფორმით;**
2. **ციხის გარეთ არსებულ პირობებთან მსგავსი სამუშაო პირობები, კერძოდ:**
   - **შესაბამის მრეწველობის დარგში ან პოზიციაზე მსგავსი უნარ-ჩვევების და გამოცდილების მქონე თანამშრომლებისთვის ტოლფასი ხელფასები, ასევე მხედველობაშია მისაღები ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პროდუქტიულობის დონე და ნებისმიერი ხარჯი, რომელსაც საწარმო გასწევს მუშების ზედამხედველობასთან დაკავშირებით ციხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**
   - **პირდაპირ თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები. დასაქმებულმა უნდა მიიღონ მკაფიო და დეტალური ხელფასის უწყისები, სადაც მითითებულია სამუშაო საათები, გამომუშავებული ხელფასი და ასევე საკვებისა და საცხოვრებლისთვის კანონით გათვალისწინებული ხარჯების გამოქვითვით.**
   - **კანონის შესაბამისად განსაზღვრული დღიური სამუშაო სააათები.**
   - **კანონის შესაბამისად დადგენილი უსაფრთხოების და ჯანდაცვის ღონისძიებები.**
   - **დასაქმებული ჩართულია სოციალური დაცვის გეგმაში (საჭიროების შემთხვევაში) უბედური შემთხვევების და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევების ანაზღაურების მიზნით;**
   - **მუშაკები იღებენ ისეთ სარგებელს, როგორიცაა ახალი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა, რაც მათ უვითარებს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს;**
   - **მუშაკებს აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ მუშაობა იმავე სფეროში გათავისუფლების შემდეგ; და**
   - **ნებისმიერ დროს თანხმობის გაუქმების შესაძლებლობა, შეტყობინების მხოლოდ გონივრული მოთხოვნების შესაბამისად.**

---

154. მემორანდუმი ციხეში შრომის შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), International Labour Review, Vol. XXV, 1932, გვ. 313-314.

155. „იძლებითი შრომის აღმოფხვრა“, ILO, კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ, 2007 წლის 15 თებერვალი, ნაწილი II, პარაგრაფი 116.

156. ექსპერტთა კომიტეტის ზოგადი ანგარიში კონვენციების და რეკომენდაციების გამოყენების თაობაზე, ILO კონფერენცია, 89-ე სესია, 2001წ, გვ. 46, პარ. 143, ხელმისაწვდომია: www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661(2001-89-1A).pdf.

PIENI
POLVERI

3

ინციდენტების მართვა და რეაგირება

3.1 შემაკავებელი საშუალებები
3.2 ძალის და იარაღის გამოყენება
3.3 გამოძიება

3. ინციდენტების მართვა და რეაგირება

01 მანდელას წესების განახლების ერთ-ერთი მიზეზი იმ მეთოდების გათვალისწინება გახდა, რომლის მიზანია დისციპლინური დარღვევების თავიდან აცილება ან ციხეებში კონფლიქტების აღმოფხვრა „კონფლიქტის პრევენციის, მედიაციის ან დავის გადაჭრის სხვა ალტერნატიული მექანიზმების“ დანერგვით (იხ. წესი 38(1)) და დინამიური უსაფრთხოების მიდგომების (წესი 76(გ)) აღიარებით კონფლიქტების პრევენცია ან მათი ესკალაციის თავიდან აცილება.

იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ზემოაღნიშნული მეთოდები საკმარისი არ არის, გათვალისწინებული იქნა ასევე მითითებები შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შესახებ. სტანდარტული მინიმალური წესების გადახედვის დროს იარაღის ან ძალის გამოყენების შესახებ დებულებები არ განახლებულა. ამ მიმართულებით წესების მოქმედების სფერო რჩება შეზღუდული იმ დებულებებით, რომელიც ეხება სისტემის თანამშრომლებს. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გაეროს ქცევის კოდექსი[157] და გაეროს ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ (BPUFF)[158] აგრძელებენ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ მანდელას წესების დებულებების შევსებას.

უფრო მეტიც, წესებმა გაითვალისწინა დებულებები ნებისმიერი სიკვდილის, გაუჩინარების ან სერიოზული დაზიანების შემთხვევაში განსახორციელებელი მოქმედებების, მათ შორის ანგარიშგებისა და გამოძიების ვალდებულების შესახებ. განახლებულმა წესებმა ასევე გამოკვეთა წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევებზე საპასუხო ქმედებები და პროცედურები, მიუხედავად იმისა, მიღებული იქნა თუ არა ფორმალური საჩივარი.

კონტექსტი: დინამიური უსაფრთხოების მიდგომები [3.1]

დღეს–დღეისობით აღიარებულია, რომ პოზიტიური გარემოს შექმნას, რომელიც ეხმარება პატიმრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებას, შეუძლია ხელი შეუწყოს ციხეში დაცვისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას: „პატიმრებთან ურთიერთობა და მათი გაცნობა საშუალებას აძლევს ციხის თანამშრომლებს განჭვრიტონ და უკეთესად მოემზადონ ნებისმიერ ინციდენტზე, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანამშრომლების და პატიმრების უსაფრთხოებას, რეაგირების მოსახდენად.“[159] პატიმრებთან უშუალოდ ურთიერთობის მეთოდი განხილულია როგორც დინამიური უსაფრთხოება. ნელსონ მანდელას წესები აღიარებს დინამიური უსაფრთხოების კონცეფციას 76(გ) წესში.

UNODC აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც ფიზიკური და პროცედურული უსაფრთხოების მექანიზმები წარმოადგენს „ნებისმიერი ციხის არსებით თავისებურებას (...) მხოლოდ მათი არსებობა არ არის საკმარისი პატიმრების ციხიდან გაქცევის აღსაკვეთად. უსაფრთხოება ასევე დამოკიდებულია თანამშრომლების გამაფრთხილებელ ჯგუფზე, რომელიც ურთიერთობს და იცნობს საკუთარ პატიმრებს; თანამშრომლებზე, რომელნიც აყალიბებენ პოზიტიურ ურთიერთობას პატიმრებთან; თანამშრომლებზე, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ციხეში არსებულ ვითარებაზე; პატიმრების სამართლიან მოპყრობაზე და კეთილდღეობაზე; და თანამშრომლებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პატიმრების კონსტრუქციულ და მიზანმიმართულ საქმიანობას, რაც სამომავლო ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში“. [160]

---

157. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 34/169, „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გაეროს ქცევის კოდექსი“, 1979 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/LawEnforcementOfficials.aspx.

158. დანაშაულის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაეროს მერვე კონგრესი, „გაეროს ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“, 1990 წლის 7 სექტემბერი ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/UseOfForceAndFirearms.aspx.

159. „ცნობარი ციხის ხელმძღვანელებისთვის“, UNODC, op. cit., შენიშვნა 76, გვ. 106.

160. „ცნობარი დინამიური უსაფრთხოების და ციხის ოპერატიული საქმიანობის შესახებ“, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ პუბლიკაციათა სერია, 2015, გვ. 29 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_on_Dynamic_Security_and_Prison_Intelligence.pdf.

დინამიური უსაფრთხოების მიდგომები ითვალისწინებს პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის პროაქტიულ და ხშირ ურთიერთქმედებას. ეს საშუალებას აძლევს თანამშრომლებს დააკვირდნენ პატიმრებს და შეაგროვონ ინფორმაცია. მსგავსი სისტემატიური ურთიერთქმედება წარმოაჩენს გამაფრთხილებელ ნიშნებს შესაძლო ინციდენტების შესახებ და შესაძლებლობას აძლევს ციხის თანამშრომლებს მოახდინონ პრობლემების ადრეული აღკვეთა და თავიდან აცილება. ამგვარი მიდგომა ასევე ნიშნავს, რომ თუ ინციდენტი წარმოიშვება, ციხის თანამშრომლებს, რომლებიც უკვე ინდივიდუალურად იცნობენ პატიმრებს, ექნებათ ეფექტიანი რეაგირების საშუალება.[161]

როგორც ნაჩვენებია, დინამიური უსაფრთხოების მიდგომები აუმჯობესებს უსაფრთხოებას. CPT-ს თანახმად, თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის კონსტრუქციული ურთიერთობა „ემსახურება ციხის ნებისმიერ გარემოში არსებული დაძაბულობის შემცირებას და ამავე ნიშნით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობრივი ინციდენტების ალბათობას და არასათანადო მოპყრობას".[162] UNDOC ასევე აღნიშნა, რომ „თანამშრომლების ხელმისაწვდომობა, თავდაჯერებულობა, წესრიგის სულისკვეთების შექმნა და დაცვა/უსაფრთხოება" მიჩნეულია, რომ ახდენს კონფლიქტების პრევენციას.[163]

3.1 შემაკავებელი საშუალებები

02 შემაკავებელი საშუალებებად მიჩნეულ იქნა „გარე მექანიკური მოწყობილობები, რომლებიც შექმნილია პირის სხეულის მოძრაობის ნაწილობრივი ან სრული შეზღუდვისთვის."[164] არსებობს შეკავების სხვადასხვა სახის საშუალებები და იქმნება ახალი ფორმებიც.

შემაკავებელი საშუალებების გამოყენების პროცედურა, მათ შორის პატიმართა გადაყვანის დროს, მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს კანონით და ხელისუფების წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშავონ მათი გამოყენების მკაფიო პოლიტიკა და პროცედურები მანდელას წესებთან, გაეროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსთან და მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ (BPUFF) გაეროს ძირითადი პრინციპებთან შესაბამისობაში. პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებულმა დოკუმენტებმა უნდა გაითვალისწინოს, როგორც მინიმუმ, შეკავების იმ საშუალებების ჩამონათვალი, რომლის გამოყენება შეიძლება ან არ შეიძლება და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები; მათი გამოყენების გარემოებები; დაზიანების და ტკივილის მიყენების რისკის შესამცირებლად მათი გამოყენების გზები; შემაკავებელი საშუალებების გამოყენებაზე უფლებამოსილი თანამშრომლები და შემაკავებელი საშუალებების გამოყენების აღრიცხვის მოთხოვნები.

შემაკავებელი საშუალებების გამოყენების მარეგულირებელი კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები და პროცედურები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა თანამშრომლისთვის, შიდა და გარე მონიტორებისთვის და პატიმრებისთვის. ასეთი კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები და პროცედურები მუდმივად უნდა გადაიხედოს სათანადო წესით, მათი გამოყენების კუთხით ჩატარებული სამედიცინო კვლევების გათვალისწინების ჩათვლით.

შემაკავებელი საშუალებები, რომელთა გამოყენება თავისი არსით დამამცირებელი ან ტკივილის გამომწვევია, უნდა აიკრძლოს. თუ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტები ან წესები ითვალისწინებს აკრძალული შემაკავებელი საშუალებების ჩამონათვალს, სია არ უნდა იქნას წაკითხული ვიწრო გაგებით და უნდა იყოს მითითება სხვა ისეთი საშუალებების გამოყენების დაუშვებლობაზე, რომელიც თავისი არსით არის დამამცირებელი ან ტკივილის გამომწვევი, მათ შორის ახალი ტექნოლოგიები. ეს ცხადი უნდა იყოს ციხის თანამშრომლებისთვის.

161. „პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან", ICPS, op. cit., შენიშვნა 29, გვ. 59, 70-71. იხილეთ ასევე „ციხის ინციდენტების მართვის ცნობარი", გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი (DPKO), 2013 წლის 1 მარტი, გვ. 15 და 21 შემდეგი ხელმისაწვდომია: http://dag.un.org/handle/11176/89538; „ცნობარი დინამიური უსაფრთხოების და ციხის ოპერატიული საქმიანობის შესახებ", UNODC, op. cit., შენიშვნა 163; და „ადამიანის უფლებები და ციხეები: ცნობარი ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ციხის თანამდებობის პირებისთვის", გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარის ოფისი (OHCHR), vol. I, ჟენევა, 2005, გვ. 98 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/Documents/Publications/training11en.pdf.

162. „CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-2 წლიური ანგარიში", op. cit., შენიშვნა 79, პარ. 45.

163. „ცნობარი დინამიური უსაფრთხოების და ციხის ოპერატიული საქმიანობის შესახებ", UNODC, op. cit., შენიშვნა 160, გვ.32.

164. „შემაკავებელი საშუალებები: წამების და არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორების აღმოფხვრა", ციხის საერთაშორისო რეფორმა/წამების საწინააღმდეგო ასოციაცია, 2015, გვ.1 ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/resource/detention-monitoring-tool-factsheet-instruments-restraint.

შესაბამისი წესები: შემაკავებელი საშუალებები

წესი 47:

1. უნდა აიკრძალოს ჯაჭვების, რკინების და დამორჩილების არსებითად მტკივნეული და დამამცირებელი სხვა საშუალებების გამოყენება.

2. სხვა შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ნებართვის საფუძველზე შემდეგი მდგომარეობის არსებობისას:

(ა) პატიმრის გადაყვანის დროს, როგორც გაქცევის აღმკვეთი ზომა და იმ პირობით, რომ მოხსნიან პატიმრის სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენამდე;

(ბ) ციხის დირექტორის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ყველა სხვა მექანიზმი უშედეგოა და შეუძლებელი პატიმრის მიერ თვითდაზიანების ან სხვების ან ქონების დაზიანების შეჩერება; აუცილებელია, დირექტორმა დაუყოვნებლივ აცნობოს ექიმს ან სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პროფესიონალს ასეთი შემთხვევების შესახებ და მიაწოდოს ინფორმაცია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

წესი 48:

1. როდესაც შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ხდება 47-ე წესის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უნდა მოქმედებდეს შემდეგი პრინციპები:

(ა) შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი მასზე მსუბუქი ზომა არ არის ეფექტური შეუზღუდავი გადაადგილებით გამოწვეული რისკების აღსაკვეთად;

(ბ) გამოყენებული შეკავების მეთოდი უნდა წარმოადგენდეს ყველაზე ნაკლებ ინტრუზიულ მეთოდს, რომლის გამოყენებაც აუცილებელი და გონივრულად ხელმისაწვდომია პატიმრის მოძრაობის კონტროლისთვის, წარმოქმნილი რისკის დონისა და ხასიათის გათვალისწინებით;

(გ) შეკავების საშუალებების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ საჭირო დროის მონაკვეთში და უნდა მოიხსნას პატიმრის უკონტროლო მოძრაობით გამოწვეული რისკის გაქრობისთანავე.

2. შემაკავებელი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია ფეხმძიმე, მშობიარე და ახლადნამშობიარები ქალების მიმართ.

წესი 49:

ციხის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს დაშვება კონტროლის ისეთ ტექნიკაზე და ჩაატაროს ტრენინგი მისი გამოყენების შესახებ, რომელიც გამორიცხავს შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას ან შეამცირებს მათ ინტრუზიულ ბუნებას.

წესი 76:

1. 1. 75-ე წესის მე-2 პარაგრაფში მოხსენიებული სწავლება, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს: (...)

(გ) უშიშროება და უსაფრთხოება, მათ შორის, დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია, ძალისა და შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, ასევე ძალადობრივი დამნაშავეების მართვა პრევენციული და განმუხტვის ისეთი ტექნიკის საშუალებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია;

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

03 მანდელას წესებში ბევრი ახალი დებულება გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულებიდან თავიდან აიცილოს და აკრძალოს წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა და დაიცვას ყველა პირის თანდაყოლილი ღირსება. ძალის, იარაღის ან შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, მათი ბუნებიდან გამომდინარე წარმოშობს გარკვეულ რისკებს. მიუხედავად ამისა, როდესაც კონტროლის სხვა საშუალებებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია, ციხის უფლებამოსილ თანამდებობის პირებს ზოგიერთ შემთხვევაში მოეთხოვებათ მათი გამოყენება ინდივიდების ან დაწესებულების უსაფრთხოების დასაცავად. მანდელას წესებში მოცემული დებულებები წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს პოლიტიკის განმსაზღრელი პირების, ციხის ხელმძღვანელი პირების და თანამშრომლებისთვის თუ როგორ განახორციელონ ბალანსი ძალის, იარაღის და შემაკავებელი საშუალებების გამოყენებასა და იმათი ღირსების დაცვას შორის, ვის მიმართაც გამოიყენება ეს საშუალებები.

04 საშუალებების გამოყენება უნდა იყოს მკაცრად რეგულირებული მათი გამოყენების შედეგად პატიმრის მიერ შესაძლო დამცირების, ტკივილის, წამების, სხვა არასათანადო მოპყრობის თუ სხვა შეუქცევადი ზიანის მიყენების განცდის მაღალი რისკიდან გამომდინარე.

05 ზოგიერთი შემაკავებელი საშუალება თავისი არსით არის ღირსების შემლახავი ან ტკივილის გამომწვევი, მაშინ როდესაც სხვა იწვევს დაზიანების საფრთხეს, იმის მიხედვით თუ როგორ და რა მიზეზით ხდება მათი გამოყენება. თუ ეს საშუალებები განზრახ გამოიყენება ტკივილის ან ტანჯვის მიყენების მიზნით, აღნიშნული წარმოადგენს წამებას.

06 შემაკავებელი საშუალებები, რომელთა გამოყენება თავისი არსით არ არის დამამცირებელი ან ტკივილის გამომწვევი, შესაძლოა მიჩნეულ იყოს ასეთად იმ პირის მიერ, ვის მიმართაც ხდება მათი გამოყენება ან შესაძლოა გამოიყენებოდეს იმგვარად, რომ იწვევდეს ტკივილს. აღსანიშნავია, რომ პატიმრები განსხვავებულად აღიქვამენ შემაკავებელი საშუალებების მტკივნეულ და დამამცირებელ ხასიათს.

07 სათანადოდ მართვად ციხეში შემაკავებელი საშუალებების გამოყენება უნდა იყოს საგამონაკლისო შემთხვევა და არა წესი. მათმა მუდმივმა და სისტემატიურმა გამოყენებამ შეიძლება წარმოშვას პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის დაძაბულობა და ნდობის

დაკარგვა და განაპირობებს დაწესებულებაში ძალაუფლების დისბალანს. ძალის გამოყენების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები საშუალებას აძლევს პატიმრებს გაიგონ როდის და რომელი გარემოებების დროს გამოიყენება შემაკავებელი საშუალებები.

08 შეკავების ალტერნატიული საშუალება არის არამხოლოდ უფრო ჰუმანური, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში, უფრო ეფექტიანი და სავარაუდოდ უფრო მეტადაც შეუწყობს ხელს პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

პრაქტიკაში განხორციელება

შემაკავებელი საშუალებების გამოყენების აკრძალვა

09 ჯაჭვების, ფეხის მძიმე ბორკილების ან შემაკავებელი სხვა საშუალებების გამოყენების აკრძალვა, რომელიც არსებითად მტკივნეული ან ღორების შემლახავია, გამომდინარეობს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის ზოგადი დებულებებიდან. ამგვარი საშუალებების გამოყენება აბსოლუტურად აკრძალულია და მათი გამოყენების გამართლება დაუშვებელია აუცილებლობის ან პროპორციულობის შესახებ რაიმე არგუმენტით.

10 47(1)-ე წეში აკრძალული საშუალებების ჩამონათვალი უფრო საილუსტრაციო ხასიათისაა, ვიდრე ამომწურავი. წესში არ ყოფილა მცდელობა წარმოდგენილი ყოფილიყო აკრძალული საშუალებების სრული ჩამონათვალი ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება განსხვავებული ტექნოლოგიები, სია შესაძლო მალე მოძველებულიყო ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე. წესებმა აღნიშნა, რომ არსებობს მტკივნეული და ღირსების შემლახავი სხვა საშუალებებიც, მაგრამ მათი ჩამონათვალი არ არის მოცემული 47(1)-ე წესში. „არსებითად მტკივნეული და დამამცირებელი საშუალებები“ განსაზღვრულია, მაგალითად, როგორც ქვემოთ აღწერილი აღჭურვილობა და მათი გამოყენება.[165]

165. ომეგას კვლევითი ფონდი (2018) „დაკავების ადგილებში იარაღის და შემაკავებელი საშუალებების გამოყენების ზედამხედველობა: პრაქტიკული სახელმძღვანელო“ ხელმისაწვდომია: omegaresearchfoundation.org/publications/monitoring-weapons-and-restraints-places-detention-practical-guide.

კონტექსტი: აკრძალული შემაკავებელი საშუალებები [3.2]

შემდეგი შემაკავებელი საშუალებები მიჩნეულია არაჰუმანურ და ღირსების შემლახავად:[166]

- **მძიმე შემაკავებელი საშუალებები.** გაეროს სპეციალურმა მომხსენებლმა წამების საკითხებზე აღნიშნა, რომ დღეში 24 საათის განმავლობაში დაახლოებით 3 კგ წონის ფეხის მძიმე ბორკილების გამოყენება არის არადაამიანური და ღირსების შემლახავი.[167] იმ საგნებით ვაჭრობის აკრძალვის კონტექსტში, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას წამების ან სხვა სასტიკი, არადაამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყობისთვის, ევროპის კავშირმა (EU) აკრძალა ფეხის მძიმე ბორკილები, აღნიშნა რა, რომ მათ გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა.[168]
- **შემაკავებელი საშუალებები,** რომელთაც აქვთ სამაჯურებს შორის ფიქსირებული, ხისტი საყრდენი. მაგალითად, ფეხის შემაკავაბელი საშუალება, რომელსაც „ბორკილების სამაჯურებს შორის დამაგრებული აქვს რკინის დამაკავშირებელი ხისტი ღერძი და პატიმრის ფეხებს ამყოფებს მუდმივად გაშლილ მდგომარეობაში" წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურ მომხსენებელს აღწერილი აქვს, როგორც „არსებითად არაადამიანური და დამამცირებელი" შეკავების საშუალება.[169]
- **ცერის ბორკილები, თითების ბორკილები,** ცერის და თითების ხრახნები. შეკავების აღნიშნული საშუალებები ექცევა საქონლის იმ კატეგორიაში „რომელსაც არ აქვს სხვა პრაქტიკული გამოყენება გარდა წამების და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მიზნებისთვის" და ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად აღნიშნული მოწყობილობებით ვაჭრობა აკრძალულია.[170]
- **დასაფიქსირებელი შეზღუდვის საშუალებები ნიშნავს ბორკილებს,** რომელის „შექმნილია კედელზე, იატაკზე ან ჭერზე პირის მისამაგრებლად". ევროკავშირმა დაადგინა, რომ აღნიშნულ საშუალებებს არ აქვს „სხვა პრაქტიკული გამოყენება გარდა (...) წამების და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მიზნებისთვის".[171] CPT-მ აღნიშნა, რომ პირისთვის ხელბორკილის დადება ფიქსირებულ საგანზე მისი დამაგრების მიზნით „წარმოადგენს გრძელვადიანი წუხილის საგანს" და მოუწოდა სახელმწიფოებს მოაშორონ ისეთი საყრდენები, როგორიცაა მეტალის რგოლები და იატაკის და ჭერის შემაერთებელი ღერძები, რაც ცალსახად მიანიშნებს მათ გამოყენებას მსგავსი მიზნებისთვის.[172]
- **გალია და ბადე საწოლები ნიშნავს საწოლებს,** რომელიც შეადგენს გალიას (ოთხი მხარე და ჭერი) ან მსგავს სტრუქტურას და მიზნად ისახავს ადამიანის ჩაკეტვას საწოლში, რომლის ჭერი ან ერთი ან მეტი მხარე შედგენილია ლითონის და სხვა წნელებით და რომლის გახსნა შეიძლება მხოლოდ გარედან (გალია საწოლი). განმარტება ასევე გულისხმობს ისეთ სტრუქტურებს, სადაც ჭერი ან ერთი ან მეტი გვერდი წარმოადგენს ბადის ტიპის კონსტრუქციას და იღება მხოლოდ გარედან (ბადე საწოლები). ევროკავშირმა აღნიშნა, რომ „გალია ან ბადე საწოლები არ არის პატიმრების შეკავების სათანადო საშუალებები".[173] ევროკავშირის მიერ ასევე აიკრძალა ამ საქონლით ვაჭრობა.
- **დამაწყნარებელი სკამები, დამაწყნარებელი საწოლები და დაფა-ბორკილები,** როგორც **შემაკავებელი საშუალებები,** რაც გულისხმობს სკამებს, დაფებს ან საწოლებს, რომელიც აღჭურვილია ბორკილებით და მიზნად ისახავს ადამიანის შეკავებას, საერთოდ უნდა გაუქმდეს UNCAT-ის მოთხოვნის თანახმად და აღნიშნა, რომ „მათი გამოყენება თითქმის ყოველთვის იწვევს კონვენციის [სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ] მე-16 მუხლის მოთხოვნის დარღვევას".[174]ევროკავშირმა აღნიშნა, რომ „დამაწყნარებელი სკამები, დამაწყნარებელი საწოლები და დაფა-ბორკილები ზღუდავს პატიმრის გადაადგილების შესაძლებლობას უფრო მეტად, ვიდრე ერთდროულად ხელბორკილების და ტერფის ბორკილების დადება".

---

166. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხ. ასევე: ევროპის საბჭო, რეგულაცია (EC) 1236/2005, „ევროკავშირის წამების სავაჭრო რეგულაციებით აკრძალული ან კონტროლირებადი სამხედრო, უშიშროების და პოლიციის აღჭურვილობის ვიზუალური გზამკვლევი", ომეგას კვლევითი ფონდი (2018) omegaresearchfoundation.org/identification-tools/visual-guide-eu-torture-trade-regulation.

167. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, 62-ე სესია E/CN.4/2006/6/Add.6, გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებზე, ანგარიში ჩინეთში ვიზის შესახებ, 2006 წლის 10 მარტი, გვ.44 ხელმისაწვდომია: documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G06/117/50/PDF/G0611750.pdf?OpenElement.

168. რეგულაცია No 775/2014-ის განსახორციელებლად კომისიამ შეცვალა საბჭოს რეგულაცია (EC) No 1236/2005", ევროპის კავშირი, 16 ივლისი 2014წ , პარ. 6, ხელმისაწვდომია: eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014R0775&from=EN.

169. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, ტეო ვან ბოვენი, „იმ აღჭურვილობის წარმოების და ვაჭრობის კვლევა, რომელიც სპეციალურად მუშავდება წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მიზნებისთვის, მისი წარმოშობის ადგილი, დანიშნულება და ფორმები", 2003 წლის 13 იანვარი, პარ. 9 ხელმისაწვდომია: documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G03/103/60/PDF/G0310360.pdf?OpenElement.

170. ევროპის საბჭო, 2005 წლის 27 ივნისის საბჭოს რეგულაცია 1236/2005 „იმ საქონლით ვაჭრობის შესახებ, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სიკვდილით დასჯის, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის მიზნით", მუხლი 5 დანართი III-თან კავშირში ხელმისაწვდომია: eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:r12535 და "რეგულაცია 775/2014", ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 168, პარ. 6.

171. „რეგულაცია 775/2014", ევროპის საბჭო, op. cit., შენიშნა168, დანართი II, პარ. 2.4.

172. ევროპის საბჭო, „ანგარიში სლოვაკეთის სახელმწიფოს CPT-ის ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2010) 1", 2010 წლის 11 თებერვალი, პარ. 22 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680697da3.

173. „რეგულაცია 775/2014", ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 171, პარ. 12 და დანართი II, პარ. 2.7 და 2.8.

174. გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში (UN CAT), კონვენციის მე-19 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, A/55/44 (2000), თავი IV. M პარ. 180(c) ხელმისაწვდომია www.refworld.org/docid/453776b50.html.

წამების ან არაადამიანური მოპყრობის თანდაყოლილი რისკი იზრდება, როდესაც ეს შემაკავებელი საშუალებები გამოიყენება უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე აუცილებელია აკრძალვის დაწესება დამაწყნარებელი სკამებით, დამაწყნარებელი საწოლებით და დაფა–ბორკილებით ვაჭრობაზე, გარდა სკამებისა, რომელიც აღჭურვილია ქამრებით ან სარტყლებით.[175]

— **ELECTROSHOCK იარაღი, რაც ნიშნავს პორტატულ ელექტროშოკურ მოწყობილობებს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ელექტროშოკური ხელკეტები, ელექტროშოკური ფარები, ელექტროშოკური რევოლვერები, ელექტროშოკური ტირის რევოლვერები. ელექტროშოკური მოწყობილობები ასევე დაგმო რამდენიმე ორგანოს, მათ შორის UNCAT–მა, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე და CPT.[176] ევროკავშირი მოითხოვს ექსპორტის ნებართვას პორტატული ელექტროშოკური მოწყობილობების განხორციელებისათვის და აკრძალა ელეკტროშოკური ქამრების ექსპორტი და იმპორტი, რომელიც განკუთვნილია ადამიანების შეკავებისთვის ელექტრონული მუხტის ადმინისტრირებით.[177]**

ნაკლებად ინტრუზიული შემაკავებელი საშუალებები

11 საერთაშორისო სამართალი ნებას რთავს შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას 47-ე მუხლით გათვალისწინებულ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. შემაკავებელი ნებისმიერი საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციუობის პრინციპების საფუძველზე და როგორც უკიდურესი აუცილებლობის ზომა, როდესაც სხვა საშუალებებით შეუძლებელია კანონით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა. სადაც შესაძლებელია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გამოიყენონ დეესკალაციის, მედიაციის და დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმები (იხ. წესი 38(1)).

12 დინამიური უსაფრთხოების მიდგომა ეხმარება იმ შემთხვევების პრევენციას, რომლის დროს ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ შემაკავებელი საშუალებები, იარაღი ან ძალა. კარგად მართვად დაწესებულებებში, ციხის თანამშრომლებს საშუალება ექნებათ მოახდინონ რისკების იდენტიფიცირება (ციხიდან გაქცევა, სუიციდი და ძალადობრივი ტენდენციები) ადრეულ ეტაპზე და იყვნენ დროული ინტერვენციის განხორციელების მდგომარეობაში.

13 თუ კონტროლის ალტერნატიული მეთოდების გამოყენებამ შედეგი ვერ გამოიღო, ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI) და წამების პრევენციის ასოციაცია (APT) ვარაუდობს, რომ „ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად სათანადოდ შერჩეულ და შემოწმებულ ქსოვილის ფეხის შემაკავებელ საშუალებებს შეუძლია უზრუნველყოს „კანზე რკინის“ გამოყენების უფრო ჰუმანური და ამავდროულად ეფექტიანი ალტერნატივა“.[178] მეტალის შემაკავებელი ნებისმიერი საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს ორმაგი ჩამკეტებით, რათა გამოირიცხოს სხეულზე აღჭურვილობის ზედმეტად მოჭერის რისკი.

შემაკავებელი საშუალებების გამოყენების დროს მისაღები დამცავი ზომები

14 შემაკავებელი საშუალებების გამოყენებისას მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მათ მიერ ზიანის მიყენების შესაძლებლობა და პირი უნდა გათავისუფლდეს მათგან რაც შეიძლება მალე. მათი გამოყენება, ან გამოყენების გახანგძლივება არასოდეს არ უნდა განხორციელდეს როგორც დასჯის ფორმა.

15 მას შემდეგ, რაც პატიმრის მიმართ გამოყენებული იქნება შემაკავებელი საშუალება, დაუშვებელია მის მიმართ ძალის სხვა ფორმების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც პატიმარი კვლავ ქმნის იმწუთიერ და სერიოზულ საფრთხეს და ამ საფრთხის აღკვეთა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი ზომებით.

16 ნებისმიერი შეკავების მეთოდის ქვეშ მყოფი პატიმრები უნდა იმყოფებოდნენ მუდმივი და სათანადო მონიტორინგის ქვეშ, როგორც ეს რეკომენდირებულია CPT-ს მიერ.[179] ასეთი მონიტორინგი აუცილებელია პატიმრის დახრჩობის ან შემაკავებელი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. სათანადო ზრუნვა უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც შემაკავებელი საშაულებები გამოიყენება დაჭრილი ან ავადმყოფი, ასაკოვანი პატიმრების მიმართ ან ვისაც აქვს ჯანმრთელობის სპეციფიკური ფიზიკური ან მენტალური მდგომარეობა და შეზღუდვა.

---

175. „რეგულაცია 775/2014", ევროპის კავშირი, op. cit., შენიშვნა 168, პარ. 12 და დანართი II, პარ. 2.5 და 2.6.

176. მაგალითისთვის, "UN CAT, A/55/44", op. cit., შენიშვნა 174, პარ. 179(e); წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, პარ. 58; „CPT -ს მე-20 წლიური ანგარიში", ევროპის საბჭო, 2010 წლის 26 ოქტომბერი, პარ. 65-84 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680696a87.

177. „საბჭოს რეგულაცია 1236/2005", ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 173, მე-II დანართის მე-3 და მე-4 მუხლები და მე-III დანართის მე-5 მუხლი „775/2014, 2014 წლის 16 ივლისი", ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 168, პარ. 16.

178. „შემაკავებელი საშუალებები: წამების და არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორების აღმოფხვრა", ციხის საერთაშორისო რეფორმა/წამების საწინააღმდეგო ასოციაცია, op. cit., შენიშნა 164, გვ.1.

179. „CPT-ის საქმიანობის მე-2 წლიური ანგარიში", op. cit., შენიშნა 79, პარ. 53.

17 პატიმრების მიმართ შემაკავებელი საშუალებები არ უნდა იქნას გამოყენებული ოჯახთან, მეგობრებთან ან საავადმყოფოში ვიზიტების დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვისი ქონების დაცვის ან გაქცევის თავიდან აცილების უკიდურესი აუცილებლობა.

18 პატიმრის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის საშუალება უნდა მოიხსნას მისი სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარდგენამდე, რათა თავიდან იქნას აცილებული დამცირება და შემცირდეს მისი დამნაშავედ ან საშიშად მიჩნევის რისკი.

19 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) აღნიშნა, რომ პატიმარის მიმართ, რომელსაც აქვს სუიციდის მუდმივი მცდელობა, შეიძლება საჭირო გახდეს დამაწყნარებელი პერანგის ან შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში „ადგილზე უნდა არსებობდეს მკაფიო პოლიტიკა და პროცედურები. უნდა განისაზღვროს საშუალებების გამოყენების ან გამოუყენებლობის მიზანშეწონილობის შემთხვევები, მეთოდები, რომელიც უზრუნველყობს თავდაპირველად ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივის გამოყენებას, უსაფრთხოების ზომები, შემაკავებელი საშუალებების გამოყენების ხანგძლივობა, შემაკავებელ საშუალებებში მყოფი პატიმრის ზედამხედველობის და დაკვირვების აუცილებლობა და ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა“.[180]

20 თუ ადგილზე არ იმყოფება ციხის უფროსი, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ნებართვა შემაკავებელი საშუალების გამოყენებაზე, უნდა არსებობდეს სხვა ხელმძღვანელი პირი, რომელსაც დელეგირებული აქვს მსგავსი ნებართვის გაცემის უფლება.

ინციდენტის შემდგომი პროცედურები

21 მე-8(გ) წესის შესაბამისად შემაკავებელი საშუალების გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა სათანადოდ უნდა შემოწმდეს და აღიწეროს პატირის პირად საქმეში. ნებისმიერმა ჩანაწერმა უნდა მიუთითოს, როგორც მინიმუმ, მონაცემები გამოყენებული შემაკავებელი საშუალების შესახებ, გამოყენების მიზეზები, ხანგძლივობა, ვინ გამოიყენა საშუალება და ვინ გასცა მისი გამოყენების ნებართვა. ჩანაწერებში უნდა იყოს მითითებული მონაცემები პატიმრის მიერ მიღებული ნებისმიერი დაზიანებების შესახებ, დეტალები იმის შესახებ, თუ როდის აღარ იყო საჭირო საშუალებების გამოყენება და პატიმრის მიერ წარდგენილი ნებისმიერი საჩივარი საშუალებების გამოყენების თაობაზე (წესი 8(დ)).[181]

22 სასუალებების გამოყენების შესახებ პირად საქმეში მონაცემების აღრიცხვასთან ერთად ციხის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მათი გამოყენების შესახებ დახარისხებული მონაცემების ანალიზი. ეს დაეხმარება ციხეებს არ გამოიყენონ შემაკავებელი საშუალებები დისკრიმინაციული ნიშნით და უზრუნველყონ დამცავი ზომების სათანადოდ მართვა. ციხის მონაცემების შეგროვება ადა ანალიზი დეტალურად განხილულია სახელმძღვანელო დოკუმენტის 1-ელ თავში.

23 შემაკავებელი საშუალებების გამოყენების ყველა შემთხვევის შემდეგ უნდა განხორციელდეს შემაჯამებელი პროცესი. წარმატებული პრაქტიკაა ასეთ დროს პატიმრის გამოცდილების გათვალისწინება.

24 მონიტორინგის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შესახებ არსებული მონაცემების სრული ხელმისაწვდომობა, მათ შორის საშუალებების გამოყენების ამსახველი ნებისმიერი აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

პოზიტიური პრაქტიკა: არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ შემაკავებელი საშუალებების გამოყენების უკუკავშირის (დებრიფინგი) პროცესი – ინგლისი და უელსი [3.3]

ინგლისსა და უელსში ხელისუფლება ვალდებულია განახორციელოს ციხეში არასრულწლოვანთა მიმართ ძალის ან შემაკავებელი საშუალებების გამოყენების უკუკავშირის დადგენა, მათ შორის, ინციდენტში უშუალოდ ჩართული თანამშრომლების და იმ არასრულწლოვნების მონაწილეობით, ვის მიმართაც განხორციელდა ძალის ან შემაკავებელი საშუალებების გამოყენება. განხილვის შედეგები უნდა იყოს ჩაწერილი ხელით.

უკუკავშირის პროცესი ორი ეტაპისგან შედგება. პირველი ეტაპი გულისხმობს პირველად გამოკითხვას, უმალვე ძალის ან შემაკავებელი საშუალების გამოყენების შემდეგ პატიმრის მდგომარეობის და მის მიერ მომხდარის, გამომწვევი მიზეზების და შემდგომი ნაბიჯების გააზრების შემოწმების მიზნით. მეორე ეტაპი გულისხმობს პატიმრისგან სრული უკუკავშირის მიღებას, რაც უნდა განხორციელდეს ძალის ან შემაკავებელი საშუალების გამოყენებიდან არაუგვიანეს 48 საათში, პატიმრის მოთხოვნით მისი ადვოკატის თანდასწრებით.

180. „ციხეებსა და საპატიმროებში სუიციდის პრევენცია“ , WHO/სუიციდის პრევენციის საერთაშორისო ასოციაცია, ჟენევა, 2007, გვ.17, ხელმისაწვდომია: apps.who.int/iris/handle/10665/43678.

181. მაგალითისთვის იხილეთ „CPT-ის ანგარიში პოლონეთის მთავრობას პოლონეთშო განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2014) 21“, 2014 წლის 25 ივნისი, პარ. 104 ხელმსაიწვდომია rm.coe.int/1680697928.

სრული უკუკავშირის დადგენის მიზანია პოზიტიური ქცევის წახალისების მიზნით სამოქმედო გეგმის შეთანმება და სამომავლოდ ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენების ალბათობის შემცირება.

ციხის თანამშრომლებმაც ასევე უნდა გაიარონ ორ ეტაპიანი უკუკავშირის პროცესი. პირველი ეტაპი გულისხმობს პირველადი უკუკავშირის მიღებას უმალვე ძალის ან შემაკავაბელი საშუალების გამოყენების შემდეგ იმის დასადგენად, ხომ არ ესაჭიროება თანამშრომლებს სამედიცინო დახმარება და რომ მათ იციან ინციდენტის შესახებ, მანამ სანამ, მათ ცხადად ახსოვთ მომხდარის დეტალები, ანგარიშის მომზადების ვალდებულების შესახებ. მეორე ეტაპი ითვალისწინებს სრულ უკუკავშირს, რასაც ადგილი აქვს მას შემდეგ, რაც ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება შევიდა ძალაში და მიზნად ისახავს იმის დაზუსტება, ყველა თანამშრომელმა გაიგო თუ არა ინციდენტის კონტექსტი და სამომავლოდ რთული ქცევის მართვის მიზნით გამოცდილების შესასწავლად.[182]

შემაკავებელი საშუალებების გამოყენების სწავლება

25 შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შესახებ სწავლების კურსი რეგულარულად უნდა განახლდეს და ასახოს ახალი სახის საშუალებები, კონტროლის ალტერნატიული მეთოდები და მათი ზეგავლენის შესწავლის მიზნით განხორციელებული სამედიცინო კვლევების შედეგები.

26 წესი 76(1)(გ) ასევე განსაზღვრავს, რო, ციხის შესაბამისი თანამშრომლები უნდა გადამზადდენ შემაკავებელი საშუალებების გამოყენებაზე „პრევენციული და სიტუაციის განმუხტვის ისეთი ტექნიკების სათანადო გათვალისწინებით, როგორიცაა მოლაპარაკება და მედიაცია“. ეს სწავლება უნდა იყოს პრაქტიკული და გაჯერებული რეალური ცხოვრებიდან აღებული სიტუაციური სავარჯიშოებით.

27 მხოლოდ სათანადოდ გადამზადებულ თანამშრომლებს აქვთ შემაკავებელი საშუალებების გამოყნების უფლება.

კონტექსტი: შემაკავებელი საშუალებების გამოყენების სწავლება [3.4]

თანამშრომლებმა უნდა გაიარონ შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შესახებ სწავლება მანამ, სანამ შეუდგებიან აქტიურ საქმიანობას. სწავლების ნაწილი უნდა ითვალისწინებდეს შემაკავებელი სხვადასხვა საშულებების გამოყენებას საკუთარ თავზე. მათ ასევე მოეთხოვებათ მათი საქმიანობის განმავლობაში განახლებული სწავლების გავლა. სასწავლო კურსის მსვლელობისას წარმოდგენილი უნდა იქნას რეალური ცხოვრებიდან აღებული სიტუაციური და პრაქტიკულ სავარჯიშოები და როგორც მინიმუმ უნდა ითვალისწინებდეს:

- **სწავლებას ყველა შესაბამისი კანონის, წესისა და პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ;**
- **შემაკავებელი საშუალებები, რომლის გამოყენება შეიძლება ან არ შეიძლება და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები;**
- **მათი განლაგების კრიტერიუმები;**
- **როგორ განხორციელდეს შემაკავებელი საშუალებების გამოყენება უსაფრთხოდ, კანონიერად და პროპორციულობის დაცვით;**
- **როგორ განხორციელდეს ძალის ან იარაღის გამოყენება მინიმალური აუცილებლობის გათვალისწინებით და როგორ განსაზღვრონ, რომ მათი გამოყენება საჭირო აღარ არის;**
- **ინტერვენციის ალტერნატიული ტექნიკები, მათ შორის წინასწარი გაფრთილება და დეესკალაცია;**
- **შემაკავებელი საშუალებების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის პროცედურები;**
- **შეაკავებელი საშუალებების გამოყენების აღრიცხვა; და**
- **თანამშრომლების მიერ კანონების ან შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შესახებ არსებული მოთხოვნების დარღვევის შედეგები.**

სამედიცინო პერსონალის მნიშვნელობა და როლი

28 მანდელას წესები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სამედიცინო პერსონალი არ უნდა იყოს ჩართული პატიმრების მიმართ დისციპლინური ან სხვა შემაკავებელი ღონისძიებების დაკისრების პროცესში. თუმცა, თუ ციხის ხელმძღვანელი გადაწყვეტს შემაკავებელი საშუალების გამოყენებას დაზიანების ან საკუთრების განადგურების აღსაკვეთად, მან დაუყოვლებრივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ექიმს ან სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგიერთი პატიმრების ფიზიკური შეკავების შემთხვევაში, განსაკუთრებით თუ მას აქვს ჯანმრთელობის სპეციფიკური მდგომარეობა.

182. „ძალის გამოყენება – ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენების მართვა და შემცირება“, იუსტიციის სამინისტროს ციხის სამსახურის ინსტრუქცია, 2014 წლის 21 თებერვალი.

29 სამედიცინო პერსონალს შეუძლია მოახდინოს ციხის თანამშრომლების ინფორმირება პატიმრის კონკრეტული სამედიცინო საჭიროებების შესახებ „უნდა ვიცოდე“ პრინციპის გათვალისწინებით იმ შესაძლო რისკების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია შემაკავებელი საშუალებების გამოყენებასთან. მოცემული ინფორმაციის გაზიარება უნდა განხორციელდეს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვის მიზნით და არ წარმოშობს ციხის სამედიცინო პერსონალის ჩართულობას ციხის მართვის პროცესში. სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და „უნდა ვიცოდე“ პრინციპის საფუძველზე სამედიცინო მონაცემების მიწოდების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე-6 თავის 108-132 პარაგრაფებში**.

30 სამედიცინო პერსონალმა უნდა აცნობოს ციხის დირექტორს პატიმარზე შემაკავებელი ღონისძიებების გამოყენებით გამოწვეული საზიანო ეფექტების თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს რეკომენდაციის გაცემა შემაკავებელი მეთოდების გამოყენების შეწყვეტის შესახებ. შემაკავებელი ღონისძიებები ამ კონტექსტში ითვალისწინებს შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას.

31 შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შემდეგ ციხის თანამშრომლებმა უნდა განახორციელონ პტიმრის შემოწმება დაზიანებების აღმოჩენის ან არასათანადო მოპყრობის ნიშნების დადგენის მიზნით. შემაკავებელი საშუალებებით გამოწვეული დაზიანების ნებისმიერი ნიშნების არსებობა ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასების დროს. შემაკავებელი საშუალებების გამოყენებით მიყენებული ნებისმიერი სახის დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ციხის დირექტორს (წესი 46 (2)).

32 როგორც საერთაშორისო ორმხრივი ერთგულების სამუშაო ჯგუფი[183] აღნიშნავს, ხშირად მიინევა თითქოს სამედიცინო პერსონალმა უნდა უგულვებელყოს ან პასიურად დათანხმდეს პატიმრებზე ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენებას. მოცემული ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ სამედიცინო პერსონალმა არათუ არ მიიღოს მონაწილეობა შემაკავებელი საშუალებების გამოყენებაში, არამედ ასევე არ ჩაუტაროს რაიმე სახის სამედიცინო მანიპულაცია ხელბორკილებდადებულ ან თვალებახვეულ პატიმარს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა „შეკავების ზოგიერთი საშუალება აუცილებელია ინდივიდის, სამედიცინო პერსონალის ან/და სხვათა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მკურნალობის გადადება შეუძლებელია იმ დრომდე, როდესაც პირი აღარ წარმოადგენს ზიანის მიყენების საფრთხეს. აღნიშნულ შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალმა უნდა დაუშვას მინიმალური შეკავების საშუალებების გამოყენება“[184] სამედიცინო ეთიკის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე-6 თავის 102-124 პარაგრაფებში**.

შემაკავებელი საშუალებების გამოყენება გადაყვანის დროს

33 გადაყვანის დროს შეკავების საშუალებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე შეფასებას და კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს. შემაკავებელი საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის და სახის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს პატიმრის გადაყვანის დროს საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს. გადაყვანის დროს მათი გამოყენება სათანადოდ უნდა ჩაიწეროს და შემოწმდეს.

34 მაშინ, როდესაც გადაყვანის დროს ხებორკილების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ პრაქტიკად, მხოლოდ გადაყვანის ფაქტი ვერ ჩაითვლება შემაკავებელი საშუალებების გამოყენების საფუძვლად. შემაკავებელი საშუალებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს პატიმრის მიერ ზიანის მიყენების რისკის წინასწარ შეფასებას, რომელიც გასაცნობად უნდა გადაეცეს თანმხლებ ოფიცერს.

შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ორსულობის და მშობიარობის დროს

35 ბანგკოკის და მანდელას წესები კრძალავს შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას ორსულთა შრომის, მშობიარობის და უმალ მშობიარობის შემდეგ, ვინაიდან ის დამამცირებელი, ღირსების შემლახავი და საფრთის შემცველია როგორც დედის, ასევე ბავშვისთვის. ბანგკოკის წესების 24-ე წესის კომენტარებში ახსნილია, რომ „მშობიარობის დროს ხელბორკილების გამოყენებამ

183. საერთაშორისო ორმხრივი ერთგულების სამუშაო ჯგუფი ეს არის ორგანიზაცია ექიმები ადამიანის უფლებებისთვის და სამხრეთ აფრიკის კეიპტაუნის უნივერსისტეტის ბაზაზე არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის და პირველადი სამედიცინო დახმარების სკოლის ერთობლივი ინიციატივა.

184. ორმხრივი ლოიალობა და ადამიანის უფლებები ჯანდაცვის პროფესიულ პრაქტიკაში; შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპები და ინსტიტუციური მექანიზმები, საერთაშორისო ორმხრივი ერთგულების სამუშაო ჯგუფი, 2002, პარ. 1 ხელმსაწვდომია: s3.amazonaws.com/PHR_Reports/dualloyalties-2002-report.pdf.

შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთი გართულება, როგორიცაა სისხლდენა ან ნაყოფის გულისცემის შემცირება. თუკი აუცილებელია საკეისრო კვეთა, 5 წუთით შეყოვნებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის თავის ტვინის სამუდამო დაზიანება".[185]

36 თავისთავად, ორსულობის დროს არსებობს გარკვეული სამედიცინო გართულებების საფრთხე. ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის (ACLU) მიერ აღინიშნა, რომ „შემაკავებელი საშუალებები ზრდიან ორსული პატიმრების მიერ ფიზიკური დაზიანების მიღების ალბათობას მოულოდნელი მგზავრობის ან დაცემის დროს. აღნიშნული ასევე სერიოზულ საფრთეს უქმნის ქალის ნაყოფს, ბავშვის შესაძლო დაკარგვის ჩათვლით (...) ორსული ქალების მიმართ ბორკილების გამოყენება საფრთხეს უქმნის როგორც დედის, ასევე ნაყოფის ჯანმრთელობას და მათი გამოყენების გამართლება თითქმის ყოველთვის დაუშვებელია სამედიცინო პერსონალის, საზოგადოების ან სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა დაცვისა და უსაფრთოების მიზნებიდან გამომდინარე."[186]

37 CPT-მ გამოხატა მოსაზრება, რომ ხელბორკილებით ან სხვა საშუალებებით ორსული ქალების ლოგინზე ან ავეჯის სხვა საგნებზე შეკავება გინეკოლოგიური შემოწმების ან/და მშობიარობის დროს „სავსებით მიუღებელია და უდავოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა".[187]

38 შეკავების მეთოდების გამოყენება ორსულობის მიმდინარეობის ნებისმიერ დროს, მათ შორის საავადმყოფოში გადაყვანისას, უნდა იყოს უკანასკნელი ზომა და მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. საშუალებების გამოყენების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს რისკების ინდივიდუალურ შეფასებას.

ბავშვები ციხეში

39 განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ბავშვების მიმართ, მათი მოწყვლადობის გათვალისწინებით. UNCRC აღნიშნა, რომ შეკავების მეთოდების გამოყენება ბავშვების მიმართ უნდა იყოს „გამოყენებული მხოლოდ როგორც უკანასკნელი აუცილებლობის საშუალება ექსკლუზიურად ბავშვისთვის ან სხვისთვის ზიანის მიყენების აღსაკვეთად და რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნებისთვის ფიზიკური შეკავების ყველა მეთოდი უნდა გაუქმდეს".[188]

40 ჰავანას წესების 64-ე წესი ადგენს, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებაში „შემაკავებელი სასუალებები და ძალა შესაძლოა გამოყენებულ იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაშინ, როდესაც კონტროლის ყველა სხვა მეთოდი ამოწურული და წარუმატებელია, და მხოლოდ კანონით ან ოფიციალური წესით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. ის არ უნდა იწვევდეს პირის დამცირებას ან მდგომარეობის გაუარესებას და უნდა იყოს გამოყენებული შეზღუდულად, დროის უმოკლესი ვადით. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, მათი გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს არასრულწლოვნის მიერ თვითდაზიანების, სხვათა დაზიანების ან საკუთრების განადგურების თავიდან აცილებას. ასეთ შემთხვევებში, დირექტორმა კონსულტაცია უნდა გიაროს სამედიცინო ან სხვა შესაბამის სამსახურთან და აცნობოს ამის შესახებ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს".

3.2 ძალის და იარაღის გამოყენება

41 აღნიშნულ კონტექსტში სიტყვა „იარაღი" განეკუთვნება ყველა ცეცხლსასროლ იარაღს, ასევე სხვა შეიარაღებას, რომლითაც შეიძლება იყოს აღჭურვილი ციხის ოფიციალური პირები, მათ შორის ხელკეტები, გაღიზიანების გამომწვევი აეროზოლები, ელექტრო განმუხტვის იარაღი (EDW) და კინეტიკური ზემოქმედების იარაღი. ძაღლებიც ასევე შეიძლება მოხსენიებულ იქნან აღნიშნული ტერმინით თუ მათ იყენებენ პატიმრების დაშინების ან მათი თავდასხმის მიზნებისთვის.

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების ზოგადი მე-2 დებულება მოითხოვს სამართალდამცავმა ორგანოებმა „შეიმუშავონ საშუალებების მაქსიმალურად ფართო სპექტრი და უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოების აღჭურვა სხვადასხვა ტიპის

185. „ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების პროექტის კომენტარები", DOC E/CN.15/2009/CRP.8 (2009), op. cit., 139, p. 25.

186. ნარკვევი „ფეხმძიმე ქალების და გოგოების შებორკვა აშშ-ს ციხეებში და არასრულწლოვანთა საპატიმროებში", ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირი, 2013, გვ.1 www.aclu.org/other/aclu-briefing-paper-shackling-pregnant-women-girls-us-prisons-jails-youth-detention-centers.

187. ევროპის საბჭო, წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის ევროპული კომიტეტი, „CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-10 წლიური ანგარიში" CPT/Inf (2000) 13" 18 აგვისტო 2000, პარ. 27 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/1680696a74.

188. ბავშვთა უფლებების კომიტეტი, 2008 წლის 20 ოქტომბერი, UN-Doc. CRC/C/GBR/CO/4, „შემაჯამებელი შენიშვნები გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ", პარ. 39; იხ. ასევე გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია A/RES/45/113, „თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის გაეროს წესები", 14 დეკემბერი 1990, წესი 64 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/JuvenilesDeprivedOfLiberty.aspx; და „ 2013 წლის 6-31 მაისის შემაჯამებელი შენიშვნები გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ", UN CAT, 24 ივნისი 2013, პარ. 28 ხელმისაწვდომია: repository.un.org/handle/11176/303311.

იარაღით და საბრძოლო მასალით, რაც იძლევა ძალისა და ცეცხლსასროლი საშუალებების დიფერენცირებულად გამოყენების შესაძლებლობას. მათ რიცხვში შედის სათანადო სიტუაციებში გამოსაყენებელი არასასიკვდილო, მაგრამ გამანეიტრალებელი იარაღი ისეთი საშუალებების გამოყენების შეზღუდვის მიზნით, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი ან დაზიანება“.[189]

დაწესებულებაში ძალისა და იარაღის გამოყენება უნდა იყოს მკაცრად რეგულირებული კანონით და ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშავონ სპეციფიკური მითითებები და პროცედურები ძალის გამოყენების გარემოებების და პირობების განსაზღვრის შესახებ.[190] ბანგკოკის წესების 31-ე წესი იძლევა რეკომენდაციას მიღებული და განხორციელებული იქნას მკაფიო და ზუსტი პოლიტიკა და რეგულაციები, რომელიც განსაზღვრავს ციხის თანამშრომლების ქცევას ქალი პატიმრების მაქსიმალური დაცვის მიზნით გენდერული ძალადობის, სექსუალური ძალადობის ან სექსუალური შეურაცხყოფისაგან.

BPUFF ზოგადი დებულება 3 ასევე მოიხოვს „არასასიკვდილო განმაიარაღებელი იარაღის შემუშავების და გამოყენების პროცესის ფრთხილ შეფასებს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარეშე პირებისთვის ზიანის მიყენების რისკი და განხორციელდეს მკაცრი კონტროლი ასეთი იარაღის გამოყენებაზე“.[191]

შესაბამისი კანონი, რეგულაციები და პროცედურები უნდა შეიცავდეს როგორც მინიმუმ, ძალისა და იარაღის იმ სახეობას, რომელიც შეიძლება და არ შეიძლება იქნას გამოყენებული და მათთან დაკავშირებულ რისკებს; გარემოებებს, რომლის დროსაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითოეული სახის ძალა; თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ უფლება გამოიყენონ სხვადასხვა სახის ძალა და პირები, ვინც გასცემს ძალის გამოყენების ნებართვას; მონაცემებს ძალის გამოყენების შესახებ ნებართვის გაცემისთვის საჭირო უფლებამოსილების ხარისხის შესახებ; ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ მონაცემების დოკუმენტირებისა და ანგარიშგების მოთხოვნებს და კანონების ან პროცედურების დარღვევის შემთხვევაში თანამშრომლების მიმართ განსაზღვრული შედეგები.[192]

ძალის და იარაღის გამოყენების შესახებ არსებული რეგულაციები სისტემატიურად უნდა განახლდეს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აღნიშნულ მეთოდებთან და ახალი ტიპის იარაღთან დაკავშირებული რისკების თაობაზე განხორციელებული უახლესი კვლევები.

შესაბამისი წესები: ძალის და იარაღის გამოყენება

წესი 82 :

1. პატიმრებთან ურთიერთობაში პერსონალს უფლება აქვს მიმართოს ძალისმიერ მეთოდებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან გაქცევის მცდელობის შემთხვევებში, აგრეთვე, არსებულ წესებსა და კანონებზე დაფუძნებული ბრძანებების აქტიური ან პასიური წინააღმდეგობის გაწევისას. თანამშრომლების მხრიდან ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებში. მათ აუცილებლად უნდა აცნობონ ასეთი ინციდენტების შესახებ დაწესებულების დირექტორს.

2. ციხის თანამშრომლებს გავლილი უნდა ჰქონდეთ სპეციალური ფიზიკური მომზადება, რაც მისცემს მათ აგრესიული ზრახვების მქონე პატიმრების დაშოშმინების საშუალებას.

3. ის თანამშრომლები, რომლებიც თავისი ფუნქციების შესრულებისას პატიმრებთან უშუალო კონტაქტში იმყოფებიან, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ატარებდნენ იარაღს. აუცილებელია, იმის აღნიშვნაც, რომ საერთოდ, იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება.

იხილეთ ასევე გაეროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსი და მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპები (კერძოდ პრინციპები 15–17, დაპატიმრებული და დაკავებული პირების დაცვის საკითხებზე).

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

42 ძალისა და იარაღის გამოყენება შესაძლოა საჭირო გახდეს გამონაკლის შემთხვევებში. თუმცა, მისი გამოყენება დაკავშირებული ზიანის მიყენების მაღალ რისკთან და შეიძლება გამოიწვიოს სასიკვდილო შედეგი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მიმართული იქნება ჯანმრთელობის სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადამიანების წინააღმდეგ. ზოგიერთმა იარაღმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ტკივილი და დამცირება. ზოგჯერ ხდება მათი განზრახ ბოროტად გამოყენება პატიმრების დაშინების ან დაზიანების მიზნით, ხოლო ზოგიერთი მიჩნეულია, რომ გამოიყენება მხოლოდ წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის მიზნებისთვის.

189. „ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“, op. cit., შენიშვნა 158, ძირითადი პრინციპი 2.
190. იხ. ასევე „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების რესურსების წიგნი“, OHCHR/UNODC, op. cit., შენიშვნა 131, გვ. 144.
191. „ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“, op. cit., შენიშვნა 158, ძირითადი პრინციპი 3.
192. „ევროპული ციხის წესები“, ევროპის საბჭო, op. cit., შენიშნა 77, წესი 65.

43 თუ ძალისა და იარაღის გამოყენება არ არის სათანადოდ რეგულირებული, სავარაუდოდ მოხდება მისი გამოყენება განურჩევლად და არა აუცილებლობის შემთხვევაში. სათანადო მომწესრიგებელი ნორმების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს შიშისა და უნდობლობის კულტურა პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის. იქ, სადაც ციხის წესები მკაფიოდ არ განსაზღვრავს ძალის გამოყენებას და იარაღი თავისუფლად ხელმისაწვდომია, არსებობს მათი ბოროტად გამოყენების ტენდენცია კონტროლის ალტერნატიული საშუალებების გაუთვალისწინებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ალტერნატიული საშუალებები შესაძლოა უფრო ეფექტიანი იყოს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

44 მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებს ზოგჯერ შეიძლება დასჭირდეთ ძალის ან იარაღის გამოყენება საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თავად თანამშრომლებს და შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს ციხეში არსებული ძალადობრივი სიტუაცია. როგორც აღნიშნულია 2010 წლის გაეროს კვლევაში „გადაჭარბებულმა უსაფრთხოებამ და კონტროლმა შეიძლება, უარეს შემთხვევაში, გამოიწვიოს უსამართლობის განცდა და გაზარდოს კონტროლის რღვევის და ძალადობრივი ან შეურაცხმყოფელი ქცევის რისკი“.[193]

პრაქტიკაში განხორციელება

ძალისა და იარაღის გამოყენების აკრძალვა

45 ციხეები უნდა იყოს თავისუფალი ნებისმიერი დანადგარებისგან, რომლებიც განკუთვნილია წამების ან არასათანადო მოპყრობისათვის.[194]

46 იარაღი, რომლის გამოყენება დაუშვებელია ნებისმიერ დროს ითვალისწინებს ეკლიან ხელკეტებს, ლითონის ხელკეტებს ან სხვა იარაღს ლითონის ღერძით, დაფარულს ეკლებით ან ეკლიანი ფარებით, რომელსაც ითვლება, რომ არ აქვს სხვა „პრაქტიკული გამოყენება, ვიდრე (...) წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მიზნით“[195] და სხეულის ელექტროშოკურ აღჭურვილობებს. ანალოგიურად, მათრახები, რომელთაც აქვთ მრავლობითი საცეცები ან ქამრები და მათრახები ერთი ან მეტი საცეცით ან ქამრები, რომლებიც აღჭურვილია, ხიშჭვებით, კაუჭებით, ეკლებით, ლითონის მავთულებით ან მათრახის და ქამრის ანალოგიური საგნები, რომლის გამოყენება მიუღებელია მართლწესრიგის დამცველი პირებისთვის და კრძალულია მათი ექსპორტი ევროკავშირის ფარგლებში.[196]

47 ძალა და იარაღი არასოდეს არ უნდა იყოს გამოყენებული ტკივილის მიყენების მიზნით.

როდის შეიძლება ძალის და იარაღის გამოყენება?

48 ძალა გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც მიზნის მიღწევის უკანასკნელი საშუალება კანონიერების, აუცილებლობის და პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. მისი გამოყენება გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში „დაწესებულებაში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მიზნით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში ან როდესაც საფრთხე ემუქრება პირის უსაფრთხოებას“.[197]

49 BPUFF-ის მე-16 ზოგადი პრინციპი აცხადებს, რომ ცეცხლსასროლი იაარღი არ უნდა იყოს გამოყენებული ადამიანების წინააღმდეგ, გარდა სასიკვდილო შედეგის დადგომის იმწუთიერი საფრთხის ან სერიოზული დაზიანებისგან საკუთარი თავის ან სხვათა დაცვის, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თავიდან აცილების ან მსგავსი საფრთხის შემცველი პირის გაქცევის თავიდან აცილების შემთხვევებისა. ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ მაშინ უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც ამ მიზნების მიღწევა სხვა, ნაკლებად ექსტრემალური საშუალებებით არასაკმარისია. ნებისმიერ შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ლეტალური შედეგის დადგომით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სიცოცხლის სხვაგვარად დაცვა გარდაუვალია

193. „სამუშაო შეხვედრა 2: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლევა და სხვა წარმატებული პრაქტიკა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სამართალდამრღვევებთან მოპყრობის კუთხით: საინფორმაციო დოკუმენტი, დანაშაულის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გაეროს მე-12 კონგრესი, 28 იანვარი 2010, 6A/CONF.213/13, პარ. 45 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/crime-congress/12th-Crime-Congress/Documents/A_CONF.213_13/V1050530e.pdf.

194. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 20: წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა (მუხლი 7 ICCPR)", op. cit., შენიშვნა 18, პარ. 11; „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების რესურსების წიგნი“, OHCHR/UNODC, op. cit., შენიშვნა 131, გვ. 145.

195. "16 ივლისი 2014, 775/2014 ", ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 171, პარ. 1 და დანართი II, პარ. 3.

196. იქვე, დანართი II, პარ. 4.

197. „ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“, op. cit., შენიშვნა 158, ძირითადი პრინციპი 15.

(BPUFF- ის მე-16 და მე-9 პრინციპები).[198] სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსის მე-3 მუხლის კომენტარში აღნიშნულია, რომ „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება განიხილება როგორც უკიდურესი ზომა“ და რომ „ყველა ძალისხმევა მიმართული უნდა იქნას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გამოსარიცხად“.[199]

50 BPUFF მე-4 ზოგადი პრინციპი ხაზგასმით მიუთითებს იარაღის ან ძალის გამოყენაბამდე კონტროლის სხვა ღონისძიებების გამოყენების უპრატესობაზე და აცხადებს, რომ მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა უნდა „რამდენადაც ეს შესაძლებელია, მიმართონ არაძალადობრივ საშუალებებს მანამ, სანამ იძლებული გახდებიან გამოიყენონ ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი“ და მათ შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებები უიმედო და არაეფექტიანია განსაზღვრული შედეგის მისაღწევად“.[200]

51 ძალის და იარაღის გამოყენების მარეგულირებელი კანონი, წესები და პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა თანამშრომლისთვის და პატიმრისთვის. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ეს პროცედურები ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ფართო წრისთვის.

52 82(3)-ე წესში მითითებულია, რომ „ის თანამშრომლები, რომლებიც თავისი ფუნქციების შესრულებისას პატიმრებთან უშუალო კონტაქტში იმყოფებიან, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ატარებდნენ იარაღს.“ თანამშრომლებმა, რომლებიც შეიარაღებულნი არიან, მაგრამ როგორც წესი არ აქვთ პირდაპირი კონტაქტი პატიმრებთან, უნდა ჩააბარონ იარაღი თუკი მათ უწევთ პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტი.

53 დამატებით, ჰავანას წესების 65-ე წესი აღნიშნავს, რომ „თანამშრომლების მიერ იარაღის ტარება და გამოყენება უნდა აიკრძალოს იმ დაწესებულებებში, სადაც იმყოფებიან არასრულწლოვნები“.[201]

54 იარაღის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ციხის უფლებამოსილ ხელმძღვანელ პირებს და უნდა განხორციელდეს მისი გამოყენების პროპორციულობის და აუცილებლობის შეფასება და სამომავლოდ ნებისმიერი გამოცდილების მიღების ანალიზი.

როგორ უნდა იქნას გამოყენებული ძალა და იარაღი

55 იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება.

56 ძალის გამოყენება უნდა გამომდინარეოდეს დაზიანების რისკის შემცირების აუცილებლობიდან გამომდინარე და უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უმოკლესი ვადით. ძალისა და იარაღის გამოყენება უნდა შეწყდეს, როდესაც სახეზე აღარ არის დაუყოვნებლივი საფრთხე.

57 BPUFF-ის მე-5 ზოგადი პრინციპი აცხადებს, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც გარდაუვალია ძალის ან იარაღას გამოყენება, შესაბამისმა თანამებობის პირებმა „თავი უნდა შეიკავონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისაგან სამართალდარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე და კანონიერი მიზნის მისაღწევად“ და „მინიმალური უნდა გახადონ ზიანის და ზარალის მიყენების შესაძლებლობა“.[202]

58 ძალის და აიარაღის გამოყენება აღბეჭდილი უნდა იყოს ვიდეოსათვალთვალო კამერით ან ტანსაცმელზე დამაგრებული ვიდეოგადამღები ტექნიკით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საჭიროების სათანადო გათვალისწინებით.[203]

---

198. იქვე, მე-16 პრინციპი: „“Ibid, Principle 16: „მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა, პატიმრობის ან დაკავების ადგილას მყოფ პირებთან ურთიერთობის დროს არ უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, გარდა სიკვდილის ან სერიოზული დაზიანების მიღების იმწუთიერი საფრთხისაგან საკუთარი თავის ან სხვისი დაცვის შემთხვევაში ან როდესაც ეს აუცილებელია მე-9 პრინციპში განსაზღვრული საფრთხის შემცველი პატიმრის გაქცევის თავიდან აცილების მიზნით“. BPUFF-ის მე-9 პრინციპი: „მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი ადამიანის წინააღმდეგ გარდა შემდეგი გამონაკლისებისა – თავის დასაცავად ან სხვა პირების დასაცავად სიცოცხლის ხელყოფის რეალური საშიშროებისგან ან სერიოზული დასახიჩრებისგან ან მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, რომელიც საშიშროებას უქმნის სიცოცხლეს, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დასაპატიმრებლად, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს მართლწესრიგის დამცველ თანამშრომელს ან თანამდებობის პირს, მისი გაქცევის აღსაკვეთად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე ნაკლებად ექსტრემალური ზომები არასაკმარისია აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ყველა შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის განზრახ სასიკვდილოდ გამოყენება დასაშვებია მაშინ, როდესაც სავსებით გარდაუვალია სიცოცხლის დასაცავად“.

199. „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გაეროს ქცევის კოდექსი“, UNGA, op. cit., შენიშვნა 157, მუხლი 3, კომენტარი (c).

200. „ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“, op. cit., შენიშვნა 158, ძირიტადი პრინციპი 4.

201. იხილეთ ასევე გენერალური ასაბლეა, რეზოლუცია 69/194, 26 იანვარი 2015, „გაეროს ტიპური სტრატეგიები და პრაქტიკული ღონისძიებები დანაშაულის აღკვეთისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ“ A/RES/69/194, პარ. 39(d) ხელმისაწვდომია: unodc.org/documents/justice-and-prison-reform/14-08451_Strategy_eBook.pdf.

202. „ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“, op. cit., შენიშვნა 158, ძირითადი პრინციპი 5.

203. ტანსაცმელზე დამაგრებული ვიდეოგადამღები ტექნიკის გამოყენებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოსადმი „უკანონო, შემთხვევითი და თვითნებური გასამართლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“, კრისტოპ ჰეინსი, A/HRC/29/37, to the Human Rights Council, 24 აპრილი 2015, პარ. 59 – 63 ხელმისაწვდომია: documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/082/34/PDF/G1508234.pdf?OpenElement.

მომზადება ძალის ან იარაღის გამოყენების საკითხებზე

59 76(1)-ე წესი განსაზღვრავს, რომ ციხის შესაბამისმა თანამშრომლებმა მოვალეობის შესრულების დაწყებამდე და შემდეგ, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების განმავლობაში უნდა გაიარონ სპეციალური სასწავლო კურსი ძალის გამოყენების საკითხებზე "პრევენციის და დაძაბულობის განმუხტვის ისეთი ტექნიკების სათანადო გათვალისწინებით, როგორიცაა მოლაპარაკების წარმართვა და მედიაცია", როგორც მოვალეობაში შესვლამდე, ასევე უწყვეტი სერვისის სასწავლო კურსების მეშვეობით (წესი 75(3)).

60 თანამშრომლებმა ძალის და იარაღის გამოყენების საკითხებზე სასწავლო კურსი უნდა გაიარონ მოვალეობების აქტიურად შესრულების დაწყებამდე. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების მთელი დროის განმავლობაში მათ ასევე უნდა გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები უახლესი წესებისა და რეგულაციების საკითხებზე.

61 სასწავლო კურსი ძალის და იარაღის გამოყენების საკითხებზე სისტემატიურად უნდა განახლდეს კონკრეტული ინციდენტების საპასუხოდ და ახალი სახის იარაღის შექმნისა და გამოყენების, კონტროლის ალტერნატიული მეთოდების და ახალი მიგნებების, მათ შორის კონკრეტული იარაღის ან ძალის გამოყენების მეთოდების ზეგავლენით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული საკითხების ასახვის მიზნით.

კონტექსტი: მომზადება ძალის ან იარაღის გამოყენების საკითხებზე [3.5]

ძალის და იარაღის გამოყენების შესახებ ყველა სასწავლო კურსი უნდა ითვალისწინებდეს სიტუაციურ მაგალითებს რეალური ცხოვრებიდან და პრაქტიკულ სავარჯიშოებს და უნდა ითვალისწინებდეს:

- **სწავლებას ყველა შესაბამისი კანონის და რეგულაციის შესახებ, მათ შორის ადამიანის უფლებათა სამართალს და დაცვის სტანდარტებს;**
- **ალტერნატიული, არაძალადობრივი ჩარევის ტექნიკებს, წინასწარი გაფრთხილების და დეესკალაციის ტექნიკების ჩათვლით;**
- **ძალის/იარაღის სახეებს, რომელთა გამოყენება დაშვებულია ან არ არის დაშვებული, და მათთან დაკავშირებულ რისკებს;**
- **მათი განლაგების კრიტერიუმებს;**
- **ძალის და სხვადასხვა სახის იარაღის უსაფრთხოების, კანონიერების და პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად გამოყენების ტექნიკებს;**
- **ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდეს ძალის ან იარაღის გამოყენება მინიმალური აუცილებლობის გათვალისწინებით და როგორ განისაზღვროს, რომ მათი გამოყენება საჭირო აღარ არის;**
- **ძალის/იარაღის გამოყენებაზე ნებართვის გაცემის პროცედურებს;**
- **ძალის/იარაღის გამოყენების აღრიცხვის მოთხოვნებს.**

ინციდენტის შემდგომი პროცედურები

62 82(1)-ე წესის მოთხოვნების შესაბამისად, თუკი ციხის დირექტორის ადგილზე არ ყოფნის გამო ციხის თანამშრომლები ვერ ახორციელებენ ძალის გამოყენების შესახებ მასთან დაუყოვნებლივ ანგარიშგებას, მაშინ ინციდენტის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამისად განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირს.

63 ძალის და იარაღის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა და მისი გამოყენების მიზეზები დეტალურად უნდა იქნას აღრიცხული პატიმრის პირადი საქმის მართვის სიტემაში, 8(გ) წესის შესაბამისად, ეს მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალის და აიარაღის გამოყენბა მოხდა კანონიერად და შესაბამისი პროცედურების დაცვით.

64 ჩანაწერებმა უნდა მიუთითოს, როგორც მინიმუმ, გამოყენებული ძალის და იარაღის სახე, მისი გამოყენების მიზეზი, ვინ გამოიყენა ის, ვინ გასცა ძალისან იარაღის გამოყენების ნებართვა და რამდენიმ ხანი გრძელდებოდა ინციდენტი. ჩანაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიღებული ნებისმიერი დაზიანებების შესახებ და ძალის ან იარაღის გამოყენების შედეგებს.

65 პატიმრის პირად საქმეში მონაცემების აღრიცხვასთან ერთად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა აწარმოოს ძალის და იარაღის გამოყენების შესახებ დახარისხებული მონაცემების ცენტრალიზებული ჟურნალი. მონაცემები გამოყენებული უნდა იქნას ძალის და იარაღის გამოყენების შემთხვევების საზედამხედველოდ და შესამცირებლად. ჩანაწრების შენახვა მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული ნიშნით ძალის და იარაღის გამოყენების წინააღმდეგ დაცვის და ციხეებში დაცვის ღონისძიებების სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად.

66 იარაღი უსაფრთხოდ იმგვარად უნდა იყოს შენახული, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ საამისოდ საგანგებოდ უფლებამოსილი ციხის თანამშრომელი პირებისთვის. შემნახველი საცავიდან ცეცლხსასროლი იარაღის გამოტანის და ჩაბარების ნებისმიერი შემთხვევა უნდა აღიწეროს, ცეცხლსასროლი იარაღის გატანის და უკან ჩაბარების დროის და იარაღის მიმღები და ჩამბარებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითების ჩათვლით.

67 მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ძალის და იარაღის გამოყენების თაობაზე არსებული ჩანაწერების სრული ხელმისაწვდომობა, იარაღის ან ძალის გამოყენების ამსხველი ნებისმიერი აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების ჩათვლით.

3.3 გამოძიება

68 სახელმწიფოებს ეკისრებად კონკრეტული ვალდებულება განახორციელონ პატიმრობაში მომხდარი ნებისმიერი გარდაცვალების, სერიოზული დაზიანების ან გაუჩინარების გამოძიება. ასეთი შემთხვევების დროს ციხის ადინისტრაციამ უნდა დაიწყოს შიდა გამოძიება. თუმცა, ეს ასეც რომ იყოს, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით აუცილებელია მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიების ჩატარება დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების მიერ.[204]

მანდელას წესები არ ითვალისწინებს დეტალურ მითითებებს ასეთი გამოძიების შესახებ, ვინაიდან წესებში მოცემული სახემძღვანელო მითითებები განკუთვნილია მხოლოდ ციხის ადმინისტრაციის და თანამშრომლებისთვის და ამ კონტექსტში დამოუკიდებელი გამოძიების განხორციელებასთან დაკავშირებით მოქმედებს სხვა საერთაშორისო სტანდარტები.[205] უფრო მეტიც, მანდელას წესები ფოკუსირდება ციხის ადმინისტრაციის და თანამშროლების ვალდებულებებზე მათ დაწესებულებაში გარდაცვალების, გაუჩინარების ან მძიმე დაზიანების, ასევე საეჭვო წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით.

ყველა შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლებას, რათა წარმოადგინოს დამაჯერებელი და დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება და უარყოს სიცოცხლის უფლების დარღვევის ან პატიმრობაში მყოფი პირების წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში საკუთარი პასუხისმგებლობის პრეზუმპცია.

შესაბამისი წესები: გამოძიება

წესი 8: საჭიროების შემთხვევაში, პატიმრობის მიმდინარეობისას, პატიმრის პირადი მონაცემების აღრიცხვის სისტემაში უნდა მოხდეს შემდეგი სახის ინფორმაციის შეტანა:

(3) ინფორმაცია ნებისმიერი სახის დაზიანების ან სიკვდილის გარემოებებისა და მიზეზების შესახებ, ხოლო ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ცხედარის ადგილმდებარეობის შესახებ.

წესი 71 :

1. შიდა გამოძიების დაწყების მიუხედავად, ციხის დირექტორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია პატიმრობაში გარდაცვალების, გაუჩინარების ან სერიოზული დაზიანების თაობაზე სასამართლოს ან სხვა ისეთ კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც დამოუკიდებელია ციხის ადმინისტრაციისგან და უფლებამოსილია მსგავი შემთხვევების და მიზეზების სწრაფი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების წარმოებაზე. მტკიცებულებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს ხსენებულ ორგანოსთან.

2. ამ წესის პირველ პარაგრაფში მოცემული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი ციხეში მომხდარი წამების ან სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ, მიუხედავად იმისა, მიღებულ იქნა თუ არა მის შესახებ ფორმალური საჩივარი.

3. შემთხვევებში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ამ წესის მე-2 პარაგრაფში მოცემული ნებისმიერი აქტის შესახებ, აუცილებელია, დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი პოტენციურად კავშირში მყოფი პირი არ იყოს ჩართული გამოძიებაში და არ ჰქონდეს კონტაქტი მოწმესთან, მსხვერპლთან და მის ოჯახთან.

---

204. წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განსაზღვრა, რომ წამების ან არასთანადო მოპყრობის საქმეებზე საგამოძიებო ორგანო „უნდა იყოს დამოუკიდებელი ბრალდებული პირებისგან და არ უნდა იყოს იერარქიული კავშირი გამომძიებლებსა და შესაძლო მოძალადეს შორის“ წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, პარ.64.

205. ამგვარი გამოძიების მეთოდების შესახებ დეტალური სახელმძღვანელო მითითებების ნახვა შესაძლებელია გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ გაეროს პრინციპებში, GA- ს რეზოლუცია 55/89 (2000 წლის 4 დეკემბერი) ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/EffectiveInvestigationAndDocumentationOfTorture.aspx და „უკანონო, შემთხვევითი და თვითნებური გასამართლების ეფექტიანი აღკვეთისა და გამოძების პრინციპები, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია 1989/65 (24 მაისი 1989) ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/executions.pdf; სახელმძღვანელო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ ("Istanbul Protocol"), OHCHR, პროფესიული გადამზადების სერია No. 8/Rev.1 (2004) ხელმსიაწვდომია: www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1en.pdf; გაეროს განახლებული მინესოტას ოქმი პოტენციურად უკანონო სიკვდილის შემთხვევების სამართლებრივი გამოძიების შესახებ (2016) ხელმსიაწვდომია www.ohchr.org/Documents/Publications/MinnesotaProtocol.pdf; ევროპის საბჭოს დოკუმენტი, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება – ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო მითითებები (მეორე გამოცემა 2014) ხელმსიაწვდომია: rm.coe.int/16806f11a3.

206. წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, პარ. 62.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

ინსტიტუციონალური ხარვეზების იდენტიფიკაცია და ანგარიშვალდებულება

69 გარდაცვალების, გაუჩინარების და სერიოზული დაზიანების ფაქტების გამოძიებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ საქმეებთან დაკავშირებული ფაქტების დადგენის და დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით. დაწესებულებებს ასევე შესაძლებლობა აქვთ გაანალიზონ გამოძიების შედეგები და აღნიშნულის საფუძველზე, შესაბამისად გააუმჯობესონ საკუთარი პოლიტიკა და პრაქტიკა. მაშინაც კი, როდესაც გამოძიება ცხადყოფს, რომ კონკრეტულ დაწესებულებაში არ ვლინდება სერიოზული ჩავარდნები ან ნაკლოვანებები, გამოძიების შედეგებს შეუძლია დაეხმაროს სხვა დაწესებულებებს არსებული პოლიტიკის და პრაქტიკის ინფორმირებულობის და გაუმჯობესების თვალსაზრისით ან სისტემის ზოგადი გაუმჯობესების განხორციელებაში.

70 უფლებამოსილი უწყებებისთვის პატიმრობაში გარდაცვალების, გაუჩინარების და სერიოზული დაზიანებების ფაქტების შეტყობინების ვალდებულება ასახავს თავისუფლებაშეზღუდული პირების მიმართ სახელმწიფოს მომეტებულ პასუხისმგებლობას. ადამიანის უფლებათა სამართალი ადგენს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს მხედველობაში პატიმრობაში მყოფი პირების ნებისმიერი გარდაცვალების ან დაზიანების ფაქტი, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით წარმოიშვა ის და უზრუნველყოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირების, მათ შორის ციხის ოფიცრების ანგარიშვალდებულება.

71 უკიდურესად მნიშვნელოვანია გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება, რადგან უზრუნველყოფილი იყოს მტკიცებულებების სათანადო შენახვა, ჩვენებების დროული მიღება, რადგან მოწმეთა ჩვენება უფრო დეტალურია, როდესაც ფაქტი ახალი მომხდარია და წამების ფიზიკური ნიშნები შესაძლოა განიკურნოს ან სწრაფად გაქრეს. პატიმრის გაუჩინარების შემთხვევაში გამოძიების დაუყოვნებლივი დაწყება უზრუნველყობს შეთანხმებული მოქმედებების სისწრაფეს დაკარგული ინდივიდის მოსაძიებლად.

72 დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების არსებობამ შესაძლოა იმოქმედოს როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის შემაკავებელმა ფაქტორმა, ვინაიდან ის აგზავნის მკაფიო ნიშანს იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ნებადართული არ იქნება და მოძალადე პირები პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

73 პატიმრის დაწესებულებაში მოთავსებამდე მის მიერ დაზიანებების მიღების შემთხვევაში, თუნდაც ეს მომხდარიყო უშუალოდ დაკავებისას ან საპოლიციო პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში, მე-7(დ) და 30(ბ)-ე წესების შესაბამისად ციხის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს დაზიანების შეტყობინება კომპეტენტური ორგანოსათვის გამოძიების დასაწყებად, რათა დამნაშავე პირებმა პასუხი აგონ კანონის წინაშე და გამოირიცხოს ციხის ადმინისტრაცია უკანონო ჩართულობა მსგავს ქმედებაში. აღნიშნული წესები განხილულია 1-ელ და მე-6 თავებში.

ციხის სისტემის ნდობის და დამაჯერებლობის აღდგენა

74 პატიმრობაში მომხდარი ნებისმიერი გარდაცვალების, გაუჩინარების და სერიოზული დაზიანების დამოუკიდებელი გამოძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ყველა დაინტერესებული პირისთვის, პატიმრების ოჯახის წევრების და მეგობრების ჩათვლით. ის აგზავნის ნიშანს, რომ აღნიშნულ ინციდენტებს მიექცევა სათანადო ყურადღება, არსებობს მზაობა მათი გამომწვევი მიზეზების დასადგენად და დადგენილია პროცედურა მოძალადე პირების პასუხისგებაში მისაცემად.

75 ციხის სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხზე სავარაუდოა, რომ გავლენას იქონიებს პატიმრობაში მომხდარი გარდაცვალების, გაუჩინარების და სერიოზული დაზიანების ფაქტები. თუმცა, თუკი მოხდება საზოგადოების დაკვირვების ქვეშ ამ შემთხვევების დამოუკიდებელი გამოძიება და გამოძიების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს ყურადღებით განიხილავენ, ნდობა და დამაჯერებლობა აღდგება.

ცრუ ბრალდებებისგან დაცვა

76 საფუძვლიანი, ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიება იცავს ციხეებსა და მათ თანამშრომლებს არასათანადო მოპყრობის ცრუ ბრალდებებისგან. დეტალური გამოძიების განხორციელების პერსპექტივა თავისთავად შეაკავებს პირებს ცრუ ბრალდებების წარდგენისაგან, მაგრამ, თუ გამოძიება ჩატარდება სათანადოდ ეს უზრუნველყოფს ბრალდებული პირების შესაძლებლობას და უფლებას განახორციელონ საკუთარი თავის დაცვა არასწორი ბრალდებებისგან.

პრაქტიკაში განხორციელება

რომელი ინციდენტების შეტყობინება და გამოძიება უნდა მოხდეს?

77 სერიოზული დაზიანების ან წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელის ნებისმიერი სახის ქმედების შეტყობინება ასევე ვრცელდება იმ დაზიანებებზე, რომელიც პირს მიადგა ციხეში მოთავსებამდე, მათ შორის საპოლიციო პატიმრობის დროს.

78 სერიოზულ დაზიანებად მიიჩნევა სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგად მიყენებული დაზიანებები.

79 უნდა განხორციელდეს გარდაცვალების ყველა ფაქტის შეტყობინება, მათ შორის სიკვდილის ფაქტები, რომელიც გამოწვეულია სუიციდით ან ბუნებრივი მიზეზებით. მნიშვნელოვანია მოხდეს გარდაცვალების იმ შემთხვევების იდენტიფიცირება, რომელიც გამოწვეულია უგულებელყოფით ან უმოქმედობით, რათა თავიდან იქნას აცილებული არასათანადო მოპყრობის დაფარვა, განისაზღვროს იყო თუ არა შესაძლებელი გარდაცვალების თავიდან აცილება და მოხდეს სამომავლოდ მსგავსი სიტუაციების პრევენცია.

80 BPUFF-ის მე-6 პრინციპი ადასტურებს, რომ მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა დაუყოვნებლივ უნდ შეატყობინონ თავის ზემდგომებს ნებისმიერი შემთხვევა „სადაც დაზიანება ან გარდაცვალება გამოწვეულია მართლწესრიგის დამცველი ოფიციაური პირების მიერ ძალის ან ცეცხლსაროლი იარაღის გამოყენების შედეგად“.[207]

81 სუიციდის და თვითდაზიანების ის შემთხვევები, რომელიც იწვევს სერიოზულ დაზიანებას, ასევე უნდა იქნას გამოძიებული. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ არასათანადო მოპყრობის შენიღბვის დაუშვებლობის უზრუნველსაყოფად, არამედ იმის დასადგენად თუ რატომ ვერ მოახდინა სახელმწიფომ აღნიშნულის პრევენცია, მხარდამჭერი სერვისების ან ფსიქიკური ჯანდაცვის პროგრამების ხარვეზების გამოვლენის ჩათვლით.

82 რადგან მანდელას წესებში საუბარია „პატიმრობაში“ დამდგარი ნებისმიერი გარდაცვალების, გაუჩინარების ან სერიოზული დაზიანების ფაქტის შესახებ, ნებისმიერი თანამშრომლის გარდაცვალება, გაუჩინარება ან სერიოზული დაზიანება მათი სამსახურეობრივი მოვალეობების შერულების დროს ან ციხის ნებისმიერი სტუმრის ან მომსახურების მიმწოდებლის გარდაცვალება, გაუჩინარება და სერიოზული დაზიანება ასევე უნდა იქნას გამოძიებული.

83 წამების ან არასათანადო მოპყრობის ფაქტების შეტყობინების ვალდებულება დადასტურებულია **1-ელი თავის 161-162 პარაგრაფებში** და 71(2) წესში, რომელიც განხილულია სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე-3 თავის 84-101 პარაგრაფებში**.

პოზიტიური პრაქტიკა: ციხიდან ახლად გათავისუფლებული პირების გარდაცვალების გამოძიება [3.6]

გაერთიანებული სამეფოს ციხისა და პრობაციის ომბუდსმენი (PPO) იძიებს პატიმრობაში დამდგარი გარდაცვალების ნებისმიერ ფაქტს, მათ შორის სუიციდით ან ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეულ შემთხვევებს. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ომბუდსმენს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გამოიძიოს იმ პირის გარდაცვალება, რომელიც ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს პატიმრობიდან თუ ის გრძნობს, რომ არსებობს პატიმართან მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით კონკრეტული სამომავლო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

PPO აგროვებს მონაცემებს გარდაცვალებამდე პატიმრის ან ყოფილი პატიმრის საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ითვალისწინებს ყველა შესაბამისი ჩანაწერის და შინაგანაწესის შემოწმებას, საჭიროებისამებრ, ციხის შესაბამის პერსონალთან ან პატიმართან გასაუბრებას. PPO ასევე მუშაობს ჯანდაცვის უფლებამოსილ პირებთან პატიმრობაში მყოფი პირისთვის, მის გარდაცვალებამდე მიწოდებული სამედიცინო მომსახურეობის თაობაზე დამოუკიდებელი აზრის მისაღებად.

PPO ნიშნავს გარდაცვლილის ოჯახთან საკონტაქტო ოფიცერს, გამოძიების პროცესის მსვლელობის განმავლობაში მგლოვიარე ოჯახის მხარდასაჭერად და გამოძიების მიმდინარეობის პროგრესის შესახებ მონაცემების მისაწოდებლად. ის ასევე სთავაზობს მათ შესაძლებლობას დასვან ნებისმიერი შეკითხვა ან გამოთქვან შეშფოთება საქმესთან დაკავშირებით, რაც ჩაითვლება გამოძიების ნაწილად.

PPO-მ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების შემდგომ გარდაცვალების ფაქტები წარმოადგენს „ჩვენი გამოძებების მხოლოდ მცირე ნაწილს, არსებობს სპეციფიკური რისკები, რომელიც დაკავშირებულია საპატიმრო დაწესებულებიდან ახლად გათავისუფლებულ პატიმრებთან. კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობასთან ზოგად რაიდენობასთან შედარებით, ციხიდან გათავისუფლებული პირების გარდაცვალების ალბათობა გათავისუფლებიდან პირველივე კვირაში 40-ჯერ უფრო მაღალია და ამ გარდაცვალების 90%-ზე მეტი შემთხვევა დაკავშირებულია წამალმოხმარებაზე“.

207. „ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“, op. cit., შენიშვნა 161, ძირითადი პრინციპი 6.

208. ნიკოლა სინგლტონი, ელიზაბეთ პენდრი, კოლინ ტეილორი, მაიქლ ფარელი და ჯონ მარსდენი, „მიგნებები: წამალმოხმარებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობა ახლად გათავისუფლებულ მსჯავრდებულებში“, (“Findings 187: Drug-related mortality among newly released offenders”), შსს, დიდი ბრიტანეთი, 2003 წ. webarchive.nationalarchives.gov.uk/20110218135832/http:/rds.homeoffice.gov.uk/rds/pdfs2/r187.pdf.

გამოძიების ინიცირება

84 71-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, რომ ყველა გარდაცვალების, გაუჩინარების სერიოზული დაზიანების ან წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ გაკეთებული ბრალდებების შესახებ შეტყობინება უნდა განხორიელდეს „დაუყოვნებლივ“ შიდაუწყებრივი გამოძიების დაწყების მიუხედავად. 57(3)-ე წესი განსაზღვრავს, რომ წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ გაკეთებულ განაცხადზე „რეაგირება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ“.

85 UNCAT განსაზღვრა, რომ ციხის დირექტორის მიერ გამოძიების ინიცირების მნიშვნელობისთვის „დაუყოვნებლივი“ უნდა გულისხმობდეს „უახლოესი რამდენიმე საათის, ან ყველაზე მეტი, რამდენიმე დღის განმავლობაში“ სათანადო ღონისძიებების განხორციელების დაწყებას და რომ დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-12 მუხლის დარღვევა“.[209]

86 შიდა გამოძიება შეიძლება ჩატარდეს გარე გამოძიების პარალელურად, იმ შემთხვევაში, თუ ის არ ერევა გარე გამოძიების მიმდინარეობაში. ის ფაქტი, რომ შესაძლებელია საჭირო გახდეს კონკრეტული ინციდენტის სისხლისსამართლებრივი გამოძიება, არ გამორიცხავს ციხის მიერ შიდა გამოძიების განხორციელების შესაძლებლობას. დაუშვებელია ისეთი მოთხოვნის არსებობა, რომელიც სავალდებულოდ მოითხოვს შიდა გამოძიების დასრულებას გარე გამოძიების დაწყებამდე.

87 იმისათვის რომ ციხის დირექტორებმა მოახდინონ შემთხვევის დაუყოვნებლივი შეტყობინება, აუცილებელია ნებისმიერი ინციდენტის შესახებ მათი დროული ინფორმირება ციხის თანამშრომლების მხრიდან. იმ შემთხვევაში თუკი ციხის დირექტორი მიუწვდომელია, ასეთ დროს თანამშრომლებმა მომხდარის შესახებ უნდა აცნობონ დირექტორის მოადგილეს ან ციხის ზემდგომ თანამშრომელს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ადგილზე არმყოფი ციხის დირექტორის უფლებამოსილება. შესაბამისმა თანამშრომელმა ასეთ დროს უნდა მოამზადოს ანგარიში.

88 წამების ან სხვა არასათანდო მოპყრობის ნიშნების დადგენის მიზნით გამოძიება შეიძლება ასევე დაიწყოს სამედიცინო პერსონალის მოთხოვნით, 34-ე წესის შესაბამისად, სადაც მითითებულია მათი ვალდებულება „აღრიცხოს და შეატყობინოს ფაქტის შესახებ შესაბამის სამედიცინო, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოს“. აღნიშნული დეტალურადაა განხილული სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-6 თავის 76-101 პარაგრაფებში.

89 ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი ყველა პირის დაცვის შესახებ გაეროს პრინციპთა ერთობლიობის 34-ე პრინციპი აღნიშნავს, რომ მოკვლევა შეიძლება მოითხოვოს „სასამართლო ან სხვა ორგანომ, საკუთარი ინიციატივით ან ასეთი პირის ოჯახის წევრის ან იმ პირის თხოვნით, რომელსაც გააჩნია ინფორმაცია მოცემული საქმის შესახებ“.[210]

ციხის ადმინისტრაციის და თანამშრომლების პასუხისმგებლობა

90 თუ საქმე მოითხოვს გამოძიებას, ციხის ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ინციდენტის შეტყობინება, უსაფრთხოდ შეინახონ ნებისმიერი მტკიცებულება, მათ შორის CCTV- ის (ვიდეოსამეთვალყურეო კამერა) კადრები, უზრუნველყონ გამოძიებაში ჩარევის დაუშვებლობა, დაიცვან სავარაუდო მსხვერპლი და მოწმეები და ითანამშრომლონ და მხარი დაუჭირონ საგამოძიებო ორგანოს.

91 გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითებზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ციხის ადმინისტრაციისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი პროტოკოლები და სახელმძღვანელო მითითებები ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხებზე, რაც უნდა გულისხმობდეს მათ მიერ გამოძიების მსვლელობისთვის და მტკიცებულებების შეგროვების და შენარჩუნების პროცესისთვის წინააღმდეგობების შექმნის დაუშვებლობას“.[211] აღნიშნული პროტოკოლები და სახელმძღვანელო მითითებები უნდა ესადაგებოდეს ციხის გარეთ არსებულ მსგავს პროტოკოლებსა და მითითებებს. ძირითადი სახელმძღვანელო მითითები უნდა ითვალისწინებდეს შემთხვევის ადგილის დალუქვას და ნებისმიერი მტკიცებულების დაცვას. შემთხვევის ადგილის დალუქვის და მტკიცებულებათა დაცვის მოთხოვნა თანაბარმნიშვნელოვნად უნდა გავრცელდეს ასევე ავტომანქანაში მომხდარი ინციდენტის მიმართ.

92 ციხის ადმინისტრაციას აქვს ამგვარი ინციდენტების აღბეჭდვის და მონიტორინგის განუწყვეტლივი პასუხისმგებლობა და მათი განმეორებით წარმოქმნის აღკვეთის მიზნით ძალისხმევის მუდმივი განხორციელების ვალდებულება.

---

209. წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, პარ. 63; იხ. ასევე UN CAT, Blanco Abad v. Spain, Comm. No. 59/1996, CAT/C/20/D/59/1996, 14 May 1998, para. 8.5 ხელმსიაწვდომია: www.univie.ac.at/bimtor/dateien/cat_1996_abad_vs_spain.pdf. იხ. ასევე: Manfred Nowak, "UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary", 2nd ed., Kehl am Rhein, N. P. Engel Verlag, 2005, p. 434.

210. გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 43/173, „პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ ყველა პირის დაცვის შესახებ“, 9 დეკემბერი 1988, პრინციპი 34, ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx.

211. სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, პარ. 65.

93 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, რომ „წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან პოტენციურად დაკავშირებული პირები დაუყოვნებლივ, გამოძიების მთელი დროის განმავლობაში უნდა ჩამოშორდნენ როგორც მინიმუმ, ნებისმიერ სამსახურეობრივ მოვალეობებს, რაც გულისხმობს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებთან რაიმე სახით კავშირს, გამოძიებისთვის ხელის შეშლის რისკიდან გამომდინარე“.[212]

94 მაშინ როდესაც 71(3)-ე წესი ეხება წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, ის ადგენს, რომ ყველა იმ ადამიანს, რომელიც პოტენციურად არის ჩართული პატიმრობაში მომხდარი ნებისმიერი გარდაცვალების, სერიოზული დაზიანების ან გაუჩინარების ფაქტში, არ უნდა ჰქონდეს გამოძიებასთან, მოწმეებთან, დაზარალებულებთან და დაზარალებულების ოჯახთან კავშირი.

დაზარალებულების/მოწმეების დაცვა

95 34-ე წესი ადგენს, რომ როდესაც სამედიცნო პერსონალი ახორციელებს წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღწერას და შეტყობინებას „სათანადო პროცედურული გარანტიების დაცვა არის აუცილებელი, რათა პატიმარს ან მასთან დაკავშირებულ პირებს არ მიადგეთ წინასწარ განჭვრეტადი ზიანი“. წესი 57(2) მოუწოდებს განხორციელდეს აღნიშნული პირების დაცვა „შურისძიების, დამცირების ან სხვა სახის უარყოფითი გავლენისაგან“. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ სახელმძღვანელო დოკუმენტის 1-ელ თავში.

96 სტამბოლის ოქმი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ გამოძიების ფარგლებში „სახელმწიფომ უნდა დაიცვას განმცხადებლები, მოწმეები, გამოძიების ჩამტარებელი პირები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები ძალადობისაგან, ძალადობის მუქარისაგან ან დაშინების ნებისმიერი სხვა ფორმისაგან (...) თუ კომისია დაასკვნის, [მოკვლევის] რომ არსებობს მოწმის ან პოტენციური მოწმის დევნის, დაშინების ან ზიანის მიყენების დასაბუთებული საშიშროება, მას შეუძლია მიზანშეწონილად ჩათვალოს მოწმეთა ჩვენებების მოსმენა კამერაში, საიდუმლოდ შეინახოს ინფორმატორის ან მოწმის პირადი მონაცემები, გამოიყენოს მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის პირს იდენტიფიცირების შემთხვევაში და მიიღოს ყველ სხვა შესაბამისი ზომა“.[213]

97 გამოძიების განმავლობაში, უფლებამოსილმა პირებმა უნდა განსაზღვრონ რისკის ქვეშ მყოფი პირების დაცვის საუკეთესო გზები მათი დისკრიმინაციის და სტიგმატიზაციის გარეშე. თუ არ არსებობს დაცვის მიზნით განცალკევების ალტერნატიული შესაძლებლობა, მაშინ ის უნდა იქნას გამოყენებული უმოკლესი ვადით, სანამ სხვა ღონისძიებები არ განხორციელებულა. დაცვის მიზნით განცალკევება უნდა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის თანხმობით და უნდა ექვემდებარებოდეს სისტემატიურ გადახედვას ყოველი ინდივიდუალური საქმის შემთხვევაში.

98 შემთხვევასთან დაკავშირებული პირების დაცვის ღონისძიებები უნდა ვრცელდებოდეს ნებისმიერ იმ თანამშრომელზე, რომელიც გახდა განსახილველი შემთხვევის მოწმე და შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოწმეების ოჯახის წევრებზე.

99 თუ გამოსაძიებელი ინციდენტი მოხა პატიმრებს შორის ან თუ პატიმარი სავარაუდოდ ბრალდებულია თანამშრომლის დაზიანების ფაქტის ჩადენაში, მაშინ აუცილებელია იმ პატიმრების განცალკევება, რომლებიც გახდნენ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი ან განხორციელდეს ბრალდებული პატიმრის გადაყვანა სხვა დაწესებულებაში ან დაწესებულების სხვა ნაწილში მათივე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, თუ მათ პირდაპირ მოითხოვეს გადაყვანა.

100 შეიძლება საჭირო გახდეს მოწმეთა დაშორება ან გადაყვანა დაცვის მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა, ამგვარ ზომებს შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულის ან მოწმეების დასჯის ეფექტი. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირებისთვის ცნობილი უნდა იყოს პატიმრების მიერ ცრუ დასმენის განხორციელების შესაძლებლობა ვინმეს გადაყვანის განზრახვით. ასეთი გადაყვანა შესაბამისად უნდა იქნას თავიდან არიდებული ან აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში იყოს მხოლოდ დროებითი ხასიათის.

101 ყველა შემთხვევაში დაუშვებელია კონტაქტის არსებობა სავარაუდო დამნაშავეს და გამოძიების შედეგების მოლოდინში მყოფ დაზარალებულს შორის.

212. იქვე, პარ. 66

213. „სტამბოლის ოქმი“, OHCHR პროფესიული გადამზადების სერია No. 8/Rev.1, 2004, op. cit., შენიშვნა 205, პარ. 112.

Б
Ц

შეზღუდვები, დისციპლინა და სანქციები

4.1 დისციპლინური სანქციები და პროცედურები
4.2 სამართლო პატიმრობა
4.3 ჯანდაცვის პერსონალის როლი
4.4 დავების ალტერნატიული გადაწყვეტა

4

4. შეზღუდვები, დისციპლინა და სანქციები

01 წესი 36 ნათლად განმარტავს, რომ დისციპლინის და წესრიგის შენარჩუნება უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმგვარი შეზღუდვებით, რაც საჭიროა უსაფრთხო პატიმრობის, ციხის უსაფრთხო ფუნქციონირებისა და მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის. ზედმეტად რეპრესიული დისციპლინური სანქციების და შემზღუდველი ზომების გამოყენება საზიანოა საპატიმრო დაწესებულებების ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ის უარყოფითად მოქმედებს ციხის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობებზე და დამტკიცებულია მისი არაეფექტურობა ბევრ სიტუაციაში და უსარგებლობა ციხის ხელმძღვანელობისთვის.

შეზღუდვები, დისციპლინა და სანქციები არ უნდა იყოს პრობლემისადმი პირველადი რეაგირების საშუალება, არამედ წარმოადგენდეს გამონაკლისს და უნდა ხდებოდეს მათი დაწესება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კონფლიქტის თავიდან აცილების სხვა გზებმა არ გაამართლა[214]. ამ მიზნით, დისციპლინური სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს სამართლიანი, თანმიმდევრული და გამჭვირვალე გზით, სათანადო წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

„მანდელას წესების“ რამდენიმე დებულება მოიცავს დისციპლინურ სანქციებს (წესები 39-41), სხვა წესები კი უფრო ზოგადად ეხება „სხვა შემზღუდავ საშუალებებს“ და „შეზღუდვებს“.[215]

ტერმინი „სხვა შემზღუდავი საშუალებები“ არ არის განმარტებული „მანდელას წესებში“, თუმცა „წესებში“ ნახსენები კონტექსტი „აღწერს შეზღუდვებს გარესამყაროსთან კონტაქტის (პაემნები) ჭრილში და ეხება ზომებს, რომელთა დაკისრება ხდება, არა როგორც დისციპლინური სანქციის, არამედ „დაცვისა და უსაფრთხოების“ კუთხით, რაც სავარაუდოდ, ასევე მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის და თვითდაზიანებისა და სუიციდის აღკვეთის/პრევენციის ღონისძიებებს და ეხება შეკავების საშუალებების გამოყენებასაც.“[216]

ეროვნული კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი, როგორც „პატიმართა მიერ ჩადენილი ქმედებები და გადაცდომები, რაც შეადგენს დისციპლინურ დარღვევას“[217], ასევე თუ რა სახის დისციპლინური სახდელების დაკისრება შეიძლება ასეთი დარღვევების დროს. 42-ე და 43-ე წესებით აკრძალული პრაქტიკა უნდა იკრძალებოდეს ციხის ადამინისტრაციების მიერ, ისევე როგორც, ნებისმიერი შეზღუდვა თუ დისციპლინური სახდელი, რომელიც უტოლდება წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას (იხილეთ აგრეთვე წესი 1). ასევე ნათლად უნდა იყოს დარეგულირებული იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც მიმართავს ასეთ აკრძალულ ქმედებებს. გარდა ამისა, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება დაიცვან თავი პირადად, ან იურიდიული დახმარების საშუალებით და კომპეტენტური თარჯიმნის მეშვეობით უსასყიდლოდ, წესი 41(3)-ის შესაბამისად. ამგვარად, დისციპლინური სანქციების დაკისრებისას, ეროვნულ კანონებსა და რეგულაციებში დამატებით უნდა იყოს დადგენილი იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხი, მათ შორის, უფასო იურიდიული დახმარების და თარჯიმნის მოწვევის პრაქტიკული საკითხები.

„პატიმრებთან მოპყრობის განახლებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებში“ მოცემულია დებულებები, რომლებიც აწესებს შეზღუდვებს და აკრძალვებს სამარტოო პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, იმისდა მიუხედავად, ამ ღონისძიებების გამოყენება ხდება დისციპლინური სანქციის სახით თუ სხვა მიზნებით.

214. წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295, op.cit, შენიშვნა 57, 57-ე აბზაცი.

215. შენიშვნა: „წესები“ გამოიყენება იმისდა მიუხედავად, შეზღუდვის დაწესება მოხდა დისციპლინური სახდელის სახით თუ სხვა მიზეზით, თუ კონკრეტული „წესის“ ტექსტში სხვაგვარად არაა მოცემული.

216. „ესექსის დოკუმენტი 3“, „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და ესექსის უნივერსიტეტი, op.cit, შენიშვნა 4, გვ. 77.

217. „ციხის ევროპული წესები“, ევროსაბჭო, op.cit, შენიშვნა 74, წესი 57(2).

4.1. დისციპლინური სანქციები და პროცედურები

შესაბამისი წესები: დისციპლინური სანქციები და პროცედურები

წესი 36: დისციპლინის და წესრიგის შენარჩუნება უნდა ხდებოდეს უსაფრთხო პატიმრობის, ციხის უსაფრთხო ადმინისტრირებისა და გამართული საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველსაყოფად აუცილებელ შეზღუდვებზე დამატებითი შეზღუდვების გარეშე.

წესი 37: ჩამოთვლილი ქმედებები ყოველთვის უნდა ექვემდებარებოდეს კანონს ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს რეგულაციას:

(ა) ქმედება, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას;

(ბ) სანქციის ტიპი და ხანგრძლივობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს პირს;

(გ) ასეთი სანქციების დაწესებაზე კომპეტენტური ორგანო;

(დ) ციხის ძირითადი კონტიგენტისაგან ნებისმიერი ფორმით არანებაყოფლობითი განცალკევება, როგორიცაა სამარტოო საკანში მოთავსება, იზოლაცია, სეგრეგაცია, სპეციალური განყოფილებები და შეზღუდული ბინადრობა, მიუხედავად იმისა, რა მიზეზით გამოიყენება ის — როგორც დისციპლინური სანქცია თუ წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მექანიზმი, მათ შორის არსებული პოლიტიკისა და პროცედურების გამოქვეყნება, რომელიც არეგულირებს ნებისმიერი სახის არანებაყოფლობითი განცალკევების გამოყენებას და გადახედვას, მის დაწესებას და მისგან გათავისუფლებას.

წესი 39:

1. 37-ე წესში აღნიშნული რეგულაციებისა და სამართლიანობისა და სამართლიანი პროცესის პრინციპებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ შეიძლება დაისაჯოს არცერთი პატიმარი. დაუშვებელია, პატიმრის ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ დასჯა.

2. ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პროპორციულობა დისციპლინურ სახდელსა და იმ გადაცდომას შორის, რომლისთვისაც ის დაეკისრა პატიმარს და აწარმოოს ჟურნალი ნებისმიერი დაკისრებული სასჯელის შესახებ.

წესი 40: არ შეიძლება, რომ პატიმრებს დისციპლინური წესით სასჯელის ფორმად დაეინიშნოს საპატიმრო დაწესებულების მომსახურება.

წესი 41:

1. პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ნებისმიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოს, რომელმაც გამოძიება უნდა დაიწყოს გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

2. აუცილებელია, პატიმარს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალის ხასიათის შესახებ და მიეცეს ადეკვატური დრო, მოემზადოს დაცვისთვის.

3. პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება თავად დაიცვას თავი, ან იურიდიული დახმარების საშუალებით, როდესაც ეს მართლმსაჯულების ინტერესებშია, განსაკუთრებით სერიოზული დისციპლინური სახდელის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრებს არ ესმით ან ვერ ლაპარაკობენ დისციპლინური მოსმენის დროს გამოყენებულ ენაზე, მათ უნდა ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურება უფასოდ.

4. პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს მის მიმართ დაწესებული სანქციის სასამართლოს მიერ გადახედვა.

5. იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური დარღვევა მიჩნეულია დანაშაულად, პატიმარს უფლება აქვს ისარგებლოს ყველა საპროცესო გარანტიით, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს, მათ შორის, შეუზღუდავი კავშირით დამცველთან.

წესი 42: ამ წესებში განხილული ზოგადი საცხოვრებელი პირობები, მათ შორის განათებასთან, ვენტილაციასთან, ტემპერატურასთან, სანიტარიასთან, კვებასთან, სასმელ წყალთან, სუფთა ჰაერსა და ფიზიკურ ვარჯიშთან, პირად ჰიგიენასთან, ჯანდაცვასთან და ადეკვატურ პირად სივრცესთან დაკავშირებული წესები გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ციხეში, გამონაკლისის გარეშე.

წესი 43:

1. დაუშვებელია, შეზღუდვები ან დისციპლინარული სახდელები რაიმე ვითარებაში უტოლდებოდეს წამებას ან სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. განსაკუთრებით უნდა აიკრძალოს შემდეგი პრაქტიკა:

(ა) სამარტოო საკანში განუსაზღვრელი ვადით მოთავსება;

(ბ) სამარტოო საკანში ხანგრძლივი ვადით მოთავსება;

(გ) პატიმრის ბნელ ან მუდმივად განათებულ საკანში მოთავსება;

(დ) ფიზიკური დასჯა ან პატიმრისთვის კვების რაციონის ან სასმელი წყლის შეზუდვა;

(ე) კოლექტიური დასჯა.[218]

2. დაუშვებელია შეკავების საშუალებების სასჯელის სახით გამოყენება დისციპლინური დარღვევებისათვის.[219]

3. დისციპლინური სახდელები ან შემზღუდველი ღონისძიებები არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის აკრძალვას. ეს გულისხმობს, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და ისეთ შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები.

---

218. "კოლექტიური დასჯა" გულისხმობს სანქციებს, რომლებიც ეხება ციხის მთელ კონტიგენტს, ან პატიმართა ჯგუფს, მათი ინდივიდუალური ბრალეულობის მიუხედავად. ეს მოიცავს სანქციებს, როგორიცაა ცალკეული საკნის ბინადარი ყველა პატიმრის გასეირნების დროის ან აქტიობების შეზღუდვა, ან მთლიან დანესებულებაში პატიმრების საკნებში გადაკეტვა დასჯის მიზნით და არა უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. ზოგიერთმა ინციდენტმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილებები სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, რომელთაც აქვთ კოლექტიური დასჯის ეფექტი. ეს, შესაძლოა, გამოიხატოს პაემნებისთვის განკუთვნილი დროის შემოკლებით, ასევე პატიმრებისთვის ამანათებში დაშვებული საკვების შეზღუდვით.

219. შეკავების საშუალებების გამოყენება უფრო დეტალურად განხილულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-3 თავში.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

02 კანონის უზენაესობის ძირეული მოთხოვნაა, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრებისას მოქმედებდეს სამართლებრივი საფუძველი და სამართლიანი პროცესი. ამგვარი სანქციები იმისთვის არსებობს, რომ უზრუნველყოს ციხის წესების შესრულება და უსაფრთხო გარემო და წესრიგი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ისინი არ არის იმისთვის გამიზნული, რომ დამატებითი შეზღუდვები დაუწესოს პატიმრებს. ციხეებში მრავალი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას დისციპლინური სახდელების დაკისრების გარეშე.

03 დისციპლინური სანქციები შეიძლება ვნებდეს არა მხოლოდ იმ ინდივიდს, რომელსაც ეკისრება, არამედ მთლიანად ატმოსფეროს ციხეში. ხისტმა სანქციებმა, შესაძლოა, შექმნას უნდობლობა პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის, განსაკუთრებით, თუ არ ხდება მათი კარგად მართვა და შეიძლება პრობლემების გართულება გამოიწვიოს. როგორც SPT-მ აღნიშნა, იქ, სადაც დისციპლინური სახდელების დაკისრება „თვითნებურად ან არათანმიმდევრულად“ ხორციელდება, და სადაც პატიმრებს „არასოდეს აწვდიდნენ ინფორმაციას დისციპლინური სანქციების გასაჩივრების პროცედურებსა და საშუალებებზე და არცერთი პატიმარი არ მიმართავდა ამ საშუალებებს, პატიმართა ზოგადი დამოკიდებულება გამოხატავდა „ხელჩაქნეულობას და შურისძიების შიშს“.[220]

04 დისციპლინური სანქციების მკაფიო განმარტება, რეგულირება და თანმიმდევრული გამოყენება ზრდის ციხის შინაგანაწესის მიმღებლობას პატიმრებში და შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული გადაცდომები. ICPS მიიჩნევს, რომ „პატიმართა დიდი უმრავლესობა მიესალმება პერსონალის მიერ მტკიცე და სამართლიან მმართველობას, რადგან თუ პერსონალი არ მართავს ციხეს, მაშინ ამ ვაკუუმს შეავსებენ ძლიერი ნების მქონე პატიმრები“.[221]

05 შეზღუდვების და დისციპლინური სანქციებისა და პროცედურების მკაფიო და გამჭვირვალე რეგულაცია იცავს ადამიანებს ამგვარი ზომების გადამეტებული, არაპროპორციული თვითნებური და დისკრიმინაციული გამოყენებისგან. თუ დისციპლინური მოქმედებები სათანადოდ არ რეგულირდება და არ სრულდება, არსებობს რისკი, რომ მოხდება დისციპლინური სახდელების არათანმიმდევრული გამოყენება და „დისციპლინის“ საბაბით სამიზნე გახდებიან ცალკეული პატიმრები ან პატიმართა გარკვეული ჯგუფი.

06 დისციპლინური პროცედურების რეგულაცია ასევე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აღიკვეთოს თანამშრომლების ან სხვა პატიმრების მხრიდან დასჯის არაფორმალური სისტემების გამოყენება.

07 მნიშვნელოვანია პატიმრებისთვის დაწესებული შეზღუდვების და დისციპლინური სანქციების თაობაზე ჩანაწერების წარმოება. ამგვარი პროცესი არის გარანტია იმისა, რომ არ მოხდება სანქციების უსამართლო დაწესება და არაფორმალური სასჯელების გამოყენება.

პრაქტიკაში განხორციელება

შეზღუდვებისა და დისციპლინური სანქციების გამოყენების რეგულირება

08 ციხის ადმინისტრაციის მიერ დისციპლინური სანქციების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს და იყოს რეგლამენტირებული კონკრეტული და გამჭვირვალე კანონებითა და რეგულაციებით, რომლებიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის დაცვას და იძლევა პროცედურულ გარანტიებს იმ პირთათვის, რომლებსაც შეეფარდება.

09 წესი 37(დ) მოითხოვს, რომ ციხის ზოგადი კონტიგენტისგან პატიმრის ნებისმიერი ფორმით არანებაყოფლობითი განცალკევება კანონის საფუძველზე უნდა იყოს ნებადართული, მიუხედავად იმისა, აღწევს თუ არა ამგვარი განცალკევება „სამარტოო პატიმრობის“ დონეს, როგორც ეს მოცემულია 44-ე წესში. აღნიშნულ წესში ნათლად არის განმარტებული, რომ ის ეხება განცალკევების ყველა შემთხვევას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ტერმინითაა აღნიშნული („სამარტოო პატიმრობა, იზოლაცია, სეგრეგაცია, სპეციალური მეთვალყურეობის საკნებში მოთავსება, თუ შეზღუდულ სარეჟიმო პირობებში განთავსება“) და ამ ზომის დაკისრება ხდება დისციპლინურ სახდელის სახით თუ სხვა მიზნებით, მაგალითად წესრიგისა და უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე.

10 რეგულაციები მკაფიოდ უნდა ადგენდეს, რომ წესი 39(1)-ის მიხედვით, ერთიდაიმავე გადაცდომისთვის პატიმრებს ორჯერ არ უნდა დაეკისროთ დისციპლინური სანქცია.

---

220. გაეროს წამების პრევენციის ქვე-კომიტეტი, CAT/OP/UKR/1, op.cit, შენიშვნა 6, 123-ე და 124-ე აბზაცები.

221. „ციხის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“, ICPS, op.cit, შენიშვნა 29, გვ. 69.

11 ციხის პერსონალი სრულებით უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა სახის ქმედება შეადგენს დისციპლინურ გადაცდომას და თითოეული ასეთი დარღვევისთვის რა სახის სანქციების გამოყენებაა ნებადართული. მათ უნდა გაიარონ მომზადება შესაბამის კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პოლიტიკის შესახებ, 75-ე და 76-ე წესების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაცია პერსონალის მომზადების საკითხებზე მოცემულია ამ სახელმძღვანელოს **პირველი თავის 187-220-ე აბზაცებში**.

12 დისციპლინური სახდელების მარეგულირებელი რეგულაციების/კანონქვემდებარე აქტების ნებისმიერი ცვლილება სათანადოდ და დროულად უნდა ეცნობოს ციხის ყველა თანამშრომელს და პატიმარს. ეს მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმის ალბათობა, რომ პერსონალი იყენებდეს არამართებულ სანქციებს, რადგან არ იცოდეს რეგულაციებში განხორციელებული ბოლო ცვლილებების შესახებ ან იმიტომ, რომ არ ქონდეს სურვილი შეცვალოს უკვე დამკვიდრებული პროცედურები.

13 ციხის ადმინისტრაციებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები სხვადასხვა სახის გადაცდომებისა და პრაქტიკაში გამოყენებული შეზღუდვებისა თუ სანქციების შესახებ. ეს შეიძლება დაეხმაროს ციხის ხელმძღვანელობას, დაადგინოს: მიზეზები იმისა, თუ ცალკეული პატიმრები ან პატიმართა გარკვეული ჯგუფი რატომ შეიძლება არღვევდეს შინაგანაწესს; ზომები, რომელთა გამოყენება შეიძლება ამ მიზეზების საპასუხოდ; ასევე განსაზღვროს სანქციებისა და შეზღუდვების ცალკეული სახეების ეფექტურობა.

აუცილებლობა და თანაზომიერება (პროპორციულობა)

14 შეღუდვებმა და სანქციებმა დამატებითი სასჯელის დაკისრება არ უნდა გამოიწვიოს, არამედ უზრუნველყოს დასაშვები ამოცანის განხორციელება, როგორიცაა პატიმართა უსაფრთხო პატიმრობა, ციხის უსაფრთხო ფუნქციონირება და მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრება. ამგვარად, წესი 36 ადგენს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს, რომელიც თანხვედრაშია მოთხოვნასთან, რომ „ყველა პატიმარს მოეპყრან თანდაყოლილი ადამიანური ღირსების და ღირებულების გათვალისწინებით“.[222]

15 მხოლოდ კანონითა და რეგულაციებით გათვალისწინებული სანქციების დაკისრება შეიძლება და ისინი უნდა იყოს გადაცდომის თანაზომიერი და პროპორციული (წესი (39(2)). წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „დარღვევის არათანაბარზომიერი სანქცია“ იქნება ტოლფასი იმისა, რომ „თავისუფლების აღკვეთის ხასიათი შეუსაბამოდ დამძიმდეს“.[223]

16 პროპორციულობის პრინციპი უნდა დადგინდეს კონკრეტულ შემთხვევებში. დისციპლინური სანქციების შესახებ ყველა გადაწყვეტილებაში ყურადღება უნდა მიექციეს იმ დარღვევის ხასიათს და სიმძიმეს, რომელშიც პირი იმხილება, ასევე თუ როგორი იყო აღნიშნული პირის როლი გადაცდომაში, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, სანქციების შესაძლო ზეგავლენა მასზე.

17 CPT ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პატიმრის უფლების შეზღუდვა პროპორციულად რომ ჩაითვალოს „ის უნდა უკავშირდებოდეს იმ ფაქტობრივ თუ პოტენციურ ზიანს, რომელიც პატიმარმა გამოიწვია ან გამოიწვევს თავისი ქმედებით (ან პოტენციური საფრთხე, რომლის წინაშე ის დგას) ციხის გარემოში.“[224]

18 უნდა ჩატარდეს ინდივიდუალური, კონკრეტული შემთხვევების მიხედვით მოსმენები, თუნდაც ინციდენტი ან გადაცდომა მოიცავდეს ადამიანთა დიდ ჯგუფს. ეს მნიშვნელოვანია, რათა დადგინდეს კონკრეტული ინდივიდის ბრალეულობა და ასევე თითოეულ ადამიანზე კონკრეტული სანქციის შესაძლო შედეგები. მაგალითისთვის, ეუთოს რეგიონს მიღმა, ადამიანის და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია აღნიშნავს, რომ „სასჯელი ინდივიდუალურია და შეიძლება დაეკისროს მხოლოდ დამნაშავეს.“[225]

19 კონკრეტული საქმის (ქეისის) მიხედვით გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს, რომ ციხის შინაგანაწესის დარღვევები შესაძლოა არ წარმოადგენდეს დაუმორჩილებლების შედეგს, არამედ შეიძლება, მაგალითად გამოწვეული იყოს ტრავმატიზაციით, ფსიქიკური დაავადების ან განვითარების შეფერხებით გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობებით. „მანდელას წესები“ ციხის ადმინისტრაციისაგან მოითხოვს გაითვალისწინოს ქცევის ამგვარი საფუძველი და ადგენს, რომ პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ სანქციას, თუ გადაცდომა ფსიქიკური დაავადების ან განვითარების შეფერხებით გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობის პირდაპირი შედეგია (წესი 39(3)).

---

222. „მანდელას წესები“, op.cit, შენიშვნა 1, წესი 1; ICCPR, UNGA, op.cit, შენიშვნა 153, მე-10-ე მუხლი.

223. წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295, op. cit, შენიშვნა 57, აბზაცი 57.

224. წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), „CPT-ის 21-ე ზოგადი ანგარიში“, ევროპის საბჭო, 2011 წლის 10 ნოემბერი, CPT/Inf (2011)28, აბზაცი 55(ა).

225. „ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია“, „ბანჯულის ქარტია“, აფრიკული ერთობის ორგანიზაცია, 1981 წლის 27 ივნისი, მუხლი 7(2).

აკრძალული სანქციები და შეზღუდვები

20 საერთაშორისო სამართალში წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვის შესაბამისად (ასევე იხილეთ „მანდელას წესების“ წესი 1), შეზღუდვები და სანქციები არასოდეს არ უნდა უტოლდებოდეს ამგვარ მოპყრობას. ამ მიზნით, წესი 43 იძლევა იმ სანქციების არაამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც აღიარებულია როგორც ამგვარი მოპყრობის ტოლფასი.

21 წესი 43-ში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და აკრძალვა შეეხება სხვა შეზღუდვებს და სანქციებს, თუ საჯარო მოხელე განზრახ აყენებს მძიმე ფსიქიკურ ან ფიზიკურ ტანჯვას დასჯის, დაშინების ან იძულების, დისკრიმინაციის მიზნით ან იმისათვის, რომ მოიპოვოს აღიარება.

22 შესაძლოა, რომ შეზღუდვა ან სანქცია არ შეადგენდეს წამებას ან სხვა არასათანადო მოპყრობას, მაგრამ ამგვარი ზომების კომბინაცია, ან მათი ერთმანეთის მიყოლებით დაკისრება, აღემატებოდეს იმ ზღვარს, რაც შეიძლება კვალიფიცირდეს წამებად ან არასათანადო მოპყრობად. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, პატიმრის ხშირ გადაყვანას სხვა დაწესებულებაში, როგორც ანგარიშსწორების ფორმას. ასევე ეს შეიძლება მოიცავდეს დისციპლინური ღონისძიებების ხშირად გატარებას.

23 42-ე წესში მოცემულია საცხოვრებელი პირობების ჩამონათვალი, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა პატიმრისთვის, გამონაკლისის გარეშე. შესაბამისად, ამ პირობებზე, როგორიცაა, განათება, კვება, სასმელი წყლის ან ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, არასოდეს არ უნდა ეთქვას პატიმარს უარი და არ უნდა შეეზღუდოს დისციპლინური სახდელის სახით.

24 „მანდელას წესები“ მკაფიოდ ადგენს, რომ დაუშვებელია პატიმრის მოთავსება ბნელ საკანში და ასევე არც მუდმივად განათებულ საკანში. ამ მიზნით, UNOPS-ის ტექნიკური სახელმძღვანელო ციხეების ინფრასტრუქტურის დაგეგმვის შესახებ, აღნიშნავს, რომ „კრიტიკულად მნიშვნელოვანია ციხეების ინფრასტრუქტურის დიზაინი, აშენება ან რეაბილიტაცია არ მოიცავდეს ისეთ ნაგებობებს ან აღჭურვილობას, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა პრინციპებთან. განსაკუთრებით, არცერთი იმგვარი შენობის თუ ნაგებობის დაგეგმვა, აშენება ან რეაბილიტაცია არ უნდა მოხდეს, სადაც გამოყენებული იქნება ჯაჭვები ან რკინები, როგორც შემაკავებელი საშუალებები, ან ბნელი საიზოლაციო საკნები და ბლოკი“.[226]

25 ლინგვისტური ფორმულირება „შეზღუდვები ან დისციპლინური სანქციები“ ნათელს ხდის, რომ ნებისმიერი ამგვარი მოპყრობა აკრძალულია იმისდა მიუხედავად, მისი დაკისრება ხდება დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე, თუ ციხეში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მოსაზრებებით.

26 დისციპლინური სანქციების გამოყენება დაუშვებელია იმ პატიმართა მიმართ, ვინც ცდილობს თვითმკვლელობას ან თვითდაზიანებას. ნაცვლად ამისა, ამ პირებს სათანადო ზრუნვა და მკურნალობა უნდა გაეწიოთ.[227]

დისციპლინური სამართალწარმოებისას დაცვასა და იურიდიულ წარმომადგენლობაზე უფლება

27 იმისათვის, რომ იცნობდნენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს, პატიმრებს ნათელი და სრული ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეთ შესაბამისი წესებისა და პროცედურების შესახებ, მათთვის გასაგებ ენაზე და ფორმით. ამ სახელმძღვანელოს **პირველი თავის 116-129-ე აბზაცები**, უფრო დეტალურად ეხება იმ ინფორმაციას, რაც უნდა მიეწოდოთ პატიმრებს.

28 როდესაც ციხის შინაგანაწესის დარღვევაში ბრალდებულია, პატიმარს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე, თუ რა სახის ბრალდებები აქვს მას წაყენებული (წესი 42(2)). ამის შემდეგ, მას უნდა მიეცეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა, რომ მოემზადოს დაცვისთვის.

29 იმისათვის, რათა ეფექტურად მოემზადოს დაცვისთვის, პატიმრისთვის მიცემული „ადეკვატური დრო და შესაძლებლობები” უნდა მოიცავდეს, როგორც მინიმუმ, მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების წერილობით დეტალებს, შესაბამისი წესებისა და რეგულაციების ასლებს, თარჯიმნის დახმარებას და ხელმისაწვდომობას საწერ საშუალებებზე (კალამი, ფურცელი), ან კომპიუტერზე.

---

226. „ციხეების დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო“, UNOPS, op. cit, შენიშვნა 84, გვერდი 32.

227. „ციხეებში სუიციდის პრევენცია“, WHO/სუიციდის პრევენციის საერთაშორისო ასოციაცია, op. cit, შენიშვნა 180, გვ. 20.

30 პატიმრებს შეუძლიათ ან დაიცვან საკუთარი თავი, ან ისარგებლონ იურიდიული წარმომადგენლობით „თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, განსაკუთრებით, მძიმე დისციპლინური სახდელების დაკისრების ალბათობის შემთხვევებში“. როდესაც წყდება, „როდის მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები” და „მძიმე დისციპლინური სახდელები”, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- განსაკუთრებით რთული შემთხვევები;
- ბრალდებები იმ პატიმრების მიმართ, რომელთაც აკლიათ უნარი გაიგონ ბრალდების არსი და პროცესი, ასევე რომელთაც არა აქვთ საკუთარი თავის დაცვის უნარი;
- ბრალდებები, რომლებიც ითვალისწინებს სასჯელს, რამაც შეიძლება სერიოზული შედეგები გამოიწვიოს პატიმრისთვის და/ან მატერიალური ცვლილება მათი პატიმრობის პირობებში;
- შემთხვევები, როდესაც გამოსაყენებელი კანონი ან ციხის რეგულაცია არ არის ნათლად ფორმულირებული;
- როგორ განმარტავს ეროვნული კანონები სერიოზულ დისციპლინურ დარღვევას; და
- შეადგენს თუ არა ქმედება სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტს და არა ციხის შიდა განაწესებისა და დისციპლინური პროცედურების ქვემდებარე დარღვევას.

31 პატიმრების უფლება დაიცვან საკუთარი თავი ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ მათ საქმეზე მოსმენას, რომელსაც ატარებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. მოსმენაზე დასწრების უფლება მოქმედებს იმისდა მიუხედავად, პატიმარი წარმოდგენილია სამართლებრივი დამცველით თუ არა. მათ ასევე უნდა ქონდეთ უფლება, რომ გამოკითხონ მოწმეები, დასვან კითხვები, მიიღონ განმარტებები და შეამოწმონ ნებისმიერი მტკიცებულება, რაც ეხება ბრალდებას.

32 წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენცია იძლევა სახელმძღვანელო პრინციპებს ციხეებში დისციპლინური სამართალწარმოებისას სამართლიანი განხილვის გარანტიებისათვის, მათ შორის უფლებას, რომ „მოუსმინონ პირადად; გამოიძახოს მოწმეები და შეამოწმოს მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულება; მიიღოს ნებისმიერი დისციპლინური გადაწყვეტილების ასლი, რომელიც მას ეხება და გადაწყვეტილების დასაბუთების ზეპირი განმარტება, ასევე გასაჩივრების საშუალებები და გაასაჩივროს დამოუკიდებელ ორგანოში ნებისმიერი დაკისრებული სანქცია”.[228]

33 თუ იურიდიული დახმარება არ არის ხელმისაწვდომი ან პატიმრებს არ შეუძლიათ დაიცვან თავი, მათ უნდა მიეცეთ ნებართვა, რომ თხოვონ სხვა ადამიანს გაუწიონ მათ დაცვაში დახმარება.

34 პატიმრებს წერილობით და დროულად უნდა ეცნობოთ დისციპლინური სამართალწარმოების ნებისმიერი შედეგის შესახებ და მათ უნდა შეეძლოთ მისი სასამართლოში გასაჩივრება (წესი 41(4)).

სასამართლო განხილვის უფლება

35 დისციპლინური გადაწყვეტილების სასამართლოში განხილვის შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც სანქციებმა შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული შედეგები პატიმრისათვის, ან მატერიალური ცვლილება მათ საპატიმრო პირობებში.

36 სასამართლო უნდა იყოს საკმარისად კომპეტენტური, რათა იმსჯელოს სანქციის დამსახურებისა და სიმკაცრის საკითხებზე და უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, რომ შეცვალოს ციხის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

37 როგორც წესი, დისციპლინური სანქცია არ უნდა ამოქმედდეს გასაჩივრების ვადის გასვლამდე და სასამართლო განხილვის პროცესის დასრულებამდე იმ შემთხვევებში, როდესაც მოხდა გასაჩივრება.

ჩანაწერების წარმოება

38 ნებისმიერი დისციპლინური სანქციის გამოყენების თაობაზე უნდა აღინიშნოს პატიმრის პირად საქმეში (წესები 8(გ) და (ე)) და უნდა მოიცავდეს გადაცდომის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ დეტალებს, ასევე დაკისრებული სანქციის დეტალებს და თარიღს. ციხის ხელმძღვანელობამ ასევე უნდა აწარმოოს დისციპლინური სახდელების ცენტრალური რეესტრი, წესი 39(2)-ის შესაბამისად. ამგვარი ინფორმაცია გამოდგება სხვადასხვა სახის დისციპლინური სანქციის ეფექტურობის მონიტორინგისთვის. ამგვარი ჩანაწერები უნდა იწარმოებოდეს ასევე გამოყენებული შეზღუდვების თაობაზე. ჩანაწერების წარმოება დეტალურად განხილულია წინამდებარე სახელმძღვანელოს **პირველი თავის 01-63-ე** აბზაცებში.

228. გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტი, CAT/C/51/4, op. cit, შენიშვნა 63, აბზაცი 41; იხ. ასევე: „ციხის ევროპული წესები“, ევროპის საბჭო, op. cit, შენიშვნა 74, წესი 59.

39 დისციპლინური სახდელების გამოყენებას მონიტორინგი უნდა გაეწიოს, რათა ციხეების ცენტრალურ ხელმძღვანელობას შეეძლოს გამოავლინოს შეზღუდვების ან დისციპლინური სახდელების ნებისმიერი უჩვეულო ან ზედმეტად გამოყენება.

პერსონალის ტრენინგი

40 ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს მომზადება პრევენციული და სიტუაციის განმმუხტავი ტექნიკების შესახებ და აკრძალულ და დაშვებულ სანქციებზე და შეზღუდვებზე, მათ შორის, ყველა პატიმრის ადამიანური ღირსების პატივისცემის თაობაზე და გარკვეული ქცევის აკრძალვაზე, განსაკუთრებით რაც ეხება, წამებას და სხვა არასათანადო მოპყრობას, წესი 76(1)-ის შესაბამისად. ამგვარი ტრენინგის პროგრამა უნდა განახლდეს საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებების კვალდაკვალ და მასში აისახოს ადამიანებზე სანქციების და შეზღუდვების სამედიცინო თუ პენიტენციური გავლენის შესახებ ახალი აღმოჩენები და მიგნებები.

41 დისციპლინური სამართალწარმოების პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილება უნდა ეცნობოს მთელ პერსონალს, სასურველია, სამუშაო პრაქტიკის დაწყებამდე.

4.2 სამარტოო პატიმრობა

42 „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ გადახედვისას გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი შემუშავდა, რაც მოითხოვს სამარტოო პატიმრობის[229] (ხშირად, ასევე მოიხსენიებენ, როგორც „იზოლაციას“ და „განცალკევებას“) გამოყენების რეგულირებასა და შეზღუდვას.

ადამიანებზე იზოლაციის საზიანო შედეგების და ამგვარი პრაქტიკის ბოროტად გამოყენების გამო, შემუშავდა წესი 37(დ), რომელიც ნათლად ადგენს, რომ ციხის პერსონალს შეუძლია პატიმრის ციხის დანარჩენი კონტიგენტისგან განცალკევება, მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებში, ამგვარი განცალკევების პერიოდის ხანგრძლიობისა და ასეთი ღონისძიების სახელდებისთვის გამოყენებული ტერმინის მიუხედავად (სამარტოო პატიმრობა, იზოლაცია, განცალკევება, სპეციალური მზრუნველობის განყოფილება (პალატა), დახურული ტიპის სადგომში მოთავსება).

წესები ეხება ციხის ზოგადი კონტიგენტისგან არანებაყოფლობითი განცალკევების ყველა შემთხვევას, იქნება ეს დისციპლინური სანქცია, ბრალდებულთა განცალკევება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მსვლელობისას, პატიმართა ცალკეული ჯგუფების სამართავად, როგორც ადმინისტრაციული ინსტრუმენტი, თუ როგორც სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელის ნაწილი. აღნიშნული წესები გამოიყენება იმისდა მიუხედავად, ღონისძიების გამოყენება ხდება ციხის ადმინისტრაციის, დისციპლინური კომისიისა თუ სასამართლოს მიერ.[230]

ყველა სახელმწიფო უნდა ეცადოს თავიდან აიცილოს სამარტოო პატიმრობის გამოყენება, როდესაც ეს შესაძლებელია და გადადგას ნაბიჯები მისი საბოლოო გაუქმებისკენ.[231] არანებაყოფლობითი განცალკევების ნებისმიერი ფორმის გამოყენება, იქნება ეს დისციპლინური სახდელის სახით ან წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის, უნდა იყოს დაშვებული კანონმდებლობით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული რეგულაციით, როგორც ამას აწესებს წესი 37(დ).

სამარტოო პატიმრობის გამოყენება უნდა რეგულირდებოდეს და გარანტიები უნდა იყოს დაცული ზოგადი წერილობითი დისციპლინური პროცედურების ფარგლებში. შესაბამისი კანონები და რეგულაციები ასევე მკაფიოდ უნდა აწესებდეს სამარტოო პატიმრობის გამოყენებაზე აკრძალვებსა და შეზღუდვებს.

---

229. იხ. მაგალითად, „პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები“, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/111, 1990 წლის 14 დეკემბერი, პრინციპი 7; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N20: წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მუხლი 7, ICCPR), op. cit, შენიშვნა 10.

230. მათ შორის, მაგალითად, იმ პატიმრებთან მიმართებაში, ვინც სიკვდილმისჯილია, ან სასჯელს იხდის უვადო პატიმრობის სახით.

231. „პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები“, UNGA, op. cit, შენიშვნა 229, პრინციპი 7; გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე, შუალედური ანგარიში გენერალურ ასამბლეას, 2011 წლის 5 აგვისტო, A/66/266, 82-101-ე აბზაცები; წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295, op. cit, შენიშვნა 57, აბზაცები 60-61; სამარტოო პატიმრობის გამოყენებასა და შედეგების შესახებ სტამბოლის განაცხადი, საერთაშორისო ფსიქოლოგიური ტრავმის სიმპოზიუმი, 2007 წლის 9 დეკემბერი.

შესაბამისი წესები: სამარტოო პატიმრობა

წესი 38(2): იმ პატიმრების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა განცალკევება, ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, გათავისუფლების შემდეგ, როგორც პატიმრებზე, ასევე საზოგადოებაზე, იზოლაციით გამოწვეული მავნე ზეგავლენის შესამცირებლად.

წესი 44: ამ წესების მიზნებისათვის, სამარტოო საკანში მოთავსება გულისხმობს დღეში 22 საათით ან მეტი ხნით განცალკევებულ განთავსებას მნიშვნელოვანი ადამიანური კონტაქტის გარეშე. სამარტოო საკანში ხანგრძლივი მოთავსება გულისხმობს სამარტოო საკანში მოთავსებას ზედიზედ 15-ზე მეტი დღით.

წესი 45:

1. სამარტოო საკანში მოთავსების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკანასკნელი ზომა, შეძლებისდაგვარად, მოკლე პერიოდით და უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ გადასინჯვას შესაბამისი ორგანოს/პირის მიერ და უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე. დაუშვებელია, მისი დაკისრება პატიმრის სასჯელიდან გამომდინარე.

2. დაუშვებელია, შეზღუდული ფსიქიკური ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება, როდესაც შესაძლებელია მსგავსი ზომის გამოყენებამ დაამძიმოს მისი მდგომარეობა. კვლავაც მოქმედებს სამარტოო საკანში მოთავსებისა და მსგავსი ზომების გამოყენების აკრძალვა ქალებისა და ბავშვების შემთხვევაში, როგორც ეს მითითებულია დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ გაერთიანებული ერების სხვა სტანდარტებსა და ნორმებში.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

43 სამარტოო პატიმრობის უარყოფითი და პოტენციურად, ხანგრძლივი ზეგავლენა პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მათ კეთილდღეობაზე, კარგად არის დოკუმენტირებული. სამედიცინო კვლევა ადასტურებს, რომ აზრიანი, შინაარსიანი ადამიანური კონტაქტის აკრძალვამ შესაძლოა გამოიწვიოს „იზოლაციის სინდრომი“, რომლის სიმპტომები მოიცავს შემდეგს: შფოთვა, დეპრესია, სიბრაზე, კოგნიტიური შეფერხებები, აღქმის დამახინჯება/ჰალუცინაციები, პარანოია, ფსიქოზი, თვით-დაზიანება და სუიციდი, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის პიროვნება გაანადგურონ.[232]

44 „სტამბოლის განცხადება სამარტოო პატიმრობის გამოყენებასა და შედეგებზე“ (შემდგომში, „სტამბოლის განცხადება“) ასევე ასახავს ამას, ადგენს რა, რომ „...სამარტოო პატიმრობამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი ფსიქოლოგიური და ზოგჯერ, ფიზიოლოგიური შედეგები...“. თუნდაც მხოლოდ რამდენიმედღიანი სამარტოო პატიმრობა, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ჯანმრთელობაზე და რისკი იზრდება ყოველდღიურად, როდესაც ადამიანი ასეთ პირობებში იმყოფება (...) სამარტოო პატიმრობის მთავარი საზიანო მახასიათებელია ის, რომ ის დაიყვანს აზრიან სოციალურ კონტაქტს მხოლოდ უბრალო სოციალური და ფსიქოლოგიური გამღიზიანებლის დონეზე, რაც ბევრი ადამიანისთვის არასაკმარისია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“.[233]

45 გარკვეულ გარემოებებში, სამარტოო პატიმრობა შეიძლება უთანაბრდებოდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. ამას გარდა, სამარტოო პატიმრობის თანამდევი იზოლაციის გამო, არსებობს ადამიანის უფლებების სხვა დარღვევის მომეტებული რისკი.

46 სამარტოო პატიმრობას შეუძლია ასევე გაზარდოს სუიციდისა და თვით-დაზიანების რისკი, განსაკუთრებით, იმ პატიმრებში, რომელთაც ადრე უკვე აღენიშნებოდათ ფსიქიკური აშლილობები. როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აღნიშნავს, „...სოციალური და ფიზიკური იზოლაცია და ხელმისაწვდომი მხარდაჭერის რესურსების ნაკლებობა სუიციდის რისკს ზრდის. შესაბამისად, ციხეებში სუიციდის პრევენციის მნიშვნელოვანი ელემენტია შინაარსიანი სოციალური კომუნიკაცია“. იზოლაციის პოტენციური ხანგრძლივი ეფექტი, მათ შორის, სუიციდისა და თვითდაზიანების რისკი, გულისხმობს, რომ რისკი არსებობს არა მხოლოდ თვითონ იზოლაციის პერიოდში, არამედ, შესაძლოა გავითარდეს ხანგრძლივი ფსიქოლოგიური შედეგები, რომლებიც სასჯელის საწყისი პერიოდის დასრულების და ციხიდან გათავისუფლების შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს.[234]

232. უფრო დეტალური ინფორმაცია სამარტოო პატიმრობის საზიანო შედეგებზე შეგიძლიათ იხილოთ: Grassian S, „სამარტოო პატიმრობის ფსიქიატრიული შედეგები“, სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი, 22-ე გამოცემა, 2006 წ. გვ. 325-383; გრეგ მეინი, „ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები გრძელვადიან სამარტოო პატიმრობაში და მაქსიმალური უსაფრთხოების რეჟიმის პირობებში“, Crime& Delinquency, 49-ე გამოცემა, N.1, 2003, გვ. 124-156; შარონ შალევი, „სამარტოო პატიმრობის შესახებ საინფორმაციო ნარკვევი“, მანჩაიმის კრიმინოლოგიის ცენტრი, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, 2008 წ; წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში, A/66/268, op. cit, შენიშვნა 231.

233. სტამბოლის განცხადება სამარტოო პატიმრობის გამოყენებასა და შედეგებზე, op. cit, შენიშვნა 231, გვ. 2.

234. „ციხეებში სუიციდის პრევენცია“, WHO/სუიციდის პრევენციის საერთაშორისო ასოციაცია, op. cit, შენიშვნა 180, გვ. 16.

47 სამარტოო პატიმრობის გამოყენება, ზოგადად, უარყოფითად მოქმედებს თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობასა და ციხეში სოციალურ ინტეგრაციაზე და ერთობის განცდაზე. სავარაუდოდ, მას ასევე უარყოფითი ზეგავლენა აქვს პატიმრის რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პერსპექტივაზე. წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ სამარტოო პატიმრობა წინააღმდეგობაშია რეაბილიტაციის არსთან, რაც პენიტენციური სისტემის საბოლოო მიზანს წარმოადგენს.[235]

48 პატიმრებთან მოპყრობის გაეროს ძირითადი პრინციპების მე-7 პრინციპი მოუწოდებს ძალისხმევისკენ, რომ „გაუქმდეს ან შეიზღუდოს სამარტოო პატიმრობის გამოყენება დასჯის მიზნით“.[236]

პრაქტიკაში განხორციელება

სამარტოო პატიმრობის განმარტება

49 „მანდელას წესებში“ მოცემული სამარტოო პატიმრობის აკრძალვები და შეზღუდვები გამოიყენება იმისდა მიუხედავად, ეს ღონისძიება წარმოადგენს დისციპლინურ სახდელს თუ სხვა მიზნებით გამოიყენება (იხილეთ წესი 37(დ), წესი 43(1) და 44-ე წესის განსაზღვრება).

50 „ესექსის დოკუმენტი“ განმარტავს ტერმინს „აზრიანი, შინაარსიანი ადამიანური კონტაქტი“, რომელიც ნახსენებია 44-ე წესში, როგორც ისეთ კონტაქტს, რომელსაც პატიმრები მოკლებული არიან სამარტოო პატიმრობის დროს. შინაარსიანი ადამიანური კონტაქტი განმარტებულია, როგორც „სოციალური კონტაქტისა და ფსიქოლოგიური სტიმულაციის ოდენობა და ხარისხი, რაც ადამიანებს სჭირდებათ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სიჯანსაღისთვის.

---

235. „სამარტოო პატიმრობა, უმეტეს შემთხვევებში, უნდა აიკრძალოს“, აცხადებს გაეროს ექსპერტი“, გაეროს ახალი ამბების ცენტრი, 2011 წლის 18 ოქტომბერი.

236. „პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები“, UNGA, op. cit, შენიშვნა 229, პრინციპი 7.

ამგვარი კონტაქტი მოითხოვს, რომ ადამიანური ურთიერთობა იყოს პირისპირ და უშუალო (ფიზიკური ბარიერების გარეშე) და მეტი, ვიდრე სწრაფწარმავალი და შემთხვევითი, რაც იძლევა ემპათიური (თანაგრძნობის გამომხატავი) კომუნიკაციის საშუალებას ადამიანებს შორის. კონტაქტი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ ურთიერთობებით, რაც დადგენილია ციხის შინაგანაწესით თუ დებულებით, სისხლის სამართლის საქმის საპროცესო მიმდინარეობით ან სამედიცინო საჭიროებით".[237]

51 თუ ციხის თანამშრომელს მოაქვს საკვები, ფოსტა ან წამალი საკნის კარებთან, ან თუ პატიმრებს შეუძლიათ ერთმანეთს გადასძახონ ციხის კედლებისა თუ სავენტილაციო მილების საშუალებით, ეს არ წარმოადგენს „აზრიან ადამიანურ კონტაქტს". იმისათვის, რომ „წესების" მიზნები იქნეს მიღწეული, კონტაქტი უნდა იძლეოდეს ისეთ სტიმულს, გამღიზიანებელს, რაც საჭიროა ადამიანის სიჯანსაღისა და კეთილდღეობისათვის, რაც გულისხმობს თანაგრძნობისა და თანაგანცდის მიმოცვლას ადამიანებს შორის და სტაბილურ, მყარ სოციალურ ურთიერთქმედებას. შინაარსიანი ადამიანური კონტაქტი უნდა იყოს უშუალო და არა ვინმეს ჩარევით განხორციელებული, უწყვეტი და არა უეცარი და მოულოდნელი და უნდა მოიცავდეს გულწრფელ დიალოგს. ეს კონტაქტი შეიძლება მომდინარეობდეს ციხის თანამშრომლების ან გარეშე პირების მხრიდან, ცალკეული პატიმრების, ოჯახის, მეგობრების ან სხვათა მხრიდან – ან ამგვარი ურთიერთობების კომბინაციით".[238]

მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გამოყენება

52 წესი 45 ადგენს, რომ „...სამარტოო პატიმრობის გამოყენება უნდა ხდებოდეს, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რაც შეიძლება ხანმოკლე ვადით (...)." ამგვარი პოზიცია ხაზგასმულია მრავალი საერთაშორისო ორგანოს მიერ, მათ შორის, წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის და წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტის მიერ.[239]

53 სამარტოო პატიმრობა უნდა განიხილებოდეს, როგორც უკანასკნელი ღონისძიება, როდესაც სხვა ღონისძიებების გამოყენებამ არ გამოიღო შედეგი.

პოზიტიური პრაქტიკა: შეერთებული შტატები – ინიციატივა განცალკევების უსაფრთხო ალტერნატივების შესახებ [4.1]

მართლმსაჯულების „ვერის" ინსტიტუტი (The Vera Institute of Justice) – კვლევითი ინსტიტუტი აშშ–ში – თანამშრომლობს ქვეყანაში პენიტენციურ სისტემასთან, რათა შეამციროს მათი დამოკიდებულება „განცალკევებული პატიმრობის" (სამარტოო პატიმრობის) გამოყენებაზე, უსაფრთხო და ეფექტური ალტერნატივების გამოყენებით, პროექტის ფარგლებში, რომელსაც ეწოდება ინიციატივა „განცალკევების უსაფრთხო ალტერნატივების" შესახებ (Safe Alternatives to Segregation (SAS) Initiative).[240]

ნებრასკის, ჩრდილოეთ კაროლინისა და ორეგონის შტატების პენიტენციურ დეპარტამენტებთან და მიდლსექსის, ნიუ ჯერსისა და ქალაქ ნიუ იორკის ადგილობრივ დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, „ვერის" ინსტიტუტი ახდენს პენიტენციური დეპარტამენტების პოლიტიკის დოკუმენტებისა და პრაქტიკის მიმოხილვას, ატარებს მონაცემთა ანალიზს, რათა დადგინდეს ის მიზეზები და მახასიათებლები, რის გამოც პატიმრები ხვდებიან საიზოლაციო სამარტოო პატიმრობაში.

კვლევითი ინსტიტუტი ასევე იძლევა„ რეკომენდაციებს, პოლიტიკასა და პრაქტიკაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს ამგვარი საიზოლაციო პატიმრობის გამოყენების უსაფრთოდ და ეფექტურად შემცირებას მთელს სისტემაში და აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებას".[241]

ამას გარდა, ონლაინ არსებული „საიზოლაციო პატიმრობის უსაფრთხო ალტერნატივების რესურს ცენტრი" წარმოადგენს უახლეს მიგნებებს კვლევების, ანგარიშების, პოლიტიკის ნარკვევების და ინფორმაციის სახით, აშშ–ში გატარებული რეფორმების შესახებ, პენიტენციური სისტემის მესვეურების, პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების, უფლებადამცველების, მედიისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, აშშ–ში საიზოლაციო პატიმრობის გამოყენების მოქმედი პრაქტიკის, მისი შედეგებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

237. „ესექსის დოკუმენტი 3", „ციხის საერთაშორისო რეფორმა" და ესექსის უნივერსიტეტი, op. cit, შენიშვნა 4, გვ. 89.
238. იქვე, გვ. 89.
239. იხ, აგრეთვე: „ციხის ევროპული წესები", ევროპის საბჭო, op. cit, შენიშვნა 74, წესი 60.5.
240. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ: www.vera.org და www.safealternativestosegregation.org.
241. იხილეთ: "Safe Alternatives to Segregation Initiative", VERA Institute for Justice: www.safealternativestosegregation.org/about.

პოზიტიური პრაქტიკა: ინგლისსა და უელსში სეგრეგაციის/საიზოლაციო პატიმრობის განყოფილებების თაობაზე კვლევა [4.2]

ინგლისსა და უელსში ჩატარებულმა კვლევამ, საიზოლაციო პატიმრობის და მკაცრი ზედამხედველობის შესახებ[242], გამოავლინა შემდეგი პოზიტიური პრაქტიკის მაგალითები:

საიზოლაციო პატიმრობის ერთერთ განყოფილებაში, პატიმრებისთვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო ამ განყოფილების მისია. მისიის განაცხადში ეწერა, რომ ამ განყოფილების დანიშნულებაა „გაუმკლავდეს უარყოფით ქცევას და გაატაროს პატიმრებთან პოზიტიური მუშაობა, მათი ციხის ზოგად კონტიგენტში წარმატებული რეინტეგრაციის მიზნით."

სხვა განყოფილების ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ მოეგვარებინა პატიმრების ქცევის გამომწვევი ძირეული პრობლემები, რითაც განპირობებული იყო მათი განცალკევებით განთავსება საიზოლაციო პატიმრობაში. ამ განყოფილების პერსონალი მუშაობდა პატიმრებთან, რათა გამოევლინათ და მოეგვარებინათ მათი უარყოფითი ქცევისა და დამოკიდებულებების გამომწვევი პრობლემები. ზოგიერთი კომისია, რომელსაც ევალებოდა საიზოლაციო პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა, იძიებდა ამგვარი სანქციების გამოყენების მიზეზებს და აგვარებდა მათ, როგორც პრობლემებს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია, იზოლაციის შემდგომი გამოყენების დასაბუთების გარეშე.

სხვადასხვა განყოფილებაში მრავალფეროვანი საშუალებები გამოიყენებოდა, იზოლაციის შესახებ პატიმრების ინფორმირებისათვის, როგორიცაა:

- **ერთერთ განყოფილებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული მისიის განაცხადი, საიზოლაციო განყოფილების დანიშნულების შესახებ;**
- **სხვა განყოფილებაში ტელეფონის აპარატებთან გამოკრული იყო პლაკატი, სადაც მოცემული იყო თუ რა სახის ქცევას მოითხოვდნენ პატიმრებისგან და რა სახის წახალისების ღონისძიებები იყო გათვალისწინებული; და**
- **საინფორმაციო ბუკლეტები, იმ წესებისა და მოლოდინების შესახებ, რაც ამ საიზოლაციო განყოფილებაში იყო მიღებული.**

ერთერთ განყოფილებაში, საიზოლაციო პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებების გადასინჯვა რეგულარულად ტარდებოდა (სულ მცირე, კვირაში ერთხელ) პრობაციის სამსახურის, უსაფრთხო პატიმრობის სამსახურის (Safer Custody/ ითვალისწინებს იმ პატიმრებთან მუშაობას, ვინც საკუთარ თავს ან სხვას უქმნის საფრთხეს, ან სხვა პატიმრებისგან საჭიროებს დაცვას), ფსიქოლოგიური სამსახურის, ციხეებში სპეციალური ფსიქიკური ჯანდაცვის სამსახურის (mental health in-reach), ჯანდაცვის სამსახურის და კაპელანის ინსტიტუტის წარმომადგენლების მონაწილეობით. დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოც ასევე ესწრებოდა ყოველკვირეულ განხილვას.

ერთერთ განყოფილებაში, საიზოლაციო განყოფილების შესაბამის უფლებამოსილ პირებს ეკისრებოდათ პატიმრების მიზნობრივ აქტიობებში ჩართვის ვალდებულება, რაც საკმაოდ უგულებელყოფილი სფეროა. ყოველ პატიმართან ინდივიდუალურ მუშაობას აწარმოებდნენ, უგეგმავდნენ და უზრუნველყოფდნენ მათ სხვადასხვა სასწავლო კურსებში ჩართვას, საყვარელი საქმიანობით დაკავების შესაძლებლობას, საკანში სამუშაოს და სხვა აქტიობებს, რომლებიც მორგებული იყო საიზოლაციო პატიმრობაში მყოფი პატიმრების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებს და უნარებს.

ერთერთ პენიტენციურ დაწესებულებაში, საიზოლაციო პატიმრობაში ახლადგადაყვანილი პატიმრებისთვის დარიგებული ქონდათ საინფორმაციო ბუკლეტი, რაც იუწყებოდა, რომ „მათ აქვთ უფლება მოითხოვონ სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი და ტექნიკა, რაც დაეხმარებათ სწავლის გაგრძელებაში", საიზოლაციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში.

აბსოლუტური აკრძალვები

54 „მანდელას წესები" აბსოლუტურად კრძალავს განუსაზღვრელი ვადით[243] ან ხანგრძლივი ვადით სამარტოო პატიმრობის გამოყენებას, ვინაიდან ორივე მათგანი უტოლდება წამებას ან სხვა არასათანადო მოპყრობას.[244]

55 როგორც 44-ე წესშია განმარტებული, ხანგრძლივი ვადით სამარტოო პატიმრობის გამოყენება ნიშნავს პატიმრობას, რომელიც ზედიზედ 15 დღეზე მეტი ვადით იზოლაციას გულისხმობს. აკრძალვის მიზეზობრიობიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ ის ასევე ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც იზოლაციის პერიოდები დროში ახლო ერთმანეთთან. გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა (UNCAT) გასცა რეკომენდაცია, რომ უნდა დაწესდეს აკრძალვა დისციპლინური პატიმრობის ახლო რიგითობით გამოყენებაზე, რაც იწვევს სამარტოო პატიმრობის უწყვეტ გამოყენებას მაქსიმალური ვადის გადაჭარბებით.[245] წამების საკითხებზე გაეროს

242. Sharon Shalev & Kimmett Edgar, Deep Custody: Segregation units and close supervision centres in England and Wales, The Prison Reform Trust, 2015, გვ. vii-viii.

243. ტერმინი „განუსაზღვრელი" სამარტოო პატიმრობის ვადა გულისხმობს იმას, რომ პატიმარმა არ იცის, როდის დასრულდება ამგვარი პატიმრობა.

244. „წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში", A/66/268", op. cit., შენიშვნა 231, 57-61 და 81-ე აბზაცები.

245. იხილეთ, დასკვნითი ანგარიში პორტუგალიის შესახებ, UN CAT, CAT/C/PRT/CO/5-6, 23 დეკემბერი 2013 წ., აბზაცი 12.

სპეციალურმა მომხსენებელმა ანალოგიურად აღნიშნა, რომ აკრძალვა უნდა ეხებოდეს „ხშირად განახლებად ზომებს, რომელიც იწვევს გახანგრძლივებულ სამარტოო პატიმრობას".[246] თუ სამარტოო პატიმრობაში მყოფი პირები გადაყავთ ერთი დაწესებულებიდან მეორეში, დაწესებული მაქსიმალური დროის ლიმიტი ზედიზედ 15 დღის ხანგრძლიობით, მაინც ეხება ასეთ შემთხვევებს.

56 წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ „...თუ განზრახ ხდება სამარტოო პატიმრობის გამოყენება დასჯის, დაშინების, იძულების, ან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვების, ან დისკრიმინაციის საფუძველზე ნებისმიერი მიზნით, და თუ გამომდინარე ტკივილი ან ტანჯვა მძიმეა, ამგვარი პატიმრობა უტოლდება წამებას." [247]

57 წესი 45(2) იმეორებს სამარტოო პატიმრობის და „მსგავსი ზომების" გამოყენების აკრძალვას ქალებთან და ბავშვებთან დაკავშირებულ შემთხვევებში, როგორც ეს მოცემულია გაეროს სტანდარტებსა და ნორმებში. ეს მოიცავს „ბანგკოკის წესების" 22-ე წესს, რომელიც აზუსტებს, რომ „...დასჯა დახურულ საპატიმრო პირობებში მოთავსებით ან დისციპლინური იზოლაციით არ უნდა გამოიყენებოდეს ფეხმძიმე ქალების, ბავშვიანი ქალების და მეძუძური დედების მიმართ ციხეში." ეს აკრძალვა იმითაა განპირობებული, რომ შესაძლოა, ჯანმრთელობის მხრივ გართულებები გამოიწვიოს ფეხმძიმე პატიმრებში, ხოლო დედებისგან განცალკევება ბავშვებისთვისაც სასჯელია. „ჰავანას წესების" წესი 67 კრძალავს არასრულწლოვანის მოთავსებას სამარტოო პატიმრობაში დისციპლინური სახდელის სახით. გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა და წამების საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა მოუწოდეს სახელმწიფოებს არასოდეს გამოიყენონ სამარტოო პატიმრობა ბავშვთა მიმართ.[248]

58 სამარტოო პატიმრობის გამოყენება აბსოლუტურად აკრძალულია იმ პატიმრებთან მიმართებაში, ვისაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, გამომდინარე მათი შეზღუდული ფსიქიკური უნარიანობიდან და ასევე იმის გამო, რომ სამარტოო პატიმრობა ხშირად იწვევს ადრე არსებული ფსიქიკური პრობლემების გამწვავებას.[249]

შემდგომი შეზღუდვები

59 თუ სამარტოო პატიმრობის გამოყენება ხდება დისციპლინური სახდელის სახით, მაშინ 39-ე წესში მოცემული ყველა პროცედურული და არსებითი გარანტია, მაგალითად, როგორიცაა სამართლიანი სასამართლო პროცესი, უნდა იქნეს გამოყენებული. რაც შეეხება, სამარტოო პატიმრობას და პროპორციულობის პრინციპს, CPT-მ აღნიშნა, რომ „...გამომდინარე იქიდან, რომ სამარტოო პატიმრობა პატიმრის უფლებათა სერიოზული შეზღუდვაა, რაც პატიმრობის თანამდევ რისკებს მოიცავს, შესაბამისად, ფაქტობრივი ან შესაძლო ზიანი, რის გამოც ხდება დისციპლინური სანქციის დაკისრება, მინიმუმ თანაბრად სერიოზული უნდა იყოს და ცალსახად უნდა ხერხდებოდეს ამ საშუალებებით მისი მოგვარება".[250]

60 ზოგიერთ ქვეყანაში, დაწესებულებებს შორის პატიმართა ტრანსპორტირებას, შესაძლოა, დასჭირდეს დღეები ან კვირებიც კი და პატიმრების გადაყვანა შეიძლება ხორციელდებოდეს იმგვარ პირობებში, რაც უტოლდება სამარტოო პატიმრობას. ასეთ სიტუაციებში, გამოსაყენებელია სამარტოო პატიმრობასთან დაკავშირებული დაცვის ყველა საშუალება თუ ღონისძიება.

246. წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, აბზაცი.61.

247. იქვე, აბზაცი 60.

248. იხილეთ, მაგალითად, „კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო-მხარეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, დასკვნითი მიგნებები: დანია, CRC/C/DNK/CO/3", ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 23 ნოემბერი 2005 წ., აბზაცი 59 (ა); „წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში", A/66/268", op. cit., შენიშვნა 231, აბზაცი 86.

249. „სტამბოლის განცხადება სამარტოო პატიმრობის გამოყენებისა და შედეგების შესახებ", op. cit., შენიშვნა 231, გვ. 4; იხ. ასევე წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/66/268, op. cit., შენიშვნა 231, 67-68 და 78-ე აბზაცები; ასევე წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, აბზაცი 61; ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სამარტოო პატიმრობის გავლენის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ შარონ შალევის „სამარტოო პატიმრობის შესახებ საინფორმაციო ნარკვევი" ("A sourcebook on solitary confinement"), op. cit., შენიშვნა 232.

250. „21-ე ზოგადი ანგარიში", CPT, op. cit., შენიშვნა 224, აბზაცი 55.

პოზიტიური პრაქტიკა: ბავშვთა სამარტოო პატიმრობის დასრულების თაობაზე ინსტრუმენტების კრებული [4.3]

ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის (ACLU) მიერ შემუშავდა ინსტრუმენტების კრებული, რომელიც იძლევა ყოვლისმომცველ რესურსებს, ბავშვთა მიმართ სამარტოო პატიმრობის გამოყენების პრაქტიკის დასასრულებლად. ინსტრუმენტების კრებული თან ახლავს ACLU ანგარიშს, „მარტოსული და შეშინებული: ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობასა და იზოლაციაში არასრულწლოვანთა პატიმრობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში,[251] სადაც მოცემულია არასრულწლოვანთა სამარტოო პატიმრობის პრობლემისა და გადაწყვეტის გზებზე თაობაზე მოკლე ინფორმაცია. ინსტრუმენტების კრებული მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩართონ სამარტოო პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდები დისკუსიებში, ადვოკატირების მასალები და სამოდელო კანონმდებლობა სამარტოო პატიმრობის და იზოლაციის სხვა ფორმების გამოყენების შეზღუდვისთვის არასრულწლოვანთა პატიმრობის დაწესებულებებში, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების დეტალები არასრულწლოვანთა პატიმრობის თემაზე. ACLU ასევე იძლევა რეკომენდაციებს ბავშვთა სამარტოო პატიმრობის ალტერნატივებზე.[252]

დამატებითი დაცვის გარანტიები

61 სამარტოო პატიმრობის გამოყენების შესახებ გადა წყვეტილების დამოუკიდებელი გადასინჯვის მოთხოვნის უფლება მოქმედებს და გამოიყენება იმისდა მიუხედავად, თუ რა საფუძველზე მოხდა მისი დაკისრება.

62 მონიტორინგის ორგანოებს უნდა ქონდეთ შეუფერხებელი წვდომა იზოლაციისთვის განკუთვნილ სადგომებზე და იქ განთავსებულ პატიმრებზე. ეს წესი მოქმედებს იმისდა მიუხედავად, თუ რა საფუძვლით მოხდა იზოლაციის გამოყენება. მონიტორინგის ორგანოებს ასევე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სამარტოო პატიმრობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან. შიდა ინსპექციისა და გარე მონიტორინგის ორგანოების როლი განხილულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის **პირველი თავის 221-232-ე აბზაცებსა და მე-7 თავის 01-24-ე აბზაცებში**.

63 სამარტოო პატიმრობის გამოყენება უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული პატიმართა პირად საქმეში და მისი გამოყენების ზედამხედველობა უნდა ხდებოდეს კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებებში და ცენტრალური მართვის რგოლში. ამასთან დაკავშირებით, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე განაცხადა, რომ:

"სამარტოო პატიმრობის დაკისრებასთან დაკავშირებით ყველა შეფასება და გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათლად დაფიქსირებული და ადვილად ხელმისაწვდომი დაპატიმრებული პირებისა და მათი დამცველებისათვის. დასაფიქსირებელი მონაცემები მოიცავს სამარტოო პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სახელწოდებას, მისი სამართლებრივი უფლებამოსილების წყაროს, რომლითაც ხელეწიფება აღნიშნული ღონისძიების დაკისრება; მიზეზებს, რომელთა გამოც სამარტოო პატიმრობის გამოყენება ითვლება მიზანშეწონილად დაპატიმრებული პირის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შესაბამისად; მიზეზებს, რომელთა გამოც, სამარტოო პატიმრობა ითვლება ჩადენილი გადაცდომის თანაზომიერად; სამარტოო პატიმრობის მიზანშეწონილობის დასაბუთების რეგულარული გადახედვის თაობაზე ანგარიშებსა და პატიმრის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების თაობაზე სამედიცინო დასკვნებს." [253]

---

251. „მარტოსული და შეშინებული: ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობასა და იზოლაციაში არასრულწლოვანთა პატიმრობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში" (Alone and Afraid: Children Held in Solitary Confinement and Isolation in Juvenile Detention and Correctional Facilities), ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის (ACLU), 2014 წლის ივნისი.

252. ინსტრუმენტების კრებული ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: www.aclu.org/report/alone-afraid.

253. „წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში", A/66/268", op. cit., შენიშვნა 231, 93-ე აბზაცი.

პოზიტიური პრაქტიკა: მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა იზოლაციის განყოფილებებში [4.4]

ახალ ზელანდიაში იზოლაციისა და სპეციალური (შეკავების) საშუალებების გამოყენების მიმოხილვამ[254] აღმოაჩინა, რომ იზოლაციაში მოთავსების საფუძვლების პროგრესულ შემცირებას, ხშირად, ხელს უწყობს მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა და ოჯახის ჩართულობა. ციხეების უმეტესობაში, რომლებშიც ვიზიტები განხორციელდა, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა გარკვეული დოზით ხორციელდებოდა, განსაკუთრებით, რაც ეხება რისკის ჯგუფის პატიმრების იზოლაციის გადახედვისას. ეს გადაფასება, როგორც წესი, მოიცავს სასჯელაღსრულების პერსონალს, ჯანდაცვისა და ფსიქიკური ჯანდაცვის პერსონალს, შრომითი თერაპიის სპეციალისტებს და სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორის ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკის წარმომადგენლებს.

მაგალითად, ოკლენდში, მამაკაცთა დაწესებულებაში, ტარდებოდა ყოველკვირეული შეხვედრები, სადაც განიხილებოდა კომპლექსური საჭიროებების მქონე პატიმრების საკითხები, ფსიქიკური ჯანდაცვის, განათლების და სასჯელაღსრულების პერსონალის, ასევე სასამართლო ფსიქიკური ექსპერტიზის კლინიკის მონაწილეობით. ანალოგიურად, ყველა ქალი მაღალი რისკის განყოფილებაში, ქრისტჩერჩის ქალთა ციხეში ყოველდღიურ შეფასებას გადიოდნენ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომელიც მოიცავდა უმცროს მედდებს, ციხის უფროს ოფიცერთა შტატს, განყოფილების პერსონალს და თვითონ პატიმარს. მოსმენებს, რომლებიც ეხებოდა იზოლაციის შესახებ გადაწყვეტილების გადახედვას ოკლენდ საუთის ციხეში, ესწრებოდნენ თვითონ პატიმარი, კულტურის წარმომადგენელი, ფსიქიკური ჯანდაცვის სპეციალისტი და ციხის პერსონალი.

სამარტოო პატიმრობის და სხვა სანქციების უარყოფითი გავლენის შემცირება

64 ციხის ხელმძღვანელობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეამსუბუქოს საიზოლაციო პატიმრობის შესაძლო საზიანო გავლენა (წესი 38(2)), ალტერნატიული სოციალური კონტაქტის უზრუნველყოფით და საიზოლაციო პერიოდის დასრულების შემდეგ საკომპენსაციო ზომების გამოყენებით.

65 დისციპლინური სანქციები ან შემზღუდავი ზომები არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის აკრძალვას.

66 ყველა ღონისძიება უნდა იქნეს გატარებული, რათა სამარტოო პატიმრობაში მყოფ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ციხის ცხოვრების სხვა ასპექტებში, როგორიცაა დასაქმება, საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტიობები.

კონტექსტი: ზომები საიზოლაციო პატიმრობის გავლენის შესამცირებლად [4.5]

ზომები, რომლებიც შესაძლოა იქნეს გამოყენებული, სამარტოო პატიმრობის შესაძლო საზიანო შედეგების შესამსუბუქებლად, წესი 38(2)–ის მიხედვით, მაგალითად, შეიძლება მოცავდეს შემდეგს:

- **გარე სამყაროსთან გაზრდილი კონტაქტის შესაძლებლობა;**
- **პროფესიული დასაქმების, განათლებისა და სარეკრეაციო/გამაჯანსაღებელი აქტიობებისადმი გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობას;**
- **იზოლაციაში მყოფი პატიმრებისთვის ვარჯიშის ან სხვა გამაჯანსაღებელ აქტიობებში ერთად მონაწილეობის ნებართვის დართვა;**
- **საიზოლაციო პატიმრობაში მყოფი პირებისათვის, რომელთაც მუშაობის სურვილი აქვთ, ამგვარი შესაძლებლობის მინიჭება ან მათივე საკანში, ან, სადაც შესაძლებელია, საამისოდ გამოყოფილ ფართში, სხვებთან ერთად;**
- **ხანგრძლივ იზოლაციაში მყოფ პატიმართათვის ხელოვნების საშუალებით თვით–გამოხატვის უფლების მიცემა;**
- **სპორტულ დარბაზზე წვდომის მიცემა; და**
- **მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ხელსაქმისთვის მასალების მიცემა.**

254. შარონ შალევი, „„არასტანდარტული მიდგომა?“ახალ ზელანდიაში საიზოლაციო პატიმრობისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების პრაქტიკის მიმოხილვა, (Sharon Shalev, 'Thinking Outside the Box? A review of seclusion and restraint practices in New Zealand), ახალი ზელანდიის ადამიანის უფლებათა კომისია, 2017 წლის აპრილი.

პრევენცია და რეინტეგრაცია

67 ციხის ხელმძღვანელობას უნდა ქონდეს მისწრაფება, რომ თავიდან აიცილოს ან შეამციროს საიზოლაციო პატიმრობის გამოყენება, ინციდენტების გამომწვევ მიზეზებზე აქცენტირების საშუალებით. როდესაც პატიმარი სამარტოო პატიმრობაში იმყოფება, დასაწყისიდანვე მთავარი აქცენტი უნდა იყოს მის დაბრუნებაზე, ანუ რეინტეგრირებაზე ციხის ძირითად კონტიგენტში.

68 სამარტოო პატიმრობაში მყოფი პატიმრების მოტივირება უნდა მოხდეს, რათა გაიარონ ციხის პერსონალთან ინსტრუქტაჟი და გაეწიოთ დამატებით ზრუნვა და დახმარება, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მათ მიმართ განმეორებით სამარტოო პატიმრობის გამოყენება.

69 იზოლაციის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ციხის ზოგად კონტიგენტში ეტაპობრივი დაბრუნება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, თუ პატიმრების პირდაპირ ზოგად კონტიგენტში გათავისუფლება ხდება სამარტოო პატიმრობის შემდეგ.

70 „მანდელას წესებით“ არ არის რეგულირებული ის შემთხვევები, როდესაც პატიმარი ითხოვს იზოლაციას ზოგადი კონტიგენტისგან (ნებაყოფლობითი იზოლაცია). რეკომენდებულია, რომ ისეთ შემთხვევებში, ციხის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, ეცადოს დაადგინოს ის მიზეზები, თუ რის გამო ითხოვს პატიმარი იზოლაციას და გადაწყვიტოს პრობლემა სხვა საშუალებების გამოყენებით. თუ არსებობს ამ პირის უსაფრთხოების გამო შიში, ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს შეუძლიათ თუ არა აღნიშნული პატიმრის უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფა მისი იზოლაციის გარეშე. თუ იზოლაცია ერთადერთ შესაძლო საშუალებადაა მიჩნეული, მისი გამოყენება უნდა მოხდეს დროის მხოლოდ იმ პერიოდით, რომელიც საჭიროა სიტუაციის გადასაწყვეტად.

საიზოლაციო საკნების დაგეგმვა და დიზაინი

71 UNOPS აწესებს საიზოლაციო საკნების ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და დიზაინის მინიმალურ მოთხოვნებს და შენიშნავს, რომ „საზოლაციო საკნების გათვალისწინება ციხის მშენებლობის დაგეგმვისას უნდა იყოს გამართლებული პატიმართა რისკის კატეგორიით და არ უნდა წარმოადგენდეს საყოველთაო პრაქტიკას. განსაკუთრებით, დაბალი რისკის ციხეებში, საიზოლაციო საკნები, შესაძლოა არ იყოს საჭირო.”[255] საიზოლაციო საკნების დაგეგმვის საკითხის მიმოხილვისას, „ციხეების დაგეგმვის ტექნიკურ სახელმძღვანელოში“ (the Technical Guidance for Prison Planning) ასევე აღნიშნულია, რომ საკანში განთავსების სხვა მინიმალური მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იყოს, მათ შორის, „მინიმალურ ფართთან, განათებასა და ვენტილაციასთან, გათბობასა და გაგრილების სისტემებთან დაკავშირებით. ასევე საჭიროა გათვალისწინებული იყოს ცალკე გამოყოფილი გარე სასეირნო ეზო იზოლაციაში მყოფი პატიმრებისთვის, ასევე შესაძლოა, საჭირო გახდეს ცალკე სანიტარული მოწყობილობები, კვების, საკვების მომზადების და სამედიცინო დანიშნულების ობიექტები.”[256]

72 „ციხეების დაგეგმვის ტექნიკურ სახელმძღვანელოში“ ასევე აღნიშნულია, რომ საიზოლაციო საკნები არ უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო განთავსების ლიმიტში, ისე რომ თუ პატიმრების გადაყვანა ხდება ზოგადი კონტიგენტიდან და იზოლაციაში მოთავსება, ამ საიზოლაციო პერიოდის დასრულების შემდეგ მათ დასაბრუნებლად ადგილი უნდა იყოს თავისუფალი. საიზოლაციო საკნების გამოყენება არასდროს არ უნდა მოხდეს ციხეების გადატვირთულობის შესამსუბუქებლად. [257]

255. „ციხეების დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო“, UNOPS, op. cit., შენიშვნა 84, გვ.111.
256. იქვე, გვ.112.
257. იქვე, გვ.111.

4.3 ჯანდაცვის პერსონალის როლი

შესაბამისი წესები: ჯანდაცვის პერსონალის როლი

წესი 46:

1. ჯანდაცვის პერსონალს არავითარი როლი არ უნდა ეკისრებოდეს დისციპლინური სანქციების ან სხვა შემზღუდავი ზომების დაწესებაში. თუმცა, მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ პატიმართა ჯანმრთელობას, რომლებიც იმყოფებიან ნებისმიერი ფორმით არანებაყოფლობით იზოლაციაში, მათი ყოველდღიური მონახულებით და დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების და მკურნალობის გაწევით, პატიმართა ან პერსონალის თხოვნით.

2. ჯანდაცვის პერსონალმა ციხის დირექტორს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პატიმრის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობაზე დისციპლინური სახდელების ან სხვა შემზღუდავი საშუალებების ნებისმიერი უარყოფითი შედეგის შესახებ, ასევე დირექტორს რჩევა მისცეს თუ აუცილებლად მიიჩნევს მათი გამოყენების შეწყვეტას ან შეცვლას ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მოსაზრებებით.

3. ჯანდაცვის პერსონალს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, რომ გადასინჯოს არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენება და ცვლილებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები მიაწოდოს ხელმძღვანელობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ ამგვარი განცალკევება არ ამწვავებდეს პატიმრის დაავადებას ან ფსიქიკურ ან ფიზიკურ შეზღუდულ შესაძლებლობებს.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

73 როგორც განხილულია ამ სახელმძღვანელოს **მე-6 თავის 103-ე აბზაცში**, გაეროს პრინციპები სამედიცინო ეთიკის შესახებ (პრინციპი 3) აღნიშნავს, რომ „ჯანდაცვის პერსონალის, განსაკუთრებით კი ექიმების, სამედიცინო ეთიკას ეწინააღმდეგება პატიმრებთან ან დაკავებულებთან ნებისმიერ პროფესიულ ურთიერთობაში ყოფნა, რომლის ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს მათი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა ან გაუმჯობესება."

74 „მანდელას წესების" წესი 32(დ) იმეორებს აბსოლუტურ აკრძალვას, რომელიც დაწესებულია ექიმებისა და სხვა ჯანდაცვის პერსონალისთვის, აქტიურად ან პასიურად, ისეთ ქმედებებში მონაწილეობაზე, რომლებიც შეიძლება უტოლდებოდეს წამებას ან სხვა არასათანადო მოპყრობას.

75 ჯანდაცვის პერსონალის მიერ არანებაყოფლობით იზოლაციაში მყოფთა ყოველდღიური მონახულება მნიშვნელოვანია პატიმრების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზოლაციის გავლენის შესაფასებლად, მათ შორის, სუიციდისაკენ ან თვითდაზიანებისკენ მიდრეკილებების ნიშნების, ასევე წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ნიშნების აღმოჩენისთვის. ის ფაქტი, რომ სამედიცინო პერსონალი ყოველდღიურად მოინახულებს ამგვარ სასჯელდაკისრებულ პატიმრებს უკვე თავისთავად, შესაძლოა, იყოს არასათანადო მოპყრობის პრევენციის საშუალება.

პრაქტიკაში განხორციელება

76 ჯანდაცვის პერსონალმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იზოლაციაში მყოფი და სხვა სახის სანქციებს დაქვემდებარებული პატიმრების ჯანმრთელობას. ამ მიზნით, ჯანდაცვის პერსონალი უნდა იყოს ინფორმირებული პატიმრის სამარტოო პატიმრობაში განთავსების ყოველი შემთხვევის შესახებ და ციხის ხელმძღვანელობამ ჯანდაცვის პერსონალს შეუზღუდავი დაშვება უნდა მისცეს ყველა იზოლირებულ პატიმართან.

77 ჯანდაცვის პერსონალის მიერ არანებაყოფლობითი განცალკევების ნებისმიერ ფორმას დაქვემდებარებული პირების ყოველდღიური მონახულება უნდა ხორციელდებოდეს სრული სამედიცინო კონფიდენციალობის უზრუნველყოფით. ამგვარად, პატიმრებს უნდა ქონდეთ სამედიცინო პერსონალთან კონფიდენციური საუბრის შესაძლებლობა. ამგვარი საუბრები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქიკური აშლილობების გამოსავლენად.

78 ციხის დირექტორის არყოფნაში, ჯანდაცვის პერსონალმა ნებისმიერი პრობლემური საკითხის შესახებ უნდა აცნობოს საამისოდ უფლებამოსილ სხვა ხელმძღვანელ პირს.

79 ყოველდღიური დაგეგმილი ვიზიტების გარდა, ჯანდაცვის პერსონალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დღის ნებისმიერ დროს, რომ მოინახულოს პატიმრები, რომლებსაც სახდელები აქვთ დაკისრებული. ეს, შესაძლოა, იყოს პატიმრის პირდაპირი თხოვნის საფუძველზე, ან დაწესებულების თანამშრომლის რეკომენდაციით.

80 ჯანდაცვის პერსონალის რეკომენდაციას პატიმრის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რეაგირება უნდა მოყვეს ციხის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირის მხრიდან.

4.4 დავების ალტერნატიული გადაწყვეტა

შესაბამისი წესები: დავების ალტერნატიული გადაწყვეტა

წესი 38(1):

1. ციხეების ადმინისტრაციებს რჩევა ეძლევათ, რომ შეძლებისდაგვარად, გამოიყენონ კონფლიქტების პრევენცია, მედიაცია ან დავების გადაჭრის სხვა ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება, დისციპლინური სახდელების თავიდან ასაცილებლად, ან კონფლიქტების მოსაგვარებლად.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

81 არსებობს მრავალი და კარგად გამოცდილი საშუალება, ციხეებში უსაფრთხოებასა და წესრიგის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთის ადგილების კონფიგურაცია და ინფრასტრუქტურა; კარგად მომზადებული თანამშრომლების სათანადო რაოდენობა; პატიმართა კლასიფიკაციისა და განცალკევების ეფექტური სისტემა; პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, რომელიც საშუალებას აძლევს ციხის პერსონალს სწორად მოახდინოს პრობლემების პროგნოზირება და მათი პროაქტიურად მოგვარება; დინამიური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების გადაჭრის საშუალებები, როგორიცაა მედიაცია/მორიგება.[258]

82 ციხეების ადმინისტრაციებს თავიანთ განკარგულებაში გააჩნიათ პრობლემების მოგვარების რამდენიმე გზა, დისციპლინური სახდელების გამოყენების გარეშე. ესენი მოიცავს კონფლიქტების პრევენციას, დისციპლინის მცირე დარღვევების შემთხვევებში არაოფიციალური გაფრთხილებები და მედიაციის ტექნიკა. დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების მსგავსად, აქაც ამგვარი ზომების გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, რომ მათი სამართლიანი და თანმიმდევრული გამოყენება მოხდეს.

83 წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განმეორებით გაუსვა ხაზი დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მნიშვნელობას, განაცხადა რა, რომ „არსებითად მნიშვნელოვანია, რომ „წესები ითვალისწინებს ციხეების ხელმძღვანელობების ვალდებულებას, რომ დისციპლინური ზომები გამოიყენონ, როგორც გამონაკლისი და მხოლოდ მაშინ, როდესაც დავების გადაწყვეტისთვის მედიაციის და დაყოლიების სხვა მეთოდები უშედეგო აღმოჩნდება სათანადო წესრიგის უზრუნველსაყოფად“.[259]

84 თუ ციხის პერსონალი კარგად არის მომზადებული დინამიური უსაფრთხოების ტექნიკებში, მაშინ ისინი უკეთ იქნებიან აღჭურვილი დისციპლინური გადაცდომების ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების ამოსაცნობად და შეძლებენ სიტუაციის განმუხტვას, ვიდრე მისი ესკალაცია მოხდება. ამგვარ პრევენციულ ღონისძიებებს ნაკლები რესურსი სჭირდება, ვიდრე ოფიციალურ დისციპლინურ პროცედურებს და ასევე, შესაძლოა, ხელი შეუწყოს პატიმრებსა და პერსონალს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებისადმი გარკვეული მიდგომა, რომელიც აერთიანებს პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიურ ურთიერთობასა და სამართლიან მოპყრობას, ასევე მიზნობრივ აქტიობებს, რაც მათი საზოგადოებაში მომავალ რეინტეგრაციას უწყობს ხელს, განხილულია უფრო დეტალურად ამ სახელმძღვანელოს **მე-3 თავის 01 აბზაცში**.

258. „ესექსის ექსპერთა ჯგუფის მეორე ანგარიში პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გადახედვის შესახებ“, ესექსის უნივერსიტეტი/„ციხის საერთაშორისო რეფორმა“, 2014 წლის 20 მარტი, აბზაცი 43, ხელმისაწვდომია www.penalreform.org/resource/report-essex-experts-review-standard-minimum-rules-treatment.

259. სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/68/295", op. cit. შენიშვნა 57, აბზაცი 57.

პრაქტიკაში განხორციელება

85 მოთხოვნა, დავების ალტერნატიული მოგვარების შესახებ, უკავშირდება 75-ე და 76 (1)(გ)-ე წესებს, რომლებიც მოითხოვს ციხის კადრების მომზადებას დინამიური უსაფრთხოებისა და პრევენციული და განმმუხტავი ტექნიკების კონცეფციებზე, როგორიცაა მოლაპარაკებები და მედიაცია.

86 დინამიური უსაფრთხოების მიდგომა, პოზიტიური ურთიერთობის დამყარება ციხის პერსონალსა და პატიმრებს შორის, არის ძირითადი ელემენტი იმისა, რომ შესაძლებელი გახდეს დავების ალტერნატიული გადაწყვეტა.

87 ციხეების წარმატებული მართვისთვის, გადაწყვეტილებების მიმღები მესვეურები, ციხეების დირექტორები და პერსონალი სრულად უნდა იყოს ჩართული და ემხრობოდეს დინამიური უსაფრთხოების პრინციპების გამოყენებას და დავების ალტერნატიულ გადაწყვეტას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პერსონალი, ყველა დონეზე, გულდასმით უნდა იქნეს შერჩეული.

88 38(1)-ე წესში ნახსენები ფრაზა „შეძლებისდაგვარად“ არის იმის აღიარება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია დისციპლინური პროცედურების გამოყენება. თუმცა, ამ სიტყვებმა არ უნდა გამოიწვიოს აღნიშნული დებულების ვიწრო ინტერპრეტაცია. დავების ალტერნატიული მოგვარების მექანიზმები, ყოველთვის, უფრო ადრე უნდა იქნეს გამოყენებული ოფიციალური დისციპლინურ პროცედურების გამოყენებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უტყუარად დადგენილია, რომ სხვა ზომების გამოყენება არ იქნება ეფექტური, ან როდესაც გადაცდომა იმდენად სერიოზულია, რომ მიზანშეწონილია პირდაპირ ოფიციალური დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

5.1 კონტაქტი ოჯახთან და მეგობრებთან
5.2 სამართლებრივი კონსულტაციის, წარმომადგენლობისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა
5.3 შეტყობინებები

5

5. კონტაქტი გარე სამყაროსთან

01 არსებობს მრავალი გზა, რომლის საშუალებით ციხეების ადმინისტრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს პატიმრებს გარე სამყაროსთან კონტაქტების დამყარებაში, შენარჩუნებასა და განვითარებაში. ამგვარი სახის დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც არ ძალუძს დამოუკიდებლად გაიაზროს გარე სამყაროსთან კონტაქტის მნიშვნელობა და შეინარჩუს ის.

მანდელას წესები განსაზღვრავს პატიმართა უფლებებს იურთიერთონ საკუთარ ოჯახთან და მეგობრებთან რეგულარული შუალედებით და უზრუნველყობს ოჯახთან კონტაქტის აკრძალვის საწინააღმდეგო დაცვის გარანტიებს. წესების განახლებული კრებული ასევე უზრუნველყობს პატიმრის და მესამე პირების უფლებას იყვნენ ინფორმირებულნი ოჯახის წევრის დაკავების, გადაყვანის, სერიოზული დაზიანების, ავადმყოფობის ან გარდაცვალების შესახებ.

სამართლებრივი რჩევის მიღებასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, მანდელას წესები განამტკიცებს პატიმრის უფლებას უზრუნველყოფილი იქნას სათანადო დროითა და ადგილით, სადაც შესაძლებელი იქნება დამცველთან შეხვედრა და ნებისმიერ საკითხზე კომუნიკაციის და კონსულტაციის მიღება ყოველგვარი დაყოვნების, მოსმენისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალობის დაცვით. აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია არამხოლოდ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს (წესები 119-120), არამედ ყველა პატიმარს „ნებისმიერ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით“.

იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ პატიმარს არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სამართლებრივი წარმომადგენლის მომსახურეობით სისხლისსამართლებრივი პროცესის განმავლობაში, მანდელას წესები განახლდა 2012 წლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების (გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები)[260] დებულებების ასახვის მიზნით. წესები მოუწოდებენ სახელმწიფოებს უზრუნველყონ კონკრეტული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება იურიდიული დახმარების სქემების შექმნის მიზნით,[261] რომელიც არის „ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, მდგრადი და სანდო“ და გამოყონ ამისათვის „საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები“.[262] აუცილებელია არსებობდეს უფლებების დაცვის ეფექტიანი საშუალებები და გარანტიები იმ შემთხვევებში, როდესაც იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა დაბრკოლდება, გადაიდება ან უარყოფილია, ან თუ პატიმრები არ იქნებიან სათანადოდ ინფორმირებულნი იურიდიული დახმარების უფლების თაობაზე.[263]

იმ დაწესებულებების რიცხვში, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს აღნიშნულ სქემებში, შედის არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რელიგიური და საერო საქველმოქმედო ორგანიზაციები, პროფესიული ორგანიზაციები და ასოციაციები და აკადემია.[264] უფრო დეტალურად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიული სქემების შექმნის პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების შესახებ გთხოვთ, იხილოთ გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები და UNODC/UNDP-ის ცნობარი „იურიდიული დახმარების ადრეული წვდომა სისხლის სამართლის პროცესებში: პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა და პრაქტიკოსთა სახელმძღვანელო“.[265]

5

---

260. გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 67/187, „გაეროს პრინციპები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ“, 28 მარტი 2013, A/RES/67/187 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UN_principles_and_guidlines_on_access_to_legal_aid.pdf.

261. პრინციპები (იქვე) განსაზღვრავს, რომ რომ იურიდიული დახმარება მოიცავს „სამართლებრივ რჩევას, დაკავებული, დაპატიმრებული, ეჭვმიტანილი ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მხარდაჭერას და წარმომადგენლობას (...) რომელიც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან იმ შემთხვევაში თუკი პირებს არ აქვს საამისო სახსრები, მიეწოდება საფასურის გარეშე“. (პარ 8).

262. იქვე, პრინციპი 2, პარ. 15.

263. იქვე, პრინციპი 9, პარ. 31.

264. იქვე, პარ. 9.

265. „სისხლის სამართლის პროცესებში იურიდიულ დახმარების ადრეული წვდომა: სახელმძღვანელო პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისა და პრაქტიკოსებისთვის“, UNODC და UNDP, თებერვალი 2014 ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/eBook-early_access_to_legal_aid.pdf.

5.1 კონტაქტი ოჯახთან და მეგობრებთან

შესაბამისი წესები: კონტაქტი ოჯახთან და მეგობრებთან

წესი 58:

1. პატიმარს უფლება აქვს, აუცილებელი ზედამხედველობის ქვეშ, დროის რეგულარული შუალედებით ურთიერთობა იქონიოს ოჯახთან და მეგობრებთან:

(ა) წერილობითი გზით, ან თუ ეს შესაძლებელია, ტელეკომუნიკაციის, კომუნიკაციის ელექტრონული, ციფრული და სხვა სახის საშუალებების მეშვეობით; და

(ბ) ვიზიტების (პაემნების) მეშვეობით.

2. სადაც ხანგრძლივი პაემნები ნებადართულია, მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე, ხოლო ქალები ამ უფლებით უნდა სარგებლობდნენ მამაკაცებთან გათანაბრებული პირობებით. საჭიროა, არსებობდეს დადგენილი პროცედურები, ხოლო ვიზიტებისთვის გათვალისწინებული შენობა უზრუნველყოფდეს სამართლიან და თანაბარ ხელმისაწვდომობას, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

02 პატიმრის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში გარე სამყაროსთან კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ოჯახთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან შინაარსიანი ურთიერთობა ეხმარება ინდივიდებს წარმოიდგინონ მათი ცხოვრება გათავისუფლების შემდეგ და ეხმარება მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაში. ეს შესაძლებელია გახდეს ციხეში პატიმრების კარგი ქცევის არსებითი მოტივატორი და შეუძლია შეამციროს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი. გათავისუფლების ვადის მოახლოვების დროისთვის ოჯახის ვიზიტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ პატიმრის და მათი ოჯახების მიერ გათავისუფლების შემდგომი გეგმების შედგენაში.

03 ოჯახთან და მეგობრობასთან რეგულარული კონტაქტები ასევე ახსენებს პატიმრებს ციხის გარეთ არსებულ პასუხისმგებლობას და აძლიერებს მათ მზაობას დაიცვან ციხის წესები და პროცედურები. ურთიერთობები საშუალებას აძლევს პატიმრებს მონაწილეობა მიიღონ ოჯახთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და გადაწყვეტილებებში, რაც ამცირებს მათი იზოლირებულობის ხარისხს და ზრდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ფარგლებს. ეს მნიშვნელოვანია არამხოლოდ ინტერპერსონალური ურთიერთობებისთვის, არამედ პატიმრების ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის. ოჯახის წევრებთან რეგულარული კონტაქტები, როგორც წესი, ამცირებს დაკავების შემდგომ ოჯახის წევრებს შორის კავშირის დაკარგვის რისკს.

04 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციხეში მყოფი მშობლებისთვის შვილებთან ურთიერთობის შენარჩუნება და მათი განათლების, ჯანმრთელობისა და ზრუნვის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება. როდესაც ასეთი კონტაქტის შენარჩუნება შეუძლებელია, სავარაუდოდ ეს აისახება როგორც მშობლის, ასევე ბავშვის კეთილდღეობაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ციხეში მყოფ მშობლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია ბავშვთა განათლების, სოციალური ჩართულობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის.[266]

ოჯახის ყოლის უფლება

05 ოჯახთან კონტაქტი ეს არის პატიმრის უფლება და არა პრივილეგია და იგი ვრცელდება ყველა პატიმარზე და მათი ოჯახის წევრებზე. ეს უფლება განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 23-ე მუხლში. ბავშვის უფლება ჰქონდეს კონტაქტი მისი ოჯახის წევრებთან დაცულია გაეროს ბავშვთა დაცვის კონვენციით დებულებით.[267]

266. იხ. მაგალითად, „პატიმართა ბავშვები – ოჯახური კავშირების შენარჩუნება“, Social Care Institute for Excellence, აპრილი 2008 ხელმისაწვდომია www.scie.org.uk/publications/guides/guide22.

267. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, op. cit., შენიშვნა 140, მუხლი 16 (1): „არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის (...) ობიექტი.

06 UNODC აღნიშნავს, რომ პატიმრის კონტაქტი გარესამყაროსთან განხილული უნდა იყოს როგორც პირის განუყოფელი უფლება და არა როგორც პრივილეგია და შესაბამისად ოჯახის ნახვის უფლების აკრძალვა ან მინიჭება არ უნდა განიხილებოდეს როგორც დასჯა ან წახალისება.[268]

07 დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის ოჯახის ნახვაზე უარის თქმამ, თავისი არსით შეიძლება წარმოშვას სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. მაგალითად, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე თავის სადამკვირვებლო ანგარიშში დაადასტურა, რომ წინასწარ დაკავებაში მყოფი პირების უფლებები დარღვეულ იქნა „თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე უარის თქმის“ გამო და აღნიშნა, რომ ამან „აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევით“.[269]

08 ვინაიდან პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, მათ აქვთ ციხის ადმინისტრაციის იმედი ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობების შენარჩუნებისა და მხარდაჭერის კუთხით. ციხის ხელმძღვანელმა პირებს ეკისრებათ აღნიშნულის განახორციელების ვალდებულება. შესაბამისად, ხელმძღვანელობა პროაქტიური უნდა იყოს თავის ძალისხმევაში და ყურადღება გაამახვილოს მსგავსი კონტაქტების განვითარებაზე და არა მათ შეზღუდვაზე.

პატიმართა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესება

09 უდავოა, რომ პატიმრის კონტაქტი საკუთარ ოჯახთან და მეგობრებთან შეიძლება იყოს სარგებლის მომტანი როგორც პირის ფსიქიკური მდგომარეობის, ასევე მისი საერთო კეთილდღეობისთვის. ასეთი კონტაქტი ამცირებს პატიმრის შფოთვას მისი ამჟამინდელი მდგომარეობის და ოჯახის წინ არსებული პასუხისმგებლობის შესახებ. კონტაქტი არის კომფორტისა და სიმშვიდის წყარო, მაგრამ მას ასევე შეუძლია გაათავისუფლოს პატიმრები ნაღველისგან და მისცეს მათ შესაძლებლობა გამოხატონ მათი პრობლემები, შიშები და იმედგაცრუება.

10 გარე სამყაროსთან კონტაქტი აბალანსებს პატიმრობის ნეგატიურ ეფექტებს და ისინი, ვისაც აქვს მსგავსი შესაძლებლობა, სავარაუდოდ უკეთესად გაუმკლავდებიან მათთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შერჩევას ვიდრე ისინი, ვინც უფრო მეტად იზოლირებულია. ამდენად, ციხეების ადმინისტრაციამ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ პატიმრები უფრო ადვილად მართავენ და განიცდიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც პოტენციურად ამცირებს ძალადობის დონეს.

11 ოჯახთან რეგულარული კაკშირი ასევე ამცირებს სუიციდის და თვითდაზიანების შემთხვევებს[270] არამარტო იმიტომ, რომ ის მატებს თავდაჯერებულობას, არამედ მნახველებს შეუძლიათ აღმოაჩინონ დეპრესიის ადრეული სიმპტომები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები. პატიმრები ასევე ანდობენ მათ ინფორმაციას მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას შესახებ.

12 ბევრ ქვეყანაში მნახველები აწვდიან პატიმრებს საკვებს, სასმელს, ჰიგიენის საშუალებებს და მედიკამენტებს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნივთებით პატიმართა მომარაგება ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებაა და მათ უნდა უზრუნველყონ ყველა პატიმრის თანაბარი ხელმისაწვდომობა ამ ნივთებთან, რეალურად, მათი კვების და ფიზიკური ჯანმრთელობის საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ზოგიერთი პატიმარი დამოკიდებულია მნახველზე.

პოზიტიური პრაქტიკა: ოჯახთან საკონტაქტო ოფიცრები შოტლანდიაში [5.1]

შოტლანდიის ყველა ციხეში არის ოჯახთან საკონტაქტო ოფიცრები, ვინც პასუხისმგებელია ოჯახთან კავშირების წახალისებასა და შენარჩუნებაში. ოფიცრის მთავარ როლს წარმოადგენს ნათესავების მხარდაჭერა და პატიმრის მდგომარეობის შესახებ წუხილის შემთხვევაში, მათთვის რჩევის მიცემა.გარდა იმისა, რომ ოფიცერი წარმოადგენს მნახველებს და პატიმრებს შორის საკონტაქტო ფიგურას, მას ასევე შეუძლია დააკავშიროს მნახველები შესაბამის პარტნიორ ორგანიზაციებთან რჩევისა და მხარდაჭერის მისაღებად.[271]

268. „სახელმძღვანელო დინამიური უსაფრთხოების და ციხის ოპერატიული საქმიანობის შესახებ“, UNODC, op. cit., შენიშვნა 160, გვ. 22

269. გაეროს (UN) სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებზე, ანგარიში ადამიანის უფლებათა საბჭოს მთავრობებთან განხორციელებულ კომუნიკაციასა და მიღებულ პასუხებზე დასკვნების შესახებ, 12 მარტი 2013წ., A/HRC/22/53/Add 4, პარ. 20 ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A-HRC-22-53-Add4_EFS.pdf.

270. იხ. მაგალითად, „დიდი მოლოდინები?: ინგლისსა და უელსში პატიმართა ოჯახის როლის შეფასება“, პროფ. ალის მილსი, საუთჰემპტონის უნივერსიტეტი, 2005 ხელმისაწვდომია: www.britsoccrim.org/volume7/001.pdf.

271. www.sps.gov.uk/Families/WhereCanIGetSupport/Family-Contact-Officers.aspx.

დაცვის გარანტიები არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

13 გარე სამყაროსთან კონტაქტი ასევე წარმოადგენს დაცვის გარანტიას წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. მას შეუძლია არამხოლოდ აღკვეთოს ადამიანის უფლებების დარღვევა, არამედ იძლევა შესაძლებლობას მოხდეს არასათანადო მოპყრობის შეტყობინება და შესაბამისი ნაბიჯების განხორციელება.

14 იმის ცოდნა, რომ პატიმრებს ჰყავთ ხმის გამცემი პირები შეიძლება წარმოადგენდეს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ძლიერ შემაკავებელ ფაქტორს. უფრო მეტიც, ციხის მნახველებს შეუძლიათ თავად შენიშნონ არასათანადო მოპყრობის ფიზიკური ნიშნები ან ფსიქოლოგიური სტრესი და ჰკითხონ პატიმრებს მომხდართან დაკავშირებით. მნახველებს შეუძლიათ გააფრთხილონ ხელისუფლების წამომადგენლები არასათანადო მოპყრობის რისკების თაობაზე, ან ურჩიონ პატიმრებს საპასუხო საუკეთესო საშუალებები.

15 ისინი, ვისაც აქვთ ოჯახთან და მეგობრებთან რეგულარული კონტაქტი ნაკლებად მოწყვლადები არიან, ვინაიდან მათ მიეწოდებათ ფიზიკური და მორალური მხარდაჭერა. ვინაიდან მათ იციან, რომ ჰყავთ კომუნიკაციის წყარო, ისინი გრძნობენ და არიან ემოციურად უფრო ძლიერები, რამაც თავისთავად შეიძლება შეამციროს არასათანადო მოპყრობის რისკი. თუნდაც მათ არ შეეძლოთ ციხის ადმინისტრაციისთვის საჩივრის წარდგენა, მათ შეუძლიათ გაანდონ მომხდარის შესახებ მათ, ვისაც ენდობიან.

საჩივრის წარდგენა

16 56(4)-ე წესის შესაბამისად თუკი პატიმრისთვის შეუძლებელია საჩივრის და/ან განცხადების წარდგენა, მაშინ ოჯახის წევრს ან სხვა პირს, რომელსაც აქვს ცოდნა ფაქტის შესახებ, შეუძლია წარადგინოს საჩივარი ან განცხადება პატიმრის სახელით. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პატიმარს ექნება რეგულარული და უსაფრთხო კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან ან სხვა პირებთან. ეს შესაძლებლობა სცილდება არასათანადო მოპყრობის შესახებ განაცხადის წარდგენის ფარგლებს და ითვალისწინებს ნებისმიერ სხვა განცხადებასა თუ საჩივარს, რომლის წარდგენა არ ძალუძს თავად პატიმარს. განცხადებებისა და საჩივრების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახემძღვანელო დოკუმენტის **1-ლი თავის 130-165-ე პარაგრაფებში**.

17 მნახველებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სათანადო კონსულტაციისა და იურიდიული წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობას და ყურადღება მიაქციონ საჩივრის განხილვის პროგრესს.

18 როდესაც ხდება წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გაცხადება, გარე სამყაროსთან კონტაქტს აქვს გადამწყვეტი დამცავი მნიშვნელობა ანგარიშსწორების წინააღმდეგ.

კონტექსტი: ციხის ვიზიტების (პაემნების) სახეები [5.2]

სხვადასხვა ქვეყანასა და დაკავების ადგილებში არსებობს ციხის ვიზიტების სხვადასხვა სახე და ადგილობრივი კულტურის გათვალისწინებით კონკრეტული ღონისძიებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ქვემოთ მოყვანილი სია ამომწურავი არ არის, მაგრამ მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ციხის ვიზიტების სხვადასხვა ფორმები.

უკონტაქტო/დახურული ვიზიტები

ასეთ ვიზიტებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მნახველი და პატიმარი დაშორებულია ერთმანეთიგან მინის ან სხვა ბარიერით. ჩვეულებრივ ითვალისწინებს მინიმალურ ფიზიკურ კონტაქტს ან საერთოდ გამორიცხავს მას, თუმცა პატიმრები და ოჯახის წევრები ზოგჯერ ახერხებენ ერთმანეთისთვის ხელის ჩაკიდებას ან შეხებას, ბარიერის მოწყობის თავისებურების გათვალისწინებით. ეს ვიზიტები ყველაზე მკაცრად კონტროლირდება და ყველაზე მეტად აზიანებს პატიმრის კეთილდღეობისა და რეინტეგრაციის პროცესს. უკონტაქტო ვიზიტები შეიძლება დაშვებული იქნას მაშინ, როდესაც ეს აუცილებლია უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე.

კონტაქტი/ღია ვიზიტი

ამგვარი ვიზიტი იძლევა პატიმრებსა და მნახველებს შორის გარკვეული ფიზიკური სიახლოვის შესაძლებლობას და როგორც წესი არ ითვალისწინებს რაიმე სახის ბარიერს. ამგვარ ვიზიტებზე ხდება ვიზუალური დაკვირვება, მაგრამ საუბარი მიუწვდომელია ციხის ბადრაგებისთვის.

გახანგძლივებული ვიზიტები

აღნიშნული ვიზიტები წარმოადგენს რეგულარულ ვიზიტებს, რომელიც პირის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით გახანგძლივებულია დროში. ეს შეიძლება იყოს ოჯახის კრიზისული მდგომარეობა ან განსაკუთრებული გარემოებები. გახანგძლივებული ვიზიტები ასევე უნდა ითვალისწინებდეს ვიზიტებს ბავშვების მონაწილეობით, შორი გზიდან მომავალ მნახველებს და შეხვედრებს ქალი პატიმრებისთვის, ვისაც აქვს რიგ შემთხვევებში უფრო ნაკლები ციხის პაემნები, ვიდრე მამაკაცებს.

კერძო ვიზიტები

აღნიშნული ვიზიტების დროს პატიმრებს შეუძლიათ იმყოფებოდნენ მარტო მათ ოჯახთან ან სხვა იმ პირთან ერთად, ვისთანაც აქვთ ინტიმური ურთიერთობა. ჩვეულებრივ ისინი მიმდინარეობს განსაზღვრულ ადგილას და ითვალისწინებს ბავშვების ჩართულობასაც. ასეთი ვიზიტების წარმატებულობისთვის ადგილზე უნდა იყოს შეფასების ეფექტიანი პროცედურები პატიმრის ან მნახველის მიმართ არსებული პოტენციური რისკის განსაზღვრისათვის.

ცოლ-ქმრული/ინტიმური პაემანი

ამ ვიზიტების დროს პატიმარს შეუძლია მარტო იმყოფებოდეს მნახველთან შესაბამისად გამოყოფილ ფართში და დაამყაროს მასთან სექსუალური კავშირი. აღნიშნული პაემანი ეხმარება პარტნიორებს ემოციური და ინტიმური კავშირის შენაჩუნებაში და საშუალებას იძლევა მოხდეს ურთიერთობის ნორმალიზება, ეხმარება რეინტეგრაციის და რეაბილიტაციის პროცესს.

საოჯახო პაემანი/ ხანგძლივი პაემანი

ასეთი ვიზიტების დროს პატიმარი და ოჯახი, მათ შორის ბავშვები, ერთად ატარებენ რამდენიმე დღეს ციხის ადმინისტრაციის მიერ მართვად სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ოჯახის ვიზიტი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ პატიმრებით, ვისაც ჰყავთ შვილები.

ვიზიტი სახლში

ეს არის სისტემა, რომლის დროსაც პატიმრები თავისუფლდებიან დაწესებულებიდან სახლში დროის გატარების მიზნით. ვიზიტის (პაემნის) ეს ტიპი ზოგჯერ გამოიყენება იმ პატიმრების მიმართ, რომელთა გათავისუფლების თარიღი მოახლოვებულია, რაც ხელს უწყობს მათ რეინტეგრაციას, მაგრამ ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს სამედიცინო, საგანმანათლებლო და პროფესიული მიზნებისთვის ან სპეციალური შემთხვევების დროს. მისი გათვალისწინება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც ოჯახის წევრი ავადაა ან ფიზიკურად არ შეუძლია პატიმრის მონახულება.

პაემანი ვიზუალური დაკვირვებით

ეს ითვალისწინებს ვიდეო კონფერენციას და სხვა ტიპის დისტანციურ კომუნიკაციას. აღნიშნული პაემანი განსაკუთრებულად სასარგებლოა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მათთვის, ვისი ოჯახებიც ცხოვრობენ შორს, მაგრამ მან არ უნდა ჩაანაცვლოს ციხის შიგნით განსახორციელებელი პაემნები.

5

პრაქტიკაში განხორციელება

დაწესებულებაში განთავსება

19 59-ე წესის შესაბამისად პატიმრებისთვის უფრო ადვილია ოჯახის წევრებისა და მეგობრების კონტაქტის შენარჩუნება, თუ დაწესებულება ადვილად ხელმისაწვდომია და ის მდებარეობს მათი საცხოვრებელი ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილის ახლოს. ოჯახის და სხვა კონტაქტების ადგილმდებარეობის გათვალისწინება პატიმრების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის უმთავრესს ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს.

20 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სახლთან ან ჩვეულ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნის უფლება. ყველა პატიმარს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გადაყვანის მოთხოვნის წარდგენის პროცედურების შესახებ და მათ მიერ აღნიშნულის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სხვა პირებს უნდა შეეძლოთ მათი სახელით ციხის ადმინისტრაციისთვის მიმართვა. აღნიშნული მოთხოვნის შეფასების პროცედურები უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე.

21 პატიმრები არასდროს არ უნდა განთავსდნენ ან გადაყვანილ იქნან იმ დაწესებულებაში, რომელიც დაშორებულია მათი ოჯახის წევრების ან მეგობრების ადგილსამყოფელს. ამასთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა, რომ „პატიმრის მუდმივ

გადაადგილებას ერთი დაწესებულებიდან მეორეში შეიძლება ჰქონდეს ძალიან მავნე ზეგავლენა მის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე. უფრო მეტიც, პატიმარს ასეთ შემთხვევაში შეექმნება დაბრკოლებები ოჯახთან და ადვოკატთან სათანადო კონტაქტის შენარჩუნების თვალსაზრისით. პატიმრის საერთო მდგომარეობაზე თანმიმდევრული გადაყვანის შედეგმა გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა შეადგინოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა."[272]

პოზიტიური პრაქტიკა: დახმარების გაწევა ოჯახური ვიზიტების ხელშეწყობისთვის [5.3]

ციხის ხელმძღვანელობისთვის წარმატებული პრაქტიკაა პატიმრების ვიზიტების წახალისება. ციხეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ იმ პირების ტრანსპორტითა და განთავსებით უზრუნველყოფა, ვინც შორი გზიდან მგზავრობს. მათ შეუძლიათ ასევე დაამყარონ კავშირი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ვისაც შეუძლიათ მსგავს საკითხებში მათი დახმარება. მოსახერხებელი შეიძლება იყოს სატრანსპორტო საშუალებების გაზიარება ქვეყნის სხვა რაიონიდან მომავალი მგზავრებისთვის ან ციხის მნახველებისთვის ხელისუფლების მხრიდან ვაუჩერების სისტემის ან სატრანსპორტო ფასდაკლებების გათვალისწინება. არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შესაძლოა სხვაგვარად შეუწყონ ხელი ოჯახთან კონტაქტს, მაგალითად ოჯახის წევრების ადგილსამყოფების დადგენის ან წერილების მიწოდების კუთხით.

კამბოჯაში, ორგანიზაცია ეს ცხოვრება კამბოჯა მუშაობს ციხეში მყოფ ბავშვებთან და კანონთან კონფლიქტში მყოფ მშობლებთან. სამუშაოს ფარგლებში ისინი ხელს უწყობენ მათ მიერ ორგანიზებული პროფესიული გადამზადების კურსში ჩართული ციხეში მყოფი ბიჭების ყოველთვიურ შეხვედრებს ოჯახებთან.

ბევრი ოჯახი ვერ შეძლებდა ციხეში მყოფ ბიჭებთან ვიზიტის განხორციელებას აღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერის გარეშე, რომელიც ანაზღაურებს მათი ტრანსპორტირების ხარჯებს სოფლებიდან და მოშორებული, იზოლირებული ადგილებიდან. ოჯახების უმრავლესობას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ციხეში ვიზიტი ყოველთვიურად.

პროგრამის შეფასებამ დაადგინა, რომ „(...) სტუდენტებმა [ბიჭები ციხეში] აღიარეს, რომ ოჯახის ნახვამ მისცათ მათ უკეთესი მომავლის რწმენა და დაარწმუნა სწავლის გაგრძელების მართებულობაში. ოჯახის ვიზიტის შემდეგ მასწავლებლები ამჩნევენ უფრო ბედნიერ მოსწავლეებს. პროფესიულმა მწვრთნელებმა ანგარიშში ასახეს, რომ ის ბიჭები, რომლებიც ვერ ახერხებენ ოჯახებთან შეხვედრას, ხშირად უფრო დათრგუნულები არიან და უჭირთყურადღების კონცენტრირება... სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ ოჯახთან შეხვედრის გამოცდილებას, რაც ქმნის უფრო პოზიტიურ გარემოს სასწავლო ცენტრში" ორგანიზაციამ ასევე აღნიშნა, რომ „ოჯახების ვიზიტების უმნიშვნელოვანესი ასპექტი ბიჭებისთვის მშობლების მხრიდან სწავლის გაგრძელების აუცილებლობის მხარდაჭერაა. ეს საშუალებას იძლევა ბიჭებისთვის დადებითი განწყობის შენარუნებას."[273]

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

22 ვინაიდან „ოჯახის" კონცეფცია განსხვავდება სხვადასხვა კულტურის მიხედვით, ის არ უნდა იყოს გაგებული ვიწროდ და უნდა შეიცავდეს როგორც უშუალოდ ოჯახის წევრებს, ასევე არატრადიციულ ოჯახურ სტრუქტურებს.

პოზიტიური პრაქტიკა: საოჯახო პაემნები საქართველოში [5.4]

2010 წლამდე პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მხოლოდ პატიმრის ახლო ნათესავებს შეეძლოთ ციხეში ვიზიტის განხორციელება. თუმცა, 2010 წელს კანონიერ ძალაში შესულმა პატიმრობის კოდექსმა გააფართოვა საოჯახო პაემნის ფარგლები, 17(2)–ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ პატიმარს შეხვდეს „ახლო ნათესავს" 1–დან 2 საათამდე ვადით.

შეხვედრა მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლის ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობით, მაგრამ მოსმენის გარეშე. აღნიშნულ უფლების მინიჭებაზე დასაბუთებული უარი წერილობით უნდა ეცნობოს პატიმარს. ახლო ნათესავებად განსაზღვრულია შვილები, მეუღლე, პირი, რომელთანაც პატიმარს ჰყავს საერთო შვილი, მშობლები (მშვილებლები), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობლები, გერი, ნაშვილები

272. „CPT-ს აქტივობების შესახებ მე-2 ზოგადი ანგარიში", op. cit., შენიშვნა 79, პარ. 57.

273. „ეს ცხოვრება გისოსებს მიღმა: 3 წლიანი პროგრამის შეფასება 2014", ეს ცხოვრება კამბოჯა, აგვისტო 2014, გვ. 31 ხელმისაწვდომია: www.thislifecambodia.org/wp-content/uploads/2015/01/2014-TLBB-3yr-Program-Evaluation.pdf.

პოზიტიური პრაქტიკა: საოჯახო პაემნები საქართველოში [5.4] (გაგრძელება)

და მისი შთამომავალი, შვილიშვილები, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ–მამა, პაპის დედ–მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში.

პატიმრობის კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პატიმარი შეიძლება შეხვდეს იმ პირებსაც კი, ვინც არაა შეყვანილი ახლო ნათესავთა სიაში, ციხის დირექტორის რეკომენდაციითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

23 „მეგობრების“ ცნება გაგებული უნდა იყოს ფართოთ და უნდა ითვალისწინებდეს იმ პირებს, რომელთა ნახვაც სურს პატიმარს. პაემნების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით ასევე უნდა განხორციელდეს თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რელიგიურ[274] წარმომადგენლობებთან და მოხალისეებთან. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა განხორციელდეს ვიზიტების ხელშეწყობისთვის მათთვის, ვისაც არ ჰყავს ოჯახი ან ვისაც არ სურს ოჯახის წევრების და მეგობრების ნახვა ან რომელთა ოჯახი და მეგობრები ვერ ახერხებენ ან არ სურს მათი ნახვა.

კონტექსტი: ოჯახის ყოლის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება – ECTHR [5.5]

EctHR–მა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე–8 მუხლში მითითებული ოჯახის ყოლის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება განმარტა არა როგორც იურიდიულად აღიარებული ურთიერთობები, არამედ: „კოაბიტაციის ან პირადი ურთიერთობების ფორმები, რომლებიც არ არის აღიარებული როგორც „ცხოვრება“ ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციაში, მე–8 მუხლის თანახმად კვლავ სარგებლობს დაცვით; ოჯახური ცხოვრება არ შემოიფარგლება იურიდიულად აღიარებული ურთიერთობებით. სასამართლო „ოჯახურ ცხოვრებად“ ურთიერთობის შეფასებისას ხელმძღვანელობს სოციალური, ემოციური და ბიოლოგიური ფაქტორებით და არა სამართლებრივი მოსაზრებებით.“[275]

24 ციხეების ადმინისტრაციამ ყურადღებით უნდა განსაზღვროს ის მოთხოვნები, რომლთა დაცვა აუცილებლია ოფიციალურ დოკუმენტებში პატიმრის ოჯახის წევრების ან ოჯახური კავშირის დამადასტურებელი მონაცემების შესაყვანად. ამგვარმა მოთხოვნებმა შეიძლება პრობლემები შექმნას იმ ქვეყნებში, სადაც ყველა პირს შეიძლება არ ჰქონდეს პირადობის ან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი და შეიძლება არაპროპორციული ზეგავლენა იქონიოს უმცირესობათა ჯგუფებზე, ლტოლვილებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

25 ბანგკოკის წესების თანახმად „იმის გათვალისწინებით, რომ ქალი პატიმრების გამოცდილება ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში არაპროპორციულად მაღალია, მათთან უნდა იქნას სათანადო კონსულტაცია გავლილი იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მიეცეს მათთან პაემნის საშუალება“.[276] დაცვის აღნიშნული გარანტიები გამოყენებულ უნდა იქნას ყველა პატიმრის, განსაკუთრებით დაპატიმრებამდე წინასწარი შეცნობით ძალადობის მსხვერპლი პირების მიმართ.

26 თუ ციხის ადმინისტრაციას ეჭვები აქვს მნახველის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, მაშინ მან მისი ვინაობა პაემნის დაწყებამდე უნდა გადაამოწმოს პატიმართან. პატიმრებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ მნახველების სახელობითი დაშვება ან დამტკიცებული სიის მათთან შეთანხმება. ადგილზე მოქმედი პაემნების სისტემის მიუხედავად, გადაწყვეტილება, თუ ვის შეიძლება ან არ შეიძლება შეხვდეს პატიმარს, ეკუთვნის ამ უკანასკნელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელისუფლებას აქვს დასაბუთებული ეჭვი კონკრეტულ მნახველთან დაკავშირებით.

274. იხ. ,,მანდელას წესები", op.cit., შენიშვნა 1, წესები 65 და 66, დამატებითი ინფორმაციისათვის რელიგიურ წარმომადგენლებთან შეხვედრის შესაძლებლობის თაობაზე.

275. „ოჯახური ცხოვრების უფლება“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხელმისაწვდომია: echr-online.info/right-to-family-life.

276. „ბანგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, წესი 44.

პოზიტიური პრაქტიკა: ციხის შიდა კომუნიკაცია და ვიზიტები [5.6]

განსახილველია საკითხი იმასთან დაკავშირებით, უნდა შეეძლოს თუ არა პატიმარს სხვა პატიმრის მონახულება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ოჯახის ახლო წევრები არიან.

ციხის შიდა სატელეფონო ზარები: ინგლისსა და უელსში არსებობს ციხის შიდა სატელეფონო ზარები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პატიმარს ჰყავს პარტნიორი ან ახლო ნათესავი სხვა ციხეში. ამ შეთანხმების თანახმად, ორივე ციხის ადმინისტრაცია თანხმდება, რომ ერთ პატიმარს შეუძლია მიიღოს სატელეფონო ზარი ოფიციალურ ტელეფონზე ორივე პატიმრისთვის ხელსაყრელ დროს.[277] ზოგიერთი ციხე ასევე იძლევა ვიდეო კავშირის დამყარების შესაძლებლობას ციხის შიდა „პაემნების“ მიზნით.

ციხის შიდა პაემნები: ბელგიაში პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვენ სხვა დაწესებულებაში დროებითი გადაყვანა მათი ოჯახის წევრების მონახულების მიზნით, მათ შორის ციხეში მყოფი იმავე ან განსხვავებული სქესის პარტნიორის ჩათვლით. აღნიშნულ შემთხვევაში განაცხადი უნდა გააკეთოს ორივე პატიმარმა. თუკი განაცხადი დაკმაყოფილდება და ხელმისაწვდომია შესაბამისი სივრცე, პატიმრებს შეუძლიათ გაატარონ ერთად ორ კვირამდე ერთ დაწესებულებაში. როდესაც პატიმრები იმყოფებიან ერთ დაწესებულებაში, მათ შეუძლიათ ერთმანეთის მონახულება კვირაში ერთხელ პაემნების ჩვეულ ადგილას და შეხვდნენ ოჯახის წევრებს ერთობლივად. ერთ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვონ ერთ საკანში განთავსება. გადაწყვეტილება ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დაფუძნებულია ინდივიდუალურ შეფასებასა და უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე.[278]

კომუნიკაციის სიხშირის სახეები

27 ციხეებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ გარე სამყაროსთან შინაარსიანი კონტაქტის დამყარებას სხვადასხვა გზით. პაემნების, სატელეფონო ზარების, წერილების ან ელექტრონული წერილების სტანდარტული სისტემის არსებობის გარდა, ციხეების ადმინისტრაციამ შეიძლება განიხილოს ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან კონსულტაციების გავლა, თუ პატიმარი დეპრესიაშია, აქვს სუიციდური ქცევა ან აღენიშნება ქცევითი აშლილობა.

28 ელ-ფოსტის, ინტერნეტზე დაფუძნებული მიმოწერის და ზარების განხორციელების ისეთი პროგრამების, როგორიცაა სკაიპი, მომეტებული გამოყენება ჩვეულებრივი ფოსტის ნაცვლად შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს პატიმრებისა და მათი ოჯახისთვის ხარჯების, სიჩქარისა და სიხშირის თვალსაზრისით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წერილები, სატელეფონო ზარები და დისტანციური კომუნიკაციის სხვა ფორმები არ ცვლის პირად ვიზიტებს.

29 ოჯახთან და მეგობრებთან ნებადართული პაემნების სიხშირე უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრების მიერ ოჯახური ცხოვრების უფლებით სარგებლობას. CPT ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საჭიროა გარკვეული მოქნილობა ვიზიტებისა და სატელეფონო კავშირის გამოყენების შესახებ არსებული წესების თვალსაზრისით“.[279]

30 ვიზიტების სტანდარტული განრიგის არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ციხის ადმინისტრაციისთვის, ასევე პატიმრებისა და მათი მნახველებისთვის. თუმცა, ციხეების ადმინისტრაციამ ასევე უნდა დაუშვან ამ განრიგის მოქნილობა სამუშაო, სკოლის საათების ან სხვა პირადი ისეთი მოსაზრებების გათვალისწინებით, როგორიცაა ბავშვზე ზრუნვა. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს შეზღუდული აქვს საკნის გარეთ ყოფნის დრო, ტელეფონების ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებისთვის განკუთვნილი კომპიუტერით სარგებლობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს ამ დროით.

31 წარმატებული პრაქტიკაა იმ პატიმრებისთვის, ვისი ოჯახებიც ვერ ახერხებენ მათ ხშირ მონახულებას, შესაძლებლობის მიცემა დააგროვონ განკუთვნილი ციხის პაემნების დრო და საბოლოო ჯამში ჰქონდეთ უფრო ხანგძლივი პაემნები ან რამდენიმე დღის განმავლობაში დაგეგმილი ვიზიტები.

---

277. „ციხის სამსახურის ინსტრუქცია 49/2011“, ციხის კომუნიკაციის სისტემა – გაერთიანებული სამეფოს იუსტიციის სამინისტრო, 26 სექტემბერი 2011, პარ. 6.20.

278. როგორც განხილულია ODIHR/PRI და ციხის ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან რეგიონულ კონსულტაციების დროს 19 და 20 აპრილი 2017, ვარშავა, პოლონეთი.

279. „CPT-ს აქტივობების შესახებ მე-2 ზოგადი ანგარიში“, op. cit., შენიშვნა 79, პარ. 121.

პოზიტიური პრაქტიკა: ოჯახის კონტაქტებისადმი პროაქტიული მიდგომები [5.7]

ციხის ხელმძღვანელმა პირებმა შეიძლება მისცენ შესაძლებლობა პატიმრებს, მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი ოჯახური და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში პირადად ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს მაგალითად, Skype–ის ან მსგავსი სატელეკომუნიკაციო პროგრამების გამოყენებით ბავშვთა განათლების, ჯანმრთელობისა და განვითარების საკითხებში მონაწილეობის მიღებაში.

საქართველოში,, როგორც წესი მხოლოდ ოჯახის წევრებს (იხ. პოზიტიური პრაქტიკა 5.4) შეუძლიათ მოინახულონ პატიმრები ციხეში, ამდენად შემუშავებულ იქნა ვიდეოპაემნის ტექნოლოგია, რაც საშუალებას აძლევს პატიმრებს იურთიერთონ სხვა პირებთანაც.[280]

ბელგიაში, დაკავებულ მამებს ხელს უწყობენ იურთიერთონ მათ შვილებთან ვიდეოთხრობის ტექნიკის საშუალებით. პატიმრები სწავლობენ ვიდეოთხრობის ტექნიკას ჯგუფური სავარჯიშოების, კამერის წინ საუბრის და საკუთარი ძალებით DVD ყდის დამზადების საშუალებით. მათ აქვთ არჩევანი მოამზადონ ჩანაწერი მათი პირადი ცხოვრების, მათ მიერ გამოგონილი ისტორიის ან ბავშვთა არსებული ისტორიის შესახებ. მამებს შეუძლიათ გადახედონ ჩანაწერებს, რომელიც შემდეგ იწერება DVD–ზე და გადაეცემა მათ შვილებს.[281] მსგავსი ინიციატივა სახელით მოთხრობათა კრებული მამა და მოთხრობათა კრებული დედა არსებობს გაერთიანებულ სამეფოში.[282]

ინდივიდუალური შეფასება

32 ბევრ ქვეყანაში, პატიმრისთვის ნებადართული პაემნების რაოდენობა დაკავშირებულია პატიმრის უსაფრთხოების კლასიფიკაციასთან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ციხის ადმინისტრაციას შეიძლება ჰქონდეს მაღალი რისკის მქონე პატიმრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული წუხილი, პაემნების სრული გამორიცხვა დაუშვებელია. პაემნების გამორიცხვა წარმოშობს სასჯელი დამატებით ფორმას და მნიშვნელოვნად აზიანებს პატიმრის ოჯახურ ურიერთობებს და რეაბილიტაციის პროცესს. ამასთან დაკავშირებით დადგენილი უნდა იქნას ყველა პატიმრისთვის ვიზიტების მინიმალური რაოდენობით განხორციელების ნებართვა, მიუხედავად მათი უსაფრთხოების კლასიფიკაციისა.

33 მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში მყოფი პატიმრები ვიზიტების დროს აუცილებლად არ უქმნიან მნახველებს უფრო მაღალი რისკის საფრთხეს სხვა პატიმრებთან შედარებით და მათ შეიძლება უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ მნახველებთან კონტაქტი მათი სასჯელის ხანგძლივობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ვიზიტის უფლება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ რისკებს და არა პატიმრის უსაფრთხოების კლასიფიკაციას.

34 პაემნის უფლება ხშირად დაკავშირებულია ქცევასთან, მაგრამ ციხის ოფიცრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ქცევითი დარღვევების მქონე პატიმრები შეიძლება იყვნენ ისეთებიც, ვინც ყველაზე მეტად ისარგებლებენ მათი ოჯახის ან სხვათა რეგულარული ან ხანგძლივი ვიზიტებით.

35 UNOPS-ი აღნიშნავს, რომ დაბალი რისკის ციხეებში არ არის უკონტაქტო პაემნების გამოყენების საჭიროება. უკონტაქტო პაემნები არ უნდა იყოს საუბრის შესაძლებლობის გამომრიცხავი.[283]

პოზიტიური პრაქტიკა: მაღალი უსაფრთხოების ვიზიტების შეფასება შვედეთში [5.8]

შვედეთის ციხის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ მაღალი უსაფრთხოების პატიმრებს შეიძლება ჰქონდეთ რეგულარული პაემნების უფრო მეტი საჭიროება, ვიდრე სხვა პატიმრებს. ამდენად, მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებებში განსახორციელებელი ვიზიტები ფასდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც ყველა სხვა ციხეში და ყურადღება ექცევა ხანგძლივი სასჯელის უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას და რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ძირითად პრინციპებს.[284] მთავრობის დირექტივა აძლევს შესაძლებლობას ხანგძლივი ვადით მსჯავრდებულ იმ პატიმრებს, რომელთაც არ ეძლევათ ციხის გარეთ პაემნის უფლება, ასევე ბავშვებთან ერთად მყოფ პატირმებს, მოითხოვონ ბინა მნახველებისთვის.

280. „ციხის გლობალური ტენდენციები" (Global Prison Trends 2017), „ციხის საერთაშორისო რეფორმა" და „მართლმსაჯულების ტაილანდური ინსტიტუტი" and მაისი 2017წ., ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2017.

281. ODIHR/PRI რეგიონული კონსულტაციები, 19 და 20 აპრილი 2017, op. cit., note, p.278.

282. მეტი ინფორმაციისთვის იხ.: www.storybookdads.org.uk.

283. „ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები", UNOPS, op. cit., შენიშვნა 84, გვ. 131.

284. ODIHR/PRI რეგიონული კონსულტაცია, 2017 წლის 19-20 აპრილს, op. cit შენიშვნა 276.

ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

36 კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების ეფექტიანი და ხელმისაწვდომი გამოყენების მიზნით, ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ადგილზე ფუნქციონალური სისტემების არსებობა. მათ უნდა უზრუნველყონ ყველა ტელეფონის გამართული მუშაობა და ხელმისაწვდომობა. თუ საჭიროა ციხის ვიზიტების რეგისტრაცია და წინასწარი დაჯავშნა, მაშინ სისტემები უნდა იყოს მარტივად გასაგები და ფუნქციონალური.

37 ოჯახთან და მეგობრებთან კონტაქტის უფლება უნდა იქნეს გამოყენებული დისკრიმინაციის გარეშე. სოციალურად დაუცველი პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო დახმარებით (მათ შორის საწერი მასალა, კონვერტები, საფოსტო მარკები და სატელეფონო ბარათები) ისე, რომ არ მოხდეს მათი დე ფაქტო შეზღუდვა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობისგან. სხვა დადებითი ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული იმათ დასახმარებლად, ვისაც სჭირდება მხარდაჭერა ოჯახებთან დაკავშირების თვალსაზრისით. წერა-კითხვის უცოდინარი პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი წერილობითი კომუნიკაციის ალტერნარიული საშუალებებით.

38 ციხის დაგეგმვის ეტაპზე წინასწარ უნდა განისაზღვროს ციხის ტელეფონების, საფოსტო ყუთების, ბიბლიოთეკების და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების ადგილმდებარეობა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთ დაწესებულებაში განთავსებულია პატიმრების სხვადასხვა კატეგორია. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ციხის ტელეფონების განთავსება და დიზაინი პირადი ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით.

39 პატიმრებს ან მათი ოჯახის წევრებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეკისროს ციხის ვიზიტის უფლების განხორციელებისთვის რაიმე საფასურის გადახდის ან პატიმრებისთვის რამე მასალის მიტანის ვალდებულება. ქრთამის აღების თავიდან აცილების მიზნით, ციხეების ადმინისტრაციამ თვალსაჩინო ადგილას უნდ განათავსოს ნიშნები, რომელიც ცხადყობს რომ გადასახადები არ არის მოსალოდნელი და საჭირო.

40 მნახველებისთვის ინფორმაცია ციხის ვიზიტების მართვის, აგრეთვე ციხის წესების და რეგულაციების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ციხეში შესვლამდე. ასეთი ინფორმაცია თვალსაჩინოდ შეიძლება იყოს განთავსებული დაწესებულების შესასვლელშივე და თუ ციხის მნახველები წერა-კითხვის უცოდინარები არიან, ციხის თანამშრომლებმა შეიძლება მათ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდონ ზეპირსიტყვიერად. თუ მნახველებისთვის თავიდანვე იქნება ცნობილი აღურიცხავი და აკრძალული საქონლის დაწესებულებაში შეტანისთვის არსებული სანქციები, ამან შეიძლება შეაკავოს ისინი ამგვარი ქმედებების განხორციელებისაგან.

41 EPR-მა განაცხადა, რომ გარდა სასამართლოს მიერ სპეციალურად განსაზღვრული აკრძალვისა, „წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულ პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა კონტაქტი იქონიონ მათ ოჯახთან და სხვა პირებთან მსჯავრდებულ პირებთან თანაბარ პირობებში“ და „მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ვიზიტის უფლება და იქონიონ დამატებითი ხელმისაწვდომობა კომუნიკაციის სხვა საშუალებებთან“.[285]

პოზიტიური პრაქტიკა: დროებითი გათავისუფლების სქემები დიდი ბრიტანეთს გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში [5.9]

ჩრდილოეთ ირლანდიის ციხის სამსახური აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას ონლაინ თანაგრძნობის დროებითი გათავისუფლების, სახლში ვიზიტების, გათავისუფლების წინა სახლების და განსახლების შვებულებების, სახლში საშობაოდ და სამედიცნო მიზნებით გათავისუფლებების შესახებ.[286] ერთიანობაში, ეს სქემებია:

თანამგრძნობი დროებითი გათავისუფლების სქემა

ყველა მსავრდებულ პირს შეუძია განაცხადოს აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე, რომელიც გაიცემა რისკის დადებითი შეფასების მქონე პატიმრებზე. თანამგრძნობი დროებითი გათავისუფლება გათვალისწინებულია ოჯახის უახლოესი წევრის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევებში.

სახლში ვიზიტები

დროებითი გათავისუფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პატიმარს, რომლის ოჯახის უახლოეს წევრს აქვს ქრონიკული დაავადება ან სისუსტე, აქვს წოლითი რეჟიმი ან ფიზიკურად არ შეუძლია პატიმრის მონახულება. აღნიშნული დაკავშირებულია რისკის დადებით შეფასებასთან და შესაბამისი კრტიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში განმცხადებელს მიენიჭება ერთი დღე ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

გათავისუფლების წინა სახლები და განსახლების შვებულებები

285. ციხის დაგეგმარების ტექნიკური სახელმძღვანელო, UNOPS, op.cit., შენიშვნა 84, გვ. 144.

286. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხვთ, იხ. „დროებითი გათავისუფლების სქემები – იუსტიციის დეპარტამენტი – ჩრდილოეთ ირლანდიის აღმასრულებელი“ ხელმისაწვდომია: www.justice-ni.gov.uk/articles/temporary-release-schemes.

პოზიტიური პრაქტიკა: დროებითი გათავისუფლების სქემები დიდი ბრიტანეთს გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში [5.9] (გაგრძელება)

აღნიშნული გამოიყენება პატიმრის
თვითდაჯერებულობის მხარდასაჭერად და ციხის გარეთ არსებულ ცხოვრებასთან შეგუებისათვის მისთვის სრული თავისუფლების მინიჭებით, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პატიმარმა აღადგინოს კავშირი სახლთან და დაამყაროს კონტაქტები სავარაუდო დამსაქმებელთან. საბოლოო გათავისუფლების წინ დაწესებულების დატოვება პრივილეგიაა და არა უფლება, რომელიც დაფუძნებულია სპეციფიკურ კრიტერიუმების არსებობაზე.

სახლში ვიზიტი საშობაოდ
საშობაოდ სახლში ვიზიტი შეიძლება მიეკუთვნოს პატიმარს, რომელიც პასუხობს გარკვეულ კრიტერიუმებს და აქვს რისკის დადებითი შეფასება. საშობაო გასვლის სქემას ესაჭიროება მინისტრის ყოველწლიური თანხმობა.

დროებითი გათავისუფლება სამედიცინო მიზნებისთვის
ყველა პატიმარს, გარდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესით წინასწარ პატიმრობაში მყოფების, სასამართლო პროცესის მომლოდინე ან მსჯავრდაუდებელი პატიმრებისა, შეიძლება მიენიჭოს სტაციონარული ან ამბოლატორიული სამედიცინო მომსახურეობის მისაღებად დროებითი გათავისუფლების უფლება მაშინ, როდესაც ასეთი ზრუნვა ხელმიუწვდომელია ციხის ფარგლებში. პატიმრებისთვის, რომლებიც უარს ამბობენ სამედიცინო მიზნით გათავისუფლებაზე, უნდა მიენიჭოს საჭირო სამედიცინო დახმარება.

პაემნებისთვის განკუთვნილი გარემო

42 ციხის პაემნის გარემო დამოკიდებულია მინიჭებული ვიზიტის ტიპზე, თუმცა ყველაზე მკაცრად რეგულირებადი ვიზიტებიც კი შეიძლება გაუმჯობესდეს გარემოცვისა და თანამშრომლების ქცევის გათვალისწინებით. ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს როგორც პატიმრის, ასევე მნახველების უსაფრთხოება პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვით. მსჯავრდებულთა და მნახველთა კონსულტირებით ციხის ადმინისტრაციას შეუძლია გააუმჯობესოს პაემნებისთვის განკუთვნილი გარემო.

43 ციხის პაემნების გარემო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად კომფორტული და მაქსიმალურად მიახლოვებული ცხოვრების ნორმალურ პირობებთან. ამდენად, ციხის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს, სხვა საკითხებთან ერთად, დასაჯდომი სკამების განლაგება, დეკორი, განათება, გათბობა და ვენტილაცია. მათ უნდა უზრუნველყონ საპირფარეშოები პატიმრების და მნახველებისთვის, წყლის ან / და სხვა გამაგრილებელი სასმელების მირთმევა ვიზიტების დროს.

44 თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სწავლება მნახველებთან მოპყრობის საკითხებზე, მათ შორის ბავშვებთან. თუ მნახველები გრძნობენ მტრულ დამოკიდებულებას თანამშრომლების მხრიდან, ეს აუცილებლად აისახება თანამშრომლების და პატიმრების ურთიერთობებზე.

პოზიტიური პრაქტიკა: იტალიაში პატიმართა შვილების უფლებების ხელშეწყობა [5.10]

იტალიურმა ორგანიზაციამ Bambiniszasbarre Onlus–მა 2016 წელს ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს იტალიის იუსტიციის სამინისტროსა და ბავშვთა იტალიის სახალხო დამცველთან ერთადპატიმრების შვილების უფლებების ქარტიის მიღების მიზნით.[287]

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ Bambiniszasbarre Onlus შეიმუშავა სასწავლო პროგრამა იტალიის სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან და გენერალურ სასწავლო დირექტორატთან ერთობლივად, ციხის თანამშრომლების მხარდასაჭერად და პატიმრების ოჯახების მიმართ მგრძნობელობის გასავითარებლად. ტრეინინგ–კურსები განკუთვნილია ციხის თანამშრომლების, პატიმრების, მათი ოჯახის წევრებისა და შვილების ურთიერთობის გაუმჯობესებაზე და ოჯახის წევრებთან მიმართებაში პერსონალის მოვალეობებისა და ქცევის შესახებ პროფესიული სტანდარტების შემუშავებაზე.

ვიზიტების შეზღუდვები და მონიტორინგი

45 ციხის ხელმძღვანელების როლი გარე სამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებაში უნდა იყოს დაბალანსებული კონკრეტულ ვიზიტებთან დაკავშირებულ რისკებთან. ტერმინი „აუცილებელი ზედამხედველობის ქვეშ“ (წესი 58) „გულისხმობს შეფასებას, კონკრეტულ ვიზიტთან დაკავშირებით რისკის შეფასებას და კონკრეტული ტიპის კომუნიკაციას (...) ვიზიტების უმრავლესობის კონტექსტში, ზედამხედველობა გულისხმობს ვიზუალურ დაკვირვებას“.[288] დაბალი უსაფრთხოების დაწესებულებებში ვიზუალური ზედამხედველობა შეიძლება იყოს საკმარისი და საჭირო არ გახდეს თითოეული ვიზიტის ინდივიდუალური შეფასება.

287. მემორანდუმის ტექსტი ხელმისაწვდომია: www.bambinisenzasbarre.org/text-rights-charter-of-children-of-prisoners.
288. „ესექსის დოკუმენტი 3“ ციხის საერთაშორისო რეფორმა და ესექსის უნივერსიტეტი, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 47.

46 ვიზიტის დროს ზედამხედველობა შეიძლება საჭირო იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც მაგალითად, არის ბავშვთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეჭვები, დანაშაულის თავიდან აცილების ან დაწესებულებაში აკრძალული ნივთების შეტანის აღკვეთის და პატიმრის გაქცევის თავიდან აცილების საჭიროება. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების შემთხვევაში მონიტორინგის განხორციელება აუცილებლი შეიძლება იყოს მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან აცილების მიზნით.

47 ყველა შეზღუდვა და მონიტორინგი უნდა იყოს ინფორმირებული ინდივიდუალური რისკების შეფასებით. როგორც UNODC-ი აღნიშნავს „მაღალი რისკის მქონე პატიმრებისთვის პაემნების უფლების მკაცრი შეზღუდვა, როგორც ზოგადი წესი (განსხვავებით რისკის ინდივიდუალური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრული შეზღუდვებისა) ეწინააღმდეგება პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზნებს“.[289] EPR-ი განსაზღვრავს, რომ ვიზიტები შეიძლება შეიზღუდოს ან განხორციელდეს მისი მონიტორინგი თუ „ამას მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, წესრიგის დაცვა, დაცვა და უსაფრთხოება, სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან აცილება და დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა“. EPR-ი ასევე განსაზღვრავს, რომ „ასეთი შეზღუდვები მაინც უნდა განსაზღვრავდეს ურთიერთობის მინიმალური დონეს“.[290]

48 ყველა ფორმის შეზღუდვა და მონიტორინგი უნდა იყოს უსაფრთხოების ზომების პროპორციული და გამოყენებული სამართლიანად, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ეს ეხება როგორც ციხეში ვიზიტებს, ასევე სატელეფონო ზარების, წერილებისა და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ზედამხედველობას.

49 UNODC-მა განაცხადა, რომ „მონიტორინგი ხორციელდება კომუნიკაციიდან გამომდინარე საფრთხის პროპორციულად და არ უნდა იქნას გამოყენებული არაპირდაპირი გზით კომუნიკაციის შეზღუდვის საშუალებად“.[291] დადგენილი შეზღუდვებისა და მეთვალყურეობის მეთოდების გამოყენება უნდა შემოწმდეს, რათა სისტემა იყოს სამართლიანი და არ იყოს მათი ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

50 პატიმრები დაწესებულებაში მიღებისთანავე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან კომუნიკაცია შესაძლოა დაექვემდებაროს მონიტორინგს. ასევე კარგი პრაქტიკაა, ყველა სატელეფონო აპარატთან ახლოს პოტენციური მონიტორინგის შესახებ შეტყობინების განთავსება.

პოზიტიური პრაქტიკა: კოლორადოში საოჯახო ვიზიტები მაღალი რისკის პატიმრებისთვის [5.11]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კოლორადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პროგრამა შექმნილია პატიმრობაში მყოფი მშობლების მიერ ემოციების მართვისა და თავდაჯერებულობის ამაღლების მხარდასაჭერად, მათ შორის ბავშვობაში მიღებული გამოცდილების შესახებ საუბრების წარმოებით. ამ პროგრამის დასრულება დაკავშირებულია დამნაშავის და მის ოჯახს / შვილებს შორის ოჯახური კავშირის აღდგენის აღმნიშვნელი ღონისძიებით.[292]

საოჯახო პაემნების შეზღუდვა

51 საოჯახო ვიზიტების უარყოფა ან შეზღუდვა განსაკუთრებით საზიანოა პატიმრების და მათი ოჯახის წევრების, მათ შორის მათი შვილების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის. ამგვარი შეზღუდვების დაწესება ასევე ირიბად სჯის ოჯახის წევრებსაც.

52 საოჯახო კონტაქტი არასდროს არ უნდა იყოს აკრძალული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ან გამოყენებული როგორც დისციპლინური ღონისძიება. პირიქით, საოჯახო კონტაქტის საშუალებები, როგორიცაა ციხის პაემანის რომელიმე სახე ან კომუნიკაციის საშუალება, შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მცირე დროითა და უსაფრთხოების და წესრიგის შენარჩუნების მკაცრად განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე. ეს ეხება საოჯახო კონტაქტის ყველა სახის ფორმას, მათ შორის პაემნებს, წერილებს და სატელეფონო ზარებს. ვიზიტებზე შეზღუდვები უნდა დაწესდეს მხოლოდ ოჯახის კონკრეტულ წევრზე, რომლის მიმართ არსებობს შეკითხვები და არა მთელს ოჯახზე ან ზოგადად მნახველებზე. გადაწყვეტილებები შეზღუდვის დაწესების შესახებ მიღებულ უნდა იქნას კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე და გამყარებული იყოს გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. ასეთი გადაწყვეტილებები უნდა იყოს დროული და ექვემდებარებოდეს რეგულარულ გადახედვას.

289. „სახელმძღვანელო მაღალი რისკის პატიმრების მართვის შესახებ“, UNODC, op. cit., შენიშვნა 42, გვ.128.
290. „ევროპული ციხის წესები“, ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 74, წესი 24(2).
291. „სახელმძღვანელო დინამიური უსაფრთხოების და ციხის ოპერატიული საქმიანობის შესახებ“, UNODC, op. cit., შენიშვნა 160, გვ.50.
292. მაგალითად იხ. www.asca.net/news/cdoc-highlights--accomplishments.

53 43(3)-ე წესში გათვალისწინებული ტერმინი „მკაცრად აუცილებელია“ განსაზღვრავს ოჯახური კონტაქტების შეზღუდვის დაწესების მაღალ ბარიერს და ითვალისწინებს ციხის თანამშრომლების ვალდებულებას უზრუნველყონ ასეთი შეზღუდვების აუცილებლობა და პროპორციულობა.[293]

54 UNODC- მა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „დაუშვებელია კონტაქტის შეზღუდვის გამოყენება დისციპლინური სახდელის სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული ურთიერთობის ბოროტად გამოყენება იყო დანაშაული. სასჯელი არასდროს არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან კონტაქტის სრულ ჩამორთმევას“.[294] ვიზიტების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლების განხორციელება მიზნად ისახავს ციხის წესების და რეგულაციების დარღვევას, მაგალითად, თუ ოჯახის წევრს ან მეგობარს ჰქონდა მცდელობა ციხეში შეეტანა უკანონო, აღურიცხავი ნივთი ან/და მათ მიაყენეს შეურაცხყოფა თანამშრომლებს.

55 43(3)-ე წესის შესაბამისად ოჯახის განმარტება არ უნდა იქნას გაგებული ვიწროდ და უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ოჯახის ახლო წევრებს, არამედ შორეულ ნათესავებს და არატრადიციულ ოჯახურ სტრუქტურებს. საოჯახო კონტაქტის აკრძალვისა და შეზღუდვის საწინააღმდეგო გარანტიები ასევე უნდა მიმართონ მათ მიმართ, ვისაც მართალია არ ხვდება ოჯახი, მაგრამ ისინი ელოდებიან მეგობრების და სხვების მხრიდან მონახულებას.

ცოლ-ქმრული/ინტიმური პაემნები

56 ქვეყნებში, სადაც ცოლ-ქმრული ვიზიტები არ არის დაშვებული, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მათ დანერგვის შესაძლებლობა. ასეთმა პაემნებმა შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს პატიმარზე და მისი რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციის პერსპექტივებზე. იქ, სად არ არსებობს შესაფერისი ინფრასტრუქტურა, განსაზღვრული ოთახები შეიძლება გათვალისწინებული იქნას სამომავლო ციხეების მშენებლობის ან განახლების პროცესში.

57 უფლებამოსილმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ცოლ-ქმრული პაემნების შეზღუდვა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს როგორც პატიმრის, ასევე მისი მეუღლის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობისა[295] და ოჯახის შექმნის უფლებას,[296] განსაკუთრებით გრძელვადიანი სასჯელების ან უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების დროს.

58 ცოლ-ქმრული ვიზიტების უარყოფა ასევე ეწინააღმდეგება პრინციპს, რომლის თანახმად შეზღუდვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს „აუცილებლად განპირობებულია თავისუფლების აღკვეთის ფაქტით“.[297] ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ ნაწილში, რაც გარდაუვალია ციხეში ყოფნის ფაქტიდან გამომდინარე. სხვაგვარად, პატიმრები ინარჩუნებენ ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს.

59 იმისათვის, რომ ქალ პატიმრებს ჰქონდეთ მამაკაც პატიმრებთან თანაბარი შესაძლებლობები, ქალთა დაწესებულებაშიც უნდა არსებობდეს ცოლ-ქმრული პაემნებისთვის განკუთვნილი სივრცე.

60 ზოგიერთი ციხის ადმინისტრაცია უარყოფს ქალთა ცოლ-ქმრულ პაემნებს ორსულობის ფაქტის შესაძლო დადგომის გამო. ასეთი პოლიტიკა წარმოადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას და ამ საფუძვლით ქალებისთვის პაემანზე უარის თქმამ სასჯელის ზომიდან გამომდინარე შესაძლოა განაპირობოს დე ფაქტო ქალებისთვის ბავშვების ყოლის შესაძლებლობის სამუდამო შეზღუდვას. გარდა ამისა, ასეთი შეზღუდვები ართმევს ოჯახისა და პირადი ცხოვრების უფლებას არა მარტო ქალ პატიმრებს, არამედ მათ პარტნიორებსაც.[298]

61 ცოლ-ქმრული ვიზიტების უფლება თანაბრად გამოიყენებს ყველა ურთიერთობის მიმართ, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა.[299]

62 ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდება სექსუალური ჯანმრთელობის, უსაფრთხო სექსუალური კავშირის და კონტრაცეფციის შესახებ.

5

---

293. „ესექსის დოკუმენტი 3“, ციხის საერთაშორისო რეფორმა და ესექსის უნივერსიტეტი, op. cit., შენიშვნა 4, გვ.47.

294. „ცნობარი დინამიური უსაფრთხოების და ციხის ოპერატიული საქმიანობის შესახებ“, UNODC, op. cit., შენიშვნა 160, გვ.22.

295. “ICCPR”, UNGA, op. cit., შენიშვნა 153, მუხლი 17.

296. იქვე, მუხლი 23.

297. „პატიმრებთან მოპყრობის ზოგადი პრინციპები“, UNGA, op. cit., შენიშვნა 229, პრინციპი 5, უთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტებსა და მათ დამატებით ოქმებში ასახულ უფლებებზე.

298. „ესექსის დოკუმენტი3“, ციხის საერთაშორისო რეფორმა და ესექსის უნივერსიტეტი, op. cit., შენიშვნა 4, გვ.49.

299. ECtHR-მა პირადი და ოჯახის ხელშეუხებლობის უფლება არ განმარტა როგორც მხოლოდ იურიდიულად აღიარებული ურთიერთობები. მაგალითისთვის იხ. „კეგანი ირლანდიის სახელმწიფოს წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება 26 მაისი 1994, განაცხადი 290, გვ. 17-18, პარ. 44; „კრუნი და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ“ (განაცხადი no. 18535/91)", გადაწყვეტილება 27 ოქტომბერი 1994, პარ. 30; „მიკულიჩი ხორვატიის სახელმწიფოს წინააღმდეგ (განაცხადი no. 53176/99)", გადაწყვეტილება 7 თებერვალი 2002, პარ. 51.

63 ცოლ-ქმრული პაემანი უნდა განხორციელდეს ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე ობიექტზე, რომელიც აღჭურვილია ჰიგიენის ყველა საჭირო საშუალებებით და საწოლით.[300] ადგილზე უნდა იყოს მიღებული ყველა ზომა სხვა პატიმრების მხრიდან პატიმრის მუღლის ან პარტნიორის დამცირებისგან დასაცავად, მაგალითად, ციხის დაწესებულების გავლით პირის გადაყვანისას და ასევე პატიმრის დაცვა, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც პატიმრის სექსუალობა სხვისთვის ცნობილი არ არის. უსაფრთხოებისა და ღირსების უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათ შორის, შეურაცხმყოფელი ურთიერთობების პოტენციალის შეფასება, უნდა იქნას გამოყენებული პატიმრისა და ვიზიტორის სქესის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მიუხედავად.

ორსული ქალები, მშობლები და პატიმრების შვილები

64 დედას და შვილს შორის ურთიერთობის მნიშვნელობის აღიარებით, ბანგკოკის წესების 26-ე წესი მოითხოვს, რომ „ქალი პატიმრების კონტაქტი მათ ოჯახებთან, მათ შორის შვილებთან, მათი შვილების მეურვეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან უნდა წახალისდეს და ხელი შეეწყოს ყველა შესაძლო საშუალებით. შესაძლებლობის ფარგლებში, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ საცხოვრებელი ადგილიდან შორს განთავსებით გამოწვეული არახელსაყრელი პირობები ქალებისთვის გაწონასწორდეს და გამოსწორდეს“.[301] ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, უფრო მოქნილ, ხანგძლივი პაემნების დროს.

65 ბანგკოკის წესების წინასწარი დაკვირვებები აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წესი აწესრიგებს საკითხებს, რომელიც ეხება მამაკაც პატიმრებს, რომლებიც არიან მამები.[302] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მამების და შვილების და ბავშვის მამრობითი სქესის მზრუნველის განსაკუთრებული ურთიერთობები უნდა იყოს გათვალისწინებული საოჯახო კონტაქტების ხელშეწყობის დროს. CRC კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს „ერთ ან ორივე მშობელთა განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება“.[303]

66 ტერმინი „ბავშვები“ გულისხმობს ყველა იმ ბავშვს, ვისთვისაც პატიმარი ძირითადი მზრუნველია. ის შეიძლება ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ბიოლოგიურ შვილებს, არამედ მათ, ვინც სხვაგვარად არის დამოკიდებული დაპატიმრებულ პირზე. არ უნდა არსებობდეს ბავშვისა და პატიმარს შორის ბიოლოგიური ან სამართლებრივი ურთიერთობის დამამტკიცებელი საფუძვლების წარმოდგენის ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს შეშფოთება პატიმრისა და ბავშვის ურთიერთობებთან ან ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

67 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეხმძიმე ქალებისათვის მათი ოჯახის წევრებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნება არა მხოლოდ ორსულობის განმავლობაში მხარდაჭერის მისაღებად, არამედ წინასწარვე ბავშვის მოვლის ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ორგანიზების უზრუნველსაყოფად. სახლში ვიზიტები გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე ციხეში ბავშვებთან ერთად მცხოვრები ქალებისთვის.

68 იქ, სადაც ბავშვები იმყოფებიან თავის მშობლებთან ერთად პატიმრობაში, მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ ფიზიკური კონტაქტი მათ და-ძმებთან. ასეთ შემთხვევებში, ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი ძალისხმევა შესაფერის გარემოში ხანგძლივი შეხვედრების უზრუნველსაყოფად.

69 ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს კონკრეტული მოქნილობა ბავშვთა მონახულების საათებთან მიმართებაში, სასკოლო საათების, საშინაო დავალებებისთვის განკუთვნილი დროის და ასევე ბავშვების სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, რომელიც მათ წარმოეშვებათ ძირითადი მომვლელის დაპატიმრების შემდეგ და როგორიცაა ანაზღაურებადი სამუშაო ან ოჯახური საქმიანობა. ბავშვებს შეიძლება მოუწიოთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მზრუნველის დაკავების შემდეგ და შეიძლება ესაჭიროებოდეთ ფინანსური ან სხვა სახის დახმარება ციხეში ვიზიტის განსახორციელებლად.

300. „ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები“, UNOPS, op. cit., შენიშვნა 84, გვ. 126. „სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების თაობაზე“ (2013), წესი 27, გვ. 74: „ციხის უფლებამოსილმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ცოლ-ქმრული პაემნებისთვის შესაბამისი გარემოს მოწყობა ქალთა ციხეებში საწოლით, თეთრეულით, ჰიგიენური საშუალებებით, მაგიდითა და სკამებით და სასიამოვნო, არაინსტიტუციონალური გარემოს შექმნით, სადაც ქალებს შესაძლებლობა ექნებათ გაატარონ დრო მათ მეუღლეებთან ან პარტნიორებთან ერთად პირადად“ ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/10/PRI-TIJ-Guidance-Document-on-Bangkok-Rules-October-2013.pdf.

301. „ბანგკოკის წესები“, op. cit. შენიშვნა 28, წესი 26.

302. ბანგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, პარ. 12.

303. „ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია“, UNGA, op. cit., შენიშვნა 140, მუხლი 9 (3).

პოზიტიური პრაქტიკა: ბავშვებისთვის პაემნების კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა [5.12]

პაემნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის და სადაც შესაძლებელია, დაშვებული უნდა იქნას გახანგრძლივებული ვიზიტები. პაემნები, რომლებშიც მონაწილეობენ ბავშვები, უნდა განხორციელდეს „გარემოში, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიურ გამოცდილებას, მათ შორის პერსონალის დამოკიდებულების თვალსაზრისით“.[304] ციხის ხელმძღვანელმა პირებმა უნდა იფიქრონ სათამაშოების, სათამაშო გარემოს ან სასეირნო სივრცის უზრუნველყოფაზე.

იტალიურმა ორგანიზაცია Bambinisenzasbarre-მ შექმნა ე.წ. „ყვითელი სივრცეები“ ყველა იტალიურ ციხეში, რომელიც წარმოადგენს დაწესებულებებში შემოსული ბავშვების მისაღებს სოციალურ-საგანმანათლებლო დატვირთვით. ეს „ყვითელი სივრცეები“ არის ადგილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ თამაში, პაემნამდე და პაემნის შემდეგ მათ საჭიროებებსა და სირთულეებზე საუბარი და გარემოს გააზრება.[305]

ბელგიაში, შემუშავდა წიგნები ბავშვებისთვის, რაც მიზნად ისახავს ციხეში მშობლებთან პაემნებისთვის მათ მომზადებას და სხვადასხვა სახის პაემანზე მათთვის ინფორმაციის მიწოდებას. ბელგიის რამდენიმე ციხეს აქვს წიგნების თავისი ვერსია დაწესებულებაში არსებული თავისებურებების გათვალისწინებით.

ფინეთში, 2015 წლის კანონის მოთხოვნის თანახმად ყველა ციხეს უნდა ჰქონდეს ციხეში მშობლების სანახავად მოსული ბავშვებისთვის განკუთვნილი ოთახები. ბავშვებს უფლება აქვთ შეეხონ თავიანთ მშობლებს, მოეხვიონ მათ და ისხდნენ კალთაში პაემნის განმავლობაში. ციხეში მყოფ მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ რამდენიმედღიანი საოჯახო პაემანი. აღნიშნული შეხვედრები მიმდინარეობს მისაღებ ოთახში, სადაც მოთავსებულია მაგიდა, სავარძელი და ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოები.

ციხეში ბავშვების მიერ მშობელთა მონახულების რამდენიმე ევროპული ქვეყნის პოზიტიური პრაქტიკის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ორგანიზაცია ევროპის პატიმართა ბავშვების ვებ-გვერდს (COPE).[306]

პოზიტიური პრაქტიკა: ბავშვების გადაწყვეტილებების მხარდაჭერა პაემნების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად [5.13]

ყოველწლიურად ორგანიზაცია „ევროპის პატიმართა ბავშვები“ ატარებს კამპანიას ევროპის მთელი მასშტაბით სახელწოდებით „ჩემი დანაშაული არ არის, მაგრამ მაინც ჩემი სასჯელია“, რაც მიზნად ისახავს მშობლებთან დაშორებულ ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. 2017 წელს, კამპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ციხის დირექტორებისთვის ბავშვებს მიეწოდებინათ საკუთარი მოსაზრებები ციხეში პაემნებთან დაკავშირებული გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით.

COPE-მა ევროპის მასშტაბით მიღებული ბავშვების გამოხმაურება გადასცა ციხის დირექტორებს მათ მიერ ბავშვების საჭიროებების უკეთესი გააზრების და ციხეში პაემნების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.[307]

ბავშვები ციხეში

70 გარე სამყაროსთან კონტაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციხეში მყოფი ბავშვების საერთო კეთილდღეობის, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მიზნებისთვის და მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს წარმოადგენს მათი კონკრეტული მოწყვლადობის გამო. ციხის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ოჯახურ კავშირების მხარდაჭერას, ნება დართოს გახანგძლივებულ, სახლის ვიზიტებს და ციხეში ბავშვთა კომუნიკაციის სხვა ფორმების განვითარებას. CRC-ის 47(3)-ე მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა.

71 ჰავანას წესების მე-60 წესი აკონკრეტებს, რომ „ყველა არასრულწლოვანს უნდა ჰქოდეს უფლება მიიღოს ხშირი და რეგულარული ვიზიტები, კვირაში ერთხელ მაინც და არანაკლებ თვეში ერთხელ ოჯახის წევრების ვიზიტისა, იმ პირობებში, რომლებშიც დაცული იქნება ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის, ოჯახთან კავშირისა და შეუზღუდავი კომუნიკაციის უფლება“. 61-ე წესი ადგენს, რომ „ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ისარგებლონ წერილობითი ან სატელეფონო კავშირით მათ მიერ შერჩეულ პირთან, თუკი ეს კანონით არ არის აკრძალული, სულ მცირე კვირაში ორჯერ და ბავშვებს უნდა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მიზნით“. ჰავანას წესების 62-ე წესი ასევე ადგენს, რომ არასრულწლოვანს უნდა შეეძლოს მიიღოს „ნებისმიერი იმ სამართლებრივი კლუბის ან ორგანიზაციის წარმომადგენლების ვიზიტი, რომლითაც დაინტერესებულია არასრულწლოვანი“.

---

304. „ბანგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, წესი 28.

305. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: www.bambinisenzasbarre.org/english.

306. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: childrenofprisoners.eu/2016/06/10/child-friendly-visits.

307. ბავშვების ზოგიერთი მოსაზრების ნახვა შეგიძლიათ აქ: „ჩემი დანაშაული არ არის, მაგრამ მაინც ჩემი სასჯელია“ – ბავშვების კომენტარების კრებული ევროპის მასშტაბით, „ევროპელი პატიმრების შვილები“(Children of Prisoners Europe), 2017: childrenofprisoners.eu/wp-content/uploads/2017/05/COPE-campaign-childrens-quotes-external_31.05.2017.pdf.

72 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, რომ ციხეში მყოფი ბავშვების მხარდაჭერა იქონიოს კონტაქტი მშობლებთან და ოჯახის წევრებთან ტელეფონის, ელექტრონული ან კორესპონდენციის სხვა სხვა საშუალებების მეშვეობით და მშობლებისა და ოჯახის წევრების სისტემატიური ვიზიტების უზრუნველყოფა წარმოადგენს წამების და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანი დაცვის საშუალებას. ის გასცემს რეკომენდაციას „ბავშვები განთავსდნენ დაწესებულებაში, რომელიც შეძლებისდაგვარად ახლოს უნდა იყოს მათი ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან. ამ მოთხოვნიდან ნებისმიერი გამონაკლისი უნდა იყოს ნათლად აღწერილი კანონში და არ დაექვემდებაროს კომპეტენტური ორგანოების დისკრეციულ უფლებამოსილებას. უფრო მეტიც, ბავშვებს უნდა მიეცეს ნებართვა, დატოვონ პატიმრობის დაწესებულებები საკუთარ სახლში და ოჯახში ვიზიტის მიზნით და საგანმანათლებლო, პროფესიული ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო. ბავშვის კონტაქი გარე სამყაროსთან წარმოადგენს ჰუმანური მოპყრობის ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილს და არასდროს არ უნდა იყოს ჩამორთმეული როგორც დისციპლინური სახდელის სახე“.[308]

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები

73 წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით, პრინციპში, უნდა ჰქონდეთ მსჯავრდებულ პირებთან თანაბარი უფლებები. ვიზიტებისა და კორესპონდენციის შეზღუდვის დაწესება განურჩევლად ყველა მსჯავრდებულისთვის დაუშვებელია; უფრო მეტიც, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს პატიმრის მიერ წარმოდგენილი შესაძლო რისკების საფუძვლიან ინდივიდუალურ შეფასებას.[309]

74 სისხლისსამართლებრივი გამოძიების (მაგალითად, შეთქმულების რისკის არსებობის თაობაზე) შეუფერხებელი მიმდინარეობის დაცვის მიზნით პატიმრების წინასწარი კომუნიკაციის ან / და ვიზიტების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და მხოლოდ კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ.

75 „ როგორც აღნიშნავს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, დაპატიმრებულ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ მნახველები და განახორციელონ სატელეფონო ზარები ჩვეულებისამებრ და არა სასამართლოს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნებართვის გაცემის საფუძველზე. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მონაცემებით „ამგვარი კონტაქტის განხორციელებაზე ნებართვის გაცემაზე უარის თქმა განპირობებული უნდა იყოს გამოძიების საჭიროებებიდან გამომდინარე, მოითხოვოს სასამართლოს მიერ დამტკიცებას და მოქმედებდეს მხოლოდ კონკრეტული ვადით. თუ მიიჩნევა, რომ არსებობს შეთქმულების მიმდინარე საშიშროება, შესაძლებელია დადგინდეს კონკრეტულ ვიზიტებზე (ან სატელეფონო ზარებზე) მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა“.[310]

76 დასაშვები შეზღუდვების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის სეგრეგაციის ან სამარტოო საკნების შესახებ, იხ **მე-4 თავის 01-72 პარაგრაფები**.[311]

უცხო ქვეყნის მოქალაქეები

შესაბამისი წესები: უცხო ქვეყნის მოქალაქეები

წესი 62: უცხოელ პატიმრებს უნდა შეექმნათ პირობები მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის.

2. პატიმრებს, რომლებიც ისეთი ქვეყნებიდან არიან, რომელთაც არ გააჩნათ დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, აგრეთვე ლტოლვილებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, უნდა ეძლეოდეთ კონტაქტების ასეთივე საშუალება იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, რომელიც თავის თავზე იღებს მათი ინტერესების დაცვას ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლის ფუნქციებშიც შედის ასეთი პირობების დაცვა.

77 უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხშირად არასასურველ მდგომარეობაში არიან უცხოელთა სტატუსის და იმ ფაქტის გამო, რომ ისინი არ ლაპარაკობენ ადგილობრივ ენაზე. ეს ნიშნავს, რომ ისინი უფრო იზოლირებულნი არიან გარე სამყაროსგან.

78 საკონსულო ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციის 36-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს „დაუყოვნებლივ“ უნდა ეცნობოთ მათი უფლება – დაკავების შესახებ საკონსულოს ან საელჩოს ინფორმირების თაობაზე. გაეროს საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ ტერნიმი „დაუყოვნებლივ“ აუცილებლად არ ნიშნავს დაკავებისთანავე შეტყობინებას, მაგრამ „მიუხედავად ამისა, დაკავების ორგანოებს აქვს ვალდებულება მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია დაკავებულ პირს მაშინვე, როგორც კი ის

---

308. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/HRC/28/68 (2015), op. cit., შენიშვნა 132, პარ. 77.

309. „ევროპული ციხის წესები“, ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 74, წესი 99; წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), “26-ე წლიური ანგარიში CPT, CPT/Inf(2017)5, ევროპის საბჭო , აპრილი 2017, პარ. 59 ხელმისაწვდომია: rm.coe.int/168070af7a.

310. იქვე, პარ. 60, 61.

311. ვინაიდან “გ” სექცია (ბრალდებული პატიმრები) არ შეიცავს კონკრეტულ დებულებებს გარესამყაროსთან კონტაქტის თაობაზე, პირველ ნაწილში მოცემული ზოგადი დებულებები ასევე ეხება განსასჯელ პატიმრებს (იხილეთ წინასწარი დასკვნები 3(1) და 3(2).

ხვდება, რომ პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან არსებობს იმის საფუძველი, რომ ადამიანი უცხო ქვეყნის მოქალაქეა".[312] თუმცა, შესაბამისი საელჩოს ან საკონსულოს წარმომადგენელთან კონტაქტის დამყარებამდე უნდა მოხდეს პატიმართან გასაუბრება, ვინაიდან მათაც შეუძლიათ უარი განაცხადონ ასეთი კონტაქტის დამყარებაზე.

79 ციხეში მყოფ ლტოლვილ და მოქალაქეობის არმქონე პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ოფიციალურ წარმომადგენლობას, რომლის ამოცანაა მათი დაცვა, განსაკუთრებით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისს (UNHCR), რადგანაც საკონსულო წარმომადგენელტან კონტაქტი მათ შემთხვევაში ხელმისაწვდომი არ არის.

80 ციხის ხელმძღვანელებმა უნდა გააცნონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მათი უფლება შეატყობინონ თავიანთი ოჯახებს, იურიდიულ და საკონსულო წარმომადგენლებს ან სხვებს მათი დაპატიმრების შესახებ და მიიღონ მათგან დახმარება. ციხის ხელისუფლებამ ასევე უნდა ითანამშრომლოს ამ წარმომადგენლებთან.

81 ციხეებმა უნდა აწარმოონ საკონსულო ვიზიტების შესახებ ჩანაწერები და პატიმრის ნებისმიერი გადაწყვეტილება საკონსულო წარმომადგენლებთან დაკავშირებაზე უარის თქმის შესახებ.

82 უცხო ქვეყნის პატიმრებს სავარაუდოდ დამატებითი დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროებათ ოჯახური კავშირების შენარჩუნებისთვის. ისინი, ვინც ვერ ახერხებენ ოჯახის წევრების და მეგობრების რეგულარულად ნახვას, სასურველია შეხვდნენ მათ ენაზე მოსაუბრე სხვა მნახველებს. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ამ კონტაქტების შენარჩუნების მხარდასაჭერს, მათ შორის პატიმრის ოჯახის წევრებისათვის ციხის მონახულების ლოჯისტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.[313]

83 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესაძლებლობას შეინარჩუნონ შინაარსიანი და რეგულარული კავშირი ციხის გარეთ მყოფ შვილებთან. სხვა საკითხებთან ერთად, ასეთი კონტაქტები საშუალებას მისცემს მათ განიხილონ ბავშვზე ზრუნვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ღონისძიებები.

84 უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და სხვებს, რომლებმაც არ იციან ციხის ძირითადი ენა, უნდა შეეძლოთ გარე სამყაროსთან კავშირის დამყარება მათ მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ამის გამომრიცხავი კონკრეტული დაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნები.[314] ენობრივი შეზღუდვა არ უნდა გახდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ურთიერთობის შეზღუდვის ირიბი საფუძველი და ნებისმიერი ზედამხედველობა უნდა იყოს პროპორციული უსაფრთხოების მიზნებთან.

85 ციხის ვიზიტების მარეგულირებელი წესების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი სხვა ენებზე, მათ შორის ციხის მნახველების ინტერესების გათვალისწინებით.

86 ციხის ხელმძღვანელობამ უნდა დაუშვას გარკვეული მოქნილობა უცხოელი მოქალაქეების მონახულების თვალსაზრისით და გაითვალისწინონ ზოგიერთი მნახველისთვის საჭირო ხანგრძლივი მოგზაურობის აუცილებლობა. თუ სატელეფონო ზარების მიღების დრო დანიშნულია, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნებს შორის არსებული დროის სხვაობა.[315]

87 სადაც შესაძლებელია, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ვიდეოკონფერენციის და სხვა სახის დისტანციური კომუნიკაციის უზრუნველყოფის ხელშეწყობა ციხიდან შორს მცხოვრებ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან საურთიერთოდ.

ფსიქიკური ან ფიზიკური პრობლემების მქონე პატიმრები

88 ციხის ვიზიტების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ფიზიკური შეზღუდვის მქონე პატიმრების და მნახველებისთვის პაემნისთვის განკუთვნილი სივრცის თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

89 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მხარდაჭერას გარე სამყაროსთან კონტაქტის დამყარების და ხელშეწყობის მიზნით. ასეთი პატიმრები შესაძლოა ვერ ახერხებდნენ დამოუკიდებლად კონტაქტების დამყარებას ან ვერ ხვდებოდნენ ამისათვის საჭირო პროცედურებს და შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა იყვნენ მხარდაჭერილნი. მათ, ვისაც არ ჰყავს ოჯახთან ან მეგობრებთან კავშირი, შეუძლიათ მოხალისე მნახველების მიღება.

---

312. „შემთხვევა, რომელიც ეხება ავენას და მექსიკის სხვა მოქალაქეებს" (საქმეში მექსიკა აშშ-ს წინააღმდეგ) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 31 მარტი 2004 წ., პარ. 87- 88, ხელმისაწვდომია: https://www.icj-cij.org/en/case/128/judgments.

313. „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012) 12 წევრი სახელმწიფოებისთვის უცხო ქვეყნის პატიმრებთან დაკავშირებით", 10 ოქტომბერი 2012, სექცია 22.1.

314. იქვე, სექცია 22.2.

315. იქვე, სექცია 22.3.

5.2 იურიდიული რჩევის, წარმომადგენლობის და დახმარების ხელმისაწვდომობა

შესაბამისი წესები: იურიდიული რჩევის და წარმომადგენლის ხელმისაწვდომობა

წესი 53: პატიმარს უნდა გააჩნდეს წვდომა, ან დაერთოს ნება, ციხის ადმინისტრაციის წვდომის გარეშე შეინახოს მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დოკუმენტები.

წესი 61:

1. ნებისმიერი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი შესაძლებლობით, დროითა და ადგილით, მიიღოს და ნებისმიერ საკითხზე კომუნიკაცია და კონსულტაციები იქონიოს დამცველთან დაყოვნების, მოსმენისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალობის დაცვით და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კონსულტაციები შესაძლოა, მიმდინარეობდეს ციხის ადმინისტრაციის მხედველობის არეში, მაგრამ არა სმენის ფარგლებში.

2. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი არ ლაპარაკობს ადგილობრივ ენაზე, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს დამოუკიდებელი და კომპეტენტური თარჯიმნის მომსახურება.

3. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ეფექტიან იურიდიულ დახმარებაზე.

წესი 119:

1. ნებისმიერ ბრალდებულ პატიმარს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ მიიღოს ინფორმაცია დაკავების მიზეზისა და წაყენებული ბრალის შესახებ.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს თავად არ ჰყავს შერჩეული იურიდიული მრჩეველი, მას უფლება აქვს სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ დაენიშნოს კანონიერი წარმომადგენელი ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. თუ ბრალდებულს არ გააჩნია შესაძლებლობა, ანაზღაურება გადაუხადოს იურიდიულ მრჩეველს, იგი მას უნდა დაენიშნოს უფასოდ. სამართლებრივ დახმარებაზე წვდომაზე უარი დაუყოვნებლივ უნდა გახდეს დამოუკიდებელი გადახედვის საგანი.

წესი 120:

1. უფლებები და პირობები, რომელიც განსაზღვრავს მისი დაცვის მიზნით, ბრალდებული პირის წვდომას სამართლებრივ მრჩეველზე ან იურიდიული დახმარების მიმწოდებელზე ასევე უნდა რეგულირდებოდეს 61–ე წესში მოყვანილი პრინციპებით.

2. ბრალდებული პირი, მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფილი უნდა იქნას საწერი საშუალებებით, რათა მას საშუალება ჰქონდეს მოამზადოს თავდაცვისთვის საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის კონფიდენციალური მითითებები სამართლებრივი მრჩეველისთვის ან იურიდიული დახმარების მიმწოდებლისთვის.

იხილეთ ასევე გაეროს პრინციპები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

სამართლიანი სასამართლოს და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა

90 იურიდიული რჩევის მიღების და წარმომადგენლობის უფლება არის სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითადი კომპონენტი, როგორც განსაზღვრულია ICCPR- ის მე -9 (3) და მე -14 მუხლებში.

91 პატიმრებმა, რომლებსაც აქვთ იურიდიული რჩევისა და დახმარების ხელმისაწვდომობა სავარაუდოდ უკეთ იციან და სარგებლობენ არასაპატიმრო სასჯელის ან / და წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებებით, ვინაიდან ადვოკატებს მათი სახელით შეუძლიათ მოითხოვონ ასეთი ზომების გამოყენება. ადვოკატები და იურიდიული დახმარების მიმწოდებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ზედმეტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რამაც შეიძლება შეამციროს ციხის გადატვირთულობა და ხელი შეუწყოს სახელმწიფო რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

92 პატიმრებს უნდა შეეძლოთ იურიდიული რჩევის მიღება არა მხოლოდ წინასასამართლო და სასამართლო განხილვის ეტაპზე, არამედ სააპელაციო და განხილვის შემდგომი ყველა სხვა საკითხის, მათ შორის, ვადამდე ადრე გათავისუფლების მოთხოვნის თაობაზე რჩევის მიღების ჩათვლით. როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფ, ასევე მსჯავრდადებულ პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვონ სამართლებრივი კონსულტაცია სამოქალაქო სამართალწარმოებასთან, მაგალითად ქორწინების, განქორწინების და ბავშვის მეურვეობის და მზრუნველობის, ასევე პირადი ნივთები საკუთრებისა და მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით.

93 სამართლებრივი კონსულტაციები და წარმომადგენლობა შეიძლება ასევე მოითხოვონ პირებმა დაკავების პირობების, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის, დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში დისკრიმინაციული მიდგომების ან პიროვნებზე ზეგავლენის მქონე სხვა საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების მიმართ. ასევე უნდა იყოს შესაძლებელი იურიდიული კონსულტაციის მიღება ძალადობის იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდა პირის მიმართ ციხეში მოთავსებამდე, მათ შორის ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე დაკავებისას ან საპოლიციო პატიმრობის განმავლობაში.

94 იურიდიული კონსულტაციისა და სამართლებრივი პროცესის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პატიმარს მიუხედავად მისი ქონებრივი მდგომარეობისა. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული წარმომადგენლის ხელმისაწვდომობა იმისდა მიუხედავად, შეუძლიათ თუ არა მათ იურისტის დამოუკიდებლად დაქირავება. მანდელას წესებში სამართლებრივი დახმარების შესახებ დებულებების ჩართვა (წესები 54(ბ), 61 და 120) ხაზგასმით აღნიშნავს სამართლებრივი დახმარების გაწევის აუცილებლობაზე იმ პირებისთვის, რომლებიც სხვაგვარად ვერ სარგებლობენ იურიდიული დახმარებით.[316]

95 იურიდიული დახმარების სქემები წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის, კანონის თანაბარი დაცვის, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ მიმართულ ფუნდამენტურ ინსტრუმენტს. იურიდიული დახმარების გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესები აღიარებს „რომ იურიდიული დახმარება ეს არის სამართლიანი, ჰუმანური და ეფექტიანი სისხლის სამართლის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე და წარმოადგენს სხვა უფლებებით სარგებლობის საყრდენს, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ამგვარი უფლების განხორციელებისა და მნიშვნელოვანი გარანტიის წინაპირობა, რაც უზრუნველყოფს ფუნდამენტურ სამართლიანობასა და საზოგადოებრივ ნდობას სისხლის სამართლის პროცესში.“[317]

---

316. “ICCPR”, UNGA, op. cit., შენიშვნა 153, მუხლი 14.3: ადგენს, რომ, „თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმი, სრული თანასწორობის საფუძველზე, მიიღოს შემდეგი გარანტიები: (....) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით; თუ არ ჰყავს დამცველი, შეატყობინოს ასეთი უფლების შესახებ და ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, რიგ შემთხვევებში უსასყიდლოდ როცა არა აქვს დამცველის ასანაზღაურებლად საკმარისი სახსრები“.

317. მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების, op. cit., შენიშვნა 260, პრეამბ. პარ. 9.

დაცვა ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ

96 ეფექტიანი იურიდიული კონსულტაცია და წარმომადგენლობა წარმოადგენს ფუნდამენტურ დაცვას წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და შეიძლება წარმოადგენდეს შემაკავებელ ფაქტორს ადამიანის უფლებათა დარღვევების, მათ შორის თვითნებური დაპატიმრებისა და იძულებითი გაუჩინარების წინააღმდეგ.

97 კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ რჩევის მიცემა პატიმრებისთვის საჩივრების პროცედურების და სხვა შუამდგომლობების თაობაზე. თუ პატიმრები თვლიან, რომ ვერ შეძლებენ საჩივრის შეტანას, კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია ამის გაკეთება მათი სახელით.

პოზიტიური პრაქტიკა: იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა [5.14]

მალავიში, პარალეგალ მრჩეველთა მომსახურების ინსტიტუტი (PASI)[318] უზრუნველყოფს დაკავების ადგილებში ე.წ. წინა ხაზზე იურიდიულ მომსახურეობის გაწევას, რათა აღმოფხვრას ქვეყნის ზედმეტი დამოკიდებულება წინასწარი პატიმრობის გამოყენებისადმი და ხელი შეუწყოს სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობას. ორგანიზაცია ასევე მხარს უჭერს რეფორმების განხორციელებას და გეგმავს პარალეგალური დახმარების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.

PASI–ის ინიციატივა ითვალისწინებს „სასამართლო კარვების" შექმნას ციხეებში, სადაც პარალეგალები ამოწმებენ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრების საქმეებს, ეხმარებიან ეჭვმიტანილებს შეავსონ გირაოს ფორმები და ამზადებენ საქმეს წინასწარი მოსმენისთვის. პარალეგალები ადგენენ წინასწარ პატიმრობაში მყოფი იმ პატიმრების სიას, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან საპატიმრო ადგილას, არ გათავისუფლებულან წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ და რომლებსაც აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, მაგრამ არ აქვს ფინანსური საშუალება უზრუნველყოფენ სასამართლოს მიერ დადგენილი პირობა. მაგისტრატი მოსამართლეები გადიან სიას პოლიციის პროკურორებთან და სასამართლო მდივანთან ერთად, ზოგ პირს განუსაზღვრავენ გირაოს, ზოგს უმცირებენ წინა სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაოს ოდენობას, არ იღებენ წარმოებაში საქმეებს, სადაც ბრალდებული უკვე გათავისუფლებული უნდა ყოფილიყო ციხიდან ან ნიშნავენ თარიღს პირის სასამართლოში გამოცხადების თაობაზე.

ათი წლის მანძილზე მალავის პარალეგალ მრჩეველთა მომსახურების ინსტიტუტმა (PASI) წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრების პროცენტული მაჩვენებელი 60 პროცენტიდან 12 პროცენტამდე შეამცირა.[319]

დაწესებულებაში დაძაბულობის შემცირება და საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერება

98 ციხის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ პატიმრების ინფორმირებულობა დადებით გავლენას ახდენს მათ ქცევასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც ამცირებს თვითდაზიანების და სუიციდის შემთხვევებს. იურიდიული წარმოამდგენლებისგან მიღებულმა სამართლებრივმა კონსულტაციებმა შესაძლოა გააძლიეროს ციხის წესები და რეგულაციები და აღკვეთოს წესების დარღვევების სავარაუდო მცდელობები. პატიმრებისთვის გაზიარებულმა ინფორმაციამ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მათმა ქცევამ სასჯელის საბოლოო ხანგრძლივობაზე შეუძლია ხელი შეუწყოს მათი ქცევის გაუმჯობესებას.

99 როგორც აღნიშნავს გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, იურიდიული დახმარების აღმოჩენა თამაშობს მნიშვნელოვან როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში საზოგადოების ფართო ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით.[320] პრინციპები და სახელმძღვანელო წესრები ასევე აღნიშნავს იურიდიული დახმარების სისტემის მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სწორად ფუნქციონირების ხელშეწყობის თვალსაზრისით.[321]

---

318. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: pasimalawi.org.

319. იხილეთ ,,მალავიში წინასასამართლო მართლმსაჯულების გაუმჯობესება", ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივა და პარალეგალური საკონსულტაციო სამსახური (PASI), 2013.

320. სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, op. cit, შენიშვნა 260, პარ. 4.

321. იქვე. პარ. 11.

პრაქტიკაში განხორციელება

იურიდიული დახმარების სქემების ჩამოყალიბება

100 იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები განსაზღვრავს იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ფართო სპექტრს, რომელშიც შედის „დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი, როგორიცაა იურიდიული დახმარების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, რელიგიური და არა რელიგიური საქველმოქმედო ორგანიზაციები, პროფესიული ორგანოები, ასოციაციები და აკადემია".[322]

101 სისხლის სამართლის პროცესში იურიდიული დახმარება უნდა იყოს გათვალისწინებული ყველასთვის, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა. გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები ასევე აღნიშნავს, რომ ტერმინი „იურიდიული დახმარება" ითვალისწინებს „იურიდიული განათლების კონცეფციებს, იურიდიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და სხვა მომსახურების გაწევას პირებისთვის ალტერნატიული დავის მექანიზმებისა და აღდგენის მართლმსაჯულების პროცესების მეშვეობით".[323]

102 მაშინ, როდესაც გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები ფარავს იურიდიულ დახმარებას სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებაში, იურიდიული დახმარების სქემები ასევე შეიძლება არსებობდეს სხვა სამართლით რეგულირებად საკითხებთან დაკავშირებით. ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ამბგვარი სქემების ხელმისაწვდომობა.

103 გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელო წესები ასევე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები და გარანტიები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც იურიდიულ დახმარებასთან ხელმისაწვდომობა გართულებულია, დაგვიანებული ან უარყოფილი ან თუ პატიმარი არ ყოფილა ადეკვატურად ინფორმირებული სამართლებრივი დახმარების მირების უფლების შესახებ.

იურიდიული რჩევის, წარმომადგენლობის და დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

104 დაკავებული პირისთვის დაკავების მიზეზების და წარდგენილი ბრალის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება პირველ რიგში აკისრია პოლიციის და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს. თუმცა, ციხის ადმინისტრაციას აქვთ ვალდებულება დარწმუნდეს, მიიღო თუ არა პატიმარმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს პატიმრებისგან ინფორმაციის მიღებას იმის შესახებ, ცნობილია თუ არა მათთვის ადვოკატის ყოლის უფლების თაობაზე და მოახდინონ პასუხის ჩაწერა. მათ, ვისაც უკვე ჰყავს ადვოკატი, უნდა შეეძლოთ მისი ინფორმირება.

105 ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში მონაწილე ყველა პატიმრისთვის იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მათი მკურნალობის, მოპყრობის, პატიმრობის პირობებისა და სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. 54(ბ)-ე წესის თანახმად ციხის ადმინისტრაციას ეკისრება ვალდებულება დაუყოვნებლივ აცნობოს პატიმარს მისი უფლებები ინფორმაციის მოძიების კანონიერი გზების, სამართლებრივი დახმარების წვდომის, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარების და განცხადების ან საჩივრის წარდგენის პროცედურების შესახებ.[324] ციხის თანამშრომლებმა უნდა შეატყობინონ პატიმრების მათი უფლების შესახებ ჰქონდეთ ურთიერთობა და კონსულტაციები მათ მიერ არჩეულ იურიდიულ მრჩეველთან ან იურიდიული დახმარების მიმწოდებელთან არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცედურების კონტექსტში, არამედ ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ პატიმრების ციხეში მიღებისას, არამედ პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ციხის ოფიცრებმა ასევე უნდა აცნობონ პატიმრებს მათ მიერ იურიდიული დახმარების მიღებაზე უარის თქმის პოტენციური შედეგების შესახებ.

106 მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სქემების ჩამოყალიბება პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების კომპეტენციაა, ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ამგვარი სქემების ხელმისაწვდომობა და მათ შორის პატიმრებისთვის ამ სქემების დახმარებით იურიდიული მომსახურების მოთხოვნის შესაძლებლობის მიცემა.

---

322. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, op. cit., შენიშვნა 260, დანართი, პარ. 9.

323. იქვე. პარ. 8.

324. იურიდიული დახმარების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. ,,გლობალური კვლევა იურიდიული დახმარების შესახებ", UNODC და UNDP, 2016 წ., ხელმისაწვდომია: www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/access_to_justiceandruleoflaw/global-study-on-legal-aid.html და ,,სამოდელო კანონი იურიდიული დახმარების შესახებ სისხლის სამართლის სისტემებში კომენტარებით", UNODC, მარტი 2017, ხელმისაწვდომია: www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/LegalAid/Model_Law_on_Legal_Aid.pdf.

107 ქვეყნებში, სადაც იურიდიული დახმარების სისტემები არ არსებობს ან შეზღუდულია, მათ შორის ქვეყნის იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არსებობს იურიდიული დახმარების ადვოკატები, ციხის ადმინისტრაციამ უნდა ითანამშრომლოს სხვა პირებთან, მათ შორის იურიდიული დახმარების გამწევ არასამთავროვო ორგანიზაციებთან.

108 წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებით უნდა სარგებლობდეს ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად „მცირეა“ დანაშაული, რომლის ჩადენაც ბრალად ედება მას“.[325]

109 ციხის თანამშრომლებმა უნდა დააზუსტონ პატიმრებთან ჰყავთ თუ არა მათ იურიდიული მხარდაჭერა და წინააღმდეგ შემთხვევაში რა სახის მხარდაჭერა შეიძლება გახდეს საჭირო, მათ შორის იურიდიულ წარმომადგენელთან დაკავშირების ჩათვლით.

110 ადვოკატთა და იურიდიული დახმარების მომწოდებლებთან დაკავშირების პროცედურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პატიმრისთვის თვალსაჩინო ადგილას. მათ, ვისაც არ შეუძლია კითხვა, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სხვა ფორმატში.

111 სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის ანალიზის მიზნით, ციხეების ადმინისტრაციისთვის კარგი პრაქტიკაა ინფორმაციის შეგროვება იმასთან დაკავშირებით თუ რამდენი პატიმრის ინტერესია წარმოადგენილი ადვოკატების მიერ, იურიდიული დახმარების მიმწოდებლების ჩათვლით.[326] ასეთი ინფორმაცია სასარგებლოა პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისთვის სამართლებრივი დახმარების სისტემაში არსებული ხარვეზების ანალიზისთვის, მათ შორის იმის შეფასება, თანაბრად ხელმისაწვდომია თუ არა იურიდიული დახმარების მიღება ქალების, ბავშვებისა და სხვა ჯგუფებისთვის. მონაცემები ასევე წარმოადგენს სასარგებლო ინფორმაციას იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ სოფლად, შორეულ და ქვეყნის ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველ ადგილებში და შეუძლია უკეთ მოახდინოს სამინისტროებში პოლიტიკის განსაზღვრის და დაგეგმვის პროცესის ინფორმირება.

კონფიდენციალურობა და კომუნიკაცია

112 ტელეფონები, რომელთა მეშვეობით პატიმრებს საშუალება ეძლევათ დაუკავშირდნენ იურიდიულ წარმოამდგენლებს, უნდა განლაგდეს იმ ადგილებში, სადაც დაცულია კონფიდენციალურობა და პირადი ხელშეუხებლობა. პატიმრებს უნდა შეძლოთ მიმოწერის წარმოება მათ ადვოკატებთან კორესპონდენციის ცენზურისა და ზედამხედველობის გარეშე, მათ შორის ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენების შემთხვევაში.

113 კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრის ადგილები უნდა უზრუნველყოფდეს საუბრის სრულ კონფიდენციალურობასა და პირადულობას, მაშინ როდესაც პერსონალს საჭიროების შემთხვევაში საშუალება უნდა მიეცეს მოახდინოს პროცესის მონიტორინგი, მათ შორის ადვოკატების დაცულობის უზრუნველყოფად. უმეტეს შემთხვევაში ციხის ოფიცრის ყოფნა საჭირო არ არის. იურისტებთან შეხვედრის ოთახების კარები და ფანჯრები უნდა იხურებოდეს და ოთახი უნდა იყოს ხმის გაუმტარი.

114 ადვოკატთან შეხვედრის ოთახსა და დამკვირვებლებს შორის მინის ხმაგაუმტარი კედლის დამონტაჟებით შესაძლებელია ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ შეხვედრის ჩატარება, მაშინ როდესაც ხმა არ იქნება ხელმისაწვდომი ციხის თანამშრომლებისთვის. ნებისმიერი დაკვირვება უნდა შემოწმდეს იმის უზრუნველსაყოფად, ხომ არ ახორციელებს ციხის პერსონალი ვიზუალურად შესამჩნევ მუქარას ან დაშინებას.

115 პატიმრებს უნდა მიეწოდოთ საწერი მასალა წარმომადგენლებთან შეხვედრების და სამართლებრივი საკითხების განხილვის დროს, რათა მათ უზრუნველყონ ადვოკატების კონფიდენციალური ინსტრუქტაჟი ან მიღებული შენიშვნების ჩაწერა, სურვილისამებრ.[327] ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე-2 თავის 69-72 პუნქტები** ეხება იურიდიული წარმომადგენლების ძიებას.

კომუნიკაციის საშუალებები

116 მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო საუბრები და კომუნიკაციის სხვა საშუალებები იურიდიულ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ისინი არასდროს არ უნდა ჩაითვალოს პირად შეხვედრების შემცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ამგვარი

325. „21-ე წლიური ანგარიში“, CPT, op. cit., შენიშვნა 224, პარ. 20.

326. „მანდელას წესები“, op. cit., შენიშვნა 1, პარ 8 (a): აცხდაებს, რომ „ინფორმაცია სასამართლო პროცესის შესახებ, მათ შორის სასამართლო მოსმენებისა და სამართლებრივი წარმომადგენლობის თარიღები“ უნდა იყოს შეტანილი პატიმრის პირად საქმეში.

327. იქვე, წესი 120(2) უთითებს, რომ „ბრალდებული პირი, მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფილი უნდა იქნას საწერი საშუალებებით, რათა მას საშუალება ჰქონდეს მოამზადოს თავდაცვისთვის საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის კონფიდენციალური მითითებები სამართლებრივი მრჩეველისთვის ან იურიდიული დახმარების მიმწოდებლისთვის.“; წესი 61 ნებისმიერი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი შესაძლებლობით, დროითა და ადგილით,“ “ევროპული ციხის წესების კომენტარი“, ევროპის საბჭო, op. cit., შენიშვნა 77: ასევე აცხადებს, რომ მსჯავრდებული უნდა ტიყოს უზრუმველყოფილის საწერი საშუალებებით და საფსტო გზავნილისთვის საჭირო მასალებით, თუკი მას ტავად არ შეუძლია მათი შეძენა“, (23-ეწესის კომენტარი ECtHR-ზე მითითებით, Cotlet v Romania, 3 ივნისი 2003, appl. Nr. 38565/97).

საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება მოითხოვა თავად პატიმარმა. იურისტის ან იურიდიული დახმარების მიმწოდებელთან პირდაპირი კონტაქტი აუცილებელია კლიენტსა და იურისტს შორის ნდობის ჩამოყალიბების და ეფექტიანი წარმომადგენლობისთვის.

117 საპატიმრო დაწესებულების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე უნდა იქნას განხილული იურიდიული პირების შეხვედრებისთვის საჭირო კერძო ოთახების რაოდენობა და მდებარეობა ციხეში განთავსებული პატიმრების რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების ფარგლებში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების პროცენტული მაჩვენებლის გათვალისწინება სწორედ ამ დაგეგმარების ეტაპზეა გასათვალისწინებელი, რადგან სავარაუდოდ, წარმომადგენლებთან კონსულტაციები მათი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე საკმაოდ ხშირია. დაგეგმვის ეტაპზე ასევე უნდა იქნას განხილული ტელეფონების განთავსების ადგილი საუბრების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით.

118 იურიდიულ წარმომადგენლებთან შეხვედრების ოთახებისა და ტელეფონების განთავსების ადგილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფიზიკური შეზღუდვის მქონე პატიმრებისთვის.

119 დაუშვებელია რაიმე სახის შეზღუდვის დაწესება იურიდიულ წარმომადგენელთან შეხვედრის ან სატელეფონო საუბრების წარმოების თვალსაზრისით. არ უნდა არსებობდეს დაუსაბუთებელი შეფერხებები პატიმრისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

დაცვის სხვა გარანტიები

120 ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს იურისტების და იურიდიული დახმარების მიმწოდებელი პირების მიერ საქმიანობის განხორციელება დაშინების, მუქარის, შეურაცხყოფის ან შეფერხების გარეშე.

121 იურიდიული დახმარების მიღებასა და წარმომადგენელტან შეხვედრის შემთხვევაზე ვრცელდება გამარტივებული პროცედურები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იურიდიული დახმარების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელია, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს იურიდიული დახმარების პრინციპებსა და სახელმძღვანელო წესებში.

122 ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყონ პატიმრების მიერ იურიდიული მრჩევლების წინასწარი ინფორმირება სხვა ციხეში ან საავადმყოფოში მათი გადაყვანის შესახებ და ახალ ადგილზე ჩასვლისთანავე მრჩევლებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

123 ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პატიმრების უფლება არ გაამჟღავნონ საკუთარ იურიდიულ წარმომადგენელთან შეხვედრის ან სხვაგვარად დაკავშირების მიზეზები. ამ მიზეზების გამჟღავნებას შეუძლია გამოიწვიოს ზიანის მიყენების რისკი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ სურთ საჩივრით მიმართონ შესაბამის უწყებას მათთან მოპყრობის ან პატიმრობის სხვა პირობების შესახებ.

ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

124 ციხის ხელმძღანელების მიერ დაუშვებელია იურიდიულ წარმომადგენლებთან პატიმრის კომუნიკაციის აკრძალვა ან შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს სასამართლო ხელისუფლების კონკრეტული ბრძანება აღნიშნულთან დაკავშირებთ. გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების მე-18(3) პრინციპი აცხადებს, რომ კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის და კონსულტაციის მიღების უფლება „არ უნდა იქნას შეჩერებული ან შეზღუდული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს მიერ მიჩნეულია ასეტად უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის მიზნით“. კანონმდებლობამ ასევე განმარტა, რომ კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საამისო „უტყუარი მიზეზები“ და რომ უნდა მოხდეს მათი გადახედვა.[328]

125 გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა წამების საკითხებზე განმარტა, რომ „განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც დასტურდება, რომ ადვოკატთან შეხვედრამ შეიძლება ზიანი მიაყენოს უსაფრთხოების მოთხოვნებს და სადაც კონტაქტის ამგვარი აკრძალვა დადასტურებულია უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს მიერ, გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც მინიმუმ დამოუკიდებელ ადვოკატთან შეხვედრის შესაძლებლობა, მაგალითად ადვოკატთა ასოციაციის მიერ რეკომენდირებულ იურისტთან“.[329] შესაბამისად, CPT აღნიშნა, რომ როდესაც ადვოკატთან შეხვედრის გადადება გარდაუვალია, ეს არ ნიშნავს ადვოკატის ხელმისაწვდომობის გამორიცხვას მაშინ, როდესაც პირს შეუძლია შეხვდეს დამოუკიდებელ სხვა ადვოკატს, რომლის სანდოობას ეჭვის ქვეშ არ აყენებს გამოძიების ინტერესები“.[330]

328. იხ. იქვე, 23-ე წესის კომენტარი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოზე მითითებით.

329. წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ანგარიში, A/56/156, op. cit., პარ. 39(f).

330. „21-ე წლიური ანგარიში“, CPT, op. cit., შენიშვნა 224, პარ 22; „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში თურქეთის სახელმწიფოს თურქეთში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე, 13 მარტი 2014, CPT/Inf (2014) 7”, პარ. 19 ხელმისაწვდომია rm.coe.int/1680698318.

ქალები

126 ციხის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ქალ პატიმართა მხარდაჭერას იურიდიული დახმარების მიღების თვალსაზრისით. ბანგკოკის წესების 26-ე წესის კომენტარის თანახმად, ქალები განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებს „უმეტეს საზოგადოებაში მათი დაბალი განათლების, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის გამო, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში0020დება ქალთა მიტოვება ოჯახების მიერ მათი საპატიმრო ადგილებში ყოფნის გამოცდილების საფუძველზე“.[331]

ბავშვები ციხეში

127 ციხეში მყოფმა ბავშვებმა ასევე შეიძლება მოითხოვონ კონკრეტული დახმარება ციხის ხელმძღვანელი პირებისაგან იურიდიული დახმარების უფლების გააზრებაში და მათ იურიდიულ წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარებასა და შენარჩუნებაში. ციხის თანამშრომლებმა უნდა მიაწოდონ ბავშვებს ინფორმაცია მათი კანონიერი უფლებების შესახებ კონკრეტული ასაკისა და განვითარების შესაბამისად და გამოიყენონ მათთვის გასაგები ენა.

128 ციხეში მყოფ ბავშვებს უფლება აქვთ მათ წინაშე არსებული სამართლებრივი საკითხები განხილულ იქნას მათი მშობლების ან კანონიერი წარმოამდგენლის თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესს. შესაძლოა, საჭირო გახდეს ციხის თანამშრომლების მიერ ბავშვის მშობლებისთვისან კანონიერი წარმომადგენლებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, რაც შეავსებს უშუალოდ ბავშვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

5.3 შეტყობინება

შესაბამისი წესები: შეტყობინება

წესი 68: ნებისმიერ პატიმარს აქვს უფლება და უნდა მიეცეს შესაძლებლობა და საშუალება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ოჯახს ან ნებისმიერ სხვა საკონტაქტო პირს, დაპატიმრების შესახებ, ასევე სხვა დაწესებულებაში გადაყვანის, რაიმე სერიოზული დაავადების ან დაშავების შესახებ. პატიმრის შესახებ პირადი ინფორმაციის გაცემა ექვემდებარება ადგილობრივ კანონმდებლობას.

წესი 69: პატიმრის გარდაცვალების შემთხვევაში, ციხის დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პატიმრის ახლობელს ან გადაუდებელი შემთხვევებისთვის საკონტაქტო პირს. პატიმრის მიერ მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიმღები წინასწარ შერჩეული პირი ციხის დირექტორისგან უნდა იღებდეს ინფორმაციას პატიმრის სერიოზული დაავადების, დაშავების ან სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ. აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას პატიმრის თხოვნა, არ შეატყობინონ მის მეუღლეს ან უახლოეს ნათესავს მისი ავადმყოფობის ან დაშავების შესახებ.

წესი 70: ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პატიმარს ნათესავის ან სხვა მნიშვნელოვანი პირის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გარემოება ამის საშუალებას იძლევა, პატიმარს უნდა დაერთოს ნება, ბადრაგის თანხლებით ან მარტომ, მოინახულოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი უახლოესი ნათესავი თუ სხვა მნიშვნელოვანი პირი, ან დაესწროს პანაშვიდს.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

129 დაპატიმრების და თავისუფლების აღკვეთის ადრეულ ეტაპებზე ოჯახის წევრებთან ან სხვა პირებთან კონტაქტის დამყარებამ შესაძლოა უზრუნველყოს სტრესულ მდგომარეობაში მყოფ პატიმრის დარწმუნება და სიმშვიდე. ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა უნდა იცოდნენ დაპატიმრებული პირის ადგილსამყოფელის შესახებ და დაკავებულ პირს უნდა ეცნობოს მისი შვილების და მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირების მდგომარეობის შესახებ. დაკავების და დაპატიმრების ადრეული შეტყობინება საშუალებას აძლევს ოჯახს და მეგობრებს მალევე უზრუნველყონ პატიმრის ემოციური და მატერიალური მხარდაჭერა.

130 პირის დაპატიმრების ან გადაყვანის შესახებ ოჯახის ან სხვა საკონტაქტო პირების ინფორმირების უფლება მნიშვნელოვანი დამცავი მექანიზმია წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის, ინკომუნიკადო დაკავების და იძულებითი გაუჩინარების წინააღმდეგ. ოჯახის ინფორმირება პატიმრის სერიოზული დაზიანებების შესახებ მოქმედებს როგორც პრევენციული მექანიზმი პატიმრობაში არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ.

331. „ბანგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, 26-ე წესის კომენტარი.

პრაქტიკაში განხორციელება

საკონტაქტო პირის დაფიქსირება

131 მე-7(g) წესის თანახმად პატიმრის სიკვდილის, ავადმყოფობის, დაზიანების ან გადაცემის შემთხვევაში გადაუდებელი საკონტაქტო პირის ინფორმირებულობის ან პატიმრის მიერ შეტყობინების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ციხის ადმინისტრაციამ უნდა აწარმოოს პატიმრების გადაუდებელი საკონტაქტო პირის მონაცემების და მათი ნათესავების შესახებ ინფორმაციის სათანადო დამუშავება.

132 მანდელას წესების თანახმად ციხის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს სხვადასხვა საკონტაქტო ინფორმაციის წარმოება, მათ შორის „ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საკონტაქტო ახლობლის შესახებ“ (წესი 7), „ოჯახის ან ნებისმიერი სხვა საკონტაქტო პირისს“ (წესი 68) ან „სხვა მნიშვნელოვანი პირის“ (წესი 70) და „პატიმრის მიერ (...) წინასწარ შერჩეული პირის“ (წესი 69) შესახებ. ყველა შემთხვევაში, ოჯახისა და მეგობრების განმარტება უნდა განისაზღვროს ფართოდ, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე -5 თავის 22-26 პარაგრაფებში**.

133 პატიმრებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია პატიმრობის ადრეულ სტადიაზე მათ მიერ საგანგებო სიტუაციებში საკონტაქტო პირის და ნათესავის განსაზღვრის შესახებ. თუ მათ არ სურთ საკონტაქტო პირები ინფორმირებულნი იყვნენ მათი პატიმრობის ან დაზიანების, ავადმყოფობის, სიკვდილის ან გადაყვანის შესახებ, მათი სურვილები უნდა იყოს გათვალისწინებული. პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეცვალონ სურვილისამებრ შეცვალონ ეს დეტალები.

შეტყობინების სახეები

134 ოჯახის წევრები ან სხვა საგანგებო კონტაქტები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი პატიმრის სხვა საპატიმრო დაწესებულებაში ან საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ. გადაყვანის შესახებ შეტყობინება უნდა აღინიშნოს პატიმრის პირად საქმეში. სათანადო პრაქტიკაა ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრის სერიოზული დაზიანების ან ავადმყოფობის შემთხვევაში შესაბამისი საგანგებო საკონტაქტო პირის ინფორმირებულობა, ვინაიდან პატიმრებს ასეთ შემთხვევაში თავად არ შეუძლიათ ამის გაკეთება.

135 პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში ოჯახის წევრები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულები. ეს თავიდან აიცილებს მნახველების მიერ დაწესებულებაში არმყოფი პატიმრის მოსანახულებლად მისვლის შემთხვევებს. აღნიშნული ასევე აადვილებს ოჯახის წევრების შესაძლებლობას უახლოეს მომავალში მოინახულონ ან განახორციელონ სატელეფონო საუბარი პატიმართან ახალ დაწესებულებაში. იმ შემთხვევებში, როდესაც კომუნიკაციის ფორმა არ არის დაუყოვნებლივი, მაგალითად როგორიცაა საფოსტო მომსახურება, პატიმრის ახალ დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს გადაყვანამდე რამდენიმე ხნით ადრე.

136 პატიმრებს უნდა მიეცეთ ტელეფონების, საწერი მასალების და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების ხელმისაწვდომობა, რათა მოხდეს ოჯახის წევრებთან ან სხვა პირებთან ურთიერთობა პატიმრობის, სხვა დაწესებულებაში გადაყვანის და სერიოზული ავადმყოფობის ან დაზიანების შემთხვევაში. ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებაა მიაწოდონ პატიმრებს ყველა საჭირო საშუალება ამგვარი კონტაქტის დასამყარებლად და დაეხმარონ მათ, ვისაც არ აქვს ფინანსური შესაძლებლობები ან სხვაგვარად არ გააჩნიათ უნარი დახმარების გარეშე განახორციელონ კონტაქტი ოჯახის წევრებთან ან სხვა პირებთან.

137 70-ე წესი ადგენს, რომ ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პატიმარს ნათესავის ან სხვა მნიშვნელოვანი პირის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის სათანადო წესით პატიმრისთვის მიწოდების მიზნით ციხის ადმინისტრაციამ შესაძლოა ნება დართოს ოჯახს ან საკონტაქტო ახლო პირს უშუალოდ აცნობონ ამის შესახებ მას.

138 2012 წლის მარტის ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს რეზოლუცია ბავშვის უფლებების შესახებ ხაზს უსვამს ციხის გარეთ მცხოვრები ბავშვების ან მათი კანონიერი მეურვეებისთვის ბავშვის დაპატიმრებული მშობლის ადგილსამყოფელის, აგრეთვე ნებისმიერ გადაყვანის ან სხვა მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე.[332]

332. ბავშვის უფლებები, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 19.37, 19 აპრილი 2012.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პირის მონახულება და დაკრძალვაზე დასწრება

139 70-ე წესის თანახმად ტერმინები „თუ გარემოება ამის საშუალებას იძლევა“ უნდა იყოს გაგებული კეთილსინდისიერად და მხედველობაში იღებდეს ავადმყოფი ნათესავების, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფობისა მონახულებისა და დაკრძალვის სოციალურ და ემოციურ მნიშვნელობას.

140 ავადმყოფობის შემთხვევებში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი უახლოესი ნათესავის თუ სხვა მნიშვნელოვანი პირის მონახულების მიზნით პატიმრის ტრანსპორტირებისას გასათვალისწინებელი ღონისძიებების დაგეგმვისას ციხის ხელმძღვანელობამ შეძებისდაგვარად უნდა გაითვალისწინოს ისეთი კულტურული ნორმები და შედეგები, როგორიცაა მაგალითად ავადმყოფი პირის მონახულების ჩვეულებრივად მისაღები დრო და სხვადასხვა სახის გლოვა და დაკრძალვის ცერემონიალი.

141 პატიმრებს უნდა შეეძლოთ საკუთარ ტანსაცმელში გამოწყობა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მონახულების ან დაკრძალვაზე დასწრებისას.

კონტექსტი: დასწრება ოჯახურ დაკრძალვაზე — ECTHR საქმე [5.15]

საქმეში კანალასი რუმინეთის სახემწიფოს წინააღმდეგ, ECtHR აღმოაჩინა, რომ ხელისუფლებამ დაარღვია განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება მისთვის დედის დაკრძალვაზე დასწრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით. ციხის დირექტორმა თავისი უარი დაასაბუთა იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს მოსახდელად განსაზღვრული ჰქონდა ხანგძლივი სასჯელი და ის მიმდინარე თვეს უკვე იყო წახალისებული. არსებითად, სასამართლომ დაადგინა, რომ „დროებითი შვებულების ზომები ხელს უწყობს პატიმრების სოციალურ რეაბილიტაციას, თუნდაც მათ ჩადენილი ჰქონდეთ ძალადობრივი დანაშაული“ და რომ „ყოველთვიურად პატიმართა წახალისების მხოლოდ ერთი შემთხვევით შეზღუდვა არ ვრცელდება ოჯახის წევრის დაკრძალვაზე დასასწრებად ციხის დატოვების ნებართვის გაცემის შემთხვევაზე“. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ციხის ადმინისტრაციამ არ შეამოწმა დაკრძალვის ადგილას ბ–ნი კანალასის ბადრაგის თანმხლებით მიყვანის შესაძლებლობა და დაასკვნა, რომ „ციხის ადმინისტრაციამ არ მოახდინა სხვადასხვა დაინტერესებული პირების ინტერესების ბალანსის შეწონვა, კერძოდ, ერთის მხრივ ბატონი კანალასის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და მეორეს მხრივ საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან მართლწესრიგის დარღვევის და დანაშაულის თავიდან აცილების შესაძლებლობა“.[333]

333. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კანალასი რუმინეთის წინააღმდეგ (Kanalas v. Romania), განაცხადი N20323/14, 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენი.

DOSSIER MÉDICAL
Allergie au latex

ჯანდაცვა

6.1 ჯანდაცვის სერვისის მიწოდება
6.2 ჯანდაცვის პერსონალის საკონსულტაციო ვალდებულებები
6.3 გადაუდებელი და სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება
6.4 წამების ნიშნების დოკუმენტირება და შეტყობინება
6.5 ეთიკური და პროფესიული სტანდარტები
6.6 სამედიცინო დოკუმენტაცია

6

6. ჯანდაცვა

01 ყველა ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე და, როდესაც სახელმწიფო პირს თავისუფლებას აღუკვეთს, ის იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს მკურნალობა და დაიცვას და ხელი შეუწყოს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ სიჯანსაღეს და კეთილდღეობას. შესაბამისად, ხელისუფლებამ სათანადო რესურსი უნდა მიუძღვნას იმის უზრუნველყოფას, რომ ციხეების ჯანდაცვა ადექვატური იყოს, ციხის კონტიგენტის რიცხოვნობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ციხეში მყოფებს უფლება აქვთ მიიღონ ჯანდაცვის იგივე სტანდარტი, როგორიც ციხის მიღმა საზოგადოებაში არის უზრუნველყოფილი. ისევე როგორც საზოგადოებრივ სექტორში, ჯანდაცვის სისტემის ყველა თანამშრომლის უმთავრესი ვალდებულება პაციენტებზე ზრუნვა და მათი მკურნალობაა, მათი სამედიცინო საჭიროებების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. მათი ფუნდამენტური ეთიკური ვალდებულებაა პაციენტის ავტონომიას და საუკეთესო ინტერესებს პატივი სცეს; შეაფასოს, ხელი შეუწყოს, დაიცვას და გააუმჯობესოს პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და თავიდან აიცილოს მათთვის ზიანის მიყენება.

ციხის ჯანდაცვის ინსტიტუტიური მოწყობა დაწესებულებებს შორის, შესაძლოა, განსხვავდებოდეს, მაგრამ შტატი აუცილებლად უნდა მოიცავდეს ექიმებს, ექთნებს, ფსიქიატრებს, ფსიქოლოგებს და სტომატოლოგებს. ციხის კონტიგენტის მიხედვით, სხვა სპეციალისტებიც, შესაძლოა, იყონ საჭირო, როგორიცაა მეანები, გინეკოლოგები და პედიატრები. გარკვეული დაავადებების ან მდგომარეობების, თუ სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი ხდება პატიმრების ტრანსპორტირება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ან სპეციალიზებულ კლინიკაში. „მანდელას წესების“ განახლებისას, განხორციელდა ჯანდაცვასთან დაკავშირებული დებულებების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის, სამედიცინო ეთიკის საკითხებზე. განახლებული წესები იძლევა კონკრეტულ სახელმძღვანელო პრინციპებს ციხეებში ჯანდაცვის სერვისების ორგანიზებასთან და ჯანდაცვის პერსონალის კონკრეტულ ვალდებულებებსა და ფუნქციებთან დაკავშირებით. ამასთანავე, „წესები“ უფრო დეტალურად განიხილავს ფსიქიკური აშლილობების ან სხვა სპეციფიკური ჯანდაცვის საჭიროებების მქონე პირთა პრობლემების მოგვარების საკითხებს. „წესები“ ასევე იმეორებს ჯანდაცვის პერსონალის მხრიდან წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის აბსოლუტურ აკრძალვას და მათ ვალდებულებას მათთვის ცნობილი შემთხვევების დოკუმენტირებასა და შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინებასთან დაკავშირებით.

შესაბამისი წესები: ჯანდაცვა

წესი24:

1. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს პატიმრების ჯანმრთელობაზე.პატიმრები უნდა სარგებლობდნენ ჯანდაცვის სფეროს იმავე სტანდარტების მომსახურებით, რაც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. მათ უნდა ჰქონდეთ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა უფასოდ და სამართლებრივი სტატუსის გამო დისკრიმინაციის გარეშე.

2. ციხის სამედიცინო მომსახურების ორგანიზება უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროსთან მჭიდრო კონტაქტში და იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას პატიმრის უწყვეტი მკურნალობა, მათ შორის აივ, ტუბერკულოზის და სხვა ინფექციური დაავადებების, ასევეწამალდამოკიდებულებ ისარსებობის შემთხვევაში.

წესი25:

1. ყველა დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ჯანდაცვისსამსახური, რომლის საქმიანობაც მოიცავს პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასებას, ხელშეწყობას, დაცვას და გაუმჯობესებას. საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდეს ჯანდაცვის განსაკუთრებულისაჭიროებების მქონე პატიმრებს, ან პატიმრებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც ხელს უშლის მათ სათანადო რეაბილიტაციას.

2.ჯანდაცვის სამსახური უნდა მოიცავდეს საკმარისი რაოდენობით წარმოდგენილკვალიფიციური თანამშრომლებისგან შემდგარინტერდისციპლინურჯგუფს, რომლებიც მოქმედებენ სრული კლინიკური დამოუკიდებლობის საფუძველზე და გააჩნიათ შესაბამისიცოდნა დაგამოცდილება ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში. თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს კვალიფიციური სტომატოლოგის მომსახურებით.

წესი27:

1. სასწრაფო შემთხვევების დროს, ყველა პატიმარმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს სამედიცინო დახმარება. პატიმრები, რომლებსაცსპეციალიზებული მკურნალობა ან ოპერაცია ესაჭიროებათ, უნდა გადაიყვანონ სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან სამოქალაქოსაავადმყოფოში. თუ ციხის სამედიცინო სამსახურს გააჩნია სტაციონარული სამსახური, იგი უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი დაუზრუნველყოფდესპატიმრების შესაბამის მოვლასა და მკურნალობას.

2.აუცილებელია, კლინიკურ გადაწყვეტილებებს იღებდეს მხოლოდ პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალი. დაუშვებელია, ამ გადაწყვეტილების სხვა,არასამედიცი ნოპერსონალისგადაწყვეტილების მიერ გადაწონვა ან უგულებელყოფა.

წესი30: ექიმი ან სხვა კვალიფიციური სამედიცინო სპეციალისტი, მიუხედავად იმისა, ანგარიშვალდებულია თუ არა ის ექიმის წინაშე, ვალდებულია, ციხეში მიღებისთანავე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მომდევნო პერიოდშიც, ნახოს, ესაუბროს და შემოწმება ჩაუტაროსნებისმიერ პატიმარს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

(ა) სამედიცინო საჭიროებების გამოვლენას და მკურნალობისთვის ყველა ზომის მიღებას;

(ბ)ნებისმიერი სახის არასათანადო მოპყრობის გამოვლენას, რომელიც შესაძლოა განხორციელებულიყო შემოსულ პატიმარზედაწესებულებაშიმიღებამდე;

(გ) ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური ან სხვა სახის სტრესისნიშნებისგამოვლენას, რომელიც შესაძლოა პატიმარს დაპატიმრების შედეგად მიეღო, მათ შორის, და არამხოლოდ, თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების რისკი, ნარკოტიკების,მედიკამენტებისან ალკოჰოლის აბსტინენციის შედეგად გამოვლენილი სიმპტომები; ასევე ყველა საჭიროინდივიდუალიზებულიზომების მიღებასდა მკურნალობის კურსის შედგენას;

(დ)ისეთ შემთხვევებში როდესაც არსებობს ეჭვი ან დადასტურებულია პატიმრის მიერ გადამდები დაავადების მატარებლობა, ინფექციის პერიოდის განმავლობაში ასეთი პატიმრების კლინიკური იზოლირებისა და შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფას;

(ე) პატიმრების ფიზიკური მდგომარეობის დადგენას, მათი მუშაობის, ვარჯიშისა და სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვის მიზნით.

წესი31:
ექიმს, ან ზოგ შემთხვევაში სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს ყოველდღიური შესაძლებლობა, მოინახულოს ყველა ავადმყოფი პატიმარი, ყველა პატიმარი, რომელიც უჩივის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს ანდაზიანებას, ასევე ნებისმიერი პატიმარი, რომლის მიმართაცგანსაკუთრებითმიმართულია მათი ყურადღება. ყველა სამედიცინოშემოწმებაუნდა ტარდებოდესსრული კონფიდენციალობის დაცვით.

წესი 33: ექიმი ვალდებულია აცნობოს ციხის დირექტორს ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, როდესაც ის თვლის, რომ პატიმრობის გაგრძელება ან პატიმრობის პირობები ვნებს ან მომავალში ავნებს პატიმრის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

6.1. ჯანდაცვის სერვისის მიწოდება

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანდაცვის საჭიროებების უზრუნველყოფა

02 ახლად შემოყვანილ პატიმრებს, შესაძლოა, ქონდეთ უკვე არსებული, არანამკურნალევი ჯანმრთელობის პრობლემები და/ან არადიაგნოზირებული ფსიქიკური პრობლემები. პატიმრობამ, შესაძლოა, გაამწვავოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. შესაბამისად, პატიმრის მიღებიდან მალევე უნდა მოხდეს მათი გამოვლენა, რათა პატიმარს გაეწიოს სათანადო მკურნალობა. სათანადოდ მართვის გარეშე, იმ პატიმრებსაც კი, ვისაც მიღებისას არ აღენიშნება ჯანმრთელობის პრობლემები, შესაძლოა, განუვითარდეთ გართულებები პატიმრობის პერიოდში, რაც სხვა შემთხვევაში, არ ექნებოდათ.

03 პატიმრები, ხშირად, ღარიბი და მარგინალიზებული წრიდან არიან. როგორც ასეთი, მათ შესაძლოა, ქონოდათ მეტი შეხება გადამდებ დაავადებებთან, არასრულფასოვან კვებასთან და ნაკლებად ქონოდათ ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მათ შესაძლოა, ქონდეთ ნივთიერებების ავადმოხმარების გამოცდილება და დამოკიდებულების უფრო მაღალი ხარისხი. შესაბამისად, ციხეში მათ, შესაძლოა, ქონდეთ აბსტინენციის სიმპტომები. ასევე, ზოგადად, მათ შესაძლოა უგულებელყოფილი ქონდეთ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ისეც შეიძლება, რომ ზოგიერთ პატიმარს პატიმრობამდე, საერთოდ, არასოდეს მიუღია კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, განსაკუთრებით, თუ ისინი მიყრუებული სოფლებიდან არიან.

04 გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, ჰეპატიტი და აივ/შიდსი, დიაგნოსტირება და მკურნალობა ციხეში, ამცირებს დაავადებების გავრცელების რისკს, როგორც ციხეში, ასევე ფართო საზოგადოებაში, რადგან აღარ ხდება მათი გავრცელება პატიმრებს შორის, თანამშრომლებზე, ასევე მნახველებზე და პატიმრის გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში.

როგორ უნდა იყოს ჯანდაცვა ორგანიზებული ციხეებში?

ჯანდაცვის პერსონალის დამოუკიდებლობა

ციხეში მომუშავე ჯანდაცვის პერსონალი დამოუკიდებელი უნდა იყოს ციხის ადმინისტრაციისაგან, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრების კლინიკური და სხვა სამედიცინო შეფასება ეფუძნებოდეს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებს. ციხეში ან პოლიციის სისტემაში მომუშავე ექიმების დამოუკიდებლობის გარანტირებისთვის, ციხის ხელმძღვანელობასთან პირდაპირი იერარქიული ან საკონტრაქტო ვალდებულებაც კი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. უმცროსი სამედიცინო პერსონალი (ექთნები) სამედიცინო ინსტრუქციებს უნდა იღებდნენ პატიმრის მკურნალი ექიმისგან.

დასაქმების პირობების მიუხედავად (საჯარო მოსამსახურეა თუ კერძო კონტრაქტორი), ექიმები ყოველთვის დამოუკიდებელი უნდა იყონ პოლიციის ან ციხის ხელმძღვანელობისგან. WHO და UNODC ამტკიცებენ, რომ ჯანდაცვის პერსონალის დამოუკიდებლობის დაცვისთვის საუკეთესო საშუალებაა იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი დაქირავებული იყონ ჯანდაცვის უწყების მიერ და არა სასჯელის აღსრულების.[334]

მედიკოსთა მსოფლიო ასოციაცია აცხადებს, რომ ექიმებს „უნდა გააჩნდეთ თავისუფლება მიიღონ პროფესიული გადაწყვეტილებები მათი პაციენტების მკურნალობისა და მათზე ზრუნვისას, გარეშე პირების ან მხარეების გაუმართლებელი ზემოქმედების გარეშე“ და რომ „კლინიკური დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ მნიშვნელოვანი, როგორც მაღალი ხარისხის სამედიცინო ზრუნვის არსებითი მდგენელი და ამრიგად, პაციენტისათვის სარგებლის მომტანი, რომლის დაცვა აუცილებელია, არამედ ასევე, როგორც სამედიცინო პროფესიონალიზმის არსებითი პრინციპი“.[335]

თუ ჯანდაცვის პერსონალი არ არის დამოუკიდებელი ციხის მმართველი რგოლისგან, მათ შეიძლება განიცადონ ინტერესთა კონფლიქტი და მეტი ვალდებულება იგრძნონ ციხის ადმინისტრაციის, როგორც დამსაქმებლის მიმართ, ვიდრე პაციენტის მიმართ. მათ ასევე, შესაძლოა, იმოქმედონ უარყოფითი შედეგების შიშით, მათ შორის გათავისუფლების, თუ არ შეასრულებენ ციხის თანამშრომლების თხოვნას და შესაძლოა, თავად დაექვემდებარონ ანგარიშსწორებით ქმედებებს.

ჯანდაცვის პერსონალის დამოუკიდებლობა არსებითი მნიშვნელობისაა პატიმრებისთვის, რათა იგრძნონ ნდობა ჯანდაცვის მიმწოდებლის მიმართ, მათ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ასევე შეეძლოთ ღიად ესაუბრონ და შეატყობინონ წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუ ჯანდაცვის პერსონალი პირდაპირ დასაქმებულია პენიტენციური სამსახურის მიერ, ან თუ ისინი ზედმეტად ემეგობრებიან ციხის თანამშრომლებს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ პატიმრები მათ ენდონ, მითუმეტეს, თუ ციხის პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდნენ.

სახელმწიფოს ვალდებულება

პატიმრებისთვის ჯანდაცვის მომსახურების გაწევა სახელმწიფოს ვალდებულებაა. სახელმწიფოებს ეკისრებათ განსაკუთრებული ზრუნვის ვალდებულება დაკავებულ პირებზე, რადგან პატიმრებს არ გააჩნიათ სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ იყონ ციხის ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული მათი ჯანმრთელობის დაცვისა და ხელშეწყობისთვის. პატიმრები, როგორც ადამიანები, ინარჩუნებენ ჯანმრთელობის უფლებას, როგორც ეს მოცემულია ICCPR-ის მე-12-ე მუხლსა და „პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპების“ მე-9 პრინციპში.

WHO-მ და UNODC-იმ აღნიშნეს, რომ „პატიმართა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის ყველა შესაბამისი უწყების და რესურსის მართვა და კოორდინაცია სრულებით სახელმწიფოს მოვალეობაა და, რომ „ჯანდაცვის სამინისტროები უნდა უწევდნენ ჯანდაცვის მომსახურებას ციხეებში და იყონ ამისთვის ანგარიშვალდებულნი, ითხოვდნენ ჯანსაღი საპატიმრო პირობების შექმნას“.[336]

ჯანდაცვის ექვივალენტობა

ჯანდაცვის სპეციალისტებს ეკისრებათ ვალდებულება ექვივალენტური ზრუნვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ჯანდაცვის იმავე სტანდარტის უზრუნველყოფას პატიმრისთვის, რაც ციხის გარეთ შეიძლება მიიღოს. როგორც განმარტებულია „გაეროს პრინციპებში სამედიცინო ეთიკის შესახებ“, „ჯანდაცვის პერსონალი, განსაკუთრებით კი ექიმები, რომელთაც აკისრიათ პატიმრებზე და დაკავებულებზე სამედიცინო ზრუნვის

---

334. „კარგი მმართველობა ციხეების ჯანდაცვაში 21-ე საუკუნეში: პოლიტიკის ნარკვევი ჯანდაცვის ორგანიზების შესახებ“, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), 2013.

335. „სეულის დეკლარაცია პროფესიული ავტონომიისა და კლინიკური დამოუკიდებლობის შესახებ“, მედიკოსთა მსოფლიო ასოციაციის 59-ე გენერალური ასამბლეა, 2008 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-seoul-on-professional-autonomy-and-clinical-independence.

336. „კარგი მმართველობა ციხეების ჯანდაცვისათვის 21-ე საუკუნეში, UNODC და WHO, op. cit., შენიშვნა 334, გვ. viii.

ვალდებულება, ვალდებულია დაიცვას მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და უმკურნალოს მათ იმავე ხარისხით და სტანდარტით, როგორც ეს უზრუნველყოფილია იმ პირთათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ პატიმრებს და დაკავებულებს".[337]

თუ ციხეების ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის ისეთივე სტანდარტი, როგორც ეს გარე სამყაროშია ხელმისაწვდომი, მაშინ მათ უნდა შეეძლოთ დაასაქმონ საკმარისი რაოდენობის სათანადოდ მომზადებული პერსონალი. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ციხეების ჯანდაცვის პერსონალის ხელფასები და სამუშაო პირობები და გარანტიები საკმარისად კარგი იქნება კვალიფიციური კადრების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად. ექვივალენტური ზრუნვის უზრუნველყოფისთვის, ციხეების ჯანდაცვის სამსახურები ასევე სათანადოდ უნდა იყოს აღჭურვილი და დაფინანსებული.

წესი 24(1) ნათლად განსაზღვრავს, რომ პატიმრებს უფასოდ უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საჭირო ჯანდაცვის მომსახურებაზე. გაეროს პრინციპთა ერთობლიობა ანალოგიურად ადგენს, რომ პატიმრის საწყისი სამედიცინო შემოწმების შემდეგ, „სამედიცინო ზრუნვა და მკურნალობა საჭიროებისამებრ უნდა იქნეს გაწეული". ეს ზრუნვა და მკურნალობა უფასოდ უნდა გაეწიოს.

ზრუნვის უწყვეტობა

ზრუნვის უწყვეტობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ციხეში მიღებისას, არამედ ასევე გათავისუფლებისას და, ზოგადად, უფრო ადვილია მისი მართვა, როდესაც პატიმრების განაწილება ხდება მათ საცხოვრებელთან ახლოს.

ზრუნვის უწყვეტობის უზრუნველყოფის მოთხოვნა ასევე მოიცავს პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო მართვასა და გადაცემას. წესი 26(2) ნათლად აკონკრეტებს, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია უნდა გადაეგზავნოს მიმღები დაწესებულების ჯანდაცვის სამსახურს, როდესაც ხდება პატიმრის გადაყვანა და დაექვემდებაროს სამედიცინო კონფიდენციალობას.

როდესაც, სპეციფიური სამედიცინო მდგომარეობის მქონე პირები თავისუფლდებიან ციხიდან, ჯანდაცვის სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ საჭიროებენ თუ არა ისინი მედიკამენტებით უზრუნველყოფას იმ დროის გათვალისწინებით, რაც მათ დასჭირდებათ ვიდრე მიიღებენ დამატებით სამედიცინო კონსულტაციებსა და მედიკამენტების რეგულარულ მარაგს.

ექვივალენტური ზრუნვის პრინციპი არ გულისხმობს იმას, რომ ციხეებს აქვთ ნაკლები ვალდებულება პატიმრების მიმართ იმ ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც არ არსებობს ადგილობრივი ჯანდაცვის დაწესებულებები, ან სადაც ჯანდაცვის სერვისი, განსაკუთრებით ცუდი ხარისხისაა.

ზრუნვის უწყვეტობის უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური გზა ციხეებში ჯანდაცვის სერვისის მიწოდების ვალდებულების ეროვნული ჯანდაცვის უწყებისთვის დაკისრებაა. თუ ეს შეუძლებელია, ამ შემთხვევაში მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს სამოქალაქო და ციხეების ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერებს შორის.

სპეციფიური ტრენინგი ციხის თანამშრომლებისა და ჯანდაცვის პერსონალისთვის

ციხეებში ჯანდაცვის საჭიროებებზე ადექვატური რეაგირებისათვის, ციხის პერსონალიც და ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებიც, შესაძლოა, საჭიროებდნენ სპეციფიურ მომზადებას და მხარდამჭერ სერვისებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რთული სამუშაო პირობების გათვალისწინებით, რომელიც ჯანდაცვის პერსონალს, შესაძლოა, ქონდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, განსაკუთრებით, შორს მდებარე დაწესებულებებში.

ციხის ჯანდაცვის პერსონალმა უნდა გაიაროს მომზადება პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არასათანადო მოპყრობისთაობაზე შეტყობინების საკითხებში, მათ შორის ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც ასეთი ფაქტები, შესაძლოა, მოხდა ციხის გარეთ და გამოვლინდა დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას. ამ მიზნით, ჯანდაცვის მთელ პერსონალს უნდა მიეწოდოს „სტამბოლის ოქმის" ასლი და გადამზადდეს მისი გამოყენების საკითხებში. UNSPT-მ კონკრეტულად მიუთითა, რომ სამედიცინო შემოწმება „უნდა განხორციელდეს გარეშე პირების დაუსწრებლად, ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ, რომელიც მომზადებულია დაზიანებების აღწერისა და შეტყობინების საკითხებში, მოიცავს დამოუკიდებელ და სრულ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შემოწმებას და შედეგები კონფიდენციური უნდა იყოს პოლიციის თუ ციხის პერსონალისგან და მათი გაზიარება მოხდეს მხოლოდ პატიმართან ან/და მის ადვოკატთან, „სტამბოლის ოქმის" მიხედვით".[338]

ჯანდაცვის მთელმა პერსონალმა უნდა გაიაროს მომზადება ადამიანის უფლებების და სამედიცინო ეთიკის საკითხებზე, მათ შორის, პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებული გამოწვევებისა და სირთულეების თაობაზე.

76(დ) წესის მიხედვით, ციხის ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს მომზადება პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, ხშირად, ისინი ახდენენ პირველად რეაგირებას ჯანმრთელობის გადაუდებელი მდგომარეობის დროს.

წესი 76(დ) ასევე მოითხოვს, რომ ყველა თანამშრომელმა გაიაროს მომზადება პატიმრების ფსიქო-სოციალურ საჭიროებებზე, სოციალური ზრუნვისა და დახმარების საკითხებზე, მათ შორის, ფსიქიკური აშლილობების ადრეულ აღმოჩენაზე. ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის **პირველი თავის 167-220-ე აბზაცები** უფრო დეტალურად ეხება პერსონალის მომზადების და განვითარების საკითხებს.

---

337. „სამედიცინო ეთიკის პრინციპები რელევანტური ჯანდაცვის პერსონალის, განსაკუთრებით, ექიმების, როლისთვის პატიმართა და დაკავებულების დასაცავად წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ", გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 37/194, 18 დეკემბერი 1982 წ., პრინციპი 1.

338. ანგარიში წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის ვიზიტის თაობაზე ყირგიზეთში, თებერვალი 2014, CAT/OP/KGZ/1, 57-ე აბზაცი.

05 პატიმრის თავდაპირველი სამედიცინო სკრინინგი იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობას, სუიციდის და თვითდაზიანების რისკის მქონე პატიმრების გამოვლენისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი ნიშნების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება, რადგან სუიციდისა და თვით-დაზიანების რისკი ჩვეულზე მაღალია პატიმრობის პირველ დღეებში. ამასთანავე, ამგვარი რისკების ადრეულმა იდენტიფიკაციამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სუიციდის/თვითდაზიანების მეთვალყურეობის საჭიროების მქონე პატიმართა უსაფრთხო და სათანადო კლასიფიკაციას და ზედამხედველობას.

06 საწყისი სამედიცინო სკრინინგი საშუალებას აძლევს სამედიცინო პერსონალს გამოავლინოს და დააფიქსიროს დაზიანებები, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესაძლო ნიშნების ჩათვლით.

07 დაწესებულებაში მიღებიდან, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადებში სამედიცინო სპეციალისტის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს იმას, რომ პატიმრები ადრე არსებული დაავადებებით, მიიღებენ საჭირო ზრუნვას და წვდომას შესაბამის მედიკამენტებსა და მკურნალობაზე. ახლად მოყვანილ პატიმრებს თან, სავარაუდოდ, არ ექნებათ მედიკამენტები, ან შესაძლოა, იყონ დეზორიენტირებულები და სტრესში, რომ საჭირო დროს და დოზით მიიღონ მედიკამენტები. ასევე, შესაძლოა, ციხის სამედიცინო სამსახურს დასჭირდეს გარკვეული დრო, ცალკეული ტიპის და რაოდენობის სამედიცინო მარაგების შესაძენად და ინდივიდუალურად პატიმრებისთვის მისაწოდებლად.

08 გადამდები დაავადებების[339] იდენტიფიცირება უნდა მოხდეს, მკურნალობა გაეწიოთ და სხვა საჭირო ზომები გატარდეს, ციხეში ამგვარი დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის. ციხეებში გადამდები დაავადებების გავრცელების რისკი მაღალია, ადამიანების დიდი რაოდენობის დახურულ სივრცეში ყოფნის გამო. გადატვირთულობა ამწვავებს ინფექციების გავრცელების რისკს და ზრდის სნეულებათა უგულებელყოფის ალბათობას. პატიმრებს ასევე, შესაძლოა, აღენიშნებოდეთ მაღალი რისკის ქცევა, წამალმოხმარების, თვით-ტატუირების და დაუცველი სქესობრივი კავშირების ჩათვლით, რაც ციხეშიც შეიძლება გაგრძელდეს და ხელი შეუწყოს დაავადებათა გავრცელებას.

09 პატიმრებს უფრო მაღალი ალბათობით უვითარდებათ ფსიქიკური აშლილობები, დახურულ სივრცეში ყოფნის გამო. ამგვარი განვითარებები, შეძლებისდაგვარად მალე უნდა გამოავლინონ, რათა პატიმარს სათანადო მკურნალობა გაეწიოს.

10 საკმარისი ოდენობით, მაღალი კვებითი ღირებულების მქონე საკვების, უსაფრთხო სასმელი წყლისა და ფიზიკური ვარჯიშისთვის სათანადო შესაძლებლობის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, რაც ძალიან ხშირია პენიტენციურ სისტემაში, წარმოადგენს დამატებით ფაქტორებს ჯანმრთელობის გაუარესებისთვის. ცუდი სანიტარული პირობები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ზრდის კანის და პარაზიტულ დაავადებათა რისკს; მზის სინათლის, სუფთა ჰაერის, გათბობისა და ვენტილაციის ნაკლებობა, ასევე სერიოზულ გავლენას ახდენს პატიმრის ჯანმრთელობაზე.

11 ერთობლივ წერილში, რომელიც მიმართული იყო გაეროს ნარკოტიკების კომისიის 52-ე სესიის თავმჯდომარისადმი, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე და ასევე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ჯანმრთელობის უფლების საკითხებზე აღნიშნეს, რომ „ტკივილის და ტანჯვის შესამსუბუქებლად კონტროლირებად მედიკამენტებზე წვდომის უზრუნველყოფის პრობლემა ემუქრება ჯანმრთელობის და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტურ უფლებებს“.[340]

რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

12 ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ართულებს რეაბილიტაციას ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. ამგვარი აშლილობების მქონე პატიმრებს უჭირთ ნორმალური, სტაბილური დასაქმების და ბინის შოვნა, მათი უნარი ციხის გარე სამყაროსთან წარმატებულად გაიარონ ადაპტაცია შეზღუდულია, განსაკუთრებით, თუკი მათი სნეულებები თუ აშლილობები არ არის დიაგნოსტირებული ან/და ნამკურნალევი.

13 ჯანმრთელობის პრობლემების დროული გამოვლენა და სათანადო მკურნალობა, ნარკოტიკული და ალკოჰოლდამოკიდებულების, ფსიქიკური აშლილობების და ძალადობის ვიქტიმურობის ჩათვლით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პატიმართა წარმატებულ რეაბილიტაციაში. იმ დაწესებულებებშიც, სადაც სპეციალიზებული დახმარება ჯერ არ არის უზრუნველყოფილი, პატიმართა სპეციფიური საჭიროებების გამოვლენა ხელს უწყობს ინდივიდუალური რეაბილიტაციის პროგრამებისთვის საჭირო ინფორმაციის შეკრებას. მას, ასევე შეუძლია,

339. „გადამდები ან ინფექციური დაავადებები შეიძლება გავრცელდეს ერთი ადამიანიდან მეორეზე , პათოგენური მიკროორგანიზმების საშუალებით, როგორიცაა, ბაქტერიები, ვირუსები, პარაზიტები და სოკოები. განმარტებულია Health topics: Infectious Diseases-ის მიერ („ჯანდაცვის თემები: ინფექტიური დაავადებები“), WHO ხელმისაწვდომია: www.who.int/topics/infectious_diseases/en; და „ჯანდაცვის თემები: ინფექციური დაავადებები“, WHO ევროპა, ხელმისაწვდომი www.euro.who.int/en/health-topics/communicable-diseases.

340. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე, „ანგარიში ადამიანის უფლებათა საბჭოს მიმართ“, 1 თებერვალი 2013 წ., A/HRC/22/53, 56-ე აბზაცი.

უფრო ზოგადად, წაადგეს პატიმართა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის საჭიროებებს, კლასიფიკაციის და განთავსების, ოჯახთან კონტაქტის, შესაფერისი სამუშაოს და გადამზადების პროგრამების თვალსაზრისით.

ციხეების მართვა და რესურსების დაგეგმვა

14 პატიმრის დაწესებულებაში მიღებიდან მალევე მისი ჯანდაცვის საჭიროებების გამოვლენა ეხმარება ციხის ადმინისტრაციებს ჯანდაცვის მომსახურების, პერსონალის გამოყოფის და სხვა რესურსების დაგეგმვაში, პატიმართა სპეციალური დიეტის საჭიროებების ჩათვლით. ის ასევე ეხმარება ციხის ხელმძღვანელობას დაგეგმოს ტრანსპორტირების, კადრების გამოყოფის და სხვა ლოჯისტიკური საკითხები საავადმყოფოებში გეგმიური ვიზიტებისთვის.

15 ჯანდაცვის (შესაძლო) პრობლემების დიაგნოზირებით, მიღებიდან მალევე, ციხის ადმინისტრაციები ზოგავენ ფინანსურ რესურსს, ავადმყოფობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციის საშუალებით, ასევე გადამდები დაავადებების სხვა პატიმრებზე და თანამშრომლებზე გადადების თავიდან აცილებით.

16 ყოველი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ქონა ეხმარება ციხის ადმინისტრაციას უკეთ დაგეგმოს ინდივიდუალური რეაბილიტაციის პროგრამები, მათ შორის შესაბამისი ტრენინგი და დასაქმების შესაძლებლობები. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებმა ვერ შეძლონ ციხის დასაქმების პროგრამებში ჩართვა, ან ამგვარი პროგრამები უნდა მოარგონ მათ საჭიროებებს.

17 ჯანსაღი ციხის ატმოსფერო ქმნის უფრო ჯანსაღ სამუშაო გარემოს ციხის თანამშრომლებისთვის, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

კონტექსტი: ციხეებში ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების ფუძემდებლური პრინციპები [6.1]

დაცვა

პატიმრობა არ უნდა ზრდიდეს პატიმართა ავადობის რისკს.

ზრუნვის ექვივალენტობა

ციხეში ხელმისაწვდომი ჯანდაცვა უნდა იყოს საზოგადოებრივ სექტორში ხელმისაწვდომი ჯანდაცვის ექვივალენტური.

უფლება უმაღლეს შესაძლო ჯანდაცვის სტანდარტზე

ყველა ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზაციისთვის, სამედიცინო დაწესებულებები, სამედიცინო პროდუქტი და მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი საკმარისი ოდენობით, ყველასთვის დისკრიმინაციის გარეშე, სამედიცინო პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად და კულტურასთან თავსებადი. ისინი ასევე უნდა იყოს მეცნიერულად და სამედიცინო თვალსაზრისით სათანადო და კარგი ხარისხის.[341]

დამოუკიდებლობა

ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ იმოქმედონ სრული კლინიკური დამოუკიდებლობის პირობებში და მკურნალობისას იხელმძღვანელონ პაციენტის საჭიროებებიდან გამომდინარე. კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ სამედიცინო საფუძვლებით და არ უნდა გადაწონოს ან უგულებელყოს არასამედიცინო პერსონალის გადაწყვეტილებებმა (წესი 28(2)). ეს ასევე მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებას გადაუდებელი ან სპეციალიზებული მკურნალობისა და ოპერაციული ჩარევის საჭიროებასთან დაკავშირებულ შემთხვევებშიც.

დისკრიმინაციის აკრძალვა

24(1)–ე წესში აღნიშნულია, რომ პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საჭირო ჯანდაცვის მომსახურებაზე, მათი სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, რომელიც მე–2 წესშია მოცემული, ასევე გამოიყენება ჯანდაცვასთან მიმართებაშიც. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა პატიმარმა ერთნაირი მკურნალობა მიიღოს, არამედ ნიშნავს იმას, რომ პატიმართა სხვადასხვა ჯგუფს უნდა გაეწიოს სათანადო ჯანდაცვის მომსახურება მათი საჭიროებების საფუძველზე, გენდერ–სენსიტიური ჯანდაცვის ჩათვლით.

341. „CESCR ზოგადი კომენტარი No. 14: უფლება ჯანდაცვის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე (მე-12-ე მუხლი)“, დამტკიცებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის 22-ე სესიაზე 2000 წლის 11 აგვისტოს, E/C.12/2000/4, ხელმისაწვდომია: www.refworld.org/pdfid/4538838d0.pdf.

კონფიდენციალობა

პატიმრებს უნდა შეეძლოთ ჯანდაცვის მომსახურების მიღება სრულიად უსაფრთხოდ და კონფიდენციურად.

ინფორმირებული თანხმობა

მკურნალობასა და მედიკამენტების მიწოდებაზე თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი ასევე თანაბრად უნდა მოქმედებდეს საპატიმროებში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებთან კავშირი და ზრუნვის უწყვეტობა

ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებს მჭიდრო ურთიერთობა უნდა ქონდეთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადმინისტრაციასთან, მკურნალობისა და ზრუნვის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს ვალდებულება

სახელმწიფო ვალდებულია გაუწიოს პატიმრებს უფასო მკურნალობა და დაიცვას და ხელი შეუწყოს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

პრაქტიკაში განხორციელება

საწყისი სამედიცინო სკრინინგი

18 გაეროს პრინციპთა ერთობლიობის 24-ე პრინციპი „მანდელას წესების“ მსგავსად ითვალისწინებს, რომ „სათანადო სამედიცინო შემოწმება უნდა შესთავაზონ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაწესებულებაში მიღებიდან რაც შეიძლება მალე“. ყოველთვის არ იქნება შესაძლებელი მიღებიდან მალევე ყველა პატიმრისთვის სამედიცინო სკრინინგის ჩატარება, განსაკუთრებით, თუ ერთბაშად პატიმართა დიდი ჯგუფის შემოყვანა ხდება დაწესებულებაში. CPT-მ დააზუსტა, რომ „რაც შეიძლება მალე“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.[342]

19 როდესაც ხდება არასათანადო მოპყრობის გამოვლენა, რომელიც, შესაძლოა, განხორციელდა ციხეში დაკავებულის მიღებამდე, მათ შორის სექსუალურ ან/და ოჯახში ძალადობა, ფსიქოლოგიური ან სხვა სტრესის ნიშნები და სუიციდის/თვითდაზიანების რისკი, მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სპეციალისტები გაესაუბრონ პატიმარს მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელი თუ წარსული მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ნიშნების დაფიქსირებისა და შეტყობინების მიმართ მოთხოვნებზე შეგიძლიათ იხილოთ ამ სახელმძღვანელოს **პირველი თავის 161-162-ე აბზაცებში, მე-3 თავის 77-83-ე აბზაცებში და მე-6-ე თავის 76-101-ე აბზაცებში**.

20 პოზიტიურ პრაქტიკას წარმოადგენს ფსიქოლოგის ჩართვა საწყის სამედიცინო შეფასებებში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ნიშნები და სუიციდის/თვითდაზიანებისკენ მიდრეკილება ყოველთვის არ არის აშკარა.

21 სტრესის და სხვა ფსიქიკური აშლილობების, ასევე სუიციდის ან თვითდაზიანების რისკის, ნარკოტიკული ან ალკოჰოლური დამოკიდებულების შეფასება, უნდა შეადგენდეს პატიმართა ზოგადი საჭიროებებისა და რისკების შეფასების შემადგენელ ნაწილს და უნდა აისახოს პატიმრის სამედიცინო ისტორიაში.

22 თავდაპირველი სამედიცინო სკრინინგი უნდა მოიცავდეს ტუბერკულიოზის სისტემატიურ სკრინინგს და პატიმრებს უნდა შეეთავაზოთ ნებაყოფლობითი ტესტირება სხვა გადამდებ დაავადებებზე (როგორიცაა „აივ“ ან ჰეპატიტი „ბ“ ან „ც“).

23 საწყისი შემოწმებისას, ციხის თანამშრომლებმა უნდა შეამოწმონ მისადგომობის უზრუნველყოფის ზომების გატარება ხომ არ არის საჭირო იმისათვის, რომ პატიმრის შეზღუდულ შესაძლებლობებს მიუსადაგონ არსებული ინფრასტრუქტურა. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის შეზღუდულ შესაძლებლობებს, როგორიცაა ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული შეზღუდული შესაძლებლობები.

342. წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), „CPT-ის 23-ე ზოგადი ანგარიში“ – CPT/Inf (2013) 29“, ევროპის საბჭო, 6 ნოემბერი 2013, 73-ე აბზაცი, ხელმისაწვდომია: www.refworld.org/docid/528490ba4.html.

24 შესაძლოა, კვალიფიციურმა ექიმმა ყოველთვის ვერ შეძლოს თავდაპირველი სამედიცინო სკრინინგის ჩატარება. ამგვარ შემთხვევებში, სკრინინგი უნდა ჩაატაროს კვალიფიციურმა მედდამ. თუმცა, მედდები ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ ციხის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ და მათი ყურადღება მიაქციონ ჯანმრთელობის პრობლემებით თუ დაზიანებებით შემოსულ პატიმრებს.

25 თითოეულ დაწესებულებაში საკმარისი რიცხოვნობის კვალიფიციური პერსონალის ყოლის ვალდებულება, როგორც ამას ითვალისწინებს წესი 25(2), უნდა მოიცავდეს საწყისი სამედიცინო სკრინინგის ჩატარებისთვის საჭირო კადრების რაოდენობას.

26 თუ პატიმრის დაბრუნება ხდება საპოლიციო პატიმრობაში მათი სისხლის სამართლის საქმის შემდგომი გამოძიების მიზნებისთვის, მას ასევე უნდა გაეწიოს სამედიცინო სკრინინგი ციხეში დაბრუნებიდან რაც შეიძლება მალე. ეს წარმოადგენს ძირითად დაცვის გარანტიას წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, აღიარების და განცხადებების იძულების რისკის გამო, რაც, ხშირად, არასათანადო მოპყრობის და თვით წამების საშუალებით ხორციელდება. ციხის თანამშრომლებისვე ინტერესშია, რომ გამოავლინონ ამგვარი დარღვევები, რათა შეცდომით თავად მათ არ დაბრალდეთ არასათანადო მოპყრობაში მონაწილეობა.

27 ჯანდაცვის პერსონალმა თითოეულ ახლად მიღებულ პატიმარს უნდა გაუხსნას სამედიცინო ისტორია. ამ საკითხზე უფრო ვრცლად მოცემულია ამ სახელმძღვანელოს **მე-6 თავის 125-132-ე აბზაცებში**.

კონტექსტი: აივ ტესტირება[343] [6.2]

აივ ტესტირების და კონსულტირების შეთავაზება ციხეში წარმოადგენს პოზიტიურ პრაქტიკას, თუმცა ის არასოდეს არ უნდა იყოს სავალდებულო.

აივ/შიდსით მცხოვრები პატიმრების იზოლირება არ წარმოადგენს აუცილებლობას, ვინაიდან ინფექცია, როგორც წესი, არ გადაეცემა ყოველდღიური ფიზიკური კონტაქტით, არამედ ან დაუცველი სქესობრივი კავშირით, ან დაბინძურებული ნემსებით. ამ რისკის მოგვარება შესაძლებელია ზიანის შემცირებაზე ინფორმაციის და შესაბამისი საშუალებების მიწოდებით, როგორიცაა პრეზერვატივები, ჩანაცვლებითი მკურნალობა ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირთათვის და სუფთა საინექციო მასალები.

აივ/შიდსით მცხოვრები პატიმრები არ წარმოადგენენ რისკს სხვა პატიმრებისათვის, თუ პატიმრები კარგად არიან ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ როგორ დაიცვან თავი და არიან კარგად აღჭურვილი პრევენციისა და ზიანის შემცირების სათანადო საშუალებებით. უფრო მეტიც, როდესაც აივ ინფიცირებულებს უტარდებათ ანტირეტროვირუსული თერაპია, რომელიც ანელებს აივ ინფექციის გავრცელებას ორგანიზმში, აივ დადებითი პატიმრები აღარ არიან გადამდები და აღარ წარმოადგენენ აივ რისკს მესამე პირთათვის.

შრომისთვის შესაბამისობის დადგენა

28 შრომისთვის შესაბამისობის დადგენა უნდა ტარდებოდეს ინდივიდუალურად, პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც ფასდება მათი უნარი შეასრულონ კონკრეტული სამუშაო ამოცანები.

29 შრომისთვის შესაბამისობის დადგენის მოთხოვნა ნახსენებია 4(2)-ე წესში, რომელიხ აზუსტებს, რომ ყველა პროგრამა, აქტიობა და სერვისები უნდა განხორციელდეს პატიმართა ინდივიდუალური რეაბილიტაციის საჭიროებების შესაბამისად.

30 წესები 96-დან 103-მდე ვრცლად განსაზღვრავს მსჯავრდებული პატიმრების შრომის პირობებს. 96-ე წესი აზუსტებს, რომ მათ უნდა გააჩნდეთ შრომის ან რეაბილიტაციაში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობა, „რაც დაექვემდებარება ფიზიკური და ფსიქიკური ვარგისობის განსაზღვრას ექიმის ან სხვა კვალიფიციური ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ“.

ჯანდაცვის მიმდინარე მომსახურება

31 „მანდელას წესები“ ნათლად განსაზღვრავს, რომ ჯანდაცვის სპეციალისტებმა უნდა მოინახულონ, ესაუბრონ პატიმრებს, ჩაუტარონ მათ სამედიცინო შემოწმება, არა მხოლოდ მიღებისას, არამედ შემდეგაც, საჭიროებისამებრ. ყველა პატიმართან სრული წვდომისათვის, სამედიცინო პერსონალი უნდა იყოს ინფორმირებული მათი ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, დისციპლინური სანქციების მოხდის პერიოდში.

32 პატიმრებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა ითხოვონ სამედიცინო დახმარება და კონფიდენციურად ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით. მათ არ უნდა უწევდეთ მიზეზის დასახელება ჯანდაცვის სპეციალისტის სანახავად. ჯანდაცვის ორგანიზების საკითხების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ საერთო საცხოვრებლებში უფრო რთულია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კონფიდენციალობა. თავიდან უნდა იქნეს აცილებული „მეკარეების“ ჩართვა, როგორიც არიან საკნის ლიდერები ან ციხის თანამშრომლები, იმ პროცესებში, რომლებიც საჭიროა პატიმრების მიერ ექიმის სანახავად.

33 სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველთვის, მაშინაც კი როდესაც საკნები დაკეტილია და პერსონალის რაოდენობა შემცირებული. ეს, განსაკუთრებით, ღამის საათებში, უქმეებზე და ეროვნულ დღესასწაულებზე შეიძლება იყოს პრობლემური. მოთხოვნა, რომ ჯანდაცვის მომსახურება მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი ასევე უკავშირდება პერსონალის – როგორც ციხის ოფიცრების, ასევე ჯანდაცვის პერსონალის, ადექვატური რაოდენობის მუდმივად უზრუნველყოფის საჭიროებას.

34 ციხის თანამშრომლებმა უნდა აცნობონ ჯანდაცვის პერსონალს, თუ მიიჩნევენ, რომ კონკრეტულ პატიმარს სამედიცინო დახმარება ესაჭიროება.

35 ციხის ხელმძღვანელობამ ციხის დასაქმების, ტრენინგის თუ სხვა აქტიობების პროგრამაში ჩართულ პატიმრებს ნება უნდა დართოს მიიღონ ჯანდაცვის მომსახურება, თუნდაც მუშაობდნენ ექიმების მიღების საათებში.

343. აივ ტესტირებასა და ციხეებში აივ-ის შესახებ დამატებით იხილეთ: „აივ პრევენცია, მკურნალობა და მოვლა ციხეებში და სხვა დახურულ დანესებულებებში: ინტერვენციების სრული პაკეტი“, UNODC/WHO/UNDP/ILO/UNAIDS, ივნისი 2013; „კონსოლიდირებული გაიდლაინები ძირითადი პოპულაციის აივ პრევენციაზე, დიაგნოსტირებაზე, მკურნალობასა და მოვლაზე“, WHO, ივლისი 2014წ., ხელმისაწვდომია: www.who.int/hiv/pub/guidelines/keypopulations/en; „მედიკოსთა მსოფლიო ასოციაციის განცხადება აივ/შიდსის და სამედიცინო პროფესიის შესახებ“, WMA-ს 57-ე გენერალური ასამბლეა, ოქტომბერი 2006 წ. (შეიცვალა 2017 წლის ოქტომბერს) ხელმისაწვდომია: www.wma.net/policies-post/wma-statement-on-hivaids-and-the-medical-profession; გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/HRC/22/53, op. cit., შენიშვნა 340, 71-ე აბზაცი.

36 იმისათვის, რომ ყველა პატიმარს მიუწვდებოდეს ხელი ჯანდაცვის მომსახურებაზე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანდაცვის დაწესებულებების ადგილმდებარეობას. აღნიშნული დაწესებულებები ადვილად მისასვლელი უნდა იყოს, შშმ პირებისთვისაც. იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც მამაკაცებიც და ქალებიც არიან განთავსებული, ან ზრდასრული და არასრულწლოვანი პატიმრები, ან ცალცალკე უნდა იყოს ეს დაწესებულებები, ან ცალკე დროები უნდა დაწესდეს, როდესაც ქალებს და ბავშვებს შეეძლებათ მომსახურების მიღება, მამაკაც და ზრდასრულ პატიმრებთან კონტაქტის გარეშე.

37 ციხის თანამშრომლები არ უნდა მონაწილეობდნენ ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებაში, გარდა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა, თუ ჯანდაცვის პერსონალი არ არის ხელმისაწვდომი.

38 ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სამედიცინო განათლების მქონე პატიმრები მხოლოდ საგანგებო ვითარებაში იყვნენ სხვა პატიმრების სამედიცინო მომსახურებაში ჩართული, როდესაც ჯანდაცვის პერსონალი არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, ასეთ პატიმრებს შეუძლიათ გაუძღვნენ ჯანდაცვის ცნობიერების ასამაღლებელ პროგრამებს ციხეში ან თავიანთი წვლილი შეიტანონ ასეთი პროგრამების განხორციელებაში.

პოზიტიური პრაქტიკა: ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა [6.3]

სერბეთში, ციხეებში საერთო საცხოვრებელი საკნების უმეტესობას აქვს საგანგაშო ზარები იმისთვის, რომ პატიმრებმა შეძლონ გამოიძახონ ზედამხედველები, სამედიცინო დახმარების მისაღებადაც.

სისტემა ბელგიაში, რომელსაც PrisonCloud ეწოდება, საშუალებას აძლევს პატიმრებს საკნებიდან ჩაეწერონ ექიმთან ვიზიტზე. უსაფრთხო, ონლაინ სისტემა, საშუალებას აძლევს პატიმრებს სამედიცინო პროცედურებისთვის დაჯავშნონ ვიზიტები და სხვა საკითხები მოაგვარონ საკანში არსებული კომპიუტერიდან, ვორქფლოუ სისტემის გამოყენებით. მესიჯები კონფიდენციურია და მხოლოდ სამედიცინო პერსონალს აქვთ წვდომა მათთვის გაგზავნილ ინფორმაციაზე.

საფრანგეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის (ნპმ) რეკომენდაციის შემდეგ, საფრანგეთის ციხეების უმეტესობაში არის სპეციალური საფოსტო ყუთები, რომლებიც საშუალებას აძლევს პატიმრებს ითხოვონ სამედიცინო კონსულტაციები კონფიდენციალობის სრული დაცვით. მხოლოდ სამედიცინო პერსონალს აქვთ ნებართვა გახსნას ყუთები, რომლებსაც ყოველდღიურად ამოწმებენ.[344]

პოზიტიური პრაქტიკა: თემზე-დაფუძნებული ჯანდაცვა და პირველადი დახმარება [6.4]

თემზე დაფუძნებული ჯანდაცვა და პირველადი დახმარების პროგრამა, თავდაპირველად, შემუშავდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო საზოგადოებების ფედერაციის მიერ, მსოფლიოში თემებში დასაფუძნებლად. ირლანდია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც შემოიღო აღნიშნული პროგრამა ციხეებში და დღეის მდგომარეობით ქვეყნის14-ვე ციხეში მოქმედებს, ირლანდიური წითელი ჯვრის მოხალისე პატიმრების ჯგუფების საშუალებით.[345]

პროგრამა მუშაობს ირლანდიის წითელი ჯვრის, ირლანდიის პენიტენციური სამსახურის და საგანმანათლებლო ტრენინგის საბჭოების თანამშრომლობის ფორმატში. პროგრამის ფარგლებში, მოხალისე პატიმრების ჯგუფები თითოეულ ციხეში, ესწრებიან ყოველკვირეულ ტრენინგ სესიას 4-დან 6 თვემდე პერიოდის განმავლობაში. როდესაც პატიმრები დაასრულებენ პროგრამის საზოგადოებრივი შეფასების მოდულს, მათ შეუძლიათ იმუშაონ თანასწორებთან, ციხის პერსონალის ხელშეწყობით, პატიმრების ცნობიერების ამაღლებაზე და პროექტების განხორციელებაზე, რომელთა მიზანია პატიმართა ზოგადი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება.

პროგრამამ მოიცვა 577 მოხალისე პატიმარზე მეტი 2009 წლიდან და ყოველდღიურად, 4000 პატიმრისთვის მოაქვს სარგებლობა. პროგრამის ფარგლებში წარმატებით განხორციელებული პროექტებია:

- **პერსონალური, საკნის და ციხის ჰიგიენის თაობაზე ინფორმირებულობის ამაღლება, ხელების კარგად დაბანის ტექნიკების ჩათვლით;**
- **ტუბერკულოზის, სეზონური გრიპის, ზამთრის ენტეროვირუსების, ჰეპატიტის, კვების, ვარჯიშის, პირის ღრუს ჰიგიენის, სისხლის წნევის გაზომვის მნიშვნელობის და ქოლესტერინის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;**
- **აივ და შიდსის თაობაზე ინფორმირება და სტიგმის საწინააღმდეგო კამპანიის გატარება, ნებაყოფლობითი აივ ტესტირების ჩათვლით;**
- **ზედოზირების პრევენციის პროგრამები;**
- **პატიმრების მიერ სიგარეტის მოწევის შეწყვეტის დახმარების კურსები;**
- **ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ ინფორმირებულობის კურსები, მათ შორის, თვითდაზიანებისა და სუიციდის პრევენციის რისკების თაობაზე;**
- **მამაკაცთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირების ხელშეწყობა;**
- **ვარჯიშისა და წონის დაკლების პროექტები;**
- **მუშაობა ხანდაზმული პატიმრების მოსავლელად, რომელიც მოიცავს „საკვების მიწოდებას ბორბლებზე“, საკნის დასუფთავებას და სოციალურ აქტიობებს.**

344. ODIHR/PRI-ის რეგიონული კონსულტაცია 2017 წლის 19 და 20 აპრილს, op. cit. შენიშვნა 278.
345. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.redcross.ie/CBHFA.

6.2. ჯანდაცვის პერსონალის სარეკომენდაციო ფუნქციები

შესაბამისი წესები: ჯანდაცვის პერსონალის სარეკომენდაციო ფუნქცია-მოვალეობები

წესი 35:

1. აუცილებელია, ექიმი ან კომპეტენტური საჯარო სამედიცინო ორგანო რეგულარულად ახდენდეს დირექტორის ინსპექტირებას და უწევდეს მას კონსულტაციას შემდეგ საკითხებზე:

(ა) საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და მიწოდება;

(ბ) დაწესებულების და პატიმრების ჰიგიენა და სისუფთავე;

(გ) ციხის სანიტარული პირობები, ტემპერატურა, განათება და ვენტილაცია;

(დ) პატიმრების ტანსაცმლის და ლოგინის მდგომარეობა და სისუფთავე;

(ე) ფიზიკური განათლებისა და სპორტის შესახებ წესების დაცვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი აქტიობებისთვის არ არის ცალკე გამოყოფილი ტექნიკური პერსონალი;

2. ციხის დირექტორი ვალდებულია გაითვალისწინოს 33-ე წესის და ამ წესის პირველი ნაწილის შესაბამისად მომზადებული რჩევა და ანგარიშები და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები რჩევებსა და ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების ეფექტური აღსრულებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რჩევა ან რეკომენდაცია სცდება დირექტორის კომპეტენციას, ან იგი არ იზიარებს მათ, დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარადგინოს საკუთარი ანგარიში და ექიმის ან კომპეტენტური საჯარო სამედიცინო ორგანოს რჩევა ან რეკომენდაციები ზემდგომ ორგანოში.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

39 გარდა იმისა, რომ პატიმრების მკურნალობა უნდა უზრუნველყონ, ციხის ადმინისტრაციები ასევე პასუხისმგებელი არიან იმაზე, რომ პატიმრების საპატიმრო პირობები და ყოველდღიური ცხოვრება უარყოფითად არ მოქმედებდეს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ბევრი პატიმარი ციხის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული, სხვათა შორის, სანიტარიის, ნორმალური საკვების და სასმელი წყლის უზრუნველყოფისთვის, იმისათვის რომ შეინარჩუნონ ან გაიუმჯობესონ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

40 პატიმრობის პირობებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. მათ, ვისაც უკვე არსებული ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, დიდი ალბათობით, გაუუარესდებათ მდგომარეობა და შესაძლო გართულებები ექნებათ, განსაკუთრებით, თუ ცუდ პირობებში იმყოფებიან და არა აქვთ წვდომა საკმარისი ოდენობის ნოყიერ საკვებზე და სუფთა სასმელ წყალზე. მათ, ვინც არის ჯანმრთელი ციხეში შემოყვანისას, შეიძლება განუვითარდეთ ჯანმრთელობის პრობლემები, თუ ციხის პირობები არ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის შენარჩუნების ძირითად სტანდარტებს.

41 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის პერსონალს შეეძლოს ციხის დირექტორის ინსპექტირება და მისთვის რჩევების გაწევა საპატიმრო პირობებზე და პატიმრების საბაზისო ნივთებით უზრუნველყოფაზე, ვინაიდან პატიმრებს თავად შეიძლება არ ქონდეთ ამის მოთხოვნის საშუალება, ან ეშინოდეთ ანგარიშსწორების, თუ მოთხოვნას ან საჩივარს წარადგენენ. ციხის ადმინისტრაციებს ასევე უკეთ შეეძლებათ ეფექტური რეაგირების მოხდენა ნებისმიერი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, თუ აღჭურვილი იქნებიან ჯანდაცვის პერსონალის მიერ მოწოდებული რეკომენდაციებით.

პრაქტიკაში განხორციელება

42 პატიმართა საპატიმრო პირობების შეფასებისას მათ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, სამედიცინო სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პატიმართა მდგომარეობას, რომლებსაც ჯანმრთელობის განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, მათ შორის, ორსულ ქალებს და მეძუძურ დედებს, ბავშვებს, რომლებიც დედებთან იმყოფებიან ციხეში, არასრულწლოვან პატიმრებს, ხანდაზმულ პატიმრებს და სხვებს, რომელთაც სპეციფიური ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აღენიშნებათ.

43 იმისათვის, რომ სამედიცინო პერსონალს შეეძლოს პატიმრობის ყველა ასპექტის ეფექტური ინსპექტირება და რეკომენდაციების გაწევა, ციხის ჯანდაცვის სამსახურს უნდა ყავდეს პერსონალი, რომელსაც აქვს სათანადო მომზადება გავლილი კვების, სანიტარიის, ფიზიკური კულტურის და სხვა სპეციალიზებულ საგნებში. თუ ციხის პერსონალს არ გააჩნია ამგვარი ცოდნა და გამოცდილება, მათ უნდა შეეძლოთ გარეშე ექსპერტების რეკომენდაციების მიღება.

44 პატიმრობის პირობების შეფასებისას, ჯანდაცვის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს საპატიმრო დაწესებულების ყველა ობიექტის ინსპექტირება, სადაც პატიმრები არიან განთავსებული, მათ შორის, სამარტოო საკანში დისციპლინური სახდელის მოხდის პირობები. ინსპექტირება ასევე უნდა მოიცავდეს ციხის ყველა არეს, სადაც პატიმრები იმყოფებიან, მათ შორის, კვების მომზადების და სასადილო ბლოკები, ციხის მაღაზია, სამედიცინო, საჩხრეკი და სამუშაო არეები, ტრენინგების ოთახები და ბიბლიოთეკა.

45 საპატიმრო პირობების შეფასებისას, ჯანდაცვის პერსონალმა უნდა გაითვალისწინოს 12-23-ე წესები, რომლებიც იძლევა სახელმძღვანელო პრინციპებს ციხეში ცხოვრების იმ ასპექტებზე, რაც გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, როგორიცაა საცხოვრებელი პირობები, პირადი ჰიგიენა, ჩასაცმელი და საწოლი თეთრეული, საკვები, ვარჯიში და სპორტი. მაგალითად, წესი 13 აზუსტებს, რომ „ყველა საცხოვრებელი არე, რომელსაც პატიმრები იყენებენ და განსაკუთრებით, ძილისთვის განკუთვნილი უნდა პასუხობდეს ჯანდაცვის მოთხოვნებს, სათანადო ყურადღება ექცეოდეს კლიმატურ პირობებს და განსაკუთრებით, ჰაერის მოცულობას, მინიმალურ საცხოვრებელ ფართს, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას“.

46 ისინი, ვინც დაწესებულების სადგომების ინსპექტირებას ახდენს, უნდა ითვალისწინებდნენ ასევე ყველა იმ არეს შეფასების საჭიროებას, სადაც ციხის პერსონალი იმყოფება, მათი საცხოვრებელი და შეხვედრის ოთახების გათვალისწინებით.

47 ჯანდაცვის პერსონალს უნდა მიეწოდებოდეს მონაცემები პატიმრების შესაბამის საჩივრებზე, ისე რომ შეძლონ ინსპექტირება მიმართონ პრობლემურ საკითხებზე, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, საკვების ხარისხისა და ოდენობის საკითხებზე საჩივრები.

პოზიტიური პრაქტიკა: პატიმრების კვების გაუმჯობესება [6.5]

საქართველოში2015 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ და შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს შორის ხელი მოეწერა ერთობლივ ბრძანებას, რომლითაც დადგენილია სტანდარტები პატიმართა კვების საჭიროებებთან დაკავშირებით, მათ შორის, სპეციალური დიეტის მოთხოვნები. ბრძანება არეგულირებს თუ დღეში რამდენჯერ უნდა იკვებონ პატიმრებმა, კვებითი ღირებულებები და მოიცავს პატიმართა სხვადასხვა ჯგუფისთვის დადგენილ კვების ცალკეულ სტანდარტებს: არასრულწლოვნებისათვის, ორსული და მეძუძური ქალებისთვის. ის ასევე ითვალისწინებს სპეციალური ჯანდაცვის საჭიროებების მქონე პირებს, დიაბეტით, ღვიძლის დაავადებების და კუჭ-ნაწლავის პრობლემების მქონე პირთა საჭიროებებს.[346]

6.3 სასწრაფო გადაუდებელი და სპეციალიზებული ზრუნვა

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

48 სამედიცინო დახმარების სწრაფად მიღება გადაუდებელ შემთხვევებში არსებითი მნიშვნელობისაა სიკვდილის ან სერიოზული ჯანმრთელობის გართულებების პრევენციისთვის ციხეში. სასწრაფო გადაუდებელი გამოკვლევის, მკურნალობისა და ქირურგიული ჩარევის უმრავლესი შემთხვევის მართვა შეუძლებელია ციხეში და საჭიროებს პატიმრის გადაყვანას სპეციალიზებული დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში.

49 როდესაც ხდება სპეციალიზებული ჯანდაცვის საჭიროებების გამოვლენა ადრეულ სტადიაზე და შესაბამის გარეშე ჯანდაცვის პერსონალთან გადამისამართება, ციხის ჯანდაცვის სამსახურებზე ტვირთი და პატიმრის ჯანმრთელობაზე გრძელვადიანი გავლენა მცირდება.

346. საქართველოს კანონის, პატიმრობის კოდექსის 23-ე მუხლი www.ombudsman.ge/uploads/other/1/1476.pdf.

პრაქტიკაში განხორციელება

50 ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებას სრული სტაციონარული მომსახურება აქვს და სპეციალიზებული პერსონალი ყავს, თუმცა სხვა დაწესებულებებს შეუძლიათ მხოლოდ საბაზისო ჯანდაცვის მომსახურების გაწევა. შესაბამისად, მათ უწევთ პატიმრების გადაყვანა გარეშე ჯანდაცვის პერსონალთან უფრო ხშირად სასწრაფო გადაუდებელი და სპეციალიზებული მკურნალობისთვის.

51 პატიმრებისთვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების, სპეციალიზებული მკურნალობისა თუ ოპერაციული ჩარევის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფისთვის, ციხის ადმინისტრაციებმა უნდა დაამყარონ მჭიდრო კონტაქტი სამოქალაქო სექტორის ჯანდაცვის სამსახურებთან და სხვა ჯანდაცვის პროვაიდერებთან. ამგვარი კავშირები ასევე მნიშვნელოვანიაზრუნვის უყვეტობის უზრუნველსაყოფად.

52 ახალი პენიტენციური დაწესებულებების დაგეგმვისას, ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს ციხის კონტიგენტის შესაძლო სამედიცინო საჭიროებები და მათი მოგვარების გზები, ახალ ციხეში შესაბამისი მომსახურების დაგეგმვით, ან იმის უზრუნველყოფით, რომ დაწესებულება ახლოს იყოს განთავსებული არსებულ ჯანდაცვის დაწესებულებებთან, ან ისეთ ადგილას, სადაც ადვილად და სწრაფად შეიძლება ჯანდაცვის დაწესებულებებთან გზის საშუალებით მისვლა.

53 გადაუდებელი ჯანდაცვის საჭიროების მქონე პატიმრების ტრანსპორტირებისას, გადასაყვანად გამოსაყენებელი ეტაპის ავტომობილებში უნდა იყოს გადაუდებელი სამედიცინო აღჭურვილობა და პატიმარს თან უნდა მიყვებოდეს ჯანდაცვის სპეციალისტი.

54 როგორც აღნიშნულია ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის **მე-5 თავის 129-141-ე აბზაცებში**, ციხის დირექტორმა უნდა შეატყობინოს შესაბამის პირებს, როდესაც პატიმრის გადაყვანა ხდება სამედიცინო დაწესებულებაში.

55 პატიმრებს უნდა მიეცეთ უფლება, რომ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, მათი საავადმყოფოში ან კლინიკაში სამკურნალოდ გადაყვანისას, წესი 19(3)-ის შესაბამისად. ეს მნიშვნელოვანია მათი ღირსების შენარჩუნებისა და ზედმეტი ყურადღებისგან დასაცავად.

კონტექსტი: წამალდამოკიდებულებასთან დაკავშირებით პრევენციული ჯანდაცვა [6.6]

საერთაშორისო ნარკოპოლიტიკის კონსორციუმის მიერ შემუშავებული „ნარკოპოლიტიკის სახელმძღვანელო“ იძლევა მთელ რიგ რეკომენდაციას ციხის ხელმძღვანელობისთვის, ნარკოდამოკიდებულების პრობლემის მქონე პატიმრების მკურნალობასთან დაკავშირებით, ინფექციებისა და ზედოზირების პრევენციის ჩათვლით, აღნიშნავს რა, რომ ციხის ხელმძღვანელობას, ხშირად, უწევს ნარკოდამოკიდებულების გამო ჯანმრთელობის საკითხების უკიდურეს ასპექტებთან გამკლავება.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „ციხის ხელმძღვანელობა, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს ციხეებში ნარკოტიკების მოხმარების პრევენციაზე, მკაცრი უსაფრთხოების წესების და ნარკოტესტირების პროგრამების საშუალებით, მაშინ როდესაც, ნაკლები ყურადღება ექცევა და მცირე რესურსი ეთმობა ჯანდაცვის მომსახურების გაწევას, წამალდამოკიდებულების მკურნალობას და ზიანის შემცირების პროგრამებს. „...ამავდროულად, პრაქტიკა ცხადყოფს მთელ რიგ პრობლემებს, რაც უკავშირდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობისა და პრევენციის სერვისებიდან ფინანსური და საკადრო რესურსების გადატანას, რაც უარყოფითად მოქმედებს ციხის რეჟიმზე და ქმნის იმის რისკს, რომ პატიმრები გადაერთონ უფრო მავნე ნარკოტიკულ საშუალებებზე, რადგან მათი ტესტირება არ ხდება ან უფრო ძნელი აღმოსაჩენია“.[347]

UNODC, საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (ILO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), WHO გაეროს ერთობლივი პროგრამა აივ/შიდსზე (UNAIDS) რეკომენდაციას იძლევიან, რომ არსებობდეს 15 ინტერვენციის ყოვლისმომცველი პაკეტი ციხეებში და სხვა დახურულ დაწესებულებებში აივ პრევენციისა და ზრუნვა–მკურნალობისთვის. ვრცელი ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე მოცემულია ნარკოპოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტში და მოკლედ მოცემულია ქვემოთ:

განათლება და ინფორმაცია

ბევრი პატიმარი არ არის ინფორმირებული ჯანმრთელობის და ინფექციების რისკების შესახებ, რაც მათ ემუქრება. პატიმრებს ფართოდ უნდა მიეწოდოთ მარტივი ინფორმაცია ინფექციებზე და იმ ნაბიჯებზე, რაც პატიმრებმა უნდა გადადგან საკუთარი თავის და სხვების დასაცავად, მათი ენობრივი უნარებისა და განათლების დონის შესაბამისად. ზოგიერთი ციხის ადმინისტრაცია იყენებს საგანმანათლებლო ვიდეოებს ან ლექციებს, პატიმართა ინფორმირებისათვის.

347. „ნარკოპოლიტიკის სახელმძღვანელო“, ნარკოპოლიტიკის საერთაშორისო კონსორციუმი, მე-3-ე გამოცემა, 2016 წ., გვ. 101, ხელმისაწვდომია: fileserver.idpc.net/library/IDPC-drug-policy-guide_3-edition_FINAL.pdf.

ვაქცინაციის პროგრამები

არსებობს ეფექტური ვაქცინები „ბ“ ჰეპატიტისგან დასაცავად. პატიმრობის პერიოდი კი კარგი შესაძლებლობაა, ადამიანების წასახალისებლად, რომ გაიკეთონ აღნიშნული ვაქცინა (ბევრ პატიმარს არასოდეს უსარგებლია პრევენციული ჯანდაცვის სერვისებით საზოგადოებაში ყოფნისას). ვაქცინა მოიცავს ორ ინექციას, რომელიც ექვსი თვის შუალედით კეთდება. ციხის ადმინისტრაციები ჰეპატიტის ვაქცინაციის პროგრამაში რთავენ წამალდამოკიდებულ პატიმრებს, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ჯგუფს და მათი მონაცემებით, ეს პატიმრები აქტიურად მონაწილეობენ და იცავენ პროგრამის მოთხოვნებს.

უსაფრთხო სქესობრივი კავშირის ზომების ხელმისაწვდომობა

ბევრი ციხის ადმინისტრაცია უშვებს პრეზერვატივების შემოტანას და პატიმრებში გავრცელებას, რითაც მათ დაცვის საშუალებას სთავაზობს, როგორც ეს საზოგადოებაშია მიღებული. დამატებითი ზომები ასევე მოიცავს, ინფორმაციის მიწოდებას, საგანმანათლებლო და კომუნიკაციის პროგრამების შეთავაზებას პატიმრებისა და პერსონალისათვის სქესობრივად გადამდებ დაავადებებზე, ნებაყოფლობით კონსულტირებას და ტესტირებას პატიმრებისათვის, ან ზომებს გაუპატიურების, სქესობრივი ძალადობისა და იძულების პრევენციისთვის.

ნემსებისა და შპრიცების პროგრამა

პროგრამები, რომლებიც გულისხმობს სუფთა საინექციო მასალის მიწოდებას მათთვის, ვინც ინექციურ ნარკოტიკებს იღებს, ეფექტურია აივ და ჰეპატიტის ინფექციების პრევენციისთვის. თუმცა, ამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ციხეებში შემოღების სურვილი არ არსებობს. ამის მიუხედავად, კვლევებმა აჩვენა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ციხეებში შემოღებულია ნემსისა და შპრიცის პროგრამა, შედეგები პოზიტიურია და საინექციო მასალის პატიმრებს შორის საზიარო მოხმარება, დიდწილად, შემცირდა.

ნარკოტიკული ზედოზირების პრევენცია

ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრები წარმოადგენენ ძალიან მაღალი რისკის ჯგუფს, განსაკუთრებით, უშუალოდ გათავისუფლების შემდგომ პერიოდში. ნარკოდამოკიდებული პირები ციხეში ყოფნისას ამცირებენ მოხმარებას, მათ ნარკოტიკული საშუალებებისადმი ტოლერანტობა უქრებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ორგანიზმს აღარ შეუძლია იმ დოზების ატანა, რომელსაც მიჩვეული იყვნენ დაპატიმრებამდე. შესაბამისად, თუ გათავისუფლების შემდეგ ისინი იმავე დოზების მიღებას განაახლებენ, ზედოზირებისა და სიკვდილის მაღალი რისკის წინაშე აღმოჩნდებიან. შესაბამისად, ზედოზირების პრევენციის პროგრამები მიმართული უნდა იყოს პატიმრებზე და მოიცავდეს ინფორმაციის, ცნობიერების ამაღლებას და პრაქტიკულ ზომებს, როგორიცაა ნალტროქსენის გავრცელება, რომელიც წარმოადგენს მედიკამენტს ოპიატების ეფექტის დროებითი დაბლოკვის ფუნქციით.

ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა და რეაბილიტაცია

ციხეები, ზოგჯერ, წარმოადგენს საჭირო ადგილს, სადაც შესაძლებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობის პროგრამების მთელი სპექტრის განხორციელება, ნივთიერებებზე დამოკიდებულებისა და დანაშაულების მანკიერი ციკლის დასაძლევად.

---

56 ნარკოტიკული დამოკიდებულების სამკურნალო და რეაბილიტაციის პროგრამების გარდა, უნდა არსებობდეს ინტეგრირებული ზრუნვის მოდელი პატიმრებში ალკოჰოლური პრობლემების დასაძლევად.[348]

ქალი პატიმრები, ფეხმძიმობა და მშობიარობა

57 „ბანგკოკის წესები“ (წესები 6-18) „მანდელას წესებთან“ ერთად დამატებით სახელმძღვანელო პრინციპებს ადგენს ციხეში ქალებისა და მათი შვილებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, ნათლად ადგენს რა, რომ ქალთა სპეციფიური ჯანდაცვის საჭიროებები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოს პრე და პოსტ-ნატალური ზრუნვით. „ბანგკოკის წესების“ 48-ე წესი ასევე იძლევა დამატებით ინფორმაცის ფეხმძიმე ქალების, მეძუძური დედების და ციხეში შვილებთან ერთად მცხოვრები დედების კვებით საჭიროებებზე.[349] დედებთან მცხოვრები ბავშვების მდგომარეობაზე უფრო ვრცლად წერია ამ სახელმძღვანელოს მე-3 თავის 63-87-ე აბზაცებში.

58 ქალი პატიმრების ჯანდაცვის საჭიროებებზე ადექვატური რეაგირებისთვის, გენდერ-სპეციფიური სერვისების მიწოდებაა საჭირო, სექსუალური და რეპროდუქციული ზრუნვისა და პრევენციული ჯანდაცვის ჩათვლით. ქალებში, როგორც წესი, მაღალია წამალდამოკიდებულების და ფსიქიკური დაავადებების მაჩვენებლები მაღალია, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ჯანდაცვის პერსონალის დაკომპლექტებისას. „ბანგკოკის წესების“

---

348. უფრო ვრცლად იხილეთ, მაგ: „ალკოჰოლის პრობლემები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში: ინტერვენციის შესაძლებლობა“, ავტორები: Lesley Graham, Tessa Parkers, Andrew McAuley და Lawrence Doi, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), ევროპის რეგიონული ოფისი, 2013 წ.

349. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: „სახელმძღვანელო დოკუმენტი გაეროს ბანგკოკის წესების შესახებ“, PRI/მართლმსაჯულების ტაილანდის ინსტიტუტი, op. cit., 138-ე შენიშვნა.

მე-15 წესი ადგენს, რომ ციხის ჯანდაცვის სამსახურმა უნდა მიაწოდოს ან ხელი შეუწყოს სპეციალიზებული სამკურნალო პროგრამის განხორციელებას, რომელიც განკუთვნილია წამალდამოკიდებულების მქონე ქალი პატიმრებისათვის, მათი წარსულში ძალადობის ვიქტიმურობის, ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვიანი ქალების სპეციალური საჭიროებების, ასევე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა სპეციფიკის გათვალისწინებით. ქალ პატიმრებს, მამაკაც პატიმრებთან შედარებით, უფრო ხშირად აღენიშნებათ უკვე არსებული ჯანმრთელობის პრობლემები, საზოგადოებაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ბარიერების არსებობის გამო.

შესაბამისი წესები: ქალი პატიმრები, ფეხმძიმობა და მშობიარობა

წესი 28: ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე საცხოვრებელი ფეხმძიმე და მშობიარე ქალების (პრე-ნატალური და პოსტ-ნატალური) მოვლისა და მკურნალობისათვის. იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, შესაბამისი სამზადისი უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მშობიარობა მოხდეს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. თუ ბავშვი იბადება ციხეში, ეს არ უნდა იყოს დაფიქსირებული მის დაბადების მოწმობაში.

იხ. აგრეთვე „ბანგკოკის წესები“ 5,15, 39 და 48.

59 ქალი პატიმრების მაღალ პროცენტულ რაოდენობას ცხოვრების მანძილზე არაერთგზის მძიმე ძალადობა განუცდია, იქნება ეს ოჯახში ძალადობა თუ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა, ასევე საპატიმროში ყოფნისას სექსუალური და გენდერული ძალადობის მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.

60 თუ ქალი პატიმარი ითხოვს, რომ მას სამედიცინო შემოწმება ჩაუტაროს მდედრობითი სქესის ჯანდაცვის სპეციალისტმა, ასეთ შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქალი ექიმი ან მედდა, როცა ეს შესაძლებელია. თუ მდედრობითი სქესის ექიმი, ან ექთანი არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ მამრობითი სქესის ექიმის მიერ შემოწმებას უნდა ესწრებოდეს მდედრობითი სქესის ციხის თანამშრომელი. ამის გათვალისწინებით, ქალთა პენიტენციურ დაწესებულებებში საკმარისი რაოდენობით მდედრობითი სქესის ჯანდაცვის სპეციალისტი უნდა დაინიშნოს.

61 ქალებს აქვთ უფლება უარი თქვან ვაგინალურ გასინჯვაზე და ასევე უარი თქვან მათი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე. არცერთ ვითარებაში არ უნდა იქნეს დაშვებული ქალი პატიმრების „შემოწმება ქალიშვილობაზე“ („ბანგკოკის წესები“, წესი 8).

62 ქალი პატიმრები უფასოდ უზრუნველყოფილი უნდა იყონ საკმარისი რაოდენობის ჰიგიენური პაკეტებით („ბანგკოკის წესები“, წესი 5), როგორც მათი გენდერ-სპეციფიური ჰიგიენის და ჯანდაცვის განუყოფელი ნაწილი და ასევე მათი ღირსების პატივისცემის მიზნებში.

ბავშვები ციხეში

63 როგორც გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე აღნიშნავს, „კვლევებმა ცხადყო, რომ რაც უნდა პირობებში იმყოფებოდნენ ბავშვები, პატიმრობა ღრმა და ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე. პატიმრობის ძალიან მოკლე პერიოდიც კი საზიანოა ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობისთვის და იწვევს მისი კოგნიტიური განვითარების შეფერხებას. პატიმრობაში მყოფ ბავშვებს აქვთ პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის რისკი და უვლინდებათ ისეთი სიმპტომები, როგორიცაა უძილობა, ღამის კოშმარები და ენურეზი. უმწეობისა და იმედგაცრუების განცდები ვლინდება საკუთარი თავის ან სხვის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობაში. ბავშვებზე პატიმრობის გავლენის შესახებ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ბავშვებში მაღალია სუიციდის, მისი მცდელობის და თვითდაზიანების რისკის, ფსიქიკური აშლილობებისა და განვითარებაში შეფერხებების, მათ შორის, მძიმე მიჯაჭვულობის მაჩვენებლები.[350]

64 ციხეში მყოფ ყველა ბავშვს სათანადოდ უნდა ჩაუტარდეს გასაუბრება და ფიზიკური შემოწმება ექიმის ან კვალიფიციური მედდის მიერ, დაწესებულებაში მიღებიდან, შეძლებისდაგვარად, ხანმოკლე დროში, სასურველია მიღების დღესვე. გოგოების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გინეკოლოგის და ქალთა ჯანდაცვაზე განათლების ხელმისაწვდომობა.[351]

65 როგორც გოგო, ასევე ბიჭი არასრულწლოვანი პატიმრები, შესაძლოა, რთული ოჯახური ან სოციალური გარემოდან იყვნენ. ისინი, შესაძლოა, იყვნენ სექსუალური ან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლი და აღენიშნებოდეთ წამალდამოკიდებულება, ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ საჭიროებები. ზოგიერთი მათგანი არის სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი. ახალგაზრდა პატიმრები, ასევე იმყოფებიან არასათანადო მოპყრობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, მაღალი რისკის ქვეშ ციხეებში.

66 „ბანგკოკის წესები“ 38 და 39 ეხება არასრულწლოვანი ქალი პატიმრების სპეციფიური ჯანდაცვის საჭიროებებს, როგორიცაა ასაკობრივი და გენდერ-სპეციფიური პროგრამებისა და სერვისების საჭიროება, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის კონსულტირების

350. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/HRC/28/68 (2015), op. cit., შენიშვნა 132, აბზაცი 33.
351. იმავე დოკუმენტში, აბზაცი 28; „ბანგკოკის წესები“, op. cit., შენიშვნა 28, წესები 6-18.

ჩათვლით. ეს განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი ქალი პატიმრების საჭიროებები ხშირად უგულებელყოფილია, ციხეების სისტემაში მათი მცირერიცხოვნობის გამო.

67 ციხის ადმინისტრაციებმა უნდა უზრუნველყონ პედიატრების მიერ სპეციფიური მკურნალობისა და ზრუნვის გაწევა გოგო პატიმრების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებით. ეს უნდა მოიცავდეს სექსუალურ და რეპროდუქციულ განათლებას.

უცხოელი პატიმრები

68 უცხოელი პატიმრების და ასევე იმ პატიმრების, რომლებიც ციხის მთავარ ენაზე არ საუბრობენ, ჯანდაცვის საჭიროებების მოსაგვარებლად, ინფორმაცია არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე უნდა განემარტოთ მათთვის გასაგებ ენაზე, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

69 ვინაიდან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მოითხოვს სპეციფიურ, ტექნიკურ ტერმინოლოგიას უცხო ენაზე, ძალისხმევა უნდა იქნეს გაწეული ჯანდაცვის ისეთი სპეციალისტების დასაქირავებლად, რომელთაც შეუძლიათ კომუნიკაციის დამყარება იმ სხვა ენებზე, რომელიც ციხეში ყველაზე ხშირად გამოიყენება. თუ ეს შეუძლებელია, დამოუკიდებელი თარჯიმნის დახმარება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, პატიმრის თანხმობით. როგორც წესი, სამედიცინო კონსულტირებისას, სხვა პატიმრების თარჯიმნად გამოყენება არ უნდა ხდებოდეს.

ლგბტ პატიმრები

70 ციხის ჯანდაცვის პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი ლგბტ პატიმრების ჯანდაცვის პოტენციურ საჭიროებებზე, მათ შორის, ფსიქიკურ აშლილობებზე და ციხეში მათი არასათანადო მოპყრობის რისკებზე."[352]

71 ჯანდაცვის ექვივალენტობის პრინციპი ასევე გამოიყენება ამ კონტექსტში და ლგბტ პატიმრებს უნდა ქონდეთ სპეციალიზებულ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც ციხის გარეთ საზოგადოებაშია ხელმისაწვდომი, ტრანსგენდერი პირებისთვის სქესის ხელახალი განსაზღვრის ჩათვლით."[353]

ხანდაზმული და ტერმინალური ავადმყოფობის მქონე პატიმრები

72 მრავალ ქვეყანაში ხანდაზმული პატიმრების რაოდენობა იზრდება, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიური ჯანდაცვის საჭიროებები, რაც უკავშირდება, მათი გადაადგილების უნარს (მობილობას), დემენციას, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სხვადასხვა უნარის დაკარგვას, მათ შორის მხედველობის, სმენის და ინტელექტუალური უნარის. ამ პატიმრებს აღენიშნებათ მნიშვნელოვანი დამატებითი ჯანდაცვის საჭიროებები და შესაძლოა, საჭიროებდნენ ხშირ სამედიცინო მონიტორინგს.

73 WHO აღნიშნავს, რომ „მოხუცი პატიმრების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსი უნდა ფასდებოდეს, გერიატრიულ სინდრომზე დაყრდნობით, როგორიცაა სენსორული გაუარესება, ფუნქციური მოშლა, შარდის შეუკავებლობა და კოგნიტური შეფერხებები, რაც ხშირია და თავისებურ რისკებს შეიცავს ციხეებში".[354]

74 ტერმინალური ავადმყოფობის მქონე პატიმრებს ასევე გააჩნიათ ჯანდაცვის საჭიროებები ციხეში, პალიატიური მზრუნველობისა და მუდმივი მონიტორინგის ჩათვლით.

75 პატიმრები, რომლებიც იმყოფებიან ქრონიკული ან ტერმინალური ავადმყოფობის ბოლო ეტაპებზე – მათ შორის, აივ/შიდსის, საჭიროებენ სპეციალიზებულ მკურნალობას ცხოვრების დასასრულს. როგორც WHO აღნიშნავს, ხშირად, ციხეები არ არის სათანადოდ აღჭურვილი ამგვარი მკურნალობის ჩასატარებლად, ციხის პერსონალს არა აქვს შესაბამისი მომზადება გავლილი და არსებული რესურსები და ციხის გარემო არ არის პალიატიური ზრუნვის ხელშემწყობი. ამ მიზეზით, მრავალ პენიტენციურ სისტემაში შემოღებულია ავადმყოფობის საფუძველზე გათავისუფლების პროგრამები, რომლებიც საშუალებას აძლევს ავადმყოფობის ტერმინალურ სტადიაზე მყოფ პატიმრებს, რომ სასჯელის მოხდამდე გათავისუფლდნენ ციხიდან. ვადამდე გათავისუფლების ამგვარი პროგრამები ასრულებს თანაგრძნობით ფუნციას, თუმცა ასევე გაცნობიერებულია, რომ დაავადების ტერმინალურ სტადიაზე მყოფი პატიმრების სამოქალაქო სექტორში მკურნალობამ, შესაძლოა, სიცოცხლის გახანგრძლივება გამოიწვიოს.[355]

352. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ „სახელმძღვანელო სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების შესახებ", UNODC, op. cit., შენიშვნა 87, გვ. 115.

353. იმავე დოკუმენტში, გვ. 117.

354. „ციხეები და ჯანმრთელობა", WHO, 2014, გვ. 165-172.

355. „ჯანდაცვა ციხეებში: WHO-ს სახელმძღვანელო ციხის ჯანმრთელობის არსებით საკითხებზე", op. cit., შენიშვნა 123.

პოზიტიური პრაქტიკა: ციხეების ადაპტირება ხანდაზმული პატიმრების საჭიროებებისთვის [6.7]

სტატიაში, სახელწოდებით „ხანდაზმული ასაკი გისოსებს მიღმა: როგორ შეიძლება ციხეების ადაპტირება მზარდად ხანდაზმული კონტიგენტის საჭიროებებისათვის“, ორგანიზაცია HelpAge International მიმოიხილავს იმ სირთულეებს, რომლებსაც ასაკოვანი პატიმრები აწყდებიან ციხეებში.[356]

ეს მოიცავს შემდეგს:

- **პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურა, კიბეები, სანიტარულ კვანძებთან მისადგომები და საწოლის ზედა იარუსის საკითხები;**
- **შეუსაბამო რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც უფრო ახალგაზრდა პატიმრებსაა მორგებული;**
- **გათავისუფლების პროგრამები, რომლებშიც, შესაძლოა, არ იქნეს გაითვალისწინებული ასაკოვანი პატიმრების რეინტეგრაციის სირთულეები;**
- **სათანადო ჯანდაცვის სერვისების უქონლობა; და**
- **ყოველდღიური ცხოვრებისეულ აქტიობებში დახმარება, როგორიცაა კვება, ჩაცმა და ტუალეტით სარგებლობა.**

ვატონის დაწესებულებას დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, ყავს ხანდაზმული პატიმრების დიდი კონტიგენტი.[357] მან ქება დაიმსახურა დიდი ბრიტანეთის ციხეების ინსპექტორატის მხრიდან, ასაკოვანი პატიმრების ეფექტურად მართვისა და დახმარების გამო.[358] ეს მოიცავს ციხეებში სხვა პატიმრების მხრიდან დახმარების ორგანიზებას, სოციალური ზრუნვის ადვოკატებისა და ხანდაზმული პატიმრების აქტიობების და სწავლების ჯგუფს (OPAL). OPAL–ის პროექტი ყოველდღიურად მართავს სხვადასხვა აქტიობას, ორგანიზაცია Age UK–ის და „ჯარისკაცებისა და მეზღვაურების ოჯახების ასოციაციის“ (SSAFA) მოხალისეების ხელშეწყობით. ვატონის ციხეში ზოგიერთი განყოფილების ადაპტირება მოხდა კონკრეტულად ხანდაზმული პატიმრების საჭიროებებისათვის, ადაპტირებული სპორტული დარბაზისა და აქტიობების ჩათვლით. ასევე არსებობს დემენციის მქონე პაციენტთა მკურნალობის პალატა, საკონსულტაციო ცენტრი და გათავისუფლებისთვის მომზადების სამსახური ასაკოვანი პატიმრებისთვის. გარდა ამისა, ციხეში ფუნქციონირებს პალიატიური ზრუნვის დაწესებულება და სერვისები.

6.4 წამების ნიშნების დოკუმენტირება და შეტყობინება

76 სახელმწიფოები ვალდებული არიან ჩაატარონ ეფექტური გამოძიება, როდესაც არსებობს ნიშნები იმისა, რომ განხორციელდა წამება ან სხვა არასათანადო მოპყრობა (მუხლი 12, CAT). პოლიტიკის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა უზრუნველყონ წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საჩივრების გამოძიების დაწყება, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ის განხორციელდა, თუნდაც არ არსებობდეს ოფიციალური საჩივარი.[359]

ჯანდაცვის პერსონალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მკურნალობს პატიმარს, რომელმაც მიიღო ფიზიკური ან ფსიქიკური დაზიანება, არამედ იმის გამოც, რომ დაზიანებებისა და მკურნალობის სხვა ნიშნების დოკუმენტირება არის წინაპირობა ეფექტური გამოძიებისა და შემდგომი ანგარიშვალდებულებისათვის.

განსაკუთრებით ციხეში, მხოლოდ ჯანდაცვის პერსონალმა შეიძლება იცოდეს, რომ პატიმარი გახდა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. მათ, შესაძლოა, გამოავლინონ არასათანადო მოპყრობის ნიშნები საწყისი სამედიცინო სკრინინგის ან შემდგომი სამედიცინო შემოწმებების დროს. პატიმრებმა, შესაძლოა, მათ გაანდონ წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის თაობაზე, ან თავად ჯანდაცვის პერსონალმა შენიშნოს წამების ფიზიკური ნიშნები, ფსიქოლოგიური ან ფსიქიკური აშლილობები, რაც იმის მანიშნებელია, რომ პატიმარი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.

---

356. იხილეთ „ხანდაზმულობა გისოსებს მიღმა: როგორ ახდენენ ციხეები ადაპტირებას მზარდი ასაკოვანი კონტიგენტის საჭიროებებთან?“, Bridget Sleap, PRI-ის ბლოგი, 25 სექტემბერი 2014წ., ხელმისაწვდომია: www.penalreform.org/blog/age-bars-prisons-adapt-increasingly-elderly-populations.

357. „ვატონის პენიტენციური დაწესებულებაში წინასწარ შეტყობინების გარეშე განხორციელებული ინსპექტირების ანგარიში“, მისი უდიდებულესობის ციხეების მთავარი ინსპექტორი, 2017 წ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს, ყოველი მეხუთე პატიმარი ვატონის ციხეში იყო 50 წელზე მეტი ასაკის.

358. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.justiceinspectorates.gov.uk/hmiprisons/inspections/hmp-whatton.

359. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შესახებ, შუალედური ანგარიში გენერალურ ასამბლეას, 23 სექტემბერი 2014 წ., A/69/387, 22-ე აბზაცი.

შესაბამისი წესები: წამების ნიშნების დოკუმენტირება და შეტყობინება

წესი 34: თუ პატიმრის მიღების დროს შემოწმებისას, ან შემდგომი სამედიცინო მომსახურების გაწევისას, სამედიცინო პერსონალის მიერ წამების ან სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ გახდა ცნობილი, იგი ვალდებულია დააფიქსიროს და შეატყობინოს ფაქტის შესახებ შესაბამის სამედიცინო, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოს. სათანადო პროცედურული გარანტიების დაცვა არის აუცილებელი, რათა პატიმარს ან მასთან დაკავშირებული პირებს, არ მიადგეთ წინასწარ განჭვრეტადი ზიანი.

იხილეთ ასევე „სტამბოლის ოქმი" (წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო) და გაეროს პრინციპები სამედიცინო ეთიკის შესახებ, რომელიც ეხება ჯანდაცვის პერსონალის როლს, განსაკუთრებით ექიმების, პატიმრებისა და დაკავებულების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისგან დაცვაში.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

არასათანადო მოპყრობის გამეორებითი ფაქტების პრევენცია

77 ციხეში მომუშავე ჯანდაცვის პერსონალს აქვს ეთიკური და პროფესიული ვალდებულება, რომ მოახდინოს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფაქტის, რომლის შესახებაც მათთვის გახდება ცნობილი, დოკუმენტირება და შეტყობინება. მესამე მხარის მიმართ ვერანაირი ვალდებულება ვერ გადაწონის ადამიანის წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისგან დაცვის და ამგვარი შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებას.[360]

78 თუ წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ჩამდენებს, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, ეცოდინებათ, რომ პატიმრებს შეუძლიათ ამგვარი დარღვევების შესახებ ჯანდაცვის პერსონალს გაანდონ და ამან გამოიწვიოს გამოძიება და პასუხისგებაში მიცემა, ამან შესაძლოა ხელი ააღებინოთ ამგვარი ქმედებების განმეორებით ჩადენაზე.

ეფექტური დოკუმენტირება და მსხვერპლთა დახმარება

79 დაზიანებების დოკუმენტირება იძლევა არსებით მტკიცებულებას მსხვერპლის მიერ საჩივრის წარსადგენად და წამებისა და არასათანადო მოპყრობის თაობაზე განცხადების გამოსაძიებლად. ჯანდაცვის სპეციალისტების სწრაფ რეაგირებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების უზრუნველყოფისთვის, რადგან ფიზიკური ნიშნები, შესაძლოა, ხილული იყოს მხოლოდ დროის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში.[361]

80 როდესაც არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირება და შეტყობინება დროულად ხდება, ადვილია მსხვერპლისთვის შესაბამისი მკურნალობის, მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროგრამის უზრუნველყოფა. ეს თანაბრად ეხება მათ, ვინც დაპატიმრებამდე გახდა ძალადობის მსხვერპლი და მათაც, ვინც არასათანადო მოპყრობას პატიმრობის დროს დაექვემდებარა.

პრაქტიკაში განხორციელება

81 ჯანდაცვის პერსონალს აკისრია პროფესიული ვალდებულება, რომ მოახდინოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ნიშნების დოკუმენტირება. მათ უნდა მოიპოვონ მსხვერპლის წინასწარი თანხმობა სამედიცინო შემოწმების ჩატარებამდე და მოახდინონ მისი სრულად ინფორმირება, მათთვის გასაგები სიტყვებით, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესაბამისი უწყებებისთვის შეტყობინების რისკებისა და სარგებლის შესახებ. მსოფლიო მედიკოსთა ასოციაცია თანმიმდევრულად იმეორებს თავის პოლიტიკას ექიმების მოვალეობის შესახებ, რომ დაგმონ მათთვის ცნობილი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის ფაქტები.[362]

---

360. „მედიკოსთა მსოფლიო ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია – სახელმძღვანელო პრინციპები ექიმებისთვის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შესახებ დაკავებასა და პატიმრობასთან მიმართებაში", ასამბლეის 29-ე სხდომა, ოქტომბერი 1975, მუხლი 1: ადგენს, რომ „ექიმმა არ უნდა დაუშვას, ნება არ უნდა დართოს ან მონაწილეობა არ უნდა მიიღოს წამებისა და ასევე სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი პროცედურების სხვა ფორმების გამოყენებაში", მედიკოსთა მსოფლიო ასოციაციის რეზოლუცია წამებისა და სხვა სასტიკი ან არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირებასა და მხილებაში ექიმთა ვალდებულების შესახებ, WMA-ს 54-ე გენერალური ასამბლეა, სექტემბერი 2003 წ., ვრცლად განმარტავს ექიმების ვალდებულებას წამების მტკიცებულებების დაფიქსირების მიმართულებით, ხელმისაწვდომი: www.wma.net/policies-post/wma-resolution-on-the-responsibility-of-physicians-in-the-documentation-and-denunciation-of-acts-of-torture-or-cruel-or-inhuman-or-degrading-treatment.

361. დამატებითი ინფორმაციისათვის სასამართლო-საექსპერტო და სამედიცინო მეცნიერებების როლთან დაკავშირებით წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის და პრევენციის საქმეში, იხილეთ წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი, A/69/387, op. cit., შენიშვნა 359.

362. იხილეთ „WMA-ს რეზოლუცია ექიმთა ვალდებულების შესახებ", op. cit., შენიშვნა 360.

წამების შეტყობინებაზე მსხვერპლის თანხმობა

82 ყველა შემთხვევაში, როდესაც ჯანდაცვის პერსონალი ახდენს არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირებასა და შეტყობინებას, ეს იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ არ შეილახოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალობა იმ ადამიანებთან მიმართებაში, ვისაც ეხება ეს შემთხვევა.

83 არსებობს ეთიკური დილემა იმ შემთხვევებში, როდესაც ჯანდაცვის პერსონალი ცდილობს იპოვოს ბალანსი ინფორმირებული თანხმობის პრინციპსა და წამების შეტყობინების ვალდებულებას შორის. სამედიცინო ეთიკა მოითხოვს ჯანდაცვის პერსონალისგან მიიღონ ინფორმირებული თანხმობა პაციენტებისგან, ვიდრე გადასცემენ მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას სხვას, მათ შორის წამებისა და არასათანადო მოპყრობის დროს მიღებულ დაზიანებებზე. „ბანგკოკის წესები“ (წესი 7), რომელიც ეხება კონკრეტულად ქალ პატიმრებთან მოპყრობას, იძლევა რეკომენდაციას, რომ სამართლებრივი რეაგირება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პატიმარი ქალი თანახმაა ამაზე.

84 თუმცა, CPT-ის რეკომენდაციით, ადამიანის უფლებათა ისეთი შემაძრწუნებელი დარღვევების პრევენციის ინტერესიდან გამომდინარე, როგორიც წამებაა, სავალდებულო შეტყობინება უნდა იყოს წამყვანი პრინციპი იმისათვის, რომ წამება არ დარჩეს გამოვლენის გარეშე და სისტემური ხასიათი არ მიიღოს.[363]

85 „სტამბოლის ოქმში“ შეჯამებულია პოტენციური კონფლიქტი ამ ორ ეთიკურ ვალდებულებას შორის და აღნიშნულია, რომ ექიმებისთვის მორალური არგუმენტი ძლიერია ხილული არასათანადო მოპყრობის მხილებისთვის და დასაგმობად, ვინაიდან პატიმრებს, ხშირად, თავად არ შეუძლიათ ამის ეფექტურად გაკეთება.[364] დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ან ოჯახის წევრების მიმართ ანგარიშსწორების შიშის გამო, პაციენტებმა შეიძლება უარი თქვან ამგვარი მიზნებით შემოწმებაზე თანხმობის მიცემაზე, ან მათ თაობაზე ინფორმაცია მიღებული იქნას შემოწმებიდან, რაც შესაძლოა ეცნობოს სხვებს. „ამგვარ სიტუაციებში, ჯანდაცვის სპეციალისტებს ორმაგი ვალდებულება აკისრიათ: პაციენტისა და ფართო საზოგადოების მიმართ, რომლის ინტერესია უზრუნველყოს, რომ სამართალი აღსრულდება და არასათანადო მოპყრობის ჩამდენები წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე. ზიანის მიყენების თავიდან აცილების ფუნდამენტური პრინციპი აუცილებლად აშკარად უნდა ჩანდეს ამგვარი დილემების გადაწყვეტისას“. [365] ჯანდაცვის სპეციალისტებმა, სანდო ორგანიზაციებთან კონსულტაციით, როგორიცაა ეროვნული მედიკოსთა ასოციაციები ან არასამთავრობო ორგანიზაციები, უნდა იპოვონ გამოსავალი, რომელიც ხელს უწყობს მართლმსაჯულებას და სამართლიანობას, კონფიდენციალობაზე პირის უფლების დარღვევის გარეშე.

86 პატიმართა თანხმობის თხოვნისას, ჯანდაცვის პერსონალმა სათანადოდ უნდა აუხსნას შემდგომი რეაგირების პროცესის თაობაზე და პატიმრებს მისცეს საკმარისი დრო, რომ კარგად მოიფიქრონ თავიანთი გადაწყვეტილება. ჯანდაცვის პერსონალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები, შესაძლოა, იყონ შეშინებული, დარცხვენილი და დაბნეული, შესაბამისად, გაუჭირდეთ პროცესების გაგება ან თანხმობაზე გადაწყვეტილების მიღება. ასევე, შესაძლებელია, რომ მათზე ზეწოლას ახორციელებდნენ, რომ არ გაამჟღავნონ არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ. დამატებითი დაბრკოლებები არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის, იმ განსაკუთრებული სტიგმის და სირცხვილის გამო, რომელიც უკავშირდება სექსუალურ ძალადობას და გაუპატიურებას ბევრ კულტურაში; ასევე პატიმრის მხრიდან სურვილის არქონის გამო, რომ გაიაროს ფიზიკური შემოწმება და დაკითხვა, რაც შესაძლოა, იყოს დამამცირებელი მსხვერპლისთვის (იხ. „ბანგკოკის წესები“. წესი 7).

87 ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მათ, ვინც თავდაპირველად, უარი თქვა თანხმობის მიცემაზე, მოგვიანებით შეიცვალონ გადაწყვეტილება, სხვადასხვა ვარიანტებზე დაფიქრების შემდეგ და თუ ენდობიან ანგარიშსწორებისგან დაცვის გარანტიებს.

88 მათ, ვინც დაექვემდებარა წამებას და სხვა არასათანადო მოპყრობას, არ უნდა ქონდეთ იმის განცდა, რომ მათ აიძულებენ იმოქმედონ საკუთარი ნების წინააღმდეგ, განსაკუთრებით, თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ შეუძლიათ მათი დაცვა ამგვარი მოპყრობისგან, ან საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. თუ თანხმობის გაცემა არ ხდება, ჯანდაცვის პერსონალმა უნდა მოახდინოს ინციდენტის შეტყობინება ანონიმური ინფორმაციით, იმ პირობით, რომ შესაძლებელი იყოს საკმარისი დეტალების მიწოდება მსხვერპლის იდენტიფიცირების გარეშე. ყველა შემთხვევაში, ჯანდაცვის პერსონალის მონაწილეობა საჭიროა არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირებისთვის, თუნდაც არ შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს.

89 როდესაც ამგვარი მოპყრობის შესახებ ახდენს შეტყობინებას, ჯანდაცვის პერსონალმა უნდა შეარჩიოს შეტყობინების გზა, რომელიც, შეძლებისდაგვარად, ამცირებს პატიმრის მიმართ ანგარიშსწორების რისკს (იხ. წესი 34, „შეატყობინონ ამგვარი შემთხვევები უფლებამოსილ

363. „23-ე ზოგადი ანგარიში – CPT/Inf (2013) 29“, op. cit., შენიშვნა 342, 77-80-ე აბზაცები.
364. „სტამბოლის ოქმი“, op. cit., შენიშვნა 205, 72-ე აბზაცი.
365. იმავე დოკუმენტში, აბზაცი 69.

სამედიცინო, ადმინისტრაციულ უწყებას ან სასამართლო ხელისუფლებას") და უზრუნველყონ, რომ ყველა შესაძლო ღონისძიება გატარდეს პატიმრის მიმართ შურისძიებისა და ანგარიშსწორებისგან დასაცავად, არასათანადო მოპყრობის ფაქტის შეტყობინების გამო.

90 „ბანგკოკის წესების" მე-7 წესი განამტკიცებს პოზიციას, რომ „თუ პატიმრობისას ან მანამდე გადატანილი სექსუალური ან ძალადობის სხვა ფორმის არსებობის დიაგნოსტირება მოხდა, პატიმარი ქალი ინფორმირებული უნდა იყოს მისი უფლების თაობაზე, რომ მიიღოს დახმარება სასამართლოს მეშვეობით. პატიმარი ქალი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული საჭირო პროცედურებისა და ეტაპების შესახებ".

91 თანხმობის საკითხთან დაკავშირებით, „ბანგკოკის წესები" განამტკიცებს ჯანდაცვის პერსონალის ვალდებულებას, წინასწარ მიიღოს მსხვერპლის თანხმობა, ვიდრე შეტყობინებას გააგზავნის შესაბამის უწყებაში, აზუსტებს რა, რომ შესაბამისი პერსონალის ინფორმირება უნდა მოხდეს და საქმე გამოსაძიებლად გადაეგზავნოს უფლებამოსილ უწყებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ქალი თანახმაა სამართლებრივ რეაგირებაზე.

ანგარიშსწორებისაგან დაცვა – ჯანდაცვის პერსონალის როლი

92 ადამიანების განზრახ ანგარიშსწორების საფრთხეში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, „სტამბოლის ოქმი" იძლევა წინადადებას, რომ ექიმებმა შეატყობინონ არასათანადო მოპყრობის შესახებ პასუხისმგებელ უწყებას უშუალო იურისდიქციის მიღმა, ან შეტყობინება გააგზავნონ ისე, რომ პირის იდენტიფიცირება არ იყოს შესაძლებელი.[366]

93 წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოსაზრებაა, რომ (სავარაუდო მსხვერპლის) „კონფიდენციალობისა და დაცვის საკმარისად გარანტირებისათვის, დაკავებულთა შესახებ სამედიცინო ანგარიშები, რომელშიც მოცემულია შეტყობინება წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევებზე, წარმოადგენს დაკავებულის საკუთრებას და პირდაპირ უნდა მიემართოს მოსამართლეს, პროკურორს ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად".[367]

94 წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესაბამისი უწყებებისთვის შეტყობინებისას, ჯანდაცვის პერსონალმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ის შედეგები, რაც შეიძლება შეეხოს მათსავე უსაფრთხოებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დამნაშავე ციხის თანამშრომელია.

არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირება და მტკიცებულებების დაცვა

95 CPT-მ განაცხადა, რომ „სამედიცინო სკრინინგის შემდგომ შემუშავებული ანგარიში...უნდა მოიცავდეს: i) პირის მიერ გაკეთებული განცხადებების თაობაზე ჩანაწერს, რაც რელევანტურია სამედიცინო შემოწმებისთვის (მისი განცხადება მისსავე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და არასათანადო მოპყრობის თაობაზე საჩივარი), ii) სრული შემოწმების შედეგად მიღებული ობიექტური სამედიცინო მიგნებების სრული ანგარიში), და iii) ჯანდაცვის სპეციალისტის დასკვნები, i) და ii)-ის გათვალისწინებით, გაკეთებულ განცხადებასა და ობიექტურ სამედიცინო მიგნებებს შორის შესაბამისობის თაობაზე მინიშნება. ჩანაწერი ასევე უნდა მოიცავდეს დამატებით განხორციელებული გამოკვლევების შედეგებს, სპეციალიზებული კონსულტაციების ვრცელ დასკვნებს, ასევე დაზიანებების მკურნალობისა და სხვა პროცედურების აღწერას. ტრავმული დაზიანებების შემთხვევაში, სამედიცინო გამოკვლევის ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სპეციალურად ამისთვის გამიზნულ ფორმაში, სადაც მოცემულია სხეულის დიაგრამები ტრავმული დაზიანებების მოსანიშნად, რაც შეინახება პატიმრის სამედიცინო ისტორიაში. გარდა ამისა, სასურველი იქნება დაზიანებების ფოტოგადაღება და მათი შენახვა სამედიცინო ისტორიაში. ამასთანავე, სპეციალური ტრავმების რეესტრი უნდა იწარმოებოდეს, სადაც შემჩნეული ყველა ტიპის დაზიანება იქნება დაფიქსირებული".[368] მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს ხილული დაზიანებების ფოტოსურათებს.

96 ციხის ხელმძღვანელობა ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც ეხება წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობას, განსაკუთრებით, უშუალოდ ინციდენტიდან მოკლე ხანში, ვიდრე საქმე გადაეცემა საგამოძიებო ორგანოებს. მათ უნდა უზრუნველყონ ამ მტკიცებულების უსაფრთხოდ და კონფიდენციურად შენახვა. ჯანდაცვის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი სამედიცინო მტკიცებულება, სასამართლო საექსპერტო ნიმუშების ჩათვლით, უსაფრთხოდ იქნეს შენახული და დაცული არაუფლებამოსილი პირების წვდომისგან.[369]

366. იმავე დოკუმენტში, 73-ე აბზაცი.

367. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, A/69/387, op. cit., note 359, 30-ე აბზაცი.

368. „23-ე ზოგადი ანგარიში – CPT/Inf (2013) 29", op. cit., შენიშვნა 342.

369. დამატებითი ინფორმაციისათვის სასამართლო-საექსპერტო და სამედიცინო მეცნიერებების როლზე წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის გამოძიებაში, სისხლის სამართლებრივ დევნასა და პრევენციის საქმეში, იხილეთ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, A/69/387", op. cit., შენიშვნა 359.

კონტექსტი: წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო („სტამბოლის ოქმი“)[370] [6.8]

სახელმძღვანელო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის თაობაზე („სტამბოლის ოქმი“) წარმოადგენს საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის თაობაზე განმცხადებელი პირების შეფასებისთვის, სავარაუდო წამების საქმეების გამოძიებისთვის და ამ დასკვნების სასამართლო და სხვა საგამოძიებო ორგანოებისთვის შეტყობინებისთვის.

„სტამბოლის ოქმი“ ასახავს სახელმწიფოების არსებულ ვალდებულებებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში. კონკრეტულად, „ოქმი“ იძლევა სახელმძღვანელო დებულებებს სამედიცინო სპეციალისტებისა და იურისტების პროფესიული ეთიკური ვალდებულებების საკითხებზე, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირებასთან მიმართებაში. ის ასევე იძლევა ინფორმაციას წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შედეგებზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ისინი და მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სავარაუდო მსხვერპლების ინტერვიუირების დროს.

„ოქმი“ ასევე შეიცავს სტანდარტებს და პროცედურებს წამების ნიშნების გამოვლენისა და დოკუმენტირების შესახებ, ისე რომ დოკუმენტირებული მასალა გამოდგეს სანდო და გამოსადეგი მტკიცებულება სასამართლოში და იძლევა სტანდარტებს სამედიცინო–სამართლებრივი დასკვნების მომზადებისა და შეფასებისთვის, რომელიც გამოსადეგია როგორც მტკიცებულება და გამოძიებისთვის. ამასთანავე, ის იძლევა სახელმძღვანელო დებულებებს სახელმწიფოებისთვის იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც უნდა არსებობდეს თავისუფლების შეზღუდვის/აღკვეთის ადგილებში და სხვაგან, რათა შესაძლებელი გახდეს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებების ეფექტური სამედიცინო დოკუმენტირება, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში სახელმწიფო ვალდებულებების შესაბამისად.

97 გარდა იმისა, რომ არასათანადო მოპყრობის ყველა ნიშნის დაფიქსირება უნდა მოხდეს და სამედიცინო პერსონალმა შესაბამისი ჩანაწერები გააკეთოს პატიმრის პირად სამედიცინო ისტორიაში, CPT იძლევა რეკომენდაციას, რომ ჯანდაცვის სამსახურმა ასევე აწარმოოს ციხეებში დაფიქსირებული დაზიანებების პერიოდული სტატისტიკა, ციხის ხელმძღვანელობის და შესაბამისი სამინისტროების[371] ყურადღების მისაქცევად. დაუშვებელია, რომ ამგვარი სტატისტიკური მონაცემები შეიცავდეს ისეთ დეტალებს, რაც იძლევა ცალკეული პატიმრების იდენტიფიცირების საშუალებას.

დახმარებისა და ზრუნვის პროგრამები

98 არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევაში, მსხვერპლს დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს სათანადო, პროფესიონალური ფსიქოლოგიური დახმარება და კონსულტირება. „ბანგკოკის წესების“ წესი 7(2) ნათლად ადგენს, რომ ამგვარი დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმისდა მიუხედავად, ქალი პატიმარი გადაწყვეტს მიმართოს სამართლებრივ ზომებს თუ არა. PRI/TIJ-ის სახელმძღვანელო დოკუმენტი „ბანგკოკის წესების“ შესახებ, უფრო ვრცლად აღწერს ხელისუფლების ვალდებულებებს იმ შემთხვევაში, თუ დიაგნოზით დადასტურებულია სექსუალური ძალადობის შემთხვევა.[372] ამგვარი დახმარება უნდა გავრცელდეს მამაკაც პატიმრებზე, რომლებიც ასევე არიან ძალადობის მსხვერპლი.[373]

99 თუ სამედიცინო შემოწმების დროს, აღმოჩნდა სექსუალური ძალადობის ნიშნები, უნდა ჩაერთონ ექსპერტები სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების საკითხებში და იმუშაონ მსხვერპლებთან რეაგირების მიზნით.

100 UNCAT ხაზს უსვამს წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლების სრული მოცულობით და სწრაფად სარეაბილიტაციო საშუალებებით უზრუნველყოფის საჭიროებას. ეს მოიცავს: „პირის თერაპიული და სხვა საჭიროებების შეფასების პროცედურას და შეიძლება ასევე გულისხმობდეს მრავალდარგობრივი ზომების ერთობლიობას“.[374] სარეაბილიტაციო ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს მსხვერპლის ძალასა და მედეგობას, ასევე

370. „სტამბოლის ოქმი“,op. cit., note 205, გვ. 1.

371. „CPT-ის სტანდარტები“, CPT/Inf/E (2002) 1 გადახედვა 2011, op. cit., შენიშვნა 15, 62-ე აბზაცი.

372. „სახელმძღვანელო დოკუმენტი ბანგკოკის წესების შესახებ“, PRI/მართლმსაჯულების ტაილანდის ინსტიტუტი, op. cit., შენიშვნა 138, გვ. 38.

373. „ბანგკოკის წესები“, op. cit., წინასწარი მიგნებების შენიშვნა 28, 12-ე აბზაცში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთი წესი „ეხება საკითხებს, რომლებიც ქალი და მამაკაცი პატიმრებისთვის აქტუალურია“ და გვთავაზობს იმავე წესების გამოყენებას მამაკაც პატიმრებთან მიმართებაში.

374. ეს შესაძლოა მოიცავდეს სამედიცინო, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციის სერვისებს; რეინტეგრაციისა და სოციალურ სერვისებს; საზოგადოებაზე და ოჯახზე ორიენტირებულ დახმარებას და სერვისებს; პროფესიულ სწავლებასა და განათლებას. იხილეთ წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი (UN CAT), „ზოგადი კომენტარი No. 3: მე-14-ე მუხლის იმპლემენტაცია სახელმწიფო-მხარეების მიერ, 13 დეკემბერი 2012 წ., a/69/387, CAT/C/GC/3.

რეტრამვირების საფრთხეს იმ აქტების საშუალებით, რომლებიც ახსენებს მათ განცდილ წამებასა და არასათანადო მოპყრობას. ამრიგად, ნებისმიერი დახმარება კონფიდენციალობის დაცვით უნდა გაეწიოთ.

101 თუ წამების მსხვერპლთათვის სპეციალიზებული სარეაბილიტაციო პროგრამები არ არის ხელმისაწვდომი ციხეში, გარეშე სერვისების მიმწოდებლებს, როგორიცაა მსხვერპლთა ეროვნული სარეაბილიტაციო ცენტრები, უნდა მიეცეთ დაშვება ციხეში.

6.5 ეთიკური და პროფესიული სტანდარტები

შესაბამისი წესები: ეთიკური და პროფესიული სტანდარტები

წესი 31: ექიმს, ან ზოგ შემთხვევაში სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს ყოველდღიური შესაძლებლობა, მოინახულოს ყველა ავადმყოფი პატიმარი, ყველა პატიმარი, რომელიც უჩივის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ან დაზიანებას, ასევე ნებისმიერი პატიმარი, რომლის მიმართაც განსაკუთრებით მიმართულია მათი ყურადღება. ყველა სახის სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს სრული კონფიდენციალობის დაცვით.

წესი 32:

1. ექიმს, ამ სხვა სამედიცინო პერსონალსა და პატიმრებს შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს იმავე ეთიკურსა და პროფესიონალურ სტანდარტებს, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, კერძოდ:

(ა) პატიმრების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულება; დაავადებების პრევენცია და მკურნალობა მხოლოდ კლინიკურ საფუძველზე;

(ბ) პატიმრის ავტონომიურობის დაცვა საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ექიმი–პაციენტის ურთიერთობაში ინფორმირებული თანხმობა;

(გ) სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი კონფიდენციალობის დაცვა შეიძლება პატიმრისთვის ან სხვებისთვის გადაიზარდოს რეალურ და გარდაუვალ საფრთხეში;

(დ) ისეთ ქმედებებში ნებისმიერი სახით — პასიურად თუ აქტიურად ჩართვის აბსოლუტური აკრძალვა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს წამებას ან სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, მათ შორის სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტებში, რომლებმაც შეიძლება შეარყიოს პატიმრის ჯანმრთელობა. მაგალითად, როგორიცაა პატიმრისთვის უჯრედების, სხეულის ქსოვილების ან ორგანოების მოცილება.

2. ამ წესის პირველი ნაწილის დაურღვევლად, პატიმარს შესაძლოა ნება დაერთოს, მონაწილეობა მიიღოს კლინიკურ ცდებსა და საზოგადოებაში არსებულ სხვა სახის სამედიცინო კვლევებში, მისი თავისუფალი ნების და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და შესაბამისი კანონის გათვალისწინებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს მის ჯანმრთელობას პირდაპირ და მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს, ან როდესაც უჯრედების, სხეულის ქსოვილების ან ორგანოების გადანერგვა ხდება ნათესავისთვის.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

102 ჯანდაცვის მთელი პერსონალი, რომელიც ზრუნავს პატიმრებზე, მათ შორის მედდები, ფსიქოლოგები და ფსიქიატრები, ერთიდაიმავე ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით არის შებოჭილი.

103 სამედიცინო ეთიკის შესახებ გაეროს პრინციპების მე-3 პრინციპში აღნიშნულია, რომ „ჯანდაცვის პერსონალისთვის სამედიცინო ეთიკის დარღვევაა პატიმრებთან და დაკავებულებთან ნებისმიერი პროფესიული ურთიერთობა, რომლის მიზანს არ წარმოადგენს მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა და გაუმჯობესება“.

104 ინფორმირებული თანხმობა, პაციენტის ნების ავტონომიურობა და სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა ჯანდაცვის უფლების მთავარი შემადგენელი ნაწილებია და თანაბრად ეხება პატიმრებს, როგორც პაციენტებს. ამგვარი პრინციპები არსებითი მნიშვნელობისაა, პაციენტსა და ჯანდაცვის პერსონალს შორის ნდობის დამყარებისთვის.

105 თუ პატიმრების არ ენდობიან ციხის ჯანდაცვის პერსონალს, არც ექნებათ სურვილი მათ მიმართონ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ან მათ სამედიცინო რჩევას არ დაუჯერონ, რაც გამოიწვევს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებას, ან ციხის კონტიგენტში შექმნის სხვათა ჯანმრთელობისთვის საფრთხეს. პატიმრებმა, შესაძლოა, უარი განაცხადონ მკურნალობაზე, არა იმიტომ, რომ ამის სურვილი არა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ არ ენდობიან ციხის სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებს.

პოზიტიური პრაქტიკა: ადამიანის უფლებები და ეთიკური დილემა ციხეში მომუშავე ექიმებისთვის – ონლაინ სწავლების კურსი [6.9]

ნორვეგიის მედიკოსთა ასოციაციამ, მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ვებ–რესურსი, სასწავლო კურსი, „ციხეში მომუშავე ექიმები: ადამიანის უფლებები და ეთიკური დილემები“.[375]

პრაქტიკაში განხორციელება

სამედიცინო კონფიდენციალობა

106 პატიმრებს აქვთ იგივე უფლება სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, როგორც პაციენტებს საზოგადოებაში. ამგვარად, კონფიდენციალობა ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როგორც „მანდელას წესებშია“ გათვალისწინებული, როდესაც ამგვარი კონფიდენციურობის შენარჩუნება გამოიწვევს პაციენტისთვის ან სხვებისთვის რეალურ და გარდაუვალ საფრთხეს. ასეთ შემთხვევებშიც კი, სამედიცინო ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს მხოლოდ „საჭიროა იცოდეს“ საფუძველზე.

107 არა-სამედიცინო პერსონალმა, მათ შორის ციხის დირექტორებმა, აუცილებელი არაა იცოდნენ პატიმრების სამედიცინო მდგომარეობის დეტალები, ან სამედიცინო ისტორიებში შენახული ინფორმაცია. თუმცა, პერსონალმა უნდა იცოდეს როგორ დაიცვან თავი და სხვები პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობისგან მომდინარე ნებისმიერი საზიანო შედეგისგან. ამრიგად, არასამედიცინო პერსონალს უნდა ჩაუტარდეს პრევენციული ჯანდაცვის შესახებ მომზადება და ეცნობოს იმ საშუალებების შესახებ, რომლითაც დაიცავენ თავს შესაძლო ზიანისგან. ეს, შეიძლება, მოიცავდეს, მაგალითად, ხელთათმანებს, რომ დაიცვან თავი საკნების ჩხრეკისას, დაბინძურებული ნემსებით დაზიანებისაგან.

108 არასამედიცინო პერსონალმა ასევე უნდა იყოს ინფორმირებული თვითდაზიანების შესაძლო საფრთხეების თაობაზე. მათ უნდა იცოდნენ სამედიცინო რისკების შესახებ, რომელიც უკავშირდება ცალკეულ პატიმრებს და მათზე რეაგირების გზებს, მაგალითად, უეცარი კრუნჩხვების რისკების თაობაზე იმ პაციენტებისთვის, რომელთაც აღენიშნებათ ეპილეფსია.

109 მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის ლისანობის დეკლარაცია პაციენტთა უფლებების შესახებ ითვალისწინებს, რომ კონფიდენციურობა უნდა იყოს დაცული „პაციენტის ჯანდაცვის სტატუსის, დაავადების, დიაგნოზის, პროგნოზის და მკურნალობის თაობაზე ყველა იდენტიფიცირებადი ინფორმაცია და ყველა პირადი ხასიათის ინფორმაცია“.[376] დეკლარაცია დასძენს, რომ ასეთი ინფორმაცია კონფიდენციური უნდა იყოს პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თუ უფლებამონაცვლეს აქვს უფლება ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, რომელიც მისი საკუთარი ჯანმრთელობისთვის საფრთხეების შესახებ აუწყებს მას (მაგ, თუ არსებობს გენეტიკური განწყობა გარკვეული დაავადებებისადმი).

110 საგანგებო უსაფრთხოების ზომები, შესაძლოა, იყოს საჭირო სამედიცინო შემოწმებების დროს, განსაკუთრებით, თუ სამედიცინო პერსონალი პატიმრისგან მომდინარე საფრთხეს აღიქვამს. თუმცა, როგორც CPT ხაზგასმით აღნიშნავს, ყოვლად გაუმართლებელია ციხის პერსონალის სისტემატიური დასწრება სამედიცინო შემოწმების პროცედურებზე; მათი იქ ყოფნა ზიანს აყენებს ექიმისა და პაციენტის სათანადო ურთიერთობის დამყარებას და როგორც წესი, არ წარმოადგენს აუცილებლობას უსაფრთხოების თვალსაზრისით. მოძიებულ უნდა იქნეს ალტერნატიული გადაწყვეტის გზები, რათა დაბალანსდეს უსაფრთხოების ლეგიტიმური მოთხოვნები და სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპი. ერთი ვარიანტია, გამოძახების სისტემის დამონტაჟება, რისი მეშვეობითაც ექიმს შეუძლია სწრაფად შეატყობინოს ციხის ოფიცრებს იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი ხდება აღელვებული ან იმუქრება სამედიცინო შემოწმების დროს.[377]

375. „ციხეში მომუშავე ექიმები: ადამიანის უფლებები და ეთიკური დილემები“, ნორვეგიის მედიკოსთა ასოციაცია, 2014, ხელმისაწვდომია: nettkurs.legeforeningen.no/enrol/index.php?id=39.

376. „WMA-ს ლისაბონის დეკლარაცია პაციენტის უფლებების შესახებ“, ხელახლა დამტკიცებული WMA-ს საბჭოს მე-200-ე სხდომაზე, აპრილი 2015წ., მე-8-ე აბზაცი, ხელმისაწვდომია: www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-lisbon-on-the-rights-of-the-patient.

377. „ანგარიში CPT-ს მიერ სომხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ 2006 წლის 2 -დან 12 აპრილამდე, CPT/Inf (2007) 47“, ევროპის საბჭო, 13 დეკემბერი 2007წ., მე-19 და 91-ე აბზაცები.

111 WHO და CPT-მ ხაზი გაუსვეს იმ მოთხოვნას, რომ დაუშვებელია პატიმრების სამედიცინო კონსულტირებისას მათთვის ხელბორკილების დადება. ასეთი პრაქტიკა არღვევს მათ ღირსებას, აფერხებს ექიმისა და პაციენტის ნორმალურ ურთიერთობას და შესაძლოა საზიანო იყოს ჯანდაცვის სპეციალისტის სამედიცინო დასკვნების ობიექტურობისთვის.[378]

ინფორმაციის გაზიარება „საჭიროა იცოდეს“ პრინციპის საფუძველზე

112 თუ არსებობს იმის რწმენის საფუძველი, რომ სამედიცინო კონფიდენციურობის დაცვამ, შესაძლოა, გამოიწვიოს პაციენტისთვის ან სხვებისთვის რეალური ან გარდაუვალი საფრთხე, როგორც 32(1)(გ) წესშია მოცემული, სამედიცინო პერსონალმა, პირველ რიგში, უნდა ითხოვოს პაციენტისგან აშკარად გამოხატული თანხმობა, ამავდროულად, ნათლად და გასაგებად აუხსნას ინფორმაციის გამჟღავნების მიზეზები და ფორმა.

113 მხოლოდ რელევანტური ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს „საჭიროა იცოდეს“ საფუძველზე. დაწესებულების სამედიცინო სპეციალისტმა უნდა გაარკვიოს თუ ვინ უნდა იცოდეს და რა უნდა იცოდეს, პაციენტის კონკრეტული დაავადების შეფასებით და იმის დადგენით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ეს თავად პაციენტისათვის და სხვებისთვის.

114 მხოლოდ ჯანდაცვის სპეციალისტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ, პაციენტის თანხმობის გარეშე. პაციენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული, რომ სამედიცინო ინფორმაცია გამჟღავნდება მათივე ან სხვების ჯანმრთელობის დასაცავად და უნდა განემარტოს, რომ ინფორმაციის გაზიარება მოხდება „საჭიროა იცოდეს“ პრინციპის საფუძველზე.

115 უნდა არსებობდეს სამედიცინო შემოწმებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახები, რომლებიც უზრუნველყოფს სრულ კონფიდენციურობას, როგორც ამას „მანდელას წესები“ მოითხოვს. თუ პატიმარი ან სამედიცინო სპეციალისტი მოითხოვს მცველების დასწრებას, მათივე უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე, მაშინ მცველები შეიძლება დაესწრონ. სხვა შემთხვევაში, სამედიცინო კონსულტაციები ციხეში ყოველთვის მიყურადების გარეშე, და, თუ ექიმი გადაჭრით არ ითხოვს საპირისპიროს, ასევე არასამედიცინო პერსონალის თვალთახედვის მიღმა.

ინფორმირებული თანხმობა და ავტონომიურობა

116 ისევე როგორც საზოგადოებაში პაციენტებს, ასევე ყველა პატიმარს აქვს უფლება ავტონომიურობაზე მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას, თუმცა ციხის გარემოში, ექიმის არჩევანი შეზღუდულია. მათ აქვთ უფლება მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება და გააკეთონ არჩევანი მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, მათ შორის, უარი თქვან მკურნალობაზე. თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი ძირითადი პრინციპია ყველა მკურნალობის კონტექსტში. ნებისმიერი რეკომენდებული პროცედურის მიზანი, შესაძლო სარგებლიანობა და საფრთხეები უნდა განემარტოთ პაციენტებს და მათგან თანხმობა იქნეს მიღებული.

117 სამედიცინო სკრინინგის დაწყებამდე, ჯანდაცვის პერსონალმა ნათლად უნდა განუმარტოს პატიმრებს სამედიცინო შემოწმების მიზანი და რატომ არის მნიშვნელოვანი, არა მხოლოდ მათივე ჯანმრთელობის, არამედ სხვათა ჯანმრთელობისთვისაც. პატიმრებს აქვთ უფლება უარი თქვან სამედიცინო შემოწმებაზე, მაგრამ თუ დათანხმდებიან, უნდა იყონ ინფორმირებული შესაძლო უარყოფითი შედეგების თაობაზე. თუ პატიმარი უარს ამბობს სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობა მიცემაზე, ჯანდაცვის პერსონალმა უნდა განიხილოს ის მიზეზები, თუ რის გამოა უარზე პატიმარი და შეეხონ ყველა საკითხს, რაც აწუხებს პატიმარს. ჯანდაცვის პერსონალმა ასევე ნათლად უნდა განუმარტოს ნებისმიერ პატიმარს, რომელიც უარს ამბობს ჯანმრთელობის საწყის შემოწმებაზე, რომ ეს შემოწმება მოგვიანებით, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩატარდეს. ამგვარი შემოწმებები პატიმრებს რეგულარულად უნდა შეეთავაზოთ.

118 როგორც „ლისაბონის დეკლარაციაშია“ აღნიშნული, თუ პატიმარი უგონოდაა ან სხვა მიზეზით არ შეუძლია საკუთარი ნების გამოხატვა, ინფორმირებული თანხმობის მოპოვება უნდა მოხდეს სამართლებრივად უფლებამოსილი წარმომადგენლისგან, როდესაც ეს შესაძლებელია. თუ „სამართლებრივად უფლებამოსილი წარმომადგენელი არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ სამედიცინო ინტერვენცია დაუყოვნებლივ საჭიროა, პაციენტის თანხმობა შეიძლება იგულისხმონ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა და ყოველგვარ ეჭვს მიღმაა პაციენტის წინა მტკიცე გამოხატვისა ან რწმენის გამო, რომ ის იმ სიტუაციაში უარს იტყოდა იმ ინტერვენციაზე“. „ლისაბონის დეკლარაცია“ დასძენს, რომ ექიმები ყოველთვის უნდა ეცადონ გადაარჩინონ იმ პაციენტის სიცოცხლე, რომელიც უგონოდაა სუიციდის მცდელობის გამო.[379]

378. „ციხეები და ჯანმრთელობა“, op. cit., შენიშვნა 354, 2014, გვ. 11 და „ნიდერლანდების სამეფოს ხელისუფლების ანგარიში, CPT-ს მიერ განხორციელებული ვიზიტის თაობაზე, 2007 წლის ივნისში, (CPT/Inf (2008) 2)“, ევროპის საბჭო, 5 თებერვალი 2008წ., მე-18 აბზაცი.

379. WMA-ს ლისაბონის დეკლარაცია პაციენტის უფლებების შესახებ“, ხელახლა დამტკიცებული WMA-ს საბჭოს მე-200-ე სხდომაზე, op. cit., შენიშვნა 376, მე-4 (გ) პრინციპი.

კონტექსტი: შიმშილობა და იძულებითი კვება [6.10]

იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი შეწყვეტს ჭამას პროტესტის მიზნით, რომ მიაღწიოს ცვლილებას რეჟიმში ან მოიპოვოს წარმოდგენილი ან ფაქტიური უფლებები, სხვადასხვა ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხე წარმოიშობა, როგორიცაა ჯანმრთელობის უფლება, სიცოცხლის უფლება და წამებისა და არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა. ციხეების ადმინისტრაციებისა და ჯანდაცვის გუნდებისთვის ორი ვალდებულება ეჯახება ერთმანეთს:

— ადამიანის ფიზიკური სიჯანსაღისა და სიცოცხლის შენარჩუნების ვალდებულება; და

— ყოველი პირის უფლება თავისუფლად განკარგოს საკუთარი სხეული.

მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპი ჯანდაცვის გუნდებისთვის არის მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის „მალტის დეკლარაცია“.[380] ის დეტალურად აღწერს იმ ეთიკურ ასპექტებს და პრაქტიკულ მოქმედებებს, რომლებიც ციხის ექიმებმა უნდა გაითვალისწინონ ამგვარ სიტუაციებში. დოკუმენტში ნახსენებია, რომ პაციენტის ავტონომიურობას პატივი უნდა ეცეს, რომ პაციენტის საჭიროებების სრული გამოკვლევა უნდა მოხდეს და რომ პაციენტი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული შიმშილობის დაწყების შედეგებზე.

„მალტის დეკლარაცია“ აღნიშნავს, რომ პატიმართა იძულებითი მკურნალობა ეთიკურად არასოდეს არის გამართლებული.[381] ეს გამოიყენება იმ საფრთხის მიუხედავად, რაც შეიძლება შიმშილობის შედეგად დაემუქროს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასეთი პროცედურა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სერიოზული ფსიქიკური დაავადება გავლენას ახდენს პაციენტის გადაწყვეტილების მიღების უნარზე და შესაბამისად, წარმოადგენს ხელოვნურ კვებას და არა იძულებით კვებას.[382]

საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა მექანიზმებმა, როგორიცაა გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, გაეროს სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობის უფლებაზე და ინტერამერიკული ადამიანის უფლებათა კომისია, დაასკვნეს, რომ პატიმრების შიმშილობის შემთხვევებში, ჯანდაცვის პერსონალის ვალდებულება იმოქმედოს ეთიკურად და პატივი სცეს ადამიანის ნების ავტონომიურობას უნდა იყოს დაცული. ამ პრინციპების ფარგლებში, გაუმართლებელია ადამიანების ძალით კვება მათი კვებისგან ინფორმირებული და ნებაყოფლობით უარის თქმის დროს. ამასთანავე, მიუღებელია ძალით კვების მუქარის გამოყენება ან სხვა ტიპის ფიზიკური და ფსიქიკური იძულება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც ნებაყოფლობით გადაწყვიტეს შიმშილობა. პატიმრის ფიზიკური სიჯანსაღისა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება იპოვოს შიმშილობის სიტუაციით შექმნილი კრიზისიდან ალტერნატიული გამოსავალი, მათ შორის, გულწრფელი დიალოგი პატიმრებთან მათი საჩივრების შესახებ.[383]

119 არა-საგანგაშო ვითარებაში, პატიმრებს სათანადოდ უნდა ეცნობოთ ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ შემოთავაზებული მკურნალობის შესახებ, მათთვის გასაგებ ენაზე. ეს მოიცავს ინფორმაციას მკურნალობის შესაძლო შედეგების და საფრთხეების შესახებ. ამასთანავე, პატიმარს უნდა შეეძლოს მკურნალობის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, ისე როგორც ამას გააკეთებდა საზოგადოებაში.

ფსიქიკურად დაავადებული პატიმრები

120 მხარდაჭერილი გადაწყვეტილების მიღების პროცესების[384] იმპლემენტაცია, შესაძლია, რთული იყოს ციხეებში, განსაკუთრებით, სადაც რესურსები მწირია. თუმცა, როგორც UNODC აღნიშნავს, „ციხის გარემოში არსებობს ადამიანის უფლებათა დარღვევების განსაკუთრებული რისკი, ამიტომ, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ადექვატური დაცვის გარანტიები არსებობდეს ფსიქიკურად დაავადებული პატიმრების დასაცავად მკურნალობისგან, რომელიც ხორციელდება თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე“. [385]

380. „მალტის დეკლარაცია შიმშილობის შესახებ“, მედიკოსთა მსოფლიო ასოციაციის 43-ე ასამბლეა, 1991 წ. ნოემბერი, განახლებულია 2006წ. ოქტომბერში, ხელმისაწვდომია: www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-malta-on-hunger-strikers.

381. იმავე დოკუმენტში, 21-ე მუხლი: „იძულებითი კვება ეთიკურად არასოდეს არის მისაღები. თუნდაც სარგებლის მოტანას ისახავდეს მიზნად, კვება, რომელსაც თან ახლავს მუქარა, იძულება, ძალის ან ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენება, წარმოადგენს არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფორმას. თანაბრად მიუღებელია ცალკეული პატიმრების იძულებითი კვება იმ მიზნით, რომ დააშინონ ან აიძულონ სხვა მოშიმშილეები, რომ შეწყვიტონ შიმშილი“.

382. „ჯანდაცვა ციხეებში: WHO-ს სახელმძღვანელო ციხეებში ჯანდაცვის არსებით საკითხებზე“, op. cit., შენიშვნა 123, გვ. 14.

383. „გუანტანამოს დახურვისაკენ“, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია, 3 ივნისი 2015 წ., OAS/Ser.L/V/II, 148-ე აბზაცი; იხილეთ აგრეთვე, „ანგარიში გუანტანამოს ყურის პატიმრების მდგომარეობის შესახებ“, რომელიც გაეგზავნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიას, 27 თებერვალი 2006 წ., 79-80-ე აბზაცები, E/CN.4/2006/120; „მოსმენა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გუანტანამოს სამხედრო საზღვაო ბაზაში განთავსებულ დაკავებულებთან დაკავშირებით“, შეერთებული შტატები“, გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე, 28 ოქტომბერი 2013წ., ხელმისაწვდომი: antitorture.org/wp-content/uploads/2013/10/SRT-IACHR-Hearing-Guantanamo-statement-Oct-28-13.pdf.

384. მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღება ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც პირი იღებს, შეძლებისდაგვარად, დიდ მხარდაჭერას, იმისათვის, რომ თავად მიიღოს გადაწყვეტილება ან/და გამოხატოს ნება და პრეფერენციები მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში.

385. „სახელმძღვანელო სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების შესახებ“, UNODC, op. cit., შენიშვნა 87, გვ. 34.

121 CRPD-ის 25(დ)-ე მუხლი, რომლის არეალი მოიცავს ყველა ადამიანს, მათ შორის, პატიმრობაში მყოფ პირებს, ნათლად განსაზღვრავს, რომ ჯანდაცვის პერსონალმა იმავე ხარისხის ზრუნვა უნდა გაუწიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, როგორც სხვებს, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ამავდროულად, ასეთი პატიმრების ადამიანის უფლებების, ღირსების, ავტონომიურობის და საჭიროებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებით, ტრენინგებითა და საჯარო და კერძო ჯანდაცვის ეთიკური სტანდარტების გავრცელების ხელშეწყობით.

122 პატიმრებს, რომლებიც გეგმავენ კლინიკურ გამოცდებში და სამედიცინო კვლევაში მონაწილეობას უნდა მიეწოდოთ იმავე დონის ინფორმაცია კვლევის თაობაზე, როგორსაც მიიღევდნენ საზოგადოებაში მოქალაქეები. ამგვარი ინფორმაცია უნდა გასცენ კვლევის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა. იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმარს აქვს მონაწილეობის სურვილი, ჩართული უნდა იყოს ეთიკური კომისია, რომელიც დამოუკიდებელ აზრს წარმოადგენს იმის თაობაზე, მკურნალობა გამოიღებს თუ არა პირდაპირ და მნიშვნელოვან სარგებელს ჯანმრთელობისთვის. ციხის ხელმძღვანელობის ვალდებულებაა უზრუნველყოს კვლევის დამტკიცება შესაბამისი ორგანოს მიერ.

6.6 სამედიცინო დოკუმენტაცია

შესაბამისი წესები: სამედიცინო დოკუმენტაცია

წესი 26:

1. სამედიცინო სამსახური უნდა ამზადებდეს და აწარმოებდეს ინდივიდუალურ და კონფიდენციალურ, ზუსტ და განახლებულ ინფორმაციას თითოეული პატიმრის შესახებ. თითოეულ პატიმარს, გამოთხოვის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს წვდომა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ჩანაწერებზე. პატიმარს უნდა შეეძლოს საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ჩანაწერებზე წვდომა გადასცეს მესამე პირს.

2. პატიმრის გადაყვანის დროს, აუცილებელია, სამედიცინო ჩანაწერები გადაეცეს მიმღები დაწესებულების სამედიცინო სამსახურს. ჩანაწერების შინაარსი უნდა წარმოადგენდეს სამედიცინო კონფიდენციალობას.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

123 სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპი სამედიცინო პრაქტიკის ფუნდამენტური მახასიათებელია და იმავე სიფრთხილით უნდა იყოს გამოყენებული ციხეებში, როგორც ზოგად საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა დარღვევის, სტიგმისა და დისკრიმინაციის გათვალისწინებით, რასაც პატიმრები შეიძლება წააწყდნენ, თუ მათი დაავადების და ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსი სხვებისთვის ცნობილი გახდა.

124 დეტალური და ზუსტი სამედიცინო ისტორიები არსებითია მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის, პატიმრების გადაყვანისა და გათავისუფლების შემთხვევების ჩათვლით.

125 ინდივიდუალური დაავადებების და ჯანმრთელობის მდგომარეობის დეტალები კონფიდენციური უნდა იყოს, მაგრამ ზოგადი მონაცემები ციხის კონტიგენტის ჯანმრთელობის სტატუსზე სასარგებლო იქნება ციხის მართვის მიზნებისთვის, იმისათვის, რომ შეფასდეს საჭირო სამედიცინო რესურსები, საჭირო კადრები და რამდენად ხშირად იქნება საავადმყოფოებსა და კლინიკებში ტრანსპორტირება საჭირო.

პრაქტიკაში განხორციელება

126 სამედიცინო დოკუმენტაცია მხოლოდ ჯანდაცვის პერსონალმა უნდა აწარმოოს და ინახებოდეს პატიმრის პირადი საქმისგან ცალკე და მასავით დაცული იყოს. სამედიცინო ისტორიები უნდა ინახებოდეს ჩაკეტილ კარადაში, საკეტით ჩაკეტილ ოთახში და დაცული იყოს წყალდიდობის, ხანძრისა და სხვა დაზიანებისგან. ბევრ დაწესებულებაში, სამედიცინო ისტორიები უსაფრთხოდ და დაცულად ინახება თვითონ ჯანდაცვის ცენტრში. ელექტრონული სამედიცინო ისტორიები სათანადოდ უნდა იყოს დაცული არანებადართული წვდომისგან.

127 სამედიცინო ისტორიები არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი არასამედიცინო პერსონალის ან სხვა პატიმრებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარი კონკრეტულად იძლევა თანხმობას არასამედიცინო პერსონალის მიერ წვდომაზე (წესი 26(2)).

128 სამედიცინო დოკუმენტაცია უნდა იყოს სრული და რეგულარულად განახლებადი. როგორც CPT-ის მიერ არის აღნიშნული, ასეთი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს სადიაგნოსტიკო ინფორმაციას, ისევე როგორც პაციენტის ევოლუციის შესახებ მიმდინარე ჩანაწერს, ასევე სპეციალური გამოკვლევები, რომელიც მას ჩაუტარდა.[386] ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის, სამედიცინო დოკუმენტებში ჩანაწერები, უნდა მოიცავდეს ავტორის იდენტობას.

129 თუ სამედიცინო პერსონალს აქვს რწმენის საფუძველი, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია არ არის კონფიდენციალური, მათ უნდა იმოქმედონ სამედიცინო ისტორიების დაცვის გასაძლიერებლად, ციხის დირექტორთან აღნიშნული საკითხის განხილვის ჩათვლით.

130 პატიმრების ინფორმირება უნდა მოხდეს იმის თაობაზე, რომ მათ აქვთ უფლება ქონდეთ საკუთარ სამედიცინო ისტორიაზე ხელმისაწვდომობა მათი თხოვნის საფუძველზე, ასევე შეუძლიათ მესამე პირი დანიშნონ, რომელსაც ექნება ისტორიაზე წვდომა. ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებობდეს სათანადო, თანმიმდევრული პროცედურები პატიმრების ან მესამე პირთა სამედიცინო ისტორიებზე წვდომისთვის და როგორ უნდა იყოს დაცული მათი კონფიდენციალობა.

კონტექსტი: WHO-ის სახელმძღვანელო პრინციპები აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობაზე [6.11]

WHO-ის გაიდლაინები აივ ინფექციაზე და შიდსზე ციხეებში[387] კონკრეტულად ეხება კონფიდენციალობის საკითხს აივ/შიდსთან მიმართებაში. პატიმართა ჯანმრთელობის სტატუსის და მკურნალობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუმცა სახელმძღვანელო პრინციპები ადგენს, რომ პაციენტის თანხმობით ჯანდაცვის პერსონალს შეუძლია ციხის დირექტორებს ან სასამართლო ხელისუფლებას მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც წაადგება პაციენტის მკურნალობას და მასზე ზრუნვას.

აივ/შიდსზე კონკრეტული მითითებით, სახელმძღვანელო პრინციპები ადგენს, რომ „აივ სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია, შეიძლება მხოლოდ მაშინ გაუმხილონ ციხის დირექტორებს, თუ ჯანდაცვის პერსონალი მიიჩნევს, რომ სამედიცინო ეთიკის სრული პატივისცემით, ეს დასაშვებია პატიმრების და პერსონალის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, ამ გამჟღავნების მიმართ იგივე პრინციპების გამოყენებით, რაც საზოგადოებაშია მიღებული. პრინციპები და პროცედურები, რაც ეხება პარტნიორის ნებაყოფლობით შეტყობინებას საზოგადოებაში, პატიმრებისთვისაც უნდა იყოს დაცული“.[388]

გაიდლაინები ასევე აზუსტებს, რომ ჯანდაცვის პერსონალმა არასდროს რეგულარულად არ უნდა გაუმხილოს პატიმრების აივ სტატუსი ციხის ადმინისტრაციას და „პატიმრების დოკუმენტაციაზე, საკნებზე ან ქაღალდებზე რამე ნიშანი, წარწერა, შტამპი ან სხვა ხილული ნიშანი არ უნდა იყოს დასმული, მათი აივ სტატუსის აღსანიშნად“.

6

386. წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ამონარიდი CPT-ს აქტიობების შესახებ მე-3 ზოგადი ანგარიშიდან, 1993 წ., 39-ე აბზაცი, ხელმისაწვდომია: rm.coe.int/16806ce943.

387. „WHO-ს გაიდლაინები აივ ინფექციასა და შიდსზე ციხეებში“, UNAIDS, სექტემბერი 1999წ.

388. იქვე, 32ე აბზაცი.

029
029
Küche
FREISTAAT BAYERN
JUSTIZ

გარე მონიტორინგი

7

7. გარე მონიტორინგი

შესაბამისი წესები: გარე მონიტორინგი

წესი 83:

1. აუცილებელია, არსებობდეს ციხეებისა და სასჯელაღსრულების სამსახურების ინპექციის ორმაგი სისტემა:

(ა) შიდა, ანუ ადმინისტრაციული ინსპექცია, რომელსაც ახორციელებს ციხის ცენტრალური ადმინისტრაცია;

(ბ) გარე ინსპექცია, რომელსაც ახორციელებს ციხის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეიძლება ასევე მოიცავდეს შესაბამის საერთაშორისო ან რეგიონულ ორგანოებს.

2. ორივე შემთხვევაში, ინსპექციის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ციხის მართვის შესაბამისობა არსებულ კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან, პოლიტიკასა და პროცედურებთან, სასჯელაღსრულების და გამასწორებელი სამსახურების მიზნების განხორციელებისა და პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

წესი 84:

1. ინსპექტორს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება:

(ა) იქონიოს წვდომა ინფორმაციაზე პატიმრების რაოდენობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე ინფორმაციაზე პატიმრების მკურნალობის შესახებ, მათ შორის ჩანაწერებსა და პატიმრობის პირობებზე;

(ბ) თავისუფლად აირჩიოს დაწესებულება, რომელსაც მიმართავს, მათ შორის საკუთარი ინიციატივით და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ასევე თავად აირჩიოს, რომელ პატიმარს გაესაუბრება;

(გ) ინსპექციის დროს ჩაატაროს პირადი და სრულად კონფიდენციალური ინტერვიუ პატიმრებთან და ციხის თანამშრომლებთან;

(დ) მოამზადოს რეკომენდაციები ციხის ადმინისტრაციისა და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის;

2. გარე ინსპექციის გუნდი უნდა შედგებოდეს შესაბამისი ორგანოს მიერ შერჩეული კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორებისგან და აუცილებლად მოიცავდეს სამედიცინო პერსონალს. შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს წარმომადგენლობის გენდერულ ბალანსს.

წესი 85:

1. ნებისმიერი ინსპექციის შემდეგ, აუცილებელია, შესაბამისი ორგანოსთვის წერილობითი ანგარიშის წარდგენა. ყურადღება უნდა მიექცეს გარე ინსპექტირების ანგარიშის საჯაროობას, გარდა პატიმრის რაიმე სახის პირადი მონაცემისა, თუ მათ ამის შესახებ არ გამოუთქვამთ მკაფიო თანხმობა.

2. ციხის ადმინისტრაციამ, ან სხვა შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ, გონივრულ ვადაში უნდა მიუთითოს, გაითვალისწინებს თუ არა გარე ინსპექციის შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს.

01 იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარე მონიტორინგის თემაზე არსებობს უამრავი პუბლიკაცია და რესურსი, განსაკუთრებით კი წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) სისტემის და პრევენციის ეროვნული მექანიზმების (NPMs), კონტექსტში, ეს სახელმძღვანელო არ მოიცავს გარე მონიტორინგის ყველა ასპექტს. დამატებითი ინფორმაცია შიდა ინსპექტირების საკითხებზე შეგიძლიათ იხილოთ ამ სახელმძღვანელოს **პირველი თავის 221-232-ე აბზაცებში**.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

02 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გარე მონიტორინგი, წინასწარ შეუთანხმებელი ვიზიტების საშუალებით, წარმოადგენს ერთერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციისა და ასეთი მოპყრობის განმაპირობებელი სისტემური ფაქტორების გამოსავლენად.

პრაქტიკაში განხორციელება

ინსპექტირების ორმაგი სისტემა

03 „მანდელას წესები“ ითვალისწინებს ინსპექტირების ორმაგ სისტემას, რომელიც მოიცავს შიდა ანუ ადმინისტრაციულ ინსპექციებს, ასევე გარე ზედამხედველობას დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმების მეშვეობით.

04 ორივე სისტემას ერთიდაიგივე ამოცანები აქვს, თუმცა მათი მანდატი, როგორც წესი, განსხვავებულია და შიდა ინსპექციები, ზოგადად, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პერსონალის ტრენინგი, ფინანსური და ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება, მაშინ როცა გარე მექანიზმები, როგორც წესი, კონცენტრირდებიან პატიმრების უფლებებზე და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესრულებაზე. ეს ორი მექანიზმი ავსებს ერთმანეთს.

05 ყველაზე უკეთ ცნობილი გარე მონიტორინგის მექანიზმები წამების პრევენციაზეა ორიენტირებული, მაგალითად, როგორიცაა წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) საფუძველზე შექმნილი პრევენციის ეროვნული მექანიზმები და მსგავსი ორგანოები. თუმცა ამავდროულად, „მანდელას წესებში“ გარე ინსპექციები წარმოდგენილია უფრო ფართო და ყოვლისმომცველი სახით, რომელსაც ახორციელებენ ციხის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი მექანიზმები, როგორიცაა სასამართლო კონტროლი, ეროვნული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები, ომბუდსმენის ინსტიტუტი, საპარლამენტო კომიტეტები და აგრეთვე, ჯანდაცვის ინსპექციები ან ანტიკორუფციული ორგანოები შესაბამის იურისდიქციაში.

06 წესი 83(1)(ბ) ასევე ეხება რეგიონულ და საერთაშორისო მექანიზმებს, როგორიცაა SPT, გაეროს სპეციალური პროცედურები, CPT, აფრიკაში ციხეებისა და დაკავების პირობების და პოლიციის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი, ამერიკის ქვეყნებში თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებებზე მომხსენებელი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) – როგორც რელევანტური შესაბამის ქვეყანაში.

07 მიუხედავად იმისა, რომ „მანდელას წესები“ ეფუძნება რეგიონული და საერთაშორისო პრევენციული მონიტორინგის მოდელებს, გარე მონიტორინგის მექანიზმების დაფუძნების ვალდებულება, როგორც მოცემულია „მანდელას წესებში“, ეხება სახელმწიფოებს იმისდა მიუხედავად აქვს თუ არა მას რატიფიცირებული OPCAT და დაფუძნებულია თუ არა პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

ინსპექტირების ამოცანები

08 83(2) ადგენს, რომ შიდა ინსპექტირების და გარე მონიტორინგის ამოცანა უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ციხეები იმართება არსებული კანონების, რეგულაციების, პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, სასჯელაღსრულების სისტემის მიზნების მისაღწევად, ასევე პატიმართა უფლებების დაცვის გარანტირება.

09 პრევენციული მონიტორინგის და ინდივიდუალური ქეისების და საჩივრების გამოძიების ამოცანები, ხშირად, ერთმანეთში ერევათ. ინსპექციების და მონიტორინგის დანიშნულებაა სისტემური პრობლემების გამოვლენა და მათი განმეორების თავიდან აცილების ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციების გაწევა, ხოლო საჩივრების და გამოძიებების საშუალებით ხდება ინდივიდუალურ შემთხვევებში ფაქტების დადგენა, ანგარიშვალდებულებისა და მსხვერპლისთვის კომპენსაციის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ინდივიდუალური შემთხვევების (გარდაცვალება, სერიოზული დაზიანება, გაუჩინარება ან წამება თუ არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები) გამოძიება არ წარმოადგენს შიდა ინსპექციების თუ გარე მონიტორინგის მექანიზმების დანიშნულებას. ამგვარი ინციდენტების, ინდივიდუალური საჩივრების და დარღვევების შესახებ განცხადებების გამოძიება, დევნის წარმოება და სასჯელის დაკისრება უნდა მოახდინონ იმ უწყებებმა, რომელთაც გააჩნიათ გამოძიების, ფაქტების დადგენის და დამრღვევის მიმართ სანქციების გატარების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მანდატი და უფლებამოსილება. ინდივიდუალური შემთხვევის სერიოზულობიდან გამომდინარე საგამოძიებო მექანიზმმა შეიძლება ის გადაამისამართოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, ან შიდა დისციპლინური სამართალწარმოებაზე პასუხისმგებელ ორგანოში.

10 ციხეებში პატიმართა მიმართ მოპყრობისა და პირობების ეფექტური გარე მონიტორინგის თაობაზე სახელმძღვანელო ინფორმაცია შეიძლება მოძიებულ იქნას CPT, OPCAT და SPT-ის მასალებიდან და ამგვარი მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს წამების და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე. პრევენციული ხასიათის ვიზიტები ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დაწესებულების ფიზიკური ინფრასტრუქტურა, წესები და პროცედურები, დაცვის გარანტიების ადეკვატურობა, რათა გამოავლინოს რისკ-ფაქტორები, რომლებიც იწვევს ან შეიძლება მომავალში გამოიწვიოს, წამება, ან შეადგენს პირობებს ან მოპყრობას, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას ან წამებას. ამგვარი პრევენციული ვიზიტების მიზანი უნდა იყოს სისტემური ფაქტორების და პრობლემური საკითხების გამოვლენა და ანალიზი, ასევე მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების გაცემა.

11 გარე მონიტორინგის მექანიზმების მიერ შეკრებილი ინფორმაცია ფასდება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებთან და პოზიტიურ პრაქტიკასთან შესაბამისობის კუთხით და უნდა აღიქმებოდეს, როგორც საშუალება, რომელიც ეხმარება ციხეების ადმინისტრაციებს და სხვა უწყებებს სათანადო სტანდარტების შენარჩუნებაში და ციხეების მართვის სფეროში გაუმჯობესების მიზნით პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში. გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციები შეადგენს ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსტრუქციული დიალოგის საფუძველს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ციხეებში პატიმართა მოპყრობა და პირობები. ეს აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს ციხეების თანამშრომელთა სამუშაო პირობებს, რომელიც ასევე წარმოადგენს პატიმართა მოპყრობის თვალსაზრისით ძირითად ფაქტორს[389].

გარე მონიტორინგის მექანიზმებისთვის საჭირო უფლებამოსილების არეალი

12 გარე მონიტორებს უნდა გააჩნდეთ დაშვება პატიმართა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების რაოდენობასთან, ასევე მათ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, ასევე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ყველა ინფორმაციაზე, რაც ეხება პატიმართა მიმართ მოპყრობას, მათი პირადი საქმეების და საპატიმრო პირობების ჩათვლით (წესი 84(ა)). ეს მოიცავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეუზღუდავად დაშვებას, ამ დაწესებულებებში დაბრკოლებისა და შეფერხების გარეშე გადაადგილების უფლებას.

13 შიდა ინსპექტირების განმახორციელებელთა მსგავსად, გარე მონიტორინგის მექანიზმის წევრებს ასევე უნდა შეეძლოთ მოსანახულებელი ციხეების თავისუფლად არჩევა, წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკუთარი ინიციატივით ციხეებში ვიზიტების განხორციელება, ასევე იმ პატიმრების თავისუფლად შერჩევა, ვისთანაც ისურვებენ გასაუბრებას (წესი 84(ბ)).

14 ვიზიტების განხორციელებისას მათ უნდა შეეძლოთ კერძო და სრულიად კონფიდენციური ინტერვიუების ჩატარება პატიმრებთან, ციხეების თანამშრომლებთან და სხვა ადამიანებთან (მაგალითად, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან) (წესი 84(გ)).

389. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ : „ციხის პერსონალის სამუშაო პირობები: რისკ ფაქტორების აღმოფხვრა წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის“. PRI/APT, შენიშვნა 71.

15 მათი მანდატი უნდა ითვალისწინებდეს ციხეების ადმინისტრაციებისთვის და სხვა უფლებამოსილი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაწევას (წესი 84(დ)). ეს მოიცავს კანონპროექტების ანალიზს და მათზე შენიშვნების წარმოდგენას, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შესაძლო რისკების გამოვლენის თვალსაზრისით.[390]

16 წესი 84(2) ადგენს, რომ გარე მონიტორინგის მექანიზმები კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული, დამოუკიდებლობისა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გარანტიებით. მათ შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ კვალიფიციური და გამოცდილი კადრები, მათ შორის ჯანდაცვის სპეციალისტები და გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობით.

ციხის ადამინისტრაციების როლი

17 ციხის პერსონალმა და ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა გარე მონიტორს შეეძლოს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელება და უნდა თანამშრომლობდეს მათთან, ასევე გასაუბრებაზე დათანხმდეს.

18 მონიტორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება, ხელის შეშლის, მუქარისა და შევიწროვების გარეშე. ამავდროულად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებიც, თავის მხრივ, პატივს უნდა სცემდნენ ციხის შინაგანაწესს და დებულებებს. მათი ყოფნა დაწესებულებაში ხელს არ უნდა უშლიდეს მის შეუფერხებელ მართვას. ხელისუფლებისა და ციხის ადმინისტრაციების მოვალეობაა იმის უზრუნველყოფა, რომ ციხის გარე მონიტორებს შეეძლოთ თავიანთი ფუნქციების ეფექტურად განხორციელება წესი 84(1)-ის შესაბამისად, რომელიც ადგენს საჭირო უფლებამოსილების ფარგლებს.

19 გარე მონიტორებთან კონტაქტში მყოფი პირების დაცვა უნდა ხდებოდეს ამ ფაქტის გამო სანქციების დაკისრების ან შურისძიების ნებისმიერი ფორმისგან. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი სანქციის ან ანგარიშსწორების შესახებ ბრძანების გაცემის, გამოყენების, ნების დართვის ან მის მიმართ შემგუებლური დამოკიდებულებისაგან იმ პირთა თუ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც კომუნიკაცია ქონდათ ან ინფორმაცია მიაწოდეს მონიტორინგის ორგანოს, ამ ინფორმაციის სიზუსტის მიუხედავად. არცერთი ასეთი პირის ან ორგანიზაციის მიმართ არ უნდა არსებობდეს მიკერძოებული დამოკიდებულება ამ ფაქტების გამო.[391]

ხელისუფლების თანამშრომლობა ინსპექტორებთან და მონიტორებთან

20 წესი 85 ითვალისწინებს, რომ როგორც გარე, ასევე შიდა ინსპექტირების შემდეგ უნდა შედგეს წერილობითი ანგარიში და წარედგინოს უფლებამოსილ ორგანოს.

21 გარე მონიტორინგთან მიმართებაში, წესი 85(1) ადგენს, რომ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს გარე ინსპექტირების მექანიზმების ანგარიშების გამოქვეყნებას, სადაც არ უნდა იყოს ასახული პატიმრების პერსონალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აშკარა თანხმობას აცხადებენ აღნიშნულის თაობაზე.

22 გარე მონიტორების ანგარიშებზე რეაგირების მიზნით, ციხის ადმინისტრაციას ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს, იმის მიხედვით თუ ვის მიემართება რეკომენდაცია, მოეთხოვება, რომ პასუხი გასცეს დასმულ კითხვებს თუ წამოჭრილ საკითხებს გონივრულ ვადაში. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს, შესაძლოა, არ გააჩნდეთ იმის შესაძლებლობა, რომ შეასრულონ ყველა რეკომენდაცია, რომელიც მათ შეეხებათ, გამომდინარე იქიდან, რომ მათ კომპეტენციაში არ შედის, არ გააჩნიათ სათანადო რესურსები, ან არსებობს კანონმდებლობის შეცვლის საჭიროება ამა თუ იმ რეკომენდაციის შესასრულებლად.

23 წესი 85(2) მოითხოვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპასუხონ მონიტორინგის ორგანოს და გააცნობ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეასრულებენ თუ არა გარე ინსპექტირების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციას. ამგვარად, ციხის ადმინისტრაციებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ სერიოზულად მოეკიდონ მონიტორინგის ორგანოების რეკომენდაციებს, გაითვალისწინონ ისინი და გონივრულ ვადაში შეასრულონ, ან კარგად დაასაბუთონ თუ რატომ ვერ შეასრულებენ ამა თუ იმ რეკომენდაციას.

24 უნდა არსებობდეს მიმდინარე, კონსტრუქციული დიალოგი გარე მონიტორებსა და ციხის ხელმძღვანელობას შორის, რაც მიმართული იქნება რეკომენდაციების შესრულებაზე.

390. შედარებისთვის იხილეთ "OPCAT", შენიშვნა 20.

391. ამ საკითხთან დაკავშირებული დებულებები იხილეთ იქვე, მუხლი 21.

არსებული მონიტორინგის სახელმძღვანელოების/ინსტრუმენტების მაგალითები [7.1]

ეუთო–ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და წამების პრევენციის ასოციაცია (APT) — „დაკავების ადგილების მონიტორინგი: პრაქტიკული სახელმძღვანელო NGO–ებისთვის“ (2002), ხელმისაწვდომია ინგლისურ, რუსულ, სპარსულ და მონგოლურ ენებზე: www.apt.ch/en/resources/monitoring–places–of–detention–a–practical–guide–for–ngos–2002.

„წამების პრევენციის ასოციაცია“ (APT) — „დაკავების ადგილების მონიტორინგი: პრაქტიკული სახელმძღვანელო“ (2004), ხელმისაწვდომია ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, არაბულ, პოლონურ, აზერბაიჯანულ, ნეპალურ, რუმინულ, სომხურ, ინდონეზიურ, ტაილანდურ, კორეულ, მონტენეგრულ, პორტუგალიურ და ალბანურ ენებზე: www.apt.ch/en/resources/monitoring–places–of–detention–a–practical–guide.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR), პროფესიული ტრენინგების სერია No. 7 — „ტრენინგის სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა მონიტორინგისთვის“ — თავი IX: თავისუფლებააღკვეთილი პირების მონახულება (2007), ხელმისაწვდომია არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე: www.ohchr.org/EN/PublicationsResources/Pages/MethodologicalMaterials.aspx.

„წამების პრევენციის ასოციაცია“ (APT), ეროვნული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების აზიის წყნაროკეანეთის ფორუმი (APF) და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR), „წამების პრევენცია: ოპერაციული სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებისთვის“ (2010), ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ, სერბიულ, ესპანურ და არაბულ ენებზე: www.apt.ch/en/resources/national–human–rights–institutions.

„ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI) და „წამების პრევენციის ასოციაცია“ (APT) — „პატიმრობის მონიტორინგის ინსტრუმენტი: რისკ–ფაქტორების აღმოფხვრა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციისთვის“ (მეორე გამოცემა, განახლდა 2016 წელს): www.penalreform.org/priorities/torture–prevention/preventive–monitoring/tools–resources, მოიცავს შემდეგ თემატურ დოკუმენტებს და საინფორმაციო ფურცლებს:

— „ინსტიტუციური კულტურა საპატიმროებში: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, ფრანგულად, ქართულად, რუსულად და ესპანურად);
— „ქალები პატიმრობაში: გენდერ–სენსიტიური მონიტორინგის სახელმძღვანელო“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, არაბულად, ქართულად, ფრანგულად და ესპანურად);
— „თავისუფლებააღკვეთილი LGBTI პირები: ჩარჩო პრევენციული მონიტორინგისთვის“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქართულად, ფრანგულად, ესპანურად და პორტუგალიურად);
— „უსაფრთხოებისა და ღირსების ბალანსი ციხეებში: ჩარჩო პრევენციული მონიტორინგისთვის“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქართულად, ფრანგულად, ესპანურად და თურქულად);
— „სხეულის ჩხრეკა“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქართულად, ფრანგულად და ესპანურად);
— „შეკავების საშუალებები“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქართულად, ფრანგულად და ესპანურად);
— „წინასწარი პატიმრობა“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქართულად, ფრანგულად და ესპანურად);
— „ციხის პერსონალის სამუშაო პირობები“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქარულად, ფრანგულად და ესპანურად);
— „ვიდეო–გადაღება პოლიციაში პატიმრობისას“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად, რუსულად, ქართულად, ფრანგულად და ესპანურად);
— „ინციდენტების მართვა და დამოუკიდებელი გამოძიება“ (ხელმისაწვდომია ინგლისურად და ქართულად, მზადდება სხვა ენებზეც)

წამების პრევენციის ასოციაცია (APT), მონაცემთა ბაზა თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე Detention Focus, ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე www.apt.ch/detention-focus/en.

Harm Reduction International (ორგანიზაცია „საერთაშორისო ზიანის შემცირება") — „HIV, HCV, TB და ზიანის შემცირების მონიტორინგი ციხეებში: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ინსტრუმენტი არაადამიანური მოპყრობის პრევენციისთვის" (2016): www.hri.global/contents/1674.

გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) — „ნელსონ მანდელას წესებთან შესაბამისობის კვლევა" — საკითხების ჩამონათვალი შიდა ინსპექტირების მექანიზმებისთვის (2017), ხელმისაწვდომია ინგლისურ, ესპანურ, არაბულ, ფრანგულ, რუსულ, გერმანულ ენებზე: www.unodc.org/unodc/en/justice-and-prison-reform/tools.html.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), „ჯანდაცვა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში" — „ჯანდაცვის სისტემები და საჭიროებების შეფასება ციხეებში" — პრაქტიკული სახელმძღვანელო და ინსტრუმენტების ნაკრები (2018): www.icrc.org/en/publication/champ-dapplication-du-droit-dans-les-conflits-armes-ricr-no-893.

Omega Research Foundation — „იარაღისა და შეკავების საშუალებების გამოყენების მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში: პრაქტიკული სახელმძღვანელო" (2018), ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე: omegaresearchfoundation.org/publications/monitoring-weapons-and-restraints-places-detention-practical-guide.

PENAL
REFORM
INTERNATIONAL

Office for Democratic Institutions and Human Rights
osce
ODIHR